ბორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული

№12

2021

UDC (უაკ) 378 (479.22)(066)
გ-716

წინამდებარე სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2017 წლის 06 ივნისს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესიული სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ სამეცნიერო ნაშრომებს.

2017 წლის 06 ივნისს ჩატარებულ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესიული სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციაზე სექციური კომისიების შემადგენლობა:

სექცია „განათლება“
თავმჯდომარე: პროფ. მ. ზანგალაძე
წევრები: პროფ. ე. გიგაშვილი, ასოც. პროფ. ნ. მირაზანაშვილი, ასოც. პროფ. ც. ბაქრაძე

სექცია: „კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკა“
თავმჯდომარე: პროფ. მ. მუმლაძე
წევრი: პროფ. ზ. ზერაკიძე, პროფ. ბ. მიდოდაშვილი

სექცია: „საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, გეოგრაფია)
და მიმართულებათშორისი დარგი (სპორტი)“
თავმჯდომარე: პროფ. ნ. გოგინაშვილი
წევრი: ასოც. პროფ. თ. იოსებიძე, ასისტ. პროფ. გ. მძინარაშვილი მოწვ. სპეციალისტი, დოქ. მ. უბირია

სექცია: „ბიზნესი და მართვა“
თავმჯდომარე: პროფ. ნ. ლიპარტელიანი
წევრები: პროფ. ლ. მამულაშვილი, პროფ. გ. გიგუაშვილი

სექცია: „ტურიზმი“
თავმჯდომარე: ასოც. პროფ. მ. აზმაიფარაშვილი
წევრები: ასოც. პროფ. გ. ედიშერაშვილი, ასოც. პროფ. ნ. ქოქაშვილი

სექცია: „სოციალური მეცნიერებანი“
თავმჯდომარე: პროფ. ნ. აბრამიშვილი
წევრები: ასოც. პროფ. ს. სიგუა, ასოც. პროფ. ი. ჭუმბურიძე, ასოც. პროფ. ქ. ლომსაძე

სექცია: „სამართალი“
თავმჯდომარე: ასოც. პროფ. გ. გიორგაძე
წევრი: ასისტენტი დ. კვერნაძე, უფ. მასწ. ი. ბალახაშვილი

სექცია: „ქართული ენა“
თავმჯდომარე: პროფ. მ. კობერიძე
წევრები: პროფ. ვ. ახალაია, პროფ. ე. ხოჯევანიშვილი

სექცია: „ქართული ლიტერატურა“
თავმჯდომარე: პროფ. თ. გოგოლაძე
წევრები: პროფ. მ. ცერცვაძე, ასოც. პროფ. ქ. ბარბაქაძე

სექცია: „უცხო ენა და ლიტერატურა“
თავმჯდომარე: ასოც. პროფ. ნ. ბაქრაძე
წევრები: პროფ. ზ. ჩხიკვაძე, ასოც. პროფ. ლ. მახვილაძე

სექცია: „ისტორია“
თავმჯდომარე: ასოც. პროფ. მ. ჯოლბორდი
წევრები: ასოც. პროფ. ვ. ჩოჩია, ასისტ. პროფ. ლ. თოგოშვილი

ISSN 2233-3320

შ ი ნ ა ა რ ს ი

განათლება

გოგიჩაშვილი მარიამ, ეცადაშვილი ანი - *წერითი მეტყველების განვითარებაზე მუშაობა კლასში – 6*

დოლიაშვილი ლამარა - *მეორე ენის ათვისების ძირითადი ასპექტები – 8*

მიდელაშვილი ლუიზა, გოგიაშვილი მეგი - *ბავშვთა მიმართ ოჯახური ძალადობის შედეგები და მისი გავლენა მათი ფორმირების პროცესში – 11*

როსტომაშვილი მარიამ, ქარელი ჟანა - *სტილისტიკის ზოგიერთ საკითხზე მუშაობა ენის გაკვეთილზე – 13*

სეხნიაშვილი ნინო, ჯაბახიძე ნინო - *მოსწავლეთა ზოგადი მოტივაციის საკითხები დაწყებით კლასებში – 16*

ცხოვრებაშვილი ლელა - *რთულად აღსაზრდელ ბავშვთა ტიპოლოგია და მათი საკორექციო პედაგოგიური საშუალებანი – 20*

კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკა

კასრაძე ნათია - *ნდობის ინტერვალის აგების კერძო მაგალითი უცნობი დისპერსიის შემთხვევაში – 22*

რაზმაძე ნინო - *კონტრმაგალითები მათემატიკურ ანალიზში – 24*

რაზმაძე ნინო - *ოქროს კვეთა – 26*

რაზმაძე რუსუდან - *σ-სასრული ზომების აგება R^N სივრცეებში – 30*

რაზმაძე რუსუდან - *ტექსტის დაშიფვრის ისტორია და თანამედროვე მეთოდები – 33*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, გეოგრაფია) და მიმართულებათშორისი დარგი (სპორტი)

გალაშვილი ნინო - *ოზონოსფერო და მისი ეკოლოგიური მნიშვნელობა, ოზონის ხვრელი – 36*

გინტური მარიამ - *ჰიპოთალამუსი და ნეიროენდოკრინული დაავადებები – 41*

ნასყიდაშვილი ალექსანდრე, სალია ვლადიმერ - *სპორტის საგნობრივი პროგრამა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში – 45*

სარქისიანი მარიამ, ელიაშვილი ელენე - *შიდა ქართლის ჰერპეტოფაუნა – 46*

ქვრივიშვილი ალეკო - *კლასგარეშე სპორტული ღონისძიებების ორგანიზაცია საჯარო სკოლაში – 48*

ბიზნესი და მართვა

აბრამიშვილი გიორგი - *საქართველოში კომერციული უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა – 50*

გიგაური მანონი, გლოტოვი მარიამ - *კალკულუსის გამოყენება ბიზნესში* (ინგლისურ ენაზე) *– 53*

გლოტოვი მარიამ - *საქართველოს ეკონომიკის გლობალიზაცია და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები – 56*

თოდაძე ნინო - *შიდა ქართლის განვითარების ეკონომიკური პრობლემები – 59*

რაზმაძე მარიამ - *ტურიზმის განვითარების თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში – 62*

ქარუხნიშვილი მარი, არბოლიშვილი ნოდარ - *ინოვაციები ბიზნესში და კონკურენტუნარიანობა – 65*

ჭაღინაშვილი ნანა - *საქართველოსა და ევროკავშირის ინტეგრაცია ეკონომიკურ ჭრილში – 68*

ტურიზმი

აბუსელიძე თამუნა - *სამედიცინო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში – 72*

გელაშვილი მარიამ, კოპაძე ნანული - *უფლისციხე - ტურიზმის განვითარების ცენტრი შიდა ქართლში – 76*

გიგაური მანონი - *ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში – 78*

რატიანი რუსუდან - *სვანეთის ტურისტული პოტენციალი, განვითარების ფორმები და პროდუქტი – 83*

ყუმბულაშვილი თეონა - *ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები და პრობლემები საქართველოში – 86*

სოციალური მეცნიერებანი

თოფჩიშვილი ნათია - *სოციალური გარემოს როლი ადამიანის განვითარების პროცესში – 90*

სოღოლაშვილი ლელა - *პლატონი იდეალური სახელმწიფოს სოციალური საფუძვლების შესახებ – 93*

ჯულაბაშვილი ნატო, ბარჯაძე მარიამი - *მომხმარებელთან ურთიერთობის ეთიკა ბიზნესში – 95*

სამართალი

გოგიძე უტა - *სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ანალიზი – 99*

თენაძე ვერიკო, ფინდიშვილი ვიკა - *ფიზიკური პირის სამართლებრივი იდენტიფიკაციის საშუალებები – 102*

კობახიძე ლაშა - *ნარკომანია, როგორც გახანგრძლივებული თვითმკვლელობა და მისი თანმდევი პრობლემები – 110*

კოჩუაშვილი ანი, აკოფაშვილი მარიამ - *საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა (კონსტიტუციური შეთანხმება) – 115*

მასურაშვილი მარინა, გაგნიძე ლიკა - *სახელმწიფო მმართველობის ფორმები – 118*

მასურაშვილი მარინა, გაგნიძე ლიკა - *ევთანაზია - მკვლელობა თუ არჩევანის უფლება? – 121*

მეგრელიშვილი ნათია, უთნელიშვილი ეთერ - *ფიზიკური პირის უნარი – 125*

ტოროშელიძე დავით, რაზმაძე მედეა - *ოჯახში ძალადობა (ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ასპექტები) – 129*

ღვინიაშვილი გულნაზი - *დისკრიმინაცია – 133*

ხაბელაშვილი გვანცა - *რელიგიური ტოლერანტობა საქართველოში – 136*

ქართული ენა

კოჩუაშვილი მარიამ - *იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენის გრამატიკის ზოგიერთი საკითხი – 138*

ოქრუაშვილი ნათია - *ადამიანის მოქმედება–მდგომარეობის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები ქართლურში – 141*

ტვინიკაძე მანანა - *ახალწარმოქმნილი ბარბარიზმები და კალკები მედიის ენაში – 146*

ცერაძე ლიკა - *სოფელ ფხვენისის ანთროპონიმები (მეტსახელები) – 150*

ქართული ლიტერატურა

ეცადაშვილი ნანული, მეზვრიშვილი ციური, ტოტიკაშვილი მარი - *ქალი მიხეილ ჯავახიშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის რამდენიმე ნაწარმოებში – 153*

როსტომაშვილი მარიამ - *„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის პოლემიკისათვის – 155*

საზანდრიშვილი ნათელა - *ნოე ჟორდანია და ქაქუცა ჩოლოყაშვილი - როსტომ ჩხეიძის პოსტმოდერნისტული რომანის პერსონაჟები – 158*

ქარელი ჟანა - *შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ მე-20 საუკუნის ქართველ მწერალთა მეცნიერულ-კრიტიკულ და პოლემიკურ წერილებში – 161*

უცხო ენა და ლიტერატურა

ალავერდაშვილი ანა - *სტილისტიკური ხერხების თავისებურებები ბეჭდურ მედიაში – 163*

ხადური მარიამ, კუმლაძე თამარ - *დღისა და ღამის სიმბოლურ-მეტაფორული მნიშვნელობა პოემა „ბეოვულფის“ მიხედვით – 165*

ისტორია

ბერუაშვილი მარიამ - *დავით ულუს და დავით ნარინის ორმეფობა და ურთიერთობა მონღოლებთან – 168*

დოლიაშვილი სოფიკო - *1832 წლის შეთქმულების ისტორიის ასახვა ქართულ ემიგრაციაში – 173*

ლალიშვილი ნინო - *სოფელ ფხვენისის ისტორიიდან – 178*

სადღობელაშვილი ნანა - *ზნაურის ისტორიიდან – 185*

ქებაძე მარიამ - *მასალები მაია წყნეთელის შესახებ – 191*

ქოქაშვილი თამარ, ლომსაძე ანა - *1812 წლის კახეთის აჯანყება და ალექსანდრე ბატონიშვილი – 193*

შავლოხაშვილი თეონა - *მძოვრეთის ნაქალაქარზე არსებული ისტორიული ძეგლები – 197*

განათლება

წერითი მეტყველების განვითარებაზე მუშაობა კლასში

მარიამ გოგიჩაშვილი, ანი ეცადაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მზია ზანგალაძე,** პროფესორი

დიდია წერითი მეტყველების კულტურის მნიშვნელობა. ნაწერი არა მარტო წერის ტექნიკის ჩვევათა ხარისხზე მიგვითითებს, არამედ დამწერის ზოგად განათლებაზე, მისი საერთო კულტურის დონეზე. ამიტომ ნაწერის მიხედვით ხშირად მსჯელობენ დამწერის აზროვნების კულტურის დონეზე. ადამიანი ზეპირმეტყველებისას უშუალოდ მოქმედებს მსმენელზე, ამყარებს მასთან საჭირო კონტაქტს, იწვევს მასში სათანადო ემოციებს. ყოველივე ამის მაგივრობა მკითხველზე ნაწერმა უნდა გასწიოს, ამიტომ საჭიროა იგი ზუსტად და მართებულად გამოხატავდეს აზრს, ე.ი. ნაწერში გადმოსაცემი შინაარსი სრულად, ზუსტად იყოს გადმოცემული და გამართული გრამატიკულად და სტილისტურად.

ჩვეულებრივ, წერითი მეტყველება უფრო ძნელი დასაუფლებელია, ვიდრე ზეპირი. შეიძლება ზეპირი გზით მასალა კარგად ჰქონდეს მომზადებული, მაგრამ მისი გადმოცემა უშეცდომოდ მაინც ვერ შეძლოს მოსწავლემ. წერითი მეტყველებისას უფრო მეტს ფიქრობს ადამიანი დასაწერი მასალის შინაარსობრივ, ლოგიკურ, სტილისტურ, გრამატიკულ მხარეებზე, უფრო გულდასმით არჩევს სიტყვებსა და ფრაზებს, უფრო კრიტიკულად ეკიდება საკუთარ აზრებს; ამავე დროს წერის პროცესი უფრო ნელი ტემპით ხასიათდება.

სათქმელის სიზუსტე დამოკიდებულია იმ ელემენტარულ ნიუანსზე, რომელსაც თითოეული სიტყვა შეიცავს და გვაძლევს საფიქრალს, თუ როდის რომელი უნდა ვიხმაროთ. მაგალითად სულხან-საბა ერთი და იმავე სიტყვის რამდენიმე ვარიანტს გვთავაზობს, რომლებიც ერთმანეთისაგან მნიშვნელობით განსხვავდებიან. მაგ. "ქვა". ამ სიტყვის ბუდეში სულხან-საბამ მოათავსა: სილა, ქვიშა, კენჭი, ღორღი, ჭოჭყი, რიყე, ლოდი, ბალავარი და სხვა. წინადადებაში "გიორგიმ ნინოს **ქვა** ესროლა", **ქვა** სიტყვის ადგილას ნებისმიერი ზემონათქვამი სიტყვის ჩასმა იქნება შეცდომა.

მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურის განვითარება პარალელურად მიმდინარეობს როგორც ენის, ისე ლიტერატურის გაკვეთილებზე. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია ერთმანეთისგან იზოლირებულად განვიხილოთ წერითი ნაშრომების გასწორება და შეფასება ენასა და ლიტერატურაში. ორივე ამ საგანში გათვალისწინებული ყოველგვარი სახის წერითი მუშაობა ემსახურება ერთ ძირითად მიზანს - მოსწავლეთა წერითი მეტყველების განვითარებას, წიგნიერების დონის ამაღლებას, რომელიც უკავშირდება რამდენიმე ფილოლოგიურსა და ჰუმანიტარულ საგანს: სალიტერატურო ენის ისტორიას, გრამატიკას, ზოგად სტილისტიკას, ლექსიკოლოგია-ტერმინოლოგიას, ეთიკას, ესთეტიკას და სხვა (4, გვ. 9). ამჟამად ყოველგვარი სახის წერითი ნამუშევარი (თხზულება, შინაარსი) ფასდება ერთი ნიშნით; დადასტურებულია, რომ შეუძლებელია ნაწერის შინაარსობრივი და ფორმობრივი მხარეების ერთმანეთისგან მოწყვეტა. იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომში კარგად არის გადმოცემული შინაარსობრივი მხარე, მაგრამ იგი სუსტია ენობრივად, მას ვერ შევაფასებთ მაღალ ნიშანზე. ასევე მაღალ ნიშანზე არ შეფასდება ნაწერი, სადაც მხოლოდ ენობრივი მხარეა გამართული, მაგრამ გვხვდება შინაარსობრივი შეცდომები.

ისეთი ენობრივი სავარჯიშოები, როგორიცაა გრამატიკული გარჩევა, გადაწერა, კარნახი, კითხვებზე პასუხის გაცემა და თავისუფალი სახის წერითი სამუშაოები, ავითარებს წერით მეტყველებას. თავისუფალი სახის წერითი სავარჯიშოების მიზანია, ხელი შეუწყოს ორთოგრაფიულ ჩვევათა ავტომატიზაციას. ხშირად მოსწავლე სწორად ამბობს ორთოგრაფიულ წესს, მაგალითებსაც მართებულად ასრულებს, გადაწერისა და კარნახის დროსაც, როცა ყურადღების ცენტრში დგას შესასწავლი ორთოგრამა, ნაკლებად უშვებს შეცდომებს, მაგრამ თავისუფალი სახის წერით სავარჯიშოებში (შინაარსის გადმოცემა, თხზულება), როცა მოსწავლეს ფიქრი უხდება ნაწერის შინაარსობლივ და არა ფორმობლივ მხარეზე, იგი არასწორად წერს უკვე შესწავლილ ორთოგრამას. სწორედ ამიტომ ორთოგრაფიის სწავლებისას გადაწერასა და კარნახთან ერთად ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი სახის სავარჯიშოები (შინაარსის გადმოცემა, თხზულება), როდესაც მოსწავლეს

ერთდროულად მოუწევს რამდენიმე ამოცანის გადაჭრა და შესწავლილ ორთოგრამას გამოიყენებს სურათის აღწერის, შინაარსის გადმოცემის ან თხზულების შედგენის დროს. (2. გვ. 53).

კითხვებზე პასუხის გაცემა, როგორც წერითი მუშაობის ერთერთი სახე, შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ საკლასო ვარჯიშობის დროს, ზოგჯერ კი საშინაო დავალების სახითაც. კითხვები შეიძლება შეირჩეს ერთი რომელიმე თემის, ქვეთემის ან რამდენიმე თემის სხვადასხვა მონაკვეთიდან. წერითი მუშაობის ეს სახე შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლეთა მიმდინარე ცოდნის შემოწმებისთვის. ზეპირ გამოკითხვასთან შედარებით მას ის უპირატესობა აქვს, რომ ამ დროს შეგვიძლია შევამოწმოთ მთელი კლასის ცოდნა, მცირდება გამოკითხვის დროც.

ამ დროს საჭიროა გვახსოვდეს შემდეგი:

- კითხვები უნდა შეირჩეს თანმიმდევრულად;
- მოსალოდნელი პასუხები უნდა ამოწურავდეს თემის შინაარსს;
- უნდა ვერიდოთ არაარსებითი საკითხის ირგვლივ მსჯელობას, რათა არ დაიჩრდილოს მთავარი;
- კითხვები უნდა იყოს ნათელი, სადა ენობრივ-სტილისტურად დახვეწილი, მიზნობრივად გამართული;
- კითხვა პასუხის ნაწილს არ უნდა შეიცავდეს;
- დაუშვებელია ისეთი კითხვა, რომელიც მხოლოდ დადასტურებას ან უარყოფას შეიცავს. (3, გვ. 345)

მოსწავლეთა წერითი მეტყველების განვითარებაზე მსჯელობისას უწინარეს ტექსტის ანალიზის პრინციპები იქცევს ყურადღებას, ვინაიდან ტექსტი ენობრივი ფენომენი და წერითი მეტყველების განუყოფელი ნაწილია. მოსწავლე უნდა მივაჩვიოთ წერითი მეტყველებისას სიტყვის აზრობრივ დატვირთვას, რაც კარგად ჩანს ტექსტის მთლიან სისტემაში, ერთიან ენობრივ ქსოვილში. წერითი მეტყველების განვითარებაზე მუშაობისას წარმოჩენილია სიტყვის მოხმარების არე, სათქმელისათვის ოსტატურად მისადაგება, ესთეტიკური ძალა. შემოქმედებითი ტექსტების გაანალიზება გაკვეთილზე საჭიროა, რადგან გაკვეთილზევეა შესაძლებელი სიტყვის მოხმარების მრავალმხრივი საშუალებებისა და ხერხების გაცნობიერება, რომელთა მეშვეობითაც სიტყვა იღებს აზრობრივ დატვირთვას. წერითი მეტყველების განვითარება-დახვეწის კარდინალური საკითხია ტექსტის ტიპოლოგიის განსაზღვრა, რაც მოიცავს მეტყველების ტიპებს, მეტყველების სახეებს, ლინგვისტურსა და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს.

მოსწავლეთა წერითი მეტყველების განვითარებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული ფუნქციური სტილის სპეციფიკური ნიშნების გამოვლენა-გაანალიზების პრინციპზე, რაც გულისხმობს არა მხოლოდ სიტყვას, ან სიტყვათა შეხამებას, არამედ - ტექსტს, როგორც შინაარსის შემცველს. (1, გვ. 69).

წერითი მეტყველების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა შემოქმედებითი ხასიათის თხზულების წერა და მისი ანალიზი შემდეგი პუნქტების მიხედვით:

1. თემაში არის თუ არა სათქმელი წინა პლანზე წამოწეული;
2. როგორაა განვლილი ენობრივი თუ ლიტერატურული მასალა გამოყენებული;
3. ენობრივი მასალის ცოდნა რამდენად ემსახურება აზრის ზუსტად გამოხატვას;
4. "სათქმელი" არის თუ არა ხატოვნად გადმოცემული;
5. როგორია" სათქმელი" თანამიმდევრობისა და ლოგიკურობის თვალსაზრისით.

წერითი თხზულება კარგი სტილითაა დაწერილი თუ ცუდით, ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორაა ორგანიზებული თხზულებაზე მუშაობა კლასში. მთავარი ყურადღება ექცევა იმას, თუ რა სტილითაა თხზულება დაწერილი. უწინარესად თვალში საცემია, დაცულია თუ არა ენობრივი ნორმა. თხზულების ენობრივი მხარე გულისხმობს ენობრივი საშუალებების სწორად და მოტივირებულად გამოყენებას და განსაზღვრავს მეტყველების კულტურას.

რატომ ვერ წერენ მოსწავლეები თხზულებას უშეცდომოდ?

1. არ ტარდება სისტემატური მუშაობა შეცდომათა აღმოსაფხვრელად;
2. მოსწავლეებს არ აქვთ თეორიული ცოდნა და პრაქტიკულადაც ვერ იყენებენ;
3. თეორიული მასალა იციან, მაგრამ ეს ცოდნა მექანიკურია და ვერ ახერხებენ ცოდნის გადატანას ნაწერში;
4. მასწავლებლები არასაკმარისად მუშაობენ, მოსწავლეებიც პასიურნი არიან;
5. არ ხდება შეცდომათა კონტროლი და მათი გასწორება;
6. მასწავლებლები შეცდომათა კლასიფიკაციას არ ითვალისწინებენ კლასების მიხედვით;

"მოსწავლეებთან ფუნქციური სტილის სახეებზე სისტემატური მუშაობით გზას ვუხსნით შემოქმედებითი ხასიათის თემების წერისათვის მუშაობას.

წერითი თხზულების სრულყოფილებას, მაშინ მივაღწევთ, თუ:

ა) მოსწავლეებს გამოვუმუშავებთ ძირითადი აზრის გამოყოფის უნარ-ჩვევას;

ბ) გავუცნობიერებთ ენობრივ ერთეულებს როგორც აზრის ზუსტად გამოხატვის ეტალონს;

გ) ვაგრძნობინებთ ხატოვან თქმათა ესთეტიკურ ძალას;

დ) გავარკვევთ ტექსტის შეკვრის, აზრის შეჯამების ძირითად საშუალებებში" (2, გვ. 69).

კლასში უნდა გამოიკვეთოს აგრეთვე წერითი მეტყველებისას აუცილებლად გასათვალისწინებელი აზრის გადმოცემის თანამიმდევრობისა და ლოგიკურობის პრინციპი, რასაც უშუალოდ ერწყმის წინადადების ნაწილებს შორის აზრობრივი მიმართების საკითხები.

წერით მეტყველებაში განსაკუთრებული როლი აკისრია პუნქტუაციის წესების დაცვას. მის ასათვისებლად მოსწავლეებს ვაწვდით სასვენ ნიშან დასმულ ტექსტს და ვთხოვთ, ახსნან, რატომ არის გამოყენებული ესა თუ ის სასვენი ნიშანი. მხოლოდ ამის შემდეგ ვთხოვთ, თვითონ დასვან სასვენი ნიშნები. მხატვრულ ნაწარმოებთა ნიმუშებისა თუ საკუთარი და თავიანთი მეგობრების ნამუშევრების ანალიზით, მათში სასვენ ნიშანთა გამოყენება-გამოუყენებლობის მტკიცება-დასაბუთებით მოსწავლეთა წერით მეტყველებაში ვამკვიდრებთ პუნქტუაციის წესებს.

მოსწავლეთა წერითი მეტყველებაზე მუშაობისას ყურადსაღებია ფსიქოლოგიური ანალიზის ოთხი ძირითადი საკითხი:

1. როგორ ითვალისწინებს მოსწავლე მკითხველს თავის ნაწერებში;

2. როგორაა ასახული ამ ნაწერებში "სათქმელი" და როგორ ვითარდება მოსწავლის წერილობითი გადმოცემები;

3. როგორაა გაცნობიერებული "თქმა" - სიტყვიერი გაფორმება "სათქმელისა" და როგორ ვითარდება მოსწავლის ნაწერები ამ ხაზით;

4. როგორაა გაცნობიერებული და ასახული თვით ავტორის მიმართება "სათქმელისადმი" და როგორ ვითარდება ამ მხრივ მოსწავლის გადმოცემები.

ამრიგად, წერითი მეტყველებისას ყველა ნორმის ზუსტი გამოყენების გარეშე - ეს იქნება ლოგიკური, გრამატიკული, სტილისტური, ორთოგრაფიული თუ პუნქტუაციური -შეუძლებელია არა თუ გამოსათქმელის ზუსტად გადმოცემა, არამედ წარმოუდგენელია თხზულების მთლიანობა, მათი შიდა სტრუქტურების ერთიანობა, რისთვისაც კლასში საგანგებო მუშაობაა საჭირო.

ლიტერატურა:

1. ბარკალაია შ., წერითი მეტყველების განვითარებაზე მუშაობის სისტემა მეხუთე-მეექვსე კლასებში, (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1998.
2. ზანგალაძე მ., მოსწავლეთა წერითი მეტყველების განვითარება მეშვიდე-მერვე კლასებში (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 2000.
3. მაღლაკელიძე ნ., მიქაძე მ., ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, ქუთაისი, 1997.
4. არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

მეორე ენის ათვისების ძირითადი ასპექტები

ლამარა დოლიაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ნელი ჭამპურიძე**, პროფესორი

„მასწავლებლები ათწლეულების მანძილზე ართულებდნენ იმას, რასაც სინამდვილეში, არც ისე რთულია“. – 2005 წლის კითხვის კონცეფციაზე ამ სიტყვებში კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა ალან კროუფორდმა **მეორე ენის ათვისება** იგულისხმა. ამავე წლის ნოემბერში ის საქართველოს ეწვია და მეორე ენის ათვისების ტრენინგი ჩაატარა კოალიციური პროექტის „სკოლები სამოქალაქო ინტეგრაციისათვის“ ფარგლებში. ტრენინგი სამდღიანი იყო და საბაზო ინტერპერსონალური

კომუნიკაციის უნარების განვითარების მეთოდების გაცნობას ისახავდა მიზნად. ალან კროუფორდმა ჩაატარა მეორე ენის ათვისების ტრენინგ–კურსის პირველი ნაწილი, რომელიც მოსმენისა და მეტყველების განვითარებას მიეძღვნა. ტრენინგზე ათვისებული მეთოდიკა წარმატებით ინერგება მარნეულის რაიონის რამდენიმე არაქართულენოვან სკოლაში. 2008 წლის ივნისში ალან კროუფორდმა ქართველ სპეციალისტებს მეორე ენის წიგნების კონცეპტუალური საფუძვლები და კითხვის სწავლების ახალი მეთოდები გაუზიარა. სანამ კონკრეტულ მეთოდოლოგიას შევეხებით, სასურველია მიმოვიხილოთ მეორე ენის ათვისების, როგორც შედარებით ახალი დარგის ძირითადი ასპექტები.

უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სამეცნიერო წრეებში „უცხო ენის სწავლების“ ნაცვლად სულ უფრო ვრცელდება „მეორე ენის ათვისება (second language Acquisition)", რასაც რამდენიმე ობიექტური მიზეზი აქვს. რამდენად სიღრმისეულია განსხვავება ამ ორ კონცეპტს შორის? რამ განაპირობა მეორე ენის ათვისების დამოუკიდებელ კონცეპტად ჩამოყალიბება?

მეორე ენის ათვისება (მეა) არის ინდივიდის ან ჯგუფის მიერ ისეთი ენის დაუფლების პროცესი, რომელიც განსხვავდება ადრეულ ბავშვობაში შესწავლილი მშობლიური (ან პირველი) ენისაგან. მეორე ენას ზოგჯერ **სამიზნე ენასაც** უწოდებენ.

მეორე ენის ათვისება შეიძლება სამი სახით მიმდინარეობდეს:

1. არაფორმალური ათვისება ბუნებრივ კონტექსტში;
2. ფორმალური სწავლება – სწავლა საკლასო ოთახში;
3. შერწყმული ვითარება – ათვისება როგორც ბუნებრივ, ისე საკლასო გარემოში.

იმისათვის, რომ მეორე ენის ათვისება უკეთ გავიაზროთ, საჭიროა გავიგოთ:

- კონკრეტულად რას სწავლობს ადამიანი მეორე ენის ათვისების დროს? (ლინგვისტური ასპექტი);
- რა პროცესებს გაივლის ადამიანი მეორე ენის ათვისების დროს? (ფსიქოლოგიური ასპექტი);
- რა განაპირობებს იმას, რომ მეორე ენის ათვისების დროს ზოგიერთი მეტად წარმატებულია, ზოგიერთი კი – ნაკლებად? (სოციალური ასპექტი).

ამ შეკითხვებზე ცალსახა პასუხი არ არსებობს და მეცნიერული დავის საგანს წარმოადგენს. თვით მეორე ენის ათვისება კვლევის ახალი დარგია და უამრავ სხვა მეცნიერებასთან არის გადაჯაჭვული. თუმცა, დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ **მეა** ლინგვისტიკისა და ფსიქოლოგიის გზაჯვარედინზე დაიბადა და მრავალ კონკრეტულ საკითხზე აქტიურ კვლევს დაუდო სათავე .

თუკი „უცხო ენასა“ და „მეორე ენას“ შორის განსხვავება ნაკლებად მკაფიოა და ხშირად საკამათო, „სწავლასა“ და „ათვისებას“ შორის განსხვავება გაცილებით უფრო სიღრმისეულია. ამ ორ კონცეპტს შორის განსხვავების მნიშვნელობას მე–20 საუკუნის მეორე ნახევარში ფსიქოლინგვისტიკაში ჩატარებულმა კვლევამ გაუსვა ხაზი, კერძოდ კი – ბავშვის მიერ მშობლიური ენის ათვისების შესახებ. პირველ ყოვლისა ის, რომ მშობლიური ენის ათვისება მიმდინარეობს არა იმიტაციისა და წახალისების (ბიჰევიორისტული პარადიგმა), არამედ ცდისა და კონსტრუირების (სოციალურ–კონსტრუქტივისტული პარადიგმა) გზით [3]. აღმოჩნდა, რომ მოცემული ენის ფარგლებში, ყველა ბავშვი, დაბადებიდან ხუთ წლამდე ასაკში ზუსტი თანმიმდევრობით აკონსტრუირებს ენობრივ წესებს ისე, რომ 5–6 წლის ასაკში (როცა ბავშვი ჯერ კიდევ ვერ ამჟღავნებს მარტივი ქმედების შესრულების უნარებსაც კი) მშობლიური ენის გრამატიკის დაახლოებით 97%–ს უშეცდომოდ იყენებს. რა განაპირობებს ამ არაჩვეულებრივ წარმატებას? ძირითადად, სამი რამ:

1. მშობლები და ოჯახის სხვა წევრები, როგორც წესი, ბავშვებს არ უსწორებენ უზუსტოდ გამოთქმულ ფრაზებს (ამის გაკეთებას აზრიც არ ექნებოდა);
2. მშობლიური ენის დაუფლება ბუნებრივ, არაფორმალიზებულ გარემოში მიმდინარეობს;
3. ენობრივი შინაარსი, რომელიც ბავშვს მიემართება, როგორც წესი, გარკვეული ფუნქციის და მნიშვნელობის მატარებელია.

საზოგადოდ, ადრეულ ბავშვობაში მიმდინარე ენის ათვისება იმ მთავარი მახასიათებლით გამოირჩევა, რომელსაც „ავთენტურობას“ ვუწოდებთ.

მეორე ენის ათვისება იოლად და ნაყოფიერად მიმდინარეობს, როცა სასწავლო პროცესის წარმართვას საფუძვლად უდევს:

- კომუნიკაციურ-ინტერაქტიული მიდგომა;
- ენის, როგორც მთლიანობის ფილოსოფიური ხედვა;
- კონსტრუქტივისტული პედაგოგიკური პარადიგმა.

ქართული ენის ათვისების (Georgian Language Acquisition) გასაუმჯობესებლად გამოიყენება მეორე ენის სწავლების ***კომუნიკაციურ–ინტერაქტიული მიდგომა.*** იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება უცხო ენის სწავლების ტრადიციული, გრამატიკულ–მთარგმნელობითი და აუდიოლინგვური მიდგომებისაგან; კერძოდ, თუ ადრე ენის ***შესწავლას*** მკაცრად ფორმალიზებული კურიკულუმით, პირდაპირი

ინსტრუქტაჟით და სტანდარტული ტექსტებით უძღვებოდნენ, კომუნიკაციური მიდგომით სწავლების დროს აქცენტი ენის თავისუფალი, ბუნებრივი, ქვეცნობიერი ***ათვისების*** პროცესზე გადადის. კომუნიკაციური მეთოდის აპრობირებულ სტრატეგიებს შორის მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა სრული ფიზიკური რეაქცია (Total Physical Response), ბუნებრივი მიდგომა (Natural Approach), „მეურვეობითი სწავლება" (Sheletered Instruction) და ენობრივი პრაქტიკა (Language Experience Approach).

კონსტრუქტივისტული პედაგოგიკური პარადიგმა

მეორე ენის სწავლება და ათვისება ისეთ თეორიულ პრინციპებს ეფუძნება, რომლებიც კონსტრუქტივისტულ სასწავლო პარადიგმაში ერთიანდება. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე ენის მასწავლებლები იშვიათად მისდევენ ამგვარ მეთოდოლოგიას. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ კიდევ ერთხელ განვიხილოთ წინააღმდეგობა კონსტრუქტივისტულ სწავლებასა და ტრადიციულ მიდგომებს შორის.

სწავლების კონსტრუქტივისტული მიმართულება ფოკუსირებულია აზრის კონსტრუირებაზე, რაც უკვე არსებული ცოდნის ახალ იდეებთან შერწყმით ხორციელდება. ეს მიდგომა ენის ამთვისებელზეა (მოსწავლეზე) კონცენტრირებული, რაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს განსხვავებული მონაცემებისა და პრაქტიკის მქონე მოსწავლეებთან სამუშაოდ. კონსტრუქტივისტული მიმართულების ფარგლებში, ენის ათვისება შინაარსობრივ კონტექსტში იძენს ფუნქციასა და არა სისტემატური, ხელოვნური და ფრაგმენტული სავარჯიშოებით სწავლებისას. პირდაპირ სწავლების მოდელები კი – სასწავლო კურსის ელემენტებად დაშლაზე ანუ ფრაგმენტაციაზეა ფოკუსირებული. ცალკეული უნარ–ჩვევები და კონცეპტები სწორხაზოვანი პარადიგმებით ისწავლება. სწავლების ტრადიციული მიდგომა მასწავლებელზეა კონცენტრირებული. კონსტრუქტივისტული პედაგოგიკის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია ვიგოდსკისეული „განვითარების უახლოესი ზონა" **(გუზ).** ეს არის დაშორება ***განვითარების*** არსებულ დონესა და პოტონციურ დონეს შორის. პირველი მათგანი განისაზღვრება პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრისათვის საჭირო უნარებით, ხოლო მეორე – იმგვარი პრობლემის გადაჭრის უნარებით, რომლებიც ენის უკეთ მცოდნეებთან ინტერაქციით ან მასწავლებლის დახმარებით არის შესაძლებელი. ეს ძირითადი კონცეპტი **(გუზ)** ხაზს უსვამს სწავლება-სწავლის სოციალურ განზომილებას, რომელშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, მასწავლებლის, მეორე მხრივ კი – ჯგუფის წევრთა როლი – მათი ცოდნა, უნარები და ცხოვრებისეული გამოცდილება.

მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია ე.წ. **„სკაფოლდინგი" (scaffolding),** რომელიც გულისხმობს მასწავლებლის მხრიდან გაწეულ მიზნობრივ, დროებით დახმარებას ენის იმ შემსწავლელებისათვის, რომლებიც განვითარების უახლოესი ზონის ფარგლებში დასმულ ამოცანას ასრულებენ. ბრუნერმა (1978) „სკაფოლდინგი" აღწერა, როგორც ენობრივი განვითარების უფრო მაღალ დონეებამდე მისაღწევად შექმნილი ხელშეწყობისა და სტიმულირების დონეებით, ბიძგის მიმცემი პლატფორმა. პირსონმა (1985) „სკაფოლდინგის" დროებითი ხასიათი განმარტა, როგორც მასწავლებლის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის თანდათანობითი მოხსნა. ამისათვის კარგი პედაგოგები ინტუიტურად იყენებენ ისეთ სტრატეგიებს, როგორიცაა კითხვის დასმა, შეხსენება, ილუსტრირება და სხვა ვიზუალური რესურსები, თვალსაჩინოებების ჩვენება, სიტუაციების დადგმა–გათამაშება, ჟესტიკულაციები, აზრის გაგების კონტროლი, გრაფიკული სქემები და პერიფრაზირება. ეს სტრატეგიები საშუალებას აძლევს მოსწავლეს, უწყვეტად და აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო აქტივობებში.

ლიტერატურა:

1. კრავეიშვილი მ., უცხოური ენის სწავლების მეთოდიკა. თბ., 2002.
2. ფოცხვერაშვილი ნ., „Learning to read newspapers and journals", თბ., 2004.
3. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2009–2010 წელი.
4. შესავალი კრიტიკულ აზროვნებაში, თბ., 2006.
5. განვითარებისა და სწავლების თეორიები, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2006.
6. სწავლება და შეფასება, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2006
7. სასწავლო და პროფესიული გარემო, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2008.
8. კითხვისა და წერის მეთოდები, თბ., 2007.
9. პაპავა პ., სკოლების განახლება საქართველოში, გზამკვლევი სკოლის განვითარებისათვის, თბ., 2005.

ბავშვთა მიმართ ოჯახური ძალადობის შედეგები და მისი გავლენა მათი ფორმირების პროცესში

ლუიზა მიდელაშვილი, მეგი გოგიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ციური ბაქრაძე,** ასოცირებული პროფესორი

ბავშვზე ძალადობა აქტუალური თემაა. ძალადობაა ყოველგვარი ქმედება ან სიტყვა, რომელსაც შეუძლია ადამიანი შეურაცხყოს ან შეულახოს კანონით მინიჭებული უფლებები. განსაკუთრებით ხშირია ოჯახში ძალადობის შემთხვევები, როდესაც მოძალადედ თვით ბავშვის მშობლები და ახლო ნათესავები გვევლინებიან, თუმცა ისინი ვერ ხვდებიან, რომ ძალადობენ საკუთარ შვილზე.

ვინ შეიძლება იყოს მოძალადე? ბავშვები ძალადობას განიცდიან სხვადასხვა ადამიანებისგან, ხშირად კი მოძალადე მშობელია, მცდარია წარმოდგენა იმის შესახებ, რომ თითქოს მოძალადე ადამიანები არანორმალურნი არიან. ხშირად ისინი გარეშეებთან ურთიერთობაში სასიამოვნონი არიან და სხვათაგან არაფრით გამოირჩევიან. მათ ერთი სერიოზული პრობლემა აერთიანებთ - საკუთარი რისხვის კონტროლის უუნარობა. მათ შორის მაღალია ალკოჰოლიზმით და ნარკომანიით დაავადებულთა რიცხვი.

ვინ შეიძლება გახდეს ძალადობის მსხვერპლი? ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბავშვი, მაგრამ არსებობს ბავშვების კატეგორია, რომლებიც სასტიკი მოპყრობის რისკ-ჯგუფებს შეადგენენ. გამოკვლევების თანახმად, რისკის ჯგუფში შედიან ბავშვები, რომელთა დედებიც სისტემატურად განიცდიან ძალადობას.

ძალადობის სახეებია: ფიზიკური, მენტალური, სექსუალური. ფიზიკური ძალადობა გულისხმობს დარტყმას, ხელის კვრას, ტრავმის მიყენების მცდელობას, გარდა ამისა ფიზიკურ ძალადობად ითვლება თავდასხმა ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღით. მენტალური ძალადობა არის არაფიზიკური, სიტყვიერი, რომელიც ზიანს აყენებს ბავშვის ემოციურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას. სექსუალური ძალადობა გულისხმობს გაუპატიურებას, სისხლის აღრევას.

ბავშვთა მიმართ ძალადობის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს პიროვნული, სოციალური და კულტურული ფაქტორების ერთობლიობა. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა 4 ძირითადი კატეგორია: ძალადობრივი ქცევის გადაცემა თაობიდან თაობაზე; სოციალური მდგომარეობით გამოწვეული სტრესი; სოციალური იზოლაცია; ოჯახის სტრუქტურა.

ძალადობის გამომწვევი მიზეზები:

1) დაბალი კულტურა და განათლება;
2) მშობელთა მენტალური პრობლემები;
3) დაბალი ეკონომიკური შემოსავალი, სიღარიბე;
4) მშობელთა ფსიქიკური დაავადებები;
5) ხშირი ოჯახური კონფლიქტი;
6) ჩაკეტილი ცხოვრების წესი.

ბავშვთა მიმართ ძალადობის შედეგები. ბავშვთა მიმართ ძალადობას და უგულებელყოფას აქვს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი შედეგები, რომელიც მთლიანად ამახინჯებს ბავშვის ცხოვრებას, მის პიროვნებას. უარესდება ბავშვის ჯანმრთელობა, ბავშვი ვერ აღწევს წარმატებას განათლებასა და პირად ცხოვრებაში, მას უჩნდება სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემები, ვერ ეგუება მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ ცვლილებებს, საფრთხე ექმნება ბავშვის შემდგომ ეკონომიკურ კეთილდღეობას. ადრეულ ასაკში ბავშვზე ძალადობა თავის ტვინის სტრუქტურის შეცვლას იწვევს და მთელ მის ცხოვრებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. სხვადასხვა კვლევებიდან გამომდინარე ზრდასრული კრიმინალების 70% ბავშობაში ძალადობა გადატანილია. ძალადობის შედეგები აისახება არა მარტო პიროვნულ, არამედ სახელმწიფო დონეზეც, ვინაიდან მსხვერპლთა პრობლემების მოგვარება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებთან, იგულისხმება: სამედიცინო დახმარება მწვავე შემთხვევებში, სამედიცინო და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა და საზოგადოება შეაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ახალგაზრდები, რომელთა შორის არასრულწლოვანთა რიცხვი მაღალია, ქმნიან დაჯგუფებებს - სექტებს და იკრიბებიან უცნაურ, მიტოვებულ ადგილებში. მათ არა აქვთ სახლში მისვლის სურვილი.... სწორედ ოჯახური პირობები, მშობლების დამოკიდებულება უბიძგებს მათ შექმნან საკუთარი სამყარო, რომელიც კიდევ უფრო თრგუნავს მათ, თუმცა შესაძლებელია სრულიად ჯანსაღი ოჯახური გარემოს მქონე ბავშვებიც იყვნენ ჩართულნი, სამეგობრო წრის ზემოქმედებით. სოციალური მომსახურების სააგენტოს კვლევების მიხედვით ვხედავთ რომ სხვადასხვა ფორმის ძალადობის ფაქტები ყოველწლიურად

იზრდება. სოფელსა თუ ქალაქში უამრავი ბავშვი ხდება ძალადობის მსხვერპლი. ძალადობის უპირველესი კერა ოჯახია. ბავშვის აღზრდის პროცესში, ფიზიკურ დასჯას მშობელთა 45% დასაშვებად მიიჩნევს, ყოველი მეორე მიიჩნევს, რომ აღზრდის მკაცრი მეთოდი ბევრად ეფექტურია. ბავშვთა აღზრდის დროს მშობელთა უმრავლესობა ორიენტირებულია პროცესზე და არა შედეგზე. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ძალადობის მსხვერპლი მომავალში თვითონ ხდება მოძალადე. კვლევების თანახმად საქართველოში ძალადობა განცდილი აქვს ბავშვების 80%, რომლის საფუძველზეც მთავრობის მიერ გამოიცა ბრძანება ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობისა და რეფერირების შესახებ'', რომელიც მიზნად ისახავს სათანადო მექანიზმების შექმნას ბავშვთა ძალადობის შემთხვევაში, თუმცა, ამის მიუხედავად, ვხედავთ, რომ ძალადობის სტატისტიკა იზრდება.

ღონისძიებები. ფაქტები, რომლებიც ბავშვთა ძალადობას ეხება, რეაგირების გარეშე არ რჩება, თუმცა უმეტეს შემთხვევაში, საზოგადოების და ხელისუფლების რეაგირება საკმარისი არ არის. 19 ნოემბერი ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის საერთაშორისო დღეა, ხოლო 1 ივნისი ბავშვთა დაცვის დღე. იგი აღინიშნება ყველა ქვეყანაში. ტარდება გასართობი, სპორტული, კულტურული ღონისძიებები, ეს დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი მზრუნველობა მოკლებული ბავშვებისთვისაა.

მსოფლიოში მრავალი ორგანიზაციაა შექმნილი ბავშვთა უფლებების დასაცავად, მათ შორისაა: გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზაცია, რომელიც იცავს ბავშვთა უფლებებს, ასევე ცდილობს დააკმაყოფილოს მათი ძირითადი საჭიროებები. იგი 1946 წელს დაარსდა და ხელმძღვანელობს ბავშვის უფლებათა კონვეციით... ბავშვებისთვის, რომლებიც არიან ძალადობის მსხვერპლნი, ცხოვრობენ სიღატაკეში UNICEF-ი ახორციელებს პროექტებს, რომლითაც შესაძლებელი ხდება, სწორედ ასეთი ბავშვებისთვის განათლების მიღება, საზოგადოებაში ინტეგრირება. იგი ცდილობს უკეთესი მომავლის იმედი ჩაუსახოს ბავშვებს. UNICEF-ი აქტიურად მოღვაწეობს საქართველოში, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეს ბავშვების მიმართ. UNICEF-ს მინიჭებული აქვს ნობელის პრემია მშვიდობის დარგში.

,,დაარღვიე დუმილი! შეაჩერე ძალადობა'' - ამ ლოზუნგით გამოდის დღეს მრავალი ცნობილი ადამიანი, რომლებიც სხვადასხვა ღონისძიებებით, მუსიკალური რგოლებით, რეკლამებით, აპროტესტებენ და გმობენ ძალადობას.

ჩვენი როგორც მოქალაქის მისიაა: შევამციროთ ბავშვთა მიმართ ძალადობა და თითოეული მათგანი საზოგადოების სრულყოფილ წევრად ვაქციოთ; მსხვერპლ ბავშვებს აღმოვუჩინოთ ფსიქოლოგიური დახმარება და, რაც მთავარია, როდესაც ჩვენს ირგვლივ ხორციელდება ნებისმიერი სახის ძალადობა, აუცილებლად უნდა მივმართოთ შესაბამის სტრუქტურებს და შევასრულოთ მოქალაქის ვალი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ სიტყვას აქვს ძალა. ეს არის ბავშვთა დახმარების ხაზი - 116 111, ჩვენ ვგმობთ ძალადობას; არა ძალადობას!

თუმცა ბავშვების აღზრდაში რადიკალურად განსხვავებულ შედეგებს ვხვდებით, როდესაც მშობელი, აღმზრდელი, დემოკრატიული აღზრდის მეთოდებს იყენებს, ანიჭებენ მათ თავისუფლებას, ასეთ შემთხვევაში ბავშვები უფრო გახსნილები და პოზიტიურები არიან.

ჩვენ შეიძლება მოკრძალებული რჩევები მივცეთ მშობლებს:

- თუ მშობლები შვილის მეგობრები იქნებიან, ის კეთილი ადამიანი გაიზრდება;
- ემოციურად ძალიან ბევრს აძლევენ პატარას, ყველაფერ საუკეთესოს აკეთებენ მისთვის;
- მსუბუქები არიან ბავშვთან ურთიერთობაში და მას საზრიანობას უვითარებენ;
- სწრაფად ამყარებენ ბავშვთან ემოციურ კონტაქტს და მის აღზრდას სერიოზულად უდგებიან;
- თუ ბავშვის აღზრდას მეტად სერიოზულად უდგებით, ბავშვს შეიძლება შთაბეჭდილება შეექმნას, რომ მშობელი თავისუფლებას უზღუდავს;
- შეეცადეთ, ბავშვს გაუფართოოთ ინტერესების სფერო, დაეხმარეთ, რომ განუვითარდეს როგორც შემოქმედებითი, ასევე ლოგიკური აზროვნება;
- ბავშვთან სრული ურთიერთგაგება უნდა გქონდეთ;
- მეგობრული მშობლები ბავშვის შინაგან სამყაროზე დადებით გავლენას ახდენენ;
- ისწავლეთ შვილის მოსმენა. ბავშვის მიმართ იყავით მოსიყვარულე და ყურადღებიანი.

გაეროს ბავშვთა ფონდმა მსოფლიოს 29 ქვეყანაში ჩაატარა კვლევა, რათა გაერკვია სად ცხოვრობენ ყველაზე ბედნიერი ბავშვები. გაირკვა 5 ქვეყანა, რომლებიც ბავშვებისთვის ნამდვილი სამოთხეა დედამიწაზე:

ჰოლანდიაში კვლევების თანახმად ბავშვების ბედნიერებისთვის ყველაზე მეტად ზრუნავენ. განსაკუთრებით დიდ როლს სახელმწიფო თამაშობს. ბავშვის დაბადების შემდეგ მშობელს შეუძლია 4

წლამდე იყოს ბავშვთან. ამასთან, ბავშვების სურვილებს ყოველთვის ითვალისწინებენ ძალიან პატარა ასაკშიც კი.

ფინეთში ბავშვის ემოციურ განვითარებას დიდი სიფრთხილით უდგებიან, მეშვიდე კლასამდე მოსწავლეები არ აბარებენ გამოცდებს, არ აფასებენ მათ არც ერთი კუთხით, არ ყოფენ კარგ და ცუდ კატეგორიებად. ისინი უბრალოდ უყვართ და უხარიათ მათი წარმატება.

ბელგიაში ბავშვები აბსოლუტურად დამოუკიდებლები არიან. უფროსები დარწმუნებულები არიან, რომ ბავშვებმა უნდა ისწავლონ დამოუკიდებლად ცხოვრება რაც შეიძლება ადრე. ბავშვის ინიციატივებს ბელგიაში ყოველთვის დადებითად ხვდებიან.

ნორვეგია ლიდერია იმ ქვეყნებს შორის, სადაც დედობისთვის და ბავშვის გაზრდისთვის სახელმწიფო საუკეთესო პირობებს ქმნის. ქვეყანაში გამორიცხავენ აღზრდისას ყოველგვარ სიმკაცრეს, არამედ გოგონებს და ბიჭებს არ ყოფენ ერთმანეთისგან. არანაირი აკრძალვა, გენდერული გრადაცია ქვეყანაში არ არსებობს.

შვეიცარიაში მშობლები ბავშვების კეთილდღეობისთვის ბევრს ზრუნავენ, სკოლამდელ ასაკში ბავშვებს უშვებენ სკოლა-პანსიონატებში, რომლებიც უნიკალური მეთოდიკით მუშაობენ. შვეიცარიაში ცდილობენ ბავშვებს ყველა მეცნიერება ნელ-ნელა და სიამოვნებით ასწავლონ, არ არის შეჯიბრი კარგი შეფასებისთვის.

ჩვენი დევიზია:

ბავშვები არ უნდა ცხოვრობდნენ ბავშობის გარეშე.

ლიტერატურა:

1) შოთა მალაზონია, ,,პედაგოგიკა'', თბილისი, 2001.
2) გულნაზი ხუხუა, ,,პედაგოგიკა'', თბილისი, 2009.
3) მამია ყოლბაია, ,,ძნელად აღსაზრდელი ბავშვები'', გამომცემლობა „განათლება“, 1985.
4) http://www.mshoblebi.ge/kaleidoskopi/5998-rogori-mshoblebi-kharth-da-rogori-bavshvoba-aqvsthqvens-shvils-astrockhrilis-shedegebi.html
5) http://fortuna.ge/5-qveyana-sadac-msoflioshi-yvelaze-bednieri-bavshvebi-ckhovroben/
6) http://www.ambioni.ge/zaladoba-bavsvebze
7) http://www.radiotavisupleba.ge/content/bavshvebze-dzaladobis-statistika/27022681.html
8) http://rcs.ge/?p=783

სტილისტიკის ზოგიერთ საკითხზე მუშაობა ენის გაკვეთილზე

მარიამ როსტომაშვილი, ჟანა ქარელი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მზია ზანგალაძე,** პროფესორი

სტილი ბერძნულიდან მომდინარე სიტყვაა. თავდაპირველად იგი აღნიშნავდა წვეტიან ჯოხს, რომლითაც წერდნენ გასანთლულ ფირფიტაზე, საჭიროების შემთხვევაში კი მეორე, ბლაგვი ბოლოთი შლიდნენ ნაწერს (3, გვ. 3). დროთა განმავლობაში ,,სტილი'' სავსებით იცვლის მნიშვნელობას, მაგრამ ამ სიტყვასთან რაღაც განსაკუთრებული გამოხატვა მაინც არის დაკავშირებული.

მეტყველების სტილი ენობრივი საშუალებების ის ერთობლიობაა, რომელიც სხვათაგან განსხვავებული გამოხატვის სისტემას ქმნის. მაგ., აუდიტორიაში რომ 19 ადამიანი იყოს და მათ დავავალოთ ერთ თემაზე ზეპირი ან წერილობითი თხზულების შედგენა, მივიღებთ 19 განსხვავებული სტილის ნიმუშს. მათში უმთავრესად ენის ჩვეულებრივი საშუალებების გამოყენება მიიქცევს ყურადღებას, სადაც ზოგი მარტივი წინადადებებით მეტყველებს, ზოგი რთულით, ზოგი შემასმენელს წინადადების თავში ხმარობს, ზოგი ბოლოში, ზოგს არქაიზმებით მეტყველება მოსწონს, ზოგს ნეოლოგიზმებით და ა.შ. სტილისტიკა სწავლობს ლექსიკური მარაგიდან და გრამატიკული ფორმებიდან

ამა თუ იმ საჭიროებისთვის უფრო შესაფერისი მასალის შერჩევის საშუალებასა და გამოყენების ხერხებს. პირობითად განასხვავებენ სადა, ანუ პროზაული (სასაუბრო, მეცნიერული) მეტყველებისა და მხატვრული (პოეტური) მეტყველების სტილს.

სკოლაში ისწავლება როგორც მხატვრული მეტყველების სტილის ნიმუშები, ასევე არა მხატვრული; მხატვრული მეტყველების სტილი სპეციფიკურია და და განსხვავებული ფუნქციური სტილის სხვა სახეობათაგან (პუბლიცისტური, მეცნიერული და სხვა სახის სტილისაგან), თუმცა მოიცავს კიდეც მათ (2, გვ. 45).

სკოლაში მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ პრაქტიკული სტილისტიკა, რომელიც მოიცავს სუბიექტურსა და ობიექტურ სტილს. მასზე მუშაობის ძირითად ფორმებად შეიძლება ჩაითვალოს:

ა. სემინარის მომზადება;

ბ. მოსწავლეთა ნამუშევრების გრამატიკულ-სტილური გასწორება (რედაქტირება) მოსწავლეთა მიერ;

გ. მასწავლებლის მიერ შერჩეული მხატვრული ნაწარმოების სტილური ანალიზი;

დ. ლექციის ჩატარება და სხვა.

საინტერესოა ფრაზეოლოგიისა და სტილისტიკის ურთიერთმიმართებაც. ყველაზე მართებული იქნება, თუ ფრაზეოლოგიზმებს ჩავთვლით სტილისტიკურ საშუალებებად, ე.ი. ტროპის ერთ-ერთ სახედ. ამ თვალსაზრისით ფრაზეოლოგიზმები სტილისტიკის კურსში მოხვდება.

სტილისტიკასთან ყველაზე ახლოს დგას ლექსიკოლოგია. ზოგჯერ მათ შორის გამყოფი ხაზის გავლება ჭირს, თუმცა ორივე მათგანს თავ-თავისი სფერო აქვს. ლექსიკოლოგია ენის ფონდს სწავლობს, მაგრამ არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით, სტილისტიკა კი სიტყვას უფრო სხვა ჭრილში განიხილავს, კერძოდ, ყურადღებას ამახვილებს მის გამომსახველობით საშუალებებზე (2, გვ. 18). სასწავლო პროგრამაში ჯერჯერობით სტილისტიკის სწავლებას არ აქვს მნიშვნელოვანი ადგილი მიჩნეული. იგი უკავშირდება ენისა თუ ლიტერატურის ცალკეული საკითხების სწავლებას. ასე მაგალითად, სახელების სწავლებისას ყურადღება არის გამახვილებული სინონიმურ და ანტონიმურ ფორმებზე, მოცემულია სათანადო სავარჯიშოებიც, ასევე თანდებულებთან დაკავშირებითაც მოცემულია სათანადო სავარჯიშოები. უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი სინტაქსთან დაკავშირებული სტილისტიკის საკითხები, როგორიც არის კავშირების მართებულად ხმარება, სიტყვათა რიგი წინადადებაში და ა.შ.

მოსწავლეები წერითი თუ ზეპირი მეტყველებისას ხშირად უშვებენ სტილისტიკურ შეცდომებს, რაც გამოიხატება თავისი სპეციფიკური ნიშნებით. ხშირად სტილისტიკური შეცდომა ძნელი დასანახია და არც გასასწორებლად არის ადვილი. დავასახელებთ კლასში დაშვებულ სტილისტიკურ შეცდომათა ზოგიერთ ნიმუშს და გავაანალიზებთ. მაგ:

- სიტყვა ფრაზაში არაზუსტი მნიშვნელობით არის გამოყენებული. ''ტარიელი სპეტაკი სიყვარულის მატარებელია'';
- გავრცელებულია არაზუსტი მნიშვნელობით კავშირების გამოყენება, ან კიდევ ნაწილაკების უადგილოდ ხმარება. ,,დარისპანს კაროჟნა სოფელ-სოფელ იმიტომ დაჰყავდა, რომ კარგი სასიძო ეშოვნა"; „ვზივარ ხის ძირას და ვიფიქრე, ნადირი მალე გამოჩნდება";
- დროთა შეუთანხმებლობა, ანუ არ არის დროთა თანამიმდევრობა. ''ვზივარ ხის ძირას და ვიფიქრე, ნადირი მალე გამოჩნდება'';
- სიტყვათა განმეორებანი, რაც ლექსიკური მარაგის სიღარიბეა. „ლუარსაბის სიზარმაცის გამო, მისი ყმებიც გაზარმაცებულნი იყვნენ";
- სიტყვათა რიგის დარღვევა. ქართულში არ გვაქვს სიტყვათა მკაცრად განსაზღვრული წყობა, მაგრამ ნებისმიერი რიგიც დაუშვებელია. მთავარია, აზრი ნათელი იყოს და დაცული იქნეს ენის ნორმები;
- ერთგვარი დაბოლოებანი. ''სამმართველოს უფროსი ბრძანებით შესრულების შემოწმების მიზნით''... აქ ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ხუთჯერ გვხვდება; ან კიდევ თანდებულის გამეორება;
- ჩართული სიტყვებისა და გამოთქმის უაზროდ ხმარება: ''როგორც მოგეხსენებათ'', ''რა თქმა უნდა'', ''როგორც ვთქვით'', ,,ესე იგი'' და სხვა;
- ზერთული სინტაქსური კონსტრუქციებით მეტყველება;
- ნასესხები სიტყვებისა და გამოთქმების ზედმეტი გამოყენება. ,,კლასში ი რ ი ც ხ ე ბ ა 15 მოსწავლე, ს ა ხ ე ზ ე ა - ცხრა;
- ფრაზიორობით, ბრჭყვიალა ფრაზებით ზედმეტი გატაცება (იგი ბუნდოვანს ხდის მოსწავლეების მეტყველებას) (4, გვ. 338).

ამ და მსგავს შეცდომათა გამომწვევი მიზეზი მრავალია. მაგ.:

ა). გადასაცემი შინაარსის სუსტი ცოდნა;

ბ). ლექსიკური მარაგის სიღარიბე;

გ). გრამატიკის არასაფუძვლიანი ცოდნა;

დ). მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების უნარის უქონლობა;

ე). უყურადღებობა სტილისტიკის საკითხებზე მუშაობისას;

ვ). საერთო განათლებისა და წიგნიერების დაბალი დონე.

ენობრივი მასალისადმი გაცნობიერებული დამოკიდებულება განაწყობს მოსწავლეს კვლევა-ძიებისათვის, თვალწინ ეშლება გამომსახველობითი საშუალებების მრავალფეროვნება. ტექსტი ის ენობრივი ქსოვილია, რომელშიც ჩანს მწერლის დამოკიდებულება თითოეული სიტყვისადმი, მისი წვლილი აზრობრივი სამოსლის შესაქმნელად, ხატოვნების გამოსავლენად. ენის შინაგანი შესაძლებლობების აღმოჩენა და გათვისება აყენებს ტექსტის მაქსიმალური ანალიზის საკითხს (2, გვ. 5).

სტილისტიკურ შეცდომათა ხასიათისა და მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზიდან ჩანს, რომ სტილისტიკის სწავლება ქართული ენის სწავლების სისტემაში ყველაზე რთული საკითხია. მოსწავლის მეტყველების სტილზე მუშაობა გულისხმობს პოეტიკური და გრამატიკული სტილისტიკის ელემენტების სწავლებას (5, გვ. 67).

სტილისტიკაში ვარჯიშობის მიზანია შეაჩვიოს მოსწავლე, თავისუფლად გამოიყენოს თავისი ლექსიკური მარაგი და გრამატიკული წესების ცოდნა გამართული ლიტერატურული ენით მეტყველებისათვის.

რაც შეეხება გრამატიკასთან დაკავშირებული სტილისტიკის ელემენტების სწავლებას, ესაა:

1. სიტყვათა რიგის დაცვა წინადადებაში;
2. ვინ და რა კითხვების მიხედვით სიტყვათა დაჯგუფება;
3. მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრება ცალკეული მეტყველების ნაწილთა სწავლებასთან დაკავშირებით;
4. მესამე პირში თხრობა;
5. ნაცვალსახელის გამოყენება არსებითი სახელის მაგიერ და პირუკუ;
6. სიტყვის ხმარება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით;
7. დროთა თანამიმდევრობის დაცვა;
8. სხვათა სიტყვის ნაწილაკების - მეთქი, თქო, ო მართებულად გამოყენება (5, გვ. 174).

სტილის დახვეწის კიდევ ერთი გზაა მოსწავლეთა შეჩვევა და გარკვევა წინადადებათა რეკონსტრუქციაში (ერთი შედგენილობის წინადადების გადაკეთება მეორე შედგენილობით).

გრამატიკულ სტილისტიკაზე მუშაობის პროცესში საჭირო არაა სტილისტიკის, მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხების დიფერენცირებულად ახსნა. მასწავლებელი ახსნის პროცესში ერთდროულად ამახვილებს ყურადღებას ამ საკითხებზე, ვინაიდან მათი გარკვევა, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ამ კონსტრუქციის წინადადების საფუძვლიანი დახასიათებისთვის.

როგორც ზეპირი, ისე წერითი მეტყველების სტილზე მუშაობა ერთდროულად წარმოებს. ღონისძიებები, რომლებიც ტარდება ზეპირმეტყველების სტილის გამოსამუშავებლად წარმოადგენენ წერითი მეტყველების ამაღლების საშუალებებსაც და პირიქით. მოწაფეთა მეტყველების სტილის გასამართავად განუზომელი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის გამართული სტილით მეტყველებას გაკვეთილზე, მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა სათანადო ჩვევის გამოსამუშავებლად წერით სამუშაოებს ენიჭება.

მეტყველების სტილის გამომუშავებას უშუალოდ თუ შუალობით ემსახურება კარგად ორგანიზებული ყველა სახის წერითი სავარჯიშო. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა სახის თხზულებების წერასა და შინაარსის გადმოცემას. მოწაფის მეტყველების სტილის წარმატება ყველაზე უფრო ვლინდება თავისუფალი სახის წერით სავარჯიშოებში, რომლებსაც მოწაფე დამოუკიდებლად ასრულებს. ამასთან ერთად საჭიროა სპეციალური სავარჯიშოების ჩატარება, როგორიცაა:

1. მასწავლებლის მიერ წინასწარ შერჩეულ წინადადებაში გამოტოვებული ადგილების შევსება სათანადო შინაარსის სიტყვით;
2. არაზუსტი მნიშვნელობით ნახმარ სიტყვათა შეცვლა სათანადო სიტყვით;
3. წინადადებაში სიტყვათა მართებულად დალაგება. „თავი ეზოში პატარებს მოუყრიათ";
4. ერთგვარი თანდებულებისა და კავშირების აცილება;
5. ერთი კონსტრუქციის წინადადებით გამოთქმული აზრის შეცვლა მეორეთი (ანუ რთული წინადადების შეცვლა მარტივითა და შერწყმულით, განკერძოებული სიტყვებითა და გამოთქმებით ან პირუკუ; პირდაპირი ნათქვამით გამოთქმული აზრის გადმოცემა ირიბით და პირუკუ).

განსაკუთრებით ეფექტურია მეტყველების სტილის გამოსამუშავებლად რთული წინადადებით გამოთქმული აზრის გადმოცემა მარტივით და მარტივის რთულით. მაგ. რაც ითესება, ის იმკება. (დათესილი იმკება). "ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია (მოყვრის არ მძებნელი თავის მტერია).

ამით არ მთავრდება გრამატიკული სტილისტიკის საკითხებზე მუშაობა სკოლაში. ენის გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას მოსწავლე პრაქტიკულად იყენებს ლიტერატურის გაკვეთილზე.

ამგვარად, სტილისტიკაზე მუშაობას ენის გაკვეთილებზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ენის გამომსახველობითი რესურსების დაუფლებისა და ამა თუ იმ აზრის გადმოსაცემად ფაქიზ ნიუანსთა გამოყენებისათვის, არამედ მეტყველებაში მათი ფუნქციობის მიხედვითაც. (1. გვ. 13). ენობრივი მონაცემების სხვადასხვა თვალსაზრისით შესწავლა, საბოლოო ჯამში, მოსწავლეთა აზროვნებისა და მეტყველების განვითარების საქმეს ემსახურება.

ლიტერატურა:

1. გაბეჩავა რ., ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის საკითხთა სწავლება, თბ., 1982.
2. გაბეჩავა რ., სტილისტიკის სწავლების ლინგვისტურ-დიდაქტიკური საფუძვლები, თბ., 1991.
3. გაბეჩავა რ., ჭუმბურიძე ზ., ქართული ენა, თბ., 1999.
4. მაღლაკელიძე ნ., მიქაძე მ. ქართული ენის სწავლების მეთოდიკა. ქუთაისი, 1997.
5. მაღლაკელიძე ნ., ქართული ენის სწავლების მეთოდიკა-დიდაქტიკა, თბ., 2013.

მოსწავლეთა ზოგადი მოტივაციის საკითხები დაწყებით კლასებში

ნინო სეხნიაშვილი, ნინო ჯაბახიძე

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **პაატა ქურდაძე,** ასოცირებული პროფესორი

როგორც ცნობილია, ტერმინი მოტივაცია წარმოდგება (ფრან. motif, ლათ. move - ვმოძრაობ). არსებობს მოტივაციის რამდენიმე განმარტება: მოტივაცია არის ადამიანის ფსიქიკაში რაიმე ქმედების განზრახვა, სურვილი; მოტივაცია ეს არის ადამიანის უნარი დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები რაიმე ქმედების მეშვეობით; მოტივაცია არის დინამიური ფსიქოლოგიური პროცესი, რომლითაც იმართება ადამიანის ქმედება, განისაზღვრება მისი ორგანიზების მიმართულება, აქტივობა და მდგომარეობა, გარკვეული მიზნის მისაღწევად. მაგალითად, შიმშილი არის მოთხოვნილება, ჭამის სურვილი არის მოტივი, ხოლო საჭმელი, რომელსაც ადამიანი მოიპოვებს, არის მიზანი.

ფსიქოლოგები გამოყოფენ მოტივაციის რამდენიმე სახეს. ჩვენი კვლევისათვის საინტერესოდ მივიჩნიეთ შემდეგი; შემეცნებითი მოტივაცია, ინდეტიფიკიციკალური (ვინმეს დახმარება) მოტივაცია, სოციალური და თვითგანვითარების მოტივაცია. ფსიქოლოგიაში არსებობს მოტივაციის რამდენიმე თეორია. ეს თეორიები ძირითადად ორი სახისაა:

ა. მოტივაციის შინაარსობრივი თეორიები;

ბ. მოტივაციის პროცესუალური თეორიები.

შინაარსობრივი თეორიები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტორების ანალიზზე, რომელიც საფუძვლად უდევს მოტივაციას, ანუ მათი მიზანია ადამიანთა ქმედების განმსაზღვრელ მოთხოვნილებათა გამოვლინება. ამ სახის თეორიებიდან გამოჰყოფენ: ა. მასლოუს, ფ. ჰერცბერგის და დ. მაკლენდის თეორიებს. მაგალითად, მასლოუს მიხედვით ადამიანის მოთხოვნები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოტივაციაზე, მეტად რთულია. მან ეს მოთხოვნები ხუთ კატეგორიად დაჰყო:

1. ფიზიოლოგიური მოთხოვნები;
2. მომავლის რწმენისა და უსაფრთხოების;
3. სოციალური მოთხოვნილებები;
4. პატივისცემის მოთხოვნილებები;

5. თვით გამოხატვის მოთხოვნილებები.

შინაარსობრივი თეორიების ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის მომენტი, რომ რეალურ ცხოვრებაში მოთხოვნილებების გაჩენა ადამიანში არ მიმდინარეობს მკაცრად განსაზღვრული იერარქიული სქემის მიხედვით, მათი წარმოშობა დამოკიდებულია მრავალ სიტუაციებზე. მიუხედავად ამისა, ამ თეორიების საფუძველზე კარგად იყო განსაზღვრული მოთხოვნილების რაობა, როგორც პიროვნების მოტივაციის ფაქტორი.

მოტივაციის პროცესუალურ თეორიებში პრობლემა განხილულია სხვა კუთხით. ამ თეორიის ავტორები არ უარყოფენ მოთხოვნილებების როლს მოტივაციაში, მაგრამ ძირითად ფოკუსირებას ახდენენ იმაზე, თუ რა აიძულებს ადამიანს, მთელი თავისი ძალისხმევა და ქმედება მიმართოს დასახული მიზნის მიღწევისაკენ. ასეთი თეორიების რიცხვს განეკუთვნება: ბ. ვრუმის მოლოდინის თეორია, პ. ლოუპერის სამართლიანობის თეორია და დ. მაკრეგორის მოტივაციის თეორია. ეს რაც შეეხება მოტივაციის ზოგად მიმოხილვას.

მოტივაცია ადამიანის ქმედებისა და მოღვაწეობის ყველა სფეროს მოიცავს, რომელთა შორის ყველაზე რთული, ჩვენი აზრით, სწავლისა და შემეცნების ქმედების მოტივირებაა, განსაკუთრებით მზარდობის ასაკში, რადგან ადამიანის განვითარების ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ისეთი სათანადო ფსიქიკურ-შემეცნებითი უნარები და ჩვევები, რომელიც აუცილებელია სწავლის მოტივაციის სურვილის წარმოშობისათვის, საჭირო მიზნის განსაზღვრისა და დასახვისათვის. მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივაციის კვლევის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი სამი მნიშვნელოვანი მომენტი:

1. მოტივაცია არ არის თანდაყოლილი ფენომენი, არამედ ის შეძენილია;

2. მოსწავლეებს უნდა შთავაგონოთ, რომ ის, რასაც მათ ასწავლიან, შესაძლებელია ისწავლონ;

3. პედაგოგებს კარგად უნდა ჰქონდეთ გათვითცნობიერებული, რომ მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივირება ჩვენი პროფესიული საქმიანობის ქვაკუთხედი და ძირითადი ასპექტია.

ამიტომ, ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ და ვიცნობდეთ იმ ფაქტორებს, რომელნიც განაპირობებენ მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივირებას და აქტივობებს. ეს ფაქტორები ძირითადად შეიძლება ექვს ნაწილად დავყოთ:

1) **დაფიქრებულობის დონე.** ეს ის ფაქტორია, რომელიც არკვევს, თუ რამდენად აღელვებს მოზარდს ის, რაც არ იცის, ვერ ისწავლა და ამიტომ აქვს გარკვეული დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, ან ისწავლა და აქვს კმაყოფილების გრძნობა. ეს მოსწავლეში იწვევს შეშფოთებას. ადრეულ (საბჭოთა) პედაგოგიკაში შეშფოთება და აღელვება განიხილებოდა, როგორც უარყოფითი ნეგატიური ფაქტორი სწავლის პროცესში. დღეისათვის მიღებულია, რომ მოსწავლის დოზირებულ შეშფოთებას და ღელვას მის განწყობაში, ისწავლოს უფრო მეტი და უფრო კარგად, დადებითი როლი ენიჭება. ეს შეშფოთება და აღელვება იმის შესახებ, რომ რაღაცა არ იცის და საჭიროა რომ იცოდეს, გარკვეულწილად მობილიზაციას უკეთებს სწავლისადმი ინტერესს, რის გამოც, ეს უკანასკნელი მოსწავლეთა მოტივირებაში და მის ამაღლებაში მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან ამ მომენტისათვის მოსწავლეს უკვე უჩნდება გრძნობა, რომ ცოდნა აუცილებელია მისთვის, მისი შემდგომი ცხოვრებისათვის. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი, ძირითადი და გამწყვეტი მნიშვნელობისაა მოსწავლეთა სწავლისადმი დაინტერესებისთვის, რაც ასევე, ძირითადი მომენტია მოსწავლეთა ნებისყოფის გამომუშავებაში;

2) **შემეცნებითი გრძნობადი თვისებების წინ წამოწევა.** მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაციისათვის მისი გრძნობადი სამყაროს მაქსიმალური ჩართვისათვის სასწავლო შემეცნებით პროცესში, დიდად არის დამოკიდებული შესწავლის მასალის მოცულობა და ხარისხი. მოსწავლის გრძნობები სწავლის პროცესში გაწმენდილი უნდა იყოს გარემოს ნეგატიური პროცესებისაგან. ამისათვის საჭიროა მოსწავლეებს შევუქმნათ დადებითი ემოციური ფონი და სასურველი გარემო;

3) **წარმატება.** მოსწავლეთა მოტივაციის მესამე ფაქტორია წარმატების შეგრძნების განცდა. ისმის კითხვა, თუ როდის აღიქვამს წარმატებას ადამიანი მაქსიმალური კმაყოფილებით? ადამიანი წარმატებისაგან მით უფრო მეტ სიხარულს იღებს მაშინ, როდესაც ამ წარმატებას აღწევს დიდი შრომით, ხოლო, თუ ის აღწევს წარმატებას ნაკლები ძალისხმევით, იოლად, ასეთ შემთხვევაში, მიღებული წარმატება გაუბრალოებულია. მოსწავლეთა წარმატება, გარდა პიროვნული თანდაყოლილი თვისებისა და ძალისხმევისა, დამოკიდებულია ასევე ორ სხვა ფაქტორზე. პირველი ეს არის შესასწავლი მასალის სირთულის ხარისხი და მეორე მოსწავლეთა შეფასება. შესასწავლი მასალის სირთულის ხარისხი ისეთნაირად უნდა იყოს შერჩეული, რომ ის იყოს მოსწავლისათვის, მისი ფსიქოლოგიურ ფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე კომენსკის მისაწვდომობის პრინციპის ფარგლებში ეტეოდეს, ანუ ის არ უნდა იყოს ისე მარტივი, რომ მოსწავლეს ინტერესი დაუქვეითდეს მისადმი და არც ისე რთული, რასაც მისი გონება ვერ დასძლევს. თუ მასალა ასეთნაირად არის შერჩეული, მაშინ მოსწავლე მზად არის

„ინტელექტუალური“ ნახტომისათვის. რაც შეეხება შეფასებას, ის უნდა იყოს ობიექტური, გარკვეულწილად მკაცრი, მაგრამ უნდა შეიცავდეს წახალისების შინაარსსაც.

4) **ინტერესი**. ჩვენი აზრით, ეს არის საბაზისო ფაქტორი, რომელიც ჩნდება დაფიქრების შედეგად და მასზე უნდა იყოს დაშენებული ყველა სხვა დანარჩენი, ანუ სწავლის მოტივირებაში ის არის წარმმართველი. უნდა გვახსოვდეს, რომ ინტერესი არ იბადება, ის შეძენილია ცხოვრებაზე დაკვირვებისა და აღზრდის შედეგად. მოსწავლის სწავლისადმი დაინტერესება შეძლება იყოს ობიექტური, ე.ი. თვითონ იყოს მოსწავლე დაინტერესებული. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მიზანია ამ ინტერესის გაძლიერება. მეორე, შეიძლება მოსწავლე არ იყოს სწავლისადმი დაინტერესებული, მასთან ჩვენ მოგვიწევს უფრო მეტი ძალისხმევა მისი დაინტერესებისათვის, რაც არცთუ ისე მარტივია დღევანდელ რეალობაში (ამ საკითხს ქვემოთ უფრო ვრცლად შევეხებით), ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა მოსწავლეს ისე მივაწოდოთ ახალი მასალა, რომ მასში გამოიწვიოს განცვიფრება, დააფიქროს, რაც შემდგომში გამოიწვევს მის დაინტერესებას.

5) **მოტივაციის შინაგანი და გარეგანი ფაქტორები.** მოტივაციის შინაგანი და გარეგანი ფაქტორები ეს არის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფენომენი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სწავლასა და მიზანს. შინაგანი ფაქტორებით განპირობებული მოტივაცია მაშინ ვლინდება, როდესაც მოსწავლის მთავარ მიზანს წარმოადგენს მიიღოს კმაყოფილება სწავლის პროცესისაგან. აქ გვინდა მასწავლებლებს მივცეთ რეკომენდაცია. მათ თავის მუშაობაში უნდა გაითვალისწინონ ადამიანის შინაგანი ბუნების ზოგადი თანდაყოლილი თვისება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ყოველგვარ საქმიანობაში მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე გაურბის ტკივილს და მიისწრაფის სიამოვნებისაკენ. აქედან გამომდინარე, მასწავლებელმა სასწავლო პროცესი ისე უნდა წარმართოს, რომ ის მოსწავლისათვის იყოს სასიამოვნო, ეს უკანასკნელი გააქტიურებს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ფაქტორს. ამისგან განსხვავებით, თუ მოსწავლე სწავლობს მხოლოდ იმიტომ, რომ მიიღოს კარგი, მაღალი შეფასება, მაშინ აქ საქმე გვაქვს მოტივაციის გარეგან ფაქტორთან. ამიტომ, ზოგიერთი ავტორის მიხედვით, შინაგანი მოტივაცია არის „წმინდა“ თვითნაბადი განძი, ხოლო მისგან განსხვავებით, გარეგანი მოტივაცია გარკვეული გაგებით „ცოდვითი“ ხასიათის მატარებელი. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებისა, მოსწავლეთა მოტივაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს მიწოდებული ინფორმაციის მოცულობასა და შინაარსს. მოსწავლეთა მოტივირებაზე მოქმედი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ინფორმაციის მიწოდება და შეთვისება. ჩვენი აზრით, მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის დღევანდელი დაბალი დონე ძირითად არის განპირობებული იმით, რომ მოსწავლე სკოლის გარეთ უფრო მეტ ინფორმაციას იღებს, ვიდრე სკოლაში, თანაც ეს გარეთ მიღებული ინფორმაცია, მათ მიეწოდებათ სტიქიურად ყოველგვარი კონტროლის გარეშე. ეს უკანასკნელი, ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა დღევანდელი სკოლისა და განათლების სისტემისა. ამ მხრივ, ბოლო წლებში ჩატარებულმა განათლების რეფორმამ ვერ გაამართლა, რაზეც მიუთითებს ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეების საგანგაშო რაოდენობამ ვერ ჩააბარეს საატესტატო გამოცდები. გარდა ამისა, მოსწავლეთა დიდი პროცენტი საჭირო განათლების მიღებას ამჯობინებენ სკოლის გარეთ რეპეტიტორებთან, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლა ვერ ახერხებს მოსწავლეთა სათანადო დაინტერესებას და სწავლისადმი მოტივირებას. არადა, პარადოქსული ხასიათის მატარებელია ყოველივე ეს იმიტომ, რომ რეპეტიტორები, იგივე სკოლის პედაგოგები არიან, რომლებიც ერთ სიტუაციურ გარემოში, სკოლაში ვერ აღწევენ წარმატებას თავის პროფესიულ საქმიანობაში, რასაც კარგად ახერხებენ განსხვავებულ სიტუაციურ გარემოში - სახლში. ასეთ შემთხვევაში იკვეთება აზრი იმის შესახებ, რომ წარუმატებლობის მიზეზი მარტო პედაგოგის კვალიფიკაცია კი არა, არამედ, სასწავლო პროცესის არასათანადო დონითა და მეთოდიკით წარმართვაა, რაც, როგორც ვხედავთ, ვერ უძლებს ცხოვრებისეულ გამოცდას. ე. ი. მიზეზი კომპლექსური ხასიათისაა და ის მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან სწრაფ რეაგირებას.

მოსწავლეთა დაინტერესება, გარდა ზემოთ ხსენებული ფაქტორებისა, დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაციაზე. ამ მხრივ, ჩვენ, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ვიმყოფებით მეტად რთულ ვითარებაში. ამ სიტუაციამ საბოლოოდ გამოიწვია ის პრობლემები, რაც გვაქვს ეროვნულ სკოლაში მოსწავლეთა სწავლისადმი დაბალ მოტივირებაში. სამწუხაროდ, როგორც ჩვენმა კვლევებმა გვიჩვენა, მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალ კლასებში მესამე საფეხურზე, კითხვაზე თუ რატომ აღარ სურს ბეჯითი სწავლა, გვპასუხობს: „რა აზრი აქვს სწავლას, მას ცხოვრებაში ნაკლებად გამოვიყენებ, რომ ვისწავლო, სამუშაოს მაინც ვერ ვიშოვი“. მოსწავლეების ასეთი პესიმისტური განწყობილება არ არის მხოლოდ ერთი, რომელიმე ფაქტორით გამოწვეული, ის კომპლექსური ხასიათისაა. მოსწავლების ასეთ ცნობიერების ჩამოყალიბებაში ბრალი გვიდევს საზოგადოების ყველა ინსტიტუტს, დაწყებული ოჯახიდან და სკოლიდან, დამთავრებული სახელმწიფო პოლიტიკურ-ეკონომიკური ინსტანციებამდე.

ამის დასტურია თუნდაც ის ფატი, რომ ჩვენს ქვეყანაში ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში უმაღლეს სკოლას (გამონაკლისი მხოლოდ დაწყებითი განათლების პედაგოგია), მასწავლებლის პროფესიით კადრი არ მოუმზადებია. ამ ხარვეზის გამოსწორება უკვე დავიწყეთ, 2018 -2019 სასწავლო წლიდან ჩვენი უნივერსიტეტები იწყებენ პედაგოგთა მომზადებას, მაგრამ ამ უკანასკნელის საფუძველზე მოსწავლეთა სწავლების გაუმჯობესებას, მოგეხსენებათ, საკმაო დრო სჭირდება. ძალაუნებურად, დგება საკითხი, რა უნდა ვიღონოთ მანამდე მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ასამაღლებლად?

სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, მანამდე მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა არსებული მოტივაციის დონე დაწყებით კლასებში. ამ მიზნით პედაგოგიური კვლევა ჩავატარეთ . გორის პირველ საჯარო სკოლის მე-4 - ა კლასში. კვლევისათვის გამოვიყენეთ ანკეტირების გამოკითხვის მეთოდი ტესტის მეშვეობით. ტესტი ისეთნაირად იყო შედგენილი, რომ იგი მოიცავდა როგორც ზოგადად სასწავლო მოტივაციის საკითხებს, ასევე ცალკეული საგნებისადმი დაინტერესების მომენტებს, გაკეთებული იყო აქცენტი სავარაუდო შესასწავლ უცხო ენოვან ქვეყნების ისტორიაზე ეროვნულ და ანტიკურ მითოლოგიასა და გმირებზე:

გამოკითხვის ტესტი

1. რატომ სწავლობ?
ა. მინდა კარგი ნიშანი მივიღო;
ბ. ეს მშობლების სურვილია;
გ. მომწონს სწავლა;
დ. მინდა კარგი სამსახური ვიშოვო, მქონდეს დიდი ხელფასი;
2. რომელი საგანი მოგწონს?
ა. მათემატიკა;
ბ. ისტორია;
გ. ქიმია;
დ. გეოგრაფია;
ე. ან სხვა....
3. რომელი უცხო ენა მოგწონს?
4. რატომ?
5. რა იცი ამ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნების ისტორიის შესახებ?
6. რა იცი მეფე არტურის შესახებ?
7. ვინ იყო ტომ სოიერის ამხანაგი?
8. რომელი ინგლისური სიმღერა იცი?
9. რა დააარსა ვახტანგ გორგასალმა?
10. რა გააკეთა ცოტნე დადიანმა?
11. ვინ იყო ჰერაკლე?
12. ვინ იყო ამირანი?

21 გამოკითხული მოსწავლიდან პირველ კითხვაზე რატომ სწავლობ. მინდა კარგი სამსახური ვიშოვო უპასუხა 3 - მა მოსწავლემ. ეს მშობლების სურვილია - 7 მოსწავლემ. მინდა კარგი ნიშანი მივიღო - 4 მოსწავლემ. მომწონს სწავლა - 2 მოსწავლემ. ამდენად, შემდგომი ცხოვრებისეული პერსპექტივით პასუხი შეადგენდა 14,2%-ს, მომწონს სწავლა - 9,5%. მინდა კაგი ნიშანი მივიღო - 19%. მშობლების სურვილია - 33,3%. ე.ი ყველა მოსწავლე გარკვეულად მოტივირებულია, მაგრამ მოტივაციის მდგრადობის ხარისხით ინტერესის მიხედვით, საერთო მოტივაცია შეადგენდა 36,2%. ჩვენი აზრით, შემდგომ მაღალ კლასებში დაახლოებით მოტივაციის ეს პროცენტი იქნება შენარჩუნებული (ამას კვლევის შემდეგ ეტაპზე შევისწავლით). შეკითხვაზე რომელი საგანი მოგწონს, 74% მოდიოდა საბუნებისმეტყველო საგნებზე, ხოლო დანარჩენი სხვა საგნებზე. კითხვაზე, რომელი უცხო ენა მოგწონს, 71,3 - აირჩია ინგლისური, ხოლო 28, 7 რუსული. რომელი სიმღერა იცი ინგლისურად დადებითი პასუხი გასცა 77% -მა. ვინ იყო ტომ სოიერი ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა 37,2%-მა. რაც შეეხება ინგლისურენოვანი ქვეყნების ისტორიულ და კულტურულ კითხვებს დადებითი პასუხი გასცა 16 %-მა, ხოლო საქართველოს და ანტიკური სამყაროს შესახებ 73%-მა. ტესტის შედეგებმა გვიჩვენა რომ მოსწავლეთა სწავლის მოტივაცია დაწყებით კლასებში ახლოს არის სასურველ, დადებით დონესთან ზოგადი სახით, მაგრამ დაინტერესებისა და მდგრადობის მხრივ დაბალია, რაც, ჩვენი აზრით, მაღალ კლასებში უფრო მკვეთრად აისახება საერთო ზოგად მოტივაციის დონეზე.

მოსწავლეთა სასწავლო მოტივაციის პრობლემის გადასაჭრელად, ჩვენი აზრით, აუცილებელია შინაარსობრივად და მეთოდურად შეიცვალოს სააღმზრდელო პროცესი. აღსაზრდელებს სწავლის საჭიროების აუცილებლობა მათი შემდგომი ცხოვრებისათვის უნდა ჩავუნერგოთ ადრეული

განვითარების საფეხურზე, სკოლამდელი აღზრდის პროცესში, ბაგა-ბაღებში და ოჯახში, რაც შემდგომ უნდა გაძლიერდეს და დაიხვეწოს სკოლის სამივე საფეხურზე. ამისათვის საჭიროა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რადიკალურად შეიცვალოს დღევანდელი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აღზრდას. თანამედროვე მოთხოვნილების დონეზე აღიჭურვოს სასკოლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტ ლაბორატორიები. შეიცვალოს მასწავლებელთა ანაზღაურებისადმი და მასწავლებლის პროფესიისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება, რასაც შემდგომში მოჰყვება მასწავლებლის ავტორიტეტის ზრდა მოსწავლეებსა და საზოგადოების თვალთახედვაში. ყოველივე ეს დიდად დაგვეხმარება მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში.

ლიტერატურა:

1. დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიური ინსტიტუტი. პედაგოგიური ფსიქოლოგია. შ. ჩხარტიშვილის რედაქციით. გამომცემლობა. „განათლება“, თბილისი, 1975.
2. ნ. ვასაძე, პედაგოგიკა, თბილისი, „ ცის ნამი“, 2004.
3. Kansanen P. (Ed.), Discussions on Some Educational Issues VI, University of Helsinki, 1995.
4. Вилюнас В. К. Психологические механизмы мотивации человека, Из. МГУ, 1999 .
5. Ильин Е.П. - Мотивация и мотивы, Из. « ПИТЕР“, 2000.
6. Выготский Л. С. Педагогическая психология, Из. МГУ, 1997.

რთულად აღსაზრდელ ბავშვთა ტიპოლოგია და მათი საკორექციო პედაგოგიური საშუალებანი

ლელა ცხოვრებაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ციური ბაქრაძე,** ასოცირებული პროფესორი

დრო დროს მიჰყვება, წამი წამს ემატება, წუთი წუთს, იწყება ახალი დღე და ჩნდება ახალი სიცოცხლე. იქმნება ახალი ოჯახები, ოჯახი კი ის პირველი სოციალური ინსტიტუტია, რომელიც ღმერთის კურთხევით დაფუძნდა.

„ძლიერი ოჯახი საფუძველია ძლიერი საზოგადოებისა, რომლის თითოეული წევრის ჩამოყალიბება ძლიერ ოჯახში ხდება“. [1. 2] ბავშვის აღზრდა საკმაოდ რთული პროცესია, ხშირად აღსაზრდელი ხდება ძალადობის და აგრესიის მსხვერპლი ოჯახში, მშობლებს აქვთ არგუმენტი, თუ რატომ სჯიან საკუთარ შვილებს, მაგრამ ამით ისინი ხელს უწყობენ აგრესიული ქმედებების გამოწვევას აღსაზრდელისაგან. ასეთი მიმართება და დასჯის მეთოდები კატეგორიულად მიუღებელია, ბავშვი ოჯახში საჭიროებს ყურადღებას, მშვიდ გარემოს და ინდივიდუალურ მიდგომას. არამყარი ოჯახი უპირველესად დაღს ასვამს ბავშვის ფსიქიკას, რომელსაც ვერც დრო კურნავს და ვერც გარემო, სადაც მას უხდება არსებობა. ზრუნვას და ოჯახის სითბოს მოკლებული ბავშვი იკეტება საკუთარ თავში, აქვს მარტოობის შეგრძნება, უზიანდება ფსიქიკა, საიდანაც ყალიბდება მოზარდი, რომელიც რთულად აღსაზრდელია. გამომდინარე აქედან ბავშვი, რომლის ფსიქიკაც დაზიანებულია, საზოგადოების ღირსეულ წევრად რომ იქცეს, საჭიროა მასთან სრულყოფილი აღმზრდელობითი მუშაობა. პირველ რიგში შესასწავლია რთულად აღსაზრდელთა ტიპოლოგია და მათი გამომწვევი მიზეზები, მათ მიერ ჩადენილი უმსგავსო ქმედებები.

რთულად აღსაზრდელები მოზარდების ისეთი კატეგორიაა, რომლებთანაც მრავალმხრივი ზნეობრივი, სულიერი, ფიზიკური აღმზრდელობითი სამუშაოებია ჩასატარებელი. “ოჯახის შემდეგ მოზარდის სწორად ჩამოყალიბებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სკოლას და გარემოს სადაც ის ყოველდღიურადაა. მასწავლებლისათვის ერთ-ერთი დიდი პრობლემა კლასში რთულად აღსაზრდელი ბავშვია. პირველ რიგში გასარკვევია, სინამდვილეში არის თუ არა ბავშვი რთულად აღსაზრდელი, შემდეგ უნდა შემუშავდეს კონცეფცია თუ გეგმიურად და თანმიმდევრულად როგორი

მიმართულება უნდა მიეცეს ბავშვთან ურთიერთობას, რათა მის მიერ აღქმული იყოს, პედაგოგიური, სულიერი მზრუნველობა.“ როდესაც რთულად აღსაზრდელი ბავშვი მოკლებულია მშობლების ყურადღებას, ამ დროს მასთან მომუშავე პედაგოგმა ან ფსიქოლოგმა უნდა იტვირთოს აღმზრდელის როლი, ამიტომაც აუცილებელია სკოლაში მუშაობდეს ფსიქოლოგი, რომელიც ინდივიდუალურ დაკვირვებას მოახდენს რთულად აღსაზრდელ ბავშვებზე და დადებითად იმოქმედებს მათ ფიქრებსა და ქმედებებზე. ხოლო პედაგოგი უნდა ესაუბროს მათთვის საინტერესო და საყურადღებო თემებზე, ასაკობრივ ზრდასთან ერთად მიაწოდოს აუცილებელი ცოდნა ელემენტარულისა, რომელიც მომავალში აღმოფხვრის გონებრივ ჩამორჩენილობას. ყველა პედაგოგი მშობელი ვერ იქნება, მაგრამ თავისი დამოკიდებულებით, ზნეობრივი მიდგომით, რთულად აღსაზრდელ ბავშვს უნდა დაეხმაროს სწორი გზის არჩევაში.

ზემოთ ხსენებული მიდგომა ერთი მხარეა რთული პროცესისა, არსებობს საპირისპირო მხარე, რთულად აღსაზრდელების მხარე, რომელმაც უნდა აღიქვას ზრუნვა, რათა პედაგოგს არ დაეკარგოს უდიდესი ამაგი. რთულად აღსაზრდელები არაადეკვატურად რეაგირებენ პედაგოგიურ ზემოქმედებაზე, მათი ყოფა-ქცევა თანატოლებისაგან განსხვავებულია. ამ შემთხვევაში მასწავლებლის როლი კლასში უდიდესია, მან პირველ რიგში უნდა შეისწავლოს რთულად აღსაზრდელი ბავშვის ტიპოლოგია, დაადგინოს გამომწვევი მიზეზები და გამოიყენოს პედაგოგიური საშუალებები მოზარდთან ურთიერთობისათვის. რთულად აღსაზრდელი ბავშვის შესწავლა იწყება ოჯახით, თუ სად და რა გარემოში უხდება მოზარდს ყოფნა, რა ზემოქმედება ხდება მის ფსიქიკაზე, პრობლემის აღმოფხვრას სწორედ აქედან უნდა ჩაეყაროს საფუძველი. თუ ეს გარემოება ძირეულად არ იქნა შეფასებული მასწავლებლის მხრიდან, არასწორმა დამოკიდებულებამ შეიძლება მოზარდი აქციოს რთულად აღსაზრდელად. როდესაც პედაგოგი ვერ პოულობს მოსწავლესთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების გზას, ის იჩენს ბავშვის მიმართ გულგრილ და უხეშ დამოკიდებულებას და აზიანებს მის ფსიქიკას, ამ დროს აღსაზრდელის ქცევაც ადეკვატური ხდება აღმზრდელის მიმართ, ასეთ შემთხვევაში მასწავლებლის მხარე უპირატესია, ხოლო ბავშვს უყალიბდება რთულად აღსაზრდელის რეპუტაცია.

„რთულად აღსაზრდელთა ტიპს ორ კატეგორიად ყოფენ, ეგზოგენური და ენდოგენური. ეგზოგენურ კატეგორიაში შედის ბავშვის ისეთი გადახრები, რომელიც მიღებული აქვს გარედან და პერიფერიული ხასიათი აქვს, აქ ძირითადად მორალურ დეფექტებთან გვაქვს საქმე, ხოლო ენდოგენური - შინაგანი დეფექტებია, რომლებიც ორგანულ დარღვევებთან არის დაკავშირებული. ეს შეიძლება იყოს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც თავს იჩენს გონებრივ-ინტელექტუალურ ჩამორჩენილობაში. სწავლების და აღზრდის ფიზიკურ ნაკლში იგულისხმება მხედველობის, სმენის, მეტყველების დეფექტები.“ [1. 226]

შეიძლება ბავშვი სრულიად ნორმალური იყოს ფიზიკურად, ფსიქიკურად, ინტელექტუალურად, მაგრამ მოხვდეს რთულად აღსაზრდელთა სიაში. ასეთი ბავშვები ადრეული ასაკიდანვე ავლენენ ცნობისმოყვარეობას, შემეცნებით ინტერესს, ხოლო სავალდებულო სკოლის საგნები მათი ყურადღების მიღმა რჩება და კმაყოფილდებიან ნიჭიერების წყალობით მოსმენილის ადვილად ათვისებით, რომელიც ასევე ადვილად ეძლევა დავიწყებას.

განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს მასწავლებლისთვის ან აღმზრდელისთვის რთულად აღსაზრდელთა ისეთი კატეგორია, რომლებსაც ნერვოპათია, ანუ თანდაყოლილი ნერვიულობა დაბადებიდანვე აქვთ. ნერვოპათია, თუ დროულად არ იქნა ზომები მიღებული, შეიძლება გახდეს მიზეზი არასახარბიელო შედეგებისა გონებრივი განვითარების თვალსაზრისით. იმისდა მიხედვით, თუ რა სახის პათოლოგიური გადახრა აქვს ბავშვს, განსხვავებული მკურნალობა და ინდივიდუალური პედაგოგიური მიდგომა სჭირდება. [1. 240]

ასევე აღსანიშნავია დღესდღეობით არსებული პრობლემა, რომელიც კომპიუტერულ თამაშებს უკავშირდება. ეს შეიძლება მივიჩნიოთ ეგზოგენურ ანუ გარედან შემენილ ცუდ ჩვევად. აღნიშნული პრობლემა უკავშირდება ბავშვის ფსიქიკის არასწორ ჩამოყალიბებას, იწვევს მოზარდში აგრესიას, ხდის დაუნდობელს. ყოველივე ამის შემდეგ პედაგოგს ურთულდება ასეთი ბავშვის რეალურ გარემოსთან დაკავშირება.

რაც შეეხება საკანონმდებლო ბაზას რომელიც რთულად აღსაზრდელების სწავლა-განათლებას არეგულირებს, ამჟამად საქართველოს პარლამენტში უკვე ინიცირებულია კანონპროექტი, რაც ზოგადი განათლების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს, კერძოდ, რთულად აღსაზრდელის სპეციალურ სკოლა-პანსიონში გადაყვანის თაობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ რთულად აღსაზრდელი ბავშვი შესაძლოა გარკვეული ფორმით სკოლას ჩამოაშორონ, სპეციალიზებულ სასწავლებელში

გადააგზავნონ, სადაც ისინი სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებში ჩაერთობიან. [2]

ამრიგად, რთულად აღსაზრდელობა ყოველთვის განპირობებულია სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით. მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა და დროულად შესაბამისი ღონისძიებების გატარება. შესაძლოა პრობლემა თავიდან იყოს მცირე, მაგრამ დროთა განმავლობაში მან მიიღოს საშიში ხასიათი როგორც საზოგადოებისთვის, ასევე რთულად აღსაზრდელისთვის. "მშობელმა თუ მასწავლებელმა, უპირველეს ყოვლისა, მოზარდის სიყვარული უნდა დაიმსახუროს და გასაღებიც მის ხელში იქნება, მაგრამ სიყვარული რომ დავიმსახუროთ, ჯერ ჩვენ უნდა შევიყვაროთ ბავშვი ნამდვილი სიყვარულით. დიდებს უნდა ახსოვდეთ, რომ ბავშვის მოტყუება შეუძლებელია, იგი გაცილებით მეტს გრძნობს, ვიდრე ჩვენ გვგონია... ბავშვის აღზრდისას ყველაზე დიდი ბიძგის მიმცემი მშობლის მაგალითია..." [3] სხვადასხვა აღმზრდელობით სამუშაოებთან ერთად ასევე აუცილებელია მოზარდის გათვითცნობიერება ბიბლიური თვალსაზრისით, ყოვლის შემოქმედის ცნებებისა და კანონების სწორად გაგების მიზნით.

ლიტერატურა:

1. გულნაზი ხუხუა, პედაგოგიკა, თბ., 2009.
2. 2017 წლის აპარლამენტო კანონპროექტი ზოგადი განათლების შესახებ.
3. orthodoxy.ge/პატრიარქის ქადაგებები-სააღდგომო ეპისტოლე, 1991.

კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკა

ნდობის ინტერვალის აგების კერძო მაგალითი უცნობი დისპერსიის შემთხვევაში

ნათია კასრაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლელა ალექსიძე,** ასოცირებული პროფესორი

ამა თუ იმ პრაქტიკულ საქმიანობაში საჭიროა აიგოს სასურველი თვისებების მქონე შეფასებები. ხშირად იყენებენ წერტილოვან შეფასებას. წერტილოვანი შეფასების ნაკლი ისაა, რომ მხოლოდ მისი დაკვირვებული მნიშვნელობის ცოდნა არ იძლევა ამ შეცდომის სიდიდის დადგენის საშუალებას. ამავე დროს, თუ ეს შეფასება მიახლოებით ნორმალურადაა განაწილებული, სარწმუნოობის მაღალი დონით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პარამეტრის ჭეშმარიტ მნიშვნელობასა და შეფასებას შორის სხვაობის აბსოლუტური სიდედე არ აღემატება გასამკეცებულ სტანდარტულ გადახრას, ანუ, რაც იგივეა, პარამეტრის ჭეშმარიტი მნიშვნელობა მოთავსებულია ინტერვალში. ეს მოსაზრება გვიბიძგებს, რომ წერტილვანი შეფასება ერთი რიცხვი, შევცვალოთ ინტერვალური შეფასებით - მთელი ინტერვალით. ამასთან, ინტერვალი ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ ჩვენი მტკიცება, რომ პარამეტრის ჭეშმარიტი მნიშვნელობა ეკუთვნის ამ ინტერვალს, მცდარი აღმოჩნდეს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში.

ე.ი. თუ შეფასებას ვიყენებთ უცნობი პარამეტრის მნიშვნელობის როლში, ადგილი ექნება გარკვეულ ცდომილებას და საჭირო ხდება მისი საზღვრების დადგენა. სახელდობრ, სასურველია მითითებული იქნეს ისეთი ინტერვალი, რომ ჩვენი დასკვნა იმის შესახებ, რომ შესაფასებელი პარამეტრის ჭეშმარიტი მნიშვნელობა მოთავსებულია ამ ინტრევალში, მცდარი აღმოჩნდეს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში. ამ დროს ლაპარაკია ინტერვალურ შეფასებაზე.

პრაქტიკაში ძირითადად გვხვდება ისეთი ტიპის ამოცანები, სადაც უცნობია როგორც პოპულაციის საშუალო, ასევე პოპულაციის დისპერსია. ამ შემთხვევაში ნდობის ინტერვალის ასაგებად უნდა შევაფასოთ უცნობი დისპერსიაც და გამოვიყენოთ სტატისტიკა.

$$T = \frac{\overline{X} - \overline{\ }}{S'/\sqrt{n}},$$

რომელიც განაწილებულია სტიუდენტის კანონით, n-1 თავისუფლების ხარისხით, $(1-\sim)$-ნდობის ინტერვალი ნორმალური პოპულაციის საშუალოსათვის, როდესაც დისპერსია უცნობია, შემდეგია:

$$\left(\overline{X} - \frac{S'}{\sqrt{n}} t_{n-1,\sim/2;} \overline{X} + \frac{S'}{\sqrt{n}} t_{n-1,\sim/2}\right),$$

სადაც $\overline{X}$ და S' შერჩევითი საშუალო და სტანდარტული გადახრაა, ხოლო $t_{\sim/2,n-1}$ სტიუდენტის განაწილების $\sim/2$ - კრიტიკული წერტილია.

რადგან $S' = \sqrt{\frac{n}{n-1}} S$, $(1-\sim)$-ნდობის ინტერვალი შეიძლება შემდეგი სახითაც გადაიწეროს: $\left(\overline{X} - \frac{S}{\sqrt{n-1}} t_{n-1,\sim/2;} \overline{X} + \frac{S}{\sqrt{n-1}} t_{n-1,\sim/2}\right)$, სადაც არითმეტიკული საშუალო იგივე შერჩევითი საშუალო გამოითვლება ფორმულით:

$$\overline{X} = \frac{1}{n} \sum_{i=1}^{n} X_i \ .$$

შერჩევითი საშუალო არის შერჩევის ერთ ინდივიდზე ან ობიექტზე მოსული ჯამურ დაკვირვებათა წილი (საშუალო რაოდენობა). დისპერსია წარმოადგენს მონაცემთა საშუალოს მიმართ გაფანტულობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საზომს, რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$S'^2 = \frac{1}{n-1} \sum_{i=1}^{n} \left(X_i - \overline{X}\right)^2 = \frac{n}{n-1} S^2 \ ,$$

შერჩევითი დისპერსია მკაცრად განსაზღვრულია, გამოითვლება ყველა დაკვირვების საფუძველზე და ადვილად ექვემდებარება ალგებრულ ოპერაციებს. ამასთან, შერჩევითი დისპერსიის განზომილება უდრის დაკვირვებათა განზომილების კვადრატს. სტატისტიკოსს კი ხშირად ესაჭიროება გაფანტულობის ისეთი საზომი, რომელიც იმავე ერთეულებში იზომება, რაც საწყისი მონაცემები. ასეთი საზომი მარტივად მიიღება შერჩევითი დისპერსიიდან ფესვის ამოღებით. შერჩევის სტანდარტული გადახრა წარმოადგენს კვადრატულ ფესვს შერჩევითი დისპერსიიდან. $S' = \sqrt{S'^2}$.

საინტერესოა, საშუალოდ რამდენი საათი აქვს თავისუფალი მთელი კვირის განმავლობაში სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტს. ამისათვის 1410 სტუდენტიდან გამოკითხული იქნა 60 შემთხვევით შერჩეული სტუდენტი. თითოეული სასწავლო კურსიდან 15-15 სტუდენტი. გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემებით გამოვთვალე შერჩევითი საშუალო $\overline{X}$ =32:21:40 და სტანდარტული გადახრა S'=11:53:03

ავაგოთ 95%-იანი და 99%-იანი ნდობის ინტერვალი უცნობი საშუალოსათვის.

თუ ჩავთვლით რომ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა თავისუფალი დრო წარმოადგენს ნორმალურად განაწილებულ სიდიდეს, ვისარგებლებთ $\left(\overline{X} - \frac{S'}{\sqrt{n}} t_{n-1,\sim/2;} \overline{X} + \frac{S'}{\sqrt{n}} t_{n-1,\sim/2}\right)$ ფორმულით, რომლის თანახმადაც (1-α)- ნდობის ინტერვალი

უცნობი საშუალოსათვის იქნება $32\frac{21}{60} - \frac{11\frac{53}{60}}{\sqrt{60}} \cdot t_{59},\sim/2$. თუ გავითვალისწინებთ ნდობის ინტერვალს $\overline{\ }$ უცნობი პარამეტრის ¥ (ან1-α) საიმედოობის მქონე ანუ 100¥ %-იანი (ან 100(1-α)%-იანი) ნდობის ინტერვალი ეწოდება. ინტერვალს (T_1, T_2), რომლისთვისაც $P\{T_1 \lhd \overline{\ } \lhd T_2\} =$ ¥ (ან 1-α), სადაც T_1 და T_2 პარამეტრის გარკვეული წერტილოვანი შეფასებებია, ¥ $\in (0.1)$ $(\sim \in (0.1))$;α-ს მნიშვნელოვნების დონე ეწოდება: ნდობის ინტერვალის სიგრძის ნახევარს შეფასების სიზუსტე ეწოდება.

მაგალითიდან გამომდინარე გვექნება: $1-\sim = \frac{95\%}{100\%} = 0.95$, $1-\sim = 0.95$

$1-\sim = 0.95$

$\sim = 0.5$, სადაც $\frac{\sim}{2} = 0.025$, ხოლო $t_{0.025,59} \approx 1.96$

ანალოგიურად 99%-ის შემთხვევაში $\sim = 0.01$; $\frac{\sim}{2} = 0.005$, ხოლო $t_{0.005,59} \approx 2.57$ აქედან გამომდინარე კი გვექნება ინტერვალური შეფასება:

$$32\frac{21}{60} - \frac{11\frac{53}{60}}{\sqrt{60}} \cdot 1{,}96 = 29{,}35$$

$$32\frac{21}{60} + \frac{11\frac{53}{60}}{\sqrt{60}} \cdot 1{,}96 = 35{,}35$$

ე.ი. 95% ნდობის ინტერვალი გვექნება: (29,35; 35,35)

$$32\frac{21}{60} - \frac{11\frac{53}{60}}{\sqrt{60}} \cdot 2{,}57 = 28{,}39$$

$$32\frac{21}{60} + \frac{11\frac{53}{60}}{\sqrt{60}} \cdot 2{,}57 = 36{,}29$$

ე.ი. 99% ნდობის ინტერვალი იქნება: (28,39; 36,29)

ლიტერატურა:

1) ნ. ლაზრიევა, მ. მანია, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა ეკონომისტებისათვის, თბილისი, 2000.

2) ომარ ფურთუხია, ალბათურ-სტატისტიკური ამოცანები, თბილისი, 2012.

კონტრმაგალითები მათემატიკურ ანალიზში

ნინო რაზმაძე

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელები: **ზურაბ ზერაკიძე,** პროფესორი, **ჯემალ ქირია**, პროფესორი

განსაზღვრული ინტეგრალი. $[a;b]$ სეგმენტზე f(x) ფუნქცია შემოსაზღვრულია $|f(x)| \leq M < +\infty$ -M$\leq f(x) \leq M$. დავანაწილოთ $[a;b]$ სეგმენტი n ნაწილად $x_0 = a < x_1 < x_2 < \cdots < x_n = b$

ავიღოთ სეგმენტები $[x_0;x_1]$. $[x_1;x_2]$...,$[x_{n-1};x_n]$ და ყოველ ამ სეგმენტში ნებისმიერად ავირჩიოთ

$\xi_0;\xi_1;\xi_2$; ...; ξ_{n-1}.$x_0 \leq \xi_0 \leq x_1$, $x_1 \leq \xi_1 \leq x_2$, ..., $x_{n-1} \leq \xi_{n-1} \leq x_n$.

და შევადგინოთ ჯამი

$f(\xi_0)\times(x_1-x_0)+f(\xi_1)\times(x_2-x_1)+\ldots+f(\xi_{n-1})\times(x_n-x_{n-1})=\sum_{k=0}^{n-1} f(\xi_k) \times (x_{k+1} - x_k)$

$\max\{(x_1-x_0),(x_2-x_1),\ldots,(x_n-x_{n-1})\}=\lambda$

$\lim_{\lambda\to 0} \sum_{k=0}^{n-1} f(\xi_k) \times (x_{k+1} - x_k)$ თუ ეს ზღვარი არსებობს (ე.ი. სასრული რიცხვია) და არაა

დამოკიდებული არც $\xi_0,\xi_1,\xi_2,\ldots,\xi_k$ წერტილების შერჩევაზე და არც $[a;b]$ სეგმენტის დანაწილებაზე, მაშინ ამ ზღვარს ეწოდება განსაზღვრული ინტეგრალი (a-დან b-მდე) და აღინიშნება ასე $\int_a^b f(x)\,dx$.

ნიუტონ-ლაიბნიცის ფორმულა. თუ განსაზღვრული ინტეგრალი $\int_a^b f(x)\,dx$ და განუსაზღვრელი ინტეგრალი $\int f(x)dx = F(x) + C$ არსებობს, მაშინ

$\int_a^b f(x)dx$=F(b)-F(a)

$\int xdx = \frac{x^2}{2} + C \int_2^4 xdx = \left[\frac{x^2}{2}\right]_2^4 = \frac{4^2}{2} - \frac{2^2}{2} \int_0^1 e^{-\frac{x^2}{2}} dx$ რადგან $e^{\frac{-x^2}{2}}$ უწყვეტია $[0;1]$ სეგმენტზე, ამიტომ განსაზღვრული ინტეგრალი არსებობს, მაგრამ განუსაზღვრელი არ არსებობს. ე.ი. ვერ დავასახელებთ ისეთ F(x) ფუნქციას, რომლის წარმოებული იქნება (F(x))'=$e^{\frac{-x^2}{2}}$ ამიტომ ნიუტონ-ლაიბნიცის ფორმულას ვერ გამოვიყენებთ. $[0;1]$ სეგმენტი დავანაწილოთ თანაბრად n ნაწილად $\left[0;\frac{1}{n}\right]$, $\left[\frac{1}{n};\frac{2}{n}\right]$,…,$\left[\frac{n-1}{n};\frac{n}{n}\right]$. ξ_0=0, $\xi_1=\frac{1}{n}$, $\xi_2=\frac{2}{n}$,…,$\xi_{n-1}=\frac{n-1}{n}$.

რამინის ჯამი

$f(\xi_0)\times(\frac{1}{n}-0)+ f(\xi_1)\times(\frac{2}{n}-\frac{1}{n})+\ldots+ f(\xi_{n-1})\times(\frac{n}{n}-\frac{n-1}{n})=e^0\times\frac{1}{n}+e^{-\frac{1}{2n^2}}\times\frac{1}{n}+\ldots+e^{-\frac{(n-1)^2}{2n^2}}\times\frac{1}{n}\lim_{n\to 0}(e^0\times\frac{1}{n}+e^{-\frac{1}{2n^2}}\times\frac{1}{n}+\cdots+e^{-\frac{(n-1)^2}{2n^2}}\times\frac{1}{n})$=0,8413

თუ $\int_0^2 e^{-\frac{x^2}{2}}$dx

იგივე გზით ეს ზღვარი იქნება 0,9772.

გავიხსენოთ განსაზღვრული ინტეგრალის თვისებები.

თეორემა I. თუ არსებობს $\int_a^b f_1(x)\,dx$ და $\int_a^b f_2(x)dx$ მაშინ

1) ჯამის ინტეგრალიც არსებობს $\int_a^b [f_1(x)+f_2(x)]\,dx=\int_a^b f_1(x)dx+\int_a^b f_2(x)dx$

2) სხვაობის ინტეგრალიც არსებობს $\int_a^b [f_1(x)-f_2(x)]\,dx=\int_a^b f_1(x)dx-\int_a^b f_2(x)dx$

3) ნამრავლის ინტეგრალიც არსებობს

4) შეფარდების ინტეგრალიც არსებობს, სადაც

$\int_a^b f_2(x)dx \neq 0$

კონტრმაგალითი 1. $f_1(x) = \begin{cases} 0 \text{ როცა } x \in [a;b] \text{ რაციონალური რიცხვია} \\ 1 \text{ როცა } x \in [a;b] \text{ ირაციონალური რიცხვია} \end{cases}$

$f_2(x) = \begin{cases} 1 \text{ როცა } x \in [a;b] \text{ რაციონალური რიცხვია} \\ 0 \text{ როცა } x \in [a;b] \text{ ირაციონალური რიცხვია} \end{cases}$

$f_1(x)+f_2(x)=\begin{cases} 1 \text{ როცა } x \in [a;b] \text{ რაციონალური რიცხვია} \\ 1 \text{ როცა } x \in [a;b] \text{ ირაციონალური რიცხვია} \end{cases}$

$f_1(x)+f_2(x) \equiv 1$ $\int_a^b f_1(x)dx$ არ არსებობს და $\int_a^b f_2(x)dx$ არ არსებობს

$$\int_a^b [f_1(x)+f_2(x)]\,dx = 1 \times \int_a^b dx = 1 \times (b-a)$$

$$\forall x \in [a;b] \int_a^b [f_1(x)+f_2(x)]\,dx \neq \int_a^b f_1(x)dx + \int_a^b f_2(x)dx$$

კონტრმაგალითი 2.

$f_1(x) = \begin{cases} 0 \text{ როცა } x \in [a;b] \text{ რაციონალური რიცხვია} \\ 1 \text{ როცა } x \in [a;b] \text{ ირაციონალური რიცხვია} \end{cases}$

$f_2(x) = \begin{cases} 0 \text{ როცა } x \in [a;b] \text{ რაციონალური რიცხვია} \\ 1 \text{ როცა } x \in [a;b] \text{ ირაციონალური რიცხვია} \end{cases}$

$f_1(x)-f_2(x) \equiv 0$ $\int_a^b [f_1(x)+f_2(x)]$dx=0 $\int_a^b f_1(x)dx$ და $\int_a^b f_2(x)dx$ არ არსებობს.

კონტრმაგალითი 3.

$\int_a^b [f_1(x) \times f_2(x)]\, dx$ არსებობს, მაგრამ $\int_a^b f_1(x)dx$ და $\int_a^b f_2(x)dx$ არ არსებობს.

$$f_1(x) = \begin{cases} 0 \text{ როცა } x \in [a;b] \text{ } x \text{ რაციონალური რიცხვია} \\ 1 \text{ როცა } x \in [a;b] \text{ } x \text{ ირაციონალური რიცხვია} \end{cases}$$

$$f_2(x) = \begin{cases} 1 \text{ როცა } x \in [a;b] \text{ } x \text{ რაციონალური რიცხვია} \\ 0 \text{ როცა } x \in [a;b] \text{ } x \text{ ირაციონალური რიცხვია} \end{cases}$$

$$f_1(x) \times f_2(x) \equiv 0 \int_a^b [f_1(x) \times f_2(x)]\, dx = 0$$

კონტრმაგალითი 5.

$$\int_a^b [f_1(x) + f_2(x)]\, dx \neq \int_a^b f_1(x)dx + \int_a^b f_2(x)dx$$

$$f_1(x) = \begin{cases} 0 \text{ როცა } x \in [a;b] \text{ } x \text{ რაციონალური რიცხვია} \\ \sqrt{2} \text{ როცა } x \in [a;b] \text{ } x \text{ ირაციონალური რიცხვია} \end{cases}$$

$$f_2(x) = \begin{cases} \sqrt{2} \text{ როცა } x \in [a;b] \text{ } x \text{ რაციონალური რიცხვია} \\ 0 \text{ როცა } x \in [a;b] \text{ } x \text{ ირაციონალური რიცხვია} \end{cases}$$

$$f_1(x) + f_2(x) \equiv 2 \int_a^b [f_1(x) + f_2(x)]\, dx = \sqrt{2}(b-a)$$

ამრიგად, ასეთ ფუნქციათა ოჯახის სიმძლავრე თვლადზე მეტია (კონტინიუმია).

ლიტერატურა:

1. ა. ხარაძე, ვ. ჭელიძე, ბ. ხვედელიძე, ი. ქარცივაძე, მათემატიკური ანალიზის კურსი, ტ. 1, თბილისი, 1950.
2. Г. М. Фихтенгольц, Основы Математического Анализа, Москва, 1955.

ოქროს კვეთა

ნინო რაზმაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **სოსო ცოტნიაშვილი,** პროფესორი

სამყარო, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ, აღსავსეა საოცრებებით. სწორედ ამ საოცრებებით აღსავსე სამყაროსგან ყოველდღიურად მდიდრდება ადამიანი ახალი და ზოგჯერ გასაოცარი ცოდნით. სამყაროს შემეცნების ერთ-ერთი საოცრებას წარმოადგენს ოქროს კვეთა.

ტრადიციულადაა მიღებული, რომ ცნება - „ოქროს კვეთა“ პირველად შემოიღო პითაგორამ და ეს ცოდნა მან ძველი ბაბილონელებისა და ეგვიპტელებისგან შეიძინა. მართლაც, ფარაონი ხეოფსის პირამიდის ტაძრების აგებულება, სამკაულებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების პროპორციები ცხადყოფენ, რომ უძველესი ეგვიპტელი ოსტატები კარგად ფლობდნენ და აქტიურად იყენებდნენ ოქროს კვეთის პრინციპებს.

სხვა ვერსიით ტერმინი ''ოქროს კვეთა'' შემოიღო ლეონარდო და ვინჩიმ. მან აღმოაჩინა, რომ ამ პროპორციის პირობებში სისტემის ელემენტები ქმნიან ყველაზე უფრო სრულყოფილ ფორმებს და აღწევენ უმაღლეს ჰარმონიას ფერწერის, ქანდაკებისა თუ არქიტექტურის შედევრებში.

მაგრამ, ”ოქროს კვეთის“ მათემატიკური თეორიის სისტემატიზებურ საფუძვლებს მაინც უკავშირებენ შუა საუკუნეების ევროპელი მათემატიკოსის - ფიბონაჩის სახელს.

მე-13 საუკუნეში, იტალიელმა მათემატიკოსმა ლეონარდო ფიბონაჩიმ შეადგინა რიცხვთა მიმდევრობა, რომელშიც ყოველი მომდევნო ციფრი წინა ორი ციფრის ჯამის ტოლია.(1-1-2-3-5-8-13-21...),

გარდა ამისა, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაშია, რომ მეზობელი ციფრების შეფარდებები უახლოვდება 1,618-ს. მცენარეების, ცხოველების, ადამიანების აგებულებაში იმდენად ხშირად ვხვდებით 1,618-ს, რომ ანტიკური ხანის მეცნიერებმა მას „ღვთაებრივი პროპორცია“ უწოდეს.

ალბათ ყველას გვინახავს პენტაგრამა, რომელსაც ბევრი კულტურა მიიჩნევს ღვთაებრივ და ჯადოსნური ძალის მატარებელ გამოსახულებად, მასში ყველა სეგმენტის შეფარდება 1,618-ს ტოლია. თუ სწორად დავხაზავთ ამ სიმბოლოს, მაშინ წრფის მონაკვეთები ავტომატურად დაიყოფიან „ღვთაებრივი პროპორციის“ მიხედვით. შუა საუკუნეების ევროპაში ითვლებოდა, რომ პენტაგრამას შეეძლო დაეცვა ისინი ავი, ბოროტი სულების ზემოქმედებისგან, როგორც თილისმას, რასაც გოეთეს ფაუსტიც ადასტურებს.

ფიბონაჩის რიცხვებს ხშირად ბუნების ნუმერაციის სისტემასაც უწოდებენ, რადგან სამყაროში თითქმის ყველაფერი მასა და ოქროს კვეთის პროპორციას ემყარება, ეს ორი საკითხი კი საკმაოდ მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

ოქროს კვეთა მათემატიკაში - ჰარმონიული გაყოფა მთელისა ისეთ ორ არატოლ ნაწილად, როდესაც მცირე ნაწილი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი მთელს და პირიქით, მთელი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი მცირეს. ალგებრულად ოქროს კვეთა დაიყვანება შემდეგი განტოლების ამოხსნამდე:

$$\frac{a+b}{a} = \frac{a}{b} = \frac{1+\sqrt{5}}{2} = \varphi\,,$$



სადაც φ ოქროს კვეთის რიცხვია .

φ — ირაციონალური ალგებრული რიცხვი, კვადრატული განტოლების $x^2 - x - 1 = 0$ დადებითი ამონახსნი, საიდანაც წარმოდგება ურთიერთკავშირები:

$$\varphi^2 = \varphi + 1,$$
$$\varphi \cdot (\varphi - 1) = 1,$$
$$\varphi = \frac{1}{\varphi} + 1.$$

ოქროს კვეთა გეომეტრიაში:

ნებისმიერი მონაკვეთი შეიძლება გაიყოს ისე, რომ გაყოფილიდან პატარა ნაწილის ფარდობა დიდთან ტოლი იყოს დიდი ნაწილის ფარდობის მთლიან მონაკვეთთან. ეს კი უდრის 0.618-ს.

ოქროს სამკუთხედი

ოქროს სამკუთხედის გვერდების ფარდობა ტოლია 1.618-ს. რომ ავაგოთ ოქროს სამკუთხედი კვადრატის კუთხიდან, დავუშვათ მონაკვეთი გვერდის შუა წერტილამდე.



შემდეგი ნახაზი აჩვენებს როგორ მივიღოთ ოქროს მართკუთხედი.



შემდეგ ნახაზზე ნაჩვენებია ოქროს მართკუთხედების საშუალებით მიღებული ოქროს სპირალი:



შემდეგ ნახაზზე კი ჩანს, პუნქტირით ნაჩვენები ოქროს სპირალის ზომები ერთმანეთთან თანაფარდობაშიც იძლევა φ-ს, 0.618-ს.



$$\frac{r_2}{r_1} = \frac{r_3}{r_2} = \frac{r_4}{r_3} = \ldots = \frac{r_n}{r_{n-1}} = 1.618$$

$$\frac{d_2}{d_1} = \frac{d_3}{d_2} = \ldots = \frac{d_n}{d_{n-1}} = 1.618$$

(where $d_1 = r_1 + r_3$, $d_2 = r_2 + r_4$, etc.)

$$\frac{\text{arcXY}}{\text{arcWX}} = \frac{\text{arcYZ}}{\text{arcXY}}, \text{etc.} = \frac{\text{arcXZ}}{\text{arcWY}} = 1.618$$

$$\frac{\text{arcWY}}{\text{diam. (WY)}} = \frac{\text{arcXZ}}{\text{diam. (XZ)}}, \text{etc.} = 1.618$$

ოქროს სპირალს საზღვარი არ აქვს, დაიშლება უსასრულოდ. სპირალის ნებისმიერ წერტილში მისი რკალის სიგრძის ფარდობა დიამეტრთან ტოლია 1.618-ის.

ოქროს კვეთა გვხვდება მათემატიკაში, ლიტერატურაში, არქიტექტურაში, პოეზიაში, მხატვრობაში, მუსიკაში, რომელსაც ჩვენ კულმინაციას ვუწოდებთ. სწორედ კულმინაცია, გადამწყვეტი კვანძია ის მნიშვნელოვანი ნაწილი ქმნილებისა, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამა თუ იმ ნაწარმოებსა და ხელოვნების ნიმუშში. ბეთჰოვენი, ჰაიდნი, მოცარტი, შოპენი, შუბერტი - ეს იმ კლასიკოს კომპოზიტორთა არასრული ჩამონათვალია, რომელთა ნაწარმოებშიც ოქროს კვეთის მომენტი მკვეთრად იგრძნობა. ფოტოხელოვნებაში ოქროს კვეთა არის კადრის მთავარ წერტილში მნიშვნელოვანი ელემენტის ჩასმა. სხვადასხვა თანამედროვე ფირმის ლოგო სწორედ ამ მაგიური ფორმულის მიხედვით არის შექმნილი. აღსანიშნავია ის, რომ ძველი ეგვიპტელები სწორედ ამ ფორმულით აგებდნენ პირამიდებს. ამ პრინციპით ქმნიდა ლეონარდო და ვინჩი ნამუშევრებს. ამ მხრივ ყველაზე მეტად გამორჩეულია მისი „მონა ლიზა“ და „საიდუმლო სერობა.“ მონა ლიზას დახატვისას მხატვარმა გამოიყენა „ოქროს მართხუთკედი“, რომელიც იწყება მისი მარჯვენა მაჯიდან, მარცხენა იდაყვამდე და აღწევს თავს. ეს დიდი „ოქროს მართხკუთხედი“ პატარა მართხკუთხედებად იყოფა და ქმნის „ოქროს სპირალს“. მართხკუთხედები იქმნება ნიკაპთან, თვალთან, ცხვირთან. ასევე ცნობილია, რომ მონა ლიზას სხეულის ფორმას წარმოადგენს სამკუთხედი. ოქროს კვეთა ძალიან აქტუალური იყო რენესანსის პერიოდის ნამუშევრებში. ოქროს კვეთას ვხვდებით ძველ ბერძნულ არქიტექტურაშიც. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყოსანი“ მთლიანად ოქროს კვეთის პრინციპზეა აგებული.

70-90-იანი წლების ბიოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ დაწყებული ვირუსებითა და მცენარეებით, და დამთავრებული ადამიანის ორგანიზმით, ყველგან გვხვდება ოქროს პროპორცია, დამახასიათებელი მათი აღნაგობის პროპორციულობითა და ჰარმონიით. ოქროს კვეთა შესამჩნევია:

- ყვავილში;
- გირჩში;
- ფოთლის ფორმაში;
- ლოკოკინის სპირალში;
- კვერცხში;

- თოვლის ფიფქში;
- ბუნებრივ მოვლენებში, როგორებიცაა: ტორნადო და ქარბორბალა და სხვ.

"ოქროს კვეთა" მიჩნეულია ცოცხალი სისტემების უნივერსალურ კანონად. შეიძლება გამოვყოთ ოქროს კვეთის ცოცხალ ორგანიზმებში გამოვლინების ორი ტიპი: პითაგორას ირაციონალური დამოკიდებულება 1.62 და ფიბონაჩის რიცხვები. დადგენილ იქნა, რომ ფიბონაჩის რიცხვები ახასიათებს მრავალი ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურულ აღნაგობას. მაგალითად, ტოტზე ფოთლების ხრახნისებრი განლაგება ქმნის ფიბონაჩის რიცხვების შესაბამის ფრაქციას. კარგადაა ცნობილი ოქროს პროპორცია ვაშლის, მსხლისა თუ ბევრი სხვა მცენარის ხუთფურცლოვან ყვავილებში. დნმ-სა და რნმ-ს მოლეკულებს გააჩნიათ ორმაგი სპირალი, რომელიც თავისი ზომით თითქმის სრულიად ემთხვევა ფიბონაჩის რიცხვებს. და ბოლოს - ადამიანი, მთელი თავისი სხეულის ერთიანი თუ ცალკეული ნაწილებით, ჰარმონიული ვიზუალისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სხეულის ნაწილები ერთმანეთს ოქროს კვეთის პრინციპით უკავშირდება, ხოლო მათემატიკა მთელი თავისი ფორმულებითა და ციფრებით სხვადასხვა კანონზომიერების მარეგულირებელია ამ სამყაროში.

ლიტერატურა:

1. Gareth E. Roberts The Golden Ratio and Fibonacci Numbers, Montserrat Seminar Spring 2012
2. Kenneth H. Rosen. Discrete Mathematics and its applications; 7th edition. 2011
3. Hazewinkel, Michiel, ed. (2001), "Golden ratio", *Encyclopedia of Mathematics*
4. Clement Falbo. The golden ratio–a contrary viewpoint. The College Mathematics Journal, 36, No. 2:123–134, 2005.

σ სასრული ზომის აგება R^N სივრცეებში

რუსუდან რაზმაძე

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ზერაკიძე,** პროფესორი

ვთქვათ, მოცემული გვაქვს R ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე და განვიხილოთ ამ R-ის ცვლადი რაოდენობა დეკარტული ნამრავლისა, რომელიც R^N-ით აღვნიშნოთ. ცხადია, რომ R^N არის ნამდვილი წრფივი სივრცე. შემოვიტანოთ მასში ტიხონოვის ტოპოლოგია და $\beta(R^N)$-ით აღვნიშნოთ ბორელის σ ალგებრა R^N-ში.

ზომის გაგრძელების (ე.ი. ალგებრიდან σ ალგებრაზე გაგრძელება ან σ ალგებრიდან უფრო ფართო σ ალგებრაზე გაგრძელება) სამი ძირითადი ასპექტი:

ა) სიმრავლურ თეორიული;

ბ) ალგებრული;

გ) ტოპოლოგიური.

ა) ამოცანა შემდეგნაირად ყალიბდება: შეიძლება თუ არა არანულოვანი σ სასრული დიფუზიური ზომა განისაზღვროს მოცემული არათვლადი სიმრავლის ყველა ქვესიმრავლისათვის;

ბ) მაგალითად, თუ მოცემული ზომა არის ინვარიანტული გარდაქმნათა რაიმე ჯგუფის მიმართ, მაშინ გაგრძელებული ზომაც იგივე თვისებებს უნდა აკმაყოფილებდეს.

გ) თუ თავიდან აღებულ ზომებს აქვს კარგი ტოპოლოგიური თვისებები, მაგალითად, რეგულარული ზომები, თავიდან აღებულ σ ალგებრაზე, გაგრძელებულ ზომებსაც იგივე თვისებები უნდა შეუნარჩუნდეს.

სასრულ განზომილებიან ევკლიდური სივრცისაგან განსხვავებით უსასრულო განზომილებიან ტოპოლოგიურ ვექტორულ სივრცეებში, როგორც წესი, არ არსებობს არანულოვანი σ სასრული ბორელის ზომა, რომელიც ინვარიანტულია სივრცის ყველა პარალელურ გადატანათა ჯგუფის მიმართ. სამაგიეროდ, არსებობს ისეთი არანულოვანი σ სასრული ბორელის ზომები, რომლებიც ინვარიანტულია ყველგან მკვრივი ვექტორული ქვესივრცეების მიმართ. შემდეგი მაგალითი იძლევა ამ ფაქტის თვალსაჩინო ილუსტრაციას.

შემოვიტანოთ აღნიშვნა

$A_n = R_0 \times R_1 \times \ldots \times R_n \times \prod_{i>n} \Delta i$ $(n \in N)$, სადაც,

$(\forall i)\ (i \in N \rightarrow R_i = R)$,

$(\forall i)(i \in N \rightarrow \Delta i = [0, \frac{1}{i+1}))$.

ყოველი R_i $(i \in N)$ სივრცე აღვჭურვოთ ინვარიანტული ლებეგის ზომის, ნორმირებული $\mu_i(\Delta_i)=1$ პირობით, ხოლო ყოველი Δ_i $(i \in N)$ სივრცე აღვჭურვოთ ლებეგის λ_i ზომით, ნორმირებული $\lambda_i(\Delta_i) = 1$ პირობით.

ყოველი ნატურალური $i \in N$ -სთვის შემოვიღოთ აღნიშვნა $\chi_n = \prod_{i \leq n} \mu_i \times \prod_{i>n} \lambda_i$ და $\bar{\chi}_n$-ით აღვნიშნოთ ბორელის ზომა R^Nსივრცეში, განსაზღვრული ტოლობით $(\forall X)(X \in B(R^N) \rightarrow \bar{\chi}_n(X) = \chi_n(X \cap A_n))$.

$\{\bar{\chi}_n : n < \omega\}$ ზომათა ოჯახისათვის არსებობს ინდუქციური ზღვარი, $\lim_{n\to\infty} \bar{\chi}_n(X) = \chi(X)$,

თანაც χ ფუნქციონალი წარმოადგენს არანულოვან σ-სასრულო ზომას, რომელიც განსაზღვრულია R^N სივრცის ბორელის σ-ალგებრაზე.

მართლაც, რადგან ყოველი ნატურალური n რიცხვისათვის $A_n \subset A_{n+1}$, ამიტომ χ_{n+1} ზომის ადიტიურობის გამო გვექნება

$\bar{\chi}_{n+1}(x) = \chi_{n+1}(X \cap A_{n+1}) = \chi_{n+1}(X \cap [A_{n+1} \setminus A_n \cup A_n]) = \chi_{n+1}[X \cap (A_{n+1} \setminus A_n)] + \chi_{n+1}(X \cap A_n)$. შევნიშნოთ, რომ χ_{n+1} ზომის შევიწროება A_n სიმრავლეზე ემთხვევა χ_n ზომას. $A_n \subset A_{n+1}$ $(n \in N)$ ჩართვის გამო გვაქვს

$(\forall X)(X \in B(R^N) \rightarrow \chi_n(X \cap A_n) \leq \chi_{n+1}(X \cap A_{n+1}))$.

აქედან კი გამომდინარეობს ზღვრის არსებობა

$\lim_{n\to\infty} \bar{\chi}_n(X) = \chi(X)$.

ვაჩვენოთ, რომ ამ ზღვარს გააჩნია ზომის ყველა თვისება.

1) χ თვლადად ადიტიურია.

ვთქვათ, $X = \bigcup_{k \in N} X_k$, სადაც

$(\forall k)(\forall n)(k \in N \& n \in N \& k \neq n \rightarrow X_k \cap X_k = \phi)$.

$(\forall k)(k \in N \rightarrow X_k \in dom(\chi))$.

ერთი მხრივ, გვაქვს

$\chi(X) = \lim_{n\to\infty} \bar{\chi}_n(X) = \lim_{n\to\infty} \bar{\chi}_n(\bigcup_{k \in N} X_k) = \lim_{n\to\infty} \sum_{k \in N} \bar{\chi}_n(X_k) \leq \sum_{k \in N} \lim_{n\to\infty} \bar{\chi}_n(X_k) = \sum_{k \in N} \chi(X_k)$

ხოლო, მეორე მხრივ, შეგვიძლია დავწეროთ

$\chi(X) = \lim_{n\to\infty} \sum_{k \in N} \bar{\chi}_n(X_k) = \lim_{n\to\infty} (\sum_{k=1}^{m} \bar{\chi}_n(X_k)) + \lim_{n\to\infty} \sum_{k>m} \bar{\chi}_n(X_k) = \sum_{k=1}^{m} \lim_{n\to\infty} \bar{\chi}_n(X_k) + \lim_{n\to\infty} \sum_{k>m} \bar{\chi}_n(X_k) = \sum_{k=1}^{m} \bar{\chi}_n(X_k) + \lim_{k\to\infty} \sum_{k \in N} \bar{\chi}_n(X_k)$,

ე.ი. $\chi(\bigcup_{k \in N} X_k) \geq \sum_{k=1}^{m} \chi(X_k)$,

და, შესაბამისად, $\chi(\bigcup_{k \in N} X_k) \geq \sum_{k \in N} \chi(X_k)$.

საბოლოოდ კი მივიღებთ, რომ

$\chi(\bigcup_{k \in N} X_k) = \sum_{k \in N} \chi(X_k)$.

ამით χ ზომის თვლადად ადიტიურობა დამტკიცებულია.

2) χ ზომა არანულოვანია, რადგან $\chi \prod_{i \in N} \Delta i) = 1$.

3) χ ზომა σ-სასრულია.

მართლაც, შევნიშნოთ, რომ $R^N = (R^N \setminus \bigcup_{n \in N} A_n) \cup (\bigcup_{n \in N} A_n)$.

რადგან $R^N \setminus \bigcup_{n \in N} A_n \in B(R^N)$,

ამიტომ χ ზომის განსაზღვრის თანახმად, გვექნება

$\bar{\chi}_n(R^N \setminus \bigcup_{n \in N} A_n) = \chi_n\{[R^N \setminus \bigcup_{n \in N} A_n] \cap A_n\} = \chi_n(\phi) = 0$.

რადგან ყოველი $n \in N$ინდექსისთვის $\bar{\chi}_n$ არის σ-სასრული, ამიტომ არსებობს $\{B_k^{(n)} : k \in N\}$ ზომად სიმრავლეთა ოჯახი ისეთი, რომ

$(\forall k)(k \in N \rightarrow \bar{\chi}_n(B_k^{(n)}) < +\infty)$;

$(\forall k)(k \in N \rightarrow A_n = \bigcup_{k \in N} B_k^{(n)})$.

განვიხილოთ სიმრავლეთა ოჯახი $\{B_k^{(n)} : k \in N, n \in N\}$.

ცხადია, რომ $(\forall k)(\forall n)(k \in N \& n \in N \to \chi(B_k^{(n)}) = \chi(B_k^{(n)} \cap A_n) = \bar{\chi}_n(B_k^{(n)}) < +\infty)$.

მეორე მხრივ, გვაქვს $\bigcup_{n\in N} A_n = \bigcup_{n\in N}(\bigcup_{k\in N} B_k^{(n)})$.

საბოლოოდ მივიღებთ $R^N = (R^N \setminus \bigcup_{n\in N} A_n) \cup (\bigcup_{n\in N}(\bigcup_{k\in N} B_k^{(n)}))$,

საიდანაც ვღებულობთ, რომ χ ზომა σ-სასრულია.

ჩვენი შემდეგი ამოცანაა პირდაპირი ნამრავლის მეთოდით უსასრულო განზომილებიან ტოპოლოგიურ R^N სივრცისათვის ავაგოთ მოცემული ინვარიანტული ბორელის χ(X) ზომის არასეპარაბელური გაგრძელება, რომელიც ფლობს ერთადერთობის თვისებას.

ავიღოთ χ ჩვენი ბორელის ზომა და μ ზომა, რომელიც მეტრიკულად ტრანზიტულია Gi თვლადი ქვეჯგუფის მიმართ, ანუ ვიღებთ χ × μ ზომას, რომელიც იქნება არასეპარაბელური, ინვარიანტული R^N-ის ყველგან მკვრივი ქვეჯგუფის მიმართ და ამავე ჯგუფის მიმართ მეტრიკულად ტრანზიტული. ამასთან χ × μ განსრულებას აქვს ერთადერთობის თვისება.

დავუშვათ, $\forall i \in \omega$-სთვის $\Delta i = [0;1]$, ხოლო $\{\mu_j, j \in J\}$ არის R-ზე λ ლებეგის სტანდარტული ზომის გაგრძელებათა კლასი, სადაც, $\forall \mu_j$ ზომა არის ინვარიანტული და მეტრიკულად ტრანზიტული რაიმე R ადიციური ჯგუფის T_j ყველგან მკვრივი ქვეჯგუფისთვის. ცნობილია, რომ card(J)=2^{2^c}.

ახლა დავუშვათ, $\forall i \in \omega$-სთვის $\Delta i = [0;1]$, ცხადია $\mu_j(\Delta i)$=1, $(j \in J)$.

$$A_n = \prod_{i=0}^{n}\{R_i\} \times \prod_{i=n+1}^{\infty}\{\Delta i\}$$

დავაფიქსიროთ $j \in J$ ინდექსი და $\forall i$-სთვის $\Theta_i = \mu_j$ აგრეთვე $\forall i \in \omega$-სთვის შემოვიტანოთ V_n.

$V_n = \mu \times \prod_{i=1}^{n}\{\theta_i\} \times \prod_{i=n+1}^{\infty}\{\lambda_i\}$.

სადაც $\lambda_i = \bar{\lambda}$ ყველა ნატურალური $i \geq n$-სთვის.

$\bar{V}_n(X) = V_n(X \cap A_n)$ სადაც

X არის ნებისმიერი ქვესიმრავლე R^N -ისა, ისეთი, რომ $X \cap A_n$ არის V_n ზომადი.

$\mu(X) = \lim_{n\to\infty} \bar{V}_n(X)$

μ არის χ ზომის გაგრძელება S G ალგებრაზე, რომელიც არის σ-სასრული, არასეპარაბელური, G ინვარიანტული და მის გასრულებას არ აქვს ერთადერთობის თვისება.

თეორემა: R^N სივრცეზე მოცემული χ ბორელის σ -სასრულო ზომის ინვარიანტულ, არასეპარაბელურ და ერთადერთობის თვისების მქონე ზომაა გაგრძელებების კლასის სიმძლავრე არის 2^{2^c}.

პირდაპირი ნამრავლის მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია ავაგოთ ზომათა ნამრავლი χ × μ, რომელიც არის არასეპარაბელური, ინვარიანტული R^N-ის ყველგან მკვრივი ქვეჯგუფის მიმართ და ამავე ჯგუფის მიმართ მეტრიკულად ტრანზიტული. ამასთან, χ × μ გასრულებას აქვს ერთადერთობის თვისება.

სხვა მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია აიგოს χ ზომის მრავალი მეტრიკულად ტრანზიტული. გაგრძელება იმავე R^N უსასრულოგანზომილებიან ტოპოლოგიურ ვექტორულ სივრცეში.

დავუშვათ, L=$\{\mu_j, j \in J\}$ არის R-ზე λ ლებეგის სტანდარტული ზომის გაგრძელებათა კლასი, სადაც ყოველი μ_j ზომა არის ინვარიანტული და მეტრიკულად ტრანზიტული რაიმე R ადიციური ჯგუფის Γ_j ყველგან მკვრივი ქვეჯგუფისათვის. კარგად არის ცნობილი, რომ card(J) = 2^{2^c}.

ახლა დავუშვათ, რომ ყოველი $i < \omega$-სთვის Δ_i სიმბოლო აღნიშნავს [0;1] სეგმენტს.

$\mu_j(\Delta i)$=1, $(j \in J)$.

აღვნიშნოთ $A_n = \prod\{R_i, i \leq n\} \times \prod\{\Delta_i, i > n\}$,

სადაც R_i = R, ყოველი ნატურალური i რიცხვისთვის.

დავაფიქსიროთ $j \in J$ ინდექსი და ყოველი $i < \omega$ ინდექსისათვის აღვნიშნოთ $\Theta_i = \mu_j$. აგრეთვე, ყოველი $n < \omega$ რიცხვისათვის შემოვიტანოთ შემდეგნაირად განსაზღვრული ზომა V_n:

$$V_n = \mu \times \prod\{\theta_i, i < n\} \times \prod\{\lambda_i, i \geq n\},$$

სადაც $\forall \lambda_i$, $i \geq n$ არის ნორმირებული სტანდარტული გაუსის ზომა [0;1] სეგმენტზე, $\lambda_i = \bar{\lambda}$, ყველა ნატურალური $i \geq n$ რიცხვისთვის.

ახლა განვიხილოთ $\bar{V}_n$ ზომა, რომელიც R^N-ზე განსაზღვრულია შემდეგნაირად

$\bar{V}_n(X) = V_n(X \cap A_n)$,

სადაც, X არის ნებისმიერი ქვესიმრავლე R^N-ის ისეთი, რომ $X \cap A_n$ არის V_n ზომადი.

შემოვიღოთ აღნიშვნა $S = \{X \subset R^N : X \cap An \in dom(Vn), n \in N\}$.

შევნიშნოთ, რომ S არის R^N სივრცის ქვესიმრავლეთა σ-ალგებრა.
შემოვიტანოთ ჯგუფი
$G = \Gamma + \sum\{G_i : i < \omega\}$,
სადაც $G_i = \Gamma_j$, ყველა i ნატურალური რიცხვისთვის.

ფუნქციონალი V რომელიც განისაზღვრება ტოლობით

$$\mu(X) = \lim_{n\to\infty} V_n(X)$$

არის S-ზე განსაზღვრული ზომა, რომელიც წარმოადგენს χ ზომის გაგრძელებას და არის σ-სასრულო, არასეპარაბელური, G-ინვარიანტული და მის გასრულებას აქვს ერთადერთობის თვისება.

თეორემა: R^N სივრცეზე მოცემული χ ბორელის σ-სასრული ზომის ინვარიანტულ, არასეპარაბელურ და ერთადერთობის თვისების მქონე ზომათა გაგრძელებების კლასის სიმძლავრე არის 2^{2^c}.

ლიტერატურა:

1. Khazarashvili A., Kirtadze A., "On the measurability of functions with respect to certain classes of measures", Georgian Mathematical Journal, v. 11, n. 3, 2004, pp. 489-494.
2. Kharazishvili A.B., "Topological Aspects of Measure Theory", Izd. NaukovaDumka, Kiev, 1984 (in Russian).
3. Beriashvili M. Kirtadze A., "Non-separable extension of invariant Borel measures and measurability properties of real-valued functions", Proc. A. Razmadze Math. Inst. 162 (2013), pp. 111-115.
4. M. Beriashvili, A. Kirtadze, "On the uniqueness property of non-separable extensions of invariant measures and relative measurability of real-valued functions". Georgian Mathematical Journal, Vol. 21, Issue 1, 2014, pp. 49-57.

ტექსტის დაშიფვრის ისტორია და თანამედროვე მეთოდები

რუსუდან რაზმაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **სოსო ცოტნიაშვილი,** პროფესორი

შეტყობინება წარმოადგენს ღია ტექსტს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ჩვეულებრივი ტექსტის ან გარკვეული სიმბოლოებისა და გამოსახულების ერთობლიობის სახე (გამოთვლით ტექნიკასა და ინფორმაციულ სისტემებში, ტექსტური ინფორმაციის ჩასაწერად გამოიყენება ორობითი სიმბოლოები 0 და 1). დასაიდუმლოების მიზნით ღია ტექსტის დაშიფვრას (შიფრაცია), ხოლო დაშიფრული ტექსტიდან ღია ტექსტის აღდგენას - გაშიფვრა (დეშიფრაცია). შიფრაციისა და დეშიფრაციის მეთოდებისა და ალგორითმების კვლევას კრიპტოანალიზი ეწოდება, ხოლო დარგს, რომელიც სწავლობს შიფრაციისა და დეშიფრაციის ამოცანებს - კრიპტოგრაფია.

კრიპტოგრაფიულ ალგორითმს, როგორც წესი, გარკვეული მათემატიკური ფუნქციის სახე აქვს, რომელსაც, აგრეთვე, შიფრსაც უწოდებენ.

ადამიანი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა დაშიფრვის, შენიღბვის, დასაიდუმლოების მიმართ. ამის მაგალითებია, სამხედრო, სამეცნიერო, სახელმწიფო ჯგუფებისა თუ ცალკეულ პირთა პროფესიული მოქმედება. უძველესი შუმერის, ეგვიპტის, ისევე როგორც ჩინეთის, საბერძნეთისა და რომის ცივილიზაციისათვის ცნობილი იყო საიდუმლო დამწერლობისა და სხვა სახის დასაიდუმლოების საშუალებები.

საიდუმლო შიფრს იყენებდა რომის კეისარი იულიუს ცეზარიც. ამიტომ დღესაც სამეცნიერო ლიტერატურაში ცეზარის სახელით მოიხსენიება ერთ-ერთი კრიპტოგრაფიული ალგორითმი.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქაში საიდუმლო ალგორითმების მისაღებად იღვწოდნენ იმ დროის გამოჩენილი ადამიანები, მათ შორის, ფილოსოფოსი ფრანსის ბეკონი, მათემატიკოსები ფრანსუა ვიეტი, ჯორდანო კარდანო, ჯონ ვალისი და სხვ. გაჩნდა დასაიდუმლოების შედარებით რთული მეთოდებიც.

XIX საუკუნეში დადგინდა, რომ შიფრის ალგორითმის საიდუმლოდ შენახვა შიფრის დაცულობის გარანტი არ არის და რომ შიფრი დაცული უნდა რჩებოდეს მაშინაც კი, როდესაც მოწინააღმდეგე სრულად ფლობს გამოყენებული შიფრის ალგორითმის შესახებ ინფორმაციას. სხვა სიტვებით, იდეალური შიფრის დაცულობა დამოკიდებული უნდა იყოს შიფრის გასაღების (პაროლის) დაცულობაზე. კრიპტოგრაფიის ეს ფუნდამენტური პრინციპი პირველად ჩამოაყალიბა 1883 წელს ავგუსტ კერჰოფმა („კერჰოფის პრინციპი“), შემდგომში ეს პრინციპი განავრცო კლოდ შენონმა — „მტერი იცნობს სისტემას“. თუ XX საუკუნემდე კრიპტოგრაფია ძირითადად მანიპულირებდა სიმბოლოებზე და იყენებდა ლინგვისტიკის ელემენტებს, XX საუკუნიდან ხდება მათემატიკის ინტენსიური გამოყენება, ინფორმაციის თეორიის, სტატისტიკის, კომბინატორიკის, აბსტრაქტული ალგებრის და რიცხვთა თეორიის ჩათვლით. ბოლო წლებში მიმდინარეობს კრიპტოგრაფიაში კვანტური ფიზიკის ელემენტების შემოტანაც.

ტექსტის დაშიფვრის შემდეგი იდეა: მოცემულ ტექსტურ სიტყვებში და მთლიანად წინადადებაში ასო-ნიშნებს შევუცვალოთ ადგილები. პოზიციების ცვლილება, ცხადია, გამოიწვევს ტექსტში ასო-ნიშნების არევას და ტექსტის შინაარსის გაბუნდოვანებას, რაც განსაზღვრების თანახმად არის ტექსტის გარდაქმნა, ანუ დაშიფრვა. ასეთი დაშიფვრის წესია იულიუს ცეზარის ალგორითმი, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს იმ დროს არსებული ალგორითმების ერთ-ერთ ვარიანტს.

ცეზარი თავის გზავნილში ლათინური ანბანის პირველ A ასოს ცვლიდა, მეოთხე D ასო-ნიშნით, მეორე B ასოს - მეხუთე E ასოთი და ა.შ. ბოლო Z ასოს - მესამე C ასოთი. ამრიგად, თუ პირველ სტრიქონში ჩავწერთ ლათინური ანბანის ასო-ნიშნებს ჩვეულებრივი რიგის მიხედვით, ხოლო მეორე სტრიქონში დავალაგებთ შიფრის შესაბამის ასო-ნიშნებს, მივიღებთ დაშიფვრის ალგორითმს:

A B C D E F G H I J K L M N O P Q R S T U V W X Y Z
D E F G H I J K L M N O P Q R S T U V W X Y Z A B C

ცეზარის მიერ სენატისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ დაშიფრულ შეტყობინებას ცეზარის ალგორითმის შესაბამისად აქვს შემდეგი სახე: YLFL, YLGL, YHQL ხოლო გაშიფვრის შემდეგ: „veni, vidi, vici'' რაც ქართულად ნიშნავს - „მოველ, ვნახე, დავამარცხე”. ასე შეატყობინა ცეზარმა რომის სენატს თავისი გამარჯვება 20 საუკუნის წინათ.

ცეზარის ალგორითმით დაშიფრული ტექსტი ადვილად იშიფრება კრიპტოაანალიზის საშუალებით. ქვემოთ მოცემულია ინგლისურ ტექსტში ასოების განაწილების სიხშირე.



სიხშირის ანალიზის საწინააღმდეგოდ იყენებენ მრავალჯერად ჩანაცვლებას (polyalphabetic cipher): ამისათვის იყენებენ სიტყვას, რომელსაც უწოდებენ კოდას. მაგალითად ,,სკამი'', ამ სიტყვის ასოებს შეუსაბამებენ მათ ნომერს ანბანში: ს-18, კ-10, ა-1, მ-12, ი-9. ამის შემდეგ ღია ტექსტის ასოებს ვანაცვლებთ მორიგეობით - პირველ ასოს 18-ით, მეორეს-10-ით, მესამეს- 1-ით, მეოთხეს - 12-ით, მეხუთეს 9-ით, მეექვსეს ისევ 18-ით და ა.შ. ასე დაშიფრული ტექსტი ბევრად უფრო საიმედოა, ვიდრე ცეზარის შიფრი.

ვიჟენერმა (1586 წ.) განავითარა ცეზარის ალგორითმი. ეს მოხდა ორი მიმართულებით:

პირველი მიმართულება გულისხმობს გადანაცვლებას არა მუდმივი სიდიდით, არამედ განსხვავებული წესით. ვთქვათ, პირველი ტექსტური ასო-ნიშანი გადაადგილდება k_1 პოზიციით, მე-2 – k_2 პოზიციით და ა.შ.

მეორე მიმართულება გულისხმობს გარკვეული მატრიცის აგებას, რომელიც განახორციელებს დაშიფვრას. მოსახერხებელია, რომ ასო-ნიშანთა განხილული გადანაცვლება ჩავწეროთ შემდეგი სახით. დავუშვათ, რომ ანბანის ასო-ნიშნებს შევუსაბამოთ რიცხვები ანბანში მათი რიგითი პოზიციის მიხედვით. ღია ტექსტი განვათავსოთ პირველ სტრიქონში, როგორც ცეზარის ალგორითმშია. მეორე სტრიქონში ჩავწეროთ ჩვენ მიერ შერჩეული „სიტყვა-გასაღები“ განმეორებით იმდენჯერ, რასაც მოითხოვს ტექსტი.

ტექსტი და გასაღები დავყოთ n სიგრძის ბლოკებად. შევკრიბოთ ბლოკის ყოველ რიგში მდგომი ტექსტის და გასაღების ასო-ნიშნის შესაბამისი რიცხვები. თუ ჯამი მეტია 33-ზე, მაშინ მას გამოვაკლოთ რიცხვი 33. ასე მიიღება შიფროტექსტის ასო-ნიშნები. ქართული ანბანის შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობებია: ა-1, ბ-2, გ-3, დ-4, ე-5, ვ-6, ზ-7, თ-8, ი-9, კ-10, ლ-11, მ-12, ნ-13, ო-14, პ-15, ჟ-16, რ-17, ს-18, ტ-19, უ-20, ფ-21, ქ-22, ღ-23, ყ-24, შ-25, ჩ-26, ც-27, ძ-28, წ-29, ჭ-30, ხ-31, ჯ-32, ჰ-33.

განვითარების შემდეგი პერიოდი უკავშირდება ვერნამის ალგორითმს, რომელსაც “ერთჯერად ბლოკნოტსაც“ უწოდებენ და დაფუძნებულია ე.წ. ციტირების მეთოდზე, რაც უფრო რთულ რამეს გულისხმობს. წარმოიდგინეთ, ორი ადამიანის – X-ის და Y-ის საუბარი. ამ დროს X ჩვეულებრივ უგზავნის Y-ს დაშიფრულ ტექსტს, თუმცა, საიდუმლო არხით არა უშუალოდ ტექსტის გასაღებს, არამედ ინფორმაციას გასაღების შესახებ. ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ Y-მა გასაღები თავად უნდა მოძებნოს. მაგალითისთვის, გასაღები, შეიძლება, შექსპირის „ჰამლეტი“ იყოს. საიდუმლო არხით X ნაწარმოების ავტორის ვინაობას, გამომცემლობას, გამოცემის წელს და, თუ საჭიროა, იმ გვერდსაც უთითებს, სადაც Y გასაღებს იპოვის. X-მა ისეთი წარმოდგენა უნდა შექმნას და ყველაფერი ისე უნდა დააკონკრეტოს, რომ Y-მა ზუსტად ის გასაღები მოძებნოს და მიაგნოს კიდეც. ამ დროს შეიძლება, გასაღები მთლიანი წინადადებაც იყოს. მოკლედ, თუ ცეზარის დროს გასაღების სიგრძე 1 გახლდათ, ვიჟინერის დროს იგი მეტი იყო 1-ზე, ხოლო ვერნამის მეთოდით, იგი შეიძლება დასაშიფრი ტექსტის ტოლიც კი იყოს.

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან კრიპტოგრაფიული პროცესების ავტომატიზაციის მიზნით გამოიგონეს მოწყობილობები (მანქანები), რომლებშიც გამოყენებულია მბრუნავი როტორები. როტორს აქვს დისკოს ფორმა. მასზე სათანადო პოზიციებში ასო-ნიშნების განთავსება (ანუ ტექსტის ჩაწერა) და როტორების გარკვეული წესით შეერთება იწვევს ანბანის ასო-ნიშნების გადანაცვლება-ჩანაცვლებას, როგორც ეს ხდება ვიჟენერის ალგორითმში.

ყველაზე ცნობილი როტორული მანქანა იყო „ენიგმა“, რომელიც გერმანელების მიერ გამოყენებულ იქნა II მსოფლიო ომში. ამ ტიპის მანქანებმა კარდინალურად გაზარდა კრიპტოანალიზის სირთულე. თანამედროვე მეთოდებში გამოიყენება სიმეტრიული კრიპტოგრაფია, იგი იყენებს მეთოდებს, რომლის დროსაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები იყენებენ ერთსა და იმავე გასაღებს (იშვიათად სხვადასხვას, მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი გასაღები იოლად გამოითვლება მეორიდან). 1976 წლამდე ეს შიფრაციის ერთადერთი მეთოდი იყო. თანამედროვე სიმეტრიული კრიპტოგრაფია დაკავშირებულია ძირითადად ბლოკურ შიფრებთან, ნაკადურ შიფრებთან და მათ გამოყენებასთან.

ბლოკური შიფრი წარმოადგენს ფაქტობრივად პოლიალფაბეტური შიფრის მოდიფიკაციას: აიღება საწყისი ტექსტის გარკვეული სიგრძის ნაწილი (ბლოკი) და გასაღები, შედეგად მიიღება იგივე (იშვიათად განსხვავებული) სიგრძის შიფროტექსტი. შიფროტექსტის შემადგენელი ბლოკების ერთმანეთთან შერწყმისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, რომლებსაც მთლიანობაში ქმედების რეჟიმი ეწოდებათ. მონაცემთა შიფრაციის სტანდარტი (Data Encryption Standard — DES) და გაუმჯობესებული შიფრაციის სტანდარტი (Advanced Encryption Standard — AES) წარმოადგენენ ბლოკურ შიფრებს. DES (და მისი ნაირსახეობა 3DES) ჯერაც რჩება ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ალგორითმად და ფართოდ გამოიყენება. თუმცა მისი გასაღების სიგრძის არასაკმარისობის გამო, ხდება მისი ჩანაცვლება სხვა, უფრო თანამედროვე ალგორითმებით. დღემდე გამოგონილია მრავალი ბლოკური შიფრი, მათი უმეტესობა გატეხილია წარმატებული კრიპტოანალიზის შედეგად, ხოლო ნაკადური შიფრი ქმნის განუსაზღვრელი სიგრძის გასაღებს, რომელიც შემდგომ უერთდება საწყის ინფორმაციას (ბიტობრივად ან ბაიტობრივად). გამომავალი ინფორმაცია დამოკიდებულია შიფრის შინაგან მდგომარეობაზე, რომელიც მოქმედების მიმდინარეობისას იცვლება. საწყისი მდგომარეობა დამოკიდებულია შიფრის გასაღებზე (ზოგიერთ ნაკადურ შიფრში ტექსტზეც).

დაშიფვრის თანამედროვე მეთოდებში გამოიყენება ასიმეტრიული ალგორითმი. ასიმეტრიული ალგორითმის მეთოდის იდეა ისაა, რომ ორი მარტივი რიცხვის გამრავლებას სჭირდება გაცილებით ნაკლები დრო, ვიდრე პირიქით - მამრავლებად დაშლას. მაგალითად თუ ავიღებთ 2 ათასნიშნა მარტივ რიცხვს, მათ ნამრავლს კომპიუტერი რამდენიმე წამში იპოვის. პირიქით, მიღებული რიცხვის

მამრავლებად დაშლას კი საუკუნეები დასჭირდება. ალგორითმს აღვწერთ პატარა მარტივ რიცხვებზე. ცენტრი იღებს ორ მარტივ რიცხვს, მაგალითად p=3, q=5, და ამრავლებს მათ, n=15, ცენტრი იღებს კიდევ ერთ რიცხვს, ურთიერთ მარტივს (p-1)(q-1)=8 -თან, მაგალითად e=3. რიცხვები 15 და 3 არიან საჯარო, ისინი წარმოადგენენ საჯარო ბოქლომს და ხელმისაწვდომია ყველასთვის. ვთქვათ, გვინდა დავშიფროთ და ცენტრს მივწეროთ სიტყვა good. ეს მესიჯი უნდა ჩავწეროთ როგორც რიცხვი, g არის ინგლისური ალფაბეტის მე-7 ასო და შევუსაბამოთ 7, ასევე ყოველ ასოს შევუსაბამო ალფაბეტში მისი რიგითი ნომერი. ასოები დავშიფროთ სათითაოდ. ანუ ჩვენი პირველი მესიჯი იყოს m=7. ეს მესიჯი იშიფრება შემდეგნაირად: 7 აგვყავს e=3 ხარისხში 7^3=343, გამოვთვლით 343-ის 15-ზე გაყოფის შედეგად მიღებულ ნაშთს. ნაშთი ტოლია 13-ის. 13 არის დაშიფრული მესიჯი, რომელსაც ვუგზავნით ცენტრს. m*=13 რომ გაშიფროს ჩვენი დაშიფრული მესიჯი, ცენტრმა უნდა გამოთვალოს გასაღები, ანუ ისეთი d, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად ed რიცხვი (p-1)(q-1) -ზე გაყოფისას ნაშთში უნდა გვაძლევდეს 1. ჩვენს შემთხვევაში 3d -ს 8-ზე გაყოფისას ნაშთი უნდა იყოს 1. აქედან d=3. m*=13 აგვყავს d=3 ხარისხში და გამოვთვლით მიღებული რიცხვის n=15 -ზე გაყოფისას მიღებულ ნაშთს. მიღებული ნაშთი 7, არის აღდგენილი პირვანდელი მესიჯი.

ღია გასაღების კრიპტოსისტემები დაფუძნებულია „ძნელი“ პრობლემების გამოთვლით სირთულეზე. მაგალითად RSA ემყარება რიცხვის ფაქტორიზაციის პრობლემას (ანუ დიდი რიცხვის დაშლას მარტივ მამრავლებად), ხოლო დიფი-ჰელმანის ალგორითმი ეფუძნება დისკრეტული ლოგარითმების პრობლემას. ასეთი სისტემების უმეტესობაში ინტენსიურად გამოიყენება მოდულით გამრავლება და ახარისხება, შესაბამისად, გაცილებით მეტი გამოთვლითი სიმძლავრეა საჭირო, ვიდრე სიმეტრიულ სისტემებში. ამიტომ ღია გასაღების კრიპტოსისტემები ძირითადად გამოიყენება, როგორც ჰიბრიდული სისტემები, სადაც ინფორმაციის შიფრაცია/დეშიფრაციისათვის გამოიყენება სწრაფი სიმეტრიული ალგორითმები, ხოლო მისი გასაღების მართვისა და გადაცემისათვის გამოიყენება შედარებით ნელი ასიმეტრიული ალგორითმები.

ლიტერატურა:

1. Bruce Schneier. Applied Cryptography, Second Edition, Published Online: 9 OCT 2015 03:14AM EST.
2. Dr. Prerna Mahajan & Abhishek Sachdeva, A Study of Encryption Algorithms AES, DES and RSA for Security, Global Journal of Computer Science and Technology. Network, Web & Security Volume 13 Issue 15 Version 1.0 Year 2013
3. Keijo Ruohonen, Mathematical Cryptology, (Translation by Jussi Kangas and Paul Coughlan), 2014
4. რიჩარდ მეგრელიშვილი, კრიპტოგრაფია, როგორც ინფორმაციის გასაიდუმლოების მეცნიერება, http://cyber.kvira.ge/14432/

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგია, გეოგრაფია) და მიმართულებათშორისი დარგი (სპორტი)

ოზონოსფერო და მისი ეკოლოგიური მნიშვნელობა, ოზონის ხვრელი

ნინო გალაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი გოგინაშვილი,** პროფესორი

თანამედროვეობის ერთ-ერთ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს ოზონის შრის გათხელება. ეს პრობლემა ძირითადად დაკავშირებულია ადამიანის საქმიანობასთან, ამიტომ თვით ადამიანმა უნდა გადაჭრას იგი. საერთაშორისო საზოგადოებას გათვითცნობიერებული აქვს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისათვის ოზონის შრის განადგურების კატასტროფული შედეგები და უკვე შეუდგა ამ პრობლემის გადაჭრას. გადაიდგა პირველი ნაბიჯები, მაგრამ სრული წარმატებისათვის საჭიროა დედამიწის მცხოვრები ყველა ადამიანის საერთო ძალისხმევა და მონდომება.

დედამიწას გარს აკრავს ატმოსფერო, იგი წარმოადგენს გეოსფეროს გაზოვან გარსს. ატმოსფეროს ძირითადი ფუნქციაა დედამიწაზე სიცოცხლის დაცვა. მისი მარაგი პრაქტიკულად უსაზღვროა და ვრცელდება დედამიწის ზედაპირიდან 2000 კმ სიმაღლემდე (თუმცა მისი კვალი 20 000 კმ-ზეც არის ნაპოვნი). ატმოსფეროს აგებულება შრეობრივია და შრეები თანმიმდევრობით ცვლიან ერთმანეთს. თითოეული მათგანის სიმაღლე დამოკიდებულია განედებსა და წლის დროზე. გარდა ამისა, ატმოსფეროს შრეები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან ქიმიური შედგენილობით და მასში მიმდინარე ფიზიკური პროცესებით.

ატმოსფერო ძირითადად შედგება შემდეგი ფენებისაგან: ტროპოსფერო, რომელიც ვრცელდება დედამიწის ზედაპირიდან 20 კმ სიმაღლემდე და ამ ფენაში იმყოფება ჟანგბადის ძირითადი რაოდენობა (20,95%). სტრატოსფერო მოიცავს 20-დან 50 კმ-მდე სიმაღლეს, მეზოსფერო - 50-დან 80 კმ-მდე, თერმოსფერო - 80-დან 1000 კმ-მდე, ეგზოსფერო - 1000-დან 2000 კმ-მდე.

ტროპოსფეროსა და სტრატოსფეროს საზღვარზე იმყოფება ოზონოსფერო, თუმცა მისი დიდი ნაწილი სტრატოსფეროშია მოქცეული. თუ სტრატოსფერული ოზონი დედამიწაზე სიცოცხლის მომტანია, ტროპოსფეროში მისი კონცენტრაციის მომატება მხოლოდ ურთულეს დაავადებებსა და სიკვდილს მოიტანდა.

ოზონი ლურჯი აირია, აქვს დამახასიათებელი სუნი, რომელიც ელექტროგანმუხტვის დროს შეიგრძნობა. ოზონს H_2S-თან შედარებით 50-ჯერ უფრო მკვეთრი სუნი აქვს. იგი, როგორც ენდოთერმული ნაერთი, ადვილად იშლება ატომური ჟანგბადის გამოყოფით.

$$O_3 \rightarrow O_2 + O$$

ამიტომ ოზონი ჟანგბადზე უფრო ძლიერი მჟანგავია და ოთახის ტემპერატურაზე (20^0C) ჟანგავს ვერცხლს, ოქროსა და პლატინას:

$$2Ag + O_3 \rightarrow Ag_2O + O_2 \uparrow$$

$$2Au + 3O_3 \rightarrow Au_2O_3 + 3O_2 \uparrow$$

ოზონს აქვს ბაქტერიოციდული თვისებები. ძალიან მცირე კონცენტრაციის შემთხვევაში ასუფთავებს ჰაერსა და წყალს მიკროორგანიზმებისაგან, მაგრამ 1 მგ/მ^3 კონცენტრაციისას მომწამლავია ადამიანისათვის.

ოზონის წარმოქმნა მიმდინარეობს ატმოსფეროს ზედა ფენაში (18-20 კმ-ის სიმაღლეზე) მოლეკულური ჟანგბადისაგან. ჯერ ჟანგბადის მოლეკულა ულტრაიისფერი გამოსხივების ზემოქმედებით იხლიჩება ატომურ ჟანგბადად:

$$O_2 + h\nu \rightarrow O + O$$

შემდეგ ატომური ჟანგბადი ეჯახება მოლეკულურ ჟანგბადს და წარმოქმნის ოზონის მოლეკულას:

$$O + O_2 \rightarrow O_3$$

ოზონის წარმოქმნის შეჯამებული რეაქციაა:

$$3O_2 + h\nu \leftrightarrows 2O_3$$

ოზონის მოლეკულა მდგრადი არ არის და სინათლის კვანტის შთანთქმის შედეგად ისევ იშლება - ხდება ფოტოქიმიური რეაქცია.

$$2O_3 + h\nu \xrightarrow{\lambda=220-320\text{ нм}} O_2 + O$$

დაშლის პროცესში ოზონი შთანთქავს სინათლის კვანტს, რომლის ტალღის სიგრძე 220 – 320 ნმ-მდეა. ასეთი მაღალტალღიანი სინათლის კვანტი დამღუპველად მოქმედებს მცენარეებსა და ცხოველებზე. ოზონის წარმოქმნის და დაშლის პროცესების შედეგად მზის ულტრაიისფერი გამოსხივება (λ=250 ნმ) ოზონის ფენაში გავლისას პრაქტიკულად მთლიანად შთაინთქმება (ნახ. 1). აღნიშნული პროცესი იცავს დედამიწას ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან, ამიტომ დაუშვებელია ატმოსფეროს ზედა ფენაში ოზონის კონცენტრაციის შემცირება.



ნახ. 1. მზის ულტრაიისფერი გამოსხივების შთანთქმა ატმოსფერული აირებით

ატმოსფეროში ოზონის კონცენტრაციას გამოსახავენ მოცულობითი წილით - მკგ-ით 1 $მ^3$ ჰაერში, ან დობსონის ერთეულებით (დ.ე. პირობითი სიდიდეა, რომელიც შეესაბამება ატმოსფეროში ოზონის 0,001 სმ ფენას). აღნიშნულის გათვალისწინებით, ოზონის შრის სისქე შეადგენს 0,29 სმ, რაც შეესაბამება 290 დობსონს. მისი კონცენტრაცია ატმოსფეროში $3 \cdot 10^{-7} – 2 \cdot 10^{-6}$ %-ია, საერთო მასა კი $3,1 \cdot 10^9$ ტ. ოზონის საერთო რაოდენობის 8-15% ტროპოსფეროშია, სადაც მისი კონცენტრაცია დღე-ღამის, სეზონების და მეტეოროლოგიური პირობების მიხედვით იცვლება. მისი ძირითადი საცავი სტრატოსფეროა, სადაც მაქსიმალური კონცენტრაციები აღინიშნება გაზაფხულზე, მინიმალური - შემოდგომა-ზამთრის სეზონში. ოზონის კონცენტრაცია სტრატოსფეროში სიმაღლის შესაბამისად თავდაპირველად იზრდება, შემდეგ კი მცირდება. მისი მაქსიმალური კონცენტრაციები დედამიწიდან 18-20 კმ სიმაღლეზე ფიქსირდება, შემდეგ თანდათანობით მცირდება და მინიმალური რაოდენობა ფიქსირდება 70-100 კმ-ზე, სადაც მხოლოდ კვალის სახით გვხვდება.

ტროპოსფეროში მცირე რაოდენობით ოზონი წარმოიქმნება ელჭექის, ნელი განმუხტვის და ზოგიერთი ორგანული ნივთიერების დაჟანგვის დროს. მისი ძირითადი გენერატორი აზოტის ოქსიდებია, რომელთაც ფოტოდისოციაციის დაბალი ენერგია ესაჭიროება ($\lambda < 400$ნმ).

$$NO_2 \rightarrow NO + O$$

$$O_2 + O \rightarrow O_3$$

გარემოს ანთროპოგენური დაბინძურების ზრდის ტენდენცია განსაზღვრავს ტროპოსფეროში ოზონის მრავალწლიურ დინამიკას. 1907–1980 წწ. მისი კონცენტრაცია 60%-ით გაიზარდა. საშუალოდ წლიურმა ნამატმა კი 1-2% შეადგინა. ამჟამად ტროფოსფეროში ოზონის ფონური კონცენტრაცია 20-30 $მკგ/მ^3$-ია. სამრეწველო რაიონების ჰაერში მისი შემცველობა 1,5 – 1,7-ჯერ მეტია სოფლის რეგიონებთან შედარებით. ევროპის დიდი ქალაქების ჰაერში ოზონის კონცენტრაცია 2-4 - ჯერ, აშშ-ში კი 10-ჯერ და მეტად აღემატება ზდკ (30$მკგ/მ^3$). ლოს-ანჟელესის ჰაერში დაფიქსირებული იყო 1000 მკგ/ლ ოზონი. გარდა ბიოლოგიური ზიანისა, ტროპოსფეროში ოზონის კონცენტრაციის ზრდა ქმნის ტექნიკური ხასიათის სიძნელეებს - ძლიერდება ლითონთა კოროზია, იშლება რეზინის ნაკეთობები და სხვ.

სავარაუდო შეფასებით ატმოსფეროში ოზონის დინამიკას განსაზღვრავს 120-მდე ქიმიური რეაქცია, რომლებშიც მინიმუმ 40 ნივთიერება მონაწილეობს.

ატმოსფეროში ოზონის განაწილების შესწავლა დაიწყო 1875 წლიდან. ადრე მიღებულ მონაცემებთან ერთად საინფორმაციო ბანკი მოიცავს მსოფლიოს 140 პუნქტში 50 წლიანი სინქრონული დაკვირვების შედეგებს. ბოლო 30 წლის მანძილზე კი საინტერესო ინფორმაცია დაგროვდა კოსმოსური თანამგზავრების გამოყენებით.

1985 წ. გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე ნაჩვენები იყო ანტარქტიდაში ოზონის საერთო რაოდენობის შემცირების ტენდენცია. 1970-1984 წწ. მიღებული მონაცემებით სადგურ ხალილბეიში ოზონოსფეროს სისქემ 200 დ.ე-მდე შემცირდა. 1987 წ. სადგურ მაკმიორდზე დაფიქსირებული იყო ოზონოსფეროს კიდევ უფრო თხელი ფენა 100-120 დ.ე., რომლებიც ცნობილია „ოზონის ხვრელების“ სახელწოდებით. ანტარქტიდაში „ოზონის ხვრელის“ საერთო ფართობი 10-15 მლნ $კმ^2$ აღწევს. მოგვიანებით, უფრო მცირე ფართობის ხვრელები აღმოჩენილი იქნა არქტიკის და ზოგიერთი დიდი ქალაქის თავზეც.

ეკოლოგიური თვალსაზრისით პრობლემა გლობალური მასშტაბისაა და მოსალოდნელი შედეგების გამო უაღრესად სერიოზულია.

ერთნიშნა პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რატომ გაჩნდა „ოზონის ხვრელი“, რა არის მისი რეალური მიზეზი, შესაძლო ფაქტორების სიმრავლის გამო, არც ისე მარტივია.

ოზონის ხვრელის გაჩენას სხვადასხვა მიზეზით ხსნიან. იყო მოსაზრება, რომ იგი დაკავშირებულია გარემოს ციკლურ მოვლენებთან. ზოგი მეცნიერი ოზონის შრის დაშლის ძირითად მიზეზად ზებგერით თვითმფრინავებს მიიჩნევს, რომელთა გამონაბოლქვ აირებში შემავალი NO_x იწვევს სტრატოსფერული ოზონის კონცენტრაციის შემცირებას. ტროპოსფეროსგან განსხვავებით, სტრატოსფეროში NO_x აკატალიზებს ოზონის დაშლას. NO_x-ის თანაობისას იღუპება ოზონი და მისი გენერატორი - ატომური ჟანგბადი:

$$NO_2 \rightarrow NO + O$$
$$NO + O_3 \rightarrow NO_2 + O_2$$
$$NO_2 + O \rightarrow NO + O_2$$

მაგრამ ცნობილია, რომ ასეთი თვითმფრინავების გამოყენება ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეიზღუდა, ამიტომ სტრატოსფეროში მიმდინარე მოვლენებს მხოლოდ ზებგერით თვითმფრინავებს ვერ მივაწერთ.

1974 წ. ამერიკელმა მკვლევრებმა (მ. მოლინმა და შ. როულმა) ოზონოსფეროს დეგრადაცია სტრატოსფეროში ფრეონების - ფთორქლორნახშირწყალბადების არსებობით ახსნეს. ფრეონების ($CFCl_3$, $CFCl_2$ - შესაბამისად - F_{11}, F_{12}) ფოტოდისოციაციით წარმოქმნილ Cl-ს შეუძლია ოზონის კატალიზური დაშლა:

$$Cl + O_3 \rightarrow ClO + O_2$$
$$ClO + O \rightarrow Cl + O_2$$

პროცესის კატალიზური ბუნების გამო, ფრეონის ერთმა მოლეკულამ შეიძლება ოზონის 10 000-მდე მოლეკულა დაშალოს (ნახ. 2). იმ დროისათვის არსებული მონაცემების გათვალისწინებით გაკეთებული პროგნოზით 2050 წლისათვის ატმოსფეროში ოზონის შემცველობა უნდა განახევრდეს. ფრეონის გავლენა ოზონოსფეროზე მოგვიანებით დადასტურდა ექსპერიმენტული მონაცემებითაც. „ხვრელის“ ზონაში, 19-20 კმ სიმაღლეზე, Cl-ის კონცენტრაცია 100-300-ჯერ მეტი აღმოჩნდა ზომიერ სარტყელთან შედარებით.



ნახ. 2. ოზონის ფენის დაშლის და წარმოქმნის ხელშემწყობი ფაქტორები 1995 წლის მიხედვით

ფრეონები იაფი, უვნებელი, ცეცხლმდეგი ნივთიერებებია და ჰაერთან არ წარმოქმნიან ფეთქებად ნარევებს. სწორედ ამიტომ ისინი წლების მანძილზე წარმატებით გამოიყენება მაცივრებში, კონდიციონერებში, საფრქვეველების და გამხსნელების წარმოებაში. 1956-1975 წწ. F_{11}-ის წარმოება 50-ჯერ F_{12}–ისა კი 20-ჯერ გაიზარდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში ფრეონების მსოფლიო წარმოებამ 2 მლნ ტ-ს მიაღწია. გამოყენების სპეციფიკიდან გამომდინარე ცხადია, რომ წარმოებული ფრეონები პრაქტიკულად მთლიანად იფანტება ტროპოსფეროში და დაახლოებით 1 წლის შემდეგ უკვე გვხვდება სტრატოსფეროში. გარემოში, F_{11}-ის და F_{12}-ის სიცოცხლის ხანგრძლივობა 70 და 100 წლითაა შეფასებული.

ამავე დროს, არის მოვლენები, რომლებიც ამუხრუჭებენ ოზონის დაშლას ან ხელს უწყობენ მის წარმოქმნას. მაგალითად, სტრატოსფეროში CO_2 აფერხებს ოზონის დაშლას, ტროპოსფეროში მოხვედრილი მეთანი და აზოტის ოქსიდები ხელს უწყობენ ოზონის წარმოქმნას:



$$NO + 2O_2 \rightarrow NO_2 + O_3$$



$$2NO_2 + 2O_2 \rightarrow N_2O_5 + O_3$$

ამგვარად, ფრეონები, NO_x, CCl_4 შლიან ოზონს. სტრატოსფეროში მოხვედრილი CO_2 მის წარმოქმნას უწყობენ ხელს.

მიუხედავად საწინააღმდეგო პროცესებისა, ოზონის კონცენტრაციის ბუნებრივი წონასწორობა მაინც ირღვევა, რაც, საბოლოოდ, დედამიწის დამცველი ეკრანის დაშლას უწყობს ხელს.

ოზონოსფეროს გათხელებით განპირობებულ მომატებულ ულტრაიისფერ გამოსხივებას უდიდესი გავლენა აქვს ადამიანის ჯანმრთელობაზე. პირველ რიგში, იგი მოიცავს კანის კიბოსა და კიბოსწინა მდგომარეობის მაღალ რიცხვს. შეიძლება ადამიანს განუვითარდეს მელანომა, კატარაქტა, ბადურის დეგენერაცია და იმუნური პასუხის დარღვევა. ულტრაიისფერ გამოსხივებას შეიძლება მოჰყვეს კანცეროგენეზის პროცესი, დაბერება. ულტრაიისფერი სხივებით კანის დაბერების პირდაპირი ეფექტის ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან ღია ფერის კანის ადამიანები, რომლებიც მზეზე ადვილად იწვებიან (ნახ.3).

ანთროპოგენური ფაქტორის ზემოქმედებით ოზონოსფეროს დეგრადაცია რეალობაა და თანამედროვეობის ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება. მოსალოდნელი გლობალური კატასტროფის აცილების მიზნით ჯერ კიდევ 1977 წ. ჩატარდა პირველი საერთაშორისო თათბირი, სადაც განიხილეს ოზონოსფეროს დაცვის საკითხები. 1989 წ. ძალაში შევიდა მონრეალის საერთაშორისო თათბირის დადგენილება, რომლის მიხედვითაც 1995 წლისათვის ფრეონების წარმოება უნდა განახევრებულიყო. ასევე დაიგეგმა ოზონდამშლელი აირების (NO_x, CH_4 და სხვ.) შემცირების გზები. ამ შეთანხმებას რუსეთი გვიან შეუერთდა, აშშ კი დღემდე თავს იკავებს, თუმცა 6,3 მლრ $-ით დააფინანსა 50-მდე პროექტი, რომლებიც ამ პრობლემის გადაჭრას ეხება. გატარებული ღონისძიებების შედეგად 1986-1996 წწ. ფრეონების წარმოება 1,1 მლნ ტონიდან 0,16 მლნ ტონამდე შემცირდა. 1994 წლიდან კი ატმოსფეროში შეიმჩნევა ფრეონების კონცენტრაციის კლება.



ოზონის განლევის % **კანის კიბოს მატების %**

ნახ. 3. კავშირი სტრატოსფეროს ოზონის განლევის მატებასა კანის კიბოს სიხშირეს შორის განედის მიხედვით (1979-1994 წწ.)

საქართველო მონრეალის ოქმს 1996 წლის 21 მარტს შეუერთდა, თუმცა ჩვენი ქვეყანა არ აწარმოებს მონრეალის ოქმით კონტროლირებად არცერთ ნივთიერებას. საქართველომ აიღო იმის ვალდებულება, რომ განახორციელოს მონრეალის ოქმით განსაზღვრული ოზონდამშლელი ნივთიერებების ხმარებიდან ამოღება.

ამჟამად, მიმდინარეობს უსაფრთხო პროპელენტების ძიება. ამ მიზნით იაპონიაში დაიწყეს ახალი, შედარებით უმდგრადი ფრეონების წარმოება, რომლებიც სტრატოსფეროში მოხვედრამდე უნდა დაიშალოს.

მაშასადამე, გარემოს ანთროპოგენური ნივთიერებების მზარდი ემისია, მათი შემცირების გზების ძიება და უარყოფითი შედეგების, მით უმეტეს ოზონის შრის გათხელების საშინელი შედეგების რამდენადმე თავიდან აცილება თანამედროვეობის ერთ-ერთი ურთულესი გლობალური პრობლემაა. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საერთაშორისო თანამშრომლობა, მთელი მსოფლიოს მოსახლეობის გაერთიანება ამ უდიდესი, სიცოცხლისათვის აუცილებელი პრობლემის გადაწყვეტაში.

ლიტერატურა:

1. ურუშაძე თ., მაჭავარიანი ლ., გამოყენებითი ეკოლოგიის საფუძვლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013.
2. ქუთელია ქ., კუცია მ., ოზონის შრე როგორც XXI საუკუნის ეკოლოგიური პრობლემა. საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია. „სუბტროპიკული ზონის დარგების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2010.
3. ვეფხვაძე ნ., პრევენციული მედიცინა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.
4. სუპატაშვილი გ., გარემოს ქიმია (ეკოქიმია), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.
5. ქაჯაია გ., გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრინციპები, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2008.
6. Владимиров А.М. идр. Охрана окружающей среды, Гидрометиоиздат, М., 1991.

ჰიპოთალამუსი და ნეიროენდოკრინული დაავადებები

მარიამ გინტური

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამი უბირია,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

ნერვული სისტემის ფუნქციონირებაში ჰიპოთალამუსს სამი ძირითადი ფუნქცია აკისრია. 1) იგი წარმოადგენს ავტონომიურ ნერვული სისტემის „სათავო ბირთვს“; 2) ჰიპოთალამუსში მოთავსებულია ორგანიზმის ქცევის და ძილ-ღვიძილის ცირკადული და სეზონური ციკლის მაორგანიზებელი „შინაგანი საათი“; 3) ჰიპოთალამუსი წარმოადგენს ენდოკრინული სისტემის ნეირორეგულატორს. უკანასკნელ წლებში ნეირობიოლოგიის მიღწევების მეშვეობით, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ჩვენი ცოდნა ჰიპოთალამუსის ნეიროენდოკრინული მარეგულირებელი ფუნქციების სხვადასხვა ასპექტის შესახებ. გამოვლინდა, რომ ნეირონებში, ელექტრული იმპულსების გადაცემის გარდა, ხდება რთული მოლეკულების სინთეზი, საიდანაც ისინი სისტემურ ცირკულაციაში ხვდებიან. ამ მოლეკულებს შეუძლიათ ენდოკრინული, რენალური და ენდოთელური უჯრედების ინჰიბიცია და/ან აქტივაცია. კერძოდ, შეიქმნა ნეიროსეკრეციის კონცეფცია, რომლის თანახმად, ჰიპოთალამუსის გარკვეული ნეირონები ხასიათდება სეკრეტორული უჯრედების მორფოლოგიური თვისებებით.

ჰიპოთალამუსი - მოთავსებულია მესამე პარკუჭის ორივე მხარეს. უკნიდან იგი შემოსაზღვრულია მამილარული სხეულებით, წინიდან ქიაზმით, ლატერალურად მხედველობის ტრაქტებით, ქვევიდან ჰიპოფიზით. იგი შედგება უჯრედების სამი ძირითადი ჯგუფისგან, ესენია: 1. წინა ჯგუფი, რომელიც შეიცავს პრეოპტიკურ, სუპრაოპტიკურ და პარავენტრიკულურ ბირთვებს; 2. შუა ჯგუფი, რომელიც მოიცავს ტუბერულ, რკალოვან, ვენტრომედიალურ და დორზომედიალურ ბირთვებს; 3. უკანა ჯგუფი, რომელიც შედგება მამილარული და იკანა ჰიპოთალამური ბირთვებისგან. ჰიპოთალამუსის ქვედა ზედაპირიდან ე.წ. ლურჯი ალაგიდან (tuber cinereum) იწყება ძაბრი - infundibulum, რომელიც მიმემართება ნეიროჰიპოფიზისკენ. რკალოვანი და წინა პერივენტრიკულური ბირთვებიდან გამომავალი ნეირონების მიერ ხდება ჰიპოთალამუსის „რილიზინგ“ ფაქტორების სინთეზი.

ჰიპოთალამუსის „რილიზინგ“ ჰორმონებს შორის პირველად აღმოჩენილი იყო *თირეოტროპინ „რილიზინგ“ ჰორმონი (TRH).* ის გამომუშავდება წინა პერივენტრიკალური, პარავენტრიკალური, ვენტრომედიალური და დორსომედიალური ბირთვების ნეირონების მიერ. TRH ახდენს ჰიპოფიზიდან თიროიდ-მასტიმულირებელი ჰორმონის (TSH) სეკრეციის სტიმულაციას. ეს უკანასკნელი იწვევს თირიქსინის და (T_4) და ტრიიოდთირონინის (T_3) გამოყოფას. T_3 გააჩნია მაინჰიბირებელი უკუკავშირი TRHდა TSH-ის გამოყოფაზე. TRH-ის ნახევარზე მეტი გამოვლენილია ჰიპოთალამუსის გარეთ - ღერო ნაკერის ბირთვში, ზურგის ტვინის წინა და გვერდით რქებში, რაც სავარაუდოდ, ავტონომიური ნერვული სისტემის რეგულირებაში ამ ჰორმონის როლის მიმანიშნებელია. ზრდის ჰორმონი „რილიზინგ“ ჰორმონი (GHRH) და სომატოსტანინი (GH მაინჰიბირებელი ჰორმონი) სინთეზირდება ტუბეროინფუნდიბულური ნეირონების, კერძოდ ჰიპოთალამუსის ვენტრო მედიალური და რკალოვანი ბირთვების უკანა ნაწილების მიერ. ჰიპოთალამუსის რკალოვან ბირთვებზე პროეცირდება ჰიპოკამპის, ამიგდალას და სხვა ლიმბური სტრუქტურებიდან მომავალი ბოჭკოები, რომელთა მეშვეობით რეალიზდება ძილით და სტრესით გამოწვეული სომატოსტატინის და GH ფლუკთაცია. GH სეკრეციის რეგულაციას აგრეთვე ახდენს ბიოგენური ამინები (დოფამინი, ნორეპინეფრინი, ეპინეფრინი და სეროტონინი) და აცეტილქოლინი. კუნთების და ხრტილოვანი ქსოვილის ზრდის სტიმულირებით ზრდის ჰორმონი განაპირობებს ჩონჩხის ზრდას. ის აგრეთვე ახდენს ლიპოლიზის რეგულაციას, გააჩნია ინსულინის საწინააღმდეგო ეფექტი. ორგანიზმში მისი ყველაზე მაღალი კონცენტრაცია (60 ნგ/მლ) ჩაძინებიდან პირველი ორი საათის განმავლობაში აღინიშნება.

კორტიკოტროპინ „რილიზინგ“ ჰორმონი (CRH) - ქარმოადგენს 14 ამინომჟავისაგან შემდგარ პეპტიდს, რომელიც ვაზოპრესინთან სინერგიულად მოქმედებს და განაპირობებს ბაზოფილური უჯრედებიდან ადრენოკორტიკოტროპული (ACTH) ჰორმონის გამოყოფის. ACTH ასტიმულირებს თირკმელზედა ჯირკვლის ჰორმონების, გლუკოკორტიკოიდების, მინეტალკორტიკოიდების და ანდროკორტიკოიდების სინთეზს და გამოყოფას. CRH მასეკრეტირებელი ნეირონები ლოკალიზებულია პარავენტრიკულურ ბირთვში. პარავენტრიკულური ბირთვიდან გამომავალი ნეირონები წარმოქმნიან პარავენტრიკულო-სუპრაოპტიკო-ჰიპოფიზულ ტრაქტს, ანუ ნეიროჰიპოფიზს, რომელიც აგრეთვე გამოიმუშავებს ვაზოპრესინს, ოქსიტოცინს და სხვა აქტიურ პეპტიდებს. CRH ფართოდ არის გავრცელებული თავის ტვინში. სეროტონინი და აცეტილქოლინი ზრდის ACTH სეკრეციას, ხოლო კატექოლამინები მასზე მაინჰიბირებელ გავლენას ახდენს.

გონადოტროპინ „რილიზინგ“ ჰორმონი (GnRH) - წარმოადგენს 10 ამინომჟავისაგან შემდგარ პეპტიდს, რომელიც რკალოვან ბირთვში წარმოიქმნება. ის მოქმედებს ორი გონადოტრო -პული ჰორმონის სეკრეციაზე, ესენია: ფოლოკულმასტიმულირებელი ჰორმონი და მალუთეინიზირებელი ჰორმონი. პეპტიდ ინჰიბინის სეკრეციის მეშვეობით, სათესლეებს და საკვერცხეებს შესწევთ ინჰიბირების უნარი.

პროლაქტ „რილიზინგ“ ჰორმონი (PRH) - გამოიყოფა რკალოვანი ბირთვის ნეირონების მიერ და ახდენს ჰიპოფიზის წინა ნაწილის ლაქტოტროფული უჯრედების სტიმულაციას. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სხვა პეპტიდსაც შესწევს სისხლში პროლაქტინის დონის მომატების უნარი. ჰიპოათალამოპიტეიტური აქსისი განაპირობებს წოვის დროს ძუძუს დვრილებიდან მომვალი სენსორული იმპულსაციის გავლენას რძის სეკრეციაზე. პროლაქტინის სეკრეციაზე აგრეთვე მოქმედებს ჰიპოფიზის ლაქტოტრიფული უჯრედებიდან მომავალი დოფამინირებული მაინჰიბირებელი იმპულსაცია. ეს მექანიზმი განაპირობებს ჰიპოფიზის სიმსივნის დროს გალაქტორეას და რეპროდუქციული პრობლემების განვითარებას, რომელსაც იწვევს სიმსივნით ჰიპოფიზია, ფეხის კომპრესია და ვენური სისხლნაკადის შეწყვეტა, თანხლებული ჰიპოთალამუსიდან დოფამინის ტრანსპორტირების შეფერხებით.

ნეიროჰიპოფიზი: ვაზოპრესინი და ოქსიტოცინი - პეპტიდები ვაზოპრესინი და ოქსიტოცინი გამომუშავდება სუპრაოპტიკურ და პარასვენტრიკულურ ბირთვებში და აქსონური ტრანსპორტის მეშვეობით, გროვდება ნეიროჰიპოფიზად წოდებულ ჰიპოფიზის უკანა ნაწილში. ვაზოპრესინი, მოქმედებს რა ტირკმელების ტუბულარულ სისტემაზე, ფუნქციონირებს როგორც ანტიდურეზული ჰორმონი და წყურვილის მექანიზმთან ერთად, განაპირობებს სისხლის ოსმოლარვობას. სისხლის მოცულობის და წნევის ცვალებადობა აგრეთვე ახდენს ვაზოპრესინის სეკრეციის მოდიფიკაციას.

ოქსიტოცინი განაპირობებს საშვილოსნოს შეკუმშვას და ხელს უწყობს რძის გამოყოფას.

პინეალური ჯირკვალი (ჯალღუზისებრი სხეული, ეპიფიზი) - წამოადგენს მცირე ზომის ჯირკვლოვან სტრუქტურას, რომელიც მოთავსებულია დორზალურ ჰიპოთალამუსში და მდებარეობს მესამე პარკუჭის უკან. მის სეკრეციაზე გავლენას ახდენს დღის და ღამის ცირკადული მონაცვლეობა. მელატონინი გამოიმუშავება პინეალოციტების მიერ.

ჰიპოთალამუსი და სქესობრივი განვითარება - მნიშვნელოვანია ჰიპოთალამუსის როლი სქესობრივ განვითარებაში. ჰიპოთალამუსის სუპრაქაიზმული ბირთვი მნიშვნელოვნად უფრო დიდია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში, რაც უკვე პოსტნატალურ პერიოდში ვითარდება. ჰიპოთალამუსის ინტერსტიციული ბირთვი მნიშვნელოვნად უფრო პატარა ზომისაა ჰომოსექსუალებში, რაც ვარაუდობს, რომ ჰომოსექსუალურ ორიენტაციას გააჩნია მორფოლოგიური საფუძველი.

სიმპატიკური და პარასიმპატიკური სისტემის რეგულაცია - ჰიპოთალამუსს ცენტრალური ადგილი უკავია ავტონომიური ნერვულ სისტემის რეგულაციაში.

ჰიპოთალამური სინდრომები - ჰიპოთალამური სინდრომები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: პირველ შემთხვევაში ირღვევა ჰიპოთალამუსის მრავალი ან ყველა ფუნქცია მიმდინარე სტრუქტურების დისფუნქციათან ერთად და ვითარდება გლობულარული ჰიპოთალამური სინდრომი. მეორე შემთხვევაში სახეზეა ჰიპოთალამო-ჰიპოფიზური ფუნქციების სელექტიური დაზიანება, რომელიც განპირობებულია ერთი კონკრეტული ჰორმონის დეფიციტით ან ჰიპერპროდუქციით-პარციალური ჰიპოთალამური სინდრომი.

გლობალური ჰიპოთალამური სინდრომი - გარკვეული პათოლოგიური პროცესების დროს, ადგილი აქვს ჰიპოთალამუსის დიდი ნაწილის დაზიანებას. მნიშვნელოვანია, რომ სარკოიდოზის შემთხვევების 5% პროცესი ვრცელდება ჰიპოთალამუსზე, რაც დასტურდება ლიქვორში ანგიოტენზინის მაკონტროლებელი ფაქტორის მატებით MRI მონაცემებით. ჰიპოთალამო-პიტუიტური მიდამოს დაზიანების გამომწვევ სიმსივნეებს შორის აღსანიშნავია კრანიოფარინგიომა, ლიმფომა, ემბრიონული სიმსივნეები - გერმინომა, ტერატომა, ქორიოკარციომა. როელიც, უმეტესად ბავშვებში ვითარდება, აზიანებს ჰიპოთალამუსის უკანა არეს.

პარციალური ჰიპოთალამური სინდრომები - უშაქრო დიაბეტი (DI Diabetes Inspidus) წარმოადგენს პოლიურიას განზავებული შარდით და პოლიდიფსიას, რომელიც ვითარდება ანტიდიურეზული ჰორმონის (ვაზოპრესინი) სეკრეციის დარღვევის შედეგად. ამ უკანასკნელის მიზეზი კი ნეიროჰიპოფიზის დაზიანებაა. ამას განაპირობებს თირკმელებზე ვაზოპრესინის მოქმედების შესუსტება, რომელიც ნორმაში იწვევს წყლის აბსორბაციას. ამის შედეგად, ვითარდება დაბალი ოსმოლარობის მქონე შარდის ჭარბი გამოყოფა, მოცირკულირე სისხლის მოცულობის შემცირებს, შესაბამისად, წყურვილის გაზრდა და ოსმოლარობის შენარჩუნების მიზნით, წლის დიდი რაოდენობით დალევა. დიაგნოსტიკა ემყარება დაბალი ოსმოლარობის მქონე შარდის დიდი რაოდენობით გამოყოფას, თანხლებულს პოლიდიფსიით, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში გრზელდება. წყურვილის გრძნობა და წყლის დიდი რაოდენობით მიღება თავიდან აცილებს პაციენტს ჰიპოვოლემიას და დეჰიდრატაციას. დათრგუნული ცნობიერების დროს აუცილებელია სითხის ბალანსის და ნატრიუმის დონის კონტროლი, რამეთუ ძლიერმა დეჰიდრატაციამ და ჰიპერნატრიემიამ, შესაძლოა, კომა და გულყრების აღმოცენება განაპირობოს. მკურნალობა მოწოდებულია ვაზოპრესინის ნაზალური სპრეი ან ვაზოპრესინარგინინის ნაზალური ჩაწვეთება.

ანტიდიურეზული ჰორმონის არასაკმარისი სეკრეციის სინდრომი (SIADH-syndrome of inappropriate secretion of antidiuretic hormone) როგორც აღსანიშნავია, სისხლში მისი მოცულობა და ოსმოლარობა რეგულირდება ADH სეკრეციით და წყურვილის მექანიზმით. ანტიდიურეზული ჰორმონის არასაკმარისი სეკრეციის სინდრომი (SIADH) ფიზიოლოგიური მახასიათებლებს წარმოადგენს კონცენტრული შარდი, რომლის ოსმოლარობა 300mosm/l აჭარბებს, შარდის დაბალი ოსმოლარობა და ჰიპონატრიუმია. მკურნალობა: ნატრიუმის დონის ნორმალურ დონეზე სწრაფი კორიგირება დაუშვებელია, ვინაიდან ამან შეიძლება გამოიწვიოს ცენტრალური პონტინური მიელინოლიზისი. იმ შემთხვევაში, თუ ცნობიერების დათრგუნვა და და გულყრები არ შეიძლება აიხსნას ნერვოლოგიური მიზეზით, ხოლო ნატრიუმის კონცენტრაცია 100-115 mep/l ფარგლებშია, მიზანშეწონილია ნატრიუმის იზოტონური ან 3% ხსნარის ნელი შეყვანა. ნატრიუმის კონცენტაციის ზრდა უნდა მოხდეს ნელა, თანდათან, პირველ 24 საათში მისი კონცენტრაცია 12mEq/L უნდა გაიზარდოს, შემდეგ 20mEq/L დღეღამეში, რათა ავიცილოთ მიელინოლიზისის განვითარება.

ნატრიუმის ნეიროგენული დაკარგვის სინდრომი - ნატრიუმის ნეიროგენული დაკარგვის სინდრომის დროს ჰიპონატრიემიის მიზანია ნატრიურეზი და არა ADH გამოწვეული წყლის შეკავება. აუცილებელია ამ სინდრომის და SIADH დიფერენცირება, რადგან SIADH სინდრომის მკურნალობისთვის მოწოდებული წყლის შეზღუდვა, შეიძლება დრამატული აღმოჩნდეს თუ სითხის შემცირების მიზეზი გაძლიერებული ნატრიურეზია. ჰიპონატრიემიის სავარაუდო მექანიზმად მიჩნეულია ოლიგოპეპტიდის, წინაგულოვანი ნატრიურეზული ფაქტორის სეკრეცია.

ჰიპოფიზური უკმარისობა - ჰიპოფიზის ან ჰიპოთალამუსის დაავადებებმა შესაძლოა განაპირობოს ჰიპოფიზის წინა ნაწილის ჰიპოფინქცია, რომელიც გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე ჰორმონის

უკმარისობით. პანჰიპოპტუიტარიზმი წარმოადგენს სეროზულ პათოლოგიას, რომელიც საჭიროებს ჩანაცლებით ჰორმონულ თერაპიას.

ჰიპოთალამუსის დაზიანების სხვა სინდრომები - უშაქრო დიაბეტისა და SIADH გარდა, არსებობს ჰიპოთალამუსის დისფუნქციით განპირობებული სხვადასხვა სინდრომი. ესენია: ადიპოზოგენიტალური დისტროფია, რომელიც მოიცავს სიმსუქნესა და ჰიპოგონადიზმს.

პერიოდული სომნოლენცია და ბულიმია წარმოადგენს პერიოდულ ძილიანობას და ბულიმიის ეპიზოდებს. დღეების ან კვირეების განმვლობაში, პაციენტებს დღეღამეში 18 საათზე მეტი სძინავთ და იღვიძებენ მხოლოდ ჭამისა და ტუალეტის შემთხვევაში.

ცნობიერების და პერსონოლოგიური დარღვევები ჰიპოთალამუსის უკანა და ლატერალურ მიდამოში განვითარებული მწვავე დაზიანების შედეგად. შესაძლოა განვითარდეს სტუპოროზული მდგომარეობა. ვენტრიალური ჰიპოთალამუსის დაზიანებას ხანდახან თან ახლავს პერსონოლოგიური ცვლილებები - დისინჰიბიცია, აგრესიულობა, ჰიპომანიაკალური მდგომარეობა.

ჰიპოთალამუსის დაზიანება, რომელიც ასოცირებულია წონის ცვალებადობასთან - ნეიროანატომიური კვლევებით გამოვლინდა, რომ მაძღრობის ცენტრი მოთავსებულია ჰიპოთალამუსის ვენტრომედიალურ, ხოლო მადის ცენტრი ვენტროლატარულ ბირთვში. ლიტერალური ჰიპოთალამუსის დაზიანება განაპირობებს ჭამის სურვილის გაქრობას, ხოლო ვენტრალური ჰიპოთალამუსის დაზიანება - ჭარბ მადას, ჰიპერფაგიას და სიმსუქნეს. ამ დაზიანებების მიზეზს უმეტესად ჰიპოთალამუსის წინა ნაწილის სიმსივნეები წარმოადგენს.

ზრდის დარღვევა - ზრდის შეფერხების უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს GHRH ან GH დეფიციტს. თანდაყოლილი ან განვითარების ზოგიერთი პათოლოგიას, ჰიპოთალამუსს არ გააჩნია ზრდის ჰორმონის სეკრეციის უნარი. გიგანტიზმის მიზეზს, უმთავრესად, წარმოადგენს ზრდის ჰორმონის მასეკრეტირებელი ჰიპოფიზის ადენომა. გიგანტიზმი ვითარდება იმ შემთხვევაში, თუ GH ჰიპერსეკრეციას ადგილი აქვს ეპიფიზის გაძვალებამდე, ხოლო ამის შემდეგ განვითარებული GH ჰიპერპროდუქცია იწვევს აკრომეგალიის განვითარებას.

ნეიროენდოკრინული სინდრომები - კუშინგის (Cushing) დაავადება და კუშის სინდრომი. კუშინგის დაავადება ეწოდება ჰიპოფიზური დისფუნქციით გამოწვეულ ჰიპერადრენალიზმს. ზოგიერთ შემთხვევაში მსგავსი მდგომარეობა შეიძლება გამოიწვიოს თირკმელზედა ჯირკვლის სიმსივნის, ფილტვის ან სხვა მიდამოს კიბოს მიერ ACTH ექტოპიურმა პროდუქციამ. კლინიკურად იგი ვლინდება მუცლის და თეძოების მიდამოში ტორსის გასუქებით და მოწითალო სტრიებით, კანის სიმშრალით, პიგმენტაციით, სისხლძარღვების სიყიფით, სახეზე ჭარბთმიანობით, კიდურების ციანოზით, ჰიპერტენზიით, გლიკოზურიით, ოსტეოპოროზიით და გულმკერდის კიფოზით.

მკურნალობა დამოკიდებულია გამომწვევ მიზეზზე. ჰიპოფიზის ადენომის შემთხვევაში მოწოდებულია ქირურგიული ჩარევა ტრანსსფენოიდური მიდგომით. მის ალტერნატივას წარმოადგენს რადიოთერაპიული ჩარევა. ოპერაციული ჩარევის შემდეგ გარკვეულ შემთხვევებში აღინიშნება გარდამავალი უშაქრო დიაბეტი, მხედველობის დარღვევები.

თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობა - ქადისონის მიერ მე-19 საუკუნეში აღწერილ კლასლიკურ თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობას საფუძვლად ედო თირკლმელზედა ჯირკვლის პირველადი დაზიანება. იგი ხასიათდება კანის და ლორწოვანის პიგმენტაციით, გულისრევით, პირღებინებით, ჰიპოტენზიით, ჰიპერკალემიით, ჰიპოკალემიით, კუნთოვანი სისუსტით, სინკოპური შეტევებით. თირკლემზედა ჯირკვლის უკმარისობა სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობას წარმოადგენს, რომელიც შესაძლებელია სიკვდილით დასრულდეს. მის ყველაზე ხშირ მიზეზს წარმოადგენდა ტუბერკულოზი, დღეს უმეტესი შემთხვევები იდიოპათიურია ან არის აუტოიმუნური პოლიგლანდულური უკმარისობის შედეგი. თირკმელზედა ჯირკვლის პირველადი უკმარისობის დროს კორტიზოლის დონე დაბალია, რომლის საპასუხოდ ხდება ACTH კონცენტრაციის მატება. იმ შემთხვევაში, როდესაც თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობა მეორადია და გამოწვეულია ჰიპოფიზის ადენომიით, ACTH დონე დაბალია, კონტრიზოლის სეკრეცია მკვეთრად დაქვეითებულია, ხოლო ალდოსტერონის დონე შენარჩუნებულია. ამ შემთხვევაში კანის პიგმენტაცია არ ვლინდება, ვინაიდან მელანოდერმიას განაპირობებს ACTH დონის მომატება. ჰიპოთალამუსის დაზიანებამ, რომელიც მოიცავს პარავენტრიკულურ ბირთვს, აგრეთვე შეიძლება გამოიწვიოს თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობა.

ლიტერატურა:

1) მარინა ჯანელიძე, „კლინიკური ნევროლოგია“, 2009.
2) ა. შათირიშვილი, ს. ცაგარელი, ი. ლაზარიშვილი, ბიოლოგია, 2011.
3) ი. კვაჭაძე, ადამიანის ფიზიოლოგია, 2011.

სპორტის საგნობრივი პროგრამა ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში

ალექსანდრე ნასყიდაშვილი, ვლადიმერ სალია
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიორგი მძინარაშვილი,** ასისტენტ პროფესორი

დღევანდელი სასკოლო საგანმანათლებლო რეფორმებიდან გამომდინარე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ახალ სასწავლო პროცესში გაითვალისწინა ახალი სასწავლო-სავალდებულო საგნის ჩართვა, რომელიც იყო სიახლე როგორც სახელწოდებით, ასევე შინაარსობრივად.

დაწყებით და საბაზო ძირითად მიზანს წარმოადგენს პიროვნების ჰარმონიული განვითარება, რომლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სპორტი და ფიზიკური განათლებაა. ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით, ჩვენი დაკვირვებით, შესუსტდა ყურადღება და ინტერესი ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებისადმი როგორც პედაგოგების, ასევე მოსწავლეების მხრიდან. არ სრულდებოდა სავალდებულო მოთხოვნები, მიუღწევადი გახდა ძირითადი მიზანი. მთავარი მიზეზი ალბათ იყო მოძველებული მიდგომა ამ საკითხისადმი.

ვითარდება მეცნიერებები, იხვეწება საგნებისადმი მოთხოვნები სკოლებში, მუშავდება სხვადასხვა სრულყოფილი მეთოდები და საგნების შესწავლის სისტემები, მაგრამ ერთ დონეზე რჩება მოსწავლეთა სპორტული და ფიზიკური განათლების განვითარება. ისტორიიდან გამომდინარე საქართველოში, როგორც დიდი სპორტული ტრადიციების მქონე ქვეყანაში, დღემდე მიღწეულია გრანდიოზული სპორტული შედეგები. შესაძლებელია ამ შედეგების პროცენტული მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა. თუ სასწავლო-სასკოლო პროცესში გამოყენებული იქნება ეფექტური რეფორმები, ამ პროცესის განვითარებისას შედეგი მეტად შესამჩნევი გახდება.

სპორტის გაკვეთილების ჩართვის შედეგად უნდა შეცვლილიყო მოსწავლეთა დამოკიდებულება საგნის მიმართ, მათ უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდათ სპორტული აქტივობისთვის და დასახული მიზანიც გახდებოდა მეტად მიღწევადი.

ფიზიკური აღზრდის თანამედროვე სისტემაში სპორტი სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს. ეს გარემოება სხვადასხვა მიზეზით აიხსნება, მაგრამ უპირველეს ყოვლისა სპორტი, როგორც ფიზიკური აღზრდის საშუალება და მეთოდი, განსაკუთრებული ქმედობით, გამოირჩევა პოპულარობით, საერთაშორისო სპორტული კავშირების სიფართოვით. თანამედროვე სამყაროში სპორტს ზოგად კულტურული და პრესტიჟული მნიშვნელობა აქვს.

სპორტი არის ერთ-ერთი საუკეთესო ეფექტური საშუალება, რომლის დახმარებითაც შეიძლება ადამიანმა, გუნდმა, ქვეყანამ შედარებით მოკლე დროის პერიოდში გაითქვას სახელი საერთაშორისო ასპარეზზე.

სპორტის საგნობრივ პროგრამაში რაციონალურად და თანამიმდევრულად არის წარმოდგენილი დასახული მიზანი და ამ მიზნის განხორციელებისთვის ეფექტური მეთოდები და საშუალებები. გააზრებულად არის ჩამოყალიბებული საჭირო და სასურველი სპორტის სახეობები მათი ჯგუფების მიხედვით.

სპორტისა და ფიზიკური განათლების საგნობრივი პროექტი არის კარგად მოფიქრებული და დამუშავებული. იგი წარმოადგენს პრაქტიკულ სამუშაო გეგმას. რა თქმა უნდა, დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია ყველა პირობის შესრულება.

ჩვენი აზრით სპორტის გაკვეთილის ასამაღლებლად აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა და რეალობად ქცევა:

- საჯარო და კერძო სკოლებში უნდა მოხდეს კვალიფიციური, კომპეტენტური, შესაბამისი ხარისხის და განათლების დიპლომიანი სპეციალისტების მოწვევა და დასაქმება;
- მასწავლებელი-პედაგოგი, გარდა შესაბამისი განათლების ხარისხისა, უნდა იყოს კარგ სათანადო ფორმაში, უნდა ერკვეოდეს სპორტის ყველა სახეობის წესებში, ფლობდეს მათში მომხდარ ცვლილებებს და კარგად ასრულებდეს ამ სპორტის სახეობების ტექნიკურ ელემენტებს;
- სკოლა უზრუნველყოფილი და აღჭურვილი უნდა იყოს სათანადო კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზებით, გასახდელებით, შხაპებით და მრავალფეროვანი კარგი ხარისხის სპორტული ინვენტარით;
- ყველა ასაკის (საფეხურის) - ბავშვი (მოსწავლე) უნდა იყოს აღჭურვილი სპორტული ფორმით. სწავლის პროცესში და სემესტრის ბოლოს ბავშვები და მოზარდები უნდა ფასდებოდნენ ათბალიანი სისტემით,

როგორც სხვა სასკოლო სავალდებულო საგნებში. ამით ჩვენ გავზრდით მოსწავლეთა მოტივაციასა და სტიმულს, მათ ინტერესს სპორტის გაკვეთილისადმი;

- სამუშაო კვირაში სპორტის გაკვეთილი დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე უნდა ტარდებოდეს არანაკლებ 3-4-ჯერ კვირაში. ამით ჩვენ გავზრდით კუმულატიური ეფექტის შესაძლებლობას;
- სკოლის სპორტის პედაგოგმა უნდა შექმნას ყველა ის პირობა როგორც გაკვეთილზე, ასევე გაკვეთილის გარეთ, რომ არ მოხდეს მოსწავლეთა ტრავმირება და დაზიანება;
- სემესტრების ბოლოს მოსწავლეებმა უნდა ჩააბარონ არსებული და მიღებული სპორტული ნორმატივები მათი ასაკისა და სქესის მიხედვით;
- ბავშვებმა აქტიური და ინტენსიური მონაწილეობა უნდა მიიღონ შიდა სასკოლო, ქალაქისა და რესპუბლიკურ ტურნირებსა და პირველობებზე;
- სპორტის პედაგოგმა უნდა შეძლოს პროგრამაში არსებული სპორტული სახეობების გარდა გამოიყენოს მრავალფეროვანი სავარჯიშო კომპლექსები - მოძრავი თამაშები, ტანვარჯიშისა და მძლეოსნობის ელემენტები, ტურისტული ლაშქრობები;
- სპორტის და სპორტის მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციისა და განვითარების მიზნით მასწავლებელმა უნდა ეცადოს გამოიყენოს ყველა ის არსებული ეფექტური და რაციონალური მეთოდი, რომ პერსპექტივაში მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება, დაინტერესდნენ სპორტით, როგორც მათი მომავალი პროფესიით.

ლიტერატურა:

1. გზამკვლევის კრებული სპორტის სახეობებში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის (VII–XII კლასები), თბილისი, 2010.
2. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები (მესამე ნაწილი), სპორტის თეორია, თბილისი, 2007.
3. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები, ტომი II, თბილისი, 2004.
4. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2002.

შიდა ქართლის ჰერპეტოფაუნა

მარიამ სარქისიანი, ელენე ელიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გია ედიშერაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საქართველოში გავლით ან მოკლე ვადით იყვნენ ცნობილი ზოოლოგები - ფირტინჰოფი, ე. ეიხვალდი, ე. მენეტრიე და სხვ., რომლებმაც სხვა ცხოველების კოლექციებთან ერთად შექმნეს ჰერპეტოლოგიური შენაგროვებიც; ასე, ეიხვალდი თბილისის მიდამოებში აღნიშნავს ჯოჯოს, კატისთვალა გველს, მალპოლინს. კ. შმიდტის მიერ თბილისის მიდამოებში მოპოვებული მასალის საფუძველზე აღწერა ახალი სახის გველი - ამიერკავკასიური ანუ ჰოჰენაკერისეული მცურავი - Elaphe hohenackeri (1873) ნ. კულაგინის ნაშრომში (1888) მოხსენიებულია პ. ფრეიბერგის მიერ საქართველოში მოპოვებული რამდენიმე სახის ქვეწარმავალი. ასევე ჰერპეტოლოგიურ კოლექციებს აგროვებდა ლაგოდეხის მამულის ცნობილი მეტყევე ლ. მლოკოსევიჩი, რომელიც შეგროვილ მასალებს გზავნიდა სანკტ-პეტერბურგში - საიმპერატორო ზოოლოგიურ მუზეუმში. მეტად მნიშვნელოვანია არჩ. ჯანაშვილის წვლილი საქართველოს ქვეწარმავლებისა და მყვარების სარკვევების, ბროშურების, შხამიანი გველების შესახებ, რამდენიმე ჰერპეტოლოგიური ხასიათის სტატია გამოაქვეყნა ე. ბალავაძემაც. ყველაზე მნიშვნელოვანი ჰერპეტოლოგიური ნაშრომები ეკუთვნის თეიმურაზ მუსხელიშვილს, რომელთა შორის აღსანიშნავია სვანეთის ბატრაქო-ჰერპეტოლოგიური ატლასი.

კლასი - ქ ვ ე წ ა რ მ ა ვ ლ ე ბ ი REPTILIA

ქვეწარმავლები - პირველადხმელეთიანები, ამნიონიანების პირველი კლასია. მათი კანი თითქმის მთლიანად მოკლებულია ჯირკვლებს; ეპიდერმისის გარეთა შრე გარქოვანებულია და ქმნის ქერცლებსა და ფარებს. ჩონჩხი მთლიანად გაძვალებულია. საღერძე ჩონჩხი განიყოფება 5 ნაწლად. კისრის ორი პირველი სპეციფიკური მალა-ატლასი და ეპისტროფეუსი. ქალა ხერხემალს ერთი როკით უკავშირდება, კარგადაა განვითარებული ქალას მფარავი ძვლები. კიდურები ხმელეთური ტიპისაა, სუნთქვა მხოლოდ ფილტვურია, გული სამსაკნიანია. მეტანეფროსული ტიპის თირკმელები ახორციელებენ გამოყოფისა და წყალცვლის ფუნქციას. განაყოფიერება მხოლოდ შინაგანია. მათი კვერცხი დაფარულია პერგამენტისებური ნაჭუჭით. გამოჩეკილი ნაშიერი ზრდასრულისგან მხოლოდ ზომით განსხვავდება. გადიდებულია თავის ტვინი, განსაკუთრებით წინა ტვინი და ნათხემი. ქვეწარმავლები ფართოდ არიან გავრცელებულნი, მეტწილად თბილი და ზომიერი სარტყლების ფარგლებში, სხეული პოიკილოთერმულია, მისი ტემპერატურა ცვალებადია. მხედველობა ფერადია. ბინადრობის ნაირგვარმა პირობებმა, ხმელეთურმა ცხოვრების ნირმა და ლოკომოციის მრავალნაირობამ განაპირობა ქვეწარმავლების სხეულში ფორმის ნაირგვარობა, ძირითადად გვხვდება 3 ტიპის ფორმა: **ხვლიკისებური, გველისებური, კუსებური.**

ქვეწარმავლების კლასის წარმომადგენლები გავრცელებულნი არიან მთელი დედამიწის ზედაპირზე, გარდა უკიდურესი ცივი სარტყლებისა (ანტარქტიდა, ისლანდია, გრენლანდია). ქვეწარმავლების სიცოცხლის ხანგრძლივობა განსაზღვრულია და ზოგ სახესთან რეკორდულ მაჩვენებლებს აღწევს, ასე გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით, ერთი ნიანგის მაქსიმალურმა წლოვანებამ 66 წელს მიაღწია. გველებიდან ყველაზე დღეგრძელად ითვლება მახრჩობელა, რომლის წლოვანებამ 40 წელზე მეტი შეადგინა.

ქვეწარმავლების მნიშვნელობა ადამიანისათვის საკმარისად დიდია: დადებითია, რომ მრავალი ანადგურებს მღრღნელებს, რითაც გარკვეული სარგებლობა მოაქვს, ფართოდ გამოყენებულია გველის შხამი, რომლისგანაც ძვირფას სამკურნალო საშუალებებს ამზადებენ, მრავალ ქვეწარმავალს საჭმელად იყენებენ, უარყოფითია ის, რომ ყოველწლიურად რამდენიმე ათასი ადამიანი იღუპება გველის ნაკბენებისგან, ზოგიერთი ქვეწარმავალი ტკიპებისა და სხვა მავნებლების გადამტანი შეიძლება იყოს.

მტკვრის ხვლიკი (Lacerta portschinskii Kessl.)

ამ კლდის ხვლიკის ზომები დაახლოებით იგივეა, რაც ქართული ხვლიკისა. მამრებისა და მდედრების სხეულის ზედა მხარე მორუხო ელფერისაა. ზურგზე აქვს ზოლი, რომელიც შედგება უსწორმასწორო ფორმის მრავალი შავი ლაქისგან. გვერდებზე ღია ფერის მომრგვალო ლაქებია, მუცელი ყვითელია. საქართველოში ბინადრობს მტკვრის შუა დინების მონაკვეთში, გორიდან დასავლეთით, მცირე კავკასიონის მთისწინებამდე. ბინადრობს მდინარეთა ნაპირების მშრალ, ნახევრადმშრალ კლდეებსა და ქვიან ფლატეებზე, გვალვაგამძლე ბალახოვანი და ბუჩქნარი მცენარეულობით დაფარულ ფერდობებზე, ხშირად სახლობს დალისეულ ხვლიკთან ერთად, იკვებება წვრილი უხერხემლოებით. ივნის-ივლისში დებს 5 კვერცხს, თაობა იჩეკება ივლისში-აგვისტოს ბოლოს.

სპილენძა - Coronella austriaca Laur.

სახელწოდება მიუთითებს მის შეფერილობაზე, კისერზე ორი ზოლი აქვს, მუცელი რუხია, მურა ან სპილენძისფერი, ხშირად წინწკლებიანი ან ხალებიანი. იშვიათად 60 სმ-ია. გვხვდება საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე, გარდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილისა. ბინადრობს ქვიან ფერდობებზე, ტყეებში, ბუჩქნარით დაფარულ ველებზე, საქართველოში ძირითადად დაკავშირებულია მთიან რელიეფთან, აღწევს 2000 მ. სიმაღლემდე, დაჭერისას კბენით იცავს თავს. მის ყველაზე საყვარელ საკვებს კლდის ხვლიკები წარმოადგენენ, თუმცა თაგვებსაც იჭერს. სპილენძა დებს 2-16 კვერცხს.

ველის გველგვესლა - Vipera ursini renardi

სიგრძით 50 სმ-ს არწევს, მურა-მორუხო ფერის ზურგი აქვს, რომელსაც კლაკნილი მუქი ზოლი გასდევს. ის ფართო არეალზეა გავრცელებული: სამხრეთ ევროპაში, რუსეთის ველისა და ტყე-ველის ზოლზე, უზბეკეთში, ყირგიზეთში, ჩრდ. ირანში, ჩრდ. თურქეთში. ჩვენში გავრცელებულია ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში, უმთავრესად მთაში, ბალახში. ცოცხალმშობი გველია, მდედრი წიწილებს ყრის აგვისტო-სექტემბერში. მათი რაოდენობა 10-ია, იშვიათად - 17-საც. საქართველოში შხამიან გველებს შორის ყველაზე ნაკლებად შხამიანია.

გიურზა - Vipera lebetina L.

მეტად დიდი ზომის შხამიანი გველია, მისი სიგრძე 1.5 მ-ს აღწევს. ძალიან მსხვილია აქვს განიერი სამკუთხა თავი. შხამიანი ჯირკვლები ძლიერაა განვითარებული. გიურზა ფართოდაა გავრცელებული, გვხვდება ჩრდილო აფრიკაში, კვიპროსზე, არაბეთში, ერაყში, მცირე აზიაში, საქართველოში გავრცელებულია მხოლოდ აღმოსავლეთ ნახევარში. გიურზა გაზაფხულზე და ზაფხულობით დღის ცხოვრებას ეწევა. ზანტი გველია, კარგად დაცოცავს ხეებზე, სადაც ფრინვლებს უდარაჯებს ან თავს აფარებს. გაღიზიანებული გიურზა კისერს ბერავს, სისინს იწყებს, უყვარს წყალში ჩასვლა. მრავლდება კვერცხის დებით, პატარა გიურზები აგვისტო-სექტემბერში იჩეკებიან. წიწილა ერთი დღე კვერცხში ზის და ყვითრით იკვებება, რომელიც უკვე კბენას ცდილობს. გიურზა საქართველოს გველებს შორის ყველაზე დიდი ზომის და ყველაზე შხამიანია. ცნობილია მისი შხამით ადამიანთა დაღუპვის შემთხვევები. მიუხედავად ამისა, გიურზა შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში, რადგან შეიცავს ძვირფასი თვისებების მქონე შხამს და მისი რაოდენობა სულ უფრო მეტად მცირდება.

ამიერკავკასიური მცურავი - Elaphe hohenackeri Strauch

მისი სიგრძე არ აღემატება 70 სმ-ს. მორუხო-მურა ფერის გველია. ზურგზე გასდევს უსწორმასწორო ლაქების რიგი. თავის გვერდებზე ორი ხალი აქვს - ერთი თვალს და პირის კუთხეს აერთებს, მეორე კი თვალის ქვემოთაა მოთავსებული. საქართველოში ამიერკავკასიური მცურავი გვხვდება თბილისის მიდამოებში, თრიალეთის ქედზე, კავკასიონზე. ამ გველს მთიანი და ტყიანი ადგილები ურჩევნია. იკვებება ძირითადად მღრღნელებითა და ხვლიკებით. დებს 7-მდე კვერცხს. შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში.

წყნარი ეირენისი - Eirenis modestus (Martin)

პატარა ზომის გველია, სიგრძით 0.5 მ-მდე, ზურგის მხრიდან მორუხო ფერის, კეფაზე რკალისებური ზოლი აქვს. საქართველოში გავრცელებულია მხოლოდ აღმოსავლეთ რაიონებში. გვხვდება ქართლში, კახეთში. ბინადრობს მშრალ, განსაკუთრებით ქვიან ადგილებში, ზედაპირზე უფრო გაზაფხულის თვეებში გამოდის. იკვებება მწერებით, ჭიებით.

საყელოიანი ეირენისი - Eirenis collaris (Men)

ჰგავს წყნარ ეირენისს, მაგრამ უფრო მცირე ზომისაა - 30 სმ-ს არ აღემატება. აქვს წყვილი ხალი. ახალგაზრდა ეგზემპლარებს დამახასიათებელი სურათი არ აქვთ. საქართველოს ფარგლებში გვხვდება მხოლოდ გორთან, გარეჯში, შირაქში. მრავლდება კვერცხებით, რომლებსაც უფრო გვიან დებს, ვიდრე წყნარი ეირენისი.

ლიტერატურა:

1. მუსხელიშვილი თ., საქართველოს ამფიბიებისა და რეპტილიების ატლასი, WWF, თბ., 1994, გვ. 22
2. ჟორდანია რ., ჰერპეტოლოგია, 2003, გვ. 62

კლასგარეშე სპორტული ღონისძიებების ორგანიზაცია საჯარო სკოლებში

ალეკო ქვრივიშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ალექსანდრე იაშვილი,** პროფესორი

ფიზიკური აღზრდა სასკოლო ასაკში ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მისი მიზანია მოსწავლეთა მიერ ფიზიკური აღზრდის საფუძვლიანი დაუფლება და ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა: ჯანმრთელობის განმტკიცება, ფიზიკური თვისებების ჰარმონიული განვითარება, სიცოცხლისათვის აუცილებელი მოძრაობითი უნარ-ჩვევების

ფორმირება, სრულყოფა და სპორტში დამოუკიდებელი მეცადინეობის მიმართ მყარი ინტერესების და ჩვევათა ფორმირება.

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მიზნები და ამოცანები სხვადასხვა ასაკში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება.

კერძოდ, უმცროსი ასაკის მოსწავლეებში გადასაწყვეტი ამოცანები არის ჯანმრთელობის განმტკიცება, ტანდეგობის გაუმჯობესება, ორგანიზმის ბუნებრივი ჰარმონიული განვითარებისათვის ხელის შეწყობა. გარდა ამისა, საჭიროა ზრუნვა გარემო პირობებთან შეგუებისა და უარყოფითად მოქმედი ფაქტორების მიმართ წინააღმდეგობის გაწევის უნარის აღზრდისათვის.

მოსწავლეთა საშუალო სასკოლო ასაკში აუცილებელი ჰარმონიული ფიზიკური განვითარებისათვის ხელის შეწყობა, სწორი ტანადობის, პირადი ჰიგიენის და ცხოვრების ჯანსაღი წესების ცოდნის გაღრმავება.

უფროს სასკოლო ასაკში კი, მოსწავლეებმა უნდა იზრუნონ ადრე შეძენილი მოძრაობითი შემძლეობა-ჩვევების სრულყოფისა და ფიზიკური თვისებების განვითარებისათვის.

სასკოლო ასაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი ფორმა არის კლასგარეშე მუშაობა, რომელიც უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების და ფიზიკური მომზადების დონის გათვალისწინებით.

მოზარდი თაობის ჯანმრთელობის განმტკიცებასა და პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლინება არის კლასგარეშე მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი.

სწორედ სასკოლო ასაკში უნდა მოხდეს ფიზიკური აღზრდის სავალდებულო მეცადინეობასთან პარალელურ რეჟიმში მოსწავლეთა ჩაბმა კლასგარეშე სპორტულ საქმიანობაში, რაც ხელს შეუწყობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას:

1) სპორტულ საქმიანობაში მოსწავლეთა გაერთიანების მასობრიობის გაზრდას;

2) მოსწავლეებს თანდათანობით ჩამოუყალიბდებათ სპორტში დამოუკიდებლად მეცადინეობის სურვილი;

3) ხელი შეეწყობა მაღალი მიღწევების სპორტში ახალი თაობის მოსვლას.

სასურველია საჯარო სკოლაში კლასგარეშე სპორტულ მუშაობაში მონაწილეობას იღებდეს პედაგოგიური კოლექტივი და მშობლები.

კლასგარეშე სპორტული საქმიანობის ძირითადი საზრუნავი არის სპორტულ სექციებში მოსწავლეთა მასობრივად გაერთიანება და შეჯიბრების ჩატარება სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის სახეობაში.

საჯარო სკოლაში სპორტული მუშაობის მაღალი დონე დამოკიდებულია ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა კვალიფიკაციაზე. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ქ. გორის მეათე საჯარო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები, რომლებიც დიდი მონდომებით ატარებენ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებს.

აღნიშნულ სკოლაში მოსწავლეთა დიდი რაოდენობა ჩაბმულია სპორტულ სექციებში.

უნდა აღინიშნოს, რომ მეათე საჯარო სკოლის მოსწავლეები თითქმის ყველა სახეობაში იმარჯვებენ საქალაქო შეჯიბრებებში.

გარდა ამისა, მეათე საჯარო სკოლიდან სპორტის სხვადასხვა სახეობაში ძალზე ბევრი მოსწავლეა ქ. გორის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში.

ლიტერატურა:

1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები, მეორე ნაწილი. თბილისი, 2004.
2. www.msy.gov.ge

საქართველოში კომერციული უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა

გიორგი აბრამიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნათია ჟოჟუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

შესავალი. კომერციული უძრავი ქონების ბაზრები, ეს ისეთი საკითხია, რომელთან შეხებაც თითოეულ ჩვენთაგანს აქვს ყოველდღიურად. არ არსებობს ადამიანი, რომელიც არ სარგებლობს სუპერმარკეტების ქსელებით, არ ყიდულობს ტანსაცმელს ბაზრებსა თუ მაღაზიებში, არ სარგებლობს სააფთიაქო ქსელებით და ა.შ. ეს სფერო საქართველოში ძალიან განვითარებულია და საქართველოს ბიუჯეტის შევსებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ამ სფეროში დასაქმებულია უამრავი ადამიანი. 2009 წლიდან კომერციული უძრავი ქონების ბაზრები ძალიან მნიშვნელოვნად ვითარდება და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ძველი, დაბალი ხარისხის ბაზრებს თანამედროვე, საერთაშორისო ხარისხის ბაზრები ანაცვლებს, რაც ძალიან მოქმედებს ამ სფეროს უფრო და უფრო მეტად განვითარებაზე. სამწუხაროდ ეს სფერო ჯერჯერობით განვითარებულია საქართველოს მხოლოდ 3 ქალაქში, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, თუმცა დანარჩენ ქალაქებშიც ნელ-ნელა აქტუალური ხდება მისი განვითარება.

საქართველოს მიმოხილვა. საქართველო ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარეობს და თურქეთს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და რუსეთს ესაზღვრება. საქართველოს ფართობი 69,700 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა კი 3.7 მილიონ ადამიანს შეადგენს. საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამ გაზარდა კონკურენცია და კერძო სექტორს დამოუკიდებლად ზრდის საშუალება მისცა. საქართველოში მოქმედებს 6 სახის გადასახადი, გადასახადები იყოფა ადგილობრივ და საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადებად, საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებია:

- მოგების გადასახადი – 15 %;
- საშემოსავლო გადასახადი – 20%;
- დამატებითი ღირებულების გადასახადი – 18%;
- იმპორტის გადასახადი – 0%, 5% ან 12%;
- აქციზი.

ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი.

მემკვიდრეობის ფონდის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ 2016 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველოს ეკონომიკა ხვდება კატეგორიაში - „ძირითადად თავისუფალი“ და კვლევაში მონაწილე 178 ქვეყანას შორის 23-ე ადგილზეა. ეს კი ხაზს უსვამს იმას, რომ საქართველოში თავისუფალი ვაჭრობაა. შესაბამისად, კომერციული უძრავი ქონების ბაზრის ფუნდამენტური ფაქტორებიც კონკურენტუნარიანობაზეა დამყარებული.

კომერციული უძრავი ქონების ბაზრის ფუნდამენტური ფაქტორები. საცალო ვაჭრობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორია. წინასწარი მონაცემებით, მისი წილი 2015 წელს ქვეყნის მშპ-ის 9.4%-ს შეადგენდა. 2015 წლის მონაცემებით, საცალო და საბითუმო ვაჭრობის სექტორში დასაქმებულთა რიცხვმა 143 187 შეადგინა, რაც მთლიან დასაქმებულთა 19% - ს შეადგენს, ეს კი გვაძლევს მყარ საფუძველს იმისა, რომ დანამდვილებით ვთქვათ, ვაჭრობა საქართველო ეკონომიკის ძალიან მნიშვნელოვანი სექტორია. ასევე ძალზე ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ვაჭრობის სფერო საქართველოში ძალიან იზრდება და, შესაბამისად, დასაქმებულთა რიცხვიც იმატებს ამ სფეროში. მაგალითად 2006-14 წელს, ამ სექტორში, საშუალოდ დასაქმებულთა წლიური რაოდენობა 11%-ს შეადგენდა, 2015 წლის მეოთხე კვარტალში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მაჩვენებელი 19 %-მდეა გაზრდილი. თუმცა სამწუხაროა ის ფაქტი, რომ თბილისის ქუთაისისა და ბათუმის გარდა, სხვა ქალაქებში თანამედროვე კომერციული სავაჭრო ცენტრები თითქმის არ გვხვდება, სწორედ ამიტომ ყურადღებას იმსახურებს სწორედ ამ სამი ქალაქის კომერციულ სავაჭრო ცენტრები.

თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის კომერციული უძრავი ქონების მიწოდება 2015 წელს 11 %-ით გაიზარდა და 1 223 000 m^2 შეადგინა. ხოლო 2016 წელს მიწოდება კიდევ გაიზარდა 166 432 m^2 და საბოლოო

მაჩვენებელმა 1 389 432 m^2 გახდა. გაზრდილი მიწოდება კი განაპირობა სავაჭრო ცენტრმა „ისთ ფოინთმა“, რომელიც 2015 წელს გაიხსნა თბილისში და ბაზარზე მიწოდება 71 780 m^2 - ით გაზარდა. უძრავი ქონების ბაზარი საქართველოში შემდეგნაირად იყოფა *(იხილეთ დიაგრამაზე)*.



ამ სამი ქალაქიდან კომერციული უძრავი ქონების უდიდესი ნაწილი, ბუნებრივია, ქალაქ თბილისზე მოდის, რომლის მაჩვენებელიც 77%-ს აღწევს. ბათუმში და ქუთაისში კი თითქმის თანაბარი მაჩვენებელია: ბათუმი 12% და, შესაბამისად, ქუთაისი 11%, ხოლო თუ ბაზარს რეგიონების მიხედვით განვსაზღვრავთ, ასეთ სახეს მივიღებთ.



აღნიშნულიდან გამომდინარე თბილისს მთლიანი ბაზრის 77 % უკავია, 5% უკავია იმერეთს, 7% აჭარას, ხოლო 11 % სხვა დანარჩენ რეგიონებს.

საცალო ვაჭრობის ზრდასთან ერთად იზრდება ერთ სულ მოსახლეზე წლიური სამომხმარებლო ხარჯებიც. მაგალითად 2006 წელს ერთ სულ მოსახლეზე წლიური სამომხმარებლო ხარჯი 675 ლარს შეადგენდა, ხოლო 2016 წლისათვის კი ეს მაჩვენებელი თითქმის 2-ჯერ გაიზარდა და დაახლოებით 1 322 ლარს მიაღწია.

2015 წლიდან თბილისში გაიხსნა ,,ისთ ფოინთის“ სავაჭრო ცენტრი, სადაც 150 -ზე მეტმა მაღაზიამ დაიწყო ფუნქციონირება. ,,ისთ ფოინთში“ მაღაზიები გახსნეს ისეთმა ბრენდებმა, როგორიცაა: ,,კარფური“ – 10 105 m^2, ,,ზარა“ – 2 224 m^2, ,,ელიტ-ელექტრონიქსი“ – 2 222 m^2, ჰიპერმარკეტი ,,დომინო“ 11 140 m^2 და ა.შ.

თბილისის კომერციული უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა. თბილისში, კომერციული უძრავი ქონების საერთო ფართი 952 983 m^2-ია. ყველაზე მეტი ფართი ბაზრობებსა და ღია ბაზრებს უჭირავს - 41 %.

შემდეგ მოდის თანამედროვე სავაჭრო ცენტრები - 24 %, მეორეხარისხოვანი ქუჩები - 16 %, აქტიური ქუჩები - 6 %, ხოლო სხვა ადგილები - 13 %.

2015 წელს თბილისში გაიხსნა სამი უმნიშვნელოვანესი ცენტრი, რამაც მიწოდება 89 865 $მ^2$-ით გაზარდა. ეს სამი ობიექტია: ,,ისთ ფოინთი" (მასზე საუბარი ზემოთაც გვქონდა) – 71 780 $მ^2$, ,,გლდანი მოლი" – 11 700 $მ^2$და ,,გლდანი პლაზა" – 6 385 $მ^2$. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მომავალ წლებში თბილისში კიდევ იხსნება მაღალი კლასის ბრენდები, როგორიცაა: ,,ჰუაინგ მოლი", ,,გლდანი ცენტრალი" და ,,გალერია თბილისი". ეს სამი სავაჭრო ცენტრი კი თბილისის კომერციული უძრავი ქონების ბაზარზე მიწოდებას დაახლოებით 3887 885 $მ^2$-ით გაზრდის. ეს კი, ბუნებრივია, დადებითად იმოქმედებს კომერციულ სავაჭრო ცენტრებში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდაზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ობიექტების გარდა თბილისში იგეგმება რამოდენიმე სავაჭრო ობიექტის მშენებლობა, მათი აშენების თარიღი ჯერ უცნობია, თუმცა, დაახლოებით 4-5 წელიწადში აუცილებლად გაიხსნება.

თბილისის სავაჭრო ცენტრებში დაკავებული ფართის განაწილება კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირია:

- ტანსაცმელი და ფეხსაცმელი - 35%;
- ჰიპერ/სუპერმარკეტი - 25%;
- სამომხმარებლო ტექნიკა - 12%;
- კვება და გართობა - 11%;
- საყოფაცხოვრებო საქონელი და ავეჯი - 11%;
- ზოგადი და მომსახურება - 3%;
- ცხოვრების სტილი - 2%;
- ჯანმრთელობა და სილამაზე - 1%.

P.S. მკითხველს ალბათ გაუკვირდება თუ ამ ჩამონათვალში რატომ არ არის აფთიაქები. თუმცა, აფთიაქები შედის ჯანმრთელობისა და სილამაზის კატეგორიაში. თბილისის უმსხვილესი სააფთიაქო სავაჭრო ბრენდებია: ,,ავერსი", ,,პე-ეს-პე" და ,,ჯი-პი-სი". მათი საერთო მიწოდება 2 028 $მ^2$-ია.

თბილისში სავაჭრო ქუჩებზე, საშუალო იჯარა 1 კვ.მ -ზე 36 აშშ დოლარია, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ქუჩებზე ფასი სხვადასხვანაირია. ყველაზე მაღალი საშუალო იჯარა ფიქსირდება პეკინის ქუჩაზე, რომლის ფასიც 43 აშშ დოლარია. შემდეგ რუსთაველის გამზირზე, რომლის ფასიც 37 აშშ დოლარს აღწევს.

ბათუმის კომერციული უძრავი ქონების ბაზრების მიმოხილვა. 2015 წლის მონაცემებით ბათუმის კომერციული უძრავი ქონების საერთო მიწოდება 138 292 $მ^2$-ია, რაც წინა წელთან შედარებით 11%-ით მეტია. ბათუმის კომერციული უძრავი ქონების მიწოდებაში დომინირებს სავაჭრო ქუჩებში არსებული სავაჭრო ფრთები, რომელსაც მთლიანი ბაზრის 57% უკავია. შემდეგ არის ბაზრები და ღია ბაზრები 29%. ხოლო დანარჩენ სხვას კი მთლიანი ბაზრის 14% უჭირავს. 2016 წელს ბათუმში გაიხსნა სხვადასხვა სავაჭრო ცენტრი, რომელმაც მიწოდება 47 000 $მ^2$-ით გაზარდა და საერთო მიწოდებამ 185 292 $მ^2$ შეადგინა. ახალი სავაჭრო ცენტრიდან აღსანიშნავია ,,მეტრო სითი", რომელმა მიწოდება 14 000 $მ^2$-ით გაზარდა. რადგანაც ბათუმი ტურისტებზე ორიენტირებული ქალაქია, კვებისა და გართობის კატეგორიას დაკავებული კომერციული ფართის უდიდესი ნაწილი უჭირავს. ბათუმის კომერციული ბაზრის დაყოფა შემდეგნაირად ხდება:

- კვება და გართობა - 30%;
- ზოგადი და მომსახურება - 23%;
- ტანსაცმელი და ფახსაცმელი - 18%;
- სამომხმარებლო ტექნიკა - 14%
- საყოფაცხოვრებო საქონელი და ავეჯი - 8%
- ჰიპერ/სუპერმარკეტი - 4%
- ჯანმრთელობა და სილამაზე - 3%

ბათუმში კვებისა და გართობის კატეგორიაში, ყველაზე დიდი ადგილი მოდის ,,მაკდონალდზე", რომელსაც ამ კატეგორიის 30% უჭირავს. ბათუმში ასევე ფუნქციონირებსა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შემდეგი ბრენდები: ,,ელსი ვაიკიკი", ,,პუმა", ,,ნაიკი", ,,ჯორდანო" და ა.შ. რაც შეეხება სუპერმარკეტების ქსელს, ამ კატეგორიაში გამოსარჩევია: ,,გუდვილი", ,,სმარტი", ,,ფუნდამენტი" და ა.შ.

ბათუმში კომერციული უძრავი ქონების ფასი 1 კვ.მ-ზე საშუალოდ 13-16 აშშ დოლარია. ყველაზე პრესტიჟული ადგილებია: ძველი ბათუმი და გორგილაძის ქუჩა. ამ ადგილებში ქირის ფასი, საშუალოდ 23-24 აშშ დოლარია.

ქუთაისის კომერციული უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა. 2015 წლის მონაცემებით ქუთაისის უძრავი ქონების მიწოდებამ 136 684 $მ^2$ შეადგინა. ამ ფართობის დაახლოებით 39 % თანამედროვე სავაჭრო

ცენტრებს უკავია. მათგან კი გამოსარჩევია ,,ქუთაისი პლაზა“ და ,,ნოვიტა“ . დანარჩენი სავაჭრო ცენტრების ზოგადი ხარისხი დაბალია. ქუთაისის კომერციული სავაჭრო ცენტრები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- საყოფაცხოვრებო საქონელი და ავეჯი - 25%;
- ზოგადი მომსახურება - 21%;
- ტანსაცმელი და ფეხსაცმელი - 16%;
- კვება და გართობა - 13%;
- ჯანმრთელობა და სილამაზე - 10%;
- ჰიპერ/სუპერმარკეტი - 8%;
- სამომხმარებლო ტექნიკა - 7%.

ქუთაისის კომერციული უძრავი ქონების ბაზარზე არც თუ ისე ბევრი საერთაშორისო კლასის ბრენდია. მათგან აღსანიშნავია; ,,ინტერნეიშენალ კორპორეიშენ აი-სი-არ“, ,,ობაიბი-ოკაიდი“, ,,პარფუა“, ,,ბატა“, ,,ელსივაიკიკი“, ,,კოტონსა“ და ა.შ. ქუთაისში კომერციული უძრავი ქონების ფასი 1 კვ.მ საშუალოდ 11-13 აშშ დოლარია. ყველაზე მეტად პოპულარული და ძვირადღირებულია ისტორიულ ნაწილში არსებული კომერციული ცენტრები.

საცალო და საბითუმო ვაჭრობის წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტზე 16.6%-ს წარმოადგენს და ამ სფეროში დასაქმებულთა რიცხვი თითქმის 150 000 ადამიანს აღწევს. ეს კი გვაძლევს იმის საბაბს, რომ ამ სფეროს განვითარებას ჩვენი ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. 2009 წლიდან დაწყებული კომერციული ვაჭრობა უფრო და უფრო ვითარდება. იხსნება თანამედროვე ახალი სავაჭრო ცენტრები და ნელ-ნელა წარსულს ბარდება დაბალი ხარისხის სავაჭრო ადგილები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში სავაჭრო ცენტრების უდიდესი ნაწილი ბათუმში, ქუთაისსა და თბილისშია განთავსებული, დანარჩენ რეგიონებში კი ძალიან განუვითარებელია ვაჭრობა და თანამედროვე სავაჭრო ცენტრები თითქმის არ გვხვდება, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2020 წლამდე რამდენიმე ქალაქში იგეგმება თანამედროვე ,,მინი“ სავაჭრო ცენტრის აშენება. დავიტოვოთ იმედი, რომ ეს სფერო კიდევ უფრო მეტად განვითარდება, აშენდება სავაჭრო ცენტრები არა მხოლოდ ზემოთ ხშირად ნახსენებ ქალაქებში, არამედ კიდევ რამდენიმე ქალაქშიც და დარწმუნებული ვიყოთ დასაქმებულთა რიცხვიც კიდევ უფრო გაიზრდება ამ სფეროში, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას მრავალი მიმართულებით.

ლიტერატურა:

1. ლ. ქოქიაური, ,,საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა”, 2012.
2. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო www.nasp.gov.ge
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო www.mof.ge

APPLICATION OF CALCULUS TO BUSINESS

Manoni Gigauri, Mariam Glotovi
Social Sciences, Business and Law Faculty
First Year Bachelor Degree Students
Supervisor: **Soso Tsotniashvili,** Professor

In recent years, economic decision making has become more and more mathematically oriented. Faced with huge masses of statistical data, depending on hundreds or even thousands of different variables, business analysts and economists have increasingly turned to mathematical methods to help them describe what is happening, predict the effects of various policy alternatives, and choose reasonable courses of action from the myriad of possibilities. Among the mathematical methods employed is calculus. In this section we illustrate just a few of the many applications of calculus to business and economics. All our applications will center on what economists call the theory of the firm. In other words, we study the activity of a business (or possibly a whole industry) and restrict our analysis to a time period during which background conditions (such as supplies of raw materials, wage rates, and taxes) are fairly constant. We then show how derivatives can help the management of such a firm make vital production decisions.

One important application of calculus to business and economics involves marginal analysis. In economics, the word marginal refers to a rate of change that is, to a derivative. Thus, if C(x) is the total cost of producing x items, then is called the marginal cost and represents the instantaneous rate of change of total cost with respect to the number of items produced. Similarly, the marginal revenue is the derivative of the total revenue function, and the marginal profit is the derivative of the total profit function.

Marginal Cost, Revenue, and Profit

If x is the number of units of a product produced in some time interval, then

total cost = C(x)
marginal cost = C '(x)
total revenue = R(x)
marginal revenue = R '(x)
total profit = P(x) = R(x) - C(x)
marginal profit = P '(x) = R '(x) – C '(x)
= (marginal revenue) - (marginal cost)

Marginal cost (or revenue or profit) is the instantaneous rate of change of cost (or revenue or profit) relative to production at a given production level.

To begin our discussion, we consider a cost function C(x). It is important to remember that C(x) represents the total cost of producing x items, not the cost of producing a single item. To find the cost of producing a single item, we use the difference of two successive values of C(x):

Total cost of producing x + 1 items is C(x + 1)

Total cost of producing x items is C(x)

Exact cost of producing the (x + 1)st item = C(x + 1) - C(x)

EXAMPLE 1.Cost Analysis a company manufactures fuel tanks for cars. The total weekly cost (in dollars) of producing x tanks is given by

$$\mathbf{C(x) = 10{,}000 + 90x - 0.05x^2}$$

(A) Find the marginal cost function
(B) Find the marginal cost at a production level of 500 tanks per week.
(C) Interpret the results of part B
(D) Find the exact cost of producing the 501st item.

SOLUTION

(A) C '(x) = 90 - 0.1x
(B) C '(500) = 90 - 0.1(500) = $40 Marginal cost
(C) At a production level of 500 tanks per week, the total production costs are increasing at the rate of $40 per tank.
(D) $C(501) = 10{,}000 + 90(501) - 0.05(501)^2$
= $42,539.95 Total cost of producing 501 tanks per week
$C(500) = 10{,}000 + 90(500) - 0.05(500)^2$
= $42,500.00. C(500) = 10,000 + 90(500) - 0.05(500)2 = $42,539.95 Total cost of producing 501 tanks per week
Total cost of producing 500 tanks per week
C(501) - C(500) = 42,539.95 - 42,500.00 = $39.95 Exact cost of producing the 501st tank

Matched Problem 1

A company manufactures automatic transmissions for cars. The total weekly cost (in dollars) of producing x transmissions is given by

$$C(x) = 50{,}000 + 600x - 0.75x^2$$

(A) Find the marginal cost function.
(B) Find the marginal cost at a production level of 200 transmissions per week.
(C) Interpret the results of part B.
(D) Find the exact cost of producing the 201st transmission.

In Example 1,
We found that the cost of the 501st tank and the marginal cost at a production level of 500 tanks differ by only a nickel. Increments and differentials will help us understand the relationship between marginal cost and the cost of a single item. If C(x) is any total cost function, then

$$C'(x) \approx \frac{C(x+\Delta x) - C(x)}{\Delta x}$$

$C'(x) \approx C(x + 1) - C(x)$ $\Delta x = 1$

We see that the marginal cost approximates C(x + 1) - C(x) , the exact cost

of producing the (x+1)st item.



THEOREM 1
<u>Marginal Cost and Exact Cost</u>

If C(x) is the total cost of producing x items, then the marginal cost function approximates the exact cost of producing the (x+1)st item:

Marginal Cost andExact Cost

C'(x) =C(x + 1) - C(x)

Marginal cost Exact Cost Similar statements can be made for total revenue functions and total profit functions

CONCEPTUAL INSIGHT.

Theorem 1 states that the marginal cost at a given production level x approximates the cost of producing the (x+1) st, or next, item. In practice, the marginal cost is used more frequently than the exact cost. One reason for this is that the marginal cost is easily visualized when one is examining the graph of the total cost function. Figure 2 shows the graph of the cost function discussed in Example 1, with tangent lines added at x = 200 and x = 500. The graph clearly shows that as production increases, the slope of the tangent line decreases. Thus, the cost of producing the next tank also decreases.



Figure 2 $C(x) = 10{,}000 + 90x - 0.05x^2$

We can use calculus to solve optimization problems that involve finding the absolute maximum value or the absolute minimum value of a function.

REFERENCES:
1. C. Arya and R. W. Lardner, “Mathematical Analysis for Business, Economics, and the Life and Social Sciences” (fourth edition). Prentice Hall International, Inc., Englewood Cliffs, New Jersey, 1994.
2. R. Barnett, M. Ziegler, and K. Byleen, “Calculus for Business, Economics, Life Sciences, and Social Sciences” (12th edition). Pearson, Prentice Hall, 2011.
3. Goldstein, D. Schneider, D. Lay, and N. Asmar, “Calculus and its Application” (11th edition). International Edition, 2006.

საქართველოს ეკონომიკის გლობალიზაცია და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

მარიამ გლოტოვი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** პროფესორი

თანამედროვე მეცნიერთა კვლევის ერთ–ერთ მნიშვნელოვან სფეროს ეკონომიკის გლობალიზაცია წარმოადგენს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ დაახლოებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, საზოგადოებრივი განვითარება დედამიწაზე მიმდინარეობს დიდი, ერთიანი პროცესის ფარგლებში, რომელიც გლობალიზაციის სახელითაა ცნობილი. აღიარებულია აგრეთვე, რომ დედამიწაზე მცხოვრები ადამიანების უმეტესობა ადრე თუ გვიან, ამა თუ იმ სახით, ხვდება ამ პროცესის მოქმედების სფეროში. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ერნესტ ჰოფმანმა გლობალიზაციის სამი ძირითადი ფორმა გამოყო: ეკონომიკური გლობალიზაცია, რაც დაკავშირებულია ტექნოლოგიურ, საინფორმაციო, სავაჭრო და სხვა სახის აქტივობასთან; კულტურული გლობალიზაცია, რომელიც ტექნოლოგიური პროგრესის და ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგია და მესამე - პოლიტიკური გლობალიზაცია.

ეკონომიკის გლობალიზაცია არის საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალის, კაპიტალის (ფინანსების) თავისუფალი, ტრანსაზღვრითი გადაადგილების, საერთაშორისო ბაზრების ურთიერთკავშირების გაძლიერებისა და ურთიერთშერწყმის, ზესახელმწიფო დონეზე რეალური დროის რეჟიმში ფუნქციონირებადი ეკონომიკური სისტემის ანუ გლობალური ეკონომიკის შექმნის პროცესი. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ გლობალური ეკონომიკა, როგორც ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის ობიექტური და კანონზომიერი შედეგი, არის არა მასში შემავალი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მეურნეობების მექანიკური ჯამი, არამედ მთლიანი სისტემა, რომელსაც ფუნქციონირების საკუთარი კანონზომიერებები, ინსტიტუტები და მექანიზმები გააჩნია. [1]

უდავოა, რომ გლობალიზაცია ქმნის შესაძლებლობებს ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარებისათვის, ხოლო ამ შესაძლებლობათა გამოყენება ყოველ კონკრეტულ ქვეყანაზეა დამოკიდებული. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია გლობალიზაციის თანმდევი უარყოფითი ეფექტების გათვალისწინებაც:

1. ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლა;
2. გლობალური, საერთო-საკაცობრიო პრობლემების აღმოცენება;
3. რამდენიმე ქვეყნის მიერ მსოფლიო ძალაუფლების ხელში ჩაგდება;
4. საზოგადოებრივი პროცესების გავრცელება მთელს მსოფლიოში;
5. ქვეყნების მიერ საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვა.

ანტიგლობალისტების აზრით, გლობალიზაცია არის ეკონომიკურად სუსტი ქვეყნების ექსპლუატირება მსოფლიოს ეკონომიკური სისტემების დაკავშირების გზით და მათი იძულება დაემორჩილონ და დამოკიდებულიც კი გახდნენ დასავლურ წესწყობილებაზე.

მეორე მხრივ, გლობალიზაცია მნიშვნელოვანწილად ავითარებს ქვეყანას, მის ეკონომიკას, მასში არსებულ სოციალურ ფონს და ა.შ. ეს ყველაფერი კი ხდება გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო ინტეგრირების პროცესში მონაწილე ქვეყანა მსოფლიოს მრავალ სხვადასხვა ქვეყანასთან სავაჭრო თუ სხვა სახის ურთიერთობებისას უამრავ სარგებელს ღებულობს, ან შეიძლება მიიღოს. ეს არის: სხვადასხვა სახის საქონელი და მომსახურეობა, წარმოების ფაქტორები, ინვესტიციები, უახლესი ტექნოლოგიები,

ინფორმაცია, ცოდნა და გამოცდილება და ა.შ. ეს ყოველივე კი, თავის მხრივ, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ავითარებს ბაზრებს და მათში მონაწილეთა კონკურენტუნარიანობასა და საქმიანობის ხარისხს და, ზოგადად, აძლიერებს ქვეყნის სოციალურ მდგომარეობას.

გლობალური წარმოების განვითარების შედეგია წარმოების ეკონომიურობა, არჩევანის მრავალფეროვნება, მობილურობა და ეფექტურობა, ე.წ. „სპეციალური ეკონომიკური ზონები". XX საუკუნის ბოლოდან ფართოდ გავრცელდა ვაჭრობის ელექტრონული ფორმა, რომელიც გლობალიზაციის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ. ვაჭრობის ამ ფორმაში უგულებელყოფილია დროისა და ტერიტორიული სიშორის ფაქტორები. ვაჭრობაში გლობალიზაციის კიდევ ერთი მაგალითია ელექტრონული პლასტიკური ბარათები. მათი გავრცელება თავის მხრივ ფინანსურ გლობალიზაციას უკავშირდება. ფინანსური გლობალიზაციის საბოლოო მიზანია ერთიანი საფინანსო ბაზრის ჩამოყალიბება, ხოლო რაც შეეხება გლობალურ ვალუტას, პირველად ამ ფუნქციის შესრულება დოლარმა დაიწყო, XXI საუკუნის დასაწყისში კი ევროს შემოღებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ფინანსური გლობალიზაციის არსებობა. ფინანსური გლობალიზაციის შედეგია ოფშორული ტერიტორიებიც. ასეთი ზონები, როგორც ცნობილია, გამარტივებული მომსახურებით და შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმით განვითარებად ქვეყნებში ინვესტორთა მოზიდვას ისახავს მიზნად. [2]

დღეისათვის ითვლება, რომ ყველაზე საიმედო გარანტია ქვეყნის წარმატებით განვითარებისა ე.წ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია. კაპიტალი ჭეშმარიტად გლობალური გახდა და უგულებელყოფს რა საზღვრებს, მიემართება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, სადაც სწრაფი და მაღალი მოგება აქვს გარანტირებული.

წარმოებისა და ვაჭრობის ერთ-ერთი შედეგია შრომის გლობალიზაცია, რასაც, თავის მხრივ, მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია მოჰყვა, განსაკუთრებით, განვითარებულ ქვეყნებში. თუმცა, XXI საუკუნის დასაწყისში შრომის მიგრაცია აღარ არის მსოფლიო ეკონომიკის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი და თავად ევროკავშირშიც კი ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში მიგრაცია დაბალი ინტენსივობით ხდება.

ანტიგლობალისტები მიიჩნევენ, რომ შეუზღუდავი ვაჭრობა და ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაცია მხოლოდ განვითარებული სახელმწიფოებისათვის არის მომგებიანი, რაც ძირითადად ღარიბი სახელმწიფოების ხარჯზე ხორციელდება.

ციურიხის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ყოველწლიურად აქვეყნებს გლობალიზაციის ინდექსს, რომელიც 200-ზე მეტ ქვეყანას მოიცავს. ინდექსის მაჩვენებლები 3 ძირითად კატეგორიადაა დაყოფილი, რომლებიც შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმს ეფუძნება. ეკონომიკური გლობალიზაციის დონე საერთაშორისო ვაჭრობისა და უცხოური კაპიტალის მოძრაობის კრიტერიუმებით განისაზღვრება. სოციალური გლობალიზაციის კრიტერიუმებად შერჩეულია უცხოელებთან კონტაქტის სხვადასხვა მაჩვენებელი (მაგალითად, ტურისტების რაოდენობა, საერთაშორისო სატელეფონო ზარები, უცხო ქვეყნის მოქალაქეების წილი მოსახლეობაში, ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა, მაკდონალდსის რესტორნების რაოდენობა და სხვა). პოლიტიკური გლობალიზაციის დონის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია: საელჩოების რაოდენობა ქვეყანაში, საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, გაეროს უშიშროების საბჭოს მისიებში მონაწილეობა და საერთაშორისო ხელშეკრულებები. [3]

ეკონომიკური გლობალიზაციის დონის მიხედვით 2016 წლისათვის პირველ ადგილზე სინგაპურია 96.1 ქულით (მაქსიმალური ქულაა 100). მეორეზე ირლანდიაა 93.1 ქულით, მესამეზე – ლუქსემბურგი 91.8 ქულით. ჩამონათვალს აგრძელებს ჰოლანდია, მალტა, არაბთა გაერთიანებული საემიროები, უნგრეთი, ესტონეთი, ბელგია და სხვა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები. ჩვენი ქვეყანა ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით 2015 წელს მსოფლიოში მე-19 ადგილზე იყო 81 ქულით, ხოლო ზოგადად გლობალიზაციის დონით – 63-ზე. 2015 წელთან შედარებით 2016 წელს საქართველოს პოზიცია 3 საფეხურით გაუმჯობესდა. საქართველოს მე-16 ადგილი (82.6 ქულა) განაპირობა საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალურმა პოლიტიკამ და უცხოური კაპიტალის თავისუფლად შემოსვლის შესაძლებლობამ. [4]

ქვეყნის გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს, რამდენად არის ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევა. საქართველოს გლობალიზაციის ინდექსში სწრაფი აღმასვლა გატარებული რეფორმების შედეგი იყო. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბიზნესგარემო, თუმცა კვლავ დიდ გამოწვევად რჩება კერძო საკუთრების უფლებების დაცვა და სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემები.

2013-2015 წლებში ეკონომიკური ზრდის ტემპი შედარებით შენელდა. თუ 2014 წლის მონაცემებით საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავალი 3 676 აშშ დოლარია. 2015

წლისათვის ეს მონაცემი მხოლოდ უმნიშვნელოდ, 3767 დოლარამდე გაიზარდა, ხოლო 2016 წლისათვის 3852 დოლარია.

	2011	2012	2013	2014	2015	2016
მშპ, მლრდ ლარი	24.3	26.2	26.8	29.2	31.8	33.9
მშპ, მლრდ აშშ დოლარი	14.4	15.8	16.1	16.5	14.0	14.3
მშპ რეალური ზრდა	7.2%	6.4%	3.4%	4.6%	2.9%	2.7%
მშპ ერთ სულზე, აშშ დოლარი	3,231	3,523	3,600	3,676	3,767	3,852

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*- www.geostat.ge

რაც შეეხება მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის პროცენტულ ცვლილებას, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2014 წლის 4.6% მომდევნო წელს 2.9%-მდე დაეცა, ხოლო 2016 წლისათვის 2.7% შეადგინა. [5]

მსოფლიო ბანკის პროგნოზით, შემცირებას ზრდის ტენდენცია ჩაანაცვლებს: 2017 წლის საქართველოს ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 4,5%-ია, ხოლო 2018 წელს ეს მაჩვენებელი 5%–ს მიაღწევს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებული საპროგნოზო მაჩვენებლების შესაბამისად კი საქართველოს ეკონომიკა 2016-2017 წლებში 2.96 და 4.95%-ით გაიზრდება, რაც მოსაზღვრე ქვეყნებს შორის საუკეთესო მაჩვენებელია. [6]

ვფიქრობთ, ეკონომიკური ზრდის არსებული მაჩვენებლები აიხსნება სწორედ ქვეყნის ეკონომიკური გლობალიზაციის მაღალი დონით, რასაც საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაციით, ლიბერალური საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკით, ბიზნესის წარმოებაზე, უცხოურ კაპიტალზე, სამუშაო ძალასა და ტურიზმზე რეგულაციების შემცირებით, ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივებით, კორუფციის დონის მნიშვნელოვნად შემცირებით მივაღწიეთ.

საქართველოს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში ინტეგრაციის ხარისხზე კარგად მეტყველებს ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან და მსოფლიო წამყვან საფინანსო ინსტიტუტებთან: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვ. მსოფლიო ეკონომიკურ-ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს ეკონომიკის მონაწილეობის შეფასებისათვის მიზანშეწონილია განვიხილოთ საერთაშორისო ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი მაჩვენებლები, კერძოდ ის, თუ როგორი ტენდენციებით ხასიათდება საგარეო სავაჭრო ბრუნვა ექსპორტ-ინპორტი.

როგორც საქართველო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები ცხადყოფს, 2016 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 11966 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 20 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 2114 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (4 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 9852 მლნ. აშშ დოლარს (27 პროცენტით მეტი). შედარებით უკეთესი მაჩვენებლები დაფიქსირდა 2017 წლის იანვარში: საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 651 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 22 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 177 მილიონი აშშ დოლარი იყო (45 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 474 მილიონი აშშ დოლარი (15 პროცენტით მეტი). საქსტატის ცნობით, უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2017 წლის იანვარში 298 მილიონი აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 46 პროცენტი შეადგინა.

მიუხედავად ბოლო წლებში კლების ტენდენციისა, მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაც. თუ 2013 წელს იგი 941.9 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, 2014 წელს 1 758.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2015 წელს ეს მაჩვენებელი 1 564.5 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა, ხოლო 2016 წლისათვის 1 645.4 მლნ აშშ დოლარია. [5]

გლობალიზაციის პროცესებში საქართველოს ჩართვის მნიშვნელოვანი მაგალითია ევროინტეგრაციისაკენ სწრაფვა და ევროპარლამენტის მიერ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭება. 2017 წლის 28 მარტს გაიხსნა ევროპის საზღვარი. ვფიქრობთ, ევროპასთან უვიზო მიმოსვლა დამატებით შესაძლებლობებს მისცემს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს ევროპის უნივერსიტეტებში განათლების მიღების, სამედიცინო დახმარების, დასვენების, ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების კუთხით.

ევროინტეგრაციისა და ვიზალიბერალიზაციის დადებითი ტენდენციების პარალელურად, ხშირად ისმის კითხვა, რა ელის ეროვნულ თვითმყოფადობას გლობალიზებულ საზოგადოებაში? ჩნდება ეჭვი, რომ ერების, კულტურების ხელოვნური შერწყმით, მათი გაქრობისაკენ სწრაფვით გლობალურმა

პროცესებმა კაცობრიობა და მათ შორის პატარა, განვითარებადი ქვეყნები შეიძლება მძიმე პრობლემების წინაშე დააყენოს: ტერორიზმის, კონფლიქტების, არალეგალური მიგრანტების და სხვათა სახით.

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე 2012 წლის საშობაო ეპისტოლეში ეხმიანება გლობალიზაციის პროცესებს: "ახლა დრო შეიცვალა... ახლა ბრძოლა ადამიანის საზრისის, ანუ აზროვნების წესისათვის მიმდინარეობს, რაც თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით ხორციელდება; ფაქტია, რომ ელექტრონული მასმედიით, უარყოფითთან ერთად, ძალიან ბევრი საინტერესო ინფორმაციაც ვრცელდება ყველა სფეროში. ამაშია გლობალიზაციის ერთ-ერთი დადებითი მხარე და სწორედ ეს უნდა გამოვიყენოთ სათანადოდ. ვფიქრობთ, ამიტომაც კარგად უნდა ავითვისოთ ახალი ტექნოლოგიები და გავუჩინოთ ახალგაზრდებს ღრმა აზროვნების სურვილი, ავისა და კარგის გარჩევის უნარი, გავუღვივოთ ინტერესი სხვადასხვა ქვეყნის ისტორიისა და კულტურისადმი, რათა დააფასონ სხვათა ღირსება და მათგან კეთილი შეითვისონ… ამაშია საქართველოს გადარჩენა". [7]

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციის და კონკრეტულად ინტეგრაციის შესაძლებლობების გამოყენებით, ქვეყნები უფრო მეტ ეკონომიკურ სარგებელს ნახულობენ, ვიდრე აწყდებიან სირთულეებს. ინტეგრაცია გლობალიზაციის პროცესში და გლობალურ ეკონომიკაში აქტიური მონაწილეობის მიღება, შესაძლებლობას იძლევა ქვეყნებმა ნახონ სარგებელი, შეინარჩუნონ მაკროეკონომიკური სტაბილურობა, მიაღწიონ წარმატებებს ეკონომიკური ზრდის, დასაქმების მიმართულებით. ეკონომიკის გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. ელგუჯა მექვაბიშვილი, გლობალიზაციისა და მოდერნიზაციის ერთიანობა – თანამედროვე ეკონომიკური სისტემის განვითარების პარადიგმა, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი "გლობალიზაცია და ბიზნესი". #2 /2016, გვ. 30.
2. ნინო ჟვანია, "საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია", სალექციო კურსი სოციალური მეცნიერების მაგისტრატურისათვის, თბ., 2006.
3. ბესო ნამჩავაძე, საქართველოს ეკონომიკური გლობალიზაცია: შანსი საფრთხის ქვეშ, 14 მაისი, 2015 წ. http://forbes.ge/news/692/saqarTvelos-ekonomikuri-globalizacia
4. http://mediaclub.ge/article.php?ID=936
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo
6. http://factcheck.ge/article/2016-2017-tslebshi-saqarthvelos-regionshi-erth-erthi-qhvelaze-maghali-ekonomikuri-zrda-eqneba/
7. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II, ეპისტოლენი, გამომცემლობა პალიტრა L, 2016.

შიდა ქართლის განვითარების ეკონომიკური პრობლემები

ნინო თოდაძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე**, ასოცირებული პროფესორი

შიდა ქართლის რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოში დიდი და მცირე კავკასიონების მთათაშორისი ბარის შუა ნაწილში მდებარეობს. მას 3428,3კმ^2 ფართობის ტერიტორია უკავია და თავს უყრის 263,8 ათას მოსახლეს. შიდა ქართლის რეგიონს ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, კერძოდ: დედაქალაქთან სიახლოვე, საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალისა და სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მთავარი ხაზის განლაგება რეგიონში.

რეგიონის ბუნებრივი პირობები საკმაოდ მდიდარია, რაც სასურველ პირობებს ქმნის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობისთვის. აქ წარმოდგენილი ხშირი ჰიდროქსელი მდინარე

მტკვრის აუზს ეკუთვნის, ეს უკანასკნელი კი რეგიონის მთავარი საწყლოსნო არტერიაა. რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებული ბუნებრივი ზონები ხასიათდება მრავალფეროვანი ნიადაგებით, საკმაოდ მდიდარი ფლორითა და ფაუნით.

შიდა ქართლის რეგიონში მრეწველობა არ გამოირჩევა განვითარების მაღალი დონით, არც დარგების მრავალფეროვნებით, არც დასაქმებულთა რაოდენობით და არც პროდუქციის გამოშვების მოცულობით. 2015 წელს შიდა ქართლის რეგიონის მრეწველობაში ძირითადი მაჩვენებელი ასეთი იყო:

N	მაჩვენებელი	სიდიდე
1.	მრეწველობის ბრუნვის მოცულობა	477.0 მლნ.ლარი
2.	წარმოებული პროდუქცია	488.6 მლნ.ლარი
3.	დასაქმებულთა რაოდენობა	4644 კაცი
4.	დაქირავებულთა რაოდენობა	4395 კაცი
5.	დასაქმებულთა საშუალო ანაზღაურება	647.3 ლარი
6.	შუალედური მოხმარების მოცულობა	341.3 მლნ.ლარი
7.	შრომითი დანახარჯების მოცულობა	36.0 მლნ.ლარი
8.	დამატებითი ღირებულების მოცულობა	127.3 მლნ.ლარი
9.	ინვესტიციები	21.6 მლნ.ლარი
10.	საქონლისა და მომსახურების შესყიდვების მოცულობა	359.3 მლნ.ლარი

სასაქონლო სტრუქტურის მიხედვით რეგიონის მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქცია ძირითადად იყოფა ორ ნაწილად: კვების პროდუქტები და სამშენებლო მასალები. თავისი მნიშვნელობით რეგიონში გამოირჩევა მრეწველობის ისეთი საწარმოები, როგორიცაა: ქ. გორში: შ.პ.ს. ,,ჯეოკონცენტრატი“, შ.პ.ს. ,,ფორტე“, ს.ს. ,,დილა“, საკონსერვო ქარხანა ,,კულა'' და სხვა. კასპში: ,,საქცემენტის კასპის ქარხანა“, ,,ნატურალპროდუქტი“ (აგურის წარმოება), და სხვა; დაბა აგარაში ,,შაქრის ქარხანა“ .

მიმდინარე ეტაპზე შიდა ქართლის რეგიონში მრეწველობის განვითარების ძირითადი ხელის შემშლელი პრობლემებია: ინვესტიციების დაბალი მაჩვენებელი, მაღალი საბანკო პროცენტები კრედიტებზე, მოსახლეობის დაბალი შემოსავლები, კონფლიქტის ზონასთან სიახლოვე. თუმცა არსებობს დადებითი მხარეებიც, რომელთა გათვალისწინებითაც შესაძლებელი იქნება ინვესტიციების მოზიდვა და ადგილობრივი კაპიტალის დაბანდების ზრდა. მრეწველობის განვითარების საქმეში დადებით მხარეებად შეიძლება ჩაითვალოს იაფი სამუშაო ძალა, ავტო და სარკინიგზო მაგისტრალებთან სიახლოვე, შედარებით იაფი და მრავალფეროვანი მიწის რესურსები, ეფექტური მენეჯმენტის განხორციელება, ლიბერალური საგადასახადო საკანონმდებლო გარემოს შექმნა და სხვა.

შიდა ქართლი საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია. მისი მნიშვნელობა საქართველოს მასშტაბით განსაკუთრებით გამორჩეულია მეხილეობის თვალსაზრისით. ხილის უმეტესი სახეობების წარმოების მიხედვით, შიდა ქართლის რეგიონი პირველ ადგილზეა ქვეყანაში; კაკლის წარმოებით II ადგილზეა, ხოლო ყურძნის წარმოებით IV ადგილზეა. II ადგილზეა ბოსტნეულის ნათესები ფართობის მიხედვით, ხოლო ლობიოს ნათესებით I ადგილს იკავებს.

შიდა ქართლის მხარის ეკონომიკური აქტივობა ძირითადად შემდეგი დარგების საფუძველზე ხდება: სოფლის მეურნეობა (აგროწარმოება), მრეწველობა, ტურიზმი, ვაჭრობა (კომერცია), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, მშენებლობა (გზებისა და სხვა ინფრასტრუქტურის ჩათვლით). შიდა ქართლში კაპიტალის შემოდინება და ინვესტიციების ბაზარი, ბევრი სხვა სეგმენტის მსგავსად, 2006 წლიდან (29.1 მლნ. ლარი) 2008 წლამდე (118.9 მლნ. ლარი) მნიშვნელოვნად გაიზრდა, ხოლო ომის შემდეგი პერიოდი კი მკვეთრი დაცემის ტენდენციით გამოირჩა. აღნიშნულის უმთავრეს მიზეზს რუსეთის 2008 წლის აგრესია წარმოადგენს.

აუცილებელია აღინიშნოს შიდა ქართლის ტურისტული პოტენციალი, რაც ამ მხარეში არსებულ კულტურულ-ისტორიული თუ რელიგიური ღირებულების მქონე ძეგლების სიმრავლეს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, რეგიონის გრძელვადიანი განვითარებისათვის ტურისტული პოტენციალი განიხილება როგორც მისი ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი სფერო. ბოლო 2 წლის დინამიკის მიხედვით შიდა ქართლის რეგიონში ტურისტებისა და ვიზიტორების ნაკადები საგრძნობლად არის გაზრდილი, რაც დადებითი ტენდენციაა. ტურისტებისა და ვიზიტორების რაოდენობის მატების განმაპირობებელ ფაქტორთა შორის აღსანიშნავია რეგიონულ დონეზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები, ზოგადად ქვეყანაში კრიმინალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის

რეკლამირება მსოფლიოს წამყვან მედიაში და სხვ. ამავე დროს, თვალსაჩინოა შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორების არსებობაც, კერძოდ: შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია; შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში არ ფუნქციონირებს არცერთი კერძო ტურისტული სააგენტო; დაბალია კოორდინაციის ხარისხი დედაქალაქში მოქმედ ტურისტულ სააგენტოებსა და შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში არსებული ტურისტული ობიექტების წარმომადგენლებს შორის; არ არსებობს ტურისტული ინფრასტრუქტურა; ობიექტების დათვალიერებაზე დაწესებული ტარიფები; ტურისტული ობიექტების არასათანადო დასუფთავება.

ზოგადად, რეგიონს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, თუმცა საჭიროა სწორი ტურისტული „ნიშების“ პოვნა და კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტების განვითარება და შეთავაზება. რეგიონში შესაძლებელია განვითარდეს, სამკურნალო ტურიზმი, ეკო-ტურიზმი, აგროტურიზმი, კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმი, აქტიური და ექსტრემალური ტურიზმი. ტურიზმის განვითარება, თავის მხრივ, შემოსავლების ზრდისა და მოსახლეობის დასაქმების ერთ-ერთი პირობაა. კერძოდ, ტურიზმისათვის აუცილებელი კვებისა და დასვენების ობიექტების-პუნქტების შექმნა, კერძო საოჯახო სასტუმროების შექმნა, კულტურულ ძეგლებთან ტურისტული ცენტრების შექმნა, რაც, თავის მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების საშუალებას წარმოადგენს და დამატებით სტიმულს შექმნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და გასაღებისათვის.

ბიზნეს საქმიანობის სფეროს თვალსაზრისით, შიდა ქართლში მოქმედი კომპანიებიდან ყველაზე მეტი ვაჭრობის სექტორსა (41%) და კვების მრეწველობაში (12%) მოქმედებენ. შიდა ქართლის მხარეში მრეწველობა ძირითადად მცირე და საშუალო საწარმოების სახით არის წარმოდგენილი. 2008 წელს განხორციელებული რუსული აგრესიის და შემდგომ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენის შედეგად, ბიზნეს სექტორში ბრუნვა და გამოშვებული პროდუქცია შიდა ქართლის მხარეში მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა მომდევნო წლებში აღნიშნული მაჩვენებლები მკვეთრად იმატებს.

შიდა ქართლის რეგიონში მომსახურების სფეროს მდგომარეობა ნაკლებად დამაკმაყოფილებელია, რაც პირდაპირ აისახება რეგიონში ზოგადად ტურიზმისა და რეკრეაციის განვითარების დაბალ დონეზე. აღსანიშნავია, რომ რეგიონი განიცდის გართობისა და დასვენების ობიექტების დეფიციტს. აქედან გამომდინარე, ხშირია შემთხვევები, როდესაც ტურისტი რომელიმე ობიექტების ხანმოკლე დათვალიერების შემდეგ კვლავ თბილისში ბრუნდება არა მხოლოდ ღამის გასათევად, არამედ საკვებათაც კი, რადგან უცხოელი ტურისტები ვერ პოულობენ სხვადასხვა ტიპის საკვებ და გასართობ ობიექტებს (მაგ., კაფეებს, ღამის კლუბებს, გასართობ ცენტრებს და სხვ). შედეგად, ტურისტებს ნაკლებად აქვთ შიდა ქართლის რეგიონში ღამის გათევის სურვილი და, ამდენად, ისინი მხოლოდ „ტრანზიტულ“ ვიზიტორებად გვევლინებიან, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ტურისტების მხრიდან ადგილზე ფინანსების ხარჯვის შესაძლებლობას.

მუდმივი ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესი გავლენას ახდენს თანამედროვე წარმოებაზე და აჩენს არსებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის განახლების აუცილებლობას. კონკურენტუნარიანი წარმოება წარმოუდგენელია შედარებით მოძველებული ტექნოლოგიით, ვინაიდან მუდმივად იზრდება მომხმარებლის მოთხოვნილება მაღალი ხარისხის, ხელმისაწვდომი ფასისა და თანამედროვე სტანდარტებით წარმოებულ პროდუქციაზე, სახელმწიფოს ცენტრალურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა განაგრძონ მრავალფუნქციური ტექნიკის იმპორტის პროცესი და არსებული პარკის განახლების პოლიტიკის განხორციელება. პრიორიტეტულია გადამამუშავებელი საწარმოების გადაიარაღებისა და მშენებლობების სტიმულირება. აგროწარმოების გამოცოცხლება რეგიონში შემდეგი ინოვაციური მიდგომებისა და ახალი მეთოდების დანერგვასთანაა დაკავშირებული: ხეხილის თანამედროვე სანერგე მეურნეობების მოწყობა-გაძლიერება და გაფართოება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და კონდიციური ხეხილის ნერგის წარმოებისთვის ხელშეწყობა; ხილის მოსავლიანობის გაზრდა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება პერსპექტიული, მაღალმოსავლიანი სხვადასხვა ხილის გაშენებით შიდა ქართლის რაიონებში; ხეხილის ბაღებში თანამედროვე წვეთოვანი სარწყავი სისტემების მონტაჟი; თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოტანა რეგიონში; ხილის შესანახი თანამედროვე სასაწყობე მაცივრების რეაბილიტაცია და მშენებლობა თითოეული რაიონის სპეციფიკის გათვალისწინებით. ასევე მნიშვნელოვანია ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლება მოკლევადიანი კურსების (ტრეინინგ-ცენტრის) შექმნის მეშვეობით. სათანადო წიგნების, ბროშურების, გაზეთების გამოცემა და სხვა სახის ინფორმაციით დახმარება. საერთაშორისო გამოფენებში ადგილობრივი მეხილე ფერმერების, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების და სხვა სუბიექტების მონაწილეობის გააქტიურება.

ამრიგად, ნაშრომში შეძლებისდაგვარად შევეცადეთ გადმოგვეცა შიდა ქართლის რეგიონში ეკონომიკის წამყვან დარგებში - მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის ანალიზი. ხაზი გავუსვით იმ ეკონომიკურ პრობლემებს, რომელთა არსებობის გამოც ფერხდება

აღნიშნული დარგების განვითარება და შევეცადეთ დაგვესახა ის აუცილებელი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს რეგიონის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ლიტერატურა:
1. შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021.
2. გორის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და განვითარების გეგმა 2011
3. კასპის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და განვითარების გეგმა 2010
4. ქარელის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და განვითარების გეგმა 2011
5. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და განვითარების გეგმა 2011
6. გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, 2008.

ინტერტნეტ რესურსები:
1.http://www.geostat.ge/

ტურიზმის განვითარების თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში

მარიამ რაზმაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი,** პროფესორი

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება გაერთიანებული ერების ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, ზრდის ტენდენციით ხასიათდება მსოფლიოსა და რეგიონებში როგორც საერთაშორისო ჩამოსვლების, ასევე შემოსავლების თვალსაზრისით. 2014 წლის მონაცემების მიხედვით საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 1,245 მილიარდი აშშ დოლარი (937 მილიარდი ევრო). უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ დინამიკაში გაიზარდა საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, განსაკუთრებით აღსანიშნავია 2011-2012 წელი. ეკონომიკური რყევების მიუხედავად, გაიზარდა ტურიზმის ინდუსტრიის წილი გლობალურ ეკონომიკაში და იგი პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტების გათვალისწინებით შეადგენს მშპ-ის 9.8%. ტურიზმის ინდუსტრია ასევე აქტიურად განაგრძობს სამუშაო ადგილების შექმნას, იგი ერთ-ერთი მოწინავე ინდუსტრიაა დასაქმების თვალსაზრისით. 2014 წლის მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს მონაცემებით დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 276,845 მილიონი. მსოფლიო მასშტაბით ტურიზმში სტაბილურად იზრდება ინვესტიციების მოცულობა, 2014 წლის მონაცემებით განხორციელდა 814.4 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია, რაც შეადგენს მთლიანი ინვესტიციების 4.3%. რაც შეეხება რეგიონებში არსებულ სიტუაციას, 2014 წელს შემოსავლების კუთხით მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა, რაც გაგრძელდა მომდევნო წლებშიც. ევროპა (17 მლრდ აშშ დოლარი), მას მოსდევს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი (66 მლრდ აშშ დოლარი), ამერიკა (10 მლრდ აშშ დოლარი) და ახლო აღმოსავლეთი (4 მლრდ აშშ დოლარი).

ზემოთ აღნიშნული რეგიონებიდან ევროპა წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბით ლიდერ რეგიონს საერთაშორისო ჩამოსვლების კუთხით. ევროპა ასევე ლიდერობს შემოსავლების მიხედვითაც, რომელმაც შეადგინა ტურიზმიდან მიღებული საერთო შემოსავლების 43-%, 509 მილიარდი აშშ დოლარი.

განვითარებადი ქვეყნები განაგრძობენ მნიშვნელოვან ზრდას, შთამბეჭდავი ზრდის ტემპები ფიქსირდება მოგზაურობასა და დასვენებაზე გაწეული ხარჯების კუთხით ჩინეთში, რუსეთის

ფედერაციაში, ეს მეტყველებს ამ ქვეყნებში საშუალო კლასის გაძლიერებაზე, რაც მნიშვნელოვნად ცვლის მსოფლიო ტურისტულ რუკას. საერთაშორისო ჩამოსვლები - 2011 წელს დაფიქსირდა 996 მილიონი ვიზიტორი, 2012 წელს საერთაშორისო ჩამოსვლებმა პირველად მიაღწია ისტორიულ ნიშნულს 1,035 მილიონ ტურისტს. განვითარებადმა ეკონომიკებმა დაიკავეს ლიდერი პოზიციები 4.3%-იანი ზრდით, განვითარებულ ეკონომიკებთან შედარებით 3.7%. რაც წარმოადგენს უკანასკნელი წლების ძალიან მნიშვნელოვან ტენდენციას. ამ თვალსაზრისით პოზიტიური შედეგები აქვს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონს. გლობალური ეკონომიკური რყევების მიუხედავად, გაერთიანებული ერების ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზებით ზრდის ტემპი მომავალშიც შენარჩუნდება. 2014 წელს საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა გაიზარდა 4.4%-ით, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით დაფიქსირდა 48 მილიონით მეტი ტურისტი, შესაბამისად, მიაღწია ახალ ისტორიულ ნიშნულს 1,135 მილიონს. უნდა აღინიშნოს, რომ ზრდის ტემპის თვალსაზრისით საერთაშორისო ტურიზმმა გადააჭარბა ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის გრძელვადიან პროგნოზს. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ვიზიტორების ნახევარზე მეტი (51%) ევროპაზე მოდის, რეგიონში ჩამოსვლები უდრის 584 მილიონს. შესაბამისად, ევროპული ქვეყნები ამ მაჩვენებლით წამყვან ადგილებს იკავებენ: პირველ ადგილზეა - საფრანგეთი; მეორეზე – ამერიკის შეერთებული შტატები; მესამეზე კი – ესპანეთი.

აზია–წყნარი ოკეანის რეგიონზე მოდის საერთაშორისო ჩამოსვლების 23% და უტოლდება 263 მილიონს. ამერიკის რეგიონში შეადგინა 182 მილიონი, მთლიანი ჩამოსვლების 16%, აფრიკაში 56 მილიონი ვიზიტორი. აფრიკის რეგიონში საერთაშორისო ჩამოსვლების კუთხით 2011 წელს დაფიქსირდა ნეგატიური მაჩვენებელი, თუმცა 2012 წელს მდგომარეობა გამოსწორდა. საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები გაიზარდა 5%-ით და მიაღწია 34 მილიარდ აშშ დოლარს. შემოსავლები გაიზარდა ჩრდილოეთ აფრიკაში 2-%-ით, 2011 წელს კი შემცირდა, რაც გარკვეულწილად დაკავშირებული იყო ე.წ. ,,არაბულ გაზაფხულთან“ და არასტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციასთან. 2014 წლის მონაცემებით საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 2013 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 2%-ით და შეადგინა 56 მილიონი ვიზიტორი. უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონში არსებული არაერთი გამოწვევის მიუხედავად ზრდის ტენდენციით ხასიათდება საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებიც. გაერთიანებული ერების ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს რეგიონში ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის. გრძელვადიან დინამიკაში მათი პროგნოზები საკმაოდ ოპტიმისტურია.

2014 წელს ამერიკის რეგიონს საერთაშორისო ვიზიტორების მოზიდვის თვალსაზრისით ზრდის მაღალი მაჩვენებელი გააჩნია. 2013 წელთან შედარებით რეგიონი მოინახულა 14 მილიონით მეტმა ვიზიტორმა და ჯამში შეადგინა 182 მილიონი ტურისტი. განსაკუთრებით გამოირჩევა ჩრდილოეთ ამერიკა (+9%) და კარიბის აუზი (+7%). ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით თითქმის ორჯერ გაიზარდა საერთაშორისო ჩამოსვლები ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. რეგიონში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 2014 წლის მონაცემებით გაზრდილია 3%-ით. ამ კუთხით საუკეთესო შედეგები გააჩნია ცენტრალურ ამერიკას (+8%), კარიბის ზღვის აუზს (+7%) და სამხრეთ ამერიკას (+6%).

რაც შეეხება საქართველოს, 2016 წლის ხუთ თვეში საქართველოში შემოსული საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვმა 2 მილიონს გადააჭარბა და ჯამურად 2,119,275 შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს 15.3%-ით აღემატება. იანვარ-მაისში 18.8%-ით, 782,814-მდეა გაზრდილი ტურისტული ვიზიტების რაოდენობაც. ხუთთვიან პერიოდში ყველაზე მეტი ვიზიტი უკრაინიდან (+23.8%), აზერბაიჯანიდან (+22%), თურქეთიდან (+6.6%), სომხეთიდან (+2.8%) და რუსეთიდან (+19.6%) განხორციელდა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, პოზიტიური ტენდენციაა შენარჩუნებული ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლის რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-მაისში გამოირჩნენ ლატვია (+35%), იტალია (+22%), პოლონეთი (+15%) და საფრანგეთი (+10%). განსაკუთრებული ზრდაა ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა: ინდოეთი (+335%), ომანი (+329%), ისრაელი (+113%), არაბთა გაერთიანებული საამიროები (+69%), ბელორუსია (+46%), უზბეკეთი (+41%), ყაზახეთი (+25%), მოლდოვა (+22%).

2016 წელს ქვეყანაში უკვე 6 350 825 ვიზიტი განხორციელდა, რაც 7,6%-ით მეტია 2015 წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე, ხოლო ტურისტული ვიზიტი 2 714 773-ით განისაზღვრა, რაც 2015 წლის მაჩვენებელზე 19%-ით მეტია, - სტატისტიკურ მონაცემებს შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი აქვეყნებს.

2017 წლის მარტის თვის მონაცემებით საქართველოს 511,045 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 59,308-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (ზრდა +13.1%). მარტის თვის

მაჩვენებლებით იმ უცხოელი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში 219,642 შეადგინა, რაც 48,807-ით მეტია 2016 წლის მარტის მაჩვენებელზე (ზრდა +28.6%).

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ განისაზღვრა ტურიზმის მდგრადი განვითარების შემდეგი დადებითი ეფექტები:

1. ადგილობრივი რეზიდენტების დასაქმება - მნიშვნელოვანი სარგებელი, რომელიც უნდა მოიტანოს ტურიზმმა, არის ახალი სამუშაო ადგილები. ამ თვალსაზრისით ტურიზმის ინდუსტრიას უდიდესი პოტენციალი გააჩნია, რასაც ადასტურებს როგორც მსოფლიო, ასევე რეგიონული მასშტაბით არსებული სტატისტიკური მონაცემები;

2. მეწარმეობის განვითარება - იქმნება ახალი შესაძლებლობები, ადგილობრივი მეწარმეებისთვის, რათა ჩამოაყალიბონ და განავითარონ ტურისტული საწარმოები. ეს ქმნის ახალ შესაძლებლობებს ინვესტიციების წახალისების თვალსაზრისით;

3. შემოსავლების ზრდა - ახალი სამუშაო ადგილები და ტურისტული აქტივობები იწვევს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას. ეს კი აუმჯობესებს ადგილობრივების ცხოვრების სტანდარტებს;

4. საწარმოო ძალების განვითარების და განახლების შესაძლებლობა - ტურიზმში დასაქმებულები სწავლობენ ახალ უნარ–ჩვევებს და ტექნოლოგიებს;

5. ტურიზმი სტიმულს აძლევს ახალი პროდუქციის შექმნას - აუმჯობესებს საცალო გაყიდვებს, ხელს უწყობს სპეციალიზებული მაღაზიების, სავაჭრო უბნების, ასევე პარკების, კულტურული ცენტრების ჩამოყალიბებას;

6. მომიჯნავე სექტორების განვითარება - ტურიზმს შეუძლია მოახდინოს სტიმულირება სხვა ეკონომიკური აქტივობების და სექტორების, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, მრეწველობა და ხელოსნობა, მშენებლობა, ტრანსპორტი;

7. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება - ტურიზმის განვითარება ადეკვატურად აისახება ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, როგორიცაა გზები, წყალმომარაგება, ელექტროსიმძლავრეები, ნარჩენების მართვა;

8. არქეოლოგიური, ისტორიული მხარეების, ხელოსნობის, კულტურული ტრადიციების კონსერვაცია - ეკოლოგიის ხარისხის გაუმჯობესება ტურიზმის თანმდევი დადებითი ეფექტებია;

9. ტურიზმი როგორც რეგიონული განვითარების ფაქტორი - განსაკუთრებით პრობლემური რეგიონების განვითარება;

10. ტურისტული ტერიტორიის ეკოლოგიური ხარისხი - შესაძლოა გაუმჯობესდეს როგორც ტურიზმის შედეგი, რადგან ტურისტები უპირატესობას ანიჭებენ მიმზიდველ, დაუბინძურებელ ადგილებში ვიზიტს;

11. რეზიდენტების მიერ საკუთარი კულტურული იდენტურობის მნიშვნელობის გაცნობიერება - როცა ადგილობრივებისათვის აშკარაა რომ ტურისტი დადებით ემოციებს გამოხატავს, ჯეროვნად აფასებს, ბუნებრივი გარემოს, კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობას, ეუფლებათ სიამაყის გრძნობა თავიანთი მემკვიდრეობის გამო და უჩნდებათ დამატებითი სტიმული შეინარჩუნონ ავთენტურობა.

დადებით ეფექტებთან ერთად ტურიზმის სექტორს გააჩნია გარკვეული უარყოფითი გავლენები, როგორც ბუნებაზე ასევე, საზოგადოებაზე. უარყოფით ეფექტებს გარკვეულწილად განაპირობებს არასრულყოფილი კანონმდებლობა, განვითარების სტრატეგიის და ხედვების არარსებობა. უარყოფითი ეფექტებია: ეკოლოგიური პრობლემები; გარემოს და ისტორიული ტერიტორიების არაკონტროლირებადი გამოყენება; სანაპირო ზოლის, მიწისქვეშა და ჩამდინარე წყლების დაბინძურება; ტურისტების მხრიდან, ეროვნული პარკების, არქეოლოგიური, ისტორიული მხარეების არაკონტროლირებადი გამოყენება; ეკონომიკური სარგებლის შეზღუდვა ადგილობრივი საზოგადოებისთვის და რეზიდენტებისთვის.

გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახური მუშაობს გრძელვადიან პროგნოზებზე, აღნიშნულ პროგნოზებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტურიზმის განვითარების სამომავლო პერსპექტივები იქნება საკმაოდ პოზიტიური ხასიათის. ორგანიზაციის პროგნოზები ეყრდნობა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, გარემოს და ტექნოლოგიური ფაქტორების ღრმა ანალიზს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ტურიზმის ინდუსტრიის ფორმირებას და რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ტურიზმის განვითარებაზე მომავალში. კერძოდ, 2030 წლის პროგნოზი ასეთია:

• 2020 წელს საერთაშორისო ჩამოსვლები მიაღწევს 1.4 მილიარდს, ხოლო 2030 წლისათვის გადააჭარბებს 1.8 მილიარდ ტურისტს;

• 2030 წელს ყოველდღიურად 5 მილიონზე მეტი ადამიანი გადაკვეთს საერთაშორისო საზღვრებს, დასვენების, ბიზნესის და სხვა მიზნებისათვის;

• განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკები მიიღებენ უფრო მეტ ტურისტებს, ვიდრე განვითარებული ქვეყნები;

• აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი იქნება ყველაზე სწრაფად განვითარებადი;

• 2030 წლისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სუბ-რეგიონი იქნება ყველაზე სწრაფად განვითარებადი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის სუბ-რეგიონი ყველაზე მონახულებადი;

• 2013 წელს მოსალოდნელია საერთაშორისო ჩამოსვლების ზრდა 3-4%-ით, ხოლო 2010-2020 წლისათვის წლიური 3.8%

ტურიზმი წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის რთულ სახეს, რადგან იგი მოიცავს საზოგადოებისა და ეკონომიკის განსხვავებულ სექტორებს. შესაბამისად, რთულია ეკონომიკაზე სექტორის ზეგავლენის ზუსტი შეფასება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ძირითადი ინდიკატორების განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ეკონომიკური ინდიკატორების შესახებ სანდო მონაცემები.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://www.economy.ge/uploads/meniu_publikaciebi/ouer/Industry_overview_GEO.pdf
2. http://vet.ge/wp-content/uploads/2015/08/turizmis-industria.pdf
3. http://forbes.ge/news/1684/turizmis-bolo-12-weli
4. http://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/

ინოვაციები ბიზნესში და კონკურენტუნარიანობა

მარი ქარუხნიშვილი, ნოდარ არბოლიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მეხუთე საფეხურის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი,** პროფესორი

თანამედროვე ბიზნეს სამყარო სწრაფად ცვალებადია და ცვლილებების ტემპს ზრდის ტენდენცია გააჩნია, რაც ინოვაციების მძლავრი ნაკადით და გლობალური ინფრასტრუქტურის არსებობით აიხსნება. ინოვაცია დამოკიდებულია სამ ფაქტორზე: ინოვაციური იდეა; ორგანიზაციაში ინოვაციური იდეის მიმართ ბუნებრივი წინააღმდეგობის დაძლევა; სახელმწიფოს ხელშეწყობა. საკმაოდ მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება შემდეგ საკითხებზე:

1. სამთავრობო ინოვაცია და ინოვაციების დიფუზია;
2. ინოვაციური ტექნოლოგიები და ბიზნესის კონკურენტუნარიანობა;
3. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა.

სამთავრობო ინოვაციების ახსნა ეფუძნება ინდივიდუალურ, მარკეტინგულ და ორგანიზაციულ კვლევებს. შესაბამისად, სამთავრობო ინოვაციების საკითხის შესწავლით დაკავებულ მკვლევართა უმრავლესობა იყენებს როგორც ინდივიდის ინოვაციური ქცევების შესწავლის შედეგად მიღებულ დასკვნებს, ასევე დაკავებულია ახალი პროდუქციის გაყიდვების განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლის შედეგების განზოგადებით. ამავდროულად, ინტერესდება ორგანიზაციული ინოვაციების ამხსნელი თეორიებით. სამთავრობო ინოვაციების ახსნა მრავალგანზომილებიანი პროცესია და, ხშირ შემთხვევაში, მოითხოვს სხვადასხვა მხრიდან განხილვას.

ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის „სტარტაპ საქართველო“ დაწყება საკმაოდ მნიშვნელოვანია. ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა „სტარტაპ საქართველო“ საქართველოს მთავრობის რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში ქვეყნის სწრაფი განვითარების მიზნით დაიწყო. სამთავრობო ინოვაციების შესწავლით დაკავებულ მკვლევართა ერთი ნაწილი აქტიურად ახორციელებს კროსნაციონალურ კვლევებს და აანალიზებს სხვადასხვა სახელმწიფოში ამა თუ იმ ინოვაციური

პროგრამების დანერგვისა და გავრცელების პრაქტიკას (ინოვაციების დიფუზიები). მკვლევართა ნაწილისთვის კი შესწავლის ძირითადი თემა ხდება ინოვაციების დანერგვა.

გარდა ინოვაციების დიფუზიური მოდელისა, რომელიც ხსნის ინოვაციების გავრცელების გარე ფაქტორებს, ასევე არსებობს ინოვაციების დანერგვის შიდა ფაქტორების საფუძველზე ახსნის მცდელობები. თუმცა, ამ შემთხვევაში საკმაოდ დიდი ზეწოლა კეთდება ინოვაციების განმაპირობებელ ინდივიდუალურ ფაქტორებზე. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება დაშვებაზე, რომლის თანახმად, რაც უფრო მაღალია პიროვნების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი (განათლების, შემოსავალი და ა.შ), მით მეტ მიდრეკილებას ამჟღავნებს ის ინოვაციების მიმართ, ვიდრე დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მატარებელი პიროვნება. ამ დაშვების საფუძველზე, განათლების მაღალი დონის მატარებელი ადამიანი უფრო ღიაა ახალი იდეებისა და ინოვაციური პრაქტიკის დანერგვის მიმართ, მაღალი შემოსავლებისა და კაპიტალის მქონე ადამიანი გაცილებით იოლად დებს თანხებს ინოვაციურ პროექტებში, რადგან აქვს მეტი რესურსი ინოვაციების წარუმატებლობის შემთხვევაში არსებული რისკების გასაკონტროლებლად.

ანალოგიური დაშვებები ასევე აქტიურად გამოიყენება ორგანიზაციულ დონეზეც. დიდი ზომისა და რესურსების მქონე ორგანიზაციები გაცილებით მეტად ამჟღავნებენ ინოვაციების მიმართ დადებით დამოკიდებულებას, ვიდრე მცირე ზომისა და რესურსების მქონე ორგანიზაციები. მსგავსი სწორხაზოვანი დაშვებების გარდა, არსებობს ასევე დაშვება, რომლის თანახმად, ორგანიზაციის ინოვაციურობა დამოკიდებულია ინოვაციის განხორციელებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობების ხარისხზე, რაც, ერთი მხრივ, იზომება მოტივაციის ხარისხით იყოს ინოვაციური, მეორე მხრივ კი, ხელმისაწვდომობით რესურსებზე, რომელიც ინოვაციის განხორციელებასთან დაკავშირებულ წინააღმდეგობის დაძლევას უზრუნველყოფს.

მასობრივ მომხმარებელზე მორგებულმა პროდუქტმა, თითქმის ყველა ინდუსტრიაში მოიკიდა ფეხი - ავტომობილის წარმოებიდან ჯანმრთელი საკვების ინდუსტრიით დამთავრებული და მას იყენებენ ისეთი ისტორიულად სტანდარტული პროდუქტის მწარმოებელი კომპანიები, როგორებიცაა Mcdonalds და Starbucks. დღევანდელ ბიზნესში მომხმარებელზე მორგებული ინოვაციის ბუმია. ონლაინ-რეჟიმში შესაძლებელია შეიძინო მაისური და სურვილის შემთხვევაში დააწერო/დაახატო, შეგიძლია ყვავილების თაიგული შენით შექმნა, ბრენდების ნაწარმს საკუთარი სახელი დააწერო და ა.შ. კომპანიები ცდილობენ გამოიყენონ ყველა ხრიკი, რომ აგრძნობინონ მომხმარებელს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ის მათთვის.

მომხმარებელზე მორგებული ინოვაცია კომპანიის მართვისას მრავალმხრივ დივიდენდებს იძლევა:

1. მცირდება ინვენტარი; 2. გამომდინარე პირველი უპირატესობიდან, ბიზნესი ხდება უფრო ცოცხალი და მოძრავი და აქვს უნარი სწრაფად შეიცვალოს სტრატეგიული მიმართულება; 3. ბიზნესს არ სჭირდება საწარმოო კაპიტალი - როდესაც შეკვეთა ხორციელდება, მხოლოდ მაშინ მზადდება პროდუქცია; 4. რადგან მომხმარებელი იღებს ზუსტად იმ პროდუქტს, რაც მას უნდა, იზრდება მომხმარებლის პროდუქტით კმაყოფილება, ერთგულება და მეტი შანსია, რომ მან სხვა პროდუქტებიც იყიდოს ან კიდევ ერთხელ იყიდოს ძველი შენაძენი. მიუხედავად იმისა, რომ გლობალური ბიზნესის ტრენდი კეთილგანწყობილია მომხმარებელზე მორგებული პროდუქტის მიმართ, არსებობენ გამონაკლისებიც - მაგალითად Apple სტანდარტულ პროდუქტს სთავაზობს მომხმარებელს. გამონაკლისების არსებობა არ განაპირობებს დაშვების არასწორობას. ყველა ბიზნესი და ბიზნესმოდელი სხვადასხვაგვარია და ინოვაციის ძიების სხვადასხვა გზას მიჰყვებიან. მომხმარებელზე მორგებული პროდუქტი თუ სერვისი ბიზნესის მართვისა და დაგეგმარების ინოვაციური მეთოდია და შეიძლება საინტერესო ალტერნატივა იყოს ქართველი ანტრეპრენიორებისთვის.

ეკონომიკის მდგომარეობასა და მისი განვითარების პერსპექტივებს დღეს დიდწილად განსაზღვრავს კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი. ამასთან, კონკურენტუნარიანობის ინდექსში ინოვაციების ხვედრითი წილი 1/3-1/2-ის ფარგლებშია. ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაში უაღრესად დიდ როლს თამაშობენ კორპორაციები. ამა თუ იმ ქვეყანაში ინოვაციურ აქტივობაზე სრულ წარმოდგენას გვიქმნის ინოვაციური საწარმოებისა და ინოვაციური პროდუქტების ხვედრითი წილები წარმოების მთლიან მოცულობაში ან საგარეო ვაჭრობის სტრუქტურაში.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ინოვაციური პროცესები და ქვეყანაში ინოვაციური სისტემების ფორმირება სოციალურ და ეკონომიკურ პირობებთან დაკავშირებულ მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ბიზნესის კომერციულ წარმატებასა და კონკურენტუნარიანობას სულ უფრო მეტად განსაზღვრავს კომპანიების მიერ მეცნიერული კვლევების ჩატარებისა და ინოვაციების შექმნის უნარი. ამაში ერთ-ერთი საგრძნობი წვლილი ინოვაციურ-ტექნოლოგიურმა განვითარებამაც უნდა შეიტანოს. არადა, საკითხის ზედაპირულად შესწავლითაც კი ცხადი ხდება, რომ მას არსებითად შეაფერხებს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის სისუსტე,

ინოვაციების პროგრამული საბიუჯეტო დაფინანსების სიმწირე და სტრატეგიების არასაკმარისი ეკონომიკური ანალიზი.

ინოვაციურობისა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, ხედვების თვალსაზრისით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია „ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა - „ციფრული საქართველო 2014-2018“, რომელიც მთავრობის როლს ინოვაციის სტიმულირებაში მოიაზრებს საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებში მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. თვითონ მთავრობის, ეკონომიკისა და მთელი საზოგადოების ძირფესვიანი მოდერნიზებისათვის მთავარ საშუალებად ამ სტრატეგიაში ინფორამციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაა აღიარებული, რადგან ისინი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას უწყობენ ხელს.

კვლევებით დადგენილია, რომ იმ ფინანსური ქვეყნების ეკონომიკა კრიზისებს უფრო მარტივად ართმევს თავს, რომელიც აქტიურად იყენებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. აღნიშნული სექტორი კონკურენტულ უპირატესობებს უფრო ადვილად აღწევს და ქვეყნის გამდიდრებას უწყობს ხელს.

ეკონომიკის მდგომარეობასა და მისი განვითარების პერსპექტივებს დღეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი.

„სტრატეგიის“ შემუშავებისათვის მთავრობას ზრდის დიაგნოსტიკური მეთოდი გამოუყენებია და მისი მეშვეობით გამოუვლენია საქართველოს ეკონომიკის შემაფერხებელი სამი ყველაზე კრიტიკული პრობლემა. პირველი აქაც კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობაა. კერძო სექტორის კონკრენტუნარიანობას „სტარტეგიაში“ პირველი ადგილი აქვს მიკუთვნებული პრობლემის დაძლევის პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის, მისი უზრუნველმყოფი ღონისძიებების ნუსხაში კი ჩამოთვლილია: საინვესტიციო და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება; ინოვაცია და ტექნოლოგიები; ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება.

საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკა კონკურენტუნარიანი იყოს გლობალურ დონეზე. ქვეყნებს შორის გლობალური კონკურენტუნარიანობის საკითხზე მუშაობს შვეიცარიული ორგანიზაცია – მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF). აღნიშნული ორგანიზაცია 1979 წლიდან აქვეყნებს წლიურ ანგარიშს, სადაც გაანალიზებულია მსოფლიოს ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და ბიზნესგარემო.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) განმარტებით, კონკურენტუნარიანობა არის ქვეყნის შესაძლებლობა, აწარმოოს საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნის შესაბამისი საქონელი და მომსახურება და, ამავე დროს, სტაბილურად გაზარდოს მოსახლეობის რეალური შემოსავალი გრძელვადიან პერიოდში. კვლევაში შეტანილი 144 ქვეყნიდან ყველაზე კონკურენტუნარიანი ეკონომიკა აქვს შვეიცარიას, სინგაპურს, აშშ-ს, ფინეთს, გერმანიას, იაპონიას, ჰონკონგს, ხოლო ყველაზე ნაკლებად კონკურენტუნარიანია გვინეა, ჩადი, იემენი, მავრიტანია, ანგოლა, ბურუნდი, სიერა-ლეონე.

კონკურენტუნარიანობის შეფასების 119 კრიტერიუმი 12 თემატურ ჯგუფში არის გადანაწილებული. აღნიშნული ჯგუფების მიხედვით, საქართველოს ყველაზე კარგი პოზიცია შრომის ბაზრის ეფექტიანობაში აქვს – მსოფლიოში 41-ე ადგილს იკავებს. ხოლო ყველაზე დაბალ პოზიციაზე (121-ე ადგილი) ინოვაციების კუთხით არის.

საქართველოს კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ფაქტორები. დღეისათვის საქართველოსათვის კონკურენტული უპირატესობის მიღწევის გზაზე ხელის შემშლელ ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ:

1. მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე და შესაბამისად დაბალი მსყიდველობითუნარიანობა;
2. განათლებისა და მეცნიერების დაბალი დონე;
3. დაზოგვის დაბალი ნორმა და, შესაბამისად, შიდა ინვესტიციების დაბალი დონე;
4. კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი და არასატარიფო ბარიერების არსებობა;
5. წარმოებული პროდუქციის მაღალი ენერგოტევადობა და დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მაღალი ფასი ენერგომატარებლებზე;
6. დაბალი ტექნოლოგიური დონე;
7. წარმოებული პროდუქციის დაბალი ხარისხი;
8. მოძველებული მოწყობილობა–დანადგარები;
9. იაფი, მაგრამ დღეისათვის ხშირ შემთხვევაში დაბალი კვალიფიკაციის მუშახელი;
10. მონოკულტურული, ყოფილ საბჭოთა ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობა;

11. რესურსული დამოკიდებულება;
12. სუსტი ინფრასტრუქტურა და ა.შ.

საქართველოს მთავრობა ხშირად ეყრდნობა სხვადასხვა რეიტინგს საკუთარი საქმიანობის შესაფასებლად და ეს მართებულიცაა. გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში კი როგორც წარმატებების, ასევე წარუმატებლობების ყველაზე კომპლექსურ სურათს იძლევა და მისი გაანალიზება დაეხმარება პოლიტიკოსებს იმის დანახვაში, თუ რას აღიქვამენ ქართული კომპანიები პრობლემად და რამდენად მწვავეა პრობლემები სხვა ქვეყნებში არსებულ სიტუაციასთან შედარებით. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აღნიშნულ ანგარიშს ამზადებს ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაცია, როგორიც არის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი და მის შედეგებს აუცილებლად გაითვალისწინებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ინვესტორები.

ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ინოვაციურ-ტექნოლოგიური ფაქტორის როლის გასაძლიერებლად საქართველოს მთავრობას განზრახული აქვს ხელი შეუწყოს ინოვაციურ საქმიანობასა და უახლესი ტექნოლოგიების გადაცემა-დანერგვას ეროვნულსა და რეგიონულ დონეებზე, წაახალისოს გარემოს დაცვაზე ორიენტირებული ტექნოლოგიები და ე.წ. „მწვანე ეკონომიკის“ განვითარება.

ინტერნეტ-რესურსები:

1. https://www.facebook.com/GeorgiaY2B/posts/352812358152912
2. https://www.marketer.ge/5-dec/
3. opac.gtu.ge/cgi-bin/koha/opac-detail.pl?biblionumber=4406

საქართველოსა და ევროკავშირის ინტეგრაცია ეკონომიკურ ჭრილში

ნანა ჭაღინაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ია თეთრუაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

ინტეგრაცია არის სახელმწიფოთა გაერთიანების პროცესი პოლიტიკური თანამეგობრობის შექმნის მიზნით. ინტეგრაცია ნებაყოფლობითი პროცესია და კონსენსუსს ემყარება. მას ახასიათებს ისეთი გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურებისა და პოლიტიკური პროცესების არსებობა, რომლებიც თავიანთი ხასიათით უფრო ზეეროვნულია, ვიდრე სახელმწიფოთაშორისი. ინტეგრაციის პროცესის წარმატებისათვის აუცილებელია უსაფრთხოების, თანამეგობრობისა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების არსებობა. ტრადიციული (ევროპული) სქემით. მისი საფეხურებია: საბაჟო კავშირის, საერთო ბაზრის, საერთო პოლიტიკური სტრუქტურებისა და იდენტურობის შექმნა. ინტეგრაცია, როგორც წესი, რეგიონალიზმის საფუძველზე ვითარდება. დღევანდელ მსოფლიოში რეგიონული ინტეგრაციის ყველაზე წარმატებული მაგალითი ევროპის კავშირია.

ევროკავშირი სახელმწიფოთა ეკონომიკურ-პოლიტიკური გაერთიანებაა. ორგანიზაციის წევრია ევროპის 28 ქვეყანა. ევროკავშირში მოქმედებს ერთიანი შიდა ბაზარი, რომელსაც წევრი სახელმწიფოების კანონთა სისტემა არეგულირებს. ევროკავშირის ძირითადი პოლიტიკის მიზანია ადამიანების, საქონლის, სერვისებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა ერთიან, შიდა ბაზარზე.

ევროკავშირი ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია იყო, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს დახმარების ხელი გამოუწოდა. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ უკიდურეს ნიშნულებს მიაღწია. საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცა და სიღარიბემ გლობალური მოვლენის სახე მიიღო. სწორედ ამიტომ 1995 წლიდან საქართველო ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (Generalized Scheme of Preferences, (GSP)) სარგებლობს.

1996 წლის 22 აპრილს, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა საქართველო-ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და

თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. შეთანხმება 1999 წელს შევიდა ძალაში. ევროკავშირმა ანალოგიური შეთანხმებები აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის 10 ქვეყანასთან გააფორმა.

2014 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ „ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა" დაამტკიცა.

2016 წლის 1 ივლისს საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები მოიცავს ურთიერთთანამშრომლობის მრავალ მიმართულებას, რომლის ფარგლებში მხარეები ცალკეული მიზნების მისაღწევად ერთობლივი მუშაობის ვალდებულებას იღებენ. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ზოგადი მიზნებია:

- პოლიტიკური დიალოგისთვის სათანადო ჩარჩოს შემუშავება;
- დემოკრატიული მმართველობის გაძლიერება და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა;
- საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მხარდაჭერა;
- ვაჭრობისა და ინვესტირების წახალისება.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები, ასევე, ორიენტირებულია: საკანონმდებლო, ეკონომიკური, სოციალური, ფინანსური, სამეცნიერო, კულტურული და ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებებით ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერებისა და შემდგომი განვითარებისაკენ.

ორმხრივმა აქტიურმა თანამშრომლობამ შედეგი გამოიღო და 2013 წლის 28 ნოემბერს, ვილნიუსში, "აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტის ფარგლებში, "საქართველო-ევროავშირის ასოცირებისა" და მისი შემადგენელი, "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების" პარაფირება განხორციელდა.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა ითვალისწინებს ურთიერთობების გაღრმავებას სამი ძირითადი მიმართულებით - ასოცირების ხელშეკრულება (AA), რომელიც, ასევე, მოიცავს შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) და ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის შეთანხმებები.

ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია და მისი წილი იმპორტის საერთო მოცულობაში 30%-ს, ხოლო ექსპორტისა - 20%-ს შეადგენს, რაც მუდმივად უარყოფით სავაჭრო ბალანსს განაპირობებს. სხვა (ძირითადად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი) ქვეყნებისგან განსხვავებით, ვაჭრობის, განსაკუთრებით კი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის ხელის შემშლელი ფაქტორებია, ერთი მხრივ, მაღალი ტარიფები, ხოლო, მეორე მხრივ, არასატარიფო ღონისძიებებით გამოწვეული დაბრკოლებები. ამ კონტექსტში, 2013 წლის ნოემბერში ასოცირების შეთანხმების პარაფირება, როგორც საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეთანხმების რატიფიცირების პირველი ნაბიჯი, ხოლო მეორე მხრივ, შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, როგორც ასოცირების შეთანხმების ნაწილი, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად შეამცირებს სავაჭრო ბარიერებს ქართული პროდუქციის გატანისას და შექმნის ახალ შესაძლებლობებს, როგორც საგარეო ვაჭრობის მომდევნო დივერსიფიცირებისა და განვითარების, ასევე ვაჭრობის შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდის თვალსაზრისით. წინასწარი გამოთვლებით, DCFTA-ს ამოქმედების შედეგად გენერირებული ეკონომიკური სარგებელი მთლიანი შიდა პროდუქტის 6,5%-მდე გაზრდას გამოიწვევს. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოდან ექსპორტის მოცულობა 13.5%-ით გაიზრდება. ყველაზე მაღალი - 55%-ით - ნავარაუდევია ტექსტილის წარმოების ზრდა, ხოლო ხილის, ბოსტნეულის, კვების პროდუქტებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოების ზრდა ნავარაუდევია 4%-ით. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის ზაფხულში ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდგომ აუცილებელი გახდა შეთანხმების რატიფიცირება ევროპის ყველა წევრი ქვეყნის მიერ, რაც საკმაო დროს მოითხოვდა. აღნიშნულ რატიფიცირებამდე ამოქმედდება შეთანხმების გარდამავალი დებულებები. DCFTA საბოლოოდ ჩაანაცვლა GSP + პრეფერენციათა სისტემა, თუმცა, გარდამავალ პერიოდში, პირველი ორი წლის განმავლობაში, ეს ორი რეჟიმი ერთდროულად იქნება ძალაში.

რა სარგებელს ითვალისწინებს DC FTA (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება)? საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს: ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი

სავაჭრო სისტემის ფორმირებას; გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას; საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას; ქვეყნის მდგრად განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას; ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას; ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და გაფართოებას; ქართველი ექსპორტიორებისთვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას; ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას; ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას; სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად; ზოგადად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას: მოკლევადიან პერსპექტივაში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდას 1,7 %-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში - 4,3 %-ით. მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტის 9 %-ით, ხოლო იმპორტის 4,4 %-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ექსპორტის 12 %-ით, ხოლო იმპორტის 7,5%-ით ზრდას.

რა ვალდებულებებს ითვალისწინებს DC FTA და რა შედეგს მოიტანს მათი შესრულება? DC FTA ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან შემდეგ სფეროებში: სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები, სახელმწიფო შესყიდვები, საბაჟო და მომსახურებით ვაჭრობა (ელექტრონული კომუნიკაცია, ფინანსური მომსახურება, ტრანსპორტი, ფოსტა და საკურიერო მომსახურება). აღნიშნულ სფეროებში (კერძოდ, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები) დაახლოების შედეგად საქართველოში შეიქმნება ევროპული დონის სურსათის უვნებლობისა და ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის სისტემები, რაც ხელს შეუწყობს ქართული სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული პროდუქციის თავისუფალ განთავსებას ევროკავშირის ბაზარზე და ასევე, ადგილობრივ ბაზარზე უვნებელი და უსაფრთხო პროდუქტის მიწოდებას.

აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ მიაღწია უპრეცედენტო შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე, ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი (ნიორის გარდა, რომელზეც იმოქმედებს რაოდენობრივი შეზღუდვა), გათავისუფლდება საბაჟო ტარიფისგან ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კანონმდებლობის დაახლოება უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების მაქსიმალურ გამჭვირვალობას და ამასთან, საქართველოში წარმოებული საქონლისა და მომსახურების დაშვებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე. საბაჟო სფეროში კანონმდებლობის დაახლოების შედეგად, საქართველოს საბაჟო რეგულაციები დაუახლოვდება ევროკავშირის პროგრესულ რეგულაციებს. განხორციელდება მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოსა და ევროკავშირის საბაჟო ადმინისტრაციებს შორის, რაც ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირს შორის ექსპორტ/იმპორტის პროცედურების გამარტივებას, გამჭვირვალე და პროგნოზირებადი გარემოს შექმნას. მომსახურებით ვაჭრობის სფეროში კანონმდებლობის დაახლოება შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს მომსახურების ბაზრების შემდგომი ლიბერალიზაცია, რაც ითვალისწინებს ქართული კომპანიებისათვის ევროკავშირის შესაბამის ბაზრებზე დაშვების უკეთეს პირობებს.

რა გამოწვევები ახლავს DC FTA-ის განხორციელებას? DC FTA-ით გათვალისწინებული საკანონმდებლო დაახლოება გულისხმობს შესაბამის სფეროებში ევროპული სტანდარტებისა და პრაქტიკის დანერგვას. აღნიშნულ ცვლილებებთან საჯარო და კერძო სექტორების ადაპტაციისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი ღონისძიებების გატარება სახელმწიფოს მხრიდან ევროკავშირის მხარდაჭერით, მათ შორის - ტექნიკური/საექსპერტო, საგანმანათლებლო და ფინანსური დახმარება ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. რა სარგებელს მოუტანს საქართველოს სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების განხორციელება? სანიტარული და ფიტოსანიტარული სისტემის გაუმჯობესება, ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება და განხორციელება გაზრდის ქართული პროდუქციის ხარისხს და აამაღლებს სანდოობას მსოფლიო ბაზარზე, რაც ხელს შეუწყობს ექსპორტის გაზრდას; დაიცავს ქვეყანას მავნე ორგანიზმების შემოჭრისა და გავრცელებისგან, რაც საშუალებას მისცემს საქართველოს უზრუნველყოს ვეტერინარული კეთილსაიმედოობა და ხელს შეუწყობს ქართულ მწარმოებლებს განახორციელონ ცხოველური და მცენარეული წარმოშობის პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე. რა სარგებელს მიიღებენ საქართველოს მოქალაქეები „ასოცირების შესახებ შეთანხმებისგან“? „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ იმპლემენტაციის შედეგად, საქართველოს მოქალაქეები კონკრეტულ სარგებელს მიიღებენ. მათ შორის, აღსანიშნავია: ადგილობრივი სოფლის

მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება; მცირე და საშუალო საწარმოებისთვის უკეთესი შესაძლებლობების გახსნა; ევროპული განათლების ხელმისაწვდომობა; გაუმჯობესებული ჯანდაცვა; ენერგო ეფექტიანობის გაზრდა და განახლებადი ენერგო რესურსების განვითარება; „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გაფორმება ხელს შეუწყობს: ეკონომიკური რეფორმების პროცესს და ქმედითი, ფუნქციონირებადი და ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. მხარეები ვალდებულებას იღებენ ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, ექსპერტული მოსაზრებები და დანერგონ საუკეთესო პრაქტიკა ისეთ სფეროებში, როგორიცაა საჯარო ფინანსები, ფინანსური, მონეტარული და სავალუტო სექტორის პოლიტიკა და ეკონომიკური სტატისტიკა; დამოუკიდებელი შიდა აუდიტის მექანიზმის შემუშავება და განვითარება, რაც ხელს შეუწყობს საგადასახადო სფეროში ეფექტიანი მმართველობის გაძლიერებას ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების, ვაჭრობის განვითარებისა და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით; ეროვნული სტატისტიკის სისტემის შესაძლებლობების განვითარებას დროული, საერთაშორისო დონეზე შედარებადი და საიმედო სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფის გზით.

ევროკავშირთან სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობის განვითარებით ხელი შეეწყობა ევროკავშირის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელებში ჩართვას, საგზაო, სარკინიგზო, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტში ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების დანერგვას. საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას, მათ შორის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებას და თანამშრომლობის განვითარებას ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა, ბუნებრივი აირისა და ნავთობის მოძიება, მოპოვება და ტრანზიტი, განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტიანობა. ასევე, შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შესაძლებლობას. გარემოს დაცვის სფეროში ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას, რაც მიზნად ისახავს უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას. მხარეები ვალდებულებას იღებენ, შეიმუშაონ ბუნების დაცვის ერთობლივი პროგრამები, უზრუნველყონ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და დაიცვან გარემო საწარმოო დაბინძურებისაგან.. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს: მრეწველობის სფეროში ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივ დანერგვას, რაც გულისხმობს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. შესაბამისად, ევროკავშირის ბაზარზე სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის ზრდას და ამ ბაზარზე ქართული სამრეწველო პროდუქციის დამკვიდრებას; კორპორაციული სამართალის, საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტის და კორპორაციული მმართველობის სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ბრუნვისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ზრდას. ფინანსური მომსახურების, საბანკო და სადაზღვევო სფეროებში თანამშრომლობის განვითარებას, რაც გულისხმობს ღია საბაზრო ეკონომიკისათვის საჭირო ფინანსური მომსახურების რეგულაციის შემუშავებას, ინვესტორების ეფექტიან და ადეკვატურ დაცვას და დამოუკიდებელი და ეფექტიანი ზედამხედველობის მექანიზმის შექმნას. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, ეროვნული მარეგულირებლის დამოუკიდებლობისა და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერების უზრუნველსაყოფად. ამასთან, შეთანხმება ასევე ითვალისწინებს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პროდუქტისა და მომსახურების ბაზრების განსაზღვრას, გადაწყვეტილებების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმის შექმნას და პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და კონფიდენციალურობის უფლების უზრუნველყოფას. ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. დაგეგმილი ღონისძიებები მიზნად ისახავს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ზრდასა და ტურისტული ნაკადის მატებას. სოფლის მეურნეობის სფეროში ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივ დანერგვას. ასევე, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარებას; სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ევროკავშირის რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად დაგეგმვას, შეფასებასა და იმპლემენტაციას. ამასთან, მოხდება წარმოების მოდერნიზაცია და სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მეთევზეობის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება. თანამშრომლობის განვითარებას სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიების სფეროში მხარეები ვალდებულებას იღებენ, განახორციელონ ინტელექტუალური საკუთრების უფლების სათანადო და ეფექტიანი დაცვა, შექმნან ერთობლივი კვლევითი პროგრამები, ჩაატარონ ტრენინგები და გაცვლითი პროგრამები მეცნიერების, მკვლევრებისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი პერსონალისათვის. მომხმარებელთა უფლებების დაცვას, რაც გულისხმობს: შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწასა და ევროკავშირის შესაბამისი სტანდარტების დანერგვას, საქართველოსა და ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების დამცველ დამოუკიდებელ ასოციაციებს შორის კონტაქტების გაღრმავებას, ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლას; დასაქმების, სოციალური დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების

სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. საქართველო მოახდენს ეტაპობრივ საკანონმდებლო დაახლოებას ქვეყანაში ღირსეული შრომის პირობების შესაქმნელად. ამ მიზნით, შემუშავდება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი დასაქმების პოლიტიკა, სამუშაო უსაფრთხოების ნორმები და ანტიდისკრიმინაციული და სოციალური დაცვის მექანიზმები. ასევე, უზრუნველყოფილი იქნება სოციალური ჩართულობა და გენდერული თანასწორობა.

ასოცირების შეთანხმება, პრაქტიკულად, საქართველოს მოდერნიზაციის სამოქმედო გეგმაა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს შეეხება. ასოცირების შესახებ შეთანხმება ემსახურება ადამიანის უფლებების დაცვის განმტკიცებას, დემოკრატიის გაღრმავებას, მეტ გამჭვირვალობას, ეფექტიან მმართველობას, უსაფრთხოებისა და რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცებას, მომხმარებელთა და საკუთრების უფლებების დაცვას, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს უზრუნველყოფას. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, სატარიფო და არასატარიფო ბარიერების მოხსნით, საქართველოს ევროკავშირის ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ ევროპის ბაზარი, 500 მილიონიანი მაღალი შემოსავლების მქონე მოსახლეობით, ყველაზე დიდი ბაზარია მსყიდველობითუნარიანობის თვალსაზრისით, რაც საქართველოს უცხოელი ინვესტორებისთვის მიმზიდველ ქვეყნად აქცევს. ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი გარკვეული პირობების (სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტები) დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა ევროკავშირის ბაზარზე. ამჟამად, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან ექსპორტირებულ აგრარულ პროდუქციაში წამყვან ადგილს იკავებს ახალი და ხმელი თხილი, ღვინო, ნატურალური ყურძნის წვენი და მინერალური წყლები.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფორმირება, ასევე, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ინტერნეტ-რესურსები:

https://ka.wikipedia.org/wiki/ევროპის_კავშირი

http://www.parliament.ge/uploads/other/22/22580.pdf

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4449

ტურიზმი

სამედიცინო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში

თამუნა აბუსელიძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** პროფესორი

სამედიცინო ტურიზმი შედარებით ახალი, მაგრამ სწრაფად განვითარებადი დარგია. მისი ზრდის ტემპები ტურიზმის სხვა სეგმენტებს შორის ყველაზე მაღალია. სამედიცინო ტურიზმის მზარდ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ მსოფლიოში 50 ქვეყანაზე მეტს სამედიცინო ტურიზმის განვითარება სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ჰყავს აყვანილი. [1] სამედიცინო ტურიზმი გულისხმობს პაციენტების საზღვარგარეთ მოგზაურობას სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით. თუმცა, იგივე მიზნით ადამიანები შეიძლება გადაადგილდნენ საკუთარი ქვეყნის შიგნით. ჩვენი კვლევის მთავარი მიზანია - შევისწავლოთ რა პოტენციალი გააჩნია დღეს საქართველოს სამედიცინო ტურიზმის

განვითარების თვალსაზრისით, არის თუ არა მასზე მოთხოვნა და რა იგეგმება ამ პოტენციალის განსავითარებლად და დასახვეწად.

მსოფლიოში სამედიცინო ტურიზმის ბაზარი მკვეთრი ზრდის ტემპით ხასიათდება. ბოლო მონაცემებით, 2004-2012 წლების პერიოდში სამედიცინო ტურიზმიდან შემოსავლები 40 მილიარდიდან 0,5 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა და მთლიანი ტურიზმის შემოსავლების ($3.2 ტრილიონი) 14% შეადგინა. სამედიცინო ტურიზმის სექტორში დომინირებს გამაჯანსაღებელი ტურიზმი და სპა ტურიზმი (ბაზრის 41%). ექსპერტთა მტკიცებით, 2017 წლისათვის სამედიცინო ტურიზმის ბაზრის 50%-ზე მეტი აზიის, ლათინური ამერიკის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე გადანაწილდება. [2]

სამედიცინო ტურიზმის განვითარებას განაპირობებს სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული სამედიცინო მომსახურების ხარისხი, ხელმისაწვდომობა და ფასი. სამედიცინო ტურიზმის ოთხი ძირითადი მოტივი არსებობს:

- საზღვარგარეთ ანალოგიური სერვისის დაბალი ღირებულება;
- თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიები;
- მაღალი ხარისხის სამედიცინო დახმარება;
- დროის ფაქტორი (მკურნალობის ხანგრძლივი ლოდინი საკუთარ ქვეყანაში);
- საკუთარ ქვეყანაში საჭირო სერვისის არ არსებობა.

სამედიცინო ტურიზმის განვითარებას ასევე ხელი შეუწყო გლობალიზაციამ, რომელმაც გააადვილა და გააიაფა საერთაშორისო მოგზაურობა, ადამიანებს მისცა სწრაფი გადაადგილების შესაძლებლობა. ამიტომაც გასაკვირი არ არის რომ ოცდამეერთე საუკუნის მედიცინის დევიზი, გლობალიზაციის ტენდენციების შესაბამისად ჟღერს ,,პაციენტები საზღვრებს გარეშე!“

სამედიცინო ტურიზმის მეშვეობით შემოთავაზებული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის რისკებთან დაკავშირებული გარკვეული შიშის შემცირებას ხელს უწყობს სამედიცინო ცენტრების საერთაშორისო აკრედიტაცია. ასეთ აკრედიტაციას ახორციელებს საერთაშორისო ორგანიზაცია Joint Commission International (JCI).

ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო ახორციელებს უცხოელი ტურისტების მკურნალობის სუბსიდირებას (მაგალითად, თურქეთი), სხვა ქვეყნები თავიანთ თავზე იღებენ უცხოელები სამედიცინო მომსახურების სადაზღვევო რისკებს (მაგალითად, სამხრეთ კორეა).

საქართველოს სამედიცინო ტურიზმის განვითარების საკმაოდ მყარი საფუძველი გააჩნია. ამ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა ჩვენი ქვეყნის საკმაოდ ძლიერი საკურორტო პოტენციალი და სამედიცინო მომსახურების განვითარების მზარდი ტენდენციები.

მაგ: საქართველოში სამედიცინო და გამაჯანსაღებელი მომსახურება 3-ჯერ უფრო იაფია ვიდრე ისრაელში, 5-ჯერ უფრო იაფია ვიდრე ევროპაში და 10–ჯერ უფრო იაფია ვიდრე ამერიკაში. იზრდება სამედიცინო მომსახურების ხარისხიც.

რაც შეეხება საქართველოს სამკურნალო ტურიზმის პოტენციალს, ამ მხრივ, იგი ძალზედ მდიდარია საკურორტო ადგილებით. დღეისათვის აღირიცხება 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილი, რომლებსაც მომხმარებლებისათვის სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობის, რეაბილიტაციისა და გაჯანსაღების შეთავაზება შეუძლიათ. ქვეყანას გააჩნია საკმარისი კლიმატურ-ბალნეოლოგიური რესურსი იმისათვის, რომ იქცეს სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის მოწინავე ქვეყნად კავკასიის რეგიონში.

ბუნებრივი ფაქტორების სიმდიდრისა და მრავალფეროვნების გამო (სასურველი ჰავა, მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახები) საქართველოში იდენტიფიცირებულია 340-მდე იდენტიფიცირებული სამკურნალო ზონა, რომელიც გამოიყენება ჯანმრთელობის განმტკიცების, დაავადებათა მკურნალობისა და პრევენციისათვის.[3]

საქართველოში შესაძლებელია სამედიცინო ტურიზმის ისეთი სპეციფიკური სახეების განვითარება, როგორიცაა, კლიმატური (მთის, ზღვის სანაპირო, ტყის და ველის კურორტები) და ბალნეოლოგიური კურორტები (სასმელი წყლისა და აბაზანებით სამკურნალო). ისინი ოდითგანვე წარმოადგენდნენ ქვეყნის ტურისტულ ღირსებას. ქვეყანაში კურორტების განვითარება მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე იწყება. საბჭოთა პერიოდში ქართული კურორტები აღიარებული იყო როგორც ერთ–ერთი საუკეთესო სამედიცინო დანიშნულების ადგილები.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2010 წელს საქართველოს კურორტებზე მკურნალობისა და გაჯანსაღების მიზნით უცხოელი ტურისტების მხოლოდ 1% იყო ჩამოსული. 2010 წელს მკურნალობის მიზნით ქვეყანაში მაცხოვრებელთა 9%–მა იმოგზაურა. დღეს არსებული სტატისტიკური ინფორმაციით, საქართველოში ტურიზმიდან შემოსავლები ქვეყნის სავაჭრო ბრუნვაში მილიარდ შვიდას მილიონ დოლარს შეადგენს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. [4]

საქართველო გამორჩეულია კურორტებით – ბორჯომი, წყალტუბო, ქობულეთი, აბასთუმანი, ახტალა, ბაკურიანი, ბათუმი, ბახმარო, მწვანე კონცხი, ნაბეღლავი, საირმე, პატარა ცემი, სურამი. თბილ ბალნეოლოგიურ კურორტებს შორის აღსანიშნავია უწერა, ცაიში, ციხისძირი, ცემი, წაღვერი, შოვი, ჯავა და სხვა მრავალი.

მთის ჰავა გამოირჩევა სუფთა ჰაერით, მზის, განსაკუთრებით – ულტრაიისფერი სხივების ინტენსიური რადიაციით, დაბალი ბარომეტრული წნევით და ჟანგბადის გაცილებით მაღალი შემცველობით.

შავი ზღვის კლიმატი ნოტიო-სუბტროპიკულია. ზღვის ჰავას გააჩნია სამკურნალო თვისებები. ზღვისპირა კუროტებიდან თავისი მნიშვნელობით, მაგნიტური ქვიშებითა და დასვენებისა და გაჯანსაღებისათვის შესანიშნავი კლიმატური პირობებით გამოირჩევა ურეკი.

ასევე განსკუთრებული თვისებების მატარებელია წყალტუბოც. წყალტუბოს თერმული წყლებით საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, გულსისხლძარღვთა სისტემის, ცენტრალურ-პერიფერიული სისტემის, გინეკოლოგიურ, კანის და ბევრ სხვა სახის დაავადებებს მკურნალობენ. დასანანია, რომ დღეისათვის წყალტუბოს სამედიცინო ტურისტული პოტენციალის 5%-იც არ არის გამოყენებული. არსებული 22 სანატორიუმიდან დღეს მხოლოდ რამდენიმე ფუნქციონირებს. კურორტის დამსვენებლების 95% უცხოელია. ძირითადად ყაზახათიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან.

წყალტუბოს თერმული წყლების სამკურნალო თვისებები, უნიკალური კლიმატი, 20 კილომეტრში მდებარე ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი და სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურილი პროექტები, რომლებიც ქალაქში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება, გვაძლევს იმის იმედს, რომ წყალტუბო ძველ დიდებას დაიბრუნებს და სამკურნალო ტურიზმის ჰაბად იქცევა რეგიონში, ამიტომაც ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ მისი და ასევე სხვა სამკურნალო კურორტების, მაგალითად საირმის და ბორჯომის პოტენციალის ასათვისებლად და მის წარსადგენად მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე, ამისთვის კი საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციამ მის ხელთ არსებული ყველა მარკეტინგული რესურსი უნდა გამოიყენოს.

რატომღაც სრულიად დაუმსახურებლად, ბორჯომი დღესდღეობით სეზონური კურორტის სტატუსს ატარებს და მისი ტურისტული აქტივობა წელიწადში მხოლოდ ორი თვით – ივლის-აგვისტოთი შემოიფარგლება, თუმცა ბორჯომს, თავისი მინერალური წყლისა და კლიმატური პირობების სამკურნალო თვისებებიდან გამომდინარე, ნამდვილად აქვს პოტენციალი კავკასიის რეგიონში დომინანტ ბალნეოლოგიურ კურორტად იქცეს. ბორჯომის რაიონი ხასიათდება განსაკუთრებული კლიმატური პირობებით, რაც განპირობებულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით. იგი გამოირჩევა ზომიერი კლიმატით და მზის მნიშვნელოვანი აქტივობით, რაც განაპირობებს კლიმატის თერაპიული თვისებების შენარჩუნებას წლიდან წლამდე. მზის რადიაციის ცვალებადობა და მდიდარი მცენარეული საფარი განაპირობებს რეგიონში სამკურნალო-კლიმატურ თავისებურებებს.

საქართველოში დაახლოებით 2000 მინერალური წყაროა: ბორჯომი, საირმე, ლებარდე, უწერა, შოვი და ა. შ. მინერალური წყლების სიმდიდრე და მრავალფეროვნება პაციენტებს საშუალებას აძლევს მრავალი დაავადებისგან განიკურნონ. ტალახით სამკურნალო კურორტებიდან გამოირჩევა ახტალა, რომლის ფსევდოვულკანურ სამკურნალო ტალახს იყენებენ აბაზანებისთვის.

საქართველოში სამედიცინო ტურიზმის პოტენციალის მაქსიმალური ამუშავებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია იმ შემაფერხებელი ფაქტორების ანალიზი, რაც ხელს უშლის მის განვითარებას. უმთავრესად უნდა გამოვყოთ სამედიცინო ტურიზმის სფეროში არსებული ძლიერი კონკურენცია. ბევრ ქვეყანას, სადაც სამედიცინო ტურიზმი საკმაოდ განვითარებულია, კონკურენციას ვერ გავუწევთ. ასეთ ქვეყნებში უამრავი თანხა იხარჯება სამედიცინო ტურიზმის გასაძლიერებლად. ისინი სამედიცინო მომსახურების მრავალ სახეობას სთავაზობს უცხო ქვეყნების მომხმარებლებს. ამ თვალსაზრისით, საქართველო მულტიპროფილურად საინტერესო ვერ გახდება, მაგრამ შეგვიძლია ვიწრო მიმართულებით საინტერესო ვიყოთ, თუნდაც რეგიონალური მასშტაბით. ეს რეალურია. შეგვიძლია ავირჩიოთ ისეთი სფეროები, სადაც მცირე ინვესტიციებით, დაბალი ფასებითა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით უცხოელ პაციენტებს მოვიზიდავთ. [5].

სამკურნალო ტურიზმის განვითარებას აფერხებს არასაკმარისად განვითარებული ინფრასტრუქტურა, სასტუმროთა და სააგენტოთა ქსელი; შედეგად, ფერხდება ტურისტების უზრუნველყოფა თავშესაფრით. ამავე დროს, არსებული კერძო სასტუმროების მომსახურების დონე დაბალია. კლიმატური კურორტები ძირითადად მაღალმთიან რაიონებში მდებარეობს, სადაც ინფრასტრუქტურა განუვითარებელია.

საყურადღებოა სატრანსპორტო სისტემაში არსებული პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გზების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საქართველოს უმეტეს მაღალმთიან რეგიონში მოშლილია საგზაო და სატრანსპორტო სისტემა. შედარებით ნაკლებადაა განვითარებული შიდა ავიარეისები, საზღვაო ტრანსპორტი, რაც საკმაოდ გააადვილებდა გადაადგილებას.

სანაპირო ზოლის ზოგიერთ მონაკვეთზე შეინიშნება არადამაკმაყოფილებელი სანიტრულ-ჰიგიენური მდგომარეობა. რეგულარულად არ ხდება სანაპიროს დასუფთავება და საჭირო სანიტარული ნორმების დაცვა. ასევე ხშირია ზღვის დაბინძურება სხვადასხვა ჩამდინარე ნარჩენებით. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის დამსვენებელთა ჯანმრთელობას.

საქართველოს სამედიცინო ტურიზმის პოტენციალის შესახებ არ არსებობს სრულყოფილი საინფორმაციო ბაზა. სამკურნალო კურორტებზე შედარებით ნაკლებია რეკლამა. ასევე, ტურისტული სააგენტოების უმრავლესობა, მიუხედავად ქვეყნის დიდი პოტენციალისა, ტურისტებს სამედიცინო ტურებს ნაკლებად სთავაზობს.

მთავრობამ მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყოს ინვესტორების მოძიებას, შექმნას მათთვის ხელსაყრელი საგადასახადო გარემო. სამკურნალო კურორტების განვითარებას და მათი კონკურენტუნარიანობის შექმნას დასჭირდება საკმაოდ დიდი სახსრები, რომელთა მოძიებაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უცხოური ინვესტორების მოზიდვით. მართალია, ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში კურორტიდან მიღებული შემოსავალი მთლიანად ქვეყანაში დარჩება, მაგრამ სასურველი იქნებოდა იმ ინვესტორების მოზიდვა, რომელთაც აქვთ საკმაო გამოცდილება სამკურნალო კურორტების მართვის სფეროში. უცხოელ ინვესტორებს შეუძლიათ დანერგონ ქართულ კურორტებზე თანამედროვე ტექნოლოგიები, მკურნალობის მოწინავე მეთოდები და მათი გამოცდილებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენონ არსებული რესურსები.

სამკურნალო კურორტების განვითარება პირდაპირ აისახება მთელი რაიონის განვითარებაზე. როგორც წესი, ამა თუ იმ ქვეყანაში სამკურნალოდ ჩასული ტურისტები, რომლებიც მოხიბლულნი რჩებიან კურორტით, ცდილობენ მათი ვიზიტები გახადონ რეგულარული, შეიძინონ ან დაიქირაონ აგარაკები იმავე რაიონში. ამა თუ იმ ქვეყანაში სამკურნალოდ ჩასულ ტურისტებს ხშირად მიყვებიან ოჯახის წევრები, რაც კიდევ უფრო ზრდის ტურისტების რაოდენობას. შედეგად, რაიონში განვითარდება უძრავი ქონების ბიზნესი. შეძლებული ტურისტების მომრავლება რაიონში აჩენს ახალ შესაძლებლობებს ადგილობრივებისათვის, კერძოდ, მათ ადგილზევე შეეძლებათ გაასაღონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნაწილი, გაშენდება ახალი სკვერები და დასასვენებელი პარკები, სადაც დასაქმდებიან ადგილობრივები. გამწვანება ხელს შეუწყობს გარემოს გაჯანსაღებას. ასევე, უცხოელი ტურისტების მომრავლება რაიონში ქმნის საბანკო და სასტუმროს მომსახურების გაფართოების საჭიროებას, რაც უზრუნველყოფს დამატებით სამუშაო ადგილების შექმნას. საკურორტო რაიონების განვითარება შეაფერხებს მოსახლეობის მიგრაციას და შექმნის შემოსავალს ადგილობრივებისთვის.

სამკურნალო ტურიზმის განვითარებაში აქტიური როლი უნდა შეასრულონ ტუროპერატორებმა, რომლებმაც აქტიური რეკლამა უნდა გაუწიონ ქართულ კურორტებს. სამკურნალო კურორტების რეკლამირებისთვის კარგი საშუალებაა სოციალური ქსელები, რომელთაც მსოფლიო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოიხმარს. საინტერესო იქნებოდა საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტების მოწვევა, რომლებიც ქართული კურორტების კვლევის შემდეგ დადებდნენ კომპეტენტურ დასკვნას და დაადასტურებდნენ ჩვენი სამკურნალო კურორტების უპირატესობებს. ასეთი პროფესიონალური შეფასებები იქნება საკმაოდ დიდი სტიმული უცხოელებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ყველა საკურორტო რაიონში ფუნქციონირებდეს უკაბელო ინტერნეტი. ინტერნეტის გარეშე თანამედროვე ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია, ურიგო არ იქნებოდა, რომ მთლიანად გათავისუფლებულიყო გადასახადებისგან საკურორტო ზონებში მოქმედი ბიზნესი. ამ გზით სახელმწიფო მოახდენდა ბიზნესის და, შესაბამისად, რაიონის სწრაფი განვითარების სტიმულირებას და გადაწყვეტდა ადგილობრივი დასაქმების პრობლემებს. სახელმწიფომ კერძო სექტორთან ერთად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ახალი კადრების გადამზადებაში.

აუცილებელია გაუმჯობესდეს საგზაო სისტემა, განსაკუთრებით მაღალმთიან და შედარებით ძნელად მისადგომ ადგილებში, რადგან სამედიცინო ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პოტენციალი სწორედ მაღალმთიან რეგიონებშია თავმოყრილი. აუცილებელია სამარშრუტო ქსელის გაფართოება და მაღალმთიან რეგიონებში პირდაპირი მარშრუტების დანიშვნა; მიზანშეწონილია შიდასაქვეყნო, რეგიონთაშორისი ავიარეისების დანიშვნა, ასევე საზღვაო რეისების აღდგენა ვიზიტორების ტრანსპორტირებისა და გასეირნებისათვის.

ტურიზმის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, სამედიცინო ტურიზმი მოითხოვს სამედიცინო სფეროში არსებული თავისებურებების გათვალისწინებას. ამ მხრივ, მიზანშეწონილია ჩატარდეს სამედიცინო ტურიზმის შესახებ ტრეინინგ კურსები, რომელიც ჩაუტარდებათ ტურიზმის სფეროში დასაქმებულ პერსონალს, რათა ისინი აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო სტანდარტებს.

მიზანშეწონილია უცხოელი პაციენტებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერა, კერძოდ, მათთვის, ასევე თანმხლები პირებისათვის, რომლებიც გეგმავენ საქართველოში მკურნალობას, სავიზო შეღავათების დაწესება ან სავიზო მოსაკრებელისაგან განთავისუფლება.

მიზანშეწონილია სამედიცინო ტურიზმის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების დანერგვა, სამედიცინო ტურიზმის საერთაშორისო ფორუმებზე უფრო აქტიური მონაწილეობის მიღება, ერთობლივი სამედიცინო ორგანიზაციების შექმნა უცხოური კომპანიების მონაწილეობით, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ არსებულ კერძო კლინიკებს სამედიცინო მომსახურების ღირებულების თვალსაზრისით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მსოფლიო ბანკის ჯგუფის ფინანსური მხარდაჭერით შეიმუშავა ეროვნული ტურიზმის სტრატეგია. სტრატეგია მოიცავს 20-25 წლის პერიოდს და განსაზღვრულია ტურიზმის განვითარების სხვადასხვა მიმართულებები. სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საქართველოში სამკურნალო ტურიზმის, გამაჯანსაღებელი კურორტების განვითარება. საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს სტრატეგია სამედიცინო ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით ორ საფეხურს მოიცავს: პირველი ეს არის გზების, კავშირგაბმულობისა და წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია და მეორე, პირდაპირი ინვესტიციები სამედიცინო ტურიზმში, რათა მოხდეს ინფრასტრუქტურის განვითარება.[6]

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ვერ დაიტრაბახებს არსებული სამედიცინო ტექნოლოგიებით, ქვეყანას გააჩნია საკმარისი კლიმატურ-ბალნეოლოგიური რესურსი იმისათვის, რომ იქცეს სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის მოწინავე ქვეყნად კავკასიის რეგიონში.

ლიტერატურა:

1. Kelley, E. (2013). Medical Tourism. World Health Organization.
2. The Global Wellness Tourism Economy. Global Spa & Wellness Summit. Global Wellness Institute. 2013.
3. ვერულავა თ., სამედიცინო ტურიზმი და საქართველო: პრობლემების სპეციფიკა და რეკომენდაციები. გრ. რობაქიძის უნივერსიტეტი. შრომათა კრებული. თბილისი. 2016
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - 2016 წლის ანგარიში.
5. გურგენიძე, პ., რატომ არ ვითარდება სამედიცინო ტურიზმი საქართველოში? http://www.bpn.ge/biznesi/15972-ratom-ar-vithardeba-samedicino-turizmi saqarthveloshi.html?lang=ka-GE
6. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025 - http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/turizmi/sakartvelos%20turizmis%20strategia%202025.pdf

უფლისციხე - ტურიზმის განვითარების ცენტრი შიდა ქართლში

მარიამ გელაშვილი, ნანული კოპაძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ტურიზმის სპეციალობის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აისახა მრავალრიცხოვან ისტორიულ ძეგლებში. საქართველოში თითქმის ყველა ტურისტული მარშრუტი ძველი ეკლესია-მონასტრების მონახულებას გულისხმობს. თითქმის ყველა კულტურული ტური უკავშირდება ისტორიულ ძეგლს, რადგანაც საქართველოს ყველა მიმართულებით უამრავი ძეგლია, რომელსაც შეუძლებელია გვერდი აუარო.

ტურისტთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მსოფლიოში ცნობილ კლდეში ნაკვეთ ქალაქებს შორის საქართველოში არსებული რამდენიმე ასეთი კომპლექსი: უფლისციხე, დავით გარეჯის მონასტერი და მსოფლიოში სახელგანთქმული ქალაქი ვარძია, რომლებიც შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში. უფლისციხე „უფლის ციხე" შეიძლება დათარიღებული იქნას ადრეული რკინის ხანის პერიოდით. გამოკვეთილი ბუნებრივი ქვიშაქვის მასივში 8 ჰა ფართობზე კლდეში ნაკვეთმა ქალაქმა გაუძლო მილიონობით ადამიანს, ეროზიას, საუკუნეებს და მიწისძვრებსაც კი. მან შეინარჩუნა სახე და გვევლინება წარმართული და ქრისტიანული არქიტექტურების შერწყმის კარგ მაგალითად.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ტერიტორიაზე სულ სამი კლდეში ნაკვეთი ძეგლია დაცული: უფლისციხე, ვარძია, დავით გარეჯი. ამათგან უძველესი უფლისციხეა. უფლისციხე კლდეში ნაკვეთი ქალაქია, იგი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. ,,უფლისციხე ადგილობრივ ტომთა ბელადის, უფლის სადარის რეზიდენციას წარმოადგენდა. აქედან მომდინარეობს სახელწოდებაც უფლის სადარის ციხე, ანუ უფლისციხე. სახელი უფლისციხე ჯერ კიდევ კერპთაყვანისმცემლობის დროს ეწოდა. ეკლესიის გარეთ შესაწირი ქვევრებია. ოჯახში ბავშვი რომ იბადებოდა, ღვინოს ქვევრში ასხამდნენ და როცა მას 16 წელი უსრულდებოდა, ეკლესიაში მოჰქონდათ და ქვევრსაც აქვე ტოვებდნენ. ერთ დროს დიდებული ციხე-ქალაქი დღეს ღია ცის ქვეშ არსებული მუზეუმია. ლეგენდის მიხედვით უფლისციხე მონების მიერ არის აგებული. მონას ბერაქვს აძლევდნენ, რომლის ნახევარი რკინით იყო დაფარული, რითაც გამოქვაბულებს გამოკვეთნენ, მეორე ნახევარი კი ოქროთი. მუშას ისე უნდა ემუშავა, რომ უბრალო ლითონი გაეცვითა, რის შემდეგაც საჩუქრად თავისუფლებას და ძვირფას ლითონს ანუ ოქროს იღებდა. ეს, რა თქმა უნდა, ლეგენდაა, მუშას ამდენ ოქროს ხელში არავის არ ჩაუგდებდა. თუმცა ერთი რამ კი ნათლად იკვეთება, ის, თუ რამხელა შრომა იყო ჩადებული ქალაქის გამოსაკვეთად და მეორე ის, რომ საქართველოში ოქროს მართლაც მოიპოვებდნენ და ოქროს საწმისის ლეგენდა უკვე განყენებული აღარაა. უფლისციხე დაკავშირებული იყო აბრეშუმის გზასთან, რომელიც აქ გადიოდა მთელ სიგრძეზე, დღესაც ეტყობა ბორბლიანი ტრანსპორტის კვალი. უფლისციხეში კვერნაქის ქედიდან გამოყვანილი იყო წყალსადენი ციხე, წყლის გვირაბის მეშვეობით მტკვრიდან იღებდა. ძველად ანტიკურ პერიოდში აქ დაახლოებით 700-მდე გამოქვაბული იყო. დღესდღეობით 150 გამოქვაბულია შემორჩენილი. გამოქვაბულების დაზიანების მთავარი მიზეზი სხვადასხვა გახლდათ. ერთ-ერთი არის ქანი, რითაც ქალაქია გამოკვეთილი, ძალიან რბილია. მეორე უმთავრესი მიზეზი კი მიწისძვრები გახლდათ. ეს ადგილი საერთოდ სეისმური რეგიონია. უფლისციხეში თამარის დარბაზებიც იყო.... ეს სახელი თამარის საპატივსაცემოდ დაარქვეს, თუმცა თამარს იქ არასდროს უცხოვრია. უფლისციხეში არის წმინდა გიორგის სახელობის ბიზანტიური სტილის სამნავიანი ბაზილიკა. ეკლესია 10 წელია რაც მოქმედია და შაბათ-კვირას ტარდება ღვთის მსახურება. ეკლესია ყოველგვარი საძირკვლის გარეშეა აგებული და 1920 წლის მიწისძვრას გაუძლო. ამბობენ, რომ მშენებლობაში კვერცხის გულსაც იყენებდნენ, რაც კლდეებს სიმტკიცეს აძლევს. ისტორიული ძეგლების დაცვის პრევენციის მიზნით, უფლისციხის ისტორიულ დეკიზი არქიტექტურულ კომპლექსის ტერიტორიაზე 135 ჰა მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდა 2007 წლის 24 ოქტომბრიდან. უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ქალაქი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში. ჩვენ კვლევა ჩავატარეთ უფლისციხის მუზეუმის ტერიტორიაზე, გავესაუბრეთ ფონდების მცველს, იგი დიდ ყურადღებას უთმობს ძეგლის არქეოლოგიას.

1957 წელს არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა თბილისი და ყველა სახიერი არტეფაქტი მათ შორის ოქროს ნივთები, რომლებიც აღმოჩენილია ქალაქის ცენტრალურ ნაწილში წაღებულია თბილისში. უფლისციხეში აღმოჩენილი იყო ქილა, რომელშიც იყო ყურძნის წიპწა და ფშატის კურკა. ეს იმის დადასტურებაა, რომ ძვ.წ.აღ 2 ათასწლეულიდან ამ ტერიტორიაზე ვაზი არსებობდა, 7 საწნახელი და 3 მარანნი. მოსახლეობას მოჰყავდა ყურძენი, აჰქონდა ქალაქში და იწურებოდა სარიტუალო საზედაშე ღვინო. უფლისციხე იყო აბრეშუმის გზის ტრანსკავკასიური მაგისტრალის შემადგენელი ნაწილი. სპეციალურად ამ გზის კარიპჭედ გაიჭრა 150 მეტრიანი თავღია გვირაბი, სიგრძე 150 მეტრი. კლდეების სიმაღლე 10-10 მეტრი. აბრეშუმის გზას შეიძლება დაუკავშიროთ ქალაქში აღმოჩენილი ბერძნულ-რომაული მონეტები. აღმოჩენილია საწერ კალმები სტილოსების სახელწოდებით. სწორედ სტილოსებით არის შესრულებული ქვევრის პირებზე ამოტვიფრული არამეული წარწერები, რომელიც დათარიღებულია ძვ.წ.აღ 3 და ახ.წ.აღ 1 საუკუნით. არ არსებობს უფლისციხის პირვანდელი სახის ფოტო, მაგრამ არსებობს ჩანახატი. ჩანახატი, რომელიც გააკეთა 1834 წ. შვეიცარიელმა მოგზაურმა დებლადე მონდერემ. უფლისციხე იყო ცივილიზაციის ცენტრი. ეს იყო ქალაქი, სადაც იყო ობსერვატორია. ქალაქს ჰქონდა აფთიაქი, სავაჭრო ცენტრი, ბაზარი, დილეგები, ციხეები, კულტურის ცენტრი.

ყოველწლიურად უამრავი ტურისტი სტუმრობს უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტორულ მუზეუმ-ნაკრძალს, 2016 წელს 185 676 ვიზიტორი ეწვია. 2017 წლის ამ პერიოდისთვის 60 000 ვიზიტორია დაფიქსირებული. მათ შორის უმეტესობა უცხოელები არიან დაწყებული ამერიკიდან დამთავრებული

ავსტრალიამდე. ვიზიტორების რაოდენობა პიკს ივნისში აღწევს. საყურადღებოა ტურისტთა გამოკითხვის შედეგები. პრობლემები ძირითადად განთავსებასთან არის დაკავშირებული, არ არის ამ ტერიტორიაზე Gest House. ტურისტები, სურვილის შემთხვევაში, რჩებიან კარვებში ან სახლი მანქანებში. ინფრასტრუქტურა შედარებით უკეთესად გამოიყურება, მოწესრიგდა სანწერტილებთან და კვების ობიექტთან დაკავშირებული პრობლემები. მაგრამ არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც მოსაგვარებელია: უფლისციხეს აქვს რთული რელიეფი, რაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, კერძოდ, ეტლით მოსიარულეთათვის, პრობლემას ქმნის ტურისტულ-არქიტექტურული ძეგლის დათვალიერებისათვის, არსებობს სასმელი პრობლემა, ავტობანიდან უფლისციხემდე არ არის მანიშნებელი აბრები, საგზაო ნიშნები უფლისციხისაკენ მიმავალი ტურისტებისათვის. მნიშვნელოვან პრობლემაზე საუბრობს უფლისციხის დირექტორი, ძეგლს ესაჭიროება გამაგრებითი სამუშაოები, ქანები განიცდიან ცვლილებებს, ესაჭიროებათ კვლევითი სამუშაოების ჩატარება, შესწავლა, დაცვა, ეს ყველაფერი კი ხანდაზმულობასთან არის დაკავშირებული, ასევე ტურისტების მიერ მასიურ მონახულებასთან. აუცილებელია, რომ დავიცვათ და შევუნახოთ მომავალ თაობებს ჩვენი ისტორიულ-კულტურული ძეგლები, რომლებიც ყველანაირი სტანდარტების დაცვით იქნებიან გამოყენებულნი ტურისტების მისაღებად.

"ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა" - 1897 წელს აღფრთოვანებითა და გულისტკივილით წერდა ილია ჭავჭავაძე. საქართველოს სიმშვენიერეს - მის ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობას დაცვა სჭირდება.

ტურიზმი სწორედ ის სფეროა, სადაც წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა ტურისტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, შთაბეჭდილებების მოხდენას და მათი უფლებების უზრუნველყოფას. ჩვენი ქვეყანა ყველანაირად ცდილობს მოიზიდოს ტურისტები სხვადასხვა ქვეყნიდან, 200 000 ვიზიტორი ერთ ტურისტულ ობიექტზე ნამდვილად შთამბეჭდავია, მიუხედავად ზრდის მაჩვენებლებისა, არსებობს პრობლემები, რომლებსაც მოგვარება სჭირდება.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. არაბული, 2006: - არაბული კ., საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
2. კვარაცხელია, 2010: - კვარაცხელია ნ., კულტურული ტურიზმი, თბილისი.
3. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკა, 2014: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკა., ICOMOS, საქართველო, თბილისი.

http://ec.europa.eu/culture/library/studies/cultural-economy
http://mkt.unwto.org/en/barometer
www.georgia.travel.ge/
http://mkt.unwto.org/en/barometer
www.gnta.ge

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში

მანონი გიგაური
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** პროფესორი

ტურიზმი - ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილებაა საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დათვალიერების და/ან სხვა მიზნით. ტურიზმის ისტორია მომთაბარე პირველყოფილი ადამიანების დროიდან მომდინარეობს, როდესაც მათ უხდებოდათ გადაელახათ დიდი ტერიტორიები ცხოვრებისათვის შესაფერისი პირობების ძიებისას. ანტიკურ პერიოდში მოგზაურობის ძირითადი მოტივები იყო ვაჭრობა, სამყაროს შეცნობა,

გამოჯანმრთელება, განათლება. შუა საუკუნეებში მოგზაურობების უმეტესობა ხორციელდებოდა უცნობი მიწების მონახულების მიზნით. მე-20 საუკუნეში საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას, რასაც ხელი შეუწყო პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, ტექნიკურმა, კულტუროლოგიურმა და სოციალურმა ფაქტორებმა. საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაზე არსებითი დადებითი გავლენა იქონია ტრანსპორტის განვითარებამ, ასევე ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებების გაუმჯობესებამ.

თანამედროვე ტურიზმი მძლავრი ინდუსტრიაა, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილებს ადგილობრივი მოსახლეობისათვის და ხელს უწყობს ტურიზმთან მომიჯნავე დარგების განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას და ფულადი სახსრების შესვლას სახელმწიფო ბიუჯეტში. ამავდროულად, ეკონომიკის დარგია, რომლის მიზანია კულტურისა და განათლების განვითარება, დასვენებისა და ურთიერთობის ორგანიზაცია და ადამიანის ენერგიის აღდგენა. ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობისა და განვითარების გამყარებას განვითარებად ქვეყნებში, სამუშაო ადგილების შექმნის, შემოსავლების ზრდის, ეკონომიკის დივერსიფიკაციის, გარემოს დაცვისა და კულტურათა დაახლოების გზით. ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად ასტიმულირებს სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და გონივრული კანონმდებლობის დანერგვა.

ტურიზმი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონომიკის, ქვეყნის მომავლის განვითარების და უპირველეს ყოვლისა, ადამიანების დასაქმებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა. საერთაშორისო მოგზაურობები ყოველწლიურად დაახლოებით 700 მილიონი ტურისტის მიერ ხორციელდება და საერთაშორისო ტურიზმიდან მოგება 500 მილიარდ დოლარს აჭარბებს. საექსპორტო ოპერაციების მოცულობის მიხედვით ტურიზმის მოცულობა შეიძლება შევადაროთ ავტომობილებით და ნავთობით ვაჭრობას.

ტურიზმი წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის მეტად რთულ სახეს, რის გამოც დარგი ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვს. ტურისტულ ბიზნესში სახელმწიფო რეგულირების მიზანია ქვეყნის შესაძლებლობების უფრო რაციონალური გამოყენება და ტურისტების დიდი რაოდენობის მოზიდვა. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ ახალი ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებაში, ქმნიან და ტურისტულ ბრუნვაში შემოაქვთ ტურისტული ინტერესების ახალი ობიექტები.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ზემოქმედება ტურიზმზე განისაზღვრება როგორც მარეგულირებელი, როგორც მმართველი და როგორც სახელმწიფო პოლიტიკის მწარმოებელი. ყველაზე მეტად გავრცელებულია სამი ძირითადი მიდგომა. პირველი მიდგომის თანახმად, სახელმწიფო მართავს ტურიზმს. მეორე შეხედულების თანახმად, სახელმწიფო არეგულირებს პროცესებს ტურიზმში, ამ შეხედულებას საფუძვლად უდევს ის, რომ ტურიზმი არის დარგი, რომელიც სტრუქტურულად შედგება სამეწარმეო სფეროს სუბიექტებისგან, რომლებიც პირდაპირ არ ექვემდებარება ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოებს, ამიტომ გამოიყენება ტერმინი რეგულირება, და მესამე შეხედულება, რომლის თანახმადაც მნიშვნელოვანი არ არის ტერმინების - მართვა და რეგულირება - დიფერენცირება, შესაძლებელია ერთდროულად გამოვიყენოთ როგორც მართვა, ისე რეგულირება.

საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მსოფლიო ბაზარზე ნებისმიერი ქვეყნის ტურისტული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ტურისტული პროდუქტის მსოფლიო და შიდა ტურისტულ ბაზრებზე არაკომერციული მიზნებით წარმოჩენა შესაძლებელია მიღწეულ იქნეს მხოლოდ სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის პირობებში.

ტურიზმის განვითარებაში წამყვანი როლი ეკუთვნის სახელმწიფოს:

1. ტურიზმისა და კურორტების შესახებ კანონში განმარტებულია, რომ სახელმწიფო აღიარებს ტურისტულ საქმიანობას, როგორც ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგს;

2. სახელმწიფოს მიერ დაწესებული წესები და ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს ტურიზმის დარგში ატარებენ სავალდებულო ხასიათს და სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების სისტემის საშუალებით იღებს აგრეთვე შესაძლებლობას გააკონტროლოს მათი შესრულება და აუცილებლობის შემთხვევაში გაატაროს ადმინისტრაციული იძულებითი ხასიათის ღონისძიებები;

3. სახელმწიფო გვევლინება მიწის და ტურისტული ინტერესის ობიექტების მნიშვნელოვანი ნაწილის მესაკუთრედ და ამით ფლობს შესაძლებლობას, დაამყაროს ისეთი ქცევის წესები, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოების ინტერესების დაცვას ტურისტული პოტენციალისა და ტურისტული რესურსების გამოყენების გზით;

4. სახელმწიფო განსაზღვრავს ტურიზმის განვითარების პრიორიტეტებს. ტურისტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების პრიორიტეტული მიმართულებად განსაზღვრულია შიდა, შემოსვლითი, სოციალური და დამოუკიდებელი ტურიზმის განვითარება და მხარდაჭერა;

5. სახელმწიფო ასახავს ტურიზმის განვითარების პრიორიტეტებს კონკრეტულ გეგმებსა და პროგრამებში და ახდენს საბიუჯეტო სახსრების გამოყოფას.

საქართველოში ტურიზმის სფეროს შემდეგი კანონები არეგულირებს:

- საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ 1997 წ.
- საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ 1998 წ.
- ტურიზმის ქარტია 1994 წ.
- საქართველოს კანონი „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ'' 2010 წ.

საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ არეგულირებს ტურიზმისა და საკურორტო საქმიანობის სფეროში არსებულ ურთიერთობებს. მოცემული კანონის შესაბამისად, საქართველოს ტურისტული და საკურორტო რესურსები ეროვნული სიმდიდრეა და მას სახელმწიფო იცავს. ქვეყნის პოლიტიკას ტურიზმისა და კურორტების დარგში განსაზღვრავს პარლამენტი, ხოლო პრეზიდენტი უზრუნველყოფს ერთიანი პოლიტიკის გატარებას და ამტკიცებს სანიტარიული დაცვის ზონებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონით „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ უცხოელი ტურისტების მიღება, მომსახურება საქართველოს ტერიტორიაზე განიხილება, როგორც ტურისტული მომსახურების ექსპორტი, ამიტომ საქართველოს საგადასახადო კოდექსით ტუროპერატორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდება იბეგრება დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით.

საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს კურორტისა და საკურორტო ადგილებში საწარმოთა განთავსების, სამეწარმეო საქმიანობის, ბუნებრივი სამკურნალო რესურსებით სარგებლობისა და მოსახლეობის განსახლების აუცილებელ პირობებს.

აღნიშნული კანონის მიზანია ბუნებრივი სამკურნალო რესურსების თვისებების შენარჩუნება და მათი დაბინძურების, გაფუჭებისა და გამოფიტვისგან დაცვის მიზნით სანიტარიული დაცვის ზონების დადგენა. მოცემული კანონის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყოფა სანიტარიული დაცვის სამი ზონა, კერძოდ მკაცრი, შეზღუდული რეჟიმისა და სამეთვალყურეო ზონა.

ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტი – პირი (მეწარმე სუბიექტი), რომელიც „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით აშენებს სასტუმროს და უზრუნველყოფს მის ფუნქციონირებას.

ტურისტული საწარმო არის იურიდიული პირი, რომელიც აშენებს სასტუმროს, ახორციელებს სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მიწოდებას და ამ ქონების შემძენთან გაფორმებული სასყიდლიანი ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის სასტუმრო ნომრებად/აპარტამენტებად გამოყენებას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია შემდეგი სახის საგადასახადო შეღავათები:

მუხლი 99. მოგების გადასახადისაგან გათავისუფლება

2026 წლის 1 იანვრამდე ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ სასტუმრო მომსახურების გაწევით მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“–„დ“ ქვეპუნქტებით;

მუხლი 100. ერთობლივი შემოსავალი

4. ერთობლივ შემოსავალში ასახვას არ ექვემდებარება:

კ) ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის გამოყენებით ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმრო მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავალი – ფიზიკური პირისთვის.

მუხლი 168. დღგ-ს გადასახადისაგან გათავისუფლება

ჟ) ტუროპერატორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტულ ობიექტებში უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდება;

მუხლი 206. ქონების გადასახადისგან გათავისუფლება

ხ) 2026 წლის 1 იანვრამდე ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის სასტუმრო მომსახურებასთან დაკავშირებული ქონება.

ტურიზმის წვლილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების და სიღარიბის დაძლევის საქმეში საკმაოდ დიდია. 2017 წლის იანვარ-მარტში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების 23%-იანი ზრდა დაფიქსირდა და 435 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა (83 მლნ. აშშ დოლარით მეტი 2016 წლის იგივე პერიოდთან შედარებით). 2017 წლის იანვარ-მარტში 11.4%-ით გაიზარდა საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა და 1 266 125 ვიზიტორი შეადგინა.



ტურიზმის სფეროებში პროდუქციის მთლიანი გამოშვება (მლნ. ლარი)

მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის 2017 წლის ინდექსში საქართველომ 136 ქვეყანას შორის 3,70 ქულით 70-ე ადგილი დაიკავა. „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის'' (The World Economic Forum) მიერ გამოქვეყნებულ წლევანდელ რეიტინგში წინა მონაცემებთან შედარებით საქართველომ ერთი პოზიციით გაიუმჯობესა მდგომარეობა.

2009-2011 წლებში საქართველო 73-ე ადგილზე იყო, 2013 წელს - 66-ე ადგილზე, ხოლო 2015 წელს - 71-ე ადგილზე.

მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი დგება ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორებიც კონკრეტული ქვეყნის ტურიზმის სექტორში არსებული მდგომარეობა, უსაფრთხოება, ჯანდაცვა, ტრანსპორტი, სოციალური უზრუნველყოფა, ბიზნესგარემო, ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურის ხარისხი და კულტურული და ბუნებრივი რესურსების ოდენობაა.

საქართველოს პოზიციები გაუმჯობესდა შემდეგ 3 პოზიციაში:

1. ბიზნეს გარემო - 136 ქვეყანას შორის 22-ე ადგილი (5,26 ქულა)
2. უსაფრთხოება - 29-ე პოზიცია (6,01 ქულა)
3. მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროს პრიორიტეტულობა - 41-ე პოზიცია (4,90 ქულა)

ხოლო პოზიციები გაუარესდა შემდეგ კრიტერიუმებში:

1. ჯანმრთელობა და ჰიგიენა - 36-ე ადგილი (6,10 ქულა)
2. ტურისტთა მომსახურების ინფრასტრუქტურა - 70-ე პოზიცია (4,03 ქულა)
3. ადამიანური რესურსები - 51-ე პოზიცია (4,78 ქულა)
4. საერთაშორისო გახსნილობა - 66-ე პოზიცია (3,13 ქულა)

უცვლელი დარჩა: ფასების კონკურენტუნარიანობა - 66-ე პოზიცია (4,90 ქულა)

ინდექსის თანახმად, საქართველო ევრაზიის რეგიონში მეორეა რუსეთის შემდეგ და უსწრებს აზერბაიჯანს, ყაზახეთს, სომხეთსა და უკრაინას.

2025 წლისთვის საქართველო ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსში 66-დან 35 პოზიციაზე გადანაცვლებას გეგმავს. აღნიშნულს "საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025" ითვალისწინებს, სტრატეგიაში დასახულია შემდეგი განვითარების გეგმები: ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდა არსებული დონიდან (1.8 მილიარდი აშშ დოლარი) 5.5 მილიარდ აშშ დოლარამდე; დარგის მიერ მთლიან შიდა პროდუქტში შეტანილი პირდაპირი წვლილი უნდა შეადგენდეს 6.7%-ს; ტურიზმში დასაქმებული პირების რაოდენობის გაზრდა 85%-ით, 180,000-დან 333,564-მდე; ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა 4,3 დღიდან 5,3 დღემდე; ტურიზმის სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 63%-ით გაზრდა; დასავლეთ ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის

მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან ვიზიტორთა რაოდენობის გაორმაგება. სტრატეგიის მიხედვით, ტურიზმის წვლილი საქართველოს ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაში მნიშვნელოვნად მოიმატებს. მეტი ყურადღება დაეთმობა ვიზიტორთა ხარისხსა და მრავალფეროვნებას.

2016 წელს გამოქვეყნებული აშშ-საქართველოს ბიზნეს-საბჭოსა და კომპანია SW Associates LLC-ის ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი SWOT-ანალიზი რეალურად ასახავს არსებულ ვითარებას. მოკლედ იგი ასე გამოიყურება:

ძლიერ მხარეებში მოხსენიებულია გამოკვეთილად ქართული ასპექტები - (თონეში პურის ცხობა, ჩურჩხელა, ქორწინება ჯვრისწერით, ქართული ტრადიციული მასპინძლობა და სამზარეულო, ქართული ღვინო და სხვ.), სტალინის მუზეუმი გორში, დმანისის არქეოლოგიური გათხრები და მიმზიდველი ბუნება. საერთო ჯამში, საქართველო შეფასებულია მდიდარი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობით, რაც წარმოადგენს უცხოელ ტურისტთათვის უნიკალურ შეთავაზებას და შეუძლია ქვეყანა გახადოს კონკურენტუნარიანი მსოფლიო ტურისტულ სივრცეში.

სუსტ მხარეებად მიჩნეულია: არქეოლოგიური, ბუნებრივი და ისტორიული ძეგლების დაუცველობა, ტურისტული ნიშნებისა და ინფორმაციის ნაკლებობა, სასტუმრო სახლების სიმწირე უცხოელ ტურისტთა ჯგუფებისათვის, სუვენირების შეძენის შესაძლებლობის დეფიციტი, მიტოვებული (მოუვლელი) შენობები; ინფრასტრუქტურისა და მომსახურებების კუთხით – უხარისხო და სახიფათო გზები, საგზაო ნიშნების დეფიციტი, შიდა ავია გადაზიდვების არასაკმარისობა, შეუსაბამო სატრანსპორტო მოცულობა, დანაგვიანება და ნაგვის კოლექტორების არარსებობა, თანამედროვე ტიპის სუფთა ტუალეტების დეფიციტი და სხვ.

შესაძლებლობებიდან აღნიშნულია, რომ საქართველოს გააჩნია უამრავი პროდუქტის შეთავაზების შესაძლებლობა კულტურულ და ბუნებრივ რესურსებზე დამყარებულ ტურიზმის სფეროში (მაგ. „ღვინის ტურიზმს“, არქეოლოგიური გათხრების მონახულებას, რელიგიურ ტურიზმს და ბუნებრივ რესურსებზე დამყარებულ ტურიზმს).

საფრთხეებიდან დასახელებულია სერიოზული საერთაშორისო კონკურენცია საპლაჟო ტურიზმსა და ზამთრის ტურიზმში, ნარჩენების მენეჯმენტის პრობლემა. მარკეტინგისა და ბაზრის კვლევების არასაკმარისობა მიჩნეულია სერიოზულ სისუსტედ, რაც ასევე პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს. და კიდევ, პოტენციურ საფრთხედაა შეფასებული პოლიტიკური არასტაბილურობა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში.

წარმოდგენილი SWOT-ანალიზი რეალურად ასახავს არსებულ ვითარებას და თითქმის იდენტურია 8 წლის წინანდელი TACIS–ის ექსპერტთა მიერ ჩატარებული TACIS-ანალიზისა და დეპარტამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სხვადასხვა ფრაგმენტული კვლევების შედეგებისა.

SWOT ანალიზი საშუალებას იძლევა არა მარტო მივიღოთ ობიექტის ყოველმხრივი დახასიათება, არამედ განვსაზღვროთ ნეგატიური მომენტები, დაძლევის მიმართულებები. მთლიანობაში მოცემული ანალიზი იძლევა საშუალებას გამოვყოთ ტურიზმის დარგის საკვლევი ობიექტის ძლიერი და სუსტი მხარეები. საფრთხეები და სუსტი მხარეები არის ის, რაც უნდა იყოს სახელმწიფოსათვის ამომავალი წერტილი ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმის დასახვისათვის.

რეკომენდაციები

- ტურიზმის ცნებების დახვეწა

საქართველოს კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ ტურიზმის შესახებ კანონმდებლობა მოძველებულია და ვერ ეწევა დარგის მოთხოვნილებებს. აუცილებელია, საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ განახლდეს, აისახოს მასში მნიშვნელოვანი ტერმინები, როგორიცაა სხვადასხვა ტურისტული სახეობის განმარტება (სოფლად ტურიზმი, ეკო-ტურიზმი, საქმიანი ტურიზმი და სხვა), ტურისტული მომსახურებების განმარტება და ა.შ.

დარგის მართვა - საქართველოს კანონმდებლობის ანალიზით დადგინდა, რომ ცალსახად ჩამოყალიბებული არ არის დარგის მართვის ორგანო და მისი უფლებამოსილებები ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე. შედეგად, ცალკეული ფუნქციების შესრულება ჯეროვნად ვერ ხდება. საჭიროა, კანონმდებლობის რეფორმის პროცესში საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და კურორტების დეპარტამენტის ფუნქციების რეფორმირება და ტურიზმის მართვაში მათი როლის სათანადოდ გაწერა.

ტურისტული ობიექტების რეგისტრაცია - ტურიზმის განვითარებისთვის მომსახურების ხარისხის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. სარეგისტრაციო პროცედურები ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია, რომელიც ხარისხის გაუმჯობესებისათვის უფრო კონკრეტული პროგრამების წარმოების შესაძლებლობას შექმნის.

ტურისტული სერვისის მიმწოდებელთა ხარისხის მონიტორინგი - ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით შესაძლებელია შეიქმნას პროცედურა, რომლითაც განთავსების, კვების და ტურისტული სააგენტოების ან ოპერატორების მომსახურების ხარისხის სტანდარტების დამკვიდრება და შესრულება ეფექტიანი გახდება. პროცედურებით შეიძლება დადგინდეს კლასიფიკაციები და ხარისხის ნიშნები, რომელიც ბიზნეს ოპერატორებს წაახალისებს მათი დაკმაყოფილების შემთხვევაში.

სტატისტიკის წარმოება - საქართველომ უნდა გადადგას შესაბამისი ნაბიჯები გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციისა და ევროპის საბჭოს მიერ რეკომენდებული სტატისტიკური კვლევების წარმოების მიმართულებით. გამართული სტატისტიკური კვლევების და ანალიზის წარმოება მნიშვნელოვნად განაპირობებს ტურიზმის პოლიტიკის სწორად დაგეგმვას და ეფექტიან განხორციელებას.

საგადასახადო რეგულირებები - აუცილებელია, დაიწყოს მუშაობა ტურიზმის დარგისთვის სპეციფიკური გადასახადების ან მოსაკრებლების განსაზღვრის და ადმინისტრირების მიმართულებით. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით შეიძლება იმგვარი გზების მოძიება, რაც უარყოფით გავლენას არ მოახდენს ტურისტთა ზრდის ტენდენციაზე. მაგალითისათვის საქალაქო ან ტურისტული გადასახადის დაწესებით. ეს გადასახადები შეიძლება ადგილობრივ დონეზეც მიიმართოს და მუნიციპალური სერვისები გაძლიერდეს. გარდა ამისა, საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ საგადასახადო შეღავათების დაწესებაც შეიძლება საინტერესო იყოს საქართველოს რეალობისთვის. საჭიროა ამ მხრივაც დეტალურად გაანალიზდეს ვითარება და მოიძებნოს შესაბამისი გზები ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად.

ლიტერატურა:

1. http://www.geostat.ge/
2. http://reports.weforum.org
3. http://gnta.ge
4. http://www.nplg.gov.ge
5. http://www.sw-associates.net/
6. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025 - http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/turizmi/sakartvelos%20turizmis%20strategia%202025.pdf

სვანეთის ტურისტული პოტენციალი, განვითარების ფორმები და პროდუქტი

რუსუდან რატიანი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკურორტო-ტურისტულ ქვეყანას. მისი თვალწარმტაცი ბუნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, მუდმივი თოვლითა და ყინულით დაფარული კავკასიონის ქედი, შავიზღვისპირეთის სუბტროპიკული ზონა, წყალუხვი მთის მდინარეები და ჩანჩქერები, კარსტული მღვიმეები, კურორტები და მინერალური წყაროები, ისტორიის, კულტურისა და ბუნების უნიკალური ძეგლები ხელს უწყობს საქართველოში საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობის განვითარებას.

სვანეთი – საქართველოს ეს ულამაზესი რეგიონი კავკასიაში და არა მარტო კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი დასახლებული ადგილია. სვანეთი მდებარეობს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, სადაც იწყება მდინარეები ენგური და ცხენისწყალი. სვანეთში მდებარეობს საქართველოს უმაღლესი მწვერვალი შხარა. სვანეთი ოდითგანვე იყოფოდა ზემო და ქვემო სვანეთად. ცნობილია "უბატონო" სვანეთის სახელით. უძველესი დროიდან სვანეთი საქართველოს ეგრეთწოდებული განძსაცავი იყო. ბარში ძნელბედობის ჟამს მთელი ქვეყნის სიმდიდრე – ძვირფასი ხატები, ჯვრები და სხვა

საეკლესიო თუ საერო ძვირფასეულობა სვანეთის მაღალ მთებში ინახებოდა. მესტიის მუზეუმში დღესაც დაცულია ამ განძის საკმაო ნაწილი.

სვანეთში დღემდე შემორჩენილია ხელუხლებელი ბუნება, ძველი წეს-ჩვეულებები და ცხოვრების წესი. დღემდე შემორჩენილია და ხელუხლებლად დგას სვანების უძველესი საცხოვრებელი, მრავალსართულიანი სვანური კოშკები, რომლებმაც გაუძლეს მრავალ საუკუნესა და მრავალ მიწისძვრას. ზემო სვანეთი მოიცავს მდინარე ენგურის ხეობას – ჯვარიდან – უშგულამდე. ზუგდიდიდან გზა მიემართება დაბა ჯვარისკენ. გასცდებით თუ არა ჯვარს, ენგურის კაშხალს უახლოვდებით. გვეგებება მუდმივი თოვლით დაფარული მყინვარები.

მთის ჰავა, მაღალმთიანი ლანდშაფტები, მრავალრიცხოვანი მინერალური წყაროები, უნიკალური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა ამ რაიონს ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულად ხდის საქართველოში.

სვანეთში ბევრია სხვადასხვა შემადგენლობის მინერალური წყაროების გამოსასვლელები (ლახამულას, მესტიის, ბეჩოს, ლასკადურას, მუაშის და სხვა). რეგიონის მინერალური წყაროების უმრავლესობა განლაგებულია ჯანმრთელი მთის კლიმატის პირობებში, ლამაზი პეიზაჟის გარემოცვაში, რაც აძლიერებს მათი საკურორტო გამოყენების შესაძლებლობებს.

სვანეთს აქვს უზარმაზარი ტურისტული პოტენციალი, მთავარი ტურისტული მიმართულება, კულტურული მემკვიდრეობა და ალპური ბუნება. სვანეთი არის იუნესკოს მემკვიდრეობის მხარე. ტრადიციული ტურისტული მემკვიდრეობა ალპინიზმი, მთამსვლელობა, ლაშქრობა, ეთნოგრაფიული ექსკურსიები და კულტურული ტურებია. ამ მხარის ტურისტული პოტენციალი საკმაოდ მრავალფეროვანია. გარდა მხარის დათვალიერებისა, სვანეთს შეუძლია მრავალმხრივ განაცვიფროს ტურისტი.

სვანეთი მდიდარია შუა ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრული ძეგლებით, საცხოვრებელი კომპლექსებით, კოშკებით, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებით, ორიგინალური ჩუქურთმებით შემკული ავეჯითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით. სვანეთში დღემდე შემონახულია უნიკალური არქიტექტურული და ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, ტრადიციული დღესასწაულები. მთის მწვერვალები და მყინვარწვერები იპყრობენ მთამსვლელებისა და მოგზაურთა ყურადღებას. სვანური არქიტექტურის სხვადასხვა ფორმები დღეს ყველაზე უფრო ზემო სვანეთში - უშგულშია შემორჩენილი, ამიტომ იგი განსაკუთრებული ადგილია.

უშგული ზღვის დონიდან 2200 მეტრზე მდებარეობს და ევროპაში ყველაზე მაღალ დასახლებულ პუნქტად ითვლება. სვანეთი ულამაზესი მხარეა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. საოცარია აქაური სოფლები, მუდმივი თოვლიანი მთის თვალუწვდენელი მწვერვალები, აზალის სამოვრები, საიდანაც შუასაუკუნეების კოშკები ულამაზეს ხეობას ამაყად გადმოჰყურებენ, ხოლო ფრიალო კლდეებში ღრუბლები გაწოლილან. სვანეთი საჩუქარია არა მხოლოდ ლაშქრობის მოყვარულთათვის, იგი კულტურის უძველესი კერაცაა.

სვანეთის ეგზოტიკური, ხალასი, თვითმყოფადი და იდუმალებით მოცული მთის სამყარო ტურიზმის განვითარების იდეალურ პირობას ქმნის. აქაური ძეგლები თავისი ხასიათით, თვითმყოფად ბუნებასთან ერთად, უნიკალურია. აქ წარმოდგენილია ადრეული და შუა საუკუნეების ეკლესია-მონასტრები, კოშკები, უმშვენიერესი და საინტერესო ბუნება. ამიტომაც სვანეთს, როგორც დიდი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მქონე რეგიონს, უნიკალური ტურისტული პოტენციალი აქვს. ბევრი ტურისტისთვის ქვეყნის მონახულების მოტივაცია ძირითადად სვანეთს უკავშირდება, შესაბამისად ეს რეგიონი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მდგრადი ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. შესანიშნავი ბუნებრივი პირობები, ლამაზი ბუნება, ჯანსაღი კლიმატი და მინერალური წყლები საუცხოო პირობაა საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებისთვის. სვანეთში ასევე არის საუცხოო ხალხური ფოლკლორი, ხალხური რეწვის, ხეზე კვეთის, სხვადასხვა სახის მეწარმეობის ნიმუშები, უნიკალური სამზარეულო.

ძირითადი პროდუქტი, რომლითაც სვანეთი ტურისტულ ბაზარზე გადის, ულამაზესი სამთო-ტურისტული მარშრუტებია თავისი ეგზოტიკური ბუნებრივი ლანდშაფტებით და მდიდარი კულტურული გარემოთი. საბჭოთა კავშირის დაშლამდე სვანეთი წარმოადგენდა ალპინისტურ და სამთო-სათხილამურო ცენტრს საკმაოდ კარგად ორგანიზებული და განვითარებული ინფრასტრუქტურით. ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ რამდენიმე მეტად პოპულარული სამთო-ტურისტული მარშუტი გადიოდა. მოქმედებდა ტურისტული და ალპური ბანაკები, თავშესაფრები, ბაზები, არსებობდა სამაშველო ჯგუფები. მარშრუტზე ტურისტთა მოძრაობა მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა.

ტურიზმის მრავალ სახეობათა შორის ზემო სვანეთს თავისი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, ყველაზე მეტად მიესადაგება ე.წ. სოფლის ტურიზმი. ტურიზმის ეს

სახეობა ითვალისწინებს ტურისტების მიღებას სოფელში ან უშუალოდ ოჯახებში. ამ შემთხვევაში ტურისტებს ეძლევათ შესაძლებლობა უფრო მეტად გაიგონ ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესის შესახებ, გაეცნონ ბუნების ღირსშესანიშნაობებს, დაათვალიერონ ისტორიულ-კულტურულ-ეთნოგრაფიული ძეგლები, აქტიურად დაისვენონ. ზემო სვანეთის ყოფითი ტრადიციები, სრულიად ორიგინალური კერძები და გამორჩეული მასპინძლობა კარგი საფუძველია ე.წ. "გასტრონომიული" ტურიზმის მოყვარულთათვისაც. გარდა არაჩვეულებრივი ბუნებისა, ტურისტების მოსაზიდად ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სწორედ საკუთარი, კუთხისთვის დამახასიათებელი ორიგინალური სამზარეულოს არსებობა. მაგ., სვანეთში რძისგან უძველესი მეთოდით უგემრიელესი სულგუნი კეთდება, სვანური "მერწვი" ეს არის მოხარშული კარტოფილი და ყველი ერთმანეთში შერეული, რომლის ე.წ. გადაზელვასაც ხის კაუჭიანი ჯოხით ნახევარი საათი სჭირდება. "მერწვი", კუბდარისგან განსხვავებით, დიეტური კერძია. სახელგანთქმული კუბდარი ეს არის პურის ცომში მოხვეული დაკეპილი ხორცი, რომელიც შეკმაზულია სანელებლებით და ღუმელში ნელ ცეცხლზე ცხვება. სვანური სუფრის სავიზიტო ბარათია სვანური მარილი, რომელიც მთებში დაკრეფილი სანელებლებით არის შეზავებული.

სვანეთის მკვიდრი მოსახლეობა ძირითადად სვანურ ენაზე საუბრობს, ისინი განთქმულნი არიან თავიანთი სტუმართმოყვარეობით. სვანები თავისებური და ამაყი ხალხია. სვანეთის ისტორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია უნიკალური ფოლკლორი, სვანური სიმღერები ძირითადად ომებს, ომის გმირებს, სახელოვან მეფეებს ეძღვნება, ბევრი სიმღერა კი წარმართულ ელემენტებსაც შეიცავს.

ღირსშესანიშნაობებით მდიდარია სოფელი უშგული, რომლის ეტიმოლოგიას "უშიშარ გულს" უკავშირებენ, უშგული ისტორიულად უბატონო თემი იყო, უშგული ამჟამად ნაკრძალადაა გამოცხადებული და იუნესკოს მემკვიდრეობათა სიაშია შეტანილი: სვანური კოშკი, სვანური სახლი "მაჩუბი", წარმართული ხასიათის ნიშნები, ადიშის, იელის, სვიფის, წვირმის, ჟაბეშის, უშგულის ეკლესიები (სულ 70), მარგიანების სახლ-მუზეუმი.

ზემო სვანეთში არის ალპინიზმის განვითარების საუკეთესო პირობები, აქ თავმოყრილია მწვერვალები უშბა, შხარა, თეთნულდი და სხვა. სვანეთში ამჟამად ფუნქციონირებს ჰაწვალისა და თეთნულდის სამთო-სათხილამურო კურორტი, რომელმაც სვანეთს კიდევ უფრო გაუთქვა სახელი და ვიზიტორთა რიცხვის გაზრდის საწინდარიც გახდა. ერთმა მოგზაურმა სვანეთს "ხალხური ხუროთმოძღვრების საოცარი საცავი" უწოდა. მის საწყისებს საუკუნეების სათავეებთან ეძებენ, იქნებ იქ ბევრი რამ იყო წარმართული, ეგზოტიკური, მამაპაპური, მაგიური, მითიური. დღეს იქ ყველაფერი ბროლის ნაკადივით სუფთა, პოეტური და ამაღლებულია.

სვანეთის ტურისტულ ცენტრებად მიჩნეულია მესტია და უშგული. ამ ადგილებში უკეთაა განვითარებული მომსახურების დონე და აქედან უფრო მოსახერხებელია გადაადგილება და რაიონის დათვალიერება. აქ მაღალ დონეზეა უსაფრთხოების საკითხი. დაყენებულია ღამის განათებები, კეთილმოწყობილია საოჯახო სასტუმროები, მრავალფეროვანია მომსახურების სახეობები. მესტიაში არის ადმინისტრაციული, კულტურის, სვანეთის ეთნოგრაფიული მუზეუმი.

"თუ საქართველო ოდნავ მაინც გიყვართ, სვანეთში უნდა წახვიდეთ". ვინც ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვებს გაითვალისწინებს, მას მიეცემა საშუალება იმოგზაუროს ცოცხალ მუზეუმში, სადაც ქვაშია ჩაკირული უძველესი ქართული ტომის ისტორია. ცხრა მთას იქით, ღრუბლებთან ახლოს, იქ, სადაც არწივები კამარას კრავენ და სადაც ნადავლიანად მოჰქუხს ენგური, პატარა სოფელი უშგული, ანუ უშიშარი გული მდებარეობს. ასე სწორად შერჩეული ტოპონიმი მსოფლიოში უიშვიათესია. შეუძლებელია აქ ცხოვრება თუ ოდნავ მაინც რამის გეშინია და ეს მტკიცე განწყობა აქაურებს ხასიათშიც ეტყობათ. სწორედ ამ ადამიანების და სვანეთის, ასე ვთქვათ, მთავარი არტერიით, უშგულით დაინტერესდნენ საერთაშორისო გამოცემები: ვოლსტრიტ ჟურნალი და ნეიშენალ გეოგრაფიკი, რომლებიც რეგიონზე მოკლემეტრაჟიან ფილმს და სტატიებს მოამზადებენ. თავისუფალ, უბატონო სვანეთში თავისუფლების სუნი ტრიალებს და გგონია, რომ აქ ცას ხელით შეეხები, სოფელს კი ღვთისმშობლის მიძინების მამათა მონასტერი გადმოჰყურებს, რომელსაც ადგილობრივები "ლამარიას" ეძახიან, რაც სვანურად დედა ღვთისმშობელს ნიშნავს. უშგულში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მოწყობილ პრესტურში ქართველ ჟურნალისტებთან ერთად ექვსი ბრიტანელი ჟურნალისტი იმყოფებოდა, რომლებიც სვანეთის ტურისტულ პოტენციალს წარმოაჩენენ და ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურობას ასახავენ. საერთაშორისო მედიის მიერ მომზადებული მასალის ნახვა რამდენიმე თვეში იქნება შესაძლებელი. ტაძართან ერთად უშბა, შხარა, თეთნულდი, ადგილობრივების მიერ მოწყობილი ცხენების დოღი, მათი ყოველდღიური ცხოვრება და, რა თქმა უნდა, ათასწლოვანი სვანური კოშკები, ეს არის მთავარი თემატიკა დოკუმენტური ფილმისა, რომელსაც ბრიტანელი ჟურნალისტები, პრესტურის ფარგლებში გადაიღებენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენზე მსოფლიო კიდევ უფრო მეტად ისაუბრებს.

მუზეუმი ღია ცის ქვეშ, აქ თითოეულ ქვას თავისი ისტორია აქვს და წარსულის ღრმა ფესვებს ინახავს, სწორედ ამიტომაც თუკი სვანური ენა, კოშკები და სტუმართმოყვარეობა შევინარჩუნეთ, მაშინ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფეხქვეშ სამყარო გვაქვს მოქცეული.

ლიტერატურა:
1. უკლება მ., საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, შეფასება ტრანსფორმაცია. თბილისი, 2009.
2. არაბული კ., საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, თბილისი, 2006.
3. არაბული კ., ტუროპერეიტინგი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2015.
4. ოქროპირიძე ა., ვადაჩკორია გ., ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, თბ., 2011.
5. www.Gnata.ge www.dzeglebi.com, www.saunje.ge, www.daisvenet.ge, www.ntour.ge, www.freshtravel.ge, www.travelclub.ge, www.caucasustravel.com, www.elitetravel.ge, www.embassy.mfa.gov.ge.

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები და პრობლემები საქართველოში

თეონა ყუმბულაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ხალიანა ჩიტაძე,** ასოცირებული პროფესორი

ტურიზმის ინდუსტრია მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი დარგია. ტურიზმის განვითარება აახლოებს მსოფლიოს ხალხებს. ტურიზმი ის სფეროა, სადაც ტურისტის მოთხოვნები და უსაფრთხოება არის უზრუნველყოფილი და დაცული. საქართველოში ტურიზმის განვითარებისა და წინსვლისათვის უნდა განვიხილოთ შემდეგი პრობლემები და ღონისძიებები:

- ქვეყანაში არსებული პოტენციალის და რესურსების მონაცემთა სრულყოფილი ბაზის შექმნა;
- ტურიზმის სხვადასხვა სახეების განვითარება ქვეყანაში;
- ბუნებრივი რესურსების გონიერი და ეფექტური გამოყენება;
- ეკონომიკური განვითარება, ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

ეს მცირე ჩამონათვალია იმ პრობლემებისა და ღონისძიებებისა, რომლებიც ამ დარგის განვითარებისათვის სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერის შემთხვევაშია შესაძლებელი.

საქართველოს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, ამიტომ მას ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია ვიზიტორებისათვის. პირველ რიგში მისი ბუნება, ზამთრისა და ზაფხულის საკმაოდ პოპულარული ტურები, მათ შორის შავი ზღვის სუბტროპიკული ზონა, ბაკურიანისა და გუდაურის სათხილამურო კომპექსები, კურორტები მინერალურ იწყლებით, ისტორიული ძეგლები, რაღა თქმა უნდა, განთქმული ქართული სამზარეულო და ტრადიციული სტუმართმოყვარეობა და სხვა ზრდის საქართველოს მიმზიდველობის ხარისხს.

ამ რესურსებით დღეისათვის საქართველოს შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, გერმანია, ინდოეთი და სხვ. ტურიზმის სპეციფიკა იმაშია, რომ ბიზნესის წარმატება ამ სფეროში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა უმასპინძლოს ტურისტული ნაკადების დიდ ტალღას ისე, რომ დააკმაყოფილოს ტურისტების მოთხოვნილებები, მათ შორის უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება. ტურიზმი საქართველოში განვითარების ახალ ეტაპზე იმყოფება და ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების ფონზე, ეს პროცესი საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს.

ფაქტია, რომ საქართველოში საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა იზრდება, ეს დასტურდება ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით (იხ. დიაგრამა 1) და ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევითაც.



დიაგრამა 1. საერთაშორისო ვიზიტორების რიცხოვნობის დინამიკა (2005-2016 წწ.)
წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.
http://stats.gnta.ge/Default.aspx

2005 წლიდან სახეზეა ვიზიტორების რიცხოვნობის აბსოლუტური ზრდის ტენდენცია. ვიზიტორები ოფიციალური მონაცემებით ძირითადად (81%) სახმელეთო გზით შემოდიან.

2017 წლის სამი თვის ჯამური მონაცემებით საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 1,266,125 შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 11.4%-ით მეტია. მოცემულ პერიოდში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის ზრდა 126 ქვეყნიდან დაფიქსირდა, რაც რაოდენობრივად 169,668-ს შეადგენს. 1,500-ზე მეტი ზრდა ფიქსირდება 9 ქვეყნიდან, ჯამში 150,039 (მთლიანი ზრდის 88%). ქვეყნების მიხედვით ვიზიტორების ზრდის მაჩვენებლები მოცემულია დიაგრამაზე №2



დიაგრამა 2. ქვეყნების წილი მთლიან ზრდაში (%) 2017 წ.
წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.
http://stats.gnta.ge/Default.aspx

როგორც ვხედავთ, 2017 წლის პირველი კვარტლის მონაცემების მიხედვით ვიზიტორების ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი მეზობელი ქვეყნებიდან შემოსულებს ეკუთვნით და ამ სიას სათავეში უდგას რუსეთი. თუ თვალს გადავავლებთ მიმდინარე და წინა წლის საერთაშორისო შემომსვლელი ტურისტების რაოდენობის პირველი კვარტლის მონაცემებს, აქ უკვე ლიდერის ფუნქციას უპირობოდ ასრულებს აზერბაიჯანი, მართალია რუსეთი შედის ტოპათეულში, მაგრამ ვიზიტორების რაოდენობით მეოთხე ადგილს იკავებს. (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1

საერთაშორისო ვიზიტორების გეოგრაფიული სტრუქტურა (ტოპ ხუთეული ქვეყანა)

TOP ხუთეული - ქვეყანა	2016 - შემოსვლა	2017 - შემოსვლა	პროცენტული ცვლილება
აზერბაიჯანი	353 279	368 068	4.19%
სომხეთი	229 133	264 067	15.25%
თურქეთი	274 450	236 156	-13.95%

რუსეთი	144 935	185 624	28.07%
ირანი	16 499	55 568	236.80%
სხვა	118 425	156 642	32.27%

თუ ამ მონაცემებს ჩატარებული კვლევის შედეგებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ 2016 წლის ზაფხულიდან ვიზიტორების გეოგრაფიულ სტრუქტურაში გამოკვეთილი ტენდენციები შენარჩუნებულია და საკმაოდ მდგრადია ლიდერი ქვეყნების ტოპ ათეული. კვლევის შედეგებით, ყველაზე მეტად საქართველოს სტუმრობენ უკრაინის (21,4%), რუსეთის ფედერაციის (18,3%), შუა აზიის (9,3%), სომხეთის (8,6%), ირანის (5,3%), აზერბაიჯანის (4,6%), ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები (7,9%) და ა. შ.

კვლევა ,,უცხოელი ვიზიტორების ტურისტული ხარჯების სტატისტიკური კვლევა" ჩატარდა 2016 წლის მაისი-აგვისტოში და კვლევის სამიზნე სეგმენტი მოიცავდა საქართველოში შემოსულ უცხოელ ვიზიტორებს, 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობას, რომლებიც სამი თვის მანძილზე ესტუმრნენ საქართველოს. შედეგების შეწონვა და იმპუტაცია განხორციელდა თითოეული კონკრეტული თვის მიხედვით.

საპილოტე კვლევის საფუძველზე განისაზღვრა შერჩევის ზომა, უცხოელ ვიზიტორთა რეპრეზენტატული პოპულაცია, რომელმაც შეადგინა 2167 ადამიანი. შერჩევის ბაზად გამოყენებული იქნა 2016 წლის მაის-აგვისტოსათვის გადაყვანილ მგზავრთა ნაკადების მონაცემები თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტების თვითმფრინავების განრიგის, ფრენების საშუალო რიცხვისა და გაყიდული ბილეთების მიხედვით.

როგორც სეზონური ფაქტორიდან გამომდინარე მოსალოდნელი იყო, ძირითად მონახულებად ადგილებს მიეკუთვნება თბილისი და ბათუმი. უფრო კონკრეტულად კი, გამოკითხულთა 71,9% ესტუმრა თბილისს, 52% ბათუმს, 15,7% მცხეთას, 15,2% ბორჯომს, 13,8% ქუთაისს, 11,7% სიღნაღსა და გორს, 10,5% ყაზბეგს, 6,7% მესტიასა და უშგულს, 5,5% თელავს, 5% რუსთავს, 4,2% ზუგდიდს, 3,8% გუდაურს, 3,4% ურეკს, 3,2% ბაკურიანს და ყვარელს და ა.შ.



დიაგრამა 4. ვიზიტორების განაწილება მონახულების ადგილების მიხედვით
წყარო: დიაგრამა აგებულია კვლევის შემდეგ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე

რესპონდენტთა განაწილება საქართველოში ჩამოსული ვიზიტორების მიზნიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, თითქმის ერთგვაროვანია. საქართველოში ვიზიტორები (გამოკითხულთა 67,8%) ძირითადად დასვენების მიზნით ჩამოდიან. 14,4% ქვეყანას ეწვია ახლობლების მონახულების, ხოლო 13,7% პროფესიული მიზნით. სხვადასხვა ქვეყნების რეზიდენტების საქართველოში ჩამოსვლის მიზანი დიფერენცირებულია, თუ უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, შუა აზიის ქვეყნების და სხვ. რეზიდენტების მიზანი ძირითადად დასვენებაა (იხ. დიაგრამა 3), რუსეთის, ევროკავშირის ქვეყნებისა და ისრაელის მოქალაქეებისათვის დასვენებასთან ერთად მეგობრების მონახულება იკავებს მნიშვნელოვან ადგილს.



დიაგრამა 5. ჩამოსვლის მიზანი მოქალაქეობის მიხედვით
წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე

საინტერესო სურათი გამოვლინდა ტურისტული ადგილების მონახულების ანალიზის შედეგად ტურისტების რეზიდენტობის გათვალისწინებით. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ანაკლიას ესტუმრა მხოლოდ ბელორუსიიდან და ისრაელიდან ჩამოსული 12 ვიზიტორი. ბაკურიანს 55, მათ შორის, ყველაზე მეტი 31% რუსეთიდან, 27% აზერბაიჯანიდან და 20% ირანიდან ჩამოსული ვიზიტორი იყო. ბათუმი მოინახულა 1079 ვიზიტორმა, მათ შორის ყველაზე მეტი, 29,7%, იყო უკრაინელი, 16,8% რუსი, ხოლო 9,9% ისრაელის მოქალაქე. გორს ესტუმრა 224 ადამიანი, მათ შორის ყველაზე მეტი უკრაინისა და და შუა აზიის ქვეყნების რეზიდენტები (შესაბამისად 29.5% და 23%), გუდაურში იმყოფებოდა 85, მათ შორის ყველაზე მეტი იყო უკრაინელი (48%) და ირანელი (25.9%). ქობულეთში იმყოფებოდა 351 რესპონდენტი, ყველაზე მეტი სომხეთისა (42,8%) და რუსეთის (30.4%) მოქალაქეები იყვნენ. მცხეთაში იმყოფებოდა 340 რესპოდენტი რომელთა შორის ჭარბობდა უკრაინის (40%) მათ შორის: რუსეთის (26,5%) შუა აზიის (13,7%), 9 და ევროკავშირის ქვეყნების (6,5%). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე მეტი, 1544, ვიზიტორი იმყოფებოდა თბილისში, მათ შორის გამოიყოფოდა რუსეთი (20%), უკრაინა (14,2%), აზია და ოკეანეთი (11,7%), ევროკავშირი (10,9%), შუა აზია (9,2%), ისრაელი (8,8%), ირანი (6,7%)და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის პროცესში რესპონდენტები ინტერვიუს დროს ხშირად მიუთითებდნენ იმ ხარვეზებზე, რომლებიც მათ მოგზაურობის დროს გარკვეულ დისკომფორტს უქმნიდა. მათ შორისაა: ტურისტული ინფრასტრუქტურა; მომსახურების ხარისხი; ტურისტულ პროდუქტთან დაკავშირებული პრობლემები; საკრუიზო მიმოსვლის არასათანადო მასშტაბი და სხვა. მათი აზრით, ჯერ კიდევ პრობლემატურია განთავსების საშუალებების არასათანადო დონისა და რაოდენობის საკითხი. (განსაკუთრებით რეგიონებში). პრობლემას ამწვავებს ამ და სხვა რაიონებშიც სამვარსკვლავიანი დაბალბიუჯეტიანი საერთაშორისო სასტუმრო ქსელების არარსებობა. ჯერ კიდევ დგას გამართული სანიტარიული კვანძების არარსებობის პრობლემა. მოსაგვარებელია გადაუდებელი დახმარების პუნქტებისა და გზის მაჩვენებელი ნიშნების არარსებობის პრობლემაც. მოსაწესრიგებელია ზოგიერთ ისტორიულ ძეგლთან თუ სხვა ტურისტულ ღირსშესანიშნაობებთან მისასვლელი გზები. გამოიკვეთა ტურისტულ პროდუქტთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ, ეს შეეხება ერთფეროვან ტურისტულ პროდუქტს და მაღალფასიან ტურისტულ პაკეტს. არასათანადოდაა განვითარებული საკრუიზო მიმოსვლა არასათანადო მასშტაბი. ტურისტთა უმრავლესობა საქართველოში ჩამოდის საჰაერო და სახმელეთო გზით, თუმცაღა ქვეყნის ტურიზმის განვითარებისთვის არსებითად მნიშვნელოვანი იქნება საკრუიზო მიმოსვლის აღდგენა-გააქტიურება.

საქართველო მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის წევრი ქვეყანაა. ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულება წინგადადგმული ნაბიჯია ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, უმთავრესი პრიორიტეტი იყო ვიზა ლიბერალიზაციის პროცესი, ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღება. მიზანი მიღწეულია. 2017 წლის 28 მარტს საქართველოს მოქალაქეებმა უპრობლემოდ შეძლეს ევროპის საზღვრის გადაკვეთა. სწორედ ეს წარმოადგენდა ევროინტეგრაციის ერთ-ერთ ყველაზე მამოძრავებელ შედეგს მოკლევადიან პერსპექტივაში, რომელიც საქართველოს რიგით მოქალაქეებს ბევრ სარგებელს მოუტანს. ეს გადადგმული ნაბიჯი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის და ევროპის ქვეყნების კიდევ უფრო მეტად დაახლოებას, ტურიზმის დარგის კიდევ უფრო განვითარებას, საგანმანათლებლო -კულტურული ხასიათის პროექტების განხორციელებას.

ლიტერატურა:
ნ. აბესაძე, რ. ქინქლაძე, ქ. ჩიტალაძე, სტატისტიკა ტურიზმისათვის, 2015, გვ. 15-27.
ხ. ჩიტაძე, ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და ევროპაში, 2017.
http://police.ge/en/saqartvelos-sazghvarze-gadaadgilebul-vizitorta-statistikuri-monatsemebi-2016-tseli-ianvari/9318
Accessed on 15.10.2016
http://stats.gnta.ge/Default.aspx

სოციალური მეცნიერებანი

სოციალური გარემოს როლი ადამიანის განვითარების პროცესში

ნათია თოფჩიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ქეთევან ლომსაძე,** ასოცირებული პროფესორი

განვითარება ეს არის პიროვნების ფორმირების პროცესი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარეობს შინაგანი ბიოლოგიური პროცესებისა და გარემოს ზემოქმედების ხარჯზე. ასაკობრივი (იგივე განვითარების) ფსიქოლოგიის მიხედვით პიროვნების განვითარება სამი მიმართულებით მიმდინარეობს: 1) ფიზიკური; 2) ფსიქიკური; 3) სოციალური. ფიზიკური მხარე მოიცავს ინდივიდის მორფოლოგიურ (ორგანოების და საერთოდ ორგანიზმის ფორმა და აგებულება) და ფუნქციონალურ (სენსო-მოტორული შესაძლებლობები) თვისებებს. ფსიქიკური მიმართულება მოიცავს ყველა ფსიქიკურ პროცესს, როგორიცაა აზროვნება, აღქმა, მეხსიერება და სხვა. სოციალური განვითარება კი გულისხმობს სოციალური გამოცდილების შეთვისებას, გადამუშავებას და რეალიზებას, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის და ურთიერთქმედების პროცესში, რაც სოციალიზაციისა და აღზრდის შედეგია.

მეცნიერებს ოდითგანვე აღელვებდათ კითხვა: რა არის მთავარი პიროვნების ჩამოყალიბებაში: გენები თუ გარემო? ამ კითხვაზე სწორხაზოვანი პასუხის გაცემა შეუძლებელია, რადგან განვითარების პროცესისათვის ორივე ფაქტორი აუცილებელია. ყოველი ადამიანური მოქმედება საჭიროებს როგორც თანდაყოლილ უნარებს, ასევე შესაბამის გარემო პირობებს. მთავარი კითხვაა არა ის, თუ რომელია წამყვანი ფაქტორი განვითარებისათვის, გენები თუ გარემო, არამედ ის, თუ როგორ ურთიერთკავშირში არიან ისინი ერთმანეთთან პიროვნების ფორმირების პროცესში. გენეტიკური კოდი, ანუ გეგმა მხოლოდ საწყისი წერტილია დაბადების მომენტში შემდგომში განვითარებისათვის. მას ჩვენ ვიღებთ ჩვენი წინაპრებისაგან. გარემოს ზეგავლენა კი იწყება ოჯახიდან და მოიცავს ყველა იმ ადამიანს და სოციალურ წრეს, სადაც გვიწევს ცხოვრება და ურთიერთობა.

როგორც გამოკვლევებით დადასტურდა, გენები გავლენას ახდენენ ჩვენს სოციალურ თვისებებზე, როგორიცაა: სოციალურობა, ემოციონალურობა და აქტივობის დონე. ისინი მოქმედებენ ჩვენს გარემოცვაზე, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფით, იმაზე, რასაც ჩვენ ვაქცევთ ყურადღებას და იმაზეც, რამდენად ბევრს გავიგებთ და შევისწავლით.

ფიზიკური მონაცემები გენეტიკურია, მაგრამ ის თუ როგორ აფასებს ჩვენი სოციალური გარემო მას, ბევრად განსაზღვრავს ჩვენს განვითარებას. იგივე ითქმის ჩვენს პიროვნულ თვისებებზე და მონაცემებზე. ამრიგად, გარემოს და მემკვიდრეობითობის ურთიერთქმედება საკმაოდ რთული პროცესია. იგივე მნიშვნელობა აქვს ჩვენს სქესობრივ კუთვნილებას. ადამიანი იბადება ქალად ან კაცად: ბავშვი მხოლოდ 7-8 წლის ასაკში რწმუნდება საკუთარი სქესის მუდმივობაში, თუმცა პატარაობიდანვე იგებს ის სოციალური გარემოდან რომელ სქესს მიეკუთვნება. ადრეულ ასაკში მას ჰგონია, რომ შეიძლება სქესი შეიცვალოს. ოჯახი და სოციალური გარემო ასწავლის ბავშვს სქესის შესაფერის საქციელს. განსხვავებულია

სქესისათვის დამახასიათებელი ფიზიკური მონაცემებიც (მამაკაცი - მასკულინური, ქალი - ფემინური). ასევე განსხვავებულია მათი განვითარების ტემპები ზრდის პროცესის გარკვეულ პერიოდში. საბოლოოდ 18 წლის მამაკაცი 2-ჯერ ძლიერია ფიზიკურად იგივე ასაკის ქალზე. მამაკაცური თვისებებიდან განსაკუთრებით შეიმჩნევა უპირატესობა ქალთან შედარებით ფიზიკურ ძალაში, აგრესიულობაში და მათემატიკური საგნებისადმი მიდრეკილებაში. ქალი კი აშკარა უპირატესობით სარგებლობს ემპატიის თვისებით. გარდა ამისა სოციალური გარემოს გავლენით მამაკაცი იძენს შესაბამის თვისებებს, ანუ „ნამდვილი ბიჭის“ თვისებებს - თავშეკავებულობას, ნებისყოფიანობას, საკუთარ თავისადმი რწმენას, უხეშობას, პრაქტიკულობას და მცდელობას. გოგონები კი ნამდვილი გოგონას თვისებებს იძენენ - სინაზეს, დამოკიდებულებას, მგრძნობიარობას, ბევრ ლაპარაკს, არაპრაქტიკულობას და კეკლუცობას. გამოიკვეთა, რომ ამ თვისებების ჩამოყალიბებას მამა უფრო უწყობს ხელს, ვიდრე დედა. ფსიქოლოგები აღიარებენ, რომ ხშირად ერთ პიროვნებაში შეიმჩნევა როგორც ქალური, ასევე მამაკაცური დადებითი თვისებები. ასეთ პიროვნებებს ანდროგენულ პიროვნებებს უწოდებენ. ასეთი პიროვნება ყალიბდება მშობლების განსაკუთრებული აღმზრდელობითი პოზიციის ზემოქმედებით, როცა მშობლები შესაბამისად იქცევიან ბავშვების თვალწინ და ერთმანეთს უწონებენ ამ საქციელს.

გარემო მოიცავს ყველა იმ ადამიანს და სოციალურ წრეს, სადაც ადამიანს უწევს ცხოვრება და ურთიერთობა. თავად დ. უზნაძის ასაკობრივი განვითარების პერიოდიზაციაც კი ასაკობრივი გარემოს ცნებაზეა დაყრდნობილი. პრენატალურ ანუ მუცლადყოფნის პერიოდში გარემო ფაქტორების ზეგავლენა განსაკუთრებით საშიშია პირველი სამი თვის განმავლობაში, როდესაც ხდება ნაყოფის ფორმირება. არასასურველი გარე ფაქტორების ზემოქმედება, როგორიცაა: მედიკამენტური, ვირუსული ან ინფექციური, რადიაცია ან სამშობიარო ტრავმები, შესაძლოა სქესობრივი ქრომოსომების (სქესის განმსაზღვრელი ქრომოსომების) პათოლოგიისა და აუტოსომების (22 წყვილი, ნიშან-თვისებების, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლების განმსაზღვრელი ქრომოსომები) დეფექტების გამომწვევი გახდეს.

თანამედროვე ფსიქოლოგებმა და ფსიქიატრებმა დიდი ხანია აღმოაჩინეს დედასა და შვილს შორის არსებული ემოციური კავშირი. სასიამოვნო მოლოდინი, ბავშვის დაბადებაზე ფიქრი, სიყვარული და ამ სიყვარულის გამოხატვა გავლენას ახდენს ნაყოფის ფსიქიკისა და უჯრედული მეხსიერების განვითარებაზე, პიროვნების იმ ძირითადი თვისებების განვითარებაზე, რომლებსაც ის მთელი სიცოცხლე ინარჩუნებს. სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ჯგუფმა მასშტაბური კვლევა ჩაატარა. კვლევა ორი ფაზისგან შედგებოდა – ანკეტირებისა და ინტერვიუს გზით გამოკითხვისა და დაკვირვებისგან. გამოკითხული ქალების მესამედმა განაცხადა, რომ ორსულობისას ნაყოფზე არ ფიქრობდნენ, დაკვირვებამ კი ცხადყო, რომ მათი შვილები საშუალო მაჩვენებლით დაიბადნენ. უმრავლესობას საჭმლის მომნელებელი და ნერვული სისტემის დარღვევები ჰქონდა. ეს ბავშვები გამოირჩეოდნენ ჭირვეულობით. უჭირდათ გარემოსთან ადაპტაციაც.

პოსტნატალური პერიოდი ზრდა-განვითარებისკენაა მიმართული. გარემო, სოციალური წრე, სადაც ვითარდება ბავშვი, მნიშვნელოვანი გავლენას ახდენს მის განვითარებაზე. მისი დანიშნულებაა მემკვიდრეობით განსაზღვრული ნიშან-თვისებების რეალიზება. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური წრეა ოჯახი, სადაც იზრდება ბავშვი. მშობლები ეხმარებიან ბავშვს გახდეს ოჯახის, საზოგადოების და მისი კულტურის წევრი. ოჯახში სწავლობენ ბავშვები რელიგიურ ტრადიციებს, ეთნიკურ სტერეოტიპებს და მორალურ ფასეულობებს - აღზრდის საშუალებით, რომელიც არის ადამიანის ცხოვრებასა და ქცევაზე მიზანმიმართული ზემოქმედება, მასში გარკვეული დამოკიდებულებების, ცნებების, პრინციპების, ღირებულებების ფორმირების მიზნით.

აღზრდის ოთხი ზოგადი სტილი არსებობს: **ავტორიტეტული** — აყალიბებს მჭიდრო და ეფექტურ კავშირს მშობელსა და შვილს შორის. მშობლები ბავშვებს აკონტროლებენ, მოითხოვენ საზოგადოებაში არსებული ქცევის ნორმებისადმი შესატყვისობას, თუმცა ბავშვების ინდივიდუალურობასა და დამოუკიდებლობასაც აღიარებენ, აღზრდის პროცესში ბავშვები არ არიან მოკლებულნი სითბოსა და მზრუნველობას. ასეთი დამოკიდებულების შედეგად ბავშვი იძენს ისეთ თვისებებს, როგორიცაა თავდაჯერებულობა, დამოუკიდებლობა, მაღალი თვითშეფასება, პასუხისმგებლობა და სხვა. ამერიკელი ფსიქოლოგის ლორა ბერკის მიხედვით, ასეთი აღზრდის სტილის შედეგები ბავშვობის ასაკშია - ხალისიანობა, თვითკონტროლი, მიზანმიმართულება და თანამშრომლობის უნარი, ხოლო მოზრდილობაში სოციალური და ზნეობრივი სიმწიფე.

ავტორიტარული – მშობლები ბავშვებს აკონტროლებენ, ითხოვენ დისციპლინირებულობასა და საზოგადოებაში არსებული ქცევის ნორმებისადმი შესატყვისობას, ნაკლებად გამოხატავენ სითბოს და ყურადღებას არ აქცევენ ბავშვის დამოუკიდებლობასა და ინდივიდუალურობას. ავტორიტარული სტილის რეზულტატი უმეტესად უარყოფითია. ბავშვები იზრდებიან ჩაკეტილები, ნაკლებად

დამოუკიდებლები, მშფოთვარენი, მტრულნი და უკანდახეულები. მოზარდობაში, ლიბერალური და ინდიფერენტული სტილებისგან განსხვავებით, ნაკლებადაა ასოციალური ქცევის მატარებელი.

ლიბერალური (მომთმენი) — ბავშვების დამოუკიდებლობასა და ინდივიდუალურობას დიდ ყურადღებას უთმობენ, მათ სითბოთი და მზრუნველობით ზრდიან, თუმცა კონტროლი სუსტია და მშობლები ვერ ახერხებენ ბავშვებისათვის საზოგადოებაში არსებული ქცევის ნორმების სწავლებას. პარადოქსულია, მაგრამ ასეთი ოჯახის ბავშვები ყველაზე უბედურები არიან, ისინი დეპრესიისკენ და სხვადასხვა ფობიებისკენ არიან მიდრეკილნი, ადვილად ერევიან ანტისოციალურ ქმედებებში. არიან იმპულსურები, არადამჯერები, მეამბოხეები, მომთხოვნები და უფროსებზე დამოკიდებულნი. მოზარდობაში სუსტი თვითკონტროლის უნარი აქვთ, არიან დაუმორჩილებელნი და ასოციალური ქცევის ჩამდენი.

ინდიფერენტული (უყურადღებო) — მშობლები ბავშვების ინდივიდუალურობასა და დამოუკიდებლობას ყურადღებას არ აქცევენ, აღზრდის პროცესში ბავშვები მოკლებულნი არიან სითბოსა და მზრუნველობას. მშობლები მათ არ აკონტროლებენ, არც დისციპლინირებულობას მოითხოვენ და საზოგადოებაში არსებული ქცევის ნორმების ათვისებაც არ ხდება. ინდიფერენტული მშობლების შვილები ადრე ხდებიან დამოუკიდებლები და სწავლობენ საკუთარ თავზე ზრუნვას, ეშინიათ დამოკიდებულების, თავშეკავებულნი არიან და არ ავლენენ საკუთარ გრძნობებს, გარდატეხის ასაკში მიდრეკილნი არიან ანტისოციალური ქმედებებისკენ, ოჯახისგან მხარდაჭერის არარსებობის გამო გრძნობენ შიშს და შფოთვას, ხშირად ვარდებიან დეპრესიაში და სხვა. ახასიათებთ მიჯაჭვულობის დეფიციტი კოგნიციაში, თამაშსა და სოციალურ უნარ-ჩვევებში. ასევე ცუდი ემოციური თვითრეგულაცია და ასოციალური ქცევა.

ხანგრძლივი გამოკვლევის მიხედვით მშობლები დიდ ზეგავლენას ახდენენ ბავშვის განვითარებაზე. უამრავი ლონგიტიდური (ხანგრძლივი) გამოკვლევა ადასტურებს, რომ მშობლების ზეგავლენა ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტზე მაშინაც ჩანს, როდესაც ბავშვი ადრეულ თავისებურებებს იძენს. მშობლების ზეგავლენა ღრმა და ხანგრძლივია. ასევე სწორედ აღზრდა უყრის საფუძველს პიროვნების ინდივიდუალური მახასიათებლების შემდგომ ფორმირებას. ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, რომელიც მუდამ საჭიროებს სხვა ადამიანებს და რომელიც სოციალიზაციის (გაადამიანურების) პროცესს მთელი ცხოვრების მანძილზე გადის იმ გარემო პირობების ხარჯზე, სადაც არსებობა უწევს.

გარემოს მნიშვნელობა ნათლად ჩანს შემდეგ მაგალითში: ერთ-ერთ კვლევაში, „ტეხასის შვილად აყვანის პროექტში“, ერთმანეთს შეადარეს ბავშვების ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ჯგუფი - ერთნი, რომელთა ბიოლოგიურ დედებს IQ 95-ზე დაბალი ჰქონდათ, და მეორე - 120-ზე მაღალი IQ-ს მქონე ბიოლოგიური დედების შვილები. ორივე ჯგუფის ბავშვები დაბადებიდანვე იშვილეს მაღალშემოსავლიანმა და განათლებულმა ოჯახებმა. სკოლის წლების განმავლობაში დაბალი IQ-ს მქონე ბიოლოგიური დედების შვილებმა გადააჭარბეს IQ საშუალო ქულას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გარემომ დადებითად იმოქმედა მათ წარმატებაზე. მაგრამ, ამავდროულად მათ ვერ შეძლეს, დაწეოდნენ მაღალი IQ -ს მქონე ბიოლოგიური დედების მშობლებს, რომლებიც ისეთივე ოჯახებში მოხვდნენ. შვილად აყვანის კვლევამ აჩვენა, რომ გარემოსა და მემკვიდრეობითობას IQ-ზე დიდი გავლენა აქვს. და არა მხოლოდ IQ-ზე, არამედ ყველა იმ ნიშან-თვისებაზე, რომელსაც განვითარება მოიცავს.

აღზრდა სოციალიზაციის ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი ასპექტია, რომლის უკუგდება ან არასწორი განხორციელებაც სძენს სამყაროს კოგნიტურად, ფსიქიკურად და ფიზიკურად ჩამორჩენილ ადამიანებს, ასევე ასოციალური ქცევის მატარებელ ადამიანებს, როგორებიც არიან: ნარკომანები, ქურდები, მკვლელები და სხვა. ოჯახიდან იწყება კონკრეტული მსოფლხედვის ჩამოყალიბება, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობისას კორექტირებას განიცდის. გარემო სამყაროა ის ადგილი, სადაც ადამიანი მოქმედებს, ცხოვრობს და არსებობს. იგი უნდა ეხმარებოდეს ადამიანს მემკვიდრეობით განსაზღვრული ნიშან-თვისებების რეალიზებაში. ოჯახის ვალია - სწორი საწყისი დაუდოს განვითარების პროცესს და მის ყველა ეტაპზე შესაბამისი პირობები შექმნას, რათა განვითარებას არ ჩამორჩეს ბავშვი. საჭიროა ბალანსის დაჭერა სიყვარულსა და დისციპლინას შორის, ზედმეტი სიყვარული ლიბერალური სტილის აღზრდას გვაძლევს, ხოლო ზედმეტი დისციპლინა ავტორიტარული სტილის აღზრდას, რომელთა შედეგებზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ასევე მნიშვნელოვანია მშობლის ქცევა გახდეს ბავშვისთვის სამაგალითო, რომლითაც ბავშვი ორიენტირებას შეძლებს.

ლიტერატურა:

1. “Психология развития“ – Д. Краиг, 2003.
2. დ. უზნაძე, “ბავშვის ფსიქოლოგია“, თბ., 2005.

3. თამაზ გოგიჩაიშვილი, “განვითარების ფსიქოლოგია“, თბ., 2005.
4. ლორა ბერკი, “ბავშვის განვითარება“, თბ., 2010.
5 . http://www.aversi.ge/cnobari/1997/
6.https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98

პლატონი იდეალური სახელმწიფოს სოციალური საფუძვლების შესახებ

ლელა სოღოლაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნუგზარ აბრამიშვილი,** პროფესორი

პლატონი პოლიტიკის ფილოსოფიის მამამთავარი და მისი საუკეთესო წარმომადგენელია. მისი დიალოგები „სახელმწიფო“ და „კანონები“ - საყოველთაო აღიარებით, პოლიტიკური ფილოსოფიის ნიმუშებადაა მიჩნეული. პლატონის მთელი სააზროვნო ძალისხმევა იქითკენაა მიმართული, რომ დაიცვას, სრულყოს და საფუძვლები გაუმყაროს ქალაქ-სახელმწიფოს, კლასიკური ბერძნული პოლიტიკური ცხოვრების ამ ფორმას, რომელიც პლატონის დროს რღვევის პროცესში იმყოფებოდა. პლატონი კარგად ხედავდა, რომ სახელმწიფოებრიობის ამ ფორმას არაფერი ეშველებოდა თუ გადაჭრით არ შეიზღუდებოდა ინდივიდუალური თვითნებობა, რაც მის დროში გასაქანს აძლევდა სახელმწიფოს შიგნით ამოქმედებულ დამანგრეველ ძალებს. ხსნის გზა ერთადერთი იყო: ჰარმონიის შენარჩუნება, იმის საფუძველზე, რომ ყოველი მოქალაქე თავისი ხასიათისა და უნარის შესაბამის ფუნქციას კეთილსინდისიერად შეასრულებდა. შემთხვევითი არაა, რომ პლატონმა ლამის წმინდანად შერაცხა სოკრატე, რომელიც უდრტვინველად იჯდა ციხეში და სიკვდილს ელოდა, სანამ მეგობრები გაქცევის გეგმას უწყობდნენ, მათი წინადადება კი ამ სიტყვებით უარყო: „იქნებ გგონიათ, რომ შეიძლება არ შეირყეს სახელმწიფო, სადაც სასამართლოს განაჩენს არავითარი ძალა არა აქვს და სადაც მისი აღსრულება და გაუქმება მხოლოდ და მხოლოდ კერძო პირთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული“. (1: 85)

სახელმწიფო, პლატონის მიხედვით, ერთი მთლიანი ორგანიზმია, რომლის ასოებიც საზოგადოების ცალკეული ფენები, სოციალური ჯგუფები თუ ინდივიდუალური წევრები არიან თავიანთი ერთმანეთისგან განსხვავებული ფუნქციებით, და მხოლოდ მათი ჰარმონიული თანხმობა, მათი ერთობლივი თანამშრომლობა განსაზღვრავს სახელმწიფოებრივი ორგანიზმის სიჯანსაღესა და სიცოცხლისუნარიანობას.

„არა მარტო შინააშლილობა, არა მარტო საზოგადოების წევრთა ურთიერთწინააღმდეგ აღძვრა, - ამბობს პლატონი, - არამედ მათი ფუნქციების ურთიერთაღრევა სახელმწიფოსთვის უდიდესი უბედურების სათავედ გვევლინება“. (2: 282. 84) ათენის, ისევე როგორც ბევრი სხვა ბერძნული პოლისის დემოკრატია კი ფუნქციათა სწორედ ამნაირ აღრევას უწყობდა ხელს. „პოლიტიკური ცხოვრების უკიდურესი დემოკრატიზაცია, როგორც გვიმოწმებს არისტოტელე, თანდათანობით ტოტალური თანასწორუფლებიანობის, უფრო სწორად, ტოტალური უუფლებობის, სახელმწიფოებრივი დეზორგანიზაციის, უსახო, უპიროვნო და უპრინციპო ბრბოს შეუზღუდავ მბრძანებლობად, ე.წ. „ოხლოკრატიად“, ანუ ფაქტობრივ ანარქიად იქცევა. ეს კატასტროფა გარდაუვალია, ვინაიდან თვით სახელმწიფო წეს-წყობილება, რომელიც თანაბრად უპირისპირდება გონებასაც და ბუნებასაც, თავის თავშივე იმარხავს დაშლისა და გადაგვარების თესლს“. (4: 266) მკაცრი თანმიმდევრობით გვიჩვენებს პლატონი, როგორ უწყობს ხელს თანამშრომლობისა და თანაარსებობის ეთიკურ საწყისთა რღვევა, სახელმწიფოებრივი ცხოვრების მამოძრავებელ სტიმულად მარტოდენ მატერიალური დაინტერესების მიჩნევა და საზოგადოების ცალკეული ფენებისა თუ კერძო მოქალაქეთა სპეციფიკური ფუნქციების ურთიერთაღრევა „მახინჯი სოციალური სისტემების - ტიმოკრატიის, ოლიგარქიის, დემოკრატიის, ტირანიის აღმოცენებას, მათ ერთმანეთში გადასვლასა და, ბოლოს, მათსავე წიაღში ურიცხვი

საზოგადოებრივი ბოროტების - ზნეობრივი მანკიერების, პოლიტიკური ანარქიის თანდათანობით მომწიფებასა და განვითარებას“. (2: 290)

როგორ შეიძლება ამ ბოროტების აცილება თავიდან? რანაირ საშუალებებს უნდა მივმართოთ საიმისოდ, რომ ადამიანები თავიანთ შლეგურ ვნებებსა და სურვილებს, ანგარებიან ინტერესებსა და პატივმოყვარულ მისწრაფებებს კი არ ემონებოდნენ, არამედ განუხრელად ასრულებდნენ თავიანთ ჭეშმარიტ დანიშნულებას, ე.ი. სიბრძნისა და სიქველის, სამართლიანობისა და მშვენიერების, ერთი სიტყვით, უზენაესი სიკეთის სუფევას ამკვიდრებდნენ ამ ქვეყნად? სახელმწიფოებრივი წყობილების ყველა მახინჯ სისტემას, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყველა მანკიერ ფორმას პლატონი მკვეთრად უპირისპირებს სამართლიანობასა და გონიერებაზე, ზნეობრივი საწყისის ზეობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს საკუთარ პროექტს. ამ სახელმწიფოს არსებითი ნიშანია მისი კომპონენტების ორგანული მთლიანობა, სხვადასხვა სოციალური წრისა თუ ფენის, წოდებისა თუ პროფესიის ჰარმონიული ერთიანობა, რომლის ურყევ გარანტადაც შრომის დანაწილების პრინციპი გვევლინება. მაგრამ მოქალაქეთა სოციალურ დიფერენციაციას, პლატონის მიხედვით, მარტოოდენ შრომის დანაწილება, მარტოოდენ ეკონომიკური ფაქტორი როდი განაპირობებს. გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ დიფერენციაციის ეთიკურსა და ინტელექტუალურ საფუძველს. საზოგადოების წევრთა ერთსულოვნება, მათი ურთიერთთანხმობა და ერთობლივი თანამშრომლობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ბუნებრივი მონაცემებითაც - სრულყოფილებით - ერთი და იგივენი ან, თუნდაც, ერთმანეთის მსგავსნი არიან. ამისდა კვალად, თავის სოციალურ იერარქიაში პლატონი ისე აჯგუფებს და ინმაირ ფუნქციებს მიაწერს იდეალური პოლისის მოქალაქეებს, რომ ოპტიმალურად გადაწყვიტოს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურულ-ეთიკური ხასიათის ყველა პრობლემა. კაცთა მოდგმის ამ სასიცოცხლო ამოცანის გადაჭრა, გვიმტკიცებს პლატონი, მხოლოდ იმ პირობების დაცვითაა შესაძლებელი, თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრების მთელ ერთობლიობას, საზოგადოებრივ ურთიერთობათა წარმოუდგენლად რთულ კომპლექსს განუხრელად დავუმორჩილებთ ერთადერთ პრინციპს - ადამიანის ზნეობრივ დანიშნულებას. სახელმწიფო ერთი მთლიანი ორგანიზმია, ისევე როგორც ერთია ადამიანი. სახელმწიფო, თუ შეიძლება ასე ითქვას, განზოგადებული ადამიანია.

ადამიანის სული სამ თავისთავად ნაწილად იყოფა. ცხოველებისგან განსხვავებით, მას გააჩნია გონება, აზროვნებისა და თავისი ქმედების წინასწარ განსჯის უნარი. მეორე მხრივ, მას ვაჟკაცურად მოქცევაც შეუძლია, უსამართლო ქცევის დანახვისას კი იგივე ნაწილი სულისა სამართლიანი რისხვის გრძნობას აღუძრავს. სულის ამ ნაწილს შეიძლება ეწოდოს მხნეობითი და აღტყინებითი ნაწილი. ადამიანის სულის მესამე ნაწილის ბუნებრივ თვისებას წარმოადგენს მისწრაფება მატერიალური ქონების მოხვეჭისა და ფიზიკური კმაყოფილებისკენ. გონებასა და სურვილებს შორის კონფლიქტის დროს სულის მხნე და აღტყინებითი ნაწილის მოვალეობაა გონებას დაუჭიროს მხარი და ამ შემთხვევაში ის ნებისყოფის სახით გვევლინება. ჯანმრთელ სულში, რომელიც საუკეთესოდაა ორგანიზებული სიცოცხლის ფუნქციის შესასრულებლად, წარმმართველი გონება უნდა იყოს, ის უნდა მიუძღოდეს მთელს და განსაზღვრავდეს მის პოლიტიკას. ნებისყოფითი ნაწილი ადამიანს იმ გამბედაობას ანიჭებს, რომ მართლაც მისდიოს გონების რჩევას, როგორც ქცევის საუკეთესო გზას. ფიზიკურ სურვილებს თავისი ფუნქცია გააჩნიათ, მათ სხეულის დაპყრობა და გვარის გაგრძელება ევალებათ, მაგრამ ისინი გონების არჩეულ გზას უნდა დაექვემდებარონ. ასეთი ჰარმონია სულის ნაწილებს შორის გამოვლინდება, როგორც სამართლიანობა. სულის ანალოგიით სახელმწიფომ რომ უზრუნველყოს სრული და ბედნიერი ცხოვრება ისიც ორგანიზმი უნდა იყოს. ყოველი მისი ნაწილი გარკვეული ფუნქციის შესრულებას უნდა ემსახურებოდეს და საკუთარი წვლილი უნდა შეჰქონდეს მთელის წესრიგსა და კეთილდღეობაში. სახელმწიფოს მთელი მოსახლეობა, სამ სხვადასხვა წოდებადაა დანაწევრებული. პირველი წოდება, საზოგადოების უდაბლესი კლასი თუ ფენა, მოიცავს მოქალაქეთა აბსოლუტურ უმრავლესობას - „ხალხს“, რომელიც „მიწათმოქმედთა და ხელოსანთაგან“ შედგება; მათვე ემატებიან ვაჭრებიც, ისინი თავიანთი შრომით ქმნიან მატერიალურ ფასეულობებს, რაც აუცილებელია სახელმწიფოს ნორმალური ცხოვრებისთვის. მეორე - პრივილეგირებულ წოდებას პლატონის სოციალურ იერარქიაში მიეკუთვნებიან მეომარი „მცველები“ და სახელმწიფო საქმეთა გამრიგე „მოხელენი“, რომელთა ხელშიც ფაქტობრივად თავმოყრილია მთელი აღმასრულებელი ძალაუფლება. ისინი საგანგებო წვრთნისა და აღზრდის წყალობით, შინაური თუ გარეშე მტრებისგან იცავენ სახელმწიფოს, უზრუნველყოფენ მისი კანონებისადმი უსიტყვო მორჩილებასა და ყველანაირად ცდილობენ სახელმწიფოს ღირსებისა და პრესტიჟის განმტკიცებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც - მეგობარი თუ მოქიშპე ხალხების თვალში. და ბოლოს, მესამე - გაბატონებული წოდება, სახელმწიფოს მმართველ ფილოსოფოსთა კლასია, რომელსაც ხელთ უპყრია საკანონმდებლო ძალაუფლება და თავისი სიბრძნით, სიქველით, კაცთა ამქვეყნიური არსებობის საბოლოო

მიზნის - აბსოლუტური სიკეთის ცოდნით ისეთნაირად წარმართავს საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურსა თუ კულტურულ ცხოვრებას, რომ უწინარეს ყოვლისა, ეთიკური იდეალებისადმი სამსახურის სულისკვეთებით აღზარდოს მოქალაქენი. სახელმწიფოს მმართველ ფილოსოფოსთა კლასს შეესაბამება სულის წარმმართველი, უკვდავი და გონივრული საწყისი, მეომართა კლასს - სულის აფექტური, ბობოქარი საწყისი, ხოლო უდაბლეს წოდებას - მიწათმოქმედთა და ხელოსანთა კლასს - სულის ის საწყისი, რომელიც გრძნობებსა თუ მდაბალ ინსტინქტებს განასახიერებს.

ამ ქვეყნად ყველაფერს თავისი გარკვეული დანიშნულება აქვს. ყველაფერი კარგი და სრულქმნილია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც განუხრელად ასრულებს საკუთარ დანიშნულებას. ეს ეხება არა მარტო სახელმწიფოს სამივე კლასს, არამედ თითოეულ მოქალაქესაც. როგორც საზოგადოების ყოველი წევრი, ისე მთელი საზოგადოება მხოლოდ თავ-თავის საქმეს უნდა ასრულებდეს, ესე იგი, მიწათმოქმედნი და ხელოსნები თავდაუზოგავად უნდა შრომობდნენ, რათა დოვლათით, სურსათ-სანოვაგით, მატერიალური ფასეულობებით უზრუნველყონ ქვეყანა; მეომრები თავდადებით უნდა იცავდნენ სამშობლოს გარეშე თუ შინაური მტრების მძლავრობისგან, ხოლო ფილოსოფები, ზნეობრივ საწყისზე დაფუძნებული თავიანთი ბრძნული პოლიტიკით, ამქვეყნიური არსებობის უმაღლესი მიზნისკენ მიუძღოდნენ ხალხს. მაგრამ ერთნიც, მეორენიც და მესამენიც იძულებით კი არ უნდა იქცეოდნენ ასე, არამედ თავიანთი მოვალეობის, პასუხისმგებლობისა თუ დანიშნულების სრული შეგნებით და აქედან გამომდინარე თვითკმაყოფილებით.

„პლატონის „სახელმწიფოში“ შემდეგნაირადაა გადანაწილებული ბერძენთა მიერ აღიარებული ოთხი სიქველე: სიბრძნეს მმართველი კლასი განასახიერებს, სიმამაცეს - მეომრები; თავშეკავებას ანუ თვითკონტროლს მოქალაქეთა ერთსულოვნება და მმართველთა მიმართ მორჩილება; რაც შეეხება სამართლიანობას, სახელმწიფო როგორც მთელი, როცა შეასრულებს თავისი როგორც ჯანსაღი ორგანიზმის ფუნქციას იმით, რომ ყოველი კლასი უდრტვინველად აღიარებს მისთვის განწესებულ მოვალეობებს და სიამოვნებებს და არ შეეცდება სხვა კლასის მდგომარეობაში და ფუნქციებში ჩარევას, ის აუცილებლად გამოვლინდება, როგორც სამართლიანი სახელმწიფო“. (3: 125)

შოთა რუსთაველი პლატონის ამ იდეით შთაგონებული წერს შემდეგ სტრიქონებს:

„რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნოდეს:
მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს,
კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
არსა მისგან დაიწუნოს, არცა სხვათა უწუნობდეს.“

ლიტერატურა:

1. პლატონი, კრიტონი, თბ., 1976.
2. პლატონი, სახელმწიფო, თბ., 2003.
3. უ. გათრი, ბერძენი ფილოსოფოსები, თბ., 1983.
4. ბ. ბრეგვაძე, ტიმეოსის იდეურ-შინაარსობრივი სამყარო, თბ., 1994.

მომხმარებელთან ურთიერთობის ეთიკა ბიზნესში

ნატო ჯულაბაშვილი, მარიამი ბარჯაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **კლარა ელჩიბეგაშვილი,** პროფესორი

ბიზნესის განვითარებას, მის წარმოებასა და ტემპებს ძირითადად განაპირობებს მომხმარებლის კეთილგანწყობილება, მასსა და მეწარმეს შორის. ჰარმონიული ურთიერთობის ჩამოყალიბებაში პასუხისმგებლობა ეკისრება მეწარმეს, ბიზნესმენს. ბიზნესი ფაქტიურად მომხმარებლის შექმნაა. კმაყოფილი რომ იყოს ის, აუცილებელია კარგი ურთიერთობის შენარჩუნება, უნდა გრძნობდეს მომხმარებელი, რომ მას აფასებენ და პატივს სცემენ. ასევე უნდა დაკმაყოფილდეს მისი ინტერესები

მომსახურების შედეგებით, კეთილი სიტყვით, ჩვეულებრივი კომპლიმენტით, რაც მას სიკეთით აღავსებს და დამატებითი სტიმული იქნება უკეთესი მომსახურებისათვის. მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანია მწარმოებლის და მომსახურე სექტორის წარმომადგენლის კეთილგანწყობა, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მომხმარებელიც არ უნდა ტოვებდეს უყურადღებოდ ხარისხიან მომსახურებას. მომხმარებლის ნდობა ამა თუ იმ ნაწარმზე და ზოგადად ბრენდზე, მისი სტაბილური განვითარების გარანტიაა, ეს კი თავისუფალ მოგებას ნიშნავს ფირმისათვის. დღეს საყოველთაო აღიარებით სარგებლობენ ის კომპანიები, რომელთაც სრულად გააცნობიერეს ბიზნეს ეთიკის ამოცანები.

ბიზნესის ნებისმიერი დარგის ეფექტურობა უშუალოდ უკავშირდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ღირებულებით ორიენტაციებს, რომელთაც სწავლობს კომუნიკაციურ ტექნოლოგიების ერთ-ერთი თანამედროვე და სწრაფად განვითარებადი დარგი საზოგადოებასთან ურთიერთობა ანუ პიარი. ის, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის თეორია და პრაქტიკა ვლინდება საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისას. საზოგადოებრივ აზრზე მუშაობა და ზეგავლენა ანტიკური ხანიდან მოდის, გაჩნდა თუ არა პირველი საზოგადოება, გაჩნდა მოთხოვნილება მასთან მუშაობისა. საზოგადოება სხვადასხვა ჯგუფების ერთობლიობაა, რომლებიც ამყარებენ კონტაქტებს ერთმანეთთან. იმისთვის, რომ საზოგადოების ინფორმირება მოხდეს საჭიროა არა მარტო ერთი წყარო არსებობდეს ინფორმაციის გავრცელების, არამედ მიმღები, რომელიც გამოიწვევს რეაქციას. პიარი მენეჯმენტის სტრატეგიის ნაწილია, იგი გვასწავლის თუ, როგორ მივაღწიოთ ურთიერთგაგებას, როგორ გადავჭრათ წინააღმდეგობა, კონფლიქტები ხალხსა და ხელისუფლებას, მეწარმესა და მომხმარებელს შორის. პიარი ზუსტად ორმხრივი ურთიერთობები და ორმხრივი კომუნიკაციაა, როდესაც მოსაუბრეები ცვლიან ერთმანეთში ინფორმაციას და უზიარებენ აზრებს ერთმანეთს. პიარის ამოცანაა მიღწეულ იქნეს ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებები. საზოგადოებასთან ურთიერთობა შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული საშუალებების გამოყენებით, რადგან ზემოქმედება მოხდენილ იქნეს პუბლიკაზე და საზოგადოების ფართო სპექტრზე. საზოგადოებასთან ურთიერთობის თეორიასა და პრაქტიკაში გამოიყოფა ორგანიზაციული ფორმები ანუ ძირითადი ტექნოლოგიები. ესენია: ფაბლისიტი, პრომოუშენი და რეკლამა. საზოგადოებასთან ურთიერთობის ფარგლებში განიხილება აგრეთვე იმიჯოლოგიასაც.

პიარი ამერიკის შეერთებულ შტატებში მე-19-20 საუკუნის მიჯნაზე დამკვიდრდა, როდესაც ბიზნესი განვითარდა და აუცილებელი გახდა მომხმარებელზე ზრუნვა და მათი ინტერესების გათვალისწინება, ასევე ახალი პროდუქტების და მომსახურებების საზოგადოების ნდობის მოპოვება და გაყიდვა. ბიზნესის წარმომადგენლები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შექმნილიყო მართვის ახალი სისტემა, რომელიც გავლენას მოახდენდა საზოგადოებრივ აზრზე. საზოგადოებრივი ურთიერთობები ეს არის კომუნიკაციური ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც აერთიანებს პრაქტიკულ საშუალებებს, ტექნიკას და მეთოდიკას. ის დაფუძნებულია ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ჟურნალისტიკის, ეკონომიკის, მარკეტინგის, მენეჯმენტის, რეკლამის, პოლიტოლოგიის და სხვა მრავალი მეცნიერების ბაზაზე. ამასთან, უნდა ითქვას, რომ პიარის არსებულ ტექნოლოგიებს ვერ ფლობენ ამომწურავად ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროში მოღვაწე სპეციალისტები: ფსიქოლოგები, სოციოლოგები, კულტუროლოგები, ჟურნალისტები, პოლიტოლოგები და სხვა, რომ აღარაფერი ვთქვათ ვიწრო სპეციალობების წარმომადგენლებზე. პიარის მთავარი იდენტიფიკაციური გამოხატულება არის ინფორმაციის შექმნა და მისი უფასო გავრცელება, უფრო მოკლედ: პიარი არის მმართველობის ფუნქცია, რომელიც ხელს უწყობს დამყარდეს ურთიერთსასარგებლო ჰარმონიული კავშირი, ურთიერთგაგება და კეთილმოსურნეობა საზოგადოებასა და ორგანიზაციას შორის, რაზეც არის დამოკიდებული კომპანიის წარმატება და წარუმატებლობა. პიარის უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა ნდობა და დამაჯერებლობა მომხმარებლისათვის.

საზოგადოებასთან ურთიერთობის აღნიშნული ფორმები ინდივიდებსა და საზოგადოებაზე პირდაპირი და ირიბი კომუნიკაციური ტექნოლოგიებია, ამიტომ მათი გამოყენებისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პიარის ეთიკური პრინციპებისა და ზნეობრივი კოდექსის მოთხოვნათა მაქსიმალურ დაცვას. საზოგადოების ურთიერთობის ფორმებიდან ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესია რეკლამა, რომელიც სამართლიანად ითვლება პროდუქციის საზოგადოებამდე მიტანის ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტად. რეკლამა მიზანმიმართული ინფორმაციული ზემოქმედებაა მომხმარებელზე. იგი ინფორმაციაა, გავრცელებული ნებისმიერი მეთოდით. რეკლამა პროდუქტის საზოგადოებამდე მიტანის ერთ-ერთი ფორმაა მწარმოებელი ყოველთვის დაინტერესებულია თავისი პროდუქტი მიიტანოს მომხმარებლამდე. ეს არის კომუნიკაციის ფასიანი ფორმა. იგი, უპირველეს ყოვლისა, საშუალებაა, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს მომხმარებელს საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბებასა და არჩევნის გაკეთებაში. რეკლამის დროს დიდი ყურადღება ექცევა ეთიკის ნორმების დაცვას მასში, თუმცა ეს არცთუ ისე ადვილია. რეკლამა შეიძლება იყოს სხვადასხვა ხასიათის,

აღიარებულია სარეკლამო სტრატეგიის სამი ძირითადი მიმართულება: ინფორმაციული, რომლის ამოცანაა აცნობოს ბაზარს ახალი პროდუქციის არსებობა; დარწმუნებითი, რომლის ამოცანაა მარკის მიმართ უპირატესობის ჩამოყალიბება, სხვა მარკაზე გადაბირება; შეხსენებითი, რომლის ამოცანაა შეახსენოს მომხმარებელს: შესაძლოა პროდუქტი დასჭირდეს უახლოეს მომავალში, ასევე, სად შეიძლება იყიდოს პროდუქტი და სხვა. რეკლამის სტრატეგიული ამოცანა ემთხვევა საქონელზე მოთხოვნის მოტივირებასა და სურვილის შექმნას. ეს არის მომსახურების, ნაწარმის ან იდეის შესახებ ფასიანი ინფორმაციის არაპერსონალური გზით მიწოდება მასმედიის სხვადასხვა საშუალებებით. რეკლამა ავსებს პიარის მთლიან პროგრამას, რომელთა მიწოდება ნდობის ჩამოყალიბებაა, რის ნიადაგზეც შეიძლება წარმოიქმნას დადებითი ურთიერთობები. გასაგებად თუ ვიტყვით, რეკლამასა და პიარს ადარებენ სატრანსპორტო საშუალებებს, სადაც ერთი ნავია, მეორე კი მანქანა. ორივე ერთსა და იმავე დანიშნულების ადგილას მიდის, მაგრამ სხვადასხვა მარშრუტითა და სისწრაფით. ძირითადი განსხვავება პიარსა და რეკლამას შორის არის ის, რომ პიარი ესაჭიროება ყველა კომპანიას, რეკლამა კი არა. რეკლამისგან განსხვავებით პიარი ხანგრძლივი მოქმედებების სტრატეგიებს შეიმუშავებს, რეკლამის პრიორიტეტი კი მისი ლაკონურობა და სწრაფი შედეგია. თუ რეკლამას მხოლოდ ერთი ფოკუს ჯგუფი ჰყავს, ანუ მყიდველი, პიარის ფოკუს ჯგუფს წარმოადგენს ყველა ის იურიდიული თუ კერძო პირი, ვისთანაც კომპანიას აქვს, ჰქონია ან ექნება ურთიერთობა. ესენია: მომხმარებლები, მასმედიის წარმომადგენლები, პარტნიორები და ა. შ.

პრომოუშენი და ფაბლისიტი პოტენციურ მომხმარებელზე ზემოქმედების კომუნიკაციის ფორმებია. თუ რეკლამა პროდუქტის და მომსახურების პოზიციონირება და მომხმარებლისათვის შეთავაზებაა, პრომოუშენი კომპანიის საქმიანობის წინწაწევაა. პრომოუშენი, როგორც ძველი იმიჯის გამყარებას, ასევე ახალი იმიჯის, ბრენდისა თუ პროდუქტის საზოგადოების კონკრეტულ სეგმენტებში პოპულარიზაციას უწყობს ხელს. მისი მიზანი, ერთი მხრივ, მომხმარებლის მოზიდვა და შენარჩუნება, მეორე მხრივ კი პროდუქტის წინ წამოწევაა. რეკლამისაგან განსხვავდება ფაბლისიტი, რომელიც უფასო რეკლამასთან არის გაიგივებული. ფაბლისიტი მასმედიით გავრცელებული სიახლეა, რომელიც რეკლამასა და პრომოუშენისაგან განსხვავებით უფასოდ ვრცელდება. იგი გავრცელების არაკონტროლირებადი მეთოდია. საზოგადოებასთან ურთიერთობის თეორიაში სარგებლობენ ვენეციის, ათენის, ლისაბონის და ბრიტანეთის პიარ-ინსტიტუტების კოდექსებით. პრომოუშენი და ფაბლისიტი საზოგადოებასთან ურთიერთობის შემადგენელი ნაწილია და იგი ცივილიზებული ბიზნესის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად ითვლება. საეჭვო ხარისხის მქონე პროდუქციის ან მომსახურების განდიდება არათუ პიარის, არამედ ეთიკის ნორმების უხეში დარღვევაა. კიდევ უფრო მძიმე შედეგები მოაქვს რეკლამას, რომლის მიზანი კონკურენტი კომპანიებისათვის ჩრდილის მიყენებაა, საკუთარი კომპანიის განდიდების ხარჯზე. მომხმარებლის გადაბირების მიზნით ასეთ ხერხებს კომპანიები ხშირად მიმართავენ.

ბიზნესის მეფეთაგან როკფელერი წერს: „ადამიანურ ურთიერთობათა უნარს ყველა სიმდიდრეზე მაღლა ვაყენებ“. არაბი ვაჭრების კოდექსში პირდაპირ იყო მითითებული, რომ „ნუ ეცდები მოატყუო შენი პარტნიორი, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერს დაკარგავ“. ადამიანთან ურთიერთობა საკმაოდ რთული და ბოლომდე აუხსნელი მოვლენაა. წარმატებისათვის დაბადებულმა ადამიანმა ყოველთვის იცის, როდის უნდა აღიაროს დამარცხება ან წავიდეს გონიერ კომპრომისზე. წარმატების გზა ბიზნესში მომხმარებელთან სწორი ურთიერთობაა. სპირტიანი სასმელების წარმოების ევროპულ დონეზე აყვანა საქართველოში უკავშირდება ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის სახლეს. ეს იყო ევროპული მასშტაბის ქართველი მეწარმე და თანამედროვე მარკეტინგული აზროვნების მატარებელი ბიზნეს-ორგანიზატორი. მისი სანიმუშო სამეწარმეო მოღვაწეობა არათუ იმ ეპოქის დონეზე იდგა, არამედ 20-30 წლით უსწრებდა მე-20 საუკუნის ევროპა-ამერიკის ბიზნესის წარმოების ფილოსოფიას. დავით სარაჯიშვილი გახლდათ ცნობილი ქართველი მეწარმე და მეცენატი. სარაჯიშვილის მსგავსი ადამიანები თავადვე ქმნიან თავის თავს და წინაურდებიან მათივე ძლიერი, დამოუკიდებელი ხასიათის, ფართო თვალსაწიერისა და იმ ღვთაებრივი ნაპერწკლის წყალობით, რომელიც სინამდვილეში აყალიბებს ამ პატიოსან საზოგადო მოღვაწეს. “ყველგან და ყველაფერში უნდა იყო პატიოსანი ადამიანი. ეს უფრო მეტია, ვიდრე იყო მილიონების პატრონი,” – დავით სარაჯიშვილი.

მომხმარებელთან ჰარმონიული და ვირტუოზული ურთიერთობის ჩამოყალიბება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში უკავშირდება დიდი ქართველის, დავით სარაჯიშვილის სახელს. მას მიღებული ჰქონდა ევროპული განათლება უმაღლეს დონეზე, რის შემდგომაც დაბრუნებულა საქართველოში და წამოუწყია კონიაკის ბიზნესი, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და დღესაც არსებობს იმავე ბრენდის სახელწოდებით. პირველი მაგალითი იმის თაობაზე, რომ ის იყო არაჩვეულებრივი პიარ-ტექნოლოგი, ადასტურებს ის

ფაქტი, რომელიც იმ დროისათვის მოწმობს დავითი საკუთარი თანამშრომლებიდან იწყებდა ისეთი მაღალ ხარისხში აყვანილ ურთიერთობას, რაც გულისხმობდა ყველა მომუშავე პერსონლის სახელის და გვარის ცოდნას ზეპირად, მოკითხვას მისი ოჯახის, ახლობლებისა. დავითს კონიაკის წარმოება საფუძვლიანად ჰქონია შესწავლილი. ტექნოლოგიური პროცესების უკეთ წარმართვისათვის 1887 წელს საფრანგეთიდან, მოუწვევია ლიქიორისა და კონიაკის წარმოების სპეციალისტები ბურდონი და ნატონი ჟურდი. ბაბო ბაგრატიონ-დავითაშვილი რეკლამას უკეთებდა უნიკალურ ქართულ ბრენდს, სარაჯიშვილის კონიაკს და ეს რეკლამა განთავსებულია ახლადგამოცემულ წიგნში „ქართველი და უცხოელი მეწარმეების სამეურნეო-საქველმოქმედო საქმიანობა საქართველოში (XIX საუკუნის დასაწყისი - XX საუკუნის I მეოთხედი“) ავტორები: მამუკა ჯოლბორდი, ნინო ლიპარტელიანი.

დავით სარაჯიშვილის პროდუქციამ დაიმსახურა 8 ოქროს მედალი, 3 ვერცხლის, 1 ბრინჯაოს მედალი სხვადასხვა დროს უამრავ ადგილას. მან რუსეთის იმპერიაში პირველმა დაამკვიდრა კონიაკის წარმოების სრულფასოვანი ტექნოლოგია, მისი წარმოების ფრანგული წესები და ნორმები. სარაჯიშვილის ფირმის ნაწარმი მალე გაიცნეს და აღიარეს პარიზში, ლონდონში, ბერლინში, ვენაში, ჟენევაში, კონსტანტინეპოლში. 1888 წელს მას თბილისის მთავარ კანტორასთან, ნიკო ცხველაძის თავმჯდომარეობით, დაუარსებია სპეციალურ კომიტეტი, რომელსაც ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდები უნდა გამოევლინა და საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებაში ყოველმხრივ ხელშეწყობა ევალებოდა. დავითი მათ საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად სტიპენდიებს უნიშნავდა. მის სტიპენდიანტებს შორის ბევრი შემდგომში ცნობილი მოღვაწე გახდა. ქველმოქმედს, მარტო სტიპენდიანტებისათვის, ყოველთვიურად 30 000 მანეთი ჰქონდა გამოყოფილი და ამავე დროს სტუდენტებს ერთდროულ დახმარებასაც უწევდა. მისი სტიპენდიანტები იყვნენ:

- კომპოზიტორები: დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, კოტე ფოცხვერაშვილი.
- მხატვრები: მოსე თოიძე, გიგო გაბაშვილი, გრიგოლ მესხია, შალვა ქიქოძე.
- მომღერლები: ვანო სარაჯიშვილი, ვალერიან ქაშაკაშვილი.
- პროფესორები: სოლომონ ჩოლოყაშვილი, მიხეილ შალამბერიძე, ილია ყიფშიძე, მოსე ჯანაშვილი

და სხვა.

რამდენ მეცენატს იცნობთ ისეთს, ვისაც გრანდიოზული პროექტები დაუფინანსებია, მაგრამ ჩრდილში დარჩენა აურჩევია? ისეთებს კი არა, რომლებიც გაღებული ხარჯების სანაცვლოდ დროთა განმავლობაში დივიდენდების მიღებას მოინდომებდნენ, ან ფულს ხელისუფლებაში მოსასვლელ ტრამპლინად გამოიყენებდნენ, არამედ ისეთებს, რომლებიც საკუთარ ქონებას უანგაროდ, გულის კარნახით უნაწილებენ უქონელებს? ასეთები, პრაქტიკულად, აღარ არსებობენ. ეს ადამიანთა გადაშენებული ჯიშია. სწორედ ამ უიშვიათეს კატეგორიას განეკუთვნებოდა დიდი მეცენატი, მეწარმე და სწავლული დავით სარაჯიშვილი, რომელიც ისე ხელგაშლითა და გულიანად ეხმარებოდა ადამიანებს, თითქოს მთელი მისი ცხოვრება ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა: მიეცა ფული მათთვის, ვისაც ის ყველაზე მეტად სჭირდებოდა მწერლებისთვის, მუსიკოსებისთვის, მეცნიერებისთვის, სხვადასხვა საზოგადო მოღვაწეებისა თუ სტუდენტებისთვის. არა პირადი სარგებლისთვის, არამედ ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ. სარაჯიშვილის საქველმოქმედო საქმიანობა იყო უკიდეგანო. სარაჯიშვილის სახელი დაკავშირებულია „ქართველი გლეხობის აღმდგენელი კომიტეტის“, სამუსიკო სასწავლებლის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სხვა ეროვნული წამოწყებების ჩამოყალიბებასა და შექმნასთან. სარაჯიშვილი აფინანსებდა ქართულ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას და პირადად ნოე ჟორდანიას. მას მიაჩნდა, რომ ქართული ბურჟუაზია არ არსებობდა, თავადაზნაურობის მმართველობის დრო წასული იყო, ამიტომ ქვეყანას სათავეში მუშათა და გლეხთა პარტია უნდა ჩადგომოდა. ამიტომ აფინანსებდა სოციალ-დემოკრატებს და ამ საკითხის გამო პოლემიკა ჰქონდა მემარჯვენე ინტელიგენციასთან. სწორედ მისი წყალობით გადაურჩა 1901 წელს გაზეთი „ივერია“ დახურვას დავით სარაჯიშვილმა სოლიდური ფულადი თანხები გაიღო ავლაბრის სახალხო თეატრის ასაგებად. მანვე დააფინანსა 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიცია ახალციხე-ახალქალაქი-არტაანის მაზრებში. აი ასეთ მაგალითებზე დაყრდნობით შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საქართველოს იმ დროს ჰყავდა ქართველი ქველმოქმედი და მეცენატი, საზოგადოებასთან ურთიერთობაში თავმდაბალი, გულკეთილი და გულწრფელი ყოველ მოქმედებაში დავით სარაჯიშვილი, რომელმაც ასეთი გამოცდილება აჩუქა და დაუტოვა როგორც სრულიად საქართველოს, ისე მთელ მსოფლიოს.

ლიტერატურა:

1. მზია ქირთბაია, ბიზნეს ეთიკა, 2004.
2. ავთანდილ ასათიანი, ბიზნეს ეთიკა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, 2012.

3. მამუკა ჯოლბორდი, ნინო ლიპარტელიანი, ქართველი და უცხოელი მეწარმეების სამეურნეო-საქველმოქმედო საქმიანობა საქართველოში (XIX საუკუნის დასაწყისი - XX საუკუნის I მეოთხედი), თბ., 2016.
4. https://tekomai.wordpress.com/2012/06/10/%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98/

სამართალი

სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ანალიზი

უტა გოგიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ივანე ბალახაშვილი,** უფროსი მასწავლებელი

საბჭოური სამართლის სისტემის დაშლამ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ხელი შეუწყო კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებას, რისი დასტურიცაა 1997 წელს მიღებული სამოქალაქო კოდექსი, სადაც ახალი ფორმითაა გამოხატული მანამდე არსებული კერძო სამართლის ცნება, არსი და საერთოდ ნების ავტონომია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი აღიარებს და განამტკიცებს კერძო სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს მხარეთა კერძო ავტონომიას. კერძო ავტონომია, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური წინსვლისა და კეთილდღეობის საფუძველი ხდება, მით უმეტეს ახალი დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც კერძო სამართლებრივი ურთიერთობებში სახელმწიფოს არამარლთზომიერად ჩარევის გარკვეული რისკი არსებობს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულებები პირობითად შეიძლება დავყოთ ოთხ ჯგუფად: ა) ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებები; ბ) ქონების სარგებლობაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებები; გ) სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულებები; დ) მომსახურების ტიპის ხელშეკრულებები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებას მიეკუთვნება: ნასყიდობის, ჩუქების, ნარდობისა და სესხის ხელშეკრულებები. ჩამოთვლილი ხელშეკრულებებიდან მსურს შევეხო ისეთ მნიშვნელოვან ხელშეკრულებას, როგორიცაა სესხის ხელშეკრულება.

სესხის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები თავმოყრილია სამოქალაქო კოდექსის 623-628[1]-ე მუხლებში. სსკ-ს 623-ე მუხლის თანახმად, ,,სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი''. სესხი არის ფულის ან სხვა ნივთის დროებით გადაცემა სხვისთვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სასესხო ურთიერთობას ორ თავში განიხილავს. მეცხრე თავი ეძღვნება სესხს, ხოლო ოცდამეერთე თვში ლაპარაკია საბანკო კრედიტზე და ანაბარზე. ამ შემთხვევში ყურადღებას გავამახვილებ საყოფაცხოვრებო ხასიათის სასესხო ურთიერთობათა მარეგულირებელ ნორმებზე, რომლებიც ამავე დროს შეიძლება გამოყენებული იქნას ყველა სახის სასესხო ურთიერთობათა მიმართ, მიუხედავად მასში მონაწილე სუბიექტებისა და წარმოშობის საფუძვლებისა. სესხის ხელშეკრულებაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპორვად ითვლება ახალ ქართულ სამართლებრივ სივრცეში, რომელიც იდება გამსესხებელსა და მსესხებელს შორის თავისუფალი შეთანხმების საფუძველზე. სასესხო ხელშეკრულებაში გამოხატული უნდა იქნეს მასში მონაწილე სუბიექტთა ნება. სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მასში მონაწილეთა სამართალსუბიექტურობა ანუ უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. უფლებაუნარიანობა, როგორც პირის უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და

მოვალეობები და ქმედუნარიანობა კი, როგორც უნარი, – თავისი მოქმედებით შეიძინოს სამოქალაქო უფლებები და იკისროს შესაბამისი ვალდებულებები.

ქართული სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, ცენრტალურ ინსტიტუტს წარმოადგენს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი. ამ პრინციპის დამკვიდრებით კანონმდებელმა შეამცირა სახელმწიფოს მხრიდან კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში ჩარევის შესაძლებლობა. სახელშეკრულებო თავისუფლების პინციპი საშუალებას აძლევს მხარეებს დადონ სწორედ ის გარიგება, რომელიც მათ სურთ. ეს პრინციპი თავის გამოხატულებას ჰპოვებს არა მხოლოდ ხელშეკრულების დადება-არდადებაში, არამედ, თუ როგორი ფორმით, რა შინაარსით, რა ვადებით სურთ მხარეებს ამა თუ იმ ხელშეკრულების დადება, სწორედ ამ პრინციპზე დაყრდნობით კანონმდებელმა სესხის ხელშეკრულების მხარეებს მისცა თავისუფალი ნება ხელშეკრულების ფორმის არჩევისას. მათ უფლება აქვთ ხელშეკრულება დადონ როგორც ზეპირად, ასევე წერილობითი ფორმით, თუმცა რამდენად მარტივია სესხის ხელშეკრულების ზეპირად დადების დროს, ხელშეკრულების ნამდვილობის დამტკიცება, ამაზე პასუხს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ემუხლი გვაძლევს ”სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც, ხოლო მეორე ნაწილში ვკითხულობთ: ,,ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით.” ანუ სესხის ხელშეკრულების დადებისას მხარეს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს ზეპირი ან წერილობითი სესხის ხელშეკრულების ფორმა, ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ ის რისკ ფაქტორები, რაც ზეპირი ფორმით დადებულ სესხის ხელშეკრულებას მოსდევს.

კანონმდებელი, ერთი მხრივ, გვეუბნება, რომ სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად, თუმცა, თუმცა იგივე მუხლი გვეუბნება, რომ ზეპირად დადებული სესხის ხელშეკრულებისას მისი ნამდვილობის დადგენა მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით არ შეიძლება დადასტურდეს. აქ კი ისმის კითხვა, მაშინ როგორ უნდა დავადგინოთ ზეპირად დადებული სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა? დავეყრდნოთ მხოლოდ მეორე მხარის კეთილსინდისიერებას? არის კი ეს რაიმე სარგებლის მომტანი გამსესხებლისათვის, თუ პირიქით, კანონმდებლის მიერ გათვალისწინებული არჩევანის შესაძლებლობა საფრთხის ქვეშ აყენებს გამსესხებელს? მიუხედავად იმისა, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობისას მხარეებს უფლება აქვთ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის, კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი ქმედება, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა უნდა იყოს მხარეთა უფლებების დაცვის გარანტი და იგი კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა აყენებდეს გამსესხებლის დარღვეული უფლების აღდგენის საკითხს, თუ მოვალემ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ადგილას.

თუ დავეყრდნობით სასამართლო პრაქტიკას, დავინახავთ, რომ ზეპირად დადებული სესხის ხელშეკრულების დამტკიცების შესაძლებლობა მხარეებს თითქმის არ შეუძლიათ, მაშინ რა აზრი აქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624 მუხლის დათქმას სესხის ხელშეკრულების ზეპირად დადების თაობაზე, როგორ უნდა დავამტკიცოთ სიმართლე? ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე უზენაესი სასამართლო ამბობს, თუ გამსესხებელმა, მსესხებელს ასესხა გარკვეული თანხა მოწმის თანდასწრებით, მაგრამ შემდეგ აღარ დააბრუნა მსესხებელმა, გამსესხებელს არ შეუძლია ფულის სესხების ფაქტი ამტკიცოს სასამართლოში მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით. თუმცა, თუ გამსესხებელი სასამართლოს წარუდგენს ისეთ მტკიცებულებას, რომლითაც დასტურდება სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი, ანუ თუ თანხა ნასესხებია სწავლის საფასურის გადასახდელად, ან ბანკის სესხის დასაფარავად, ან ავტომანქანის შესაძენად და ა.შ. სასამართლო ზემოაღნიშნულ გარემოებებს შეაფასებს მოწმის ჩვენებასთან ერთობლიობაში და მხოლოდ ამის შემდეგ დაადგენს მსესხებელსა და გამსესხებელს შორის ზეპირი ფორმით სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტს.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი იმპერატიულად ადგენს სესხის ხელშეკრულების ერთ, წერილობით ფორმას „თუ უფრო მკაცრი ფორმა არ არის დადგენილი, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებები უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით”. ამასთანავე, კანონმდებელი უთითებს, რომ სესხის ხელშეკრულება ბათილია თუ წერილობითი ფორმა არ არის დაცული.

თუ სესხის ხელშეკრულება არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით, მაშინ როგორ უნდა დავადგინოთ ზეპირი სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა?

მაგრამ თუ დადებითი მხრივ შევხედავთ ზეპირად დადებულ სესხის ხელშეკრულებას, ეს შემთხვევა გამოგვადგება, როდესაც მისი დადება ხდება შესრულებისთანავე, თუ ხელშეკრულების საგანი მცირე ოდენობის ფული ან ნაკლებად ღირებული ნივთია უფრო ლოგიკურია ზეპირი ხელშეკრულების დადება. მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან, როდესაც მოწმის ჩვენებას დიდი

მნიშვნელობა აქვს ზეპირი სესხის არსებობის დასადასტურებლად. „***C***"-ს და „***D***"-ს შორის ზეპირი ფორმით დაიდო სესხის ხელშეკრულება. გამსესხებელმა მსესხებელ „***D***"-ს საკუთრებაში გადასცა 3000 ლარი. სესხის ხელშეკრულების დადებას მოწმის სახით ესწრებოდა „***S***". მსესხებელმა შეთანხმებულ ვადაში არ დაუბრუნა ვალი გამსესხებელს. „***C***"-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „***D***"-საგან 3000 ლარის უკან დაბრუნება. მოსარჩელეს თხოვნით სასამართლომ პროცესზე მოწმის სახით გამოიძახა „***S***". მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა მოპასუხის მიერ მისთვის გაგზავნილი მისალოცი ბარათი. ბარათში მოპასუხე მოსარჩელეს ულოცავდა დაბადების დღეს. მისალოც ბარათში ეწერა აგრეთვე, რომ მოპასუხე ბოდიშს უხდიდა მოსარჩელეს ვალის დაბრუნების დაგვიანებისათვის და პირობას დებდა, რომ ვალს უმოკლეს პერიოდში დააბრუნებდა. თუ რა სახის ვალზე და რა ოდენობის თანხაზე იყო საუბარი, მისალოც ბარათში არ ეწერა. სასამართლომ მოწმის სახით დაკითხა „***S***", რომელმაც დაადასტურა მოსარჩელე „***C***"-სა და მოპასუხე შორის ზეპირი ფორმით 3000 ლარის ოდენობის თანხაზე სესხის ხელშეკრულების დადებისა და მოპასუხისათვის თანხის გადაცემის ფაქტი. სასამართლომ მისალოც ბარათში მოპასუხის მიერ სესხის აღნიშვნა მიიჩნია აღიარებად. მოწმის ჩვენებასთან ერთად, საკმარის მტკიცებულებად ჩათვალა და დააკისრა მოპასუხე „***D***"-ს მოსარჩელის სასარგებლოდ 3000 ლარის ვალის გადახდა.

პროცენტი სესხისთვის: სესხისათვის მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი.

სესხის ხელშეკრულება ძირითადად უსასყიდლო (უპროცენტო) ხელშეკრულებაა. თუმცა, ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ სესხის ხელშეკრულება იყოს სასყიდლიანიც (პროცენტიანი). ევროპულ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში მიღებული განმარტებით, პროცენტი არის პერიოდული საზღაური კაპიტალის სარგებლობისათვის, რომლის სიდიდეც განისაზღვრება ამ კაპიტალში არსებული წილით. პროცენტი არის შემოსავლის ნაირსახეობა. სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლების ნაყოფი არის ის შემოსავალი ან/და უპირატესობა, რაც მიიღება ამ უფლების გამოყენების შედეგად.

საპროცენტო ვალდებულება აქცესორული ვალდებულებაა და იგი ეფუძნება მთავარ ვალდებულებას, როგორიცაა კაპიტალთან დაკავშირებული ვალდებულება. თუ არ წარმოშობილა მთავარი ვალდებულება ანდა იგი ბათილად იქნება ცნობილი, არც საპროცენტო ვალდებულება წარმოიშობა. ამიტომაც, საპროცენტო ვალდებულება აქცესორული ხასიათისაა წარმოშობის თვალსაზრისით. მთავარი ვალდებულების გაქარწყლება იწვევს პროცენტის გადახდის ვალდებულების შეწყვეტას. ასევე, მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობა იწვევს პროცენტზე მოთხოვნის ხანდაზმულობასაც (სსკ-ის 145-ე მუხლი).

საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 29 ივნისს ფულად ვალდებულებებთან მიმართებით, განსაკუთრებით კი, სესხთან მიმართებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განახორციელა გარკვეული ცვლილებები და დამატებები. კერძოდ, ცვლილებები შეეხო სამოქალაქო კოდექსის მე-300, 384-ე, 625-ე მუხლებს. აღნიშნული ცვლილებების განხორციელებამდე, სესხის ხელშეკრულებაში პროცენტი შეიძლება დადგენილი ყოფილიყო კანონით ან ხელშეკრულებით. კერძოდ, სსკ-ის 384-ე მუხლის თანახმად, თუ კანონით ან ხელშეკრულებით ვალდებულება პროცენტიანია, წლიური პროცენტის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება სპეციალური ნორმატიული აქტით. ამჟამად აღნიშნული ნორმა ამოღებულია, ანუ სესხთან მიმართებაში აღარ არსებობს კანონით დადგენილი პროცენტის ინსტიტუტი. 2007 წლის 29 ივნისის ცვლილებებამდე სსკ-ის 625-ე მუხლი შემდეგი შინაარსის იყო: სესხისათვის მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინა პროცენტი, რაც გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან. ამ წესის დარღვევით პროცენტის შესახებ დადებული შეთანხმება ბათილია.

ამჟამად, სსკ-ის 625-ე მუხლი ჩამოყალიბებულია სხვა შინაარსით. კერძოდ: სესხისათვის მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი. მაშასადამე, დღეს საქართველოს რეალობაში აღარ არსებობს არცერთი საკანონმდებლო ნორმა, რომელიც სასესხო ურთიერთობებში პროცენტის მინიმალურ ან მაქსიმალურ ოდენობას დაადგენდა. პროცენტის ოდენობის განსაზღვრა მთლიანად ხელშეკრულების მხარეებზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, უდა აღვნიშნოთ, რომ სასესხო ურთიერთობებში პროცენტთან მიმართებით, „სახელშეკრულებო სამართლიანობის პრინციპი" შეიცვალა „სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპით", რამაც შეიძლება მსესხებელი მაღალი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააყენოს.

ასეთ მძიმე სიტუაციაში, როდესაც ამ ნორმას სხვადასხვა მიკრო საფინანსო ორგანიზაციები ბოროტად იყენებდნენ, სასამართლო პრაქტიკით გარკვეულწილად დარეგულირდა ეს პრობლემა.

კერძოდ №ას-663-629-2015 28 ივლისი, 2015 წლის გადაწყვეტილებით უზენაესმა სასამართლომ შეამცირა პროცენტის თვიური რაოდენობა და განმარტა, რომ მართალია მსესხებელი ეთანხმება პროცენტის რაოდენობას (ამ შემთხვევაში ყოველთვიური 6 %) %. მართალია, ამ შეთავაზებას გ--ა ს--ე დაეთანხმა, მაგრამ ამით სამართლებრივი სურათი არ იცვლება, რადგანაც კასატორი მოქმედებდა სსკ-ის 325-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ქცევის წესის საწინაღმდეგოდ: „თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე.“

ამ შემთხვევაში, შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და კასატორი [სარგებლის მიმღები] მოქმედებდა ცალსახად არაკეთილსინდისიერად: მის მიერ არ იქნა გათვალისწინებული ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთი და მოსალოდნელი რისკები და მან ბოროტად გამოიყენა საბაზრო ძალაუფლება. ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი სესხის წლიური სარგებლის 72%-ით განსაზღვრას საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად შეაფასებდა.''

ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი III და IV, 2001.
3. ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 1999.
4. ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014.
5. იან კროპჰოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, 2014.

ფიზიკური პირის სამართლებრივი იდენტიფიკაციის საშუალებები

ვერიკო თენაძე, ვიკა ფინდიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ივანე ბალახაშვილი,** უფროსი მასწავლებელი

საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 26 ივნისს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებამ სამართლებრივი საფუძველი ჩაუყარა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას. ამით საქართველომ შეძლო ნაბიჯები გადაედგა დასავლურ სამართალთან ჰარმონიზაციისათვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებამ ფიზიკური პირის აქტუალურობა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში უდაოდ მნიშვნელოვან ინსტიტუტად გამოაცხადა.

ტერმინს „ფიზიკური პირი“ უპირისპირდებოდა ტერმინი „მოქალაქე“, თუმცა ის იგნორირებულ იქნა, რადგან გაურკვეველი სიტუაცია შეიქმნებოდა, რადგან კონკრეტული ქვეყნის მოქალაქის გვერდით არსებობს აგრეთვე, უცხო ქვეყნის მოქალაქეობის, მოქალაქეობის არმქონე პირის და ორმაგი მოქალაქეობის ცნებები[1].

ცნება „ფიზიკური პირი“ წლების მანძილზე მიუღებლად ითლებოდა საბჭოთა ცივილისტურ ლიტერატურაში. საბჭოთა პერიოდის შრომებში თითქმის ყველა მკვლევარი ფიზიკური პირის ნაცვლად ხმარობდა ტერმინს „მოქალაქე“. ასე იყო კანონმდებლობაშიც. ამას ასაბუთებდნენ იმ მოსაზრებით, რომ ტერმინი „ფიზიკური პირი“ უხერხული და მიუღებელია, რადგან ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ადამიანი სუბიექტი ხდება არა მისი საზოგადოებრივი თვისებების გამო, როგორც საზოგადოების წევრი, არამედ მისი ბუნებრივი თვისებების გამო, როგორც ფსიქოლოგიური პიროვნება.

[1] ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი ფიზიკური პირის, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის აღსანიშნავად „ფიზიკური პირის“ გვერდით ხმარობს ტერმინს „მოქალაქე“[1].

საქართველოს ახალმა სამოქალაქო კოდექსმა კი „მოქალაქის“ ნაცვლად იხმარა „ფიზიკური პირი“. ეს უფრო სწორად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც მისი იურიდიული შინაარსი უფრო ზუსტია. სამოქალაქო სამართალში „სუბიექტის“ ცნებას უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგენს „ფიზიკური პირი“ და სწორად ხმარობს მას სამოქალაქო კოდექსი[2].

სამოქალაქო სამართლის სუბიექტი შეძლება იყოს ცალკე ინდივიდი, ფიზიკური პირი, რომელიც გულისხმობს არა მარტო საქართველოს მოქალაქეს, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქესაც და მოქალაქეობის არმქონე პირსაც, ასევე ინდივიდთა, ფიზიკურ პირთა სხვადასხვა კოლექტიური გაერთიანებები, რომელთაც იურიდიული პირები ეწოდებათ. გარდა ამისა, ზოგჯერ ასეთ სუბიექტებად, შეიძლება გამოდიოდეს თვით სახელმწიფო, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნები. ყველა სუბიექტი სამოქალაქო კანონმდებლობაში იწოდება „პირებად“.

ყოველი სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც წესი, ყოველთვის კონკრეტულ სახელთან არის დაკავშირებული და ამის მეშვეობით კი - კონკრეტულ პირთან. ამიტომ სახელი ადამიანთა იდენტიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმია და სამოქალაქო სამართალი მას ცალკე დაცვის ღირსად მიიჩნევს. მართალია, სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი წინადადების თანახმად, სახელის ტარება ყოველი ფიზიკური პირის უფლებაა, მაგრამ სამართლისათვის, ისევე როგორც რეალური ცხოვრებისათვის, წარმოუდგენელია უსახელო ადამიანი. აქედან გამომდინარე, სახელის ტარება იმავდროულად მოვალეობაცაა[3].

სახელის მეშვეობით ხორციელდება ადამიანის ინდივიდუალიზება ყოფით და სამართლებრივ ურთიერთობებში და ადამიანს უკავშირდება პიროვნული ღირებულებანი. სახელით ადამიანი ერთგვარად დაცულია სოციალური უგულვებელყოფისაგან. ამდენად სახელი პიროვნულობის განუყოფელი ელემენტია.

უძველესი ქართული ქრისტიანული ტრადიციიდან გამომდინარე, ქართული სახელი ორწევრიანია და შედგება სახელისა და გვარისაგან. ამით იგი დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოთა ტრადიციებსაც შეესაბამება.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ფრანგულ სამართალში გვარს ეწოდება „მამის გვარი“, რადგანაც რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ყოველი ბავშვი იღებს მამის გვარს, უფრო ზუსტად დედის ქმრის გვარს. საუკუნეების მანძილზე არსებულ ტრადიციას ვერც თანამედროვე სამართალმა აუქცია გვერდი საფრანგეთში.

იმით, რომ სახელი პირთა ინდივიდუალიზების საშუალებაა, მას მნიშვნელოვანი სოციალური წესრიგის ფუნქცია აკისრია. ამიტომ სახელთან დაკავშირებული ურთიერთობები მოწესრიგებულია არა მხოლოდ კერძო სამართალში, არამედ დიდი მოცულობით საჯარო სამართალშიც.

სამოქალაქო სამართლით განმტკიცებული სახელის უფლებას სამოქალაქო სახელი ეწოდება. ესაა სახელი, რომელსაც ყოველი უფლებაუნარიანი ადამიანი ატარებს სამოქალაქო, სამართლებრივ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში თავისი ინდივიდუალობის (იდენტურობის) აღსანიშნავად. იგი განსხვავდება ე.წ. კნინობით-ალერსობითი სახელებისაგან, რომლებიც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში მეტად გავრცელებულია. საქართველოში პოპულარულია ასევე ე.წ. მეორე სახელი, რომელიც ან ნათლობას უკავშირდება (საეკლესიო სახელი) ან სახელის მატარებლის ახლობლები იყენებენ მას. ასეთი ე.წ. დამატებითი სახელების მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო საფრანგეთში. მათ საზოგადოების წინაშე პიროვნების განსაკუთრებულობის, მისი გამორჩეულობის აღსანიშნავად გამოიყენებდნენ. მათი მნიშვნელობა დიდი იყო პროვინციებსა და განსაკუთრებით დიდ საგვარეულო ტრადიციებში. თანამედროვე საფრანგეთში იგი პრაქტიკულად არავითარ როლს არ თამაშობს.

შესაძლებელია კანონმდებელმა სახელის უფლება დაუკავშიროს არა მარტო სახელსა და გვარს, არამედ მამის სახელსაც (ასეა, მაგალითად რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობით)[4].

სამოქალაქო სახელისაგან უნდა განვასხვავოთ იურიდიული პირის სახელი. ამ უკანასკნელს მოქმედი კანონმდებლობა სახელწოდებას (საფირმო სახელწოდებას) უწოდებს და მოწესრიგებულია როგორც სამოქალაქო კოდექსში, ასევე კანონში მეწარმეთა შესახებ. საფირმო სახელწოდება იურიდიული

---

[1] Гражданское право Россииской Федерации, Москва, 1996.

[2] ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000.

[3] კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი (I), თბილისი, 2001.

[4] Гражданское право Россииской Федерации, Москва, 1996.

პირების იდენტიფიკაციის, მათი თავისთავადობის დადგენის საშუალებაა და მისი ტარებაც სავალდებულოა. შეუძლებელია არსებობდეს იურიდიული პირი საფირმო სახელწოდების გარეშე.

სამოქალაქო სახელისაგან განსხვავდება ე.წ. სავაჭრო ანუ კომერციული სახელი, რომელსაც მეწარმეები თავიანთი საწარმოს აღსანიშნავად იყენებენ. სამოქალაქო სახელი შეიძლება ემთხვეოდეს სავაჭრო სახელს. მაგალითად, როცა პირი ინდივიდუალურ საწარმოს ატარებს რეგისტრაციაში, მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად, საფირმო სახელწოდებად შესაძლებელია გამოიყენოს თავისი სახელი და გვარი.

ფეოდალიზმის და, მასთან ერთად, წოდებრივი განსხვავებების გაუქმების შემდეგ, რაც დასავლეთის კონსტიტუციების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, სამართლებრივი მნიშვნელობა დაკარგეს ამ წოდებრივი კუთვნილების აღმნიშვნელმა ტერმინებმა, ამიტომ ისინი არც სამოქალაქო სახელის შემადგენელ ნაწილებად მიიჩნევიან. სხვა ვითარებაა კონსტიტუციური მონარქიის სახელწიფოებში. მაგალითად, ინგლისის სამეფო კარზე მეფის ან დედოფლის ტიტული მათი სახელის შემადგენელი ნაწილია. მაგალითად, ლონდონის სასამართლომ, რომელმაც 1996 წლის ივლისში პრინც ჩარლზისა და პრინცესა დაიანას განქორწინების საქმე განიხილა, პრინცესა დაიანას აუკრძალა, რომ სახელის ნაწილად ეტარებინა „მისი სადედოფლო აღმატებულება“.

თანამედროვე სამოქალაქო სამართალში გაბატონებული შეხედულების თანახმად, სახელის უფლება პირადი უფლებაა. ამ თვალსაზრისს ისიც ადასტურებს, რომ თითქმის ყველა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები სახელის უფლებას პირთა პირადი არაქონებრივი უფლებების ნაწილში აწესრიგებენ.

სამოქალაქო სამართლის მეცნიერებისათვის არც სხვა შეხედულებაა უცხო. კერძოდ ბოლო პერიოდის კვლევებში გაჩნდა აზრი, რომ სახელის უფლება არამატერიალურ ქონებრივ უფლებებს განეკუთვნება, განსაკუთრებით კი კომერციული ურთიერთობების სფეროში.

არსებობს ასევე სახელის უფლების დიფერენცირების მცდელობა. კერძოდ, ერთ შემთხვევაში სახელის უფლება არის წმინდა პირადი არაქონებრივი უფლება, ხოლო სხვა შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი საქმიან (კომერციულ) ურთიერთობებში გამოიყენება, არამატერიალური ქონებრივი უფლებაა, ე.ი. ხაზს უსვამენ სახელის უფლების შესაძლო ორგვარ ბუნებას.

ისტორიულად სახელის უფლება წარმოიშვა, როგორც პირადი არაქონებრივი უფლება. იგი მიზნად ისახავდა პიროვნების იდენტურობის დაცვას. ყოველ სახელს სოციალურად ყოველთვის უკავშირდება დადებითი ან უარყოფითი ასოციაცია. სახელი ყოველთვის დადებით ან უარყოფით ემოციებს იწვევს, ანდა არავითარ ემოციას არ იწვევს. სახელის დაცვის უმთავრესი დანიშნულებაა სახელის არასწორი გამოყენებით გამოწვეული ქაოსის თავიდან აცილება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლით განმტკიცებული უფლება პირადი არაქონებრივი უფლებაა. ამას ლოგიკურად ისიც ადასტურებს, რომ სახელის უფლება მე-18 მუხლში სხვა პირად არაქონებრივ უფლებებთან ერთად დაცვის ქვეშ არის მოქცეული.

სახელის უფლების განხილვამ პირად არაქონებრივ უფლებად არ უნდა შეუშალოს ხელი მის აღიარებას არამატერიალურ ქონებრივ უფლებადაც. განსაკუთრებით მაშინ, როცა სახელი კომერციულ ურთიერთობებში გამოიყენება.

პირადი არაქონებრივი უფლებების ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი ისაა, რომ შეუძლებელია მისი გადაცემა სხვა პირისათვის, ე.ი. იგი განეკუთვნება გადაცემაუუნარო უფლებათა კატეგორიას. დაუშვებელია ორ ადამიანს შორის ისეთი შეთანხმება, რომლითაც ერთი კისრულობს ვალდებულებას თავისი სახელი გადასცეს მეორე პირს და ამ უკანასკნელმა ატაროს ეს სახელი და გვარი. ადამიანის სახელი ყოველთვის ინდივიდუალურია და კონკრეტულ პიროვნებას გამოხატავს მაშინაც კი, როცა პირთა სახელები ემთხვევა ერთმანეთს.

კომერციულ ურთიერთობებში არის შემთხვევები, როცა ადამიანის სახელი გადაცემაუნარიანია, ე.ი. შეიძლება გადაეცეს სხვა პირს. ამის შესაძლებლობას მეწარმეთა შესახებ კანონი ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო სახელი გარდაიქმნება სავაჭრო (კომერციულ) სახელად, საწარმოს ქონების ნაწილად და შეიძლება იგი განვიხილოთ როგორც არამატერიალური ქონებრივი უფლება.

მაშასადამე, სამოქალაქო სახელი ყოველთვის არის პირადი არაქონებრივი სიკეთე, რომლის გასხვისება და სხვა პირებზე გადაცემა დაუშვებელია, ხოლო სავაჭრო, კომერციული სახელი შეიძლება იყოს არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის გადაცემა სხვა პირებზე კანონით დადგენილი წესით დასაშვებია.

მართალია, სახელის, როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთის, მესამე პირებზე გადაცემის შესაძლებლობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ აქაც მნიშვნელოვანი შეზღუდვებია გასათვალისწინებელი,

რომლებიც დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის მიერ იქნა შემუშავებული და ცხოვრებაში დამკვიდრებული.

მარტოოდენ სახელის გადაცემა მესამე პირებზე დაუშვებლად არის მიჩნეული მაშინაც კი, როცა ეს სავაჭრო, კომერციული, საფირმო სახელია. ერთი პატარა მაგალითის მოხმობაც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ასეთი აკრძალვა სწორია. მაგალითად, ლაღიძის წყლების საწარმომ გაყიდა თავისი სახელწოდება „ლაღიძის წყლები“ და მიჰყიდა მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანას. ამის შედეგად „ლაღიძის წყლების“ სახელწოდებით გამოდის მინერალური წყალი, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს ლაღიძის წყლებთან. ამგვარი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ განავითარა წესი, რომლის თანახმად, „სახელის უფლება და სახელის მსგავსი უფლებები არ შეიძლება დამოუკიდებლად გადაეცეს სხვა პირებს სანივთო სამართლებრივი შედეგებით. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა სახელი საფირმო სახელწოდების ნაწილია ან საწარმოს აღსანიშნავად გამოიყენება.“

საფირმო სახელწოდება შეიძლება მხოლოდ იმ საწარმოსთან ერთად გასხვისდეს, რომლის სახელწოდების აღმნიშვნელიც ის არის. ცალკე სახელის გასხვისება დაუშვებელია. ამ დროს სახელი საწარმოს აღსანიშნავად გამოიყენება და არა ფიზიკური პირის, რომლის სახელსაც იგი იმავდროულად წარმოადგენს. სახელის ამგვარი გადაცემით სახელის მატარებელი ფიზიკური პირი არ კარგავს ამ სამოქალაქო სახელზე უფლებას. სწორედ ამას ნიშნავს, რომ სახელის გასხვისებას არა აქვს სანივთო სამართლებრივი შედეგები.

სულ სხვანაირადაა საქმე, როცა იყიდება საწარმო საფირმო სახელწოდებასთან ერთად და ეს სახელწოდება არ არის ფიზიკური პირის სახელი. ასეთ გასხვისებას, ცხადია, ექნება სანივთო სამართლებრივი შედეგები - საწარმოს ძველ მფლობელს არ შეუძლია ამ სახელის გამოყენება, თუკი, რა თქმა უნდა, მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

მიუხედავად იმისა, რომ სახელის უფლება უმეტეს შემთხვევებში პირადი არაქონებრივი უფლებაა, მისი ხელყოფის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნა შეიძლება ქონებრივი ხასიათის იყოს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, „თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც“[1].

ფიზიკურ პირთა ინდივიდუალიზაცია ხდება მათი სახელის მიხედვით. როგორც ითქვა, ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს მის სახელსა და გვარს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლებელია კანონმდებელმა სახელის უფლება დაუკავშიროს არა მარტო სახელსა და გვარს, არამედ მამის სახელსაც, ჩვენი კოდექსით კი, ფიზიკური პირის ინდივიდუალიზაციისათვის საკმარისია მისი სახელისა და გვარის აღნიშვნა.

ფიზიკური პირის სამოქალაქო სახელისაგან განსხვავდება სამეწარმეო სახელი ანუ ფირმა. ფირმა არის სახელი, რომლითაც პირი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. საფირმო სახელი შეიძლება დაემთხვეს ინდივიდუალური მეწარმის სამოქალაქო სახელს, მათ შორის, სხვა პირის სამოქალაქო სახელსაც, რომლის მეშვეობითაც ეს პირი ადრე ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას.

სახელის უფლება აბსოლუტური სამოქალაქო უფლებაა, რომლის ხელყოფისაგან თავის შეკავება ევალება ყველა სხვა პირს. სახელი პირს დაბადებისთანავე ეძლევა. გვარს შთამომავლობით იღებს ჩვეულებრივ მამის მხრიდან, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია სხვა გვარის მიღებაც, უმეტესად დედის გვარის, ანდა მშობლების შერქმეული გვარისა, თუ ისინი თანახმანი არიან ამაზე. ყველა სამოქალაქო უფლება მოქალაქეს შეუძლია შეიძინოს თავის საკუთარ სახელზე, მას არ შეუძლია გამოიყენოს სხვისი სახელი. პირს შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ გამოგონილი სახელი - ფსევდონიმი, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, ანდა საერთოდ არ გამოიყენოს არც ნამდვილი სახელი და არც ფსევდონიმი. ეს მაშინ ხდება, როცა პირი აქვეყნებს რაიმე ნაწარმოებს და არ მიუთითებს არც ნამდვილ სახელს და არც გამოგონილს, ანონიმურად აქვეყნებს ნაწარმოებს.

აღსანიშნავია, რომ ფიზიკური პირის დაბადების სააქტო ჩანაწერებში მის სახელთან და გვართან ერთად აღინიშნება მამის სახელიც, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის მისი სახელის აუცილებელი მონაცემი, მაგრამ ზოგჯერ, მას შეიძლება მიენიჭოს გარკვეული სამართლებრივი მნიშვნელობა.

სახელის მეშვეობით ადამიანის ინდივიდუალიზებით ერთნაირადაა დაინტერესებული როგორც ინდივიდი, ისე, სახელმწიფოს სახით, საზოგადოება.

სახელის შეძენის საფუძვლებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს. მათ განეკუთვნება: დაბადება, დაქორწინება და სახელის შეცვლა ნებაყოფლობით.

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი

სახელის შეძენის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს დაბადება. როგორც წესი, ბავშვის სახელს მშობლები ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრავენ. შვილის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით, როგორც წესი, ის ეფუძნება წარმოშობას ან ქორწინებას. საკუთარი სახელი და დაბადებით მინიჭებული გვარი შეიტანება მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერებში, კერძოდ დაბადების სააქტო ჩანაწერში. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს საკუთარ სახელთან და გვართან ერთად მამის სახელის შესახებ მონაცემის აღნიშვნასაც, რომელიც არ წარმოადგენს სახელის აუცილებელ კომპონენტს და სააქტო ჩანაწერში მისი აღნიშვნა ემსახურება სახელის რეგისტრაციისაგან განსხვავებულ მიზნებს. იმ შემთხვევაში, თუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, ბავშვის გვარი ჩაიწერება მამის ან დედის გვარის მიხედვით ან ბავშვს შეიძლება მიეკუთვნოს მშობლების შეერთებული გვარი, თუ მშობლები თანახმანი არიან. თუ მშობლები ბავშვის გვარის თაობაზე ვერ თანხმდებიან და მათ საერთო გვარი არ აქვთ, გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი მმართველობის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

სახელის შეძენის მეორე მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს დაქორწინება. დაქორწინების დროს მეუღლეებს სურვილისამებრ შეუძლიათ აირჩიონ ერთ-ერთი მეუღლის გვარი თავიანთ საერთო გვარად, ანდა თითოეულმა დაიტოვოს თავისი ქორწინებამდელი გვარი ანდა თავისი გვარი შეუერთოს მეუღლის გვარს. აღსანიშნავია, რომ დაქორწინების შედეგად შეძენილი გვარი არ უქმდება მეუღლეთა განქორწინებით.

სახელის ნებაყოფლობითი შეცვლა სახელის შეძენის ერთ-ერთი საფუძველია. სახელის შეცვლა ხდება „სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ფიზიკური პირის სახელის უფლება დაცულია კანონით. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე“.

საცხოვრებელი ადგილი პირის სამოქალაქო-სამართლებრივი იდენტიფიკაციის ერთ-ერთი უძველესი კრიტერიუმია სამოქალაქო სამართალში. ბოლო ხანს იგი განსაკუთრებულ როლს თამაშობს საერთაშორისო კერძო სამართალშიც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის დეფინიცია შეესაბამება ამ ინსტიტუტის განვითარების თანამედროვე დონეს სამოქალაქო სამართალსა და საერთაშორისო კერძო სამართალში. ქართული კანონი ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევს ადგილს, რომელსაც იგი „ჩვეულებრივ საცხოვრებლად“ ირჩევს.

„ჩვეულებრივი საცხოვრებლის“ ცნება მრავალ საერთაშორისო კონვენციასა თუ შეთანხმებაში გამოიყენება. განსაკუთრებით საერთაშორისო კერძო სამართალში ჰპოვა მან დიდი გავრცელება. ამიტომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შემთხვევით არ განამტკიცებს „ჩვეულებრივი საცხოვრებლის“ ინსტიტუტს[1].

საერთაშორისო კერძო სამართალში გავრცელებული შეხედულების თანახმად, „ჩვეულებრივ საცხოვრებლად“ გაიგება პირის ძირითადი, უმთავრესი ადგილსამყოფელი. ამ პოზიციას იზიარებს საერთაშორისო საპროცესო სამართალიც. ამასთან, გარემოებებიდან გამომდინარე, თვალსაჩინო უნდა იყოს, რომ პირი მოცემულ ადგილას დროებით არ იმყოფება.

„ჩვეულებრივი საცხოვრებლის“ განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პირის ფაქტობრივ ყოფნას მოცემულ ადგილზე. ამიტომაც უწოდებენ მას „ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს“ მაშინ, როცა „საცხოვრებელ ადგილად“ მიჩნევისათვის მხოლოდ ფაქტობრივი ყოფნა არ არის საკმარისი. მას თან უნდა ახლდეს პირის ნება, რომ მას სურს მოცემულ ადგილზე ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი. სწორედ ამ ნებას გამოხატავს მე-20 მუხლის პირველ წინადადებაში განმტკიცებული დებულება ჩვეულებრივ საცხოვრებლად „არჩევის“ შესახებ, ე.ი. არა მხოლოდ ფაქტობრივი ყოფნა, არამედ მისი არჩევა საცხოვრებელ ადგილად, გადამწყვეტია მე-20 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობების წარმოშობისთვის.

ფაქტობრივი ყოფნა მოცემულ ადგილზე ავტომატურად რომ წარმოშობდეს საცხოვრებელ ადგილს, მაშინ ყოველი პატიმრის ან ავადმყოფის საცხოვრებელ ადგილად უნდა მიგვეჩნია ციხე ან საავადმყოფო, თუკი ისინი ექვს თვეზე მეტი ხნის მანძილზე იმყოფებიან.

მაშასადამე, საცხოვრებელი ადგილი შეიძლება განვმარტოთ, როგორც ადგილი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უმთავრეს ადგილსამყოფელს და მას ძირითად საცხოვრებლად ირჩევს.

---

[1] კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი ზოგადი ნაწილი (I), თბილისი, 2001.

საცხოვრებელი ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ადამიანს, ე.ი. ფიზიკურ პირს. იურიდიული პირის გეოგრაფიული მდებარეობის აღსანიშნავად კანონი იყენებს ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) ცნებას.

შესაძლებელია, რომ პირის საცხოვრებელი ადგილი და მისი სამეწარმეო საქმიანობის ადგილსამყოფელი ემთხვეოდეს ერთმანეთს. ეს ხდება მაშინ, როცა ფიზიკური პირი ერთდროულად ინდივიდუალური მეწარმეცაა და თავისი ინდივიდუალური საწარმოს იურიდიულ მისამართად საცხოვრებელ ადგილს იყენებს.

საცხოვრებელი ადგილის ცნება მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის სამართლებრივი მნიშვნელობის მქონეა. ამასთან აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი ტრადიციების შესაბამისად სხვადასხვა სამართლის სისტემები სხვადასხვა ცნებებს იყენებენ და არც თუ იშვიათად განსხვავებული შინაარსით.

საცხოვრებელ ადგილს მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კერძო სამართლისთვის. საჯარო სამართალში მასზე მრავალი უფლება ან ინსტიტუტია დამოკიდებული, მაგალითად, საარჩევნო უფლება ან სასამართლო ქვემდებარეობა სამოქალაქო სამართლის პროცესში და ა.შ. მართალია ამ დროს საცხოვრებელი ადგილის სამოქალაქო სამართლებრივი ცნება დიდ როლს თამაშობს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს საჯარო სამართლის ამა თუ იმ დარგში საცხოვრებელი ადგილის სპეციფიკური ცნების არსებობას.

სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლი განამტკიცებს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპს. ეს სრულიად შეესაბამება საქართველოს კონსიტუციის 22-ე მეხლს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალ გადაადგილებას და, შესაბამისად, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევას.

როდის და როგორ წარმოიშობა საცხოვრებელი ადგილი? რა კავშირშია იგი საპოლიციო ჩაწერათან? რა არის აუცილებელი საცხოვრებელი ადგილის დაფუძნებისთვის? ამ კითხვებზე პასუხს სამოქალაქო კოდექსი დეტალურად არ იძლევა. ამიტომ ვფიქრობთ ამ პრობლემებთან დაკავშირებით შედარებითი სამართლებრივი ანალიზი უაღრესად სასარგებლო და საინტერესოა.

გერმანული სამართლის მიხედვით, საცხოვრებელი ადგილის ასარჩევად აუცილებელია პირის ნება მოცემულ ადგილზე მუდმივად ცხოვრებისა და ამ ადგილზე ფაქტობრივად ცხოვრება. მხოლოდ მუდმივად ცხოვრების ნების გამოხატვა არ არის საკმარისი. „სავალდებულოა, რომ საცხოვრებელი ადგილის დაფუძნების ნება ფაქტობრივად ყოფნაში გამოიხატოს“ - ასე აღნიშნა გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში. თავის მხრივ, მხოლოდ ფაქტობრივი ყოფნა არ არის საკმარისი, თუკი მას თან არ ახლავს მუდმივად აქ ყოფნის ნება.

„მოცემულ ადგილზე დაფუძნება“ ქართულ ენაშიც ნიშნავს განზრახვას ცხოვრების ძირითად ადგილსამყოფელად არჩეულ იქნეს ესა თუ ის ადგილი. სწორედ ამ დაფუძნებაზე უნდა იყოს ნება მიმართული და ფაქტობრივად განხორციელებულიც. შეიძლება პირს ჰქონდეს სურვილი მუდმივად საცხოვრებლად აირჩიოს ესა თუ ის ქალაქი, მაგრამ თუ მას რეალური შესაძლებლობა იქ ცხოვრებისა არ აქვს, ეს სურვილი თავისთავად არ წარმოშობს საცხოვრებელ ადგილს.

„მუდმივ საცხოვრებლად ამა თუ იმ ადგილის არჩევა“ არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ერთ ადგილას მიჯაჭვას. პირს შეუძლია პროფესიული თუ სხვაგვარი საქმიანობის შესასრულებლად განსაზღვრული დროის მანძილზე სხვა ადგილას იცხოვროს. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს პროფესიული საქმიანობის ადგილსამყოფელი, მაგრამ არა საცხოვრებელი ადგილი[1].

საცხოვრებლის არსებობა მოცემულ ადგილზე გულისხმობს პირის შესაძლებლობას ჰქონდეს ამა თუ იმ ადგილზე ბინა ან სახლი, ე.ი ადგილი, სადაც მას შეეძლება ცხოვრება. ასეთ დროს არა აქვს მნიშვნელობა, ეს სახლი მისი საკუთრებაა, თუ ქირით აქვს იგი აღებული.

განსხვავებით ინგლისურ-ამერიკული სამართლისაგან, გერმანული სამართალი ითვალისწინებს შესაძლებლობებს, რომ პირს არ ჰქონდეს საერთოდ საცხოვრებელი ადგილი, რასაც გამორიცხავს საერთო სამართალი. აქედან გამომდინარე გერმანულ სამართალში არ მოითხოვება საცხოვრებელი ადგილის არსებობის დამამტკიცებელი საბუთის წარდგენა, როგორც ეს ფრანგულ ან ინგლისურ სამართალშია.

მაშასადამე, გერმანული სამართლის მიხედვით, „საცხოვრებელი ადგილი“ წარმოადგენს მეტად სპეციფიკურ, თავისუფალი საზოგადოებისათვის სრულიად დამახასიათებელ სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელიც ეფექტურად უზრუნველყოფს სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და მის რეალიზაციას.

[1] ჭანტურია ლ. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000.

იტალიის სამოქალაქო სამართლის თანახმად, საცხოვრებელი ადგილი არის ადგილი, რომელზეც პირს აქვს თავისი საქმიანობისა და ინტერესების უმთავრესი ნაწილი, ე.ი. ადგილი, რომელსაც ადამიანი მუდამ უბრუნდება.

ზოგი სახის საქმიანობისთვის იტალიის სამართალი ითვალისწინებს ე.წ. სპეციალური საცხოვრებელი ადგილი ცნებას, მაგალითად, საპროცესო სამართალში[1].

კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, შვეიცარიის სამართალიც განასხვავებს ერთმანეთისაგან კერძოსამართლებრივ და საჯაროსამართლებრივ საცხოვრებელ ადგილს; ადგილსამყოფელსა და საცხოვრებელ ადგილს. ადგილსამყოფლად მიიჩნევა ადგილი, სადაც პირი მოცემულ მომენტში იმყოფება, დროებით თუ ხანგრძლივად. ადგილსამყოფელი გარდაიქმნება საცხოვრებელ ადგილად, თუკი მოცემულ ადგილას მყოფ პირსა და ამ ადგილს შორის წარმოიშობა უფრო მყარი და მჭიდრო კავშირი. ეს კავშირი ემყარება ამ ადგილზე ხანგრძლივად დარჩენის განზრახვას.

ფრანგული სამართალი ორი ძირითადი ცნებით მუშაობს - დომიცილი და რეზიდენცია. დომიცილის ლეგალური დეფინიცია მოცემულია სამოქალაქო კოდექსში. რაც შეეხება რეზიდენციას, მისი ლეგალური დეფინიცია ფრანგულ კანონმდებლობაში არ არის, მაგრამ გაბატონებული შეხედულების თანახმად, იგი უფრო ფაქტობრივ საცხოვრებელს ნიშნავს. სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული დომიცილი არც ფრანგულ სამართალშია ადმინისტრაციული საგადასახადო სამართლით განმტკიცებული დომიცილის იდენტური. ამ უკანასკნელში უფრო რეზიდენციას გულისხმობენ.

საცხოვრებელი ადგილის არჩევისას ფრანგულ სამართალშიც გადამწყვეტ როლს პირის განზრახვა, მისი ნება ასრულებს: სურს თუ არა მას მოცემულ ადგილზე საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება. მაგრამ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით ფრანგული სამართალი ამ ნების გამოხატვის ფრანგულ ფორმასაც აქცევს ყურადღებას. კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის თანახმად, პირი განცხადებას საცხოვრებელი ადგილის დაფუძნების შესახებ აკეთებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არსებულ მმართველობის ორგანოში.

საცხოვრებელი ადგილის შესახებ თანამედროვე სამართლის მოკლე მიმოხილვა ვფიქრობთ საკმარისია იმისთვის, რომ ჩამოვაყალიბოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 20-ე მუხლის პირველი წინადადების გაგების მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მოსაზრებები:

საცხოვრებელი ადგილის არჩევა დამოკიდებულია პირის ნებაზე და არა რომელიმე სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებაზე. სრულწლოვანი პირებისათვის იძულებითი წესით საცხოვრებელი ადგილის არჩევას ქართული სამართალი არ იცნობს.

პირის ნება, დააფუძნოს საცხოვრებელი ადგილი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ნების დაკმაყოფილების შესაძლებლობებით, ე.ი პირს უნდა ჰქონდეს ბინა, სახლი ან სხვა საცხოვრებელი სადგომი მოცემულ ადგილზე. ამასთან არა აქვს მნიშვნელობა, ეს სადგომი მისი საკუთრებაა თუ ქირით აქვს აღებული.

საცხოვრებელი ადგილის ცნება არ არის საჯარო სამართალში გამოყენებული საცხოვრებელი ადგილის ცნების იდენტური. მაგალითად საარჩევნო კანონში განმტკიცებული საცხოვრებელი ადგილის ცნება მოიცავს საერთო საცხოვრებელში მყოფი სტუდენტის უფლებასაც მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. სწავლა ან სხვაგვარი დროებითი ყოფნა მოცემულ ადგილზე არ წარმოშობს საცხოვრებელ ადგილს.

პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ეს უაღრესად პროგრესული და მნიშვნელოვანი ნორმა ბევრი ქვეყნის სამოქალაქო სამართლისთვის უცნობია. მათ შორის ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც კლასიკური სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო საზოგადოებათა ქვეყნებს განეკუთვნებიან. მაგალითად ფრანგული სამართლის მიხედვით დაიშვება მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ადგილი. ახალი საცხოვრებელი ადგილის დაფუძნებამ ყოველთვის უნდა გამოიწვიოს ძველი საცხოვრებელი ადგილის გაუქმება. თუ პირს რამდენიმე ადგილას აქვს საცხოვრებელი, მაშინ ფაქტობრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე და პირის განზრახვის გათვალისწინებითაც სასამართლო წყვეტს, თუ რომელი უნდა იქნეს მიჩნეული დომიცილად.

არც იტალიური სამართალი უშვებს ერთდროულად რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის არსებობას. ყოველ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ადგილი. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 23-ე მუხლიც მხოლოდ ერთადერთი საცხოვრებელი ადგილის პრინციპს განამტკიცებს. რამდენიმე საცხოვრებლის ფაქტობრივად არსებობისას, ფრანგული სამართლის მსგავსად, აქაც მოსამართლეს უხდება იმის გადაწყვეტა, თუ რომელი საცხოვრებელი ჩაითვალოს საცხოვრებელ ადგილად.

---

[1] ჭანტურია ლ. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000.

კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებიდან „ერთადერთი საცხოვრებელი ადგილის“ პრინციპის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ინგლისი. რაც შეეხება ამერიკას, ბოლო პერიოდის სასამართლო პრაქტიკა და კანონმდებლობა მხარს უჭერს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის პრინციპს[1].

ზემოაღნიშნული ქვეყნებისაგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო სამართალი განამტკიცებს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის დაშვების პრინციპს. ეს იმას ნიშნავს, რომ პირს ერთდროულად შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი.

რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის სამართლებრივი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ პირს შეუძლია რამდენჯერმე ჰქონდეს საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები. იგი შეიძლება მოსარჩელედ გამოდიოდეს რამდენიმე ადგილას და ა. შ. ვინაიდან ჩაწერა არ წარმოშობს საცხოვრებელ ადგილს, პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ჩაწერილი კი იყოს მხოლოდ ერთ ადგილას.

საცხოვრებელ ადგილად არ ჩაითვლება სააგარაკო და საბაღე სახლები. ავსტრიული სამართლის მიხედვითაც შეიძლება პირს ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი ან - არც ერთი.

რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის უფლება ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, უაღრესად მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით ზემოთ განხილული საკითხები შეეხებოდა იმ საცხოვრებელ ადგილებს, რომელთა არჩევის უფლება პირებს მოქმედი კანონმდებლობით აქვთ უზრუნველყოფილი, ამიტომ მათ არჩევითი საცხოვრებელი ადგილი ეწოდებათ. იგი საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება უკავშირდება მაშინაც, როცა მოცემული ქვეყნის სამართალი მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ადგილის ინსტიტუტს განამტკიცებს.

საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა არ გულისხმობს ამა თუ იმ ქვეყნის არჩევას საცხოვრებლად. ეს აღემატება სამოქალაქო სამართლის შესაძლებლობებს. უფრო ზუსტად, იგი გულისხმობს მოცემული ქვეყნის შიგნით ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის არჩევას საცხოვრებელ ადგილად (ქალაქი, სოფელი, დაბა, რაიონი და ა. შ.).

მართალია, სამოქალაქო სამართალი საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპს განამტკიცებს, იგი, ამავე დროს იცავს იმ პირთა ინტერესებს, რომელთაც ასეთი არჩევანის გაკეთება არ შეუძლიათ. ესაა პირები, რომლებსაც ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ საცხოვრებელი ადგილის არჩევის საკითხი. მათ ნაცვლად ამას კანონი აკეთებს. ამიტომაც ეწოდება არასრულწლოვანების და არაქმეუნარიანი პირების საცხოვრებელ ადგილს კანონით საცხოვრებელი ადგილი.

გავრცელებული შეხედულების თანახმად ფრანგულ სამართალში ბავშვის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა მშობლების საცხოვრებელი ადგილი. არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა მშობლების საცხოვრებელი ადგილი, მაშინაც როცა ბავშვი ინტერნატშია მიბარებული.

გერმანული სამართლის მიხედვითაც არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად მშობლების საცხოვრებელი ადგილი მიიჩნევა, მიუხედავად იმისა, ფაქტობრივად თუ სად ცხოვრობს ბავშვი.

ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა დედის საცხოვრებელი ადგილი. შვეიცარიული სამართლის მიხედვით მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრების შემთხვევაში არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა იმ მშობლის საცხოვრებელი ადგილი, რომლის მზრუნველობის ქვეშ იმყოფება ბავშვი[2].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად სამეურვეო პირის საცხოვრებლად მიიჩნევა მეურვის საცხოვრებელი ადგილი. სამეურვეო პირებად ჩაითვლებიან არასრულწლოვანები, რომელთაც კანონით დადგენილი წესით დანიშნული აქვთ მეურვეობა ან და არასრულწლოვანები, რომლებიც კანონით დადგენილი წესით არაქმედუნარიანად არიან აღიარებულნი და მათზეც დანიშნულია მეურვეობა.

რაც შეეხება საცხოვრებელი ადგილის გაუქმებას, იგი, ისევე, როგორც საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება, ორ გარემოებაზეა დამოკიდებული. ერთია პირის ნება მიანებოს თავი ამ საცხოვრებელ ადგილს და მეორე, ამის პრაქტიკული განხორციელება.

საცხოვრებელი ადგილი არ უქმდება, როცა დაუძლეველი ძალის, ომის ან სხვა ამის მსგავსი გარემოებების გამო პირი იძულებულია დატოვოს საცხოვრებელი ადგილი. მაგალითად აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველის საცხოვრებელი ადგილი მაინც აფხაზეთშია, მიუხედავად იმისა, რომ მათ ფიზიკურად იქ დაბრუნება ჯერჯერობით არ შეუძლიათ.

---

[1] კობახიძე ა. სამოქალაქო სამართალი ზოგადი ნაწილი (I), თბილისი, 2001.

[2] ჩიკვაშვილი შ., მემკვიდრეობის და საოჯახო სამართალი, 2004

საცხოვრებელი ადგილის გაუქმება შეიძლება განხორციელდეს ახალი საცხოვრებელი ადგილის დაფუძნებით. ოღონდ ეს უკანასკნელი ავტომატურად არ იწვევს ძველი საცხოვრებელი ადგილის გაუქმებას. აუცილებელი აქაც პირის ნებაა.

რაც შეეხება უცხოელთათვის საცხოვრებელი ადგილის გაუქმებას, ეს შეიძლება გამოიწვიოს უცხოელთათვის მოცემულ ქვეყანაში ცხოვრების უფლების ჩამორთმევამ, რაც ამ ქვეყნის მოქალაქის მიმართ დაუშვებელია.

ზემოთ განხილული საკითხები, ვფიქრობთ, ნათლად ადასტურებენ საცხოვრებელი ადგილის მნიშვნელობას სამოქალაქო სამართალში. თუკი ამას დავუმატებთ სამოქალაქო საპროცესო სამართლით გათვალისწინებულ ნორმებს საცხოვრებელი ადგილის თაობაზე, აშკარა გახდება, რომ საცხოვრებელი ადგილი სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია.

ნარკომანია, როგორც გახანგრძლივებული თვითმკვლელობა და მისი თანმდევი პრობლემები

ლაშა კობახიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ გაბარაევი,** მოწვეული სპეციალისტი

რა არის ნარკომანია? უბრალოდ დაავადება, თუ ჩვევა, რომელსაც ყოველთვის თან ახლავს განადგურება. არსებობს მოსაზრება, რომ ნარკომანია სულიერი დაავადების ერთ-ერთი ფორმაა. ცხოვრების აზრის ვერ შეცნობის, მისი უდიდეს სიმძიმედ აღქმის შემთხვევებში ადამიანები ცდილობენ რეალობას გამოეთიშონ და ე.წ. ,,კაიფში" ნახონ შვება. თუმცა იმდენად ღრმად იჭრებიან ამ შეგრძნებებში, რომ ბოლოს ამაოების სრული განცდა ხშირად თვითმკვლელობამდე უბიძგებს მათ. ,,ნარკომანიას საფუძვლად უდევს, ცოცხალი სამყაროს ერთ-ერთი უზოგადესი და უმძლავრესი კანონზომიერება, რომელიც არსებობს და მთავარ მამოძრავებელ ძალად გვევლინება - ეს არის სიამოვნების განცდის უნარი.''

საკმაოდ ირონიულად ჟღერს, თუმცა სამწუხაროდ, რადგანაც ადამიანები საუკუნეების განმავლობაში მოიხმარენ სხვადასხვა მიზნებით ნარკოტიკულ ნივთიერებებს და დაახლოებით ამ დროის განმავლობაში ცდილობენ მისგან გათავისუფლებას.

ალბათ ბევრს დაებადა კითხვა, თუ რატომ არის ნარკომანია გახანგრძლივებული თვითმკვლელობა, აქ კი პასუხი საკმაოდ მარტივია - ასეთი ადამიანები გარეგნულად თითქოსდა ძლიერებად გვაჩვენებენ თავს, სინამდვილეში კი იმდენად სუსტები არიან, რომ ვერ უმკლავდებიან ცხოვრების გზაზე შემხვედრ ,,ქარტეხილებს'', ადამიანები ეჯახებიან მრავალ პრობლემას, მათ არ შეუძლიათ თავიანთი სისუსტის აღიარება და ეს დიდ სირცხვილად მიაჩნიათ. ამ ყველაფრისგან თავის დაღწევის ერთადერთ გზად და საშუალებად კი, იმწუთიერი თვითმკვლელობა მიაჩნიათ, მაგრამ საბედნიეროდ, ყველას არ შესწევს უნარი და შესაძლებლობა იმისა, რომ ერთი ხელის მოსმით სიცოცხლე მოუსწრაფოს საკუთარ თავს; მაგრამ ამ ყველაფერს საბოლოოდ არსებითი მნიშვნელობა ეკარგება, ვინაიდან იმწუთიერად თვითმკვლელობის ნაცვლად ისინი ირჩევენ კიდევ უფრო დამღუპველ ცხოვრების წესს და ხდებიან ნარკოდამოკიდებულნი, გაურბიან რეალობას, ვეღარ აცნობიერებენ მათ წინაშე არსებულ მდგომარეობას და ამით ნელ-ნელა, სწორედაც რომ გახანგრძლივებულად იკლავენ თავს და შედეგად არანაირი სხვაობა არ გვაქვს იმწუთიერად თვითმკვლელ ადამიანებსა და ნარკოტიკებით დაღუპულ ადამიანებს შორის. განსხვავება აქ მდგომარეობს მხოლოდ დროსა და საშუალებაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისინი თვითმკვლელობაზე უფრო დამღუპველ ცხოვრების წესს ირჩევენ და ეს შეგნებულად მივუთითე. რა თქმა უნდა ადამიანის სიკვდილზე ცუდი რა უნდა იყოს, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ ამაზე დიდი უბედურებაც არსებობს, რაც გამოიხატება იმაში, რომ როდესაც ადამიანი წამალდამოკიდებული ხდება, იგი საკუთარი საქციელით, ნებით თუ უნებლიედ ახდენს ნარკომანიის პროპაგანდას, რადგან ამ ქმედებას ის ჩვეულებრივად აღიქვამს და შედეგად სხვების თანდასწრებით ახდენს საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ექცევა ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში.

როდესაც ადამიანი შეგნებულად ახდენს სხვის დაყოლიებას ნარკოტიკული ნივთიერების მიღებაზე აქ მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, უფრო მძიმდება, თუმცა შესაძლებელია მას დაყოლიება საერთოდ არ დასჭირდეს და საბოლოოდ ის ადამიანები, რომლებიც ამ ყველაფერს დაინახავენ თავადვე გაუჩნდეთ აკრძალული ხილის გასინჯვის ინტერესი და სწორედ აქ იკვეთება ნარკოდამოკიდებულად გახდომის ყველაზე გავრცელებული ფორმა - **მიმბაძველობა**. როცა საკუთარი ნებასურვილით, ეს ადამიანიც სინჯავს უკვე წამალს და საბოლოოდ კარგავს თავისუფლებას, რომ იმოქმედოს წამლისგან დამოუკიდებლად. აი სწორედ ამ ყველაფრის გამო მივიჩნევ, რომ თვითმკვლელობაზე უფრო დამღუპველი აღნიშნულია, რადგანაც მსხვერპლის სახით უკვე ერთის ნაცვლად ძალიან ბევრი ადამიანი გვყავს და თქვენც ხედავთ რაოდენ დიდი უბედურების მომტანიცაა ერთი შეხედვით „უწყინარი“ ნივთიერება. თუმცა მე არ ვგულისხმობ, რომ თვითმკვლელობა კარგია და ნარკოდამოკიდებულება ცუდი, უბრალოდ შედარება მოვიყვანე, თუ რა მძიმე შედეგი მოსდევს ამ უკანასკნელის განხორციელებას.

გარდა იმ საფრთხეებისა, რომლის შესახებაც მე ზემოთ ვისაუბრე, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას თან ახლავს ისეთი უარყოფითი შედეგებიც, რომლის დროსაც ადამიანები დაავადდებიან აივ ინფექციებით და ამის გადადების ერთ-ერთი გზა, რა თქმა უნდა, ე.წ. „საზიარო შპრიცის“ გამოყენებაა. ეს ყველაფერი შეიძლება პირმა შეგნებულადაც კი განახორციელოს, ანუ იგი გაცნობიერებული იყოს იმაში, რომ დაავადებულია შიდსით და ითვალისწინებდეს გარემოებას, რომლის დროსაც ის პირი, რომელიც ამავე შპრიცით განახორციელებს ინექციას დაავადდეს, რომელიმე ინფექციური დაავადებით ან საფრთხე შეექმნას აღნიშნულით დაავადებისა. ამგვარი დაავადებებია მაგ.: B ჰეპატიტი, C ჰეპატიტი და სხვა ისეთი დაავადებები, რომლებიც შემდგომში ქრონიკულ სახეს იღებენ და სრულდებიან ლეტალური შედეგებით.

ნარკოტიკები ქიმიურად აქტიური ნივთიერებებია, ამიტომაც მათ სხვადასხვა სახის შემადგენლობა და მოქმედების უნარი გააჩნიათ. ძირითადად გამოყოფენ 3 ჯგუფის ნარკოტიკებს:

1) **დეპრესანტები** - რომლებიც თავის ტვინზე დამთრგუნველად მოქმედებენ (ოპიუმი, ჰეროინი, მორფინი და ა.შ.);

2) **სტიმულატორები** - რომლებიც აღაგზნებენ ნერვულ სისტემას, ესენია: კოკაინი, კრეკი და ა.შ.

3) **ჰალუცინოგენები** - რომლებიც იწვევენ უნებლიე მოჩვენებებს, მათ შორის კი უპირველესად აღსანიშნავია ჰაშიში, მარიხუანა (რომელზე საუბარიც ქვემოთ მექნება).

ეს უკანასკნელი, ანუ მარიხუანა შედარებით უფრო მსუბუქ, პირველადი მოხმარების ნარკოტიკს წარმოადგენს (ე.წ. „კარიბჭის ნარკოტიკი“). მოცემულ ნარკოტიკულ ნივთიერებას ჩემი მხრიდან გამოხმაურება იმიტომ მოყვა, რომ ბოლო პერიოდში, მიმდინარეობს დავა იმის შესახებ, უნდა იქნას თუ არა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ დეკრიმინალიზაცია გამოცხადებული მარიხუანას მოხმარებისათვის და ამასთან დაკავშირებით ხალხის აზრი არაერთგვაროვანია. ნაწილი მიიჩნევს, რომ კანონმდებლობა მარიხუანის მომხმარებლებთან მიმართებაში საკმაოდ მკაცრია, ამიტომაც მოითხოვენ ცვლილების შეტანას სისხლის სამართლის კოდექსში, რასთან დაკავშირებითაც მსურს მოგახსენოთ ჩემი მოსაზრება: ვფიქრობ, რომ იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფომ დააკმაყოფილა აღნიშნული და გამოაცხადა დეკრიმინალიზაცია, ამით მივიღებთ ძალიან ცუდ შედეგს, კერძოდ დაიწყება მარიხუანას წარმოება, ან მას უცხო ქვეყნებიდან კონტრაბანდულად შემოიტანენ. აგრეთვე ამ ყველაფერს მოჰყვება დანაშაულის სტატისტიკის გაზრდა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, იგი სრულებით ხელმისაწვდომი გახდება არასრულწლოვანთათვის. ამ საკითხთან მიმართებაში სასურველია, რომ ჩვენმა პარლამენტმა მხედველობაში მიიღოს იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც მარიხუანას მოხმარებაზე დეკრიმინალიზაცია გამოაცხადეს, მაგ: რუსეთი, რომელმაც 1989 წელს მსგავსი ინიცირება დაამტკიცა და შედეგად რუსეთში 100%-ით გაიზარდა ნარკომომხმარებელთა რიცხვი, როგორც ხედავთ იქ საგანგაშო იყო სიტუაცია და ამის უდიდესი საფრთხე საქართველოშიც არსებობს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საქართველოს მოსახლეობის 40 % თამბაქოს მომხმარებელია, შესაბამისად მათი უმრავლესობა არც მარიხუანაზე იტყვის უარს და ამის საფუძველზე 3.5 მილიონიანი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი „დაბოლილი“ გვეყოლება.

მარიხუანასთან მიმართებაში აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სასჯელის სახედ აკრძალა თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მარიხუანის პირადი მოხმარებისათვის, მაგრამ ეს არ ცვლის მთავარ პრობლემას, რადგანაც ამით სახელმწიფო იხსნის პასუხისმგებლობას საკუთარი მოქალაქეების წინაშე და სიცოცხლეზე ზრუნვას მათ აკისრებს, იმ მოქალაქეს, რომელიც თავად მოიხმარს ამ საშუალებას, თუმცა რამდენადაა სახელმწიფოს აღნიშნული მოქმედება მართებული, ეს ცალკე საკითხია, რადგანაც მარიხუანა მწვავე შედეგების გამომწვევი ნივთიერებაა და განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს იმ ადამიანებზე, რომლებიც 30 წლამდე არიან, ეს კი განპირობებულია იმით, რომ მათი ტვინი საბოლოოდ ფორმირებული არ არის. თუ გავითვალისწინებთ

ადამიანთა ასაკს, რომლებიც დეკრიმინალიზაციას ითხოვენ, რომელთა უმრავლესობა სწორედაც რომ 30 წლამდეა, ცალსახად დავინახავთ იმ სავალალო შედეგებს, რომლებიც მის განხორციელებას მოჰყვება.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მითითებული ნარკოტიკული ნივთიერებები მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულია, არსებობენ მთელი რიგი ქვეყნები, სადაც ამგვარი ნარკოტიკების მოპოვება დიდ პრობლემას წარმოადგენს (გარდა მარიხუანისა) და ამის მთავარ მიზეზად გვევლინება ამავე სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მოცემული ნარკოტიკული ნივთიერებების შეზღუდული, მცირე რაოდენობის ქონა და ამის გამო არსებული მაღალი ფასები, რის საფუძველზეც ნარკომომხმარებლებს შესაბამისი სახსრები არ გააჩნიათ, რომ შეიძინონ ან დაამზადონ ამ სახის ნარკოტიკული ნივთიერებანი, ამიტომაც ისინი ცდილობენ სხვადასხვა გზების გამონახვას, რათა მიიღონ სასურველი წამალი.

ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს საქართველო, სადაც ბოლო წლებში საკმაოდ მომრავლდა კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკები, რომლებიც იმდენად მარტივად მზადდება და იმდენად იაფია, რომ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ, რადგანაც მასზე წვდომა უკვე არასრულწლოვნებსაც აქვთ და შესაბამისად მათ მიერ აღნიშნულის მოხმარება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მაგრამ სახეზეა უფრო დიდი პრობლემა, კერძოდ ამ კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკების მოხმარებიდან უსწრაფესად გამოწვეული გამანადგურებელი შედეგი, რომელიც მთლიანად ანგრევს ადამიანის ჯანმრთელობას და არ აქვს მნიშვნელობა მას არასრულწლოვანი მოიხმარს, თუ სრულწლოვანი! შედეგი ყოველთვის ერთნაირია!

საქართველოს თემას შევეხე, ამიტომაც აუცილებლად მივიჩნევ წარმოვადგინო ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კვლევის შედეგად დადგინდა და, რა თქმა უნდა, შეეხება ბოლო წლების მდგომარეობას საქართველოში მსჯავრდებულ იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც სასჯელს იხდიან ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების გამო:



როგორც ხედავთ, შედეგი სამწუხარო და სავალალოა, პროცენტული მაჩვენებლები მართლაც რომ კატასტროფულია, თუმცა მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია ვადიანი თავისუფლების აღკვეთა 70 გრამამდე ხმელი, ხოლო 100 გრამამდე ნედლი მარეხუანას (პირადი მოხმარების მიზნით) შეძენა-შენახვისთვის, სტატისტიკა საგღძნობლად შეიცვალა და შემცირდა. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ მოცემულ მსჯავრდებულთა უმრავლესობა არის 35-წლამდე მამაკაცი, რომლებსაც ჰყავთ ოჯახები და შვილები, აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ ამ ნარკოდამოკიდებული ადამიანების მიმართ უნდა იქნას მიღებული სხვა ზომები, კერძოდ: გაიხსნას სარეაბილიტაციო კლინიკები, სადაც ხალხის გამოჯანმრთელება შესაძლებელი იქნება და არა პირიქით მათი დაავადმყოფება პენიტენციურ დეპარტამენტებში, ვინაიდან ნარკომანია დანაშაული არ არის, ეს

დაავადებაა, ამასთანავე მაქსიმალური ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ მკურნალობის დასრულების შემდეგ ეს პირები კვლავ არ დაუბრუნდნენ ნარკოტიკებს, ამიტომაც აუცილებელია ამ ადამიანების დასაქმება, საზოგადოებასთან ინტეგრაცია და, რაც ყველაზე მთავარია, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ მის გამსაღებლებს ანუ ე.წ. ''ბარიგებს''.

ზემოთ ჩემს მიერ აღნიშნულ იქნა გამსაღებლები, ანუ ის პირები, რომლებიც ჩართულნი არიან ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში, ეს საკითხი კი თანამედროვე მსოფლიოსთვის მეტად აქტუალურია. არსებული გათვლების თანახმად ნარკოტიკების უკანონო მოხმარებაზე უფრო მეტი თანხები იხარჯება, ვიდრე ლეგიტიმურ მომსახურებაზე ან საქონელზე, შესაბამისად ვთვლი, რომ ყველაზე დიდი პრობლემა ნარკოტიკებთან მიმართებაში სწორედაც რომ მითითებული საკითხია. ამის თქმის საფუძველს კი მაძლევს მსოფლიოში არსებული მდგომარეობა ტერორიზმის გაძლიერებასთან დაკავშირებით, რომლის ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი სწორედაც რომ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა და ამ გზით მიღებული შემოსავლების ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსებისთვის გამოყენებაა.

ამასთანავე მატულობს ორგანიზებული დანაშაული, კერძოდ დაჯგუფებათა არალეგალური საქმიანობის ზრდა, რაც უმთავრესად დაკავშირებულია ნარკოინდუსტრიასთან. ეს ყველაფერი კი გამოწვეულია იმით, რომ ადამიანებს მუდმივი მოთხოვნილება გააჩნიათ ნარკოტიკების მიმართ, შესაბამისად ამას უდიდესი მოგება მოაქვს იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ამ დანაშაულებრივი ბიზნესით არიან დაკავებულნი.

ბუნებრივია, რომ საერთაშორისო სამართლის სუბიექტები (სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები) აქტიურად არიან ჩართულნი ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში, რასაც ისინი ახორციელებენ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, ეს ყველაფერი კი მრავალრიცხოვანი პროგრამების საფუძველზე ხდება, თუმცა რამდენადაა ამის აღმოფხვრა შესაძლებელი, ეს ცალკე საკითხია. ამის დასტურია გაერო-ს კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (რომლის წევრი და ხელმომწერი ჩვენი სახელმწიფოცაა), სადაც მხარეები შეშფოთებულნი არიან ნარკოდანაშაულის ზრდის ტენდენციით, რაც საბოლოო ჯამში საფრთხეს უქმნის ადამიანთა კეთილდღეობას. კონვენციაში ხაზგასმულია, რომ მხარეები თანამშრომლობენ ნარკოტიკებისა და სხვა ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამის დამრღვევ ნებისმიერ სუბიექტს მკაცრ სანქციას უწესებენ.

რაც შეეხება ეროვნულ დონეზე ბრძოლას, არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს და შემუშავებულია ის ნორმატიული აქტები, რომლებიც მიმართულნი არიან ნარკოტიკული დანაშაულის აღმოფხვრაზე ჩვენს ქვეყანაში და სრულებით იზიარებენ იმ მოთხოვნებს, რომლებიც დაწესებულია საერთაშორისო კონვენციებითა თუ ხელშეკრულებებით. მაგ: ,,საქართველოს კანონი ნარკოტიკული დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ'', ითვალისწინებს დამატებით ზომებს, აკრძალვებს ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის განსაზღვრული უფლებების 3 წლის ვადით ჩამორთმევას, რომელთა შორისაც აღსანიშნავია და მსჯავრდებულთათვის ყველა მტკივნეული მართვის უფლების გარკვეული ვადით აკრძალვაა, ასევე საჯარო ხელისუფლების ორგანოებში დასაქმების უფლება და სხვა მრავალი ისეთი საკითხი, რომელიც საბოლოო ჯამში ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებს როგორც მსჯავრდებულს, ისე მის ოჯახს. თუმცა სახელმწიფო მაინც იჩენს ლმობიერებას ამ ადამიანების მიმართ და უტოვებს შანსს იმ თვალსაზრისით, რომ სასჯელის მოხდიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სპეციალურმა კომისიამ პირს შეიძლება აღუდგინოს ამ კანონით ჩამორთმეული უფლებები. საკითხის გადაწყვეტა დიდწილადაა დამოკიდებული მსჯავრდებულის შემდგომ ქცევაზე, რომელიც მიმართული იქნება მისი ქცევით კომისიისთვის იმის დამტკიცებაზე, რომ იგი გამოსწორდა.

მიუხედავად იმისა, რომ სხვა სახელმწიფოთა ფონზე საქართველომ არც თუ ისე დიდი ხანია რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა მაინც, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მაშინვე დაიწყო ბრძოლა და თუ გავითვალისწინებთ იმ მდგომარეობას, რაც 90-იანი წლებში საქართველოში იყო, განსაკუთრებით კი აფხაზეთის ომის შემდეგ, ასე რომ ვთქვა ახალგაზრდობა მთლიანად იყო ჩათრეული ნარკოტიკებით სავსე მორევში, ამიტომ გასაკვირი სულაც არაა ის გარემოება, რომ 1996 წელს, საქართველოს ექს-პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც 26 ივნისი გამოცხადდა „ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღედ“, აღნიშნულით კი ქვეყანამ გამოხატა აშკარად შეურიგებელი ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ და კიდევ ერთხელ დაადასტურა ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მხარდაჭერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან.

პროგრამები აღვნიშნე ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით და აქვე მინდა მივუთითო ის სპეციალური კამპანია, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით იქნა დაწყებული. ანუ აქ საუბარია კამპანიაზე, რომელიც „არა ბიონარკოტიკის“ სახელით არის ცნობილი და უმთავრესად მიმართულია ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებაზე, თუ რამდენად სავალალო შედეგი მოსდევს ამ კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკის მიღებას. ამ ყველაფერმა კი საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო ნარკოტიკების მოხმარების კლებასა და ნარკომოხმარების პრევენციას ქვეყანაში და ამის დასტურად მინდა წარმოვადგინო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად მიღებული სტატისტიკა, სადაც ჯეროვნად არის ასახული სხვადასხვა დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები და მათ შორის, რა თქმა უნდა, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ნარკოდანაშაულისათვის მსჯავრებულთა ოდენობაზე:



როგორც ხედავთ საქართველოში გავრცელებულ დანაშაულთა შორის მესამე ადგილზე ამ წელს ნარკოდანაშაული იყო, თუმცა მე მინდოდა ამით შესაბამისობა მომეყვანა წინამდებარე სტატისტიკასთან, სადაც მდგომარეობა საგანგაშო იყო და მხოლოდ 2014 წელს ამ დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთა ოდენობა 4003 პირამდე აღწევდა, მოცემულ შემთხვევაში კი ეს საგრძნობლად შემცირებულია და ფაქტობრივად განახევრებული, რაც, უპირველეს ყოვლისა, დამსახურებაა იმ ღონისძიებებისა და საინფორმაციო კამპანიებისა, რომელიც აქტიურად მიმდინარეობს და მიმართულია ნარკოდანაშაულის აღმოფხვრისაკენ.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ნარკომანია კაცობრიობის ყველაზე საშიში მტერია და მისგან გამოწვეული უბედურებების თავიდან აცილების ერთადერთი გზა არსებობს - **არ გავსინჯოთ ნარკოტიკი!**

ლიტერატურა:

1. გელა ლეჟავა, ფენომენის ანალიზი (ნარკომანია), გამომცემლობა „ფავორიტი“, 2003.
2. ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის სტატისტიკა - https://idfi.ge/ge/statistical-information-on-drug-crimes-in-georgia
3. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა და ტერორიზმი, გამომცემლობა „კოლორი“, 2005.
4. ,,საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <http://www.geostat.ge/?action=page&p_id=190&lang=geo> [10.05.2017].

საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა (კონსტიტუციური შეთანხმება)

ანი კოჩუაშვილი, მარიამ აკოფაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **დავით კვერნაძე,** ასისტენტი

საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება (კონკორდატი) წარმოადგენს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ ხელშეკრულებას სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, რომელიც დადებულია 2002 წელს. თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი დღემდე რჩება ერთგვარად „ბურუსით მოცულ დოკუმენტად", რომლის ავკარგიანობასა თუ შინაარსზე მსჯელობა აქტიურად არ დაწყებულა. ამის მიზეზი, ერთი მხრივ მისი მოწესრიგების სფეროს დელიკატურობაა, ხოლო მეორე მხრივ, თავად ამ საკითხების შინაარსია, რომელთა დამუშავება და ანალიზიც სპეციფიკურ ინტერდისციპლინურ ცოდნას მოითხოვს. სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციურ შეთანხმებას ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

<u>მოქმედი კონსტიტუციის მე-9 მუხლის თანახმად:</u>

1. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას. ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

2. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

რაც შეეხება დაგეგმილ ცვლილებებს, კონსტიტუციის ახალი კანონპროექტის თანახმად, აღნიშნული ნორმა ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

<u>მუხლი 8. სახელმწიფოს და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა</u>

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან ერთად, სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით, რომელიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

როგორც ვხედავთ, სამომავლო ცვლილებებით გამოირიცხა კონკრეტიკა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სახით და კონსტიტუცია სრულად უნდა იყოს შესაბამისობაში საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან და ნორმებთან.

პოლიტიკისა და რელიგიის ურთიერთობებით გამოწვეული პროცესები იყო და რჩება ადამიანთა მუდმივი ინტერესის სფეროდ, ვინაიდან მათი დამოკიდებულება განაპირობებდა და განაპირობებს მსოფლიო ისტორიის განვითარებას. არ დარჩენილა არც ერთი დიდი ისტორიული ფაქტი თუ მოვლენა, რომელსაც პოლიტიკისა და რელიგიის ურთიერთობების ზღვარზე არ გაევლოს და თავისი ასახვა არ ეპოვოს პოლიტიკისა და რელიგიის ინსტიტუტების, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობებში. პოლიტიკისა და რელიგიის, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგანპირობებულობამ ძლიერი გამოხატულება ჰპოვა საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობებშიც, ვინაიდან საქართველოს ისტორიაში რელიგიამ, გამოხატულმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიით, უდიდესი როლი ითამაშა ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება-განვითარებაში და ეს როლი არა მარტო ისტორიული მნიშვნელობისაა, არამედ მას მუდმივი ფუნქცია გააჩნია ყველა დროსთან მიმართებაში. დღეს, თანამედროვე ეტაპზე, ახლადფორმირებადი ქართული სახელმწიფოს მშენებლობა წარმოუდგენელია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობების გაუთვალისწინებლად, მისი ისტორიული და თანამედროვე მნიშვნელობის შესწავლის გარეშე.

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში, უპირატესობებისა და შეღავათების სანაცვლოდ სახელმწიფომ ეკლესიის ავტონომიურობა არ უნდა

შეზღუდოს. ისტორიულად, ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ეკლესიას საკონსტიტუციო პრივილეგიებსა და განსაკუთრებულ ოფიციალურ სტატუსს ანიჭებდა ყოველთვის მოითხოვდა შესაბამისი ეკლესიის მხრიდან სამსახურსა და მხარდაჭერას. ეს ყოველივე კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა და დღესდღეობით ეკლესიის მხრიდან მხარდაჭერა, ძირითადად, სოციალურ სფეროში გამოიხატება, სახელმწიფოს მთლიანობის, ერთიანობისა და საზოგადოებრივი მშვიდობის პროპაგანდითა და წახალისებით.

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობების შესწავლისას უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავალი. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდგომ, ახალი სახელმწიფოს წარმოშობის პროცესში დიდი როლი ითამაშა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ. როგორც ცნობილია, სრული სამოცდაათი წელი ცხოვრობდა საქართველო ათეისტური რეჟიმის ქვეშ. ქართველი ხალხი ათეისტურ რეჟიმს ვერ ურიგდებოდა და თავგამოდებით იბრძოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაკარგული ავტოკეფალიისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის. სოციალისტური იდეოლოგია უარყოფდა ღმერთის არსებობას. ლენინი რელიგიის შესახებ წერდა, რომ ეს არის "ოპიუმი ხალხისათვის". საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში 1600-მდე სასულიერო პირი იყო, ხოლო 1923 წლის აპრილში მათი რაოდენობა 500-მდე შემცირდა. ეკლესიის მსახურებს კომუნისტები შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავდნენ, მათ "სარწმუნოებრივ შარლატანებს", "მუქთახორებს", "პარაზიტებს" უწოდებდნენ. კომუნისტები ხურავდნენ და ანგრევდნენ მართლმადიდებლურ, სომხურ, კათოლიკურ ეკლესია-მონასტრებს, მუსლიმანურ მეჩეთებს, ებრაელთა სალოცავებს (სინაგოგებს). საქართველოში დაიხურა 1212 ეკლესია, შემდეგ წლებში მათი რიცხვი გაიზარდა. დანგრევას გადარჩენილი ეკლესიის შენობები გადააკეთეს თეატრებად, კლუბებად, სამკითხველოებად, საწყობებად...

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გათვალისწინებული უფლებების (სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება) დაცულობა გულისხმობს, რომ სახელმწიფო უშვებს ამ უფლებათა განხორციელებას და არ ერევა თვითნებურად. ჩარევა რომ თვითნებურად არ იქნეს შეფასებული, სულ მცირე, შემდეგი პირობები უნდა დაკმაყოფილდეს:

1. ეკლესია დამოუკიდებელი უნდა იყოს სახელმწიფოსაგან. სეკულარიზმის გარეშე სახელმწიფო ვერ შეძლებს იყოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი ქვეყანაში განსხვავებულ რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებაში. კლასიკური გაგებით „რელიგიის თავისუფლება“ იმთავითვე გულისხმობს ორ კომპონენტს ერთდროულად: არც საჯარო ხელისუფლება ერევა ეკლესიის საქმეებში და არც ეკლესია საჯარო ხელისუფლებაში;

2. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რელიგიურ ორგანიზაციათა რეალური ავტონომიურობა, მათ შორის თავიანთი ლიდერის არჩევის საკითხში;

3. ქვეყანაში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციებს სახელმწიფომ უნდა მიანიჭოს ოფიციალური აღიარება და ამ სფეროში ყველა მათგანის მიმართ დაიცვას ნეიტრალიტეტი და მიუკერძოებლობა. აღსანიშნავია, რომ ეს პრინციპი ხორციელდება სრულიად ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში, ტრადიციული და უმრავლესობის რელიგიები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ პრიორიტეტულ მდგომარეობას. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციას, გახდნენ სამოქალაქო უფლებების და ვალდებულებების სუბიექტი და სრულყოფილად განახორციელონ თავიანთი რელიგიური მიზნებიდან გამომდინარე საქმიანობა.

4. სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას დისკრიმინაცია რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელთა მიმართ, მათი სამოქალაქო სამართლებრივი თუ სხვა ხასიათის უფლებრივი საკითხების გადაწყვეტისას;

5. მოზარდი თაობისთვის ღვთისმეტყველების სწავლების დროს სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, რომ არ დაუშვას ამა თუ იმ დოქტრინების თავს მოხვევა, რომელიც შეიძლება შეფასებულ იქნეს, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლით დაცული მშობლების უფლებების დარღვევა, თავიანთი შვილებისათვის უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება;

6. სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას რელიგიური ჯგუფები მათდამი რელიგიური სიძულვილის გამოვლენისა და ფიზიკური თავდასხმებისაგან.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ყოველთვის მნიშვნელოვანი როლი ეკავა ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისა და განვითარების პროცესში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ეკლესიას რომ თავისი ძალისხმევა სწორად წარემართა, დღეს ქვეყნის მოსახლეობას თვისობრივად სხვა სახელმწიფოში მოუწევდა ცხოვრება. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის გავლენა და ავტორიტეტი, რომლითაც ეკლესია სარგებლობს როგორც საზოგადოებაში, ისე ხელისუფლებაში.

ეკლესიისთვის არ არის და არც შეიძლება იყოს სულერთი, რა პირობებში მოუწევს მოღვაწეობა, როგორ იქნება მოწყობილი ის სახელმწიფო, სადაც უხდება არსებობა, როგორი ხელისუფლება მართავს ქვეყანას და როგორ ცხოვრობს ამ ქვეყნის თითოეული მოქალაქე - არა მხოლოდ კონკრეტული მრევლი, არამედ ნებისმიერი ადამიანი, რადგან ყოველი მათგანი თავის თავში ატარებს ღვთის ხატებასა და მსგავსებას. საქართველოს ეკლესიის ისტორია ქვეყნის ისტორიისგან განუყოფელია. შესაბამისად, ეკლესია გრძნობს არა მხოლოდ საკუთარ დამსახურებას ქვეყნის ისტორიაში, რაც საქართველოს კონსტიტუციითაც არის აღიარებული, არამედ პასუხისმგებლობას ქვეყნის აწმყოსა და მომავლის წინაშე. ეკლესიას აქვს სურვილი, აქტიურად ჩაერთოს ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, რის შესახებაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორესაც არაერთხელ განუცხადებია: "ჩვენ გამოვიარეთ კომუნისტური რეჟიმის ისეთი 70 წელი, როცა ხელოვნურად იყო შეზღუდული საქართველოს ეკლესია საბჭოთა კავშირში და ახლა ჩვენ გვინდა, რომ ეკლესია მაქსიმალურად ამოუდგეს მხარში ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ერს".

ასევე თუ გავიხსენებთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის სიტყვებს: ,,ეკლესიამ უნდა იზრუნოს, რათა ქართველმა ერმა კაცობრიობის ფერხულში ჰპოვოს შესაფერი და დამსახურებული ადგილი"- კიდევ უფრო ნათელი ხდება ზემოაღნიშნული სიტყვების მნიშვნელობა.

ბიზანტიის იმპერიაში სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობის მოდელი კონსტანტინე დიდისა და იუსტინიანეს ეპოქიდან თითქმის იგივე დარჩა. ეს მოდელი თითქმის უცვლელად გადაიღეს მართლმადიდებელმა ქვეყნებმა. ამ ქვეყნებში ბიზანტიური მოდელი თურქეთის იმპერიის, ან მოდერნული ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ გაუქმდა. ასეთი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ მართლმადიდებელ ქვეყნებში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სახე უმეტესწილად დასავლურმა მოდელმა განსაზღვრა. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა ქრისტიანობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ასპექტია. ეს ისტორიულად ცვალებადი და მრავალმხრივი ურთიერთობა ხშირად კონფლიქტის სახეს იღებდა. ამ კონფლიქტებს ძალიან ღრმა საფუძველი აქვს, რომლის არსებობა გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან მისი წარმოშობის შესაძლებლობა თავად ადამიანურ ბუნებას უკავშირდება.

ადამიანური ეგზისტენციის ყოველ გამოვლინებას მუდმივად თან ახლავს შესაძლო კონფლიქტი, რომელიც თავისუფლებისა და ავტორიტეტის, ინდივიდისა და ჯგუფის, სინდისის ხმისა და კანონის ფორმალური ძალის დაპირისპირებით წარმოგვიდგება. მართლაც, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონფლიქტის ფაქტოლოგიური გამოხატულება ხშირად ბიპოლარული ოპოზიციების გამოვლინებად აღიქმებოდა.

მრავალეთნიკურ საქართველოში, ცხადია, რელიგიებიც ეთნიკურ წრეებს შეესაბამება. საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილი ეთნიკურად ქართველი არ არის. მათ უმცირესობებს უწოდებენ. ასევე, რელიგიები, რომელიც განსხვავებულია მართლმადიდებლობისგან, რელიგიურ უმცირესობებად, განსხვავებული კონფესიების წარმომადგენლებად მოიაზრებიან. თუ არ ჩავთვლით, ე.წ. სექტებს, საქართველოში მიმდინარე რელიგიებია: მართლმადიდებლობა, პროტესტანტიზმი იგივე ბაპტიზმი, კათოლიციზმი, ისლამი, იუდაიზმი და სხვ.

არსებობს ქვეყნები, სადაც ეკლესია და სახელმწიფო ხელისუფლება პოლიტიკური პირის ხელშია. მაგალითად, ასეთი იყო ინგლისის მეფე და არსებობს პირიქითაც, როცა რელიგიური პირი მართავს ორივეს, მსგავსი შემთხვევები ძირითადად ისლამურ სახელმწიფოებშია. ირანის კონსტიტუცია 1979 წელს იქნა მიღებული რეფერენდუმის შედეგად, იგი გამსჭვალულია რელიგიური სულისკვეთებით, ვინაიდან მთლიანად ყურანის დოგმებსა და ისლამურ ტრადიციებს ემყარება.

რაც შეეხება, მაგალითად, ვატიკანის კონსტიტუციონალიზმის ისტორიას, ის სათავეს იღებს ამჟამად მოქმედი კონსტიტუციით,რომელიც 1929 წელს იქნა მიღებული. ვატიკანი ჩამოყალიბდა 1929 წელს, ლატერანის ხელშეკრულების შედეგად და განსხვავებულია წმინდა ეპარქიისაგან, რომლის საფუძვლები ადრეული ქრისტიანობის ხანას უკავშირდება. ლატერანის ხელშეკრულება ვატიკანს არა როგორც პაპისოლქის გადმონაშთს, არამედ როგორც ინოვაციას განიხილავდა. პაპისოლქის უმეტესი ნაწილი იტალიის გაერთიანების დროს, 1860-70 წლებში, იტალიის რესპუბლიკას შეუერთდა.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესია გათავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადებისაგან, იგი არის სსიპ; იბადება კითხვა: ხომ არ უნდა გავათავისუფლოთ სხვა რელიგიური უმცირესობები გადასახადებისაგან?

შედარებისათვის განვიხილოთ თუ რა უფლებებით სარგებლობენ საქართველოში სხვა რელიგიური აღმსარებლობის მოქალაქეთა წინამძღოლნი. მაგალითად:

თბილისის ჯუმა (წმინდა) მეჩეთის მოლაა – მოლა ვაგიფი. აღსანიშნავია, რომ მოლა საქართველოს საპატრიარქოში საკოორდინაციო კომიტეტის წევრია, აგრეთვე, საზოგადოებრივი მაუწყებლის

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ეკლესიის სოლიდური შემოსავლის ნაწილს შეადგენს შემოწირულობები. შემოწირულობების რამდენიმე სახე არსებობს – მოლას აქვს უფლება, თხოვნით მიმართოს ნებისმიერ პირს, ვისაც ექნება შესაძლებლობა და სურვილი, დახმარება გაუწიოს მათ. სახელმწიფო არავითარ დახმარებას არ უწევს მეჩეთს. მოლა ამბობს, რომ საქართველოში ბევრი მთავრობა შეიცვალა, თუმცა დახმარება არცერთ მათგანს არ გაუწევია. მიუხედავად იმისა, რომ მეჩეთი 1985 წლიდან სახელმწიფოს საკუთრებაა, თავად უწევთ სასულიერო პირებს თანხების მოზიდვა. მოლა თვლის, რომ სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობა არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ვაჰაბიზმი გაძლიერდეს. საქართველოში რელიგიური ორგანიზაციების მოღვაწეობის საკითხი საკანონმდებლო დონეზე არ არის დარეგულირებული. პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, კერძო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით და რელიგიურ ორგანიზაციებს მისცა უფლება, დარეგისტრირდნენ, როგორც ე.წ. კავშირები, არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ ფორმით რეგისტრაციის გავლაზე რამდენიმე დიდმა რელიგიურმა გაერთიანებამ, მათ შორის, ებრაელებმა და კათოლიკეებმა უარი განაცხადეს. მათ ამ ქვეყანაში იურიდიული სტატუსიც არ აქვთ. ეს არის სათავე ყველა ამ პრობლემისა და არსებობს საშიშროება, რომ ის გამწვავდეს. აღნიშნულის მოსაგვარებლად აუცილებელია ერთობლივი თანამშრომლობა, როგორც კონსტიტუციური შეთანხმების პირველივე მუხლშია გაწერილი: ,,სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ“ და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ნაწილია რელიგიური უმცირესობებიც. შესაბამისად ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთშეთანხმებულობით საზოგადოების მართვა მეტად ადვილია, რადგან როგორც პატრიოტიზმი, ასევე რწმენა კრავს საზოგადოებას.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება.
3. ვასილ გონაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი 5, 2007.
4. ოთარ მიქელაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალი (მეორე კრებული), 2002.
5. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე (საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები). ავტორთა კოლექტივი; 2013.

სახელმწიფო მმართველობის ფორმები

მარინა მასურაშვილი, ლიკა გაგნიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **დავით კვერნაძე,** ასისტენტი

სახელმწიფოს ფორმა არის სახელმწიფო სამართლის კომპლექსური ინსტიტუტი, რომელიც თავის თავში სამ სხვადასხვა ქვეინსტიტუტს მოიცავს: 1) პოლიტიკური რეჟიმი; 2) სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა; 3) მმართველობის ფორმა. პოლიტიკური რეჟიმი განსაზღვრავს იმ ხერხებსა და მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო ორგანოები სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებენ, ტერიტორიული მოწყობა-სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულებსა და სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ურთიერთმიმართებას, მმართველობის ფორმა კი მიუთითებს იმაზე, თუ ვის მიერ ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება, როგორ ხდება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ფორმირება. მარტივი გაგებით, მმართველობის ფორმა არის სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტისა და მთავრობის ფორმირებისა და ურთიერთდამოკიდებულების წესი. ზოგადი კლასიფიკაციით განასხვავებენ მონარქიულ და რესპუბლიკურ სახელმწიფოებს.

სიტყვა მონარქია ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს (ბერძნ. μονάρχης: μόνος „მონოს” – ერთი, ერთადერთი; ἄρχων „არქონ” – მმართველი, ლიდერი). საზოგადოების განვითარების ისტორიაში ყველაზე

ძველი სახელმწიფო მმართველობის ფორმაა, როდესაც ძალაუფლება ერთი ადამიანის ხელშია თავმოყრილი. თანამედროვე მსოფლიოში ორმოცდაათამდე მონარქიული სახელმწიფოა. სხვადასხვა ქვეყანაში მონარქი სხვადასხვანაირად იწოდება: „მეფედ“/“დედოფლად“ გაერთიანებულ სამეფოში, „სულთნად“ - მალაიზიაში, „ემირად“ - ქუვეითში და ა.შ. მონარქია არის მმართველობის ისეთი ფორმა, სადაც სახელმწიფო მეთაურის ხელისუფლება არ არის ხალხის მიერ არჩეული ან სხვა რომელიმე ხელისუფლებისაგან წარმოებული. მონარქი ხელისუფლებას იღებს მემკვიდრეობით და არადემოკრატიულ რეჟიმებში, ძირითადად, თავად მიიჩნევა სახელმწიფო ხელისუფლების წყაროდ. ამის პირველი მაგალითია აბსოლუტიზმის სიმბოლო, „მეფე მზე“ ლუი XIV, რომელსაც მიაწერენ სიტყვებს - „სახელმწიფო - ეს მე ვარ“. ლუი XIV ქვეყანას მართავდა პრემიერ-მინისტრის გარეშე, კანცლერის, მინისტრებისა და სახელმწიფოს მდივნების რჩევების საფუძველზე. მონარქიული მმართველობა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- მონარქი სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების მატარებელია სიკვდილამდე;
- მონარქი თავის პოსტს პერსონალურად იკავებს, მას არ ჰყავს ვიცე-მონარქი;
- მონარქი თავისუფალია, როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან;
- მონარქი პასუხს აგებს მხოლოდ ღვთის წინაშე;
- სახელმწიფო ხელისუფლება მემკვიდრეობით გადადის მონარქის შვილზე.

განასხვავებენ აბსოლუტურ, დუალისტურ და საპარლამენტო მონარქიებს.

აბსოლუტური ანუ შეუზღუდავი მონარქია მმართველობის ისეთი ფორმაა, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტო ერთი პირის - მონარქის ხელშია. ასეთ სახელმწიფოებში არ არსებობს არც კონსტიტუცია და არც არჩევითი ორგანოები. მთავრობა კი მეფის ოჯახის წევრებისგან შედგება. აბსოლუტური მონარქიის ქვეყნებში მონარქი მიიჩნევა უმაღლეს სასულიერო პირად. იგი განაგებს ქვეყნის რელიგიურ ცხოვრებას (საუდის არაბეთი, ბაჰრეინი და სხვ.).

დუალისტურ მონარქიაში სუსტად, მაგრამ მაინც არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების დაყოფა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებად. რაც შეეხება სასამართლო სისტემას, მას ძირითადად მონარქი ახორციელებს (მაროკო, ნეპალის სამეფო, იორდანია).

კონსტიტუციური მონარქიები ძალიან ჰგავს საპარლამენტო რესპუბლიკებს. განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფოს მეთაური არის არა გარკვეული ვადით არჩეული პრეზიდენტი, არამედ მონარქი, რომელსაც ხელისუფლება მემკვიდრეობით აქვს მიღებული.

სიტყვა „რესპუბლიკა“ ლათინური წარმომავლობისაა და „ხალხის საქმეს“ ნიშნავს. რესპუბლიკა არის სახელმწიფოსა ისეთი ფორმა, სადაც ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხელისუფლების ორგანოები ხალხის მიერ აირჩევიან გარკვეული ვადით. ხალხი აძლევს მანდატას ხელისუფლებას მართოს საზოგადოება სახელმწიფოს საერთო კეთილდღეობის მიღწევისთვის. რესპუბლიკური მმართველობა წარმომადგენლობითი ხასიათისაა. ჯეიმს მედისონი რესპუბლიკას განსაზღვრავდა როგორც „ქვეყანას, რომელშიც კანონებს ქმნიან და აღასრულებენ ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები“. რესპუბლიკური მმართველობა ეფუძნება ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპს და განასხვავებს ხელისუფლების სამ დამოუკიდებელ შტოს: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას.

იმის მიხედვით, თუ როგორაა ძალაუფლება გადანაწილებული ამ შტოებს შორის, განასხვავებენ რესპუბლიკური მართვა-გამგეობის საპრეზიდენტო, საპარლამენტო და შერეულ ფორმებს.

საპრეზიდენტო რესპუბლიკა მმართველობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ფორმაა, რომლის სულისჩამდგმელი რომის რესპუბლიკაა. ტერმინი „პრეზიდენტი“ ლათინური წარმოშობისაა, რაც სიტყვასიტყვით „წინ მჯდომს“, ხოლო აზრობრივად „თავმჯდომარეს“, „მეთაურს“ ნიშნავს. თანამედროვე, დღეს მოქმედი კლასიკური საპრეზიდენტო რესპუბლიკა კი დაამკვიდრა ამერიკის შეერთებული შტატების 1787 წლის კონსტიტუციამ. მოდელის დასახელებიდან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ შემთხვევაში მთავარი ფიგურაა პრეზიდენტი. აღნიშნული მოდელის ერთგვარი უნიკალურობა იმაშია, რომ პრეზიდენტი აირჩევა პარლამენტისგან დამოუკიდებლად, თუმცა პრეზიდენტის ხელში თავმოყრილი ძალაუფლება ბალანსირდება პარლამენტის მიერ. პარლამენტისგან დამოუკიდებლად პრეზიდენტის არჩევა გულისხმობს ხალხის მიერ მისი არჩევის პირდაპირ წესს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, მისი არჩევა ხდება ირიბადაც, როგორც ამას ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია ითვალისწინებს. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის ინსტიტუტი თავის თავში აერთიანებს სახელმწიფოს მეთაურობასა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურობას. პრეზიდენტს მთავრობის სფეროში გადაწყვეტილების მიღების სრული თავისუფლება აქვს. ეს კარგად ჩანს ლინკოლნის სიტყვებში, რომელიც თავის მდივნებთან მონათმფლობელობის გაუქმების თაობაზე კონსულტაციის დროს განაცხადა: “შვიდი წინააღმდეგი, ერთი მომხრე - გადაწყვეტილება მიღებულია“.

ტერმინი „პარლამენტი“ ინგლისურიდან მომდინარეობს. პირველი პარლამენტი, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, მეფის აბსოლუტური ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით, XIII საუკუნეში ინგლისში შეიქმნა. საპარლამენტო სისტემა ძალაუფლების გამიჯვნის ისეთი მოდელია, რომელიც სხვა შტოებთან მიმართებით პარლამენტის უზენაესობის პრინციპს ეფუძნება. საპარლამენტო რესპუბლიკაში ერთმანეთისგან გამიჯნულია სახელმწიფოს მეთაური და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. პირველი მოვალეობა აკისრია პრეზიდენტს, მეორე კი პრემიერს. ანუ, ხელისუფლება გადანაწილებულია პრემიერს, პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის, თუმცა ამ უკანასკნელის როლი მინიმალურია. საპარლამენტო რესპუბლიკაში პარლამენტი ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, ქმნის და აკონტროლებს მთავრობას, ირჩევს პრეზიდენტს. მთავრობის პასუხისმგებლობა მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადებასა და დათხოვის უფლებამოსილებაში გამოიხატება. საპარლამენტო სისტემა იმ სისტემის ანტითეზაა, რომელიც ძალაუფლების გამიჯვნაზეა დაფუძნებული.

საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკამ დე გოლის მეთაურობით საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემების აღმოფხვრის, განსაკუთრებით კი საპარლამენტო კრიზისების დაძლევისა და სტაბილური მთავრობის შექმნის მიზნით შექმნა შერეული რესპუბლიკა, რომელიც აერთიანებს საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკის ნიშან-თვისებებს. ნახევრად-საპრეზიდენტო რესპუბლიკა ხასიათდება სამი ნიშნით: ა) პრეზიდენტი არჩეულია ხალხის მიერ; ბ) პრეზიდენტს აქვს მნიშვნელოვანი ძალაუფლება; გ) ასევე, არსებობს პრემიერ-მინისტრი და კაბინეტი, რომელიც პარლამენტის უმრავლესობის ნდობას საჭიროებს.

ისტორიულად საქართველოს მართვა-გამგეობის ფორმას მონარქია წარმოადგენდა. ამასთან, დიდგვაროვნები ყოველთვის ცდილობდნენ მეფის ხელისუფლების შეზღუდვას. სახელმწიფო მმართველობამ კონსტიტუციური მონარქიის სახე თამარის ეპოქაში მიიღო. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1918 წელს საქართველო დემოკრატიულ რესპუბლიკად იქნა გამოცხადებული, ხოლო ეროვნულ საბჭოს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია დაეკისრა. 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, საქართველოს „მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წესწყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“. 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია მმართველობის საპარლამენტო რესპუბლიკასთან მიახლოებულ მოდელს გვთავაზობდა და უამრავი პროგრესული ცნება და ნორმა შემოჰქონდა. აღნიშნული კონსტიტუციის არსებობის მეოთხე დღეს - 25 თებერვალს სამხედრო ოკუპაციის შედეგად დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. სახელმწიფო წყობილების ფორმად პროლეტარიატის დიქტატურა, ხოლოხელისუფლების იერარქიული დონეების ურთიერთმიმართების საფუძვლად დემოკრატიული ცენტრალიზმი განისაზღვრა. 1995-2004 წლებში არსებული კონსტიტუციის რედაქციით, სახელმწიფო ხელისუფლება კლასიკურ სამ განშტოებად იყო დაყოფილი - საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. პარლამენტი აირჩეოდა 4 წლის ვადით, პრეზიდენტი კი - 5 წლით. ამ პერიოდში არსებული სახელმწიფო ხელისუფლების მოდელი საპრეზიდენტო სისტემას შეიძლება მიეკუთვნოს, თუმცა პრეზიდენტის სასარგებლოდ დარღვეული წონასწორობით. 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად საქართველო გადავიდა შერეული (ნახევრად საპრეზიდენტო) მმართველობის მოდელზე. კონსტიტუციის 2004 წლის რედაქციით, პრეზიდენტი აღჭურვილი იყო უფლებამოსილებით, ნებისმიერ საკითხზე გამოეცა ბრძანებულება. 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად რა ტიპის მმართველობის მოდელი იქნა მიღებული, საკმაოდ რთული დასადგენია. იგი არ შეესაბამება რომელიმე კლასიკურ მმართველობის ფორმას. ძირითადად, საუბარია შერეული მმართველობის ფორმასა და საპარლამენტო რესპუბლიკაზე. საპრეზიდენტო კი იმთავითვე გამოირიცხება პრეზიდენტის აღმასრულებელი ხელისუფლებისგან ჩამოშორების გამო.

ჩვენი აზრით, საქართველოს მმართველობის ყველაზე შესაფერისი ფორმაა საპრეზიდენტო რესპუბლიკა, რადგან ხელისუფლებათა გაყოფა-ურთიერთშეკავების (გაწონასწორების) პრინციპი სწორედ საპრეზიდენტო მმართველობის სისტემაშია დაცული, მაშინ როდესაც საპარლამენტო სისტემა ამ პრინციპს, სახელდობრ, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ურთიერთმიმართების საკითხში, არ იცავს: პარლამენტარიზმის პირობებში ადმინისტრაცია (აღმასრულებელი ხელისუფლება) არაა ხელისუფლების დამოუკიდებელი შტო, იგი მხოლოდღა განშტოებაა იმავე საკანონმდებლო ხელისუფლების, რომელიც ამდენად გამოდის კიდეც ერთდროულად კანონმდებლისა და ქვეყნის მმართველის ორმაგ როლში. ასევე, პრეზიდენციალიზმს ის უპირატესობაც აქვს, რომ იგი პოლიტიკურად უფრო სტაბილურიცაა. და ეს იმიტომ, რომ ამ სისტემაში არც პრეზიდენტს აქვს უფლება, დაითხოვოს პარლამენტი, და არც პარლამენტს - პრეზიდენტის გადაყენების ე. წ. პოლიტიკური მიზანშეწონილობის

საფუძველზე (ერთადერთი შემთხვევა, როდესაც შეიძლება დადგეს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი, ესაა ბრალდება სისხლის სამართლის დანაშაულში). პრეზიდენციალური სისტემა ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს ხელისუფლების სამივე შტოს ქმედითუნარიანობას და, მათ შორის, იმ სიძლიერესაც, სტაბილურობასთან ერთად, აღმასრულებელი ხელისუფლების, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენისთანა ქვეყნისთვის, რომელიც თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით ძალიან შორსაა შვეიცარიისებური „საკურორტო" პოლიტიკური გარემოცვისგან. დღევანდელ საქართველოს განსაკუთრებით სჭირდება დინამიკური და ოპერატიული ადმინისტრაცია, რომელიც არ იქნება ყოველ წუთს დამოკიდებული პარლამენტზე და მის სიტუაციურ „განწყობებზე", რომელთა შემბოჭველ ზემოქმედებას და, აგრეთვე, იმ სპეციფიკურ „უხერხულობასაც", რომელიც ახლდა მის „რანგს", ვთქვათ, ამერიკის პრეზიდენტთან ურთიერთობაში, გრძნობდა თვით ისეთი ექსტრაორდინარული პიროვნებაც კი, როგორიც უინსტონ ჩერჩილი იყო. ჩვენც, ამიტომ, იმის მომხრენი ვართ, რომ ქვეყნის პოლიტიკას განაგებდეს სახელმწიფოს მეთაური და რომ, თავის მხრივ, სახელმწიფოს მეთაური უბრალო „სიმბოლო" კი არ იყოს, ერთგვარი „დეკორატიული" ერთეული, არამედ პირადად პასუხისმგებელი, რამეთუ უფლებამოსილი, ხელმძღვანელი სახელწიფოს პოლიტიკის.

და ბოლოს, ჩვენ გამოვიკითხეთ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაწილი. კითხვა შემდეგში მდგომარეობდა: "მმართველობის რომელ ფორმას ისურვებდით საქართველოსთვის, საპრეზიდენტო რესპუბლიკას თუ საპარლამენტოს?" გამოკითხულთა დაახლოებით 62%-მა მხარი საპრეზიდენტო მოდელს დაუჭირა, ხოლო 38%-მა კი - საპარლამენტოს.

ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები:

1) http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-------0-1l--10-ka-50---20-help---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-10&cl=CL2.5&d=HASH01a186e7252865535417059c.2&gt=1
2) https://ka.wikipedia.org/wiki/მონარქია
3) http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68,
საქართველოს კონსტიტუციის თავი პირველი, მუხლი 1.
4) საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტის ეკა კაველიძის ნაშრომი თემაზე: საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ფორმა 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ჭრილში (2012 წ).
5) დიმიტრი გეგენავა, ბექა ქანთარია, ლანა ცანავა, თენგიზ თევზაძე, ზურაბ მაჭარაძე, პაატა ჯავახიშვილი, თინათინ ერქვანია, თამარ პაპაშვილი, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეორე გამოცემა, 2014 წელი.

ევთანაზია - მკვლელობა თუ არჩევანის უფლება?

მარინა მასურაშვილი, ლიკა გაგნიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მარიკა შერაზადიშვილი,** პროფესორი

ევთანაზია ბერძნული სიტყვაა და ,,მშვიდ, ბედნიერ და უმტკივნეულო სიკვდილს ნიშნავს." იგი გულისხმობს ,,ადამიანის სიკვდილის განზრახ დაჩქარებას ან ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი მოურჩენელი ავადმყოფისთვის სიცოცხლის მოსპობას მისი ტანჯვისაგან გათავისუფლების მიზნით.'' ევთანაზიის რამდენიმე სახე არსებობს: ნებაყოფლობითი და იძულებითი, აქტიური და პასიური, პირდაპირი და არაპირდაპირი. რადგან თანამედროვე სამყარო უმაღლეს საფეხურზე ჰუმანურობას, წარუვალ ღირებულებებს აყენებს, შესაბამისად, დაუშვებელია ცივილურ ქვეყნებში იძულებითი ევთანაზია; რაც შეეხება აქტიურ და პასიურ ევთანაზიას, ეს დღემდე საკამათოა. ევთანაზია ჰიპოკრატეს დროიდან იღებს სათავეს. მიუხედავად იმისა, რომ ჰიპოკრატე მოიხსენიებს ევთანაზიას და

ეწინააღმდეგება მას თავის ჰიპოკრატეს ფიცში, ძველი ბერძნები და რომაელები თვლიდნენ, რომ არავითარი აზრი არ ჰქონდა იმ ადამიანისთვის სიცოცხლის შენარჩუნებას, ვისაც სიცოცხლისადმი ინტერესი აღარ გააჩნდა.

ევთანაზია პირველად ფრენსის ბეკონმა გამოიყენა. ბეკონი ევთანაზიაში გულისხმობდა მსუბუქ, უმტკივნეულო, ბედნიერ სიკვდილს. ბეკონისეული გააზრებით, ევთანაზია მომაკვდავ ადამიანზე ზრუნვაა. ჩვენს დროში ამ ტერმინს სხვა გააზრებითაც იყენებენ: 1) მათი სიკდილის დაჩქარება, ვინც მძიმე ტანჯვას განიცდის, 2) ,,ზედმეტი", „უსარგებლო" ხალხის სიცოცხლის შეწყვეტა, 3) რბილი დაშვება.

ერთმანეთისგან განასხვავებენ პასიურ და აქტიურ ევთანაზიას. პასიური ევთანაზია, ანუ „გადადებული შპრიცის მეთოდი" ნიშნავს, რომ ექიმი უარს ამბობს სამედიცინო მოქმედებაზე, რომელსაც სიცოცხლის გახანგრძლივება შეუძლია; ასევე პასიურია ევთანაზია, როდესაც პაციენტი უარს ამბობს სამედიცინო მოქმედებაზე, ოპერაციაზე, მკურნალობაზე. აქტიური ევთანაზია გულისხმობს ექიმის მიერ წინასწარ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც სიკვდილს აჩქარებს (პაციენტისთვის ლეტალური ინექციის შეყვანა).

როგორია სისხლის სამართლის დამოკიდებულება ევთანაზიასთან დაკავშირებით? ქართული კანონმდებლობა დასჯად ქმედებად აცხადებს აქტიურ ევთანაზიას, რაც გულისხმობს შემდეგს: უკურნებელი სენით დაავადებული პიროვნების მიმართ ისეთი პრეპარატების გამოყენებას, რომელიც მის სიკვდილს აჩქარებს. სწორედ ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის მიხედვით, ,,მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით ისჯება თავისუფლების აღკვეთით.'' აღნიშნული ქმედების ამგვარი კვალიფიკაციის მომხრეთა არგუმენტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მედიცინა არ ემორჩილება დადგენილ წესებს, ნებისმიერ დროს შესაძლებელია შეიცვალოს არსებული მდგომარეობა, ან თუნდაც ისეთი პრეპარატი იქნეს გამოგონებული, რომელიც კონკრეტულ დაავადებას დაამარცხებს. ამიტომ დომინირებს მოსაზრება, რომ მომაკვდავ პირს არ უნდა წავართვათ სიცოცხლის გადარჩენის თუნდაც მცირე შანსი. აქ უკანა პლანზე იწევს თავად მომაკვდავის ინტერესი, მისი მდგომარეობა, სურვილი….

თუმცა, არ ისჯება პასიური ევთანაზია. კანონში პაციენტის უფლებების შესახებ ვკითხულობთ: ქმედუნარიან და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღებისუნარიან პაციენტს უფლება აქვს, მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე უარი განაცხადოს სამედიცინო მომსახურებაზე, აგრეთვე შეწყვიტოს უკვე დაწყებული სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის ან მისი შეწყვეტის მოსალოდნელი შედეგების შესახებ პაციენტი ამომწურავად უნდა იყოს ინფორმირებული.

რა შეხედულებები აქვთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა ქვეყნებს? არსებობს ქვეყნების სამი ჯგუფი: პირველ ჯგუფს შეადგენენ ქვეყნები, რომლებიც ევთანაზიას ჩვეულებრივ მკვლელობად აცხადებენ (რუსეთი, საფრანგეთი...), მეორე ჯგუფის ქვეყნები ევთანაზიისთვის მსუბუქ სასჯელს აწესებენ (ავსტრია, შვეიცარია), მესამე ჯგუფის ქვეყნებმა მოახდინეს ევთანაზიის დეკრიმინალიზაცია (ჰოლანდია, პერუ...).

იმ ქვეყნებში, სადაც ევთანაზია ნებადართულია, არსებობს 5 ძირითადი წინაპირობა იმისთვის, რომ იგი გამოყენებული იქნეს. ეს წინაპირობებია:

1) თუკი პაციენტს აქვს დაავადების ბოლო სტადია და მისი გაუმჯობესების პერსპექტივა არ არსებობს;

2) არ არსებობს განკურნების არანაირი შანსი და წამალი;

3) თუკი პაციენტი იტანჯება და სიცოცხლე მას ტვირთად აწევს;

4) თუკი მას აქვს მტკიცე, გაცნობიერებული სურვილი, რომ გაუკეთდეს ევთანაზია და ითხოვს მას (სხვების ზეგავლენის თუ წამლების ზემოქმედების გარეშე);

5) თუკი ექიმის დახმარების გარეშე არ შეუძლია საკუთარი სიცოცხლის შეწყვეტა.

ნიდერლანდებში, სადაც 2002 წლიდან დაშვებულია ევთანაზია, არსებობს კიდევ ერთი, ასაკობრივი მოთხოვნა - პაციენტი უნდა იყოს სულ მცირე 12 წლის, რათა მას ჩაუტარდეს ევთანაზია, 12-16 წლამდე ბავშვებს მშობლების თანხმობა სჭირდებათ ამისთვის. თუკი არსებობს ევთანაზიისთვის ზემოთ ჩამოთვლილი პირობები, მაშინ საქმეს განიხილავენ რეგიონის საზედამხედველო კომისიაში და თუ არ შეესაბამება სიტუაცია ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, მაშინ საქმე გადაეცემა სახალხო პროკურორს.

ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია აღიარებს ადამიანის სიცოცხლის ხელშეუვალობას: ,, ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავისი სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი''. სიცოცხლის უზენაესობას აღიარებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლი: ,,ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუვალობის უფლება''.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჰოლანდიამ გადაწყვიტა დაეკანონებინა ევთანაზია, თუმცა არსებობს მკაცრად განსაზღვრული მოთხოვნები, რომ ინიციატივა აშკარად მოდიოდეს თავად დაზარალებულისგან, მოთხოვნა განხილულ უნდა იქნეს ექიმებისა და ექსპერტების მიერ, პაციენტმა კი თავად უნდა დაადასტუროს რამდენჯერმე, რომ ნამდვილად სურს სიკვდილი.

შვეიცარია წარმოადგენს ერთ-ერთ იმ მცირე სახელმწიფოთაგანს, სადაც ევთანაზია კანონიერ ქმედებას წარმოადგენს და არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. აღნიშნული მიზეზის გამო შვეიცარიაში მრავალი ქვეყნიდან ჩადიან ევთანაზიის განხორციელების მსურველები, რამაც საკმაოდ გაზარდა იმ კერძო კლინიკების ფინანსური შემოსავალი, რომლებიც ევთანაზიას ახორციელებენ.

ევთანაზიას მსოფლიოში მრავალი ადამიანი მიმართავს. ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულმა ცნობილმა ავსტრიელმა ფსიქოლოგმა და ფსიქიატრმა ზიგმუნდ ფროიდმა სთხოვა საკუთარ ექიმსა და მეგობარს, დახმარებოდა სიკვდილში, რის გამოც ექიმმა მას მორფინის სამჯერ მეტი დოზა შეუყვანა ორგანიზმში; ცნობილმა მეზღვაურმა რაულ სამპედრომ ავტოკატასტროფის შედეგად 30-წლიანი პარალიზებისა და სახელმწიფოსადმი ხანგრძლივი მოთხოვნის შემდეგ საბოლოოდ მიიღო ევთანაზიის ნებართვა და დალია სპეციალური საწამლავნარევი წყალი. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს ქვეყნები, სადაც ჯერ კიდევ მწვავედ დგას ევთანაზიის პრობლემა და მისი აკრძალვის გამო სახეზეა ძალიან ბევრი სუიციდი. მაგალითად, 2008 წელს საფრანგეთში მომხდარი პენსიონერი მასწავლებლის, ჩანტარ სებირის შემთხვევა ავიღოთ, როდესაც სიმსივნის ერთ-ერთი ფორმის გამო მან სახელმწიფოსგან მოითხოვა ევთანაზიის უფლების მიღება, რაზეც უარი განუცხადეს. საბოლოოდ კი, 2008 წლის 18 მაისს იგი გარდაცვლილი იპოვეს საკუთარ სახლში და გამოკვლევის შედეგად დაადგინეს, რომ ეს ყოფილა არა ბუნებრივი სიკვდილი, არამედ ისეთი წამლებით გამოწვეული სუიციდი, რომლებიც არცკი იყიდება საფრანგეთში. ამაზე ჩანტალის სიტყვებიც მეტყველებდა, როდესაც უარის მიღების შემდეგ მან განაცხადა: ,,ახლა ვიცი, რას უნდა მოვკიდო ხელი და თუ ამას არ მივიღებ საფრანგეთში, მივიღებ სადმე სხვაგან“.

სიცოცხლის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის, ვინაიდან არსებობს ამ უფლების რეალიზაციის მართლზომიერი შეზღუდვები. კერძოდ, ევროპის კონვენციის მე-2 მუხლი ითვალისწინებს, რომ ,,ნებისმიერი პირის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით. არავის არ შეიძლება განზრახ წაერთვას სიცოცხლე სხვა წესით, თუ არა სიკვდილით დასჯის განაჩენის აღსრულების გზით, რომელიც გამოტანილია სასამართლოს მიერ დანაშაულის ჩადენისთვის.“ ასევე, კონვენცია ადგენს ამ წესიდან გამონაკლისებს: სიცოცხლის წართმევა არ განიხილება ამ მუხლის დარღვევად, როცა ის ძალის აბსოლუტურად აუცილებელი გამოყენების შედეგია:

ა) მართლსაწინააღმდეგო ძალადობისგან ნებისმიერი პირის დასაცავად;

ბ) კანონიერი დაკავების განსახორციელებლად ან კანონიერ საფუძველზე თავისუფლებააღკვეთლი პირის გაქცევის თავიდან ასაცილებლად;

გ) კანონის შესაბამისად, ბუნტის ან ამბოხების ჩასახშობად.

ამრიგად, ევროპის კონვენცია ითვალისწინებს სიცოცხლის უფლების შეზღუდვის ოთხ შესაძლო ვარიანტს. ევთანაზია არ წარმოადგენს მეხუთე ვარიანტს, არ ექცევა კონვენციაში მითითებული ამ ოთხი კრიტერიუმიდან არცერთში.

სიცოცხლის უფლების ერთ-ერთი ელემენტია საკუთარი სიცოცხლის თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობა. საკუთარი სიცოცხლის განკარგვის დელეგირება არავისზე არ შეიძლება, ხოლო ევთანაზიის შემთხვევაში (როცა საუბარია მკვლელობაზე დაზარალებულის თხოვნით) სწორედ ადგილი აქვს საკუთარი სიცოცხლის განკარგვის უფლების გადაცემას.

რაც შეეხება ევთანაზიის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს, მათ არგუმენტებსა და კონტრარგუმენტებს, რატომ თვლიან ისინი ამ ქმედების კრიმინალიზების საჭიროებას ან პირიქით, მის დეკრიმინალიზაციას?

ევთანაზიის მოწინააღმდეგეებში ჭარბად შევხვდებით სასულიერო პირებს, რაც არაა გასაკვირი, რადგან ეკლესია მოკვდინების მსგავს ნებისმიერ ფაქტს ჩვეულებრივ მკვლელობად აფასებს. „არა კაც ჰკლა“ და „გიყვარდეს თავი შენი“ - ეს უმთავრესი ზნეობრივი პოსტულატებია. რელიგიურად სიცოცხლე უფლის ნაჩუქარია და მხოლოდ მას აქვს უფლება წაგართვას იგი. ევთანაზია მიუღებელია ზნეობრივი თვალსაზრისითაც. ექიმი მოვალეა, ბოლო წუთამდე ყველა საშუალების გამოყენებით იბრძოლოს პაციენტის გადარჩენისთვის.

მომხრეების აზრით, არ შეიძლება ადამიანი ვაიძულოთ იტანჯებოდეს გაუსაძლისი ტკივილებისგან. უფრო დიდი ცოდვაა ამ ყოველივეს ცქერა, ვიდრე ამ ტანჯვისგან მისი გათავისუფლება. ობიექტური რეალობაა, რომ ტანჯვა, რომელსაც ადამიანი განიცდის ავადმყოფობის სტადიაში (ტკივილის შემამსუბუქებელი საშუალებების ფონზეც კი), არ არის აღქმადი იმ ადამიანისთვის, ვისაც ეს პირადად არ

გამოუცდია. ადამიანს უნდა ჰქონდეს თვითგამორკვევის უფლება, ანუ მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გააკეთოს არჩევანი - გააგრძელოს სიცოცხლე თუ შეწყვიტოს.

უნდა აღინიშნოს ფილოსოფიური, რელიგიური, სამედიცინო და ეთიკური ასპექტები ევთანაზიასთან დაკავშირებით:

1) **რელიგიური ასპექტით** ევთანაზიის დაკანონებას ეწინააღმდეგება ეკლესია. ადამიანი ღვთის ქმნილებაა და ამქვეყნიური განსაცდელით მისი ნებითაა მოვლენილი, რომლითაც უფალი ჯოჯოხეთისაგან იხსნის მათ, ჩვენ კი მომაკვდავის მოკვლით მას ჯოჯოხეთისთვის ვიმეტებთ;

2) **ფილოსოფიური ასპექტით** - თუკი ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება, რატომ ვაკისრებთ მას სიცოცხლის ვალდებულებას და რატომ არ უნდა ჰქონდეს მას სიკვდილის უფლება?

3) **სამართლებრივი ასპექტით** - კანონი იცავს ადამიანს დაბადებიდან ბიოლოგიურ სიკვდილამდე. როცა ვკრძალავთ ევთანაზიას, ამით ჩვენ პაციენტს სიცოცხლეს ვუხანგრძლივებთ თუ სიკვდილს ვუჭიანურებთ?

4) **სამედიცინო ასპექტი** - არღვევს თუ არა ექიმი ჰიპოკრტეს ფიცს, როცა ის ასრულებს პაციენტის ნებას? უნდა ეცადოს თუ არა ექიმი პაციენტის გადარჩენას ბოლო წუთამდე?

ჩვენი აზრით, ევთანაზია ის თემაა, რომელიც განხილვის საგანი იყო, არის და იქნება. ერთი კონკრეტული პოზიციის ჩამოყალიბება საკმაოდ რთულია. პიროვნებისთვის ,,აუტანელი ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვის დაკისრება'' არ არის მართებული, მან თავად უნდა გადაწყვიტოს, უღირს თუ არა ,,გაჭიანურებული სიკვდილი'' და აღიარებს თუ არა სიკვდილის უფლებას, როგორც უფლებას სრულფასოვან სიცოცხლეზე. ჰოლანდიის მაგალითით აშკარაა, რომ იქ პიროვნების სურვილია წინა პლანზე წამოწეული და ადამიანს არ უზღუდავენ უფლებას, თავად გააკეთოს არჩევანი. როცა ვსვამთ კითხვას - სად გადის ზღვარი ჰუმანურობასა და მკვლელობას შორის, რთულია ჰუმანურობაზე ვისაუბროთ იქ, სადაც პიროვნებას ვიმეტებთ ერთგვარი წამებისთვის. როცა დაზარალებული განწირულია და მის გამოსაჯანმრთელებლად არანაირი გზა არ არსებობს, აქ ექიმის დასკვნის საფუძველზე (და, რა თქმა უნდა, საკუთარი სურვილის შესაბამისად) უნდა მიეცეს ევთანაზიის უფლება. ფრენსის ბეკონი წერდა: ,,ექიმის ვალია, არა მარტო აღადგინოს ჯანმრთელობა, არამედ შეუმსუბუქოს ავადმყოფს გამოწვეული დარდი და ტანჯვა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა გადარჩენის არავითარი იმედი არ არის შემორჩენილი და შესაძლებელია მხოლოდ სიკვდილის გაიოლება, რადგანაც ევთანაზია არანაკლები შვების გამოხატულებაა.'' ამიტომ არ უნდა წავართვათ დაზარალებულს სიკვდილის უფლება - უფლება სრულფასოვან სიცოცხლესა და ღირსეულ სიკვდილზე. ევთანაზიის მსურველ პაციენტთან უნდა მუშაობდნენ ექიმი, ფსიქოლოგი და იურისტი. ექიმი იმიტომ, რომ დადასტურდეს - მისი მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და გადარჩენა ვერ მოხერხდება, ასევე, მისი წუთები დათვლილია. ფსიქოლოგი იმიტომ, რომ გავერკვეთ, რამდენად აცნობიერებს იგი ამ ნაბიჯს, დარწმუნებულია თუ არა, რომ ნამდვილად სურს ევთანაზია. იურისტი იმიტომ, რომ თავიდან ავიცილოთ იძულება, ან შემდგომში ორგანოებით ვაჭრობა. რაც შეეხება უგონო მდგომარეობაში მყოფ პაციენტს, მის მაგივრად გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ოჯახის წევრმა. ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, რომ ადამიანის თავის ტვინი აპარატის გამორთვის შემთხვევაში დამოუკიდებლად სიცოცხლეს ვერ შეძლებს.

ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვა 17-დან 65 წლამდე ასაკის მოქალაქეებს შორის. გამოკითხული იქნა 75 ადამიანი. კითხვა შემდეგში მდგომარეობდა - ემხრობით თუ არა ევთანაზიას? გამოკითხულთა 60%-მა მხარი დაუჭირა ევთანაზიას, ხოლო 40% ევთანაზიის წინააღმდეგია. ასევე გამოვკითხეთ ექიმები, რომლებმაც კატეგორიული უარი განაცხადეს ევთანაზიის დაკანონებაზე. მათი არგუმენტები ძირითადად ეხებოდა ევთანაზიის რელიგიურ გაუმართლებლობას, მედიცინის მუდმივ განვითარებას, ძლიერი ტკივილის ქვეშ მყოფი პაციენტის შესაძლო არასწორ გადაწყვეტილებას, არასწორ დიაგნოზს, პაციენტის შესაძლო გამოჯანმრთელებას ნებისმიერ მომენტში. ერთ-ერთი გამოკითხულის თქმით, რაც უფრო მეტად იტანჯება ადამიანი, იგი მის მიერ ჩადენილ ცოდვებს ინანიებს და ამ გზით იმკვიდრებს სასუფეველს.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ რამდენიმე დღის წინ სიკვდილით დაასრულა სიცოცხლე სამედიცინო ცენტრ ,,გორმედი" პაციენტმა. 60 წლის მამაკაცმა, რომელსაც სიმსივნის მეოთხე სტადია ჰქონდა, ჯერ სახლში სცადა თვითმკვლელობა (ვენები გადაიჭრა), გაწეული სამედიცინო დახმარების მიუხედავად, იგი გამუდმებით სთხოვდა სამედიცინო პერსონალს, გაეკეთებინათ მისთვის სასიკვდილო ინექცია, რაზეც, თავისთავად, მიიღო უარი. პაციენტმა იხელთა დრო და საავადმყოფოს მესამე სართულიდან გადმოხტა. ვფიქრობთ, ეს მაგალითი ევთანაზიის საჭიროების სასარგებლოდ გამოდგება. ვიცით, რომ ჩვენს მოსაზრებას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდება მართლმადიდებელ ქვეყანაში, მაგრამ ჩვენ მაინც ვსვამთ კითხვას: ევთანაზია მკვლელობაა თუ არჩევანის უფლება?

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:
1. http://cci.ge/files3/files/PDF/რუსუდან%20სულამანიძე%20-%20ევთანაზია%20-%20ღირსეული%20%20%20სიკვდილის%20უფლება.pdf
2. https://jesus.ge/სტატიები/რა-არის-ევთანაზია/
3. https://elawjournal.wordpress.com/tag/ევთანაზია/
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
5. საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ.
6. http://intermedia.ge/სტატია/929-ევთანაზია-მკვლელობა-%20თუ./

ფიზიკური პირის უნარი

ნათია მეგრელიშვილი, ეთერ უთნელიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ივანე ბალახაშვილი,** უფროსი მასწავლებელი

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების ძირითადი მონაწილეები ფიზიკური პირები არიან. მაშინაც, როცა უაღრესად რთულ ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახის ორგანიზებული წარმონაქმნები დომინირებენ, მათ უკან მაინც ადამიანი დგას. გაჩაღებულ დისკუსიას (გირკეს მიერ), რომ ამ მონაწილისათვის თავისი ნორმალური სახელი - ადამიანი დაერქმიათ, შედეგი არ მოჰყოლია. ასე დაიმკვიდრა ადამიანმა სამოქალაქო სამართალში ადგილი ნათლობის სახელით - ფიზიკური პირი.

ზოგიერთ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში ფიზიკური პირი ყოველთვის შეიძლება გამოდიოდეს როგორც სუბიექტი, დაბადებიდან გარდაცვალებამდე (მაგალითად, მემკვიდრეობის მიღება, ნივთის მესაკუთრედ ცნობა, სახელის უფლება და სხვა), მაგრამ უმეტეს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში იმისათვის, რომ პირი სუბიექტად ჩაითვალოს, საჭიროა გარკვეული თვისებების არსებობა. სწორედ ამისათვის არის შემოღებული სამოქალაქო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ცნებები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ფიზიკურ პირს აქვს უფლებაუნარიანობა. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა არის ფიზიკური პირის უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები[1].

ზოგადი უფლებაუნარიანობის ცნება პირველად მე-18 საუკუნეში წარმოიშვა.

თანამედროვე სამოქალაქო სამართლის წინაშე რომის სამართლის უდიდესი დამსახურების მიუხედავად, ერთიანი უფლებაუნარიანობის ცნებას იგი არ იცნობს.

რომაელი იურისტების ნაწერებში ადამიანის სამართლებრივი მდგომარეობის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი „სტატუსი“. მათი აზრით რომის სახელმწიფოში ადამიანს შეიძლება გააჩნდეს სამგვარი სტატუსი:

1) „სტატუს ლიბერტატის“ განსაზღვრავდა რომის სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვან საკითხს: ეკუთვნოდა თუ არა ადამიანი თავისუფალთა ფენას. ამ თვალსაზრისით, ადამიანი შეიძლება ყოფილიყო თავისუფალი ან მონა. კანონი მათ შორის არავითარ საშუალოს არ ცნობდა;

2) „სტატუს ცივიტატის“ - მიგვითითებდა იმის შესახებ, ადამიანი რომის მოქალაქე იყო თუ არა. უცხოელები რომის მოქალაქეთა უფლებებით ვერ ისარგებლებდნენ;

3) „სტატუს ფამილიავ“ განსაზღვრავდა რომაელი მოქალაქის მდგომარეობას ოჯახში. ოჯახში რომაელი ან ოჯახის უფროსი, ოჯახის მეთაურია, ან მისი ხელქვეითი[2].

---

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლი.

[2] ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, (მეორე გადამუშავებული გამოცემა), თბილისი, 2006.

რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა პირის შემცირებას და მას აღნიშნავდა ტერმინით „კაპიტის დემინუციო“. ამ მიმართებით ადამიანის მიერ თავისუფლების დაკარგვა იქნებოდა მისი უფლებაუნარიანობის მაქსიმალური შემცირება.

თუ ადამიანს რომის მოქალაქეობას ჩამოართმევდნენ, ამ შემთხვევაში პირი კარგავდა მოქალაქეობას, მაგრამ თავისუფლებას ინარჩუნებდა.

რომის სამართალში სამოქალაქო უფლებაუნარიანობის აუცილებელი პირობა იყო ადამიანის თავისუფალი სტატუსი. არათავისუფალი ადამიანი, ვთქვათ მონა, ვერ იქნებოდა სამართლის სუბიექტი.

რომის უძველესი კანონმდებლობა მონას თვლიდა არა სამართლის სუბიექტად, არამედ სამართლის ობიექტად. ლათინური იურიდიული ანდაზის მიხედვით მონა არის ნივთი.

მაშასადამე, უფლებაუნარიანობა იყო არა თავისთავად საგულისხმებელი ბიოლოგიური მოვლენა, არამედ სოციალური. კანონი ყველა ადამიანს კი არ ანიჭებდა უფლებაუნარიანობას, არამედ მხოლოდ ზოგიერთებს, ისეთებს, რომელთაც თავისუფალი სტატუსი გააჩნდათ.

როგორც ვნახეთ, სრული სახის უფლებაუნარიანობისათვის საჭირო იყო, რომ პირი ყოფილიყო თავისუფალი და არა მონა, მოქალაქე და არა ქვეშევრდომი, ამასთან, თავისი ოჯახური მდგომარეობით ოჯახის უფროსის ძალაუფლებისაგან თავისუფალი.

უფლებაუნარიანობა პირისათვის, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა, დაბადებისთანავე იწყებოდა და გარდაცვალებამდე გრძელდებოდა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, უფლებაუნარიანობის არსებობა დამოკიდებული იყო ერთ-ერთი ზემოთ აღნიშნული სტატუსის ქონაზე. ეს, ცხადია, ეწინააღმდეგება უფლებაუნარიანობის პრინციპს, რომლის ძირითადი პირობა სწორედ თავისუფლებაა.

უფლებაუნარიანობა აქვს ყველას: ძუძუმწოვარა ბავშვსა და ღრმად მოხუცებულსაც, სულით ავადმყოფს და გონებრივად ჯანსაღ ადამიანსაც. მათ შეიძლება ჰქონდეთ უფლებებიცა და მოვალეობებიც. მაგრამ ამ უფლებათა განხორციელების უნარი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ამიტომ სამოქალაქო სამართალი იძულებულია უფლებაუნარიანობის გვერდით შემოიღოს სამართლებრივად მნიშვნელოვანი მეორე „უნარი“, რომელიც რეალურ ცხოვრებასთან, სინამდვილესთან უფრო ახლოსაა და კონკრეტული შედეგებიც ექნება. ეს არის ქმედუნარიანობა.

ქმედუნარიანობის ლეგალური დეფინიცია მოცემულია სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის პირველ ნაწილში: ქმედუნარიანობა არის პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

ქმედუნარიანობის შინაარსის არსებითი ნიშანი არის პირის შესაძლებლობა დამოუკიდებლად ჩაერთოს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, დადოს გარიგება და შეეძლოს დამოუკიდებლად აგოს პასუხი თავისი მოქმედებისათვის.

უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით, ქმედუნარიანობას ადამიანი დაბადებისთანავე არ იძენს. უფრო ზუსტად კი, კონკრეტული ქვეყნის სამართალი აღჭურავს ამ უნარით იმ პირებს, რომლებმაც განსაზღვრულ ასაკს მიაღწიეს ან აქვთ ნორმალური განსჯის უნარი და შეუძლიათ ანგარიში გაუწიონ მათ მიერ განხორციელებულ მოქმედებებს. ამიტომ ქმედუნარიანობა ყოველთვის დაკავშირებულია ამა თუ იმ გარემოებასთან. ასეთ სამართლებრივად მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება პირთა ქმედუნარიანობა, წარმოადგენს ასაკი და ჯანმრთელობა.

უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით, ქმედუნარიანობა დაკავშირებულია პირის ნებასთან, ნებით მოქმედებასთან, რაც მოითხოვს მისი ფსიქიკური სიმწიფის დონეს.

რომის სამოქალაქო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქმედუნარიანობას.

თუ უფლებაუნარიანობის ინსტიტუტს ისტორიული წინამორბედი რომის სამართალში არ ჰყავდა, ქმედუნარიანობა სწორედ რომის სამართლიდან მომდინარეობს. რომის სამართალი განასხვავებდა ერთმანეთისაგან ქმედუნარიანობას როგორც ასაკის, ასევე ჯანმრთელობის მიხედვით.

ასაკის მიხედვით ქმედუნარიანობის განსაზღვრისას რომის სამართალი ოთხ ასაკობრივ ჯგუფს განასხვავებდა ერთმანეთისაგან: შვიდ წლამდე ბავშვები ითვლებოდნენ ქმედუუნაროდ. თუმცა მათ საჩუქრის მიღება შეეძლოთ. შემდეგ ჯგუფს შეადგენდნენ შვიდიდან თოთხმეტი წლის ასაკის ბავშვები, რომელთაც უწოდებდნენ სქესობრივად მოუმწიფებელს. შემდეგ ასაკობრივ ჯგუფს რომის სამართალი სქესობრივ მომწიფებას უკავშირებდა. ასეთად მიიჩნეოდა თოთხმეტიდან ოცდახუთი წლის ასაკამდე პირები. მეორე და მესამე ჯგუფებს განკუთვნილ პირებს ენიშნებოდათ მზრუნველი და გარიგების დადების დროს აუცილებელი იყო მზრუნველთა თანხმობა. ოცდახუთი წლიდან უკვე იწყებოდა სრული ქმედუნარიანობა[1].

[1] ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი (მეორე გადამუშავებული გამოცემა), თბილისი, 2006.

ასაკობრივი საფეხურების მიხედვით ფიზიკურ პირთა ქმედუნარიანობის განსაზღვრას თანამედროვეობის თითქმის ყველა ქვეყნის სამართალი მიმართავს.

ავსტრიის სამოქალაქო სამართალი სამ ასაკობრივ ჯგუფს გამოყოფს: შვიდ წლამდე ასაკის პირებს ეწოდებათ „ბავშვები“ და ისინი სრულიად ქმედუუნარონი არიან, ხოლო შვიდიდან თოთხმეტ წლამდე ასაკის პირები - შეზღუდული ქმედუნარიანი. ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ისინი უფლებამოსილნი არიან მიიღონ მხოლოდ მათ სასარგებლოდ განხორციელებული შეპირებები. თოთხმეტიდან ცხრამეტი წლის ასაკის პირები ასევე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ განეკუთვნებიან, თუმცა მათი უფლებამოსილება უფრო ფართოა, ვიდრე წინა ჯგუფის. მათ შეუძლიათ ხელშეკრულებები დადონ მომსახურების სფეროში, მართონ და განკარგონ განსაზღვრული ნივთები და ა.შ. სრული ქმედუნარიანობა ავსტრიის სამართლის მიხედვით დგება ცხრამეტი წლის ასაკიდან.[1]

შვეიცარული სამართლის მიხედვით სრულწლოვანება და, შესაბამისად, სრული ქმედუნარიანობა დგება ოცი წლის ასაკიდან. თუმცა ცივილური კოდექსის მე-15 მუხლის მიხედვით სრულწლოვანება შეიძლება თვრამეტი წლის ასაკიდანაც დადგეს. ქმედუუნაროდ მიიჩნევა პირი, რომელსაც თავისი ბავშვური ასაკის გამო არ შეუძლია სწორად გაიგოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა

ფრანგული სამართალიც არ ითვალისწინებს ასაკობრივ ჯგუფებს თვრამეტი წლის ასაკამდე და სჯერდება მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ბავშვებს, რომელთაც არ აქვთ განსჯის უნარი, არ შეუძლიათ დადონ გარიგებები. ასაკის მიხედვით სრული ქმედუნარიანობა იწყება თვრამეტი წლის ასაკიდან.

ფრანგულის მსგავსად აწესრიგებს ასაკის მიხედვით ქმედუნარიანობას იტალიური სამართალიც.

გერმანული სამოქალაქო სამართალი სამ ასაკობრივ ჯგუფს გამოყოფს: შვიდ წლამდე ასაკის პირები ქმედუუნარონი არიან, შვიდიდან თვრამეტ წლამდე - შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონენი, ხოლო თვრამეტი წლიდან სრული ქმედუნარიანები[2].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ქმედუნარიანობა იწყება სრულწლოვანების მიღწევისთანავე. სრულწლოვანად კი ითვლება პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს.

შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი ანუ მცირეწლოვანი ქმედუუნაროა. ასევე ქმედუუნაროდ ითვლება სრულწლოვანი პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ აღიარებული იქნება ქმედუუნაროდ. ასეთ პირთა უფლებებს ახორციელებენ მათი კანონიერი წარმომადგენლები (მეურვეები).

შვიდი წლიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნები ითვლებიან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე სუბიექტებად. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება აგრეთვე სრულწლოვანი პირი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა მისი ქმედუნარიანობის შეზღუდვით.

როგორც ვხედავთ, სრული ქმედუნარიანობისათვის საჭიროა პირის სრულწლოვანება, თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მსგავსად რამდენიმე განვითარებული ქვეყნისა, ამ წესიდან გამონაკლისსაც აწესებს. ასაკის მიხედვით ქმედუნარიანობის განხილვისას მნიშვნელოვანია ემანსიპაციის ინსტიტუტი. ეს ის შემთხვევაა, როცა პირს, მართალია, ჯერ კიდევ არ მიუღწევია სრულწლოვანების ასაკამდე, მაგრამ განსაზღვრული პირობების არსებობისას სამართალი მას უთანაბრებს სრულწლოვან პირებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასეთ ორ პირობას ითვალისწინებს[3]. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის თანახმად საქორწინო ასაკად დაწესებულია თვრამეტი წელი, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში, თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი წერილობითი თანხმობით. თანხმობაზე მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის უარის შემთხვევაში პატივსადები მიზეზების არსებობისას დასაქორწინებელ პირთა განცხადების შეტანის გზით სასამართლოს მიერ გაცემული დაქორწინების ნებართვის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ფიზიკური პირი ქმედუნარიანად ჩაითვლება დასახელებული საფუძვლის გამო, მხოლოდ თექვსმეტი წლის ასაკიდან.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გამონაკლისი, ემანსიპაციის მეორე შემთხვევა, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ფიზიკური პირისათვის ქმედუნარიანობის წარმოშობას თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე. კერძოდ, როდესაც თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლისაგან იღებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ იგი ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში გვევლინება შეუზღუდავად ქმედუნარიანი და არა ამ სფეროს გარეთ არსებულ ურთიერთობებში. ამასთან, ამ შემთხვევაში

[1] კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ჯისიაი, 2000.
[2] კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ჯისიაი, 2000.
[3] კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი ზოგადი ნაწილი (I), თბილისი, 2001.

არასრულწლოვანი შეუზღუდავად ქმედუნარიანია როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართ. ამ შემთხვევას იურიდიულ მეცნიერებაში არასრულწლოვნის ემანსიპაციას უწოდებენ.

გასათვალისწინებელია, რომ სრულწლოვანების მიღწევამდე იმ საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, რომელიც საფუძვლად დაედო ქმედუნარიანობის წარმოშობას სრულწლოვნების მიღწევამდე, ქმედუნარიანობის სტატუსის შენარჩუნება სხვადასხვაგვარად წყდება. კერძოდ, ქორწინების შედეგად მიღებული ქმედუნარიანობა უნარჩუნდება პირს განქორწინებისას, ხოლო საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის შედეგად მიღებული ქმედუნარიანობა იცვლის თავის სტატუსს და ასეთ შემთხვევაში, ფიზიკური პირი უთანაბრდება იმ პირის მდგომარეობას, რომელსაც არ ჰქონდა საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლება მინიჭებული.

კანონით განსაზღვრული ასაკის მიღწევისთანავე პირი ავტომატურად ხდება ქმედუნარიანი ისე, რომ რაიმე სპეციალური აქტი ამისთვის აუცილებელი არ არის. ამიტომ მოქმედებს პრეზუმფცია, რომ თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული ყველა პირი ქმედუნარიანია[1].

პირის უნარს, საკუთარი ნებითა და მოქმედებით განახორციელოს უფლებები და მოვალეობები, სამოქალაქო სამართალი უკავშირებს არა მხოლოდ ასაკს, არამედ ჯანმრთელობას. ადამიანი შეიძლება იყოს სრულწლოვანი, მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევდეს მას ნორმალური განსჯის უნარს. ამასთან, სამოქალაქო სამართალი „ჯანმრთელობის“ ცნებაში არ გულისხმობს ფიზიკურ ნაკლს. პირიქით, ფიზიკური ნაკლი არ წარმოადგენს ქმედუუნაროდ პირის ცნობის საფუძველს. ასეთად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ისევე როგორც სხვა ქვეყნების სამართალი, მიიჩნევს ჭკუასუსტობას ან სულით ავადმყოფობას. ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი ანუ მცირეწლოვანი ითვლება ქმედუუნაროდ.

ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორც ქმედუუნაროდ პირის მიჩნევის ერთ-ერთ საფუძველს, რომის სამართალიც იცნობდა და სწორედ ასეთივე სრულყოფილად აყალიბებდა ქმედუუნაროდ აღიარებული პირების სამართლებრივ სტატუსს. რომის სამართლის მიხედვით შვიდ წლამდე ასაკის პირები ქმედუუნაროდ ითვლებოდნენ. ასეთად აღიარებდნენ სულით ავადმყოფებს და ჭკუასუსტებსაც.

იმ შემთხვევაში, როცა სულით ავადმყოფობის გამო ხდება პირის მიჩნევა ქმედუუნაროდ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, პირი სრულწლოვანია თუ არასრულწლოვანი. ე.ი. ქმედუუნაროდ პირის აღიარებას ამ დროს საფუძვლად უდევს მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო პირის მიჩნევა ქმედუუნაროდ მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა. სხვა არც ერთი სახელმწიფო ორგანო არ არის უფლებამოსილი ცნოს პირი ქმედუუნაროდ. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ თავისთავად ავადმყოფობის ფაქტი, თუნდაც სამედიცინო დაწესებულების მიერ დადასტურებული, არ არის საკმარისი პირის მიჩნევისათვის ქმედუუნაროდ.

ქმედუუნაროდ აღიარებული პირის უფლებებს ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე).

ავადმყოფობის გამო ქმედუუნაროდ აღიარებული პირის განკურნების ან ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შემთხვევაშიც მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი აღიაროს პირი კვლავ ქმედუნარიანად.

ქმედუუნარო პირები კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში უშუალოდ არ მონაწილეობენ. მათ მიერ დადებული ნებისმიერი გარიგება, ასევე მათ მიერ ან მათ მიმართ გამოვლენილი ნება უცილოდ ბათილია. ქმედუნარიანობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ე.წ. დელიქტუნარიანობა. ქმედუნარიანობა არსებითად ასახავს პირთა მონაწილეობის შესაძლებლობას ნორმალურ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომელთა უმეტესობა გარიგების ფორმით არსებობს. გარდა ამისა, სამოქალაქო სამართალი იცნობს ურთიერთობებს, რომლებიც ზიანის მიყენებიდან წარმოიშობა და ე.წ. ექსცესურ ურთიერთობათა კატეგორიას განეკუთვნება[2]. ზოგადი ქმედუნარიანობის ინსტიტუტი დელიქტურ სამართალშიც მოქმედებს, თუმცა ცალკეული სპეციფიკის გათვალისწინება ამ სფეროში აუცილებელია. სწორედ ამას ემსახურება დელიქტუნარიანობის ინსტიტუტი. იგი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც პირის უნარი, საკუთარი ნებითა და ქონებით აგოს პასუხი მიყენებული ზიანისათვის.

სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი პასუხს არ აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. მის ნაცვლად მშობლები ან

[1] კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი ზოგადი ნაწილი (I), თბილისი, 2001.

[2] ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000.

მეთვალყურეობაზე ვალდებული პირები არიან პასუხისმგებელნი აანაზღაურონ ამ პირის მიერ მიყენებული ზიანი.

ათი წლის ასაკს მიღწეული, მაგრამ არასრულწლოვანი პირი, პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. თუ მისი ქონება საკმარისი არ არის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის, სუბსიდიური პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის კანონიერ წარმომადგენლებსაც.

სამოქალაქო კოდექსით ათ წლამდე პირის გამოცხადება დელიქტუუნაროდ ეხმიანება ძველი ქართული სამართლით გათვალისწინებულ დანაწესს. ვახტანგ VI-ის სამართლის 187-ე მუხლი იუწყება: „ათ წლამდის ყმაწვილის ნაქნარის რასაც ფერის საქმისა, - ავის კაცის ნაქნარს ავს საქმესთან არ ჩაიგდების, - ტოლს უზამს თუ უფროსს, ყმაწვილობით და უჭკუობით უქნია, საფათერაკოსავით არის. მისმან მშობელმან, მისის ყმაწვილობისაგან მკვდარს სამარხი მისცეს და დაჭრილსა და დასნეულებულს სააქიმო მისცეს, სხვას ვერას შეუა“[1].

დელიქტუნარიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ასაკით. სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო ქმედუუნაროდ აღიარებული პირი არც მიყენებული ზიანისათვის აგებს პასუხს. თუმცა მის მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს ამ შემთხვევაშიც ეკისრებათ პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის. ქმედუუნაროდ აღიარებული პირების გარდა, მიყენებული ზიანისათვის პასუხს არ აგებენ ასევე დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირები. მაგრამ თუ პირმა ასეთ მდგომარეობაში თავი ჩაიყენა ალკოჰოლური სასმელების ან მსგავსი საშუალებების გამოყენების შედეგად, იგი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.

ქმედუნარიანობის ინსტიტუტის ამ სქემატური განხილვიდანაც აშკარად ჩანს, თუ რა დიდ პრაქტიკულ როლს თამაშობს ის სამოქალაქო სამართალში.

ოჯახში ძალადობა
(ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ასპექტები)

დავით ტოროშელიძე, მედეა რაზმაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **იოსებ გაბარაევი**, მოწვეული სპეციალისტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დილემა. ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და გავრცელებული ძალადობის ფორმაა. იგი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. მცდარია მოსაზრება, თითქოს ძალადობა მხოლოდ ცოლ–ქმარს შორის არსებული კონფლიქტის ნიადაგზე წარმოიშობა. მეცნიერული კვლევების მიხედვით ოჯახში ძალადობას ახასიათებს ფარული და განგრძობადი ხასიათი და სპეციფიური, რადგან ხორციელდება ოჯახის წევრის ან წევრების მიერ სხვა ოჯახის წევრის/ების მიმართ. საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვით უმრავლესობა ოჯახში ძალადობის მიზეზად უმუშევრობას, ალკოჰოლიზმს, ნარკომანიასა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას ასახელებს, სინამდვილეში კი ოჯახში ძალადობა ერთნაირად არის როგორც ჩამორჩენილ, ასევე ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. ჩამოთვლილი ფაქტორები მხოლოდ და მხოლოდ ძალადობის ხარისხზე მოქმედებენ და გარკვეულწილად პროვოცირების ელემენტებად შეიძლება განიხილებოდეს. მსოფლიოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა 95% ქალია, თუმცა ოჯახში ძალადობა ხორციელდება როგორც ქალებზე, ასევე ბავშვებსა და მოხუცებზე, რაც სხვადასხვა ფორმითა და მიზეზით ხდება. განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნების კულტურული იდეოლოგია ქალების წინააღმდეგ ძალადობას ზოგიერთ შემთხვევაში დასაშვებად მიიჩნევს. წარსულში რელიგიური და ისტორიული ტრადიციები არ კრძალავდნენ ცოლების დასჯასა და ცემას. განსაკუთრებით, ნებადართული იყო

[1] კახაძე მ., ქართული სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2001.

ქალების ფიზიკური დასჯა, რაც მათზე საკუთრების შეგრძნების გამოხატულებად ითვლებოდა. ზოგიერთ საზოგადოებაში, ტრადიციულად, დასაშვები იყო "გზასაცდენილი" გოგონების, დების, ცოლების მოკვლა, თუკი ისინი ოჯახის თანხმობის გარეშე დაქორწინდებოდნენ ან გაშორდებოდნენ.

გამოყოფენ ძალადობის რამდენიმე ფორმას: **ფიზიკურ ძალადობას, ფსიქოლოგიურ ძალადობს, ეკონომიკურ ძალადობას, სექსუალურ ძალადობას.**

<u>ფიზიკური ძალადობა:</u> ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

<u>ფსიქოლოგიური ძალადობა:</u> შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.

<u>ეკონომიკური ძალადობა:</u> ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

<u>სექსუალური ძალადობა:</u> სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

ყოველ ძალადობას თვისი გამომწვევი მიზეზი აქვს და ეს შეიძლება იყოს: **კულტურული, ეკონომიკური, სამართლებრივი.**

<u>კულტურული:</u> მოსაზრება, რომ მამაკაცი ყოველთვის უნდა ბატონობდეს ქალზე; ღირებულებები, რომლებიც მამაკაცს ქალსა და გოგონაზე მესაკუთრის უფლებას სძენს; მოსაზრება, რომ ოჯახი არის მამაკაცის დაქვემდებარების ქვეშ არსებული კერძო სფერო; ქორწინების ჩვეულებები (პატარძალზე დაწესებული ფასი/მზითვი);

<u>ეკონომიკური:</u> ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე, ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, დისკრიმინაციული ხასიათის კანონები, რომლებიც არეგულირებს მემკვიდრეობის, საკუთრების უფლების, განქორწინებისა და მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქონების მიღების საკითხებს, სახელმწიფო თუ კერძო სექტორებში დასაქმების ნაკლები პერსპექტივა განათლების მიღების ნაკლები პერსპექტივა. ზოგ ქვეყანაში ქალების მზარდი ეკონომიკური აქტივობაც კი ოჯახური ძალადობის მიზეზი ხდება. მეუღლეთა დამოუკიდებლობას მამაკაცები საფრთხედ აღიქვამენ, განსაკუთრებით, თუკი მამაკაცი პარტნიორი უმუშევარია და მას ოჯახში საკუთარი ძალაუფლების დაკარგვის ეშინია.

<u>*სამართლებრივი*</u>: დაწერილი თუ დაუწერელი კანონებით აღიარებული ქალთა ნაკლები სამართლებრივი სტატუსი, განქორწინების, განქორწინების ბავშვებზე მეურვეობის, მათზე მზრუნველობისა და მემკვიდრეობის საკითხების მარეგულირებელი დისკრიმინაციული კანონმდებლობა, ქალებში სამართლებრივი ცნობიერების დაბალი დონე, პოლიციისა და სასამართლოს მხრიდან ქალებისა და გოგონების მისამართით განხორციელებული უტაქტო მოპყრობა.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გამოდის თითქმის მთელი მსოფლიო, სახელმწიფოები, სხვადასხვა ორგანიზაციები თუ საზოგადოებრივი მოძრაობები. სწორედ ერთ-ერთ ასეთ მოძრაობას მიეკუთვნება ფემინიზმი, როგორც საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მიზანია ქალთა უფლებების აღიარება და მათი გათანასწორება მამაკაცებთან ცხოვრების ყველა სფეროში, იქნება ეს სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა და რომელიც აქტიურად იღწვის ქალების მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის წინააღმდეგ, მისი საერთო მახასიათებელი და გამაერთიანებელი ღერძი კი ქალთა და მამაკაცთა თანაბარუფლებიანობის მოთხოვნაა.

ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით დაცულია ადამიანის უფლებები, რომლებიც გმობენ ოჯახში ძალადობის ყველა ფორმას, აღსანიშნავია ევროპის საბჭოს კონვენცია ,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბულის კონვენცია)", რომლის მიზანია დაიცვას ქალები ძალადობის ყველა ფორმისაგან, განახორციელოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია, აწარმოოს სამართლებრივი დევნა და აღმოფხვრას ეს მოვლენა, ასევე დაიცვას და დაეხმაროს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლს და სხვა. კონვენცია ვრცელდება ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმაზე, მათ შორის ოჯახურ ძალადობაზე. უფრო მეტიც, კონვენცია მიესალმება ხელმომწერ მხარეებს თუ ისინი კონვენციის მოქმადების არეალს ისე გააფართოვებენ, რომ მოიცავენ იმ მამაკაცებს, ბავშვებსა

და ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან. კონვენცია ძალაშია და მოქმედებს როგორც მშვიდობიან დროს, ასევე შეიარაღებული კონფლიქტების მიმდინარეობისას. სტამბოლის კონვენციის მთავარი მიზანია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია, რაც მოიცავს რამდენიმე ღონისძიებას, რომელთაგან მნიშვნელოვანია:

ცნობიერების ამაღლება: საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიების წარმართვას უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება. ეს ინიციატივები გვეხმარება საზოგადოებისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდებაში, რაც ადამიანებს შესაძლებლობას მისცემს შეამჩნიონ ძალადობის სხვადასხვა ფორმები და ხმა აღიმაღლონ მის წინააღმდეგ. ანალოგიურად მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდება მსხვერპლთათვის, რათა მათ იცოდნენ თუ ვის შეიძლება მიმართონ დახმარებისათვის და რა ტიპის დახმარებაა ხელმისწავდომი. აუცილებელია გამოცხადდეს ძალადობის ნებისმიერი ფორმის მსხვერპლთა დახმარებისათვის ხელმისაწვდომი „ცხელი ხაზის“ ნომერი.

განათლება. დამოკიდებულებებისა და ქცევების ფორმირება ცხოვრების ძალიან ადრეულ ეტაპზე ხდება. ასე რომ, ძალიან მნიშვნელოვანია რომ ბავშვებს თავიდანვე ვასწავლოთ თანასწორობა და ურთიერთპატივისცემა ურთიერთობებში. მხარეებს კონვენცია მოუწოდებს რომ სასკოლო კურიკულუმის ყველა დონეზე სასწავლო მასალებში შეიტანონ თანასწორობის საკითხები და ხელი შეუწყონ ამ პრინციპების გატარებას არაფორმარულ საგანმანათლებლო გარემოში, როგორიცაა მაგალითად სათემო ცენტრები და სპორტული ობიექტები.

აღსანიშნავია საქართველოს კანონი **„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“**, რომელიც 2006 წელს იქნა მიღებული და რომლის მიზანია: 1) ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით შექმნას მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები; 2) შექმნას ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმები ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის; 3) უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა; 4) შექმნას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლები და სხვა.

ოჯახში ძალადობა ასევე იკრძალება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსითაც, კერძოდ, VII-ს 3 პრიმა თავით. ამავე თავის 21-ე მუხლის 13 პრიმის თანახმად: ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე სასამართლოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, შესაძლებელია გამოცემულ იქნეს დამცავი ორდერი.

გარდა ზემოაღნიშნული კანონებისა, ოჯახში ძალადობის შემაკავებელ ორდერად შეიძლება დავასახელოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს დასჯად ქმედებას ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში, კერძოდ ამავე კანონის 126 პრიმა მუხლის თანახმად ოჯახში ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატიური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით 80-დან 150 საათამდე. ხოლო თუ იგივე ქმედება ჩადენილია არაერთგზის, არასრულწლოვნის თანდასწრებით, ორსული ქალის, ასევე, ორი ან მეტი პირის მიმართ, სანქციის სახით გათვალისწინებულია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ვადით 100-დან 200 საათამდე, თავისუფლების შეზღუდვას ვადით ერთ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე.

ძალიან ბევრი პრეცედენტი არსებობს ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, რომელთაგან აღსანიშნავია საქმე X და Y (დედა-შვილი) საქართველოს წინააღმდეგ 2015 წლის 13 ივლისს გაეროს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა ცოტა ხნის წინ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილ პირველ ინდივიდუალურ კომუნიკაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფოს მიერ ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ადეკვატური რეაგირების განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობას საქმეში X და Y საქართველოს წინააღმდეგ (კომუნიკაციის No. 24/2009, 2015 წლის ივლისი). კომუნიკაცია კომიტეტში დედა-შვილმა წარადგინა. ისინი სახელმწიფოს ედავებოდნენ, შესაბამისად, მეუღლისა და მამის მიერ მიყენებული ხანგრძლივი ფიზიკური ძალადობის, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის პრევენციის, გამოძიებისა და დამნაშავის დასჯის ვალდებულების შეუსრულებლობას. კომიტეტმა დადგენილად მიიჩნია “ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის” (შემდგომში, “კონვენცია”) ყველა ის დარღვევა, რომელსაც განმცხადებლები სახელმწიფოს ედავებოდნენ. საქართველოს მთავრობის მიმართ მიღებულ რეკომენდაციებში, კომიტეტი მთავრობას მომჩივნებისთვის ადეკვატური ფინანსური

კომპენსაციის გადახდას მოუწოდებს. კომიტეტი აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ ოჯახში ძალადობის სხვა მსხვერპლთათვის უნდა უზრუნველყოს დროული და ადეკვატური მხარდაჭერა; გააქტიუროს კამპანიები ცნობიერების ასამაღლებლად და გაატაროს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან დაკავშირებით; დააწესოს სავალდებულო ტრენინგები სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისათვის; და მოახდინოს "ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის" (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში შეინიშნება ოჯახში ძალადობის რიცხვთა კლება, მისი სტატისტიკური მონაცემები მაინც საგანგაშოა. აღნიშნულზე მეტყველებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2016 წლის 16 დეკემბერს გამოქვეყნებული 2016 წლის ოჯახში ძალადობის დინამიკის შესახებ ინფორმაცია, რომლის თანახმადაც 2016 წელის მონაცემებით ოჯახში ფსიქოლოგიური ძალადობის 122, ფიზიკურის 77, ეკონომიკურის 12, იძულების 19, ხოლო სექსუალური ძალადობის 1 შემთხვევაა დაფიქსირებული, თუმცა ცალსახაა, რომ ეს სტატისტიკა ზუსტი არ არის და რეალურად ბევრად მეტი შემთხვევაა, ვიდრე სტატისტიკაზეა ნაჩვენები, რადგან ოჯახში ძალადობის გამოააშკარავება ძირითადად უკიდურეს შემთხვევებში ხდება და საზოგადოება არ მიმართავს შესაბამის ორგანოებს დროულად, რაც ხშირად ფატალური შედეგით მთავრდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილ ნაშრომში, სტატიის ფორმატიდან გამომდინარე, მოკლედ შევეხეთ ისეთ პრობლემატურ საკითხს, როგორიცაა ოჯახში ძალადობა და მასთან დაკავშირებული მოვლენები ვისაუბრეთ მის გამომწვევ მიზეზებსა და სახეებზე. აშკარად ჩანს თუ რა სერიოზულ და სპეციფიკურ პრობლემასთან გვაქვს საქმე, მისი სპეციფიურობა სწორედ ამ დანაშაულის გამოვლენის საკითხში მდგომარეობს, შეიძლება ითქვას, რომ რომ არა თვითონ ამ დანაშაულის მსხვერპლის გამბედაობა, საერთოდაც ვერ გავიგებთ კონკრეტული დანაშაულების შესახებ, მაინც რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ აღიკვეთოს ოჯახში ძალადობა? აუცილებელია იმ ოჯახების იდენტიფიცირება, სადაც ეს პრობლემა არსებობს უნდა იქნან ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი დაცულნი და, რა თქმა უნდა, აუცილებელია მათ დავეხმაროთ ახალი ცხოვრების დაწყებაში. ყველაზე მნიშვნელოვანი, რამაც შეიძლება ასეთი დანაშაულებების აღმოხვრა გამოიწვიოს, თვითონ დაზარალებულის გამბედაობა და აღიარებაა იმისა, რომ ის არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ოჯახში ძალადობის სტატისტიკის შესამცირებლად რაოდენ დიდია საზოგადოების აქტიური მოქმედება, რეაგირება და შესაბამისი ორგანოებისათვის დროულად მიმართვა. მნიშვნელოვანია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რაც საშუალებას მისცემს საზოგადოებას სხვა კუთხით შეხედონ ამ პრობლემას – არა ზიზღით, დაცინვით, არამედ პრობლემის გადაჭრის, კეთილგონიერი თვალით. ამისათვის კი საჭიროა გატარდეს რამდენიმე პროექტი, რომლებიც დაკავშირებული იქნება ოჯახში ძალადობის თემასთან, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კარგი იქნება და ჩვენი აზრით აუცილებელიცაა, რომ სასწავლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით სკოლებში, დაინერგოს ისეთი გაკვეთილები, რომლებიც მიაწვდის ინფორმაციას ბავშვებს აღნიშნულ საკითხზე, შეისწავლიან ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე სკოლის მოსწავლეები გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობის, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის საკითხებს. თუ ვერ მოხერხდება მათი ცალკე საგნად სწავლება, შეიძლება მოხდეს მათი ასახვა სხვადასხვა ძირითად საგნებში.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
2. http://makuproduction.blogspot.com
3. http://netgazeti.ge
4. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
5. https://earthviolence.wordpress.com
6. https://uflebebidamovaleobebi.wordpress.com
7. https://dalada.wordpress.com

დისკრიმინაცია

გულნაზი ღვინიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **დავით კვერნაძე**, ასისტენტი

დისკრიმინაცია, როგორც გამორჩევა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება თანაბარი უფლებებისა და მათი დაცვის უარყოფის მიზნით, არის თანასწორობის პრინციპის შელახვა და ადამიანის ღირსების ხელყოფა. ადამიანთა გარკვეული კატეგორიის დისკრიმინაცია შეიძლება ხდებოდეს მათი რასობრივი კუთვნილების, ეროვნების, სარწმუნოების, პოლიტიკური მრწამსისა და სხვა ამგვარი ნიშნებითა თუ მოტივით. დისკრიმინაცია, რა ფორმითაც უნდა იყოს იგი გამოხატული, ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპებს და აკრძალულია როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო სამართლის ნორმებით. დღევანდელ მსოფლიოში, როდესაც აშკარად შეიმჩნევა ადამიანის უფლებათა დაცვის სულ უფრო და უფრო მზარდი სტანდარტების გამოვლინება, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ამ სტანდარტებზე ადამიანთა თანასწორ ხელმისაწვდომობას და დისკრიმინაციის აკრძალვას. კანონის წინაშე თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა იმდენად მნიშვნელოვანი ასპექტია, რომ ამ კონცეფციის ვიწროდ ან მხოლოდ სიტყვასიტყვით, გრამატიკული მნიშვნელობით განმარტება, დააკნინებდა მის სამართლებრივ მნიშვნელობას. იმისათვის, რათა ჯეროვნად ჩავწვდეთ დისკრიმინაციის არსს, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული არა მხოლოდ ფორმალური, არამედ პრაქტიკული მხარეებიც. „კანონის წინაშე თანასწორობა არ ნიშნავს აბსოლუტურ თანასწორობას, სახელდობრ კი ადამიანთა მოპყრობას მათი ინდივიდუალური კონკრეტული გარემოებების გათვალისწინების გარეშე, არამედ იგი ასახიერებს პრინციპს, რომლის თანახმადაც თანაბრად უნდა განხორციელდეს მოპყრობა მათდამი, ვინც იმყოფებიან თანაბარ მდგომარეობაში, ხოლო არათანაბრად უნდა განხორციელდეს მოპყრობა მათდამი, ვინც არ იმყოფებიან თანაბარ მდგომარეობაში.“ ზემო ხსენებულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს და ამავე დროს, ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი მრავალი საზედამხედველო ინსტიტუტის იურისპრუდენციისა თუ პრეცედენტული სამართლის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელი ხდება გამოვავლინოთ სახელმწიფოების ფართო პასუხისმგებლობა და ვალდებულებათა სახეები დისკრიმინაციის აკრძალვის სფეროში. კერძოდ, სახელმწიფოებს ეკისრებათ როგორც ნეგატიური ვალდებულება (თანასწორად მოეპყრონ თანაბარ მდგომარეობასა და პირობებში მყოფ პირებს), ასევე პოზიტიური ვალდებულება (განსხვავებულად მოეპყრონ არათანაბარ პირობებში მყოფ პირებს, რათა მათ თანასწორი ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ უფლებებსა და თავისუფლებებზე). სახელმწიფოს როლი, ვალდებულება და პასუხისმგებლობა განუზომლად დიდია დისკრიმინაციის ეფექტურ პრევენციაში, რადგანაც მართლაც რომ მრავლად არსებობს საშუალებები, გზები და ხშირად, სამწუხაროდ, სურვილიც (განზრახ ან დუმილით გამოხატული) არათანაბარი მოპყრობის განხორციელებასთან დაკავშირებით. პრაქტიკაში უმეტესწილად გვხვდება დისკრიმინაციის გამოვლინება პირდაპირ და არაპირდაპირ ფორმებში. პირდაპირი დისკრიმინაციის კონცეფცია ეწინააღმდეგება ფორმალური თანასწორობის იდეას და წარმოადგენს თანაბარ პირობებში მყოფი პირების არათანასწორ მოპყრობას აკრძალულ ნიადაგზე. არაპირდაპირ დისკრიმინაციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც გარკვეული პრაქტიკა, მოქმედი ნორმა, მოთხოვნა ან პირობა ერთი შეხედვით ნეიტრალური ჩანს, მაგრამ მათი შედეგი ან ზეგავლენა ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს კონკრეტულ ჯგუფზე. თუმცა ზემოხსენებული არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები კრძალავს ყველა სახის განსხვავებულ მოპყრობას. განსხვავებულ მოპყრობას თან უნდა სდევდეს „ობიექტური და გონივრული გამართლება“. იმისათვის, რომ განსხვავებული მოპყრობა გამართლებულად ჩაითვალოს პირველ რიგში იგი უნდა ემსახურებოდეს კანონიერი მიზნის მიღწევის ინტერესებს და დაცული უნდა იყოს გონივრული პროპორციულობა მისაღწევ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებებს შორის, ანუ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს აუცილებელი და შესაფერისი. ასეთი აუცილებლობის დროს შესაძლებელია გამართლებული იქნეს დისკრიმინაცია თვით აკრძალულ ნიადაგზეც კი (ეროვნული კუთვნილების, რასის ან სქესის ნიადაგზე). მაგალითად დამსაქმებელს, რომელმაც გახსნა მექსიკური რესტორანი, შეუძლია შეფმზარეულის ვაკანსიის დაკავების მსურველების წრე შეზღუდოს მხოლოდ ეთნიკური მექსიკელებით, ხოლო ფილმის პროდიუსერმა მოითხოვოს შავი

კანის ფერის მსახიობის მონაწილეობა ნელსონ მანდელას ცხოვრებასთან დაკავშირებული ფილმის გადაღებაში.

ქართულ კანონმდებლობაში დისკრიმინაციასთან ძირითადად დაკავშირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი - თანასწორობის ძირითადი უფლება, რომლის მიხედვითაც "ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა." საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ადგენს არა მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობის ძირითად უფლებას, არამედ კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს. ამ მუხლში არსებული ნიშნების ჩამონათვალი, ერთი შეხედვით, გრამატიკული თვალსაზრისით, ამომწურავია, მაგრამ ნორმის მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მხოლოდ მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა, რაც ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუციის მე–14 მუხლში ჩამოთვლილი ნიშნები არ არის ამომწურავი ხასიათის - დიფერენცირებული მდგომარეობის კონსტიტუციურობის შესაფასებლად არ არის აუცილებელი არსებობდეს კონსტიტუციაში ჩამოთვლილი დიფერენცირების რომელიმე ნიშანი. დისკრიმინაციის დადგენისას მნიშვნელოვანია თუ რა ნიშნით ხდება დიფერენცირება, რადგანაც კანონის წინაშე თანასწორობა არ ნიშნავს ყოვლისმომცველ თანასწორობას და გათანაბრებას, გარკვეული დიფერენცირების არსებობა დაშვებულია კონსტიტუციის მიერ. აქედან გამომდინარე, კონსტიტუცია მოითხოვს სახელმწიფოსგან, რომ ის თანასწორს მოეპყრას თანასწორად, ხოლო არათანასწორს მისი თავისებურების შესაბამისად არათანასწორად და განსხვავებულად. კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობების განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისათვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწოროებს პირიქით. დისკრიმინაციაზე საუბრისას მნიშვნელოვანია სწორედ იმის განსაზღვრა და გამოყოფა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო პრაქტიკის მიხედვით „მე-14 მუხლი კრძალავს არა მხოლოდ არსებითად თანასწორი პირების მიმართ უთანასწორო მოპყრობას, არამედ ის ასევე ახდენს იმის გარანტირებას, რომ არსებითად უთანასწორო პირები არ იქნენ განხილული ერთნაირად". ამასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ზოგადი და ნეიტრალური კანონი, თუ ის ითვალისწინებს ყველას მიმართ, მათ შორის არათანასწორთა მიმართ თანაბარ მოპყრობას, თავადვე არღვევს თანასწორობის პრინციპს." მნიშვნელოვანია იმის განხილვაც, თუ კონკრეტულად რომელი ნიშნით განხორციელებული დიფერენცირებული მოპყრობა ითვლება დისკრიმინაციად და როგორია უფლების დაცვის სფერო. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილია შემდეგი ნიშნები: რასა, კანის ფერი, ენა, სქესი, რელიგია, პილიტიკური და სხვა შეხედულებები, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილება, წარმოშობა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი. როგორც აღვნიშნეთ მე-14 მუხლში ჩამოთვლილი ნიშნები არ არის ამომწურავი, რაც საქართველოს საკონსტიტუციოს 2008 წლის შემდგომი პრაქტიკით დასტურდება. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განიხილა საქმე, რომელშიც, მოსარჩელეს აზრით, ადგილი ჰქონდა დიფერენციაციას დასაქმების ადგილის მიხედვით. აღნიშნული საქმე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ დისკრიმინაციად არ ცნო არსებითად თანასწორი პირების მიმართ დიფერენცირებული მოპყრობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა შეზღუდვის ფარგლები და აღნიშნა: „იმისათვის, რომ აღნიშნულ განსხვავებულ მოპყრობას ჰქონდეს კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართლება... სადავო ნორმის მიღებას უნდა ჰქონდეს საკმარისად წონადი, გონივრული და მნიშვნელოვანი მიზნები.

კანონმდებლის მოქმედება უნდა იყოს საგნობრივად გამართლებული, არათვითნებური და თანაზომიერი." საკონსტიტუციო სასამართლომ არსებული მიზნები განიხილა განსხვავებული მოპყრობის გონივრულ დასაბუთებად, ხოლო მიზნის მიღწევის საშუალება - არათვითნებურად და თანაზომიერად. შესაბამისად, სადავო ნორმა კონსტიტუციურად ცნო. კონსტიტუციის მე-14 მუხლი არის ზოგადი ნორმა და მოიცავს "ყველა ადამიანს", ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლის დაცვის სფეროში ხვდებიან მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები - მოქალაქეების ნებისმიერი სახის დიფერენცირება ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, ან ენობრივი ნიშნით გაუმართლებელია. ისინი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და მათ აქვთ უფლება თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ. კონსტიტუციის 38-ე მუხლთან

დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა მიანიშნებს, რომ აღნიშნული დებულება საქართველოს მოქალაქეებს დისკრიმინირებული მოპყრობისგან იცავს მხოლოდ ამ მუხლში ამომწურავად ჩამოთვლილ ნიშნებთან მიმართებით. კონსტიტუციის მეორე თავში მოცემული ადამიანის ძირითადი უფლებები, თავიანთი შინაარსის გათვალისწინებით იცავს „ყველა ადამიანს“ და „ყველა მოქალაქეს“, რაც ერთი შეხედვით მიუთითებს იმაზე, რომ ამ ნორმათა მოქმედების სფერო ვრცელდება მხოლოდ ფიზიკურ პირთა უფლება–თავისუფლებებზე. თუმცა, კონსტიტუციის 45–ე მუხლი ადგენს, რომ „კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე“. ეს კი ნიშნავს იმას, რომ იურიდიულ პირებს, მსგავსად ფიზიკური პირებისა, კონსტიტუციურად აქვთ გარანტირებული თანასწორობის ძირითადი უფლება და, შესაბამისად, შეუძლიათ გამოიყენონ დისკრიმინაციისაგან დაცვის სამართლებრივი მეთოდები. საკონსტიტუციო სასამართლომ 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილებაში განსაზღვრა, რომ სასამართლოს მიდგომა დიფერენცირების კონსტიტუციურობის შეფასებისას ვერ იქნება ერთგვაროვანი ნებისმიერი ტიპის ურთიერთობის მიმართ. სწორედ ამიტომ სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაციის შეფასების კრიტერიუმები. პირველი არის ეგრეთ წოდებული მკაცრი შეფასების ტესტი, რომელიც ნორმას აფასებს თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, ამასთან, „მკაცრი ტესტის“ ფარგლებში ლეგიტიმური მიზნის დასაბუთებისას საჭიროა იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არის აბსოლუტურად აუცილებელი, არსებობს „სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი“. დანარჩენ შემთხვევაში კი მკაცრის ტესტის გამოყენების საჭიროებას სასამართლო ადგენს დიფერენციაციის ინტენსივობის ხარისხის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუკი დიფერენციაციის ინტენსივობა მაღალია გამოიყენება შეფასების მკაცრი ტესტი, ხოლო ინტენსივობა თუკი დაბალია, სასამართლო იყენებს „რაციონალური დიფერენციაციის ტესტს“, რომლის მიხედვითაც: ა) საკმარისია დიფერენცირებული მოპყრობის რაციონალურობის დასაბუთება, მათ შორის, როდესაც აშკარაა დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, გარდაუვალობა ან საჭიროება; ბ) რეალური და რაციონალური კავშირის არსებობა დიფერენციაციის ობიექტურ მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის. ამრიგად, სასამართლო დიფერენცირებული მოპყრობის კონსტიტუციურობის შეფასებისას იყენებს ორ განსხვავებულ ტესტს, ხოლო საკითხი, თუ რომელი ტესტის საფუძველზე შეაფასებს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩარევას, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ნიშნით ხდება დიფერენცირება და რამდენად მაღალია ჩარევის ინტენსივობა...

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით მომზადდა კანონპროექტი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც საქართველოს იუსტიციის მინისტრის განცხადებით „თავს მოუყრის საქართველოს სხვადასხვა კანონებში არსებულ ანტიდისკრიმინაციულ ნორმებს და ერთი კანონის ქვეშ გააერთიანებს. ეს კანონპროექტი მიზნად არ ისახავს ახალი უფლებების მინიჭებას ადამიანებისთვის, არამედ დაიცავს იმ უფლებებს, რომელიც კანონით მათ უკვე ისედაც აქვთ.“ კანონპროექტი განსაზღვრავს დისკრიმინაციის ცნებას, კანონის მოქმედების სფეროს, ჩამოთვლის იმ ძირითად ნიშნებს, რომელთა საფუძველზეც აკრძალულია დისკრიმინაცია, ასევე განმარტავს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელ ღონისძიებებს. კანონპროექტის მიხედვით იქმნება დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი სუბიექტი - თანასწორობის დაცვის ინსპექტორი. კანონში გაწერილია ინსპექტორის არჩევის და დანიშვნის პროცედურები, მისი უფლება-მოვალეობები, უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები და სხვა. აღსანიშნავია, რომ თანასწორობის დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილებები გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე სახალხო დამცველისა, მაგალითად, მას შეუძლია გამოსცეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ დადგენილება და დააჯარიმოს უფლების დამრღვევი პირი. აღნიშნული ინიციატივა მისასალმებელია და იგი დისკრიმინაციის აკრძალვის უზრუნველსაყოფად წინგადადგმულ ნაბიჯად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

ლიტერატურა:

1) საქართველოს კონსტიტუცია
2) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ
3) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
4) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
5) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
6) ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013.

7) ზ. ადეიშვილი, ს. ვინტერი, დ. ქიტოშვილი , საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2002.
8) საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში

რელიგიური ტოლერანტობა საქართველოში

გვანცა ხაბელაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **დავით კვერნაძე,** ასისტენტი

სიტყვის, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი საყრდენია. მას უდიდესი წვლილი შეაქვს რელიგიური და, საერთოდ, კულტურული პლურალიზმის დამკვიდრებაში, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია საზოგადოებრივი მშვიდობა და ჰარმონია. ერთი მხრივ, პოლიტიკური თუ მსოფლმხედველობრივი დოქტრინების ადამიანებზე იძულებითმა თავსმოხვევამ, იდეოლოგიურმა წნეხმა და თავისუფალი აზრის ჩახშობამ, ხოლო მეორე მხრივ, ქსენოფობიამ და შეუწყნარებლობამ აუნაზღაურებელი ზიანი მოუტანა ევროპას გასულ საუკუნეში. ამიტომ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოებამ კურსი აიღო ადამიანის უფლებათა დაცვის, ტოლერანტიზმის დამკვიდრებისა და ინტერკულტურული დიალოგის გაღრმავებისაკენ. რელიგიური ტოლერანტიზმი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის.

„ტოლერანტიზმი ესაა, თავისუფლება მრავალფეროვნებაში“. ეს არის ადამიანის შესაძლებლობა აღიაროს, პატივი სცეს სხვა ადამიანის რწმენასა და ღირებულებებს. იგი არა მხოლოდ მორალური ღირებულებაა, არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნაა, რომლის დარღვევა შეიძლება ჩაითვალოს, როგორც რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია. ტოლერანტობიდან დისკრიმინაციამდე ხშირად მხოლოდ ერთი ნაბიჯია. ამ ნაბიჯის გადადგმის ზღვარზე ძირითადად ისეთი სახელმწიფოს მოქალაქეები აღმოჩნდებიან, სადაც რელიგიური მრავალფეროვნებაა. საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა. საუკუნეების მანძილზე ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად ცხოვრობდნენ და თანაარსებობდნენ სხვადასხვა რელიგიისა და ეთნოსის ადამიანები.

უცნაურია, ერთი შეხედვით საქართველოში რელიგიური დაპირისპირების მოტივი არ არსებობს. ამ მხრივ კანონი, საქართველოს კონსტიტუცია არეგულირებს ნორმებს. ქვეყნის არაერთ ქალაქში ერთმანეთის გვერდიგვერდ მშვიდობიანად თანაარსებობს, როგორც მართლმადიდებლური ეკლესია, ისე სინაგოგა, მეჩეთი თუ კათოლიკური ტაძარი. თუმცა, როგორც აღმოჩნდა კანონი ფურცელზევე დაწერილად რჩება, ხოლო ტოლერანტობა სხვა რელიგიის მიმართ ხანდახან მოჩვენებითია და სხვა არაფერი.

ყველა დემოკრატიულ საზოგადოებაში რელიგიური თავისუფლებანი გამორჩეულადაა დაცული. მას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამედროვე ეპოქაში, რამდენადაც აშკარად გამოიკვეთა რელიგიის გავლენა გლობალურ თუ რეგიონულ პოლიტიკაზე. რელიგიური დემოგრაფიის სერიოზულმა ცვლილებებმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კიდევ უფრო აქტუალური გახადა რელიგიური შემწყნარებლობის სულისკვეთების კიდევ უფრო გაღვივება. ევროპულ ქვეყნებში ამ თავისუფლებათა დაცულობის სტანდარტი ძალიან მაღალია და იგი მნიშვნელოვნად აღემატება დანარჩენ მსოფლიოში არსებულ შესაბამის სტანდარტებს. საქართველოში ამ თავისუფლებათა დაცულობა არ ჩამოუვარდება საერთო-ევროპულ სტანდარტს. საქართველოს კონსტიტუციაში ისინი ერთი მხრივ, აღიარებულია მე-19 მუხლით, როგორც ადამიანის ძირითადი თავისუფლებანი, ხოლო მეორე მხრივ, განმტკიცებულია კონსტიტუციის სხვა მუხლებით, უწინარეს ყოვლისა, კონსტიტუციის მე-9 მუხლით, რომლის მიხედვითაც „სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და რელიგიის სრულ თავისუფლებას,” რაც იმის დადასტურებაა, რომ რწმენისა და რელიგიის თავისუფლება ერთ-ერთი ის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური პრინციპია, რასაც ქართული სახელმწიფო ემყარება.

გლობალური მასშტაბით, რელიგიური ტოლერანტიზმი ერთ-ერთი პრობლემური თემაა არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც. მაგალითისთვის გამოდგება ჩინეთი, სადაც სახელმწიფო რელიგიის გარდა სხვა რჯულის აღმსარებელი ხალხი ან სახელმწიფო ტერორის, ან სამოქალაქო საზოგადოების წნეხის ქვეშ ცხოვრობს. ჩვეულებრივ, რელიგიურ ფონზე მოქალაქეთა დაპირისპირება ისლამის შემთხვევაში ხდება, თუმცა არა ყოველთვის მხოლოდ ამ რელიგიის ირგვლივ. მსოფლიოს მასშტაბით ისლამოფობიური შინაარსის მქონე მრავალი მოვლენა გვხვდება. ცუდის მანიშნებელია, მაგრამ ფაქტია, რომ არსებობენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც ისლამოფობიური იდეების გამტარებლები არიან.

საქართველო ეთნიკური, კულტურული და რელიგიური თვალსაზრისით მრავალეროვანი ქვეყანაა. ეს სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებასა და ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას. საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს:

"საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, მათ უფლება აქვთ, თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე, განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ" (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 38.1).

როგორც ქართული კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო ნორმების მიხედვით ეროვნულ უმცირესობებს უნდა მიეცეთ უფლება, თავისუფლად ეზიარონ თავიანთ კულტურას, რელიგიას. სახელმწიფო კი იღებს ზომებს, რათა კანონის წინაშე სრული თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ უმცირესობათა ყოველი წარმომადგენლისთვის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზაცია. ამ ძირითად თავისუფლებათა და უფლებათა დაცვაში შედის რწმენის თავისუფლება. რწმენის თავისუფლება არის ადამიანის უფლება სურვილისამებრ შეიცვალოს, აღიაროს ნებისმიერი რელიგია და გამოხატოს რწმენა. რელიგიური თავისუფლება, როგორც საზოგადოებრივ-სუბიექტური უფლება კი იცავს პირს ხელშეუხებლობისგან, აღჭურავს მოქალაქეებს კონკრეტული უფლებებით, სწამდეთ რომელიმე რელიგია, გაერთიანდნენ რწმენისა და ერთობლივი აღმსარებლობის მიზნით. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებს. კონსტიტუციის მე-9 მუხლის მიხედვით: "სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას". კონსტიტუციის მე-9 მუხლი ასახავს უმნიშვნელოვანეს უფლებებს: 1) ყველა ადამიანს აქვს სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება; 2) დაუშვებელია ადამიანის დევნა აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავის შეხედულება მათ შესახებ; 3) დაუშვებელია ამ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

საქართველოს კონსტიტუცია აცხადებს რწმენისა და რელიგიის თავისუფლებას, თუმცა დღეს ქვეყანაში არსებული რეალობა მკვეთრად განსხვავდება როგორც კონსტიტუციით, ისე სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებით დეკლარირებული ნებისაგან. პრობლემას სწორედ ამ დეკლარირებული უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებისას ვაწყდებით, რაც საჭიროებს ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების (და არა მარტო მათი) მხრიდან რეაგირებას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს ნებისმიერი რელიგიური აღმსარებლობის ქადაგებაში ჩარევას, პიროვნების დევნას რელიგიური ნიშნით ან მისი აღმსარებლობის გამო. კრძალავს რელიგიური ორგანიზაციის ჩამოყალიბებისათვის ხელის შეშლას.

საზოგადოების არატოლერანტულობა რელიგიური უმცირესობების მიმართ არ შეიცვლება მხოლოდ კანონების მიღებით. მოქალაქეებს სრული უფლება აქვთ, არ მოსწონდეთ სხვადასხვა რელიგიური დაჯგუფებები, მაგრამ თუ თავიანთ ანტიპატიას საჯაროდ გამოხატავენ და მორწმუნეების კონსტიტუციურ უფლებებს შელახავენ, სახელმწიფო ვალდებულია გამოექომაგოს მათ და გაატაროს შესაბამისი სანქციები, ასეთ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს ფართო საგანმანათლებლო პროგრამებს, საზოგადოების მხრიდან ისეთი საკითხების ჯანსაღად აღქმას, როგორიცაა რელიგიური მრავალფეროვნება და სხვათა უფლებების პატივისცემა. ადამიანის უფლებებზე საუბრისას უნდა გვესმოდეს ერთი ბუნებრივი კანონი, რომ ჩვენი უფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი.

ლიტერატურა:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, „ბონა კაუზა", 2009.
2. ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, 2010.

3. იზორია ლევან, კორკელია კონსტანტინე, კუბლაშვილი კონსტანტინე, ხუბუა გიორგი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები (ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი), 2005.
4. საქართველოს კონსტიტუცია

ქართული ენა

იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენის გრამატიკის ზოგიერთი საკითხი

მარიამ კოჩუაშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ელენე ხოჯევანიშვილი**, პროფესორი

ფასდაუდებელია იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი არა მხოლოდ „დედა ენის“ განუმეორებელი სახელმძღვანელოს შექმნაში, არამედ ქართული სალიტერატურო ენის მსახურებაში. იაკობ გოგებაშვილი ქართული ენის გრამატიკული სისტემის კვლევისას უმთავრესად მართებულ პოზიციაზე დგას, „პრინციპულად ეწინააღმდეგება ქართული ენის გრამატიკული წყობის განხილვას უცხო ენათა სტრუქტურის მიხედვით და მოითხოვს ენის კანონების შემუშავება-დადგენას მშობლიური ენის შინაგან ბუნებასა და თვისებებზე დაყრდნობით“. [4: 97] გოგებაშვილმა კარგად იცოდა ფასი დედა ენისა. მშობლიურ მეტყველებას ის სულის ენას უწოდებდა, სხვა ენების ცოდნას თვლიდა მეხსიერების მონაპოვრად. გოგებაშვილი მოგვიწოდებს სხვა ენების შესწავლისაკენ, მაგრამ მშობლიური ენის შესწავლის შემდეგ და მხოლოდ მის ბაზაზე. [3: 59] დღევანდელი ქართული ენის ის ჟღერადობა, ფრაზის ის მოქნილობა, აზრის გამოთქმის შესაძლებლობა და ქართული სიტყვის იმ მომხიბლავ სიმარტივესთან ერთად სიღრმე და სუნთქვა ხომ იაკობ გოგებაშვილის წყალობაც არის [3: 7].

იაკობ გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გრამატიკას, როგორც მეცნიერებას. მას გადაუდებლად მიაჩნია ენის უტყუარ კანონებზე დაფუძნებული გრამატიკის შექმნა და წუხდა იმის გამო, რომ „ჩვენი გრამატიკა, როგორც თეორიული მეცნიერება, ძალიან ნაკლებად არის შემუშავებული“ - [4: 97]. „ჩვენი გრამატიკა, როგორც თეორიული მეცნიერება, ძალიან ნაკლებად არის შემუშავებული და მოგაგონებთ დაბურულს და გაუვალს ტყესა“ [1: 89] - წერს ი. გოგებაშვილი ერთ-ერთ წერილში და ქართული ენის სტრუქტურის შესწავლას უდიდეს და გადაუდებელ საქმედ მიიჩნევს. მართალია, ი. გოგებაშვილი ენის შესწავლის საუკეთესო ღონისძიებად პოეზიისა და სიტყვაკაზმული პროზის გაცნობას სახავს, მაგრამ არც გრამატიკის გარკვეულ როლს გამორიცხავს ამ მნიშვნელოვან საქმეში. მისი აზრით „გრამატიკა არის დამხმარებელი ღონისძიება, რომელიც სარჩულად დაედება პრაქტიკულს ცოდნასა... და გრამატიკამ რომ ეს სამსახური გაგვიწიოს, იგი უნდა იყოს შედგენილი ცოდნით და მარჯვედ იპყრობდეს უტყუარს კანონებს ენისასა“ [1: 90]. ასეთ პასუხისმგებლობას უყენებს ი. გოგებაშვილი გრამატიკის შემდგენელს და თვითონაც დიდ დაკვირვებას და სიფრთხილეს იჩენს გრამატიკულ საკითხებზე მსჯელობისას. გოგებაშვილმა თავს იდვა ეს უაღრესად საპასუხისმგებლო მძიმე ტვირთი და „ენის უტყუარ კანონებზე „დაყრდნობით შეადგინა „მოკლე გრამატიკა ქართული ენისა“ [4: 80].

ქართული ენის წესების საფუძვლიანი ცოდნა, წინამორბედთა მოსაზრებებისადმი კრიტიკული მიდგომა და მეცნიერულად სწორი პრინციპებით ხელმძღვანელობა ი. გოგებაშვილს საშუალებას აძლევდა სწორად გადაეჭრა ქართული გრამატიკის ბევრი სადავო საკითხი.

ი. გოგებაშვილის მიერ ქართული ენის შესწავლის სფეროში მოღვაწეობიდან აღსანიშნავია მისი რამდენიმე თეორიული ხასიათისა და პრაქტიკული მნიშვნელობის წერილი და დაუმთავრებელი გრამატიკა. ი. გოგებაშვილს მუშაობა გრამატიკის შედგენაზე დაუწყია ოთხმოციან წლებში, მაგრამ არ დაუსრულებია, რადგანაც, როგორც თვითონ აღნიშნავს „შევიტყვე, რომ ბატონმა ჟორდანიამ და ბატონმა ქუთათელაძემ ქართული გრამატიკები შეადგინესო“ [2: 121]. ამ პირებს ი. გოგებაშვილი ავტორიტეტულ

სპეციალისტებად თვლიდა, თვითონ კი ჯერ სათანადოდ თავს მომზადებულად არ მიიჩნევდა. ჩანს, 1880 წლიდან 1886 წლამდე იაკობი ენერგიულად მუშაობდა ქართული ენის გრამატიკის საკითხებზე. 1886 წელს გამოქვეყნებული სტატიების ანალიზი უცილობლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ იგი რიგი გრამატიკული საკითხების გარკვევისას გასცდა თავისი დროის გრამატიკოსებს. იგივე შეიძლება ითქვას 1894 წელს დაწერილ პოლემიკური ხასიათის წერილების შესახებაც.

ი. გოგებაშვილს გამოთქმული აქვს მოსაზრებანი, როგორც თეორიული მნიშვნელობის, ისე საკითხებზე, რომლებიც „ყოველ-დღიურს საჭიროებას შეადგენს“, ენის სიწმინდის დაცვას ემსახურება.

გოგებაშვილის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან პირველმა დაადგინა ბრუნვათა რაოდენობა და რიგი, როგორც ეს თანამედროვე ქართულ ენაშია. თავის ხელნაწერ გრამატიკაში ი. გოგებაშვილი ძირითადად შვიდ ბრუნვას გამოყოფს. ეს ბრუნვებია: **სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოთხრობითი, მოქმედებითი, ცვლილებითი და წოდებითი.** ადამიანის საკუთარი სახელებისათვის ავტორი დამატებით გამოყოფს ე.წ. **მყოფობით** ბრუნვას, რომელიც თავდება მხოლობით რიცხვში მარცვლებით: **ისას** და მრავლობითში მარცვლებით - **თასა**. ეს ბრუნვა აჩვენებს მყოფობას რომელიმე პირთან [1: 222]. ამგვარი ფორმა ზურაბ შანშოვანსაც აქვს შეტანილი ბრუნვათა რიგში. ამ ბრუნვას ის სამეტყველოს უწოდებს **(კაცისას).** ეს ბრუნვა შემდგომში გრამატიკოსებიდან მხოლოდ დ. ჩუბინაშვილმა გამოყო. მ ნასიძემ ეს ფორმა ზმნიზედად მიიჩნია. 1886 წელს დაბეჭდილ საგრამატიკო ხასიათის წერილში ი. გოგებაშვილი წერს: **„მეზობლისასა“ -** ამ ფორმას პროფესორი ჩუბინაშვილი თვლის ჩვეულებრივ ბრუნვად, მ. ნასიძემ მიიჩნია ზმნიზედად. ჩვენი აზრით ერთიც შემცდარია და მეორეც... „საქმე ის არის“ - განაგრძობს გოგებაშვილი - „რომ ეს ფორმა გახლავთ ერთგვარი რთული, ორკეცი ბრუნვა, რომელიც შეადგენს ქართული ენის ერთ განსაკუთრებულ თვისებას“. ჩვენს ენაში ნათესაობით ბრუნვას აქვს მნიშვნელობა ზედშესრულისა და ი. გოგებაშვილი მყოფლობითი ბრუნვის ქვეშ მხოლოდ ადგილს გულისხმობს, - ჩუბინაშვილი ადგილს და კუთვნილებას. იბრუნვის ისე, როგორც დასაბამითი სახელი. **სახელი უფლისა, სახელსა უფლისასა, სახელთა უფლისათა, სახელო უფლისაო, სახელნი უფლისანი და სხვა**. გამოდის, რომ „მეზობლისას“ არის მიცემითი ფორმა ნათესაობითი ბრუნვისა და ერთი სიტყვით ჰხატავს ორი სიტყვის აზრს: „მეზობლის სახლში“. ამგვარად ი. გოგებაშვილმა თავდაც უარჰყო მყოფობითი ბრუნვა და მოგვცა ამ ფორმის სწორი ახსნა.

ავტორის საბოლოო აზრით ქართულში შვიდი ბრუნვაა. ეს ის ბრუნვებია, რომლებიც დღესაც აღიარებულია ქართულ ენაში. აღსანიშნავია, რომ სადავო გახდა ვითარებითი, მოქმედებითი და წოდებითი ბრუნვის ფორმები.

ვითარებით ბრუნვას სხვა ბრუნვებთან შედარებით მოკლე ისტორია აქვს. პირველად ეს ბრუნვა გამოყო მ. ბროსემ და მას მოდალობითი უწოდა. მას შემდეგ დ. ჩუბინაშვილმა და ი. გოგებაშვილმა. დ. ყიფიანმა ისევ გამორიცხა ვითარებითი ბრუნვა ბრუნვათა რიცხვიდან და ეს ფორმა ზმნიზედად მიიჩნია, რადგან, მისი აზრით **„ად“** დაბოლოება ამსგავსებს ამ ბრუნვას ზმნიზედას. ამ მოსაზრებას იზიარებდა დ. ყიფიანიც და მ. ნასიძის მიერ ვითარებითი ბრუნვის უარყოფაზე წერს, რომ „თუ რომელიმე მარცვალი თავისთავად უმნიშვნელოა, შეგიძლიათ მიაბათ ყოველს სახელს, არსებითს, ზედ-შესრულს, რიცხვით-სახელს და ნაცვალსახელს და მისცეთ ამით ერთი და იგივე მნიშვნელობა, ეს იმისი უტყუარი ნიშანია, რომ ეს მარცვალი აუცილებლად არის დაბოლოება ბრუნვისა „სწორედ „ად“ მარცვალი ასრულებს ამ მოვალეობას“.

„ზმნიზედის ერთი თვისება მდგომარეობს იმაში, რომ მას ვერ შეეთანხმება, მეტადრე ბუნებრივად, ვერცერთი სახელი. ავიღოთ, მაგალითად ნამდვილი ზმნიზედა **„გარდიგარდმო“**. აბა სცადეთ დაკავშირება მასთან რომელიმე სახელისა გინდათ თავში, გინდ ბოლოში და დარწმუნდებით, რომ ეს ყოვლად შეუძლებელია. მივმართოთ ახლა საცილობელ ფორმას და მაგალითად ავიღოთ სიტყვა - „ბაღად“. რომელ სახელთანაც გნებავთ, ყველასთან დავაკავშირებთ მას. **დიდ ბაღად, პატარა ბაღად, ჩემ ბაღად, ორ ბაღად და სხვანი“**

ავტორი იმის დასამტკიცებლად, რომ არსებითი სახელი, დაბოლოებული მარცვალზე - ად, არ შეიძლება იყოს ზმნიზედა, რომ „სრულად სხვადასხვა სამსახურს ეწევიან წინადადებაში ნამდვილი ზმნიზედანი და სახელი-არსებითნი, რომელნიც თავდებიან ხსენებული მარცვლით“, განიხილავს შემდეგ ორ წინადადებას:“ 1. სალომე ცეკვავს მშვენივრად. 2. თოვლი იქცა წყლად“ პირველ წინადადებაში ჭეშმარიტი ზმნიზედა „მშვენივრად“ უგებს კითხვაზედ როგორ ცეკვავს, და შეადგენს სახეს მოქმედებისას. ეს ზმნიზედა რომ გამოვაკლოთ წინადადებიდან სრული აზრი მას მაინც შერჩება. მეორე „წყლად“ უგებს კითხვაზედ რად იქცა, და შეადგენს შემავსებელ სიტყვასა. წინადადებამ რომ ეს სიტყვა დაკარგოს, მასთან სრულ აზრსაც მოაკლდება“. ამ საბუთების შემდეგ, „ჩვენ ის მათემატიკური აქსიომასავით ცხადია, რომ გამოკვლეული ფორმა შეადგენს ნამდვილს-თვით-მყოფელს ბრუნვას-ო“. - დასძენს საბოლოოდ ი. გოგებაშვილი.

მ. ბროსე ამ ბრუნვას მოდალობითს უწოდებს, დ. ჩუბინაშვილი მეორე მოქმედებითს, ი. გოგებაშვილი ამ სახელწოდებას რუსული ენის გავლენას მიაწერს. რუსულ ენაში, როგორც ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, ამ ბრუნვის მსგავსი ფორმა არ არსებობს და მის ფუნქციას ასრულებს მოქმედებითი ბრუნვა. ი. გოგებაშვილს მიაჩნია, რომ რადგანაც ეს ფორმა, უმეტესწილად, აღნიშნავს საგნის გარდაქცევას, სხვა რადმე გადასხვაფერებას, ერთი სიტყვით ცვლილებას, ამიტომ მას უნდა დაერქვას ცვლილებითი ბრუნვა.

მ. ნასიძე დამოუკიდებელ ბრუნვად არ მიიჩნევდა არც მოქმედებითს, რადგანაც ავტორის აზრით, მას საკუთარი დაბოლოება არ აქვს და „თურთ“ თანდებულისაგან სესხულობს ფორმასო.

გოგებაშვილმა სამართლიანად აღნიშნა, რომ მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი არის - ით, ხოლო თანდებულია, რომელიც შედის სიტყვაში „ერთურთი“. მოქმედებითი ბრუნვის ფორმას ცალკე დაერთვის სხვა თანდებულიც. მაგ.: პირველ-ით-გან, გარდა ამისა, ი. გოგებაშვილი მიუთითებს ხმოვანფუძიან სახელთა კვეცაზე მოქმედებითში. მაშ-ით, გზ-ით და ამით კიდევ უფრო ნათელყოფს, რომ ეს ფორმები არ წარმოადგენს „თურთ“ თანდებულიან სახელობით ბრუნვას. თან დასძენს: ახალ ქართულ ენას ეჩოთირება თურთ და დედითურთ ფორმის ნაცვლად იხმაროს „დედიანად“. ავტორის დასკვნა ასეთია: „მეხუთე საუკუნიდან დაწყებული - ით მოქმედებითი ბრუნვის წმინდა დაბოლოებაა და აზრადაც არავის მოსვლია მისი თანდებულად შერაცხვა... კიდეც რომ დამტკიცებულ იქნას მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოების წარმოშობა თანდებულიდან „თურთ“, მაშინაც ვერ გაუქმდება ეს ბრუნვა. ამ გზას რომ დავადგეთ, ყველა ბრუნვას გავაუქმებთ. აღმოჩნდება, რომ მოთხრობითი ბრუნვის დაბოლოება არის ნაცვალსახელი „მან“ და ეს ბრუნვაც ჩაილულის წყალს დალევს“ [1: 163-164].

დ. ყიფიანი უარყოფდა აგრეთვე წოდებით ბრუნვასაც იმ მოსაზრებით, რომ დაბოლოება ამ ფორმისა მიაჩნდა თანდებულად. ი. გოგებაშვილი წოდებითი ბრუნვის დაბოლოების შესახებ ორ ჰიპოთეზას წარმოგვიდგენს: ის „არის ან უკანასკნელი ასო შემოკლებული ზმნისა - თქო- ან არა და შორისდებული, რომელსაც მარტოდ-მარტო ყოფნა მოსწყენია და მიჰკედლებია სახელებსა“. მას მიაჩნია, რომ ასეა თუ ისე, როგორი წარმოშობისაც არ უნდა იყოს აღნიშნული ო ხმოვანი, ის ნამდვილი ბრუნვის დაბოლოებაა. იგი ისე მოკლედ და კოხტად ებმის ბოლოზედ ყოველს სახელს და ისეთს განსაკუთრებულს მნიშვნელობას აძლევს მას, რომ წოდებითი ბრუნვის არ არსებობას ფიქრიც არ აქვს.

საბოლოოდ ი. გოგებაშვილი დასძენს, რომ ამის შემდეგ ყოველი გონიერი ქართველი, ყოველი შეგნებული მასწავლებელი აღიარებს, ირწმუნებს არა ათს ბრუნვას ბროსესავით, არა რვას - ანტონი კათალიკოსის, მისი მიმდევრებისა და პროფესორის ჩუბინაშვილისავით, არა ექვსსა პლატონ იოსელიანისავით, არა ოთხსა ბატონი დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანივით და არც ხუთსა ბატონი ნასიძესავით, არამედ შვიდსა ჩვენი საბუთებისა და მოსაზრებების მიხედვით: „ადამიანი, ადამიანისა, ადამიანმა, ადამიანით, ადამიანად, ადამიანო“. ი. გოგებაშვილის ეს დასკვნა დღესაც ძალაშია.

ენის სიწმინდის დაცვის საქმეს ემსახურება ისეთი საკითხები, როგორიცაა: ვითარებითი ბრუნვის ნიშნის მართლწერა, ფორმების, ტყიდან, ქალაქიდან მართებულად მიიჩნევა, მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ბრუნვაში, ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში, გარემოების ადგილი წინადადებაში და სხვა.

წერილში „საგრამატიკო ბაასი“ ი. გოგებაშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ცვლილებით ბრუნვას აბოლოებენ დ-ონის მაგივრად თან-ზედ ან თ-ზე და სწერენ: „ბაღათა, სანთლათა, თევზათა და დასძენს, რომ ცვლილებითი ბრუნვა ყოველთვის უნდა ბოლოვდებოდეს მარცვლით ად ან დ, და იწერებოდეს : მდინარედ, კალოდ და სხვა.

სადაო გახდა -გან თანდებულიანი ფორმებიც. მ. ნასიძეს მიაჩნია, რომ ყოველი -გან თანდებულიანი სახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა. აქედან გამომდინარე „პირველიდგან“ არის ნათესაობითი ბრუნვა, რომელიც მიღებულია ამგვარად: პირველი → პირველადგან → პირველიდგან. ი გოგებაშვილი განმარტავს, რომ - გან დაერთვის ხან ნათესაობით ბრუნვის ფორმას (ძმისგან) და ხან მოქმედებითს (თბილისითგან). უკანასკნელ ფორმაში -თ შეიძლება შეიცვალოს დონით; თბილისიდგან მისი აზრით „ახალი დროის ჩვეულებას აქვს შესაწყნარებელი საბუთი კეთილხმოვანების მხრივ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ამ გვარად ვამოკლებთ ბრუნვის დაბოლოებას: ტყიდან, ქალაქიდან, ვენახიდან. სრული ფორმის ხმარების დროს კი საჭიროა ფონეტიკასა და მართლწერას არ ვუღალატოთ [1: 114]. წერილში „ორაზროვანი კილო ჩვენს პრესაში“ ი. გოგებაშვილი „კვალის“ რედაქციას უკიჟინებს ორაზროვანი ფორმების ხმარებას. ორაზროვნებას იწვევს ზმნებში ნენ - დაბოლოების ნაცვლად ენ - დაბოლოების ხმარება და ზმნის თავში ჰ, ს პრეფიქსების უგულებელყოფა. მაგალითები ასეთია: სწორია: ავიდენ მე ბოლსა, უმართებულოა: ავიდენ ისინი ზევით. უმართებულოა: ადგენ სტუმრები ზეზე. სწორია: ადგენ წიგნს, **ჰყვავის** ზმნაა, ხოლო **ყვავის** სახელია ნათესაობით ბრუნვაში.

მართალი იყო გოგებაშვილი, როდესაც მოითხოვდა გარკვეულ ზმნებთან ნენ დაბოლოებას, მაგრამ დასაბუთება მისი აუცილებლობისა არ იყო მართებული. გარკვეული მოსაზრება გამოთქვა მან მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში შეთანხმების შესახებ. მიაჩნია, რომ „სრული შეთანხმება სიტყვებისა არის თვისება გაფურჩქვნილის ენისა“ „მართალია ზოგი დასართავი სიტყვა ვერ იმშვნევს დაბრუნებას სახელი არსებითთან“ [1: 356], მაგრამ, სადაც ეს შესაძლებელია უნდა მოხდეს სრული შეთანხმება. მაგ.: ქართულისა ენისა, ქართულსა ენას, ქართულთა ენათა, ქართული ენით, ქართული ენა და სხვა.

მოქმედებითი ბრუნვის შესახებ შენიშნავს, რომ ,,ამ ბრუნვის დაბოლოებას (ით) აკლდება ერთი ასო -თ, თანახმად ქართულის ყურის მოთხოვნილობისა და ხალხის გამოთქმისა“ დასაშვებად არ მიაჩნია ამ შემთხვევაში ბრუნვის დაბოლოების სრული ჩამოკვეცა [1: 357].

ჯერ კიდევ 1868 წელს, ი. გოგებაშვილი დაინტერესებულია სახელთან ზმნის რიცხვში შეთანხმების საკითხით, „ბუნების კარის“ წინასიტყვაობაში ის წერს: „ქართული ენა ჯერ თვის კალაპოტში არ არის ჩავარდნილი და გრამატიკული ფორმები დამდგარნი არ არიან, მე მხოლოდ ერთს მაგალითს ვუჩვენებ, როცა წინადადებაში არსებითი სახელი მრავლობით რიცხვზედ არის, ზმნაც ამ რიცხვზედ უნდა იხმარებოდეს, თუ არა არსებითი, არც ზმნა შეგვხვდება მრავლობით რიცხვში, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ეს ასე არ არის. მაგალითად, ამბობენ, სკამები დგას და არა დგანან, სანთლები ანთია და არა ანთიან... რა კანონს მოსდევს ეს ბოლო ფორმა და როდის უნდა იხმარებოდეს, ეს ძნელი გამოსარკვევია, მაგრამ შემდგომ მიუთითებს რა რ. ერისთავს წინადადებაში „ძაღლები ღრინავს“ შეთანხმების დარღვევაზე, შესანიშნავად აყალიბებს ქვემდებარესთან შემასმენილის რიცხვში შეთანხმების წესს: შემასმენელი მხოლობით რიცხვშია, თუ ქვემდებარე მრავლობითშია, მაგრამ უსულო საგანია; თუ ქვემდებარე სულიერი საგანია, მაშინ რიცხვში შეთანხმებაა. მაგ: არ შეიძლება ითქვას - კაცები მოდის.

აკაკი წერეთელთან კამათისას იაკობი სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად შეეხო გარემოების ადგილსაც წინადადებაში. მან დაბეჯითებით მოითხოვა, რომ წინადადებას „ დედა- მიწის ზურგზედ ადამიანზედ უფრო უსამართლო და გაუტანელი ცხოველი არ მოიპოვება“ ასეთი სახე მისცემოდა: „ ადამიანზედ უფრო უსამართლო და გაუტანელი არსება არ მოიპოვება დედამიწის ზურგზედ“ ე.ი. გარემოებას წინადადების ბოლოში მიუჩინა ადგილი.

იაკობ გოგებაშვილი არ იყო განათლებით ენათმეცნიერი, მაგრამ უტყუარი ალღო და ქართული ენის ბუნების მართებული გაგება საშუალებას აძლევდა სწორად გადაეჭრა ქართული ენის გრამატიკის ბევრი სადავო საკითხი. მისი დამსახურება ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში თვალსაჩინოა. ეს დამსახურება, რასაკვირველია, არა მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობისაა, არამედ მას სადღეისოდ აქტუალური მნიშვნელობაც აქვს.

ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი იაკობ, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1954.
2. იაკობ გოგებაშვილი, საიუბილეო კრებული; ვ. რამიშვილი, ქართული ენის სწავლების საკითხები იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მოძღვრებაში, თბ., 1960.
3. იაკობის სამრეკლო, ნიკოლოზ კანდელაკი, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1990.
4. ჭიკაძე როინ, ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა, თბ., 2014.

ადამიანის მოქმედება-მდგომარეობის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები ქართლურში

ნათია ოქრუაშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამ კობერიძე**, პროფესორი

ქართული ენა მდიდარი და მრავალფეროვანია თავისი ლექსიკური შემადგენლობით. ფრაზეოლოგიზმების სიმრავლე ენის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაზე მიუთითებს. ქართული ენის დიალექტები უხვ მასალას აძლევს სალიტერატურო ენას. ამ მასალის შეგროვება და შესწავლა მნიშვნელოვანია.

,,ლიტერატურულ ენას თავდაპირველად ერთი – პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული – კილო ედება. ასეთია ქართულისათვის ქართლური დიალექტი. ქართლური არის ქართული ენის დედადიალექტი. ქართული ენის კილოთა შორის ყველაზე უფრო მსხვილი დიალექტური ერთეული. მას უჭირავს საქართველოს ცენტრალური (შუაგული) ადგილი და ვრცელდება კახეთიდან იმერეთამდე, ე.ი. არაგვის და მტკვრის ხეობიდან ლიხის მთამდე (14, 172 - 290).

,,ფრაზეოლოგიზმები მოსწრებული გამოთქმების, ფრთოსანი სიტყვების, სიტყვის მასალების, ანდაზებისა და მისთ. სახითაა დამკვიდრებული ენაში და ფართო ადგილს იჭერს სიტყვა–პასუხში. მდიდრულადაა იგი აღბეჭდილი მხატვრულ ლიტერატურაში'' (13, 77).

,,ამა თუ იმ ეთნოსის (ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე მიღებული) ფრაზეოლოგიური ფონდი, საკუთრივ, მისი ისტორიული გამოცდილებს ანარეკლი, მოცემული კოლექტიური აზროვნებისა და ენის ორგანული ნაწილია. თანამედროვე არაბი მკვლევარი–ლექსიკოგრაფი მუჰამედ ალ–ბატალი ამ ფონდს ენის უნიკალურ მასალას უწოდებს და მისი კულტურის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს'' (6, 50).

თამაზ გამყრელიძე მყარ შესიტყვებათა სიმრავლეს შემდეგ არაერთგვაროვან ჯგუფებად ყოფს, ესენია: ,,იდიომები, ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, სამეტყველო შტამპები, ფრაზეოსქემები და ე.წ. ფრთიანი გამოთქმები. (ანდაზები, აფორიზმები და მისთ.).

არსებობს მოსაზრება, რომ ტერმინი ,,ფრაზეოლოგიზმი'' შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იდიომებს. იდიომატური გამოთქმები წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმების ერთადერთ თუ არა, ყოველ შემთხვევაში ერთ–ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს'' (4, 76).

ალ. ონიანის აზრით: ,,იდიომი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან idioma, რაც ,,თავისებურებას'' ნიშნავს. ამჟამად ამ ტერმინით აღინიშნება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ერთი ტიპი. იდიომი არის შესიტყვების ფორმის მქონე დაუშლელი ლექსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან. (8, 5 - 7).

ალ. ღლონტი აღნიშნავს, რომ: ,,ამ ცნების გაგების საკითხში მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ყველაზე ზოგადი და ჩვენი აზრით, სწორი იქნება შემდეგი: იდიომი სპეციფიკური სიტყვათშეერთებაა, რომელიც სხვა ენაზე ზუსტად არ ითარგმნება. იდიომში გაერთიანებული ერთი მნიშვნელობის სიტყვებით გადმოცემულია სულ სხვა აზრი. თანაც აქ სიტყვები ნახმარია გადატანითი მეტაფორული მნიშვნელობით. ამიტომ იდიომის დაშლა და მასში შემავალ სიტყვათა სემანტიკის ცალკ–ცალკე გაგება შეუძლებელია, იგი განუყოფელია და დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს'' (13, 75 - 76).

ა. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ: ,,იდიომი არის შესიტყვების ფორმისა და ექსპრესიული ფუნქციის მქონე სემანტიკურად დაუშლელი ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს'' (5, 40).

თედო სახოკიას ლექსიკონის შესავალში, მისი რედაქტორი შოთა ძიძიგური დასძენს, რომ: ,,რაკი სიტყვა ჩვეულებრივ ფრაზაში იხმარება, ამ ნიადაგზე ზოგჯერ კონტესტი გაქვავებული სახით ყალიბდება და ვღებულობთ იდიომებს, იდიომატურ თქმებს (ფრაზეოლოგიას). იდიომატურ შესიტყვებაში შემავალ კომპონენტებს – ცალკე სიტყვების სახით – დაკარგული აქვთ თავისი ლექსიკური ფორმა და მნიშვნელობა და ერთ სემანტიკურ მთლიანობად წარმოგვიდგებიან. ამგვარი სიტყვათშეხამება ფუნქციურად ცალკე სიტყვის მაგივრობას სწევს. სხვანაირად რომ ვთქვათ, იდიომია ისეთი ,,გაქვავებული'' კონტექსტი, სიტყვათშეხამება, რომელიც ენაში გამოყენებულია როგორც მთლიანობა (მასში შემავალი ელემენტების გადაადგილება ჩვეულებრივ არ შეიძლება), და ამ მთლიანობას თავისი სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს. მაშასადამე, ფრაზეოლოგიური შეხამებანი ენაში წარმოშობენ სემანტიკურ მთლიანობას'' (9, VI).

,,დიალექტური ფრაზეოლოგია (რომელიც ფართო გაგებით შედის სახეობრივი და არასახეობრივი სიტყვათკომპლექსები: იდიომები, ანდაზები, აფორიზმები და მეტაფორული გამოთქმები, მისალმებისა და მოკითხვის, დალოცვისა და წყევლის ფორმულები, შინამრეწველობის ხალხური ტერმინები და დასახელებანი, გრამატიკული სიტყვათკომპლექსები...) ქმნის დიალექტური ლექსიკის მნიშვნელოვან სეგმენტს, რომელიც ხასიათდება თვითმყოფადობით (ის არ წარმოადგენს სალიტერატურო ეკვივალენტების უბრალო ვარიაციებს). მის მიმართ ინტერესი, სულ უფრო იზრდება და ახალი ჰუმანიტარული მეცნიერული მიმართულებების (ეთნოლინგვისტიკის, ანთროპოლინგვისტიკის) განვითარების კვალდაკვალ'' (2, 23).

ქართლური დიალექტი ფრაზეოლოგიზმებით უხვია და უკავშირდება ამ კუთხის ხალხთა ცხოვრებას, მათ ზნე–ჩვეულებებს, აქ ფრაზეოლოგიზმებით შეგვიძლია გამოვხატოთ მეტად მრავალფეროვანი სემანტიკური სიტყვათშეერთებანი, რომლებსაც აქტიურად ვხვდებით ქართულ სალიტერატურო ენაშიც, ზოგი მათგანი კი დავიწყებასაა მიცემული ან აღარ გამოიყენება თანამედროვე სალიტერატურო ენაში.

მოხსენებაში წარმოგიდგენთ ადამიანის მოქმედება–მდგომარეობის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმების მრავალფეროვნებასა და თავისებურებებს ქართლური დიალექტის მიხედვით. ქართლური დიალექტი ლექსიკური გამომსახველობით რომ მდიდარი და მრავალფეროვანია, ამის ერთ–ერთი ნიმუში ისიცაა, რომ აქ ვხვდებით უამრავი მოქმედება–მდგომარეობის აღმნიშვნელ ფრაზეოლოგიზმებს, რომლებიც გამოხატავენ მთქმელის დამოკიდებულებას რაიმეს ან ვინმეს მოქმედების მიმართ.

ადამიანის მოქმედება – მდგომარეობის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმებიდან გამოვყავით შემდეგი თემატური ჯგუფები:

I. ვენახში და სხვა ადგილას მომუშავე ადამიანის მოქმედების აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები, მაგალითები: 1) **„ალოს გამოაყენებს" –** გუთანში მომუშავენი, თავ–თავის კუთვნილ სამუშაო დღეებს ჩამოირიგებენ; 2) **„გლაჯაგლუჯს აუყენებს (გლაჯაგლუჯი უდგას)"** – ხმაურით დაგლეჯს (მცენარეულს); 3) **„დუქნურს დაარტყამს"** – შორი– შორს დაარტყავს ბარს, დაუბარავ ადგილებს დატოვებს; 4) **„ზეზე მატრიალეელი"** – სუფრის მომსახურე პირი (1, 105 - 133 – 200 - 211). 6) **„გუთნის მოგლეჯა"** – ხვნის დამთავრება; 7) **„თავს შეუბამს"** – კარგად აავსებს ჭურჭელს (ფქვილით, მარცვლეულით); 8) **„თაობას გამოაყენებს"** – ხვნისთვის გასათვალისწინებელ სამუშაო დღეებს შეათავებს; 9) **„მოკლე ყანას მკის"** – მძიმე, დაქანცულ სამუშაოს ასრულებს; 10) **„ფერდიქარს ამოაღებინებს"** – მუშაობით დაღლის დაქანცავს; 11) **„ხელს შეიჭრის"**– საქონლის ან პროდუქტის გაყიდვისას მყიდველს გარკვეულ რაოდენობას უფასოდ დაუმატებს; 12) **„მალაში გამოიყვანს"** – გალესილ კედელს საბოლოოდ გაასწორებს; 13) **„ნაცვალგარდა მუშაობა"** – მუშაობაში მორიგეობით ერთმანეთის დახმარება (ბარვაში, თოხნაში) (7, 57 – 86 - 87 - 112 – 143 – 174 – 102 - 119). 14) **„დღესა და ღამეს ასწორებს"** – ბევრს მუშაობს; 15) **„სასუქი შეაქვს"** – სასუქით მიწას ანოყივრებს (ჩაწერილი სოფ. ქვეშში).

,,ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში'' გვხვდება: 1) **„სასუქი შეაქვს"**– სასუქით ანოყივრებს ნიადაგს (21, 680). 2) **„დღესა და ღამეს ასწორებს"**– ძალიან ბევრს მუშაობს (16, 626).

ეს უკანასკნელი გვხვდება, თ. სახოკიას ლექსიკონში, ,,ქართული ხატოვანი სიტყვა–თქმანი'' და ნ. სუხიტაშვილის ნაშრომში: ,,იდიომების განმარტება მ. ჯავახიშვილის რომანებში'', **„გასწორება დღისა და ღამისა (მუშაობით)"** – განუწყვეტლივ მუშაობა (9, 51). **„დღე და ღამის გასწორება"** – მძიმე აუტანელი, მოქანცული შრომა (12, 51).

II. სმა–ჭამის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები, მაგალითები: 1) **„გვერდებს (ფერდებს) აიხევს"** – ბევრს ჭამს (შეჭამს), კარგად ძღება (გაძღება); 2) **„გულზე დაიყრის"**– ჩქარა შეჭამს, დაუღეჭავად გადაყლაპავს სიჩქარით; 3) **„მუცელს მოიღორებს"** – უზომოდ ჭამს; 4) **„ლანგს მოუსვამს (გაუსვამს)"** – ერთიანად შეჭამს, შესანსლავს; 5) **„პირს აიკანავს"** – არაფერს შეჭამს, პირს არაფერს დააკარებს; 6) **„პირს აიქაფებს"** – ბევრს შეჭამს; 7) **„კუჭის ქარად არ ეყოფა (არ გაუხდება)"** – ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილებს (საჭმელი–სასმელი) (1, 132 – 138 – 325 -263 - 350 – 351 - 261). 8) **„ბღლაძაბღლუძით გადაჰყავს"** – დაუღეჭავად ყლაპავს; 9) **„მუცელს ბოძს შეუყენებს"** – დანაყრდება; 10) **„მუცელს გადაჰყვება"** – უზომოდ დალევს (შეჭამს); 11) **„პირის ახსნა"** – სახსნილის ჭამს მარხვის გათავებისას; 12) **„პირის ქარად არ გაუხდება"** – არ ეყოფა (საჭმელი, ხილი); 13) **„ფერს ამოიღებს" –** ძღომისად მოძოვს, გაძღება; 14) **„ბურს გაადენს"** – მთლიანად, სულ შეჭამს (7, 34 – 116 – 123 – 143 - 32). 15) **„ღვინოში იხრჩობა"**– ბევრს სვამს; 16) **„ამოიყურავს მუცელს"** – ბევრს შეჭამს; 17) **„მუცელს იხეთქავს"** – ბევრს სვამს, ჭამს (ჩაწერილი სოფ. ქვეშში).

,,ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში'', გვხვდება: 1) **„ღვინოში იხრჩობა"** – ძალიან ბევრ ღვინოს სვამს (18, 990). 2) **„ამოიყორავს მუცელს"** – ამოივსებს მუცელს, გაძღება, რაც მოხვდება იმით (15, 258). აქვე, გვხვდება მგავსი კომპონენტური შედგენილობის, მაგრამ მნიშვნელობთ განსხვავებული ფრაზეოლოგიზმი, როგორიცაა: (17. **„მუცელს იხეთქავს"**) **„მუცელს იხეთქავს"** – ძალიან ბევრს დადის (18, 979).

თ. სახოკიას ლექსიკონშიც ,,ქართული ხატოვანი სიტყვა–თქმანი'', გვხვდება: **„ამოყორვა მუცლისა, კუჭისა"** – ზომაზე მეტად ამოვსება მუცლისა (9, 12). ასევე აქ ვხვდებით მცირე კომპნენტური ცვლილებით შემდეგ ფრაზეოლოგიზმს: (12. **„პირის ქარად არ გაუხდება"**), **„პირის ქარად არ ეყოფა" –** სულ ცოტაა, ოდნავადაც არ ეყოფა (10, 93).

III. ცეკვა–თამაშის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები: 1) **„აგლიგუგლის გამართავს (გაუმართავს)"** – ითამაშებს (ეთამაშება); 2) **„ჩარაბუზანას დააბამს, დააგდებს" –** ცეკვა–თამაშს გამართავს, ჟივილ– ხივილს ატეხს (1, 15 - 470). 3) **„გნიასი გააქვთ"** – ძალიან ხმაურობენ, ყვირიან და დარბიან (ბავშვები) (7, 56).

,,ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში'' გვხვდება: **„ჩარაბუზანას (ჩარაფუზანას) დააბამს"** – ცეკვა–თამაშს გამართავს) (22, 337).

IV. სხვადასხვა მოქმედების აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები: 1) **,,ალუხმალუხს შეყრის"** – ერთად შეყრის, ერთმანეთში აურევს სხვადასხვა რამეს (ფრინველს საქონელს); 2) **,,აწიაწე სიარული"** – უთავბოლო სიარული, წოწიალი; 3) **,,ბზირზე დგას"** – მზად არის (საჩხუბრად, გასაქცევად); 4) **,,ბალი–ბალის ეუბნება, ეძახის"**– ეფერება, ელოლიავება, უყვავებს; 5) **,,განს გაიტანს"** – მოახერხებს. შეძლებს რასმე. 6) ბევრს დიდ სასმე გააკეთებს (ამბობენ დაცინვით); 7) **,,გველის ღობეში გაძვრება (გველის ღობე გაარღვევს)"** – ყოველ ღონეს იხმარს, ყველანაირად ეცდება; 8) **,,დაღდაღი გააქვთ, დაღდაღანი უდგათ"** – ხმამაღლა ლაპარაკობენ; 9) **,,დახლაბურთს ათამაშებს"** – სცემს; 10) **,,დღლაზას მოიღებს"** – დაენარცხება, ბრაგვანს მოიღებს; 11) **,,ენაზე კბილს დაიდგამს"** – უცბათ გაჩუმდება, ენას კბილს დააჭერს; 12) **,,ვირი აუგორებია"** – 1) ძალიან დაუსვრია (ტანსაცმელი), 2) აურდაურევია (სახლი); 13) **,,ზანგი–ზუნგით მივა (მიუტანს)"** – მძიმედ დატვირთული, დაზურგული მივა (მიუტანს); 14) **,,ზარიზარად დადის"** – დაყიალობს, დაეხეტება; 15) **,,თავში საშენი გაუხდება"** – მისი მოსაგვარებელი, მისი საწვალებელი გახდება; 16) **,,კარებს შეუწუხებს"** – ხშირად მივა; 17) **,,ლოგინს გაიახლებს"** – მეორე ცოლს შეირთავს (პირველის სიკვდილის შემდეგ); 18) **,,ფეხად გაბრუნდება"** – საჩქაროდ გაბრუნდება, არც კი დაჯდება; 19) **,,ქვიდან ქვას ამოიღებს"** – გაუჩენელს გააჩენს, შეუძლებელს შეძლებს; 20) **,,ჩხირიგვერდათ არ აქცევს"** – არაფერს აკეთებს, უქმად არის; 21) **,,ხელს ატანს"** – ეხმარება; 22) **,,პირს მოილაშქრებს"** – ბევრს მოურიდებლად ილაპარაკებს (1, 27 – 49 – 60 – 53 – 118 – 132 – 185 – 193 – 200 – 202 – 209 – 210 – 218 – 242 – 268 – 407 – 421 – 480 – 518 - 124). 23) **,,ახლა კიდე"** – გამოხატავს მოქმედების გამეორებას; 24) **,,ენას ალაკლაკებს"** – ბევრს ლაპარაკობს; 25) **,,ხელები ემაცდურება"** – ხელს ვერ აჩერებს, აფუჭებს რასმე; 26) **,,ერთმანეთს აფარებს"** – ერთდროულად სცემს ბევრს; 27) **,,ზლაყაზლუყით დადის"** – მძიმე ნაბიჯით დადის; 28) **,,თავის გზაზე გაატარებს"** – თავის ნებაზე გაატარებს; 29) **,,თავს დაუკრავს"** – მოულოდნელად მივა, გამოეცხადება; 30) **,,თავს უბრუნებს"** – სასთუმალს საწოლს ერთი თავიდან მეორე თავისკენ გადაუნაცვლებს; 31) **,,ჰკრავს თათახს"** – წამოხტება და გაიქცევა; 32) **,,ძლივს იგნებს ენას"** – ბორძიკით ლაპარაკობს; 33) **,,ულვაშებს იწრეხავს"** – იპრანჭება; 34) **,,ნეკნებს გაუსწორებს"** – მაგრად სცემს; 35) **,,პირს მოილაშქრებს"** – ბევრს მოურიდებლად ილაპარაკებს; 36) **,,ტუჩებს მოილაშქრებს"** – ბევრს, მოურიდებლად იაპარაკებს; 37) **,,ფეხს იბრუნებს"** – ახლად გათხოვილი ქალი პირველად ეწვევა მშობლების ოჯახს; 38) **,,ქვას ისვრის"** – ძალიან სწრაფად გარბის; 39) **,,ქორონიკონს დაასრულებს"** – დიდ სწავლა– განათებას მიიღებს; 40) **,,ჭუტს დაერჭობა"** – სრაფად მივა სადმე (7, 25 – 14 – 80 – 81 – 84 – 85 – 86 - 87 – 90 – 92 – 120 – 124 – 138 – 144 – 147 – 148 - 171). 41) **,,ეზოს ატალახება, კარის ატალახება"**– ხშირი სტუმრობა; 42) **,,ლაპარაკი მოსდის"** – ჩხუბს მართავს, 43) **,,თვალს მოატყუებს"** – წაუძინებს; 44) **,,წიგნებში აქვს თავი ჩარგული"** – ბევრს მეცადინეობს; 45) **,,ქონებას უნიავებს"** – ფლანგავს ხარჯავს ქონებას (ჩაწერილი სოფ. ქვეშში).

,,ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში'' გვხვდება მსგავსი მნიშვნელობის ფრაეოლოგიზმების მაგალითები: 1)**,,ლოგინს გაიახლებს"** – მეორე ცოლს შეირთავს, პირველის სიკვდილის შემდეგ (16, 530). 2) **,,ეზოს ატალახება"** – ხშირი წვევა, ხშირი სტუმრობა (17, 1288). 3) **,,ფეხს იბრუნებს"** – ახლად გათხოვილი ქალი დედ–მამის სახლში პირველას მივა სტუმრად (18, 558). 4) **,,კარს აუტალახებს"** – ხშირად ესტუმრება, ხშირად მივა ვინმესთან (18, 1070). 5) **,,ლაპარაკი მოსდის"**– დავას, ჩხუბს უმართავს, ჩხუბობენ ხოლმე (19, 635). 6) **,,თვალს მოატყუებს"** – მცირედ დაიძინებს, წაიძინებს (19, 580). 7) **,,წიგნებში აქვს თავი (ცხვირი) ჩარგული"** – წიგნებს სასციებია, თავაუღებლად კითხულობს (22, 328). 8) **,,ქონებას უნიავებს"** – ქონებას უფანტავს, უფლანგავს (20, 1608). 9) **,,თავს დაუკრავს"** – მოულოდნელად გაჩნდება, ეწვევა, მივა (17, 797).

თედო სახოკიას ლექსიკონში ,,ქართული ხატოვანი სიტყვა–თქმანი'', დასტურდება აღნიშნული ფრაზეოლოგიზმები, მაგ.: 1) **,,კარების (კარის) ატალახიანება"** – ხშირი სიარული, ხშირი მისვლა ვინმესთან, ხშირი სტუმობით, წვევით თუ თხოვნით თავის მობეზრება ვისთვისმე (9, 194). 2) **,,ვირი ააგორეს"** – გააჩანაგეს, გააოხრეს, გაატიელეს, შეუჭმელი არაფერი დატოვეს. ვირს ძალიან უყვარს გორაობა მიწაზე, განსაკუთრებით მუშაობის შემდეგ და იგი ისე ენერგიულად გორაობს ხოლმე, რომ გაუქელავი არაფერი გადაურჩება, როცა უნდათ სთქვან – ვაზარალოთო ვინმეო, იტყვიან: ,,ერთი ვირი ავუგოროთო მაგასო'' (9, 129). 3) **,,თვალის მოტყუება"** – წაძინება, ოდნავ დაძინება (9, 170). 4) **,,ლოგინის გაახლება"** – დაქვრივებული ქმრის მეორე ცოლის შერთვა (9, 192). 5) **,,ჩხირი გვერდათ ქცევა"** – ზარმაცია, ადვილ საქმესაც არ აკეთებს, არაფერს აკეთებს (11, 101).

აქვე ვხვდებით კომპონენტური შედგენილობით მიმსგავსებულ ფრაზეოლოგიზმებს, მაგალითად: (7. **,,გველის ღობეში გაძვრება, გველის ღობე გაარღვევს"**) 1) **,,გველის ფხაში გაძრომა, გველის ქერში გაძრომა, გველის ხვრელში გაძრომა" –** ყოველ ღონის ღონება, უიდურესი გაჭირვებისთვის გაძლება, საწადელის მისაღწევად (9, 58). (11. **,,ენაზე კბილს დაიდგამს"**) 2) **,,ენაზე კბილის მოჭერა, ენაზე კბენა" –** უცბათ გაჩუმება, უხამსობა რამე რომ არ წამოსცდეს, სიფრთხილე (9, 111).

აღსანიშნავია ისიც, რომ აქ გვხვდება კომპონენტური შედგენილობით მსგავსი, თუმცა მნიშვნელობით განსხვავებული ფრაზეოლოგიზმი (29. **„თავს დაუკრავს"**): **„თავის დაკვრა"** – პატივისცემა, მისალმება. მორჩილება, სიმდაბლე, მონობა (9, 149).

ალ. ონიანის ლექსიკონში, „ქართული იდიომები", გვხვდება: 1) **„ენაზე კბილის დადგმა"** – გაჩუმება, ხმის გაკმენდა (8, 62). 2) **„კარის ატალახიანება"** – მომაბეზრებელი ხშირი სტუმრობა (8, 99). აქ ასევე, გხვდვება კომპონენტური შემადგენლობით მსგავსი ფრაზეოლოგიზმი (7. **„გველის ღობეში გაძვრება, გველის ღობე გაარღვევს"**): **„გველის ხვრელში გაძრომა"** – მიზნის მისაღწევად, ყოველი ღონის ხმარება (8, 24).

ნ. სუხიტაშვილის „იდიომების განმარტება მ. ჯავახიშვილის რომანებში", გვხვდება აგებულებით მიმსგავსებული და მნიშვნელობით მსგავსი ფრაზეოლოგიზმი, (22. **„პირს მოილაშქრებს"**): **„პირის მოხნა"** – ლაქლაქი, გაუთავებელი ყბედობა (12, 115).

წარმოდგენილმა ნიმუშებმა ცხადყო, თუ რა მდიდარი და მრავალფეროვანია ქართლური დიალექტის ლექსიკა ფრაზეოლოგიური ერთეულებით. ვფიქრობთ, რომ ფრაზეოლოგიზმებს ენაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც, უფრაზეოლოგოდ, მხოლოდ ცალკეული სიტყვების მეშვეობით ძნელი, ზოგჯერ კი შეუძლებელიც კი იქნებოდა ადამიანის აზრის ნიუანსების მთელი სიმდიდრის გამოხატვა.

ლიტერატურა:

1. თ. ბერიძაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბილისი, 1981.
2. მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, ნ. სურმავა, დ. ნადარია, „ქართული დიალექტური კორპუსი – ფრაზეოლოგიის შესწავლის დროს", კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბილისი, 2013.
3. თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, 2003.
4. ლ. თაბუაშვილი, ფრანგული სიტყვა „ღვინოსთან" (Vin) დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და მათი ქართული შესიტყვებანი, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXIII, თბილისი, 2011.
5. ა. თაყაიშვილი, ქართლი ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი, 1961.
6. ხ. თუმანიშვილი, „ფრაზეოლოგიური ფონდის შედარებითი შესწავლისათვის ლინგვოკულტუროლოგიურ კონტექსტში (არაბული და ქართული მასალის კორპუსზე დაყრდნობით)", კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბილისი, 2013.
7. მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალები), თბილისი, 2006.
8. ალ. ონიანი, ქართული იდიომები, თბილისი, 1966.
9. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა თქმანი, თბილისი, I ტ., 1950.
10. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა–თქმანი, თბილისი, II ტ., 1954.
11. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა–თქმანი, თბილისი, III ტ., 1955.
12. ნ. სუხიტაშვილი, იდიომების განმარტება მიხეილ ჯავახიშვილის რომანებში, თბილისი, 1988.
13. ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბილისი, 1964.
14. ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1989.
15. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, I ტ., 1950.
16. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, II ტ., 1951.
17. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, III ტ., 1953.
18. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, IV ტ., 1955.
19. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, V ტ., 1958.
20. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, VI ტ., 1960.
21. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, VII ტ., 1962.
22. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, VIII ტ., 1964.

ახალწარმოქმნილი ბარბარიზმები და კალკები მედიის ენაში

მანანა ტვინიკაძე
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიორგი გოგოლაშვილი**, პროფესორი

ენა აზროვნების ძირითადი იარაღია. იგი ადამიანს აზრის ფორმირებასა და მის სათანადო გადმოცემაში ეხმარება. მისი მეშვეობითვე ხდება მიღებული ცოდნის ფიქსირებაც. ქართული ენა მრავალსაუკუნოვანი დამწერლობის მქონე ერთ-ერთი უძველესი ენაა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რაც უფრო მრავალფეროვანია ლექსიკური შემადგენლობა, მით უფრო განვითარებულია ენა. ლექსიკური შემადგენლობა ცვალებადია და განუწყვეტლივ ივსება სხვადასხვა გზით. ილია ჭავჭავაძე სწორად აღნიშნავდა, რომ ენაში აუცილებელია საერთაშორისო სიტყვების დამკვიდრება, ისეთებისა, რომლის ეკვივალენტიც ჩვენს ენას არ აქვს, მაგრამ ყოვლად გაუმართლებელია უკვე არსებულის ნაცვლად უცხო სიტყვათა შემოტანა და დამკვიდრება. არ არსებობს აბსოლუტურად წმინდა ენა, რომელშიც ნასესხები სიტყვა არ გვხვდებოდეს, თუმცა უცხოური სიტყვების მიღების დროს ზომიერებაა საჭირო.

დღესდღეობით ქართული ენა საკმაოდ დაიტვირთა უცხო ენიდან შემოსული ტერმინოლოგიით, აივსო ბარბარიზმებით და კალკებით. აღსანიშნავია, რომ ენაში გვაქვს საკმაოდ დიდი სიტყვათა მარაგი, მაგრამ ჩვენ მაინც, რატომღაც, უცხო ტერმინების გამოყენებისკენ ვისწრაფვით. არსებულ სიტუაციას ის ამძიმებს, რომ ქართულმა ენამ საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული ბარბარიზმებისგან გათავისუფლება ვერც კი მოასწრო, რომ ახლა ინგლისური ბარბარიზმებით აივსო. ბარბარიზმების პრობლემა უფრო მძაფრად აღიქმება „დამპყრობელი ერის“ მიმართ, ვიდრე ენათა კულტურული ურთიერთქმედების დროს. ინგლისურთან სწორედ ამგვარი ურთიერთობა მნიშვნელოვნად აზიანებს ქართულ ენას.

ამ მხრივ ყველაზე მეტს სწორედ ჟურნალისტები და პოლიტიკოსები სცოდავენ, რომლებიც მუდმივად ჩანან ტელეეკრანებზე და მათი საუბარი სამაგალითო ხდება საზოგადოებისთვის. უცხოური სიტყვები შეუმჩნევლად ანაცვლებს ქართულს. საუბარი არაა ინტერნაციონალურ სიტყვებზე, რომელთა შემოსვლა და დამკვიდრება ტექნოლოგიურმა თუ სხვა სახის პროცესებმა განაპირობა. საქმე ეხება ისეთ სიტყვებს, როგორიცაა, მაგალითად, *კრეატიული* (შემოქმედებითი), *ინსპირაცია* (შთაგონება), *პერფორმანსი* (წარმოდგენა), *ივენთი* (ღონისძიება), *აუთლაინი* (მონახაზი), *დედლაინი* (ბოლო ვადა), *უიქენდი* (შაბათ-კვირა), *შოპინგი* (ვაჭრობა, ყიდვა), *სეილი* (ფასდაკლება) და ა.შ.

თემაზე მუშაობის პროცესში დავაკვირდი რამდენიმე ტელეარხის საინფორმაციო თუ სხვა სახის გადაცემებს, აგრეთვე ბეჭდურ და ინტერნეტგამოცემებს; ამოვწერე ახლადწარმოქმნილი ბარბარიზმების და კალკების მაგალითები.

ბარბარიზმები

ტერმინის განმარტებისთვის „ბარბარიზმი“ აღნიშნავს ამა თუ იმ ენაში უცხო ენიდან გაუმართლებლად, „ბარბაროსულად“ შემოჭრილ სიტყვას. [1. 235]. [2. 137]. [4. 14]. ადრინდელ სასკოლო სახელმძღვანელოებში ბარბარიზმებად განხილულია რუსული სიტყვები, არადა ინგლისურიდან შემოსული სიტყვები ისეთივე ბარბარიზმებია, როგორიც რუსულიდან შემოსული.

არის:	**უნდა იყოს:**
რაც შეეხება სხვა **პერფორმანსებს,** მეტად საინტერესო რამ ელოდება მაყურებელს.	რაც შეეხება სხვა **წარმოდგენებს,** მეტად საინტერესო რამ ელოდება მაყურებელს.
ტ/კ „პირველი არხი.“ „დილა პირველზე.“ გადაცემის თანაწამყვანი. 08.03.2016.	
რას უნდა ელოდოს ქართველი მაყურებელი თქვენგან, რა **პერფორმანსს** ჰპირდებით?	რას უნდა ელოდოს ქართველი მაყურებელი თქვენგან, რა **წარმოდგენას** ჰპირდებით?
ტ/კ „პირველი არხი.“ გადაცემა „ცე სტუდია.“ გადაცემის წამყვანი. 21.03.2017.	
დონალდ ტრამპის ინაუგურაცია იხსნება მუსიკალური **პერფორმანსით.**	დონალდ ტრამპის ინაუგურაცია იხსნება მუსიკალური **წარმოდგენით.**
ტ/კ „აჭარა“. გადაცემა „ჰეშთეგი“. გადაცემის წამყვანი ნინო გორჯელაძე. 20.01.2017.	
ფეშენ ვიკი გაიხსნა არაჩვეულებრივი **პერფორმანსით.**	**მოდის კვირეული** გაიხსნა არაჩვეულებრივი **წარმოდგენით.**
ტ/კ „მაესტრო“. საინფორმაციო გადაცემა „კონტაქტი“. ჟურნალისტი. 19.10.2016.	

გაატარეთ **უიქენდი** და დაგეგმეთ დილა ჩვენთან ერთად.	გაატარეთ **შაბათ-კვირა** და დაგეგმეთ დილა ჩვენთან ერთად.

ტ/კ „აჭარა.“ საანონსე ჭრა. ჟურნალისტი. 09.03.2016.

პარადოქსული სიტუაცია იქმნება, როდესაც ჟურნალისტი მშობლიური ენის ბარბარიზმებისგან დასაცავად ხალხს მოუწოდებს და თავად ხმარობს ბარბარიზმს:

დავიცვათ ჩვენი ქართული ენა ბარბარიზმებისგან, ესაა ჩვენი **სლოგანი.**	დავიცვათ ჩვენი ქართული ენა ბარბარიზმებისგან, ესაა ჩვენი **მოწოდება.**

ტ/კ „პირველი არხი.“ „დილა პირველზე.“ ჟურნალისტი - გადაცემის წამყვანი. 14.04.2016.

რამდენიმე **ბილბორდს** გადავაწყდი, შინაარსით: „შევინარჩუნოთ ქართული ენა.“	რამდენიმე **სარეკლამო დაფას** გადავაწყდი, შინაარსით: „შევინარჩუნოთ ქართული ენა.“

ტ/კ „მეორე არხი.“ გადაცემა „უნივერსია.“ რესპონდენტი - სტუდენტი ნუცა აივაზაშვილი. 25.02.2017.

ქალაქიდან მისი შორი დისტანციის გამო იგეგმება **კემპინგის** ზონის მოწყობაც.	ქალაქიდან მისი შორი დისტანციის გამო იგეგმება **საბანაკე, საპიკნიკე** ზონის მოწყობაც.

გაზეთი „ბანკები და ფინანსები.“ N499. 20 მარტი, 2017. სტატია - „როგორი იქნება თბილისის ზღვა და მისი შემოგარენი.“ ჟურნალისტი - გიორგი კაპანაძე.

Eurasian Mobile Challenge-ის გამარჯვებული **სტარტაპი** Treepex მსოფლიო მობილურ კონგრესზე **წარსდგა.**	Eurasian Mobile Challenge-ის გამარჯვებული **ახლად შექმნილი კომპანია** Treepex მსოფლიო მობილურ კონგრესზე **წარდგა.** **Startup –**1. რაღაცის დაწყება. 2. ახლად შექმნილი კომპანია, საწარმო.

გაზეთი „ბანკები და ფინანსები.“ N499. 20 მარტი, 2017. სტატია -„ტელეკომუნიკაციებისა და ახალი ტექნოლოგიების კომპანია ბილაინის ხელშეწყობით, პირველად მსოფლიო მობილური კონგრესის ისტორიაში ქართული **სტარტაპები (ახლად შექმნილი საწარმოები)** თავიანთი ინოვაციური პროექტებით **წარსდგნენ (წარდგნენ).“** ჟურნალისტი - ანასტასია კაპანაძე.

საქართველოს პროკურატურამ საგზაო უსაფრთხოებისა და დანაშაულების პრევენციის მიზნით, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში **აქცია-პერფორმანსები** გამართა. ერთ-ერთი აქცია გაიმართა ქალაქ ზუგდიდშიც.	საქართველოს პროკურატურამ საგზაო უსაფრთხოებისა და დანაშაულების პრევენციის მიზნით, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში **აქცია-წარმოდგენები** გამართა. ერთ-ერთი აქცია გაიმართა ქალაქ ზუგდიდშიც.

სტატია „ცხედრები“ ზუგდიდის ქუჩაში - საქართველოს პროკურატურის აქცია.“ ინტერნეტმედია - www.marshalpress.ge

ინსპირაციას საიდან იღებ?	**შთაგონებას** საიდან იღებ?

ჟურნალი „ცხელი შოკოლადი.“ „ინტერვიუ დავით მესხთან.“ ჟურნალისტი - მარიამ ლორია. იანვარი, 2016.

ქუჩიდან დაწყებული ინტერნეტით დამთავრებული ყველაფერი შეიძლება გახდეს **ინსპირაციის** წყარო.	ქუჩიდან დაწყებული ინტერნეტით დამთავრებული ყველაფერი შეიძლება გახდეს **შთაგონების** წყარო.

ჟურნალი „ცხელი შოკოლადი.“ „ინტერვიუ დავით მესხთან.“ ჟურნალისტი - მარიამ ლორია. იანვარი, 2016.

სალომემ დაწერა სცენარი, რომელიც ჩემი ბოლო წლების ნამუშევრებისგან მიღებული შთაბეჭდილებებით იყო **ინსპირირებული.**	სალომემ დაწერა სცენარი, რომელიც ჩემი ბოლო წლების ნამუშევრებისგან მიღებული შთაბეჭდილებებით იყო **შთაგონებული.**

ჟურნალი „ცხელი შოკოლადი.“ „ინტერვიუ დავით მესხთან.“ ჟურნალისტი - მარიამ ლორია. იანვარი, 2016.

შოპინგი აღმაშენებლის გამზირზე (N 112) მდებარე Suiteblanco-ში საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.	**საყიდლების ყიდვა** აღმაშენებლის გამზირზე (N 112) მდებარე Suiteblanco-ში საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.

ინტერნეტმედია www.pink.ge. სტატია „**შოპინგი** სუიტბლანკოში.“ მაისი, 2017.

მიიღე სიამოვნება **შოპინგისგან,** შეიარე Suiteblanco-ში.	მიიღე სიამოვნება **საყიდლების ყიდვისგან,** შეიარე Suiteblanco-ში.

ინტერნეტმედია www.pink.ge. სტატია „**შოპინგი** სუიტბლანკოში.“ მაისი, 2017.

რადგანაც სივრცე იძლეოდა ექსპერიმენტის საშუალებას, გადავწყვიტე რომ ნამუშევრებისთვისაც **ექსპერიმენტალური** ფორმა მიმეცა **ლაითბოქსების** სახით.	რადგანაც სივრცე იძლეოდა ექსპერიმენტის საშუალებას, გადავწყვიტე, რომ ნამუშევრებისთვისაც **ექსპერიმენტული** ფორმა მიმეცა **შინაგანი განათების მქონე სარეკლამო საშუალების** სახით.

ჟურნალი „ცხელი შოკოლადი.“ „ინტერვიუ დავით მესხთან.“ ჟურნალისტი - მარიამ ლორია. იანვარი, 2016.

კალკირება

კალკი ახალი სიტყვის ან გამოთქმის წარმოქმნაა სხვა ენის ლექსიკური ერთეულის მიბაძვით, მისი პირდაპირი, სიტყვასიტყვითი თარგმნის გზით. კალკირება ენის ლექსიკური ფონდის შევსება-გამდიდრების ერთ-ერთი გზაა, რომელსაც არცთუ იშვიათად მიმართავენ მსოფლიოს კულტურული ენები. მაგრამ ამასთანავე საჭიროა სიფრთხილე და ზომიერება, რათა კალკირების შედეგად არ შეიბღალოს მშობლიური ენის ბუნება. ეს განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებს ეხება, როცა კალკირებული სიტყვის ადგილას ენას უკვე აქვს საკუთარი ლექსიკური ერთეული. თანამედროვე ტელევიზიის ენაში ხშირად შევხვდებით კალკირების ამგვარ ნიმუშებს: „**გაყიდვაშია**“, „**იყიდება**“-ს ნაცვლად; „**სახეზეა**“, „**თვალწინაა**“-ს ნაცვლად; **„საქმე იმაშია**“, **„საქმე ისაა**“-ს ნაცვლად, ა.შ. კალკები სწრაფად ჩნდება და მათი ფრიად დამახასიათებელი თვისება, შეიძლება ითქვას, ერთგვარი „მოდურობაცაა.“ [5. 62-63]. [3. 59]. [1. 238]. [8. http://mediachecker.ge/filologissveti/detail/25/?ref].

არის:	**უნდა იყოს:**
ასევე **გაყიდვაშია** თვალის წვეთები „ფაურინი.“	ასევე **იყიდება** თვალის წვეთები „ფაურინი.“

გაზეთი „ჯანმრთელობის ცნობარი.“ მარტი, 2017.

სწორედ ამიტომ კვალიფიციური უნდა იყო, რომ **მოახდინო სიტუაციათა სწორად შეფასება.**	სწორედ ამიტომ კვალიფიციური უნდა იყო, რომ **სიტუაციები სწორად შეაფასო.**

ტ/კ „პირველი არხი.“ საინფორმაციო გადაცემა. ჟურნალისტი. 23.03.2016.

რამდენად ვალდებულია მედია, რომ **მოახდინოს ყოველივეს ანალიზი?**	რამდენად ვალდებულია მედია, რომ **ყოველივე გააანალიზოს?**

ტ/კ „პირველი არხი.“ საინფორმაციო გადაცემა. ჟურნალისტი. 23.03.2016.

ორგანიზაციებმა **უნდა მოახდინონ მასშტაბების შეფასებაც.**	ორგანიზაციებმა **უნდა შეაფასონ მასშტაბებიც.**

ტ/კ „პირველი არხი.“ საინფორმაციო გადაცემა. ჟურნალისტი. 23.03.2016.

მე მინდა, რომ შესაბამისმა სამსახურებმა **მოახდინონ გამოძიება.**	მე მინდა, რომ შესაბამისმა სამსახურებმა **გამოიძიონ.**

ტ/კ „პირვილი არხი.“ საინფორმაციო გადაცემა „მოამბე.“ რესპონდენტი - პოლიტიკოსი ალექსი პეტრიაშვილი. 15.09.2016.

ამ ნაწილში **მოვახდინეთ** მათი დარღვეული უფლებების **აღდგენა.**	ამ ნაწილში **აღვადგინეთ** მათი დარღვეული **უფლებები**.

ტ/კ „პირვილი არხი.“ საინფორმაციო გადაცემა „მოამბე.“ რესპონდენტი. 15.09.2016.

მოსახლეობამ ჩვენი გაფრთხილების შემდეგ **უნდა მოახდინოს გაზის ჩართვა.**	მოსახლეობამ ჩვენი გაფრთხილების შემდეგ **უნდა ჩართოს გაზი**.

ტ/კ „აჭარა.“ საინფორმაციო გამოშვება. რესპონდენტი - სოკარ გაზის თანამშრომელი. 26.06.2016.

აღსანიშნავია, რომ დავით კირვალიძე უცხოელებზე მიწის გასხვისების მომხრეა. მისი აზრით **მიწა თავისუფალ გაყიდვაში უნდა იყოს.**	აღსანიშნავია, რომ დავით კირვალიძე უცხოელებზე მიწის გასხვისების მომხრეა. მისი აზრით **მიწა თავისუფლად უნდა იყიდებოდეს**.

გაზეთი „ბანკები და ფინანსები.“ N499. 20 მარტი, 2017. სტატია - „უცხოელებზე მიწის გასხვისების მომხრე პრემიერ კვირიკაშვილის მრჩევლად დაინიშნა.“ ჟურნალისტი - გიორგი კაპანაძე.

თუ დამკვეთი ამის საშუალებას მაძლევს, ყოველთვის როდესაც **ლანდშაფტის დაგეგმვას ვახდენ,** ვითვალისწინებ ინტერიერის ფაქტორს, იმისათვის რომ ყველაფერი ერთ მთლიანობაში ჩაჯდეს.	თუ დამკვეთი ამის საშუალებას მაძლევს, ყოველთვის, როდესაც **ლანდშაფტს ვგეგმავ,** ვითვალისწინებ ინტერიერის ფაქტორს იმისათვის, რომ ყველაფერი ერთ მთლიანობაში ჩაჯდეს.

გაზეთი „ბანკები და ფინანსები.“ N 499. 20 მარტი. 2017. სტატია „2017 წლის ტენდენციები ინტერიერის არქიტექტურასა და დიზაინში.“ რესპონდენტი - არქიტექტორ-დიზაინერი მარიამ კამკამიძე. ჟურნალისტი - ანასტასია კაპანაძე.

ბარბარიზმები, კალკი, ახალი ცნებების აღმნიშვნელი საერთაშორისო სიტყვების და გამოთქმების დამკვიდრების უკონტროლო ტენდენცია სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვის საკითხს განსაკუთრებით აქტუალურს ხდის. მშობლიური ენის სიწმინდის დაცვის გამოხატულებას წარმოადგენდა მოძრაობა სახელწოდებით „არა ბარბარიზმებს“, რომელიც 2016 წლის ნოემბერში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიულ ცენტრში დაიწყო. მოძრაობის მიზანი იყო ქართულ ენაში მომრავლებული უცხოენოვანი ბარბარიზმების ნაცვლად საზოგადოებისათვის მათი ქართული შესატყვისების შეთავაზება და ქართული ენის ჰიბრიდიზაციის პროცესის შეჩერება. მოძრაობას შეუერთდნენ სტუდენტები, ლექტორები, მოსწავლეები და მასწავლებლები. საბოლოოდ, გამოიცა ლექსიკონი, რომელიც ორასამდე ბარბარიზმს მოიცავს, თუმცა მუშაობა კვლავ გრძელდება. ლექსიკონის ელექტრონული ვერსია უკვე არსებობს და ის ყველასათვის ხელმისაწვდომია. [**http://margaliti.com/barbarism.pdf**]. [6. http://www.ambioni.ge].

აგრეთვე აღსანიშნავია ფოტოხელოვან გოგა ჩანადირის სოციალური კამპანია - აქცია ქართული ენის დასაცავად, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა. 2015 წლის 21 თებერვალს მშობლიური ენის მსოფლიო დღეს მან სოციალურ ქსელში თავისი ფოტო გამოაქვეყნა (მარცხენა ხელისგულზე დაწერილი ბარბარიზმი, მარჯვენაზე კი - სწორი ქართული შესატყვისი) და ყველას, ვისაც კი ქართულ ენაზე გული შესტკივა და გამართული ქართულით სურს საუბარი, მოუწოდა ქართული ენის დაცვის აქციას შეერთებოდნენ. აქციამ საზოგადოებაში ფართო გამოხმაურება პოვა. [9. https://www.newposts.ge].

უდავოა, ჩვენს საუკუნეში, საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებისა და გლობალიზაციის პირობებში, მედია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. ცხადია, გლობალიზაციას წინ ვერ აღვუდგებით და თავდაცვის მიზნით დიდ კედელს ვერ აღვმართავთ ჩვენ გარშემო, მაგრამ საუბრის უცხოური ტერმინებით შეზავების სურვილმა იმ შედეგამდე არ უნდა მიგვიყვანოს, რომ ჩვენი მშობლიური ენა დაბინძურდეს და ქართული სიტყვები უცხოურმა ჩაანაცვლოს. ჟურნალისტები კი უნდა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათი უპირველესი მოვალეობა ქართული ენის ნორმების დაცვაა და აუცილებელია მშობლიურ ენაზე ზრუნვა, რათა იგი მომავალ თაობას უკეთესი თუ არა, უცვლელი ფორმით მაინც გადავცეთ.

ლიტერატურა:

1. **არაბული ა.,** ქართული მეტყველების კულტურა. გამომცემლობა „უნივერსალი.“ თბილისი - 2008.
2. **თეზელიშვილი ს.,** უცხო სიტყვათა ლექსიკონი. გამომცემლობა „მერიდიანი.“თბილისი - 2007.
3. **ქართული სიტყვის კულტურის საკითხები,** წიგნი მე-8, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი - 1988.
4. **შანიძე ა., იმნაიშვილი ი., კვაჭაძე ლ.** ქართული ენა. (ლექსიკა და ფრაზეოლოგია, ორთოგრაფია, მეტყველების განვითარება). VI კლასის სახელმძღვანელო. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი - 1989.
5. **ჭუმბურიძე ზ., გაბეჩავა რ.** ქართული ენა. XI კლასის სახელმძღვანელო. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი - 2004.
6. http://www.ambioni.ge
7. https://www.marshalpress
8. https://www.mediachecker.ge
9. https://www.newspots.ge
10. https://www.pink.ge
11. ტ/კ „აჭარა.“
12. ტ/კ „მაესტრო.“
13. ტ/კ „მეორე არხი.“
14. ტ/კ „პირველი არხი.“
15. გაზეთი „ბანკები და ფინანსები.“
16. გაზეთი „ჯანმრთელობის ცნობარი.“
17. ჟურნალი „ცხელი შოკოლადი.“

სოფელ ფხვენისის ანთროპონიმები (მეტსახელები)

ლიკა ცერაძე
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
მაგისტრატურის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ვიანორ ახალაია,** პროფესორი

მეტსახელი ანუ თიკუნი საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული და მათ შორის ჩვენს სოფელშიც. „ქართულ პიროვნულ სახელებსა და გვარებს ენათმეცნიერები ანთროპონიმებს უწოდებენ, მათ შემსწავლელ დარგს კი ანთროპონიმიკა ჰქვია.'' [2. 3]

სოფელ ფხვენისში ფართოდაა გავრცელებული მეტსახელთა შერქმევა. მეტსახელის აღსანიშნავად ალ. ღლონტთან ვხვდებით ტერმინს თიკუნი, ხოლო ზ. სარჯველაძესთან მათ ნართული სახელები ეწოდება. მეტსახელი უფრო მეტ ცნობას გვაძლევს პიროვნების შესახებ, ვიდრე მისი ნამდვილი სახელი. სოფელში ხშირად ვხვდებით ერთი და იმავე სახელის მტარებელ რამდენიმე პიროვნებას, ამიტომ მათი ერთმანეთისაგან გასარჩევად სწორედ ამ მეტსახელებს იყენებენ.

პიროვნებას მეტსახელი შერქმეული აქვს რაიმე ფიზიკური ნიშნის, ხასიათის, თვისების, მოფერებით, საქმიანობის მიხედვით, ხშირად მეტსახელის შერქმევა რაიმე ამბავსაც უკავშირდება. მოიძებნება ისეთი მეტსახელებიც, რომელთა ახსნაც ვერ ხერხდება, რომლებიც პიროვნებას სტიქიურად ერქმევა. ხშირია შემთხვევა, როცა შერქმეული სახელი მემკვიდრეობით გადადის მამიდან შვილზე, შემდგომ შვილიშვილზეც კი.

ჩვენს სოფელში გავრცელებული შერქმეული სახელები სხვადასხვა შინაარსისაა. ისინი გამოხატავენ ადამიანის მისწრაფებებს, თვისებებს, წარმომავლობას, ქცევა-მანერებს, გარეგნობას, ალერსს, მოფერებას, ვხვდებით კნინობით-ალერსობით სახელებსაც. ჩვენ წარმოვადგენთ მეტსახელებს შემდეგი დაჯგუფების მიხედვით:

ისტორიულ პირებთან მსგავსების გამომხატველი მეტსახელები:

კიტოვანი - გარეგნული მსგავსების გამო დაარქვეს ეს სახელი და ამ სახელით მოიხსენიებენ დღეს თანასოფლელები. ოჯახის წევრები ამ სახელს არ ეძახიან.

პუტინი - ვლადიმერ პუტინთან გარეგნულად მსგავსების გამო შეარქვეს ეს სახელი. გარდა ამისა ეს პიროვნება რუსეთში ცხოვრობდა წლების მანძილზე და როდესაც ჩამოვიდა სოფელში, მას შემდეგ ამ სახელით მოიხსენიებენ თანასოფლელები.

პუშკინა - შეარქვეს ბავშვობაში, რადგან ხვეული თმა ჰქონია, დღესაც ამ მეტსახელით მოიხსენიებენ თანასოფლელები.

პელე - ფეხბურთის სიყვარულის გამო შეარქვეს მეზობლებმა ბავშვობაში ეს სახელი, ფეხბურთსაც კარგად თამაშობს. დღეს ამ მეტსახელით იცნობენ თანასოფლელები.

ლიტერატურული გმირებისა და მხატვრული პერსონაჟების სახელები მეტსახელებში:

ლუარსაბა - ამსგავსებენ ი. ჭავჭავაძის ლიტერატურულ გმირს ლუარსაბს გარეგნულად და ამის გამო შეარქვეს ეს სახელი, ამ სახელით მოიხსენიებენ თანასოფლელები, ოჯახის წევრები ამ სახელს არ ეძახიან.

რანდუ - სერიალის ერთ-ერთ გმირთან ხასიათის მსგავსების გამო შეარქვეს ეს სახელი და დღეს ყველა ამ სახელით მოიხსენიებს სოფელში.

გუსტამანტე - სერიალის ერთ-ერთ გმირთან ფიზიკურად მსგავსების გამო შეარქვეს ეს სახელი მეზობლებმა და დღეს სოფელში ცნობილია ამ სახელით, საკუთარ სახელს აღარავინ ეძახის ოჯახის წევრების გარდა.

ბენიტო - სერიალის ერთ-ერთ გმირს, სახელად ბენიტოს, ჰყვარებია ჭამა, ამ პიროვნებასაც ჭამის სიყვარულის გამო შეარქვეს ეს სახელი, რომელსაც დღესაც ეძახიან.

გარეგნობის გამომხატველი მეტსახელები:

ყვავი - სიშავის გამო შეარქვეს თანაკლასელებმა. ამჟამად ყველა ამ სახელით მიმართავს.

მუშტუკა - დიდი ცხვირი ჰქონია, რის გამოც შეარქვეს ბავშვობაში ეს მეტსახელი და დღესაც ამ სახელით მოიხსენიებენ, ხოლო მის ბიჭს **„მუშტუკა ბიჭს"** ეძახიან.

ბურძგლა - დიდი და აბურძგნული თმების გამო, ამ მეტსახელით მოიხსენიებენ თანასოფლელები.

რიჟა ვასო - ამ სახელით ხშირად მოიხსენიებენ ამ პიროვნებას, რადგან სოფელში რამდენიმე ვასო ცხოვრობს, ასევე არის სხვა პიროვნება, რომელსაც ,,**რიჟას**" ეძახიან, ამიტომ ამ მეტსახელით აკონკრეტებენ თუ რომელ პიროვნებაზეა საუბარი.

პიკულა - სიდაბლის გამო შეარქვეს ეს სახელი.

ბოჭკა კოწო - სიდაბლისა და სიმსუქნის გამო შეარქვეს ეს მეტსახელი და დღეს სოფელში ასე მოიხსენიებენ. ამასთანავე სოფელში ცხოვრობს რამდენიმე პიროვნება, რომელსაც ,,**კოწო**" ჰქვია და ამ მეტსახელით აკონკრეტებენ, თუ რომელ ,,**კოწოზეა**" საუბარი.

გუდა - ბავშვობაში შეარქვეს, რადგან სულ ეძინა. დღეს ყველა ამ მეტსახელით მოიხენიებს.

კუპაჭია - შეარქვეს თანაკლასელებმა, რადგან ძალიან პატარა ყოფილა. დღეს ამ მეტსახელით არის ცნობილი და ამ სახელით მოიხსენიებენ თანასოფლელები.

კოღო - ბავშვობაში შეარქვეს, რადგან ძალიან პატარა ყოფილა, დღესაც ამ მეტსახელით მოიხსენიებენ თანასოფლელები.

პაშა - სიმსუქნის გამო შეარქვეს.

წარმომავლობის გამომხატველი მეტსახელები:

ოსი ლალი - ოსია და ამის გამო შეარქვეს.

სომეხი გივი - სომეხია და ამის გამო შეარქვეს.

რუსი მარინე - რუსია და ამის გამო შეარქვეს.

კახელი - წარმოშობით კახეთიდან არის.

დირბულა - წარმოშობით სოფელ დირბიდან არის და ასე მოიხსენიებენ სოფელში.

ფიზიკური, გონებრივი და სხვა თვისებრივი ნაკლის გამომხატველი მეტსახელები:

ჭუკია - გონებრივი ჩამორჩენილობის გამო შეარქვეს თანასოფლელებმა.

შურშუტები - გაუნათლებლობის გამო შეურქმევიათ.

მუნჯი(ს) ბიჭი - მამა მუნჯი ჰყავდა და, შესაბამისად, მის შვილს დღეს ამ მეტსახელით მოიხსენიებენ.

ბაჯო - ბიჯოს ვერ ამბობდა,ამბობდა ბაჯოს და ამის გამო შეერქვა ეს მეტსახელი.

კვლანჩხა - თითები აქვს დაკვლანჩხული და ამის გამო შეარქვეს თანასოფლელებმა ეს მეტსახელი, დღეს თითქმის ამ მეტსახელით მოიხსენიებენ.

იაპონკა - სისუსტისა და სიდაბლის გამო შეარქვეს ეს მეტსახელი.

ბიჯო - ლაპარაკისას ხშირად ხმარობს სიტყვა ,,**ბიჯოს**" და ამის გამო ამ მეტსახელით მოიხსენიებენ მეზობლები.

კურკა - ბავშვობაში შეარქვეს, რადგან კურკებს ყლაპავდა ხოლმე.

თარეშა - სახლში თითქმის არასდროს არ არის, სულ გარე-გარე დადის, დღეს თითქმის ყველა ამ მეტსახელით მოიხსენიებს.

ჯუსო - ნათლიამ შეარქვა სტალინის სიყვარულით. ,,**ჯუ - ჯუღაშვილი, სო - სოსო.**" ყველა ამ სახელს ეძახის, ნამდვილი სახელი თითქმის არავინ იცის, დღეს ამ მეტსახელით არის ცნობილი.

ღვედია - ჩხუბის დროს ღვედი გამოუყენებია და ამის შემდეგ ეძახიან ამ სახელს. მის შვილებს კი ,,**ღვედია ბიჭებს**" ეძახიან.

გლობუსა - შეარქვეს თანაკლასელებმა მრგვალი თავის გამო, დღეს უკვე ამ მეტსახელით მოიხსენიებენ.

დეპეშა - ფოსტაში მუშაობდა.

ბორხვენა - აქვს დიდი და ბრტყელი თავი, რის გამოც ეს სახელი შეარქვეს. სოფელში ყველა ამ მეტსახელით მოიხსენიებს.

აღალალი - ბავშვობაში შეურქმევით, აღარარის მაგივრად ამბობდა აღალალის.

ტყლაპი - ბრტყელი თავის ქონის გამო შეარქვეს თანასოფლელებმა და დღეს ასე მოიხსენიებენ.

ბურნუზა - ფიზიკურად ამსგავსებენ ქართული კინოს ,,სიყვარული ყველას უნდა" მსახიობს ბურნუზას.

თვისების გამომხატველი მეტსახელები:

ჭყიმა - ხმამაღალი და ჭიმია ლაპარაკის გამო შეარქვეს.

პეწენიკა - სისუფთავის სიყვარულის გამო შეარქვეს.

წყეული - შეარქვეს თანასოფლელებმა, რადგან გამორჩენის მიზნით ყველას ყველაფერს ატყუებს.

კინტო - აფერისტობის გამო შეარქვეს თანასოფლელებმა.

სისხლი(ს) გუდა - ხშირად ჩხუბობს და ამის გამო შეარქვეს თანასოფლელებმა.

წივილა - ბავშვობაში შეარქვეს, რადგან წივილი სცოდნია, დღემდე ამ მეტსახელით მოიხსენიებენ.

ცხოველების, ქვეწარმავლებისა და ფრინველების მსგავსებით შერქმეული მეტსახელები:

ჭოტი - მარტო ცხოვრობს, ღამე მარტო სიარულის არ ეშინია და ამის გამო შეარქვეს.

ბეღურა - უწყინარი, მშვიდი პიროვნებაა და ამის გამო შეარქვეს.

ცხვარი - ბავშვობაში შეურქმევით, რადგან ძალიან წყნარი ყოფილა, დღეს სოფელში ძირითადად ამ მეტსახელით მოიხსენიებენ.

ხვლიკი - გადმოცემით, ამ კაცს საჭმელში ,,ლობიოში'' ჩავარდნია ხვლიკი, მას ამოუყვანია, გაულოკავს და გადაუგდია, საჭმლის ჭამაც გაუგრძელებია. სწორედ, ამ ამბის შემდეგ შეარქვეს ეს მეტსახელი და ცნობილია ამ მეტსახელით. დღეს მის შვილებსა და შვილიშვილებს მოიხსნიებენ, როგორც **,,ხვლიკის შვილი და ხვლიკის შვილიშვილი.''**

მოფერებითი მეტსახელები:

გულიკო - მოფერების დროს ბავშვს ეუბნებოდნენ, რომ ჩემი გული ხარ, ჩემი გულიკო ხარო, სწორედ აქედან შეერქვა ეს მეტსახელი და დღეს ხშირად ამ სახელითაც მიმართავენ.

დღეს, რეალურ ყოფაში, მოფერებით მეტსახელებად განსაკუთრებით გამოიკვეთა უსემანტიკო, გარკვეული მარცვლებისაგან შეკოწიწებული სიტყვა-სახელები:

ბასტი, კუკი, კატუ, ფასო, კუსუ, კუსა, ბუკაჩო, კუსუნა, კუსკი, გუდუცუნა, ბუბუ, გუდრუცა...

ამ ტიპის მარცვლებისაგან გაონიმებულ სიტყვებს შეიძლება **მარცვალსახელები** ვუწოდოთ. ე.წ. მარცვალსახელების რქმევას განაპირობებს გარკვეული ასაკი - ესაა ადრეული ბავშვობის, უფრო ახალშობილობის, პერიოდი. მაგრამ შემდეგ ამ ტიპის მოფერებითი სიტყვები პიროვნების სახელადაც რჩება.

უცნობი სემანტიკის გამომხატველი მეტსახელები:

ბარჯია, ბაშკირა, ჭიჭა, ჩანახა, ჩირიკი, ჯაყჯაყა, ჭეკენა, ტაკანა, წაპა, წუკა, ფანცულა, ცაცუნა..

ასევე გვხვდება ისეთი მეტსახელები, რომლებშიც უცნობია დარქმევის მოტივაცია: **ჭაპანა, ტიგო, ჩოპრა, ჯაგო, ხრუხუნა, კირკიზა, ფონქერა, ქონთრე, პარენა, დოჭე, ჩანახა, ბაშკირა.**

აღნიშნული მეტსახელების მატარებელმა პიროვნებებმა არ იციან, თუ რატომ დაერქვათ ეს სახელები.

კნინობით-მოფერებითი, ალერსის გამომხატველი მეტსახელები:

მოფერებით-კნინობითია ისეთი მეტსახელი, რომლებიც თავიანთი ძირეული ფორმით გადმოცემულ საგანს დამცირებით ან მოფერებით აღნიშნავენ. მათ საწარმოებლად იხმარება **-ილ, -იკ||-იკო, -უკ-ა, -უნ-ა, -ა.** სოფელში მრავლად გვხვდება ასეთი ტიპის მეტსახელები.

-იკ-ო სუფიქსი წარმოშობით წოდებით ბრუნვაში ყოფილა, მაგრამ ამჟამად მკაფიოდ გამოკვეთილი დერივაციული მაწარმოებელია საალერსო ფორმისა. ა) საკუთარ სახელთა ფუძეებისაგან: **ილია - ილიკო, ოთარი - ოთიკო, ნათია - ნათიკო, მზია - მზიკო....** **-უნ-ა** მოფერებით ფორმებს აწარმოებს სახელის გარკვეული ფუძისაგან. **თამარი - თამუნა, ეთერი- ეთუნა...**

ა დერივატი ამცირებით (კნინობით) ფორმებს აწარმოებს: **ა** დერივატით ნაწარმოები მეტსახელები მრავლადაა სოფელ ფხვენისშიც. **ნუგზარი - ნუგზარა, რამაზი - რამაზა, გიორგი-გიორგა...**

,,მეტსახელთა დიდი უმრავლესობა სემანტიზებულია. მათი ძირითადი თვისება ლექსიკურ-სემანტიკური გამჭვირვალობაა. ამიტომ მეტსახელთა ძირითადი ნაწილი მოლაპარაკე სიტყვაა.

მეტსახელთა ამ თვისებამ თავად შექმნა ზემოთ წარმოდგენილი სემანტიკური ჯგუფები. მეტსახელთა ნაწილს ინფორმატორი არ სჭირდება - იგი თვითონ მეტყველებს თავის თავსა და რქმევის ობიექტზე. მაგრამ გამოიყოფა მეტსახელთა გარკვეული ნაწილი, რომლის სემანტიკა ასევე გამჭვირვალეა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინფორმატორის გარეშე ჭირს მისი კონკრეტული ჯგუფისადმი მიკუთვნება.'' [1. 258]

ხშირად მეტსახელი იმდენად პოპულარული ხდება, რომ ამა თუ იმ პიროვნებას ამ მეტსახელით უფრო იცნობენ, ვიდრე საკუთარი გვარსახელით.

ლიტერატურა:

1. გოდერძიშვილი ქ., ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები, ,,უნივერსალი'', თბ., 2012.
2. ჭუმბურიძე ზ., რა გქვია შენ?, ,,თეატრონი'', თბ., 1992.

ქართული ლიტერატურა

ქალი მიხეილ ჯავახიშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის რამდენიმე ნაწარმოებში

ნანული ეცადაშვილი, ციური მეზვრიშვილი, მარი ტოტიკაშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მარინე ცერცვაძე**, პროფესორი

მიხეილ ჯავახიშვილს ქართულ ლიტერატურაში განუზომლად დიდი და თვალსაჩინო ადგილი უკავია. სამწერლობო ასპარეზზე გამოსვლისთანავე დაიკავა საკუთარი ადგილი ლიტერატურაში. ცოცხალი და მსუბუქი წერის მანერა კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მის მრავალფეროვან შემოქმედებას. მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საინტერესო გარემოება, რომელსაც ყურადღება ლაშა იმედაშვილმა მიაპყრო. ეს უკავშირდება ქალთა პერსონაჟების ჩვენებას. მიხეილ ჯავახიშვილი გვიხატავს ქალის სახეს, მაგრამ არა ისე, როგორც ამას ვჩვეულვართ სხვა მწერალთა შემოქმედებაში, არამედ ისე, როგორც თავად ესახება რეალურ ცხოვრებაში. ირინე, ნუცა, მაკინე, ხათუთა, ცუცქია, მარგო - ეს იმ პერსონაჟთა მცირე ჩამონათვალია, რომელთაც განსხვავებული ცხოვრება, პრობლემები და სატკივარი აქვთ, მაგრამ მათ აერთიანებთ ქალური ბუნება და სისხლი, ლტოლვა ძლიერი მამაკაცისადმი.

ქართველი ქალი, დედა, და, მეუღლე ქართულ ლიტერატურაში აქამდე ისეთ პერსონაჟებად გვევლინებიან, რომელთაც შინაგანი სამყარო უაღრესად მოწერსიგებული აქვთ. ქალი დასაბამიდან გვევლინება სიწმინდის განსახიერებად, რომელსაც ერთგულება ქართული გენით თანდაყოლილ უნარად აქვს ბოძებული. ამ ერთობ „სრულყოფილი“ არსების სახეს სრულიად განსხვავებულად წარმოგვიჩენს მიხეილ ჯავახიშვილი თავის შემოქმედებაში. მწერალმა თითქმის გააშიშვლა "ქართველი ქალის ცხრაკლიტულში გამომწყვდეული ხილვები“ [1; 336] და სააშკარაოზე გამოიტანა პერსონაჟთა საშუალებით. მიხეილ ჯავახიშვილმა, როგორც მწერალმა შეძლო ის, რომ სამოსი შემოაძარცვა ქართველი ქალის სულსა და სხეულს.

მიხეილ ჯავახიშვილი საოცარ ინდივიდუალურობას ავლენს ქალის პერსონაჟის დახატვისას. მხოლოდ მარგოზე საუბარიც კი ცხადყოფს, თუ როგორი უჩვეულო დამოკიდებულება აქვს მწერალს ქალისადმი. ერთობ წყნარი, ცხოვრების დინების მიმყოლი ქალი ველურმა ჯაყომ სრულიად შეცვალა და თვალებში სიცოცხლის ნაპერწკალი გაუღვივა. მართალია, მარგოს ქალური ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ ეს სხვა თემაა. საყურადღებო კი აქ ისაა, რომ მარგოს სახით ჩვენ ვხედავთ პერსონაჟს, რომელსაც შეუძლია უღალატოს ქმარს, წაბილწოს ცოლქმრული სიყვარული და ხორციელ ვნებებს დაუმორჩილოს თავი.

სხვადასხვა ტიპის პერსონაჟებს ვხვდებით ჩვენ მიხეილ ჯავახიშვილს „თეთრ საყელოში“. ნაწარმოების მთავარ თემას არ წარმოადგენს ქალური ბუნების ჩვენება, მაგრამ ამ ნაწარმოებშიც ნათლად ვხედავთ, რომ ქალს, მთაშიც და ქალაქშიც, საერთო სურვილები გააჩნიათ მამაკაცთან დაკავშირებით. მწერალი თითქოს ცდილობს მკითხველს უჩვენოს ქალის ურცხვი ბუნება. ამასთანავე, მისი ბუნების ზოგიერთი მანკიერებაც. მიხეილ ჯავახიშვილს ხათუთასა და ცუცქიას დაპირისპირებით სურს დაგვანახოს, რომ ქალი არ უნდა დაემსგავსოს უნაყოფო ხეს, რომელსაც მომავალი არ აქვს.

ქალთა პერსონაჟებიდან ძალზე საყურადღებოა „დამპატიჟეს“ პერსონაჟი მაკინე. მწერალი თითქმოს აღფრთოვანებასაც კი ავლენს ამ პერსონაჟის მიმართ, მაგრამ, ამავდროულად აკრიტიკებს კიდეც მას, როგორც ქალს: „დედაკაცი გველია და ჭკუაც გველისა აქვს. შეუჩნდება, შეეპარება სულსა და სისხლში ჩაეღვრება, ბუზის ოდენას უკბენს, მერე მოჰყვება და იმ ნაკბენით მამაკაცს თავის აზრითა და ნებით გაავსებს და უთუოდ თავისას გაიტანს“. ამ კონკრეტულ მონაკვეთში კი აშკარად ასახულია ქალის უპირატესობა და ცბიერება.

მიხეილ ჯავახიშვილმა პერსონაჟთა გულის კუნჭულში მიმალული ფიქრები მკითხველს თვალწინ გადაუშალა. თითქოს იმის დამტკიცებას ცდილობდა, რომ ქალი, ყველა ეროვნებაში, ქალია.

ამ მეტად საინტერესო პერსონაჟთა სიას აგრძელებს მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოების - „მესამეს“ მთავარი გმირი ირინე.

ირინემ, როგორც ყმაწვილქალმა თავი დაკარგა, როდესაც შეუყვარდა, მაგრამ არის თუ არა მისი სიყვარული ჭეშმარიტი და სპეტაკი, ამის გარკვევას მკითხველი მთელი ნაწარმოების მიმდინარეობისას ცდილობს. შეუყვარდა მას თუ მის სხეულს, შეუყვარდა სული თუ სხეული, ამას ნაწარმოების ფინალი ცხადყოფს. ირინეს გულმა სამი სხვადასხვა მამაკაცის სიყვარული დაიტია, მაგრამ ერთ დროს მშვენიერი მამაკაცის, მეუღლის სიყვარული ქრება მაშინვე, როგორც კი მას საზარელ მდგომარეობაში, უუნაროს ხედავს. ქრება სიყვარული მამაკაცისა, რომელმაც პირველად გააღვიძა მასში ეს გრძნობა. ირინე ტოვებს მეუღლეს, რადგან ვერ ხედავს მასთან ქალური ბედნიერების პერსპექტივას. მიუხედავად იმისა, რომ მან იცის თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მისი ნუგეში უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი ქმრისათვის - ტოვებს ხეიბარ ქმარს და უბრუნდება მეორე სიყვარულს, შალვას, რომელსაც მეტი შესაძლებლობა აქვს, რათა ირინეს ბედნიერება მიანიჭოს. მაგრამ, როგორც კი ირინე ხვდება, რომ მასთან გზა მოჭრილი აქვს, ეძებს მესამეს, სანდროს. რისი თქმა სურდა მწერალს სასოწარკვეთილი პერსონაჟის დახატვით საკმაოდ რთულია, მაგრამ თვალსაჩინოა ის, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ამ კონკრეტული პერსონაჟის ჩვენებისას არ ავლენს მის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას, რასაც ვერ ვიტყვით ზემოთ დასახელებულ პერსონაჟთა შესახებ.

მწერალი ქალის პერსონაჟის დახატვისას გვევლინება არა მხოლოდ მწერლად, არამედ ფსიქოლოგადაც, რაც თვალნათლივ იკვეთება მის შემოქმედებაში. ფაქტია, მან სრულიად განსხვავებული პროფილიდან დაგვანახა ქალის სახე ქართულ ლიტერატურაში.

ქალის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება მჟღავნდება ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. ერთი შეხედვით, რთულია მიხეილ ჯავახიშვილთან გადამკვეთი წერტილების ჩვენება, მაგრამ მის შემოქმედებას ამშვენებს ერთი მეტად საინტერესო ნაწარმოები, რომელშიც ქართველი ქალი განსხვავებული ცხოვრებითა და შეხედულებით გვამახსოვრებს თავს. „თავსაფრიანი დედაკაცის“ ავტორმა შეძლო ის, რომ ქართველი ქალი „თავსაფრის“ მიღმა დაენახებინა მკითხველისათვის.

„შელოცვა რადიოთი“ ამ ნაწარმოების მთავარი გმირი ელი გორდელიანია. ელი მოდერნისტული ეპოქის ქალია. ერთგვარი ახალი სახეა ლიტერატურაში. ლიტერატურა კი ცხოვრების ანარეკლია. განათლებული და თავისუფალი ქალი, რომელსაც წინა პლანზე საკუთარი „მე“ უყენია, ასეთია ელი. მას სურს, მიიღოს პიროვნული გადაწყვეტილებები, იყოს დამოუკიდებელი, რაც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ქართულ ტრადიციულ შეხედულებებს. ასეთი იყო ევროპელ ჰექსლეისთან წასვლა უცხოეთში, ამერიკელ ბრომლეისთან მეგობრობა და ბოლოს, გველთან ცეკვა. ამ უკანასკნელით კი ელი ცდილობს დაიბრუნოს დაკარგული პიროვნულობა და დაბრუნდეს სამშობლოში. შინაგანი ფორიაქი, სასოწარკვეთლება და ავტორის სიმპათია აკავშირებს მიხეილ ჯავახიშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის „მესამესა“ და „შელოცვა რადიოთი“–ს მთავარ პერსონაჟებს.

ელი არის ქალი, რომელსაც უკეთესი დროება, მომავალი და არსებული პირობების გაუმჯობესება სურს. ფიქრობს რა კარგ მომავალზე, გადაწყვეტს შესაბამისადაც იმოქმედოს, მაგრამ სამშობლოს ნოსტალგია მის მშფოთვარე გულს მოსვენებას არ აძლევს. ელის სახით ნაწარმოებში დახატულია ერთობ ტანჯული და სათნო ქალი, რომელსაც მიზნის მისაღწევად უკან დახევა არ სჩვევია. თუნდაც საკუთარი შვილის გამო. აქ კიდევ ერთხელ იკვეთება ის გარემოება, რომ ელი არის ქალი, რომლისთვისაც საკუთარი თავი პირველ რიგშია. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია არ აღინიშნოს მისი სათუთი, ქალური ბუნება.

აქ შეიძლება პარალელი გაკეთდეს მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობასთან - „მესამე“. ირინე, ისევე როგორც ელი, იოლად ასდევს გრძნობებს. იოლადვე იღებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. ორივე მათგანის შემთხვევაში პირადი ბედნიერებისათვის ბრძოლაა ნაჩვენები. ნაკლებადაა ხაზგასმული დედობრივი სიყვარული ქართველი ქალისა შვილისადმი, რასაც უხვად ვხვდებით ქართულ ლიტერატურაში. ორივე შემთხვევაში ქალი მიზანსწრაფულია, რასაც ეგოისტური მე განაპირობებს. არ ჩანს ქალის ბრძოლა პატიოსნებისა და ზნეობისათვის, მაგრამ ეს ხდება ისე, რომ თითქმის შეუბღალავი რჩება პერსონაჟი მკითხველის თვალში. ამას ორივე შემთხვევაში განაპირობებს მწერლის მიერ საოცრად რეალური პრობლემებისა და ტკივილის ცოცხალი სურათის გადატანა ქაღალდზე.

მაგრამ ამ პერსონაჟთა შორის სხვაობაცაა. ირინე ქალია, რომელსაც უყვარს მშვენიერება და ეტრფის ამ მშვენიერებას ადამიანში. მას, აგრეთვე, შეუძლია სასიყვარულო პარტნიორების გამოცვლა ვითარების შესაბამისად ისე, რომ თითოეულ მათგანთან კვლავ სიყვარულის ძაფები გააბას. ელი კი ქალია, რომელსაც სურს თავისუფლად ინავარდოს, თუნდაც ამას მის უკან მყოფი ოჯახი ეწირებოდეს.

მიუხედავად ყველაფრისა, ამ პერსონაჟთა შორის მსგავსება დიდია. ორივე ნაწარმოების პერსონაჟი მღელვარებითა და სარისკო გადაწყვეტილებების მიღებით გამოირჩევა, მაგრამ მათ შორის ყველაზე დიდი მსგავსება ის არის, რომ ეს ორი ქალი, პირველ ეტაპზე, რომელიც სიცოცხლეს შესტრფის და პირადი

ბედნიერებისათვის იღწვის, სიცოცხლეს მარტოობასა და შინაგან სიცარიელეში ატარებს. თითქოს ახდენილი ოცნებები, მათ ცხოვრებაში, ჯოჯოხეთს ემსგავსება. ბედნიერებას სევდა და უნუგეშობა ცვლის.

ელი და ირინე ორი სხვადასხვა მწერლის სხვადასხვა მიზნების მქონე პერსონაჟები არიან, რომელთაც ბედისწერამ მძიმე ხვედრი არგუნა წილად. ორი მშვენიერი არსება, ერთ დროს ფრთაშესხმულნი, ცხოვრების მიერ ჩაგრულნი და ფრთაშეჭრილნი არიან.

ქართველი ქალი ყველა ეროვნების ქალისაგან განსხვავდება: კდემამოსილი, დინჯი, თავშეკავებული, ერთგული, წმინდა და ღირსეული - ასეთი წარმოგვიდგება ჩვენ იგი. მისთვის ღირსება ყველაფერია და თავად წარმოადგენს ამ ღირსებას, რომელსაც სიცოცხლის ფასადაც დაიცავს. ელი და ირინე ქართველი ქალები არიან, რომელთაც დაივიწყეს ის ფასეულობანი, რომლითაც ქართველი ქალი ყველასგან გამორჩეულია. მათ სურდათ გაერღვიათ ის ჩარჩოები, რასაც ჩვენში ქართველობა ეწოდება. ელის შემთხვევაში სინანული აიძულებს მას დაუბრუნდეს მშობლიურ ფესვებს, ირინა კი სასომიხდილი ელის მესამეს, როგორც ერთადერთ იმედს. რატომ ამთავრებენ ასეთი ტანჯვით სიცოცხლეს ავტორთა რჩეული პერსონაჟები, რომელნიც მკითხველს დასაწყისიდან უყვარდება? ალბათ, იმიტომ, რომ ქართველ ქალს ქართველობისა და ჭკუა–გონების დაკარგვა ვერ აპატიეს მწერლებმა.

ლიტერატურა:

1. მიხეილ ჯავახიშვილი, რჩეული თხზულებანი, ტომი I, "საბჭოთა საქართველო", 1958.
2. თამაზ ვასაძე, ნუგზარ მუზაშვილი, ნიკოლოზ ჩუბინიძე, ქართული 12, "დიოგენე", 2008.
3. ლალი დათაშვილი, მარინე კუჭუხიძე, ცირა ნიქაბაძე, შორენა ქაჯაია, ქართველი მწერლები სკოლაში 9, "თბილისი", 2001.
4. http://ketilebanidze.blogspot.com/2011/06/blog-post.html#.WSwAZpKGOUl

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის პოლემიკისათვის

მარიამ როსტომაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ნელი ჭამპურიძე,** პროფესორი

ჩვენს ნაშრომში შევეცადეთ წარმოგვედგინა ''ვეფხისტყაოსნის'' ავტორის ვინაობის საკითხის შესახებ არსებული პოლემიკა და თანამედროვე კვლევების მოკლე ანალიზი. მე-12 საუკუნის ქართული კულტურის გვირგვინი დღემდე დაუძლეველი მწვერვალია შოთა რუსთაველის უკვდავი ''ვეფხისტყაოსანი'' და, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მეცნიერთათვის დღემდე არაა ცნობილი უკვდავი პოემის ავტორის ზუსტი ვინაობა.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის დადგენის შესახებ კლასიკურ კვლევებში (კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე) ყურადღება გამახვილებულია პროლოგის მე-7 და მე-8 სტროფებზე, სადაც ავტორი თავად გვამცნობს თავის ვინაობას: ''მე რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი...'', ''დავჯე რუსთველმან გავლექსე მისთვის გულ-ლახვარ სობილი'' რუსთველი, როგორც პოემის ავტორი, ორჯერ არის დასახელებული ვეფხისტყაოსნის ტრადიციულ ეპილოგშიც. ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ სწორედ რუსთაველს მიაწერს „ვეფხისტყაოსანს“ მე-18 საუკუნეების ქართული მწელობა. თუ კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის მსჯელობას დავეყრდნობით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია რუსთველი. რუსთველი არც სახელია პოეტისა, არც ფსევდონიმი. რუსთველი ეწოდება რუსთავის ციხე-ქალაქის მფლობელს, მეპატრონეს ან რუსთავის მკვიდრს. საქართველოში რამდენიმე რუსთავია ცნობილი, ამათგან ჩვენი პოეტის სახელს უკავშირდება ორი: რუსთავი მესხეთისა (ახალციხე-ასპინძის გზაზე, ახალციხესთან 20 კილომეტრის დაშორებით) და თბილისის რუსთავი (თანამედროვე რუსთავის ტერიტორიაზე). ზოგიერთი ლიტერატურული წყარო, მაგ. მე-17 საუკუნის ''არჩილიანი'', განსაკუთრებული დაჟინებით კი ხალხური გადმოცემები, რუსთველს თვლის მესხად ან ჯავახად. ''ვეფხისტყაოსნის'' ეპილოგში ვკითხულობთ: “ვწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთველისად ამისა'' ამის მიხედვით ბევრი ფიქრობს, რომ

რუსთველი იყო მესხი, მაგრამ დამოწმებული ტექსტის ავტორი აცხადებს, რომ იგი წერს ''რუსთველისად ამისა'' ე.ი. რუსთველის მსგავსად, მის მიხედვით. მაშასადამე, მესხი მელექსე რუსთველი კი არ არის, არამედ რუსთველის მიმბაძველია. მესხი მელექსე რუსთველის სკოლის პოეტია, მაგრამ იგი არ არის თვითონ რუსთველი. რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია და საფიქრებელიც, რომ რუსთველი მესხი ყოფილიყო, მესხეთის რუსთავის მფლობელიც ან მეპატრონე მით უფრო, რომ მესხეთში პოპულარული ყოფილა ''ვეფხისტყაოსანი''. მესხეთში გამოჩენილა ამ პოემის ერთი, პირველი და დიდად ნიჭიერი წამბაძველ-გამგრძელებელი. ყოველ შემთხვევაში, მესხეთშია შეთხზული ვეფხისტყაოსნის დამატებანი.

საინტერესოა პავლე ინგოროყვას კვლევა შოთა რუსთაველის ვინაობის დადგენის საკითხზე. ინგოროყვა რუსთველოლოგიურ ნაშრომში ''რუსთველიანა'' დაბეჯითებით საუბრობს რუსთველის არისტოკრატიული წარმომავლობის შესახებ. ამ აზრს იგი მე-12-13 საუკუნეთა საისტორიო წყაროების ანალიზზე დაყრდნობით გამოთქვამს და ამბობს, რომ ''ჰერეთის ერისთავი შოთა, ჰერეთის ბაგრატიონთა გვარისა, არის შოთა რუსთაველი, ავტორი გენიალური ქართული პოემისა''. [2-107]

რუსთველიანაში კარგადაა განხილული ორი რუსთავის, ჰერეთისა და მესხეთ-ჯავახეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა. გთავაზობთ მოკლე გეოგრაფიულ ექსკურსს: რუსთავი ჰერეთისა, როგორც ცნობილია მდებარეობდა თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ძველი ქართული პროვინციების, ჰერეთისა და კახეთის სანაპიროზე. ჰერეთის რუსთავი მეტად მნიშვნელოვან პუნქტად ითვლებოდა უძველესი დროიდან თამარის ეპოქამდე. რუსთავი მესხეთ-ჯავახეთისა - უძველესი ცნობა მესხეთ-ჯავახეთის რუსთავის შესახებ ჩვენ გვაქვს მხოლოდ მე-18 საუკუნიდან, იგი აღნიშნულია ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიულ რუკაზე. მაგრამ ეს რუსთავი ვახუშტის ეტყობა არ მიაჩნია ძველ პუნქტად, რაც ჩანს იქიდან, რომ ვახუშტი მის შესახებ არაფერს ამბობს თვითონ გეოგრაფიის ტექსტში. ეს არის ყველა ის რეალიები, რომლებსაც პავლე ინგოროყვა გვიამბობს ორივე რუსთავის შესახებ, რა თქმა უნდა, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით. კითხვაზე თუ რომელი რუსთავიდან იყო შოთა, საისტორიო წყაროებიდან შემდეგი ირკვევა: ''საშუალო საუკუნეთა საქართველოში არსებობდა რუსთავის სამფლობელო, რომლის ცენტრიც ყოფილა ჰერეთის ციხე-ქალაქი რუსთავი, მფლობელნი ამ თემისა იწოდებოდნენ ''რუსთველნი" ანუ ''რუსთავისა" და შვილა მთულეთთა პატრონი". [2-98]

აღსანიშნავია ის, რომ ალ. ბარამიძის თქმით, ჰიპოთეზურია პ. ინგოროყვას მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თითქოს ვეფხისტყაოსნის გმირის, ტარიელის ამბავი ''პოეტურ ასპექტში" გამოხატავს თვითონ შოთა რუსთაველის ამბავს და თითქოს, შოთა რუსთაველი იყო ჰერეთის ერისთავი შოთა ბაგრატიონი (შოთა კუპრი). ისტორიულ წყაროებსა და ხალხურ გადმოცემებზე დაყრდნობით ალ. ბარამიძე თვლის, რომ „ვეფხისტყაოსნის" ავტორი უნდა ყოფილიყო შოთა მეჭურჭლეთუხუცესი.

ძველი ქართული ლიტერატურის თანამედროვე მკვლევარი ნესტან სულავა თავის მონოგრაფიულ ნაშრომში ეხება ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის საკითხს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მე-18 საუკუნის შუა ხანების ქართველი სასულიერო პირის, ტიმოთე გაბაშვილის კვლევაზე პალესტინის ქართული ტაძრების. ტიმოთე გაბაშვილი ჯვრის მონასტერზე არსებული ფრესკის შესახებ წერდა: ''ჯვრის მონასტერი დაძველებულა და გუმბათის ქვევით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთამს რუსთაველს, მეჭურჭლეთუხუცესს, თვითონაც შიგ ხატია მოხუცებული" (6, გვ. 304) ფრესკაზე არსებული წარწერა გვაუწყებს, რომ შოთა რუსთაველს, მეჭურჭლეთუხუცესს მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში შეუკეთებინებია და მოუხატვინებია ჯვრის მონასტერი. წარწერა შემდეგი შინაარსისაა: ''ამისა დამხატავსა შოთას შეუნდვნეს ღმერთმან ამინ''. აღმოჩნდა, რომ თამარ მეფის დროს მეჭურჭლეთუხუცესობის თანამდებობა თორელებს ეჭირათ, შოთა რუსთაველის თორელობის შესახებ გასათვალისწინებელია ქვაბისხევის მცირე ზომის სამნავიანი ბაზილიკა, რომლის კედელზე გამოსახული მამაკაციც შოთა რუსთაველია. სარგის ცაიშვილმა ივარაუდა, რომ წარწერა და ფრესკა მე-12 საუკუნის ბოლოს უნდა ეკუთვნოდეს. შესაძლოა იგი მართლაც შოთა რუსთაველი იყოს. მნიშვნელოვანია აძიკვის ბარელიეფი, რომელზეც ოთხი პირია გამოსახული. მათგან ერთ-ერთს წაწერილი აქვს სახელი "შოთაი". ბარელიეფი მე-10 მე-11 საუკუნისადაა მიჩნეული, ხოლო ბარელიეფზე გამოსახულ პირთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონოლოგიის შესწავლის საფუძველზე ლიტერატურათმცოდნეობაში გამოითქვა მოსაზრება, რომ იგი მე-12 საუკუნის 80-90-იან წლებში უნდა შესრულებულიყო და ნავარაუდევია ეს "შოთაი" თორელთა საგვარეულოს წარმომადგენელი და ბარელიეფზე გამოსახულ პირთა ნათესავია, მაგრამ ეს შოთა რუსთაველია თუ არა, ამის თქმა კვლევის თანამედროვე ეტაპზე მაინც შეუძლებელია. ამრიგად, ნესტან სულავს მიერ მოწოდებულ ცნობებს თუ დავეყრდნობით, შეიძლება ასე შევაჯამოთ ყველაფერი: მე-12 მე-13 საუკუნეების ისტორიულ-დოკუმენტური წყაროების მიხედვით, შოთა რუსთაველი დაბადებულა მე-12 საუკუნის 60-იან წლებში, რაც დაემყარა 1966 წელს პოეტის დაბადებიდან 800 წლისთავის საიუბილეო თარიღის აღნიშვნა. იგი ყოფილა თორელთა საგვარეულოს წარმომადგენელი,

სჭერია მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა, ხალხური თქმულების საფუძველზე, მას უნდა ესწავლა იყალთოს, ხოლო შემდეგ - ბიზანტიაში, მანგანის აკადემიაში.

მკვლევარი მარიამ კარბელაშვილი საკუთარ ნაშრომში: ''ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის პრობლემა გეოპოლიტიკის კონტექსტში: საქართველო-ევროპა თუ აზია?" ყურადღებას ამახვილებს ნიკო მარის შეხედულებებზე, კერძოდ, ყველაზე მთავარი და გადამწყვეტი ნ. მარის რუსთველოლოგიურ ფსევდომეცნიერულ თეორიაში სწორედ ისაა, რომ ის ვეფხისტყაოსანს აშკარად და დაუფარავად სპარსული ლიტერატურის შემადგენელ, ორგანულ ნაწილად, სპარსული ლიტერატურის კუთვნილებად აცხადებდა. ეს გარემოება კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის „ვეფხისტყაოსნის" ავტორის ვინაობის დადგენის საკითხს. მარიამ კარბელაშვილი ყურადღებას მიაპყრობს ალ. ბარამიძის მიერ მეცნიერული კეთილსინდისიერებით აღნიშნულ ფაქტს, რომ "ნ. მარი იმთავითვე სერიოზულ შეცდომებს უშვებდა". (4, გვ. 13) აკადემიკოს ნ. მარის მიმართ მე-20 საუკუნის ქართველ მეცნიერთა დამოკიდებულების ფონზე შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ჯერ კიდევ 1899 წელს ილია ჭავჭავაძის მიერ ნ. მარის მიმართ დასმული კითხვა: ''ვისთვის ან რისთვის ირჯება, რომ ასე უსაბუთოდ გვეტანება და ხელიდამ გვაცლის ჩვენს ვეფხისტყაოსანსა?"(4-გვ15) რომელსაც თავადვე გასცა პასუხი: „ბ-მა მარრმა კარგად იცის - რა განძია ჩვენთვის ვეფხის-ტყაოსანი, კარგად იცის - რა ბურჯია ჩვენი თავმოწონებისთვის, ქვეყნად ხმის ამოღებისთვის, უკეთესი იქნება აქედამ დაგვცხოს, აქედამ შემოგვინგრიოს ციხე-სიმაგრე ჩვენის სახელისა და თავმოწონებისა, სხვა რა გულთაძვრამ უნდა აგვიხსნას ამისთანა თავდაუჭერავი მუქარა და ქადება მეცნიერისა, ფსიხოლოგიურად რომ ჩავუკვირდეთ?"(4-გვ.16) აღმოსავლეთის, სახელდობრ, სპარსეთის მიმართ უდავოდ პოზიტიური დამოკიდებულების მაჩვენებელია ქვემოთ მოყვანილი მასალა, სადაც ნ. მარი მისთვის ჩვეული კატეგორიულობით აცხადებდა, რომ სწორედ მე-10 მე-11 საუკუნეებს განეკუთვნება სპარსული აღორძინების აყვავება, რომელმაც თავისი კულტურულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით გაიტაცა ირანისკენ ფსიქოლოგიურად მიზიდული სომეხი და ქართველი ხალხები. სწორედ საქართველოს ოდითგანვე ირანიზაციამ შექმნა ის ნაყოფიერი ნიადაგი, რომელზეც ქართველებთან ბრწყინვალედ დაემყნო და განსაკუთრებით გაიფურჩქნა სპარსული ნაციონალური ეპოსი და სპარსული რომანტიზმი, რომელმაც ასერიგად ძლიერად შეუწყო ხელი მათი ლიტერატურის სეკულარიზაციას, ქართული მწერლობის განთავისუფლებას ეკლესიურობისა და ბიზანტიური სქოლასტიკის მკვდრული უღლისაგან. თუმცა უნდა ითქვას, რომ ნიკო მარის მოსაზრებანი რუსთაველის მაჰმადიანური აღმსარებლობისა თუ რუსთაველისა და ჩახრუხაძის იგივეობის შესახებ მეცნიერებაში არ არის გაზიარებული.

ჭეშმარიტი არსის გასარკვევად და ნათელსაყოფად სულაც არ ყოფილა საჭირო და აუცილებელი ამდენი მასალის მოხმობა და ანალიზი, რადგან ფილოლოგიურ მეცნიერებაში დიდი ხანია - მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან არსებობს ორად-ორი დებულება, რაც ზუსტად იმასვე ადასტურებს, რომ რუსთაველი აღმოსავლური პოეზიის წარმომადგენელია და რუსთაველის პოემას ევროპაში არაფერი ესაქმება.

ჩვენს ნაშრომში მოკლეთ მიმოვიხილეთ ''ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის დადგენის შესახებ გამართული პოლემიკა, შესწავლის ისტორია და თანამედროვე მიგნებები. იმედია, საუკუნეების შემდეგ, როცა კიდევ და კიდევ მატულობს „ვეფხისტყაოსნის" პოპულარობა, კიდევ მეტ ფაქტების აღმოჩენის მომსწრე გავხდებით პოემის ავტორის, შოთა რუსთაველის, ვინაობის შესახებ.

ლიტერატურა:

1. კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1969.
2. პავლე ინგოროყვა, რუსთველიანა, თბილისი, 1963.
3. მიხეილ რეხვიაშვილი, ვეფხისტყაოსნის სამყარო, თბილისი, 2009.
4. ლიტერატურული ძიებანი, თბილისი, 2013.
5. ლიტერატურული ძიებანი, თბილისი, 2015.
6. ქართული ლიტერატურა, ტომი I, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე", 2013.

ნოე ჟორდანია და ქაქუცა ჩოლოყაშვილი - როსტომ ჩხეიძის პოსტმოდერნისტული რომანის პერსონაჟები

ნათელა საზანდრიშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინე ცერცვაძე**, პროფესორი

,,პოსტმოდერნიზმი განვითარებული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, პოსტმოდერნისტული აზროვნება კი - თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი მეტად სპეციფიკური ნიშანი. იგი შედარებით ახალი კულტურული ფენომენია და მისი მრავალი ასპექტი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი. ჰუმანიტარული ცოდნის სფეროში XX საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო მოდერნიზმის კრიზისი, რასაც პოსტმოდერნისტული ტენდენციების გაჩენა მოჰყვა. მისთვის ფილოსოფიურ-თეორიული ბაზა პოსტსრუქტურალიზმმა მოამზადა 60–70-იან წლებში. ტერმინი „პოსტმოდერნიზმი“ ახასიათებს თანამედროვე ზოგადკულტურულ სიტუაციას, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, თანამედროვე სალიტერატურო პროცესსაც. იგი XX საუკუნის კულტურის უნივერსალური კატეგორია და, როგორც ხშირად მიუთითებენ ხოლმე, გამოხატავს „ეპოქის სულს“.

ტერმინი „პოსტმოდერნიზმი“ პირველად გამოიყენა რ. რანვიცმა თავის ნაშრომში „ევროპული კულტურის კრიზისი“, რომელიც 1917 წელს გამოიცა. იგივე ტერმინი 1934 წელს ფედერიკო დე ონისმა გამოიყენა მე-20 ავანგარდული პოეტური ცდების აღსანიშნავად, როცა ის ესპანური პოეზიის ისტორიის შესახებ მსჯელობდა. ეს ტერმინი XX საუკუნის 60–70-იან წლებში არქიტექტურასა და ხელოვნებაშიც გამოიყენებოდა ნოვატორული ტენდენციების აღსანიშნავად. 80-იანი „პოსტმოდერნიზმმა“ შეიძინა ფილოსოფიური ტერმინის სტატუსი და აღნიშნავს თანამედროვე ეპოქის მენტალურ სპეციფიკას.

თანამდროვე ქართულ კულტურულ სივრცეში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართულმა პოსტმოდერნიზმმა. ქართულ ლიტერატურაში პოსტმოდერნიზმი „ცარიელ“ ადგილზე არ გაჩენილა. მის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინეს მდიდარმა ქართულმა სალიტერატურო ტრადიციებმა, დასავლური და რუსული პოსტმოდერნიზმის კულტურულ-ესთეტიკურ სამყაროსთან ზიარებამ და XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში შექმნილმა სოციალურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ.

საბჭოთა იმპერიის დაშლა, რომელიც ოცნებად ჰქონდა გადაქცეული ქართველ ხალხს, ვერ იქცა ერთმნიშვნელოვან გარანტად, რომ ქვეყანაში პოლიტიკურ თავისუფლებასთან ერთად სრული ჰარმონია, სულიერი სიმშვიდე და მატერიალური კეთილდღეობა დაისადგურებდა. ერი უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ამას დაემატა ძმათამკვლელი ომი და ტრაგიკული დამარცხება აფხაზეთის ომში, რამაც ქართველ კაცს გარკვეულწილად დაუკარგა საკუთარი თავის რწმენა, დააეჭვა საკუთარ სიძლიერესა და შესაძლებლობებში. ქვეყანაში შიშმა და იმედგაცრუებამ დაისადგურა. ამასთან, სპეციფიკური პრობლემების ფონზე განსაკუთრებით გამძაფრდა ყველა მცირერიცხოვანი ერისათვის დამახასიათებელი გლობალიზაციის შიში. ასეთმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა და ფსიქოლოგიურმა წინაპირობებმა განსაზღვრეს ქართული პოსტმოდერნიზმის წარმოშობა.

პოსტმოდერნმა, როგორც მხატვრულმა ეპოქამ გააერთიანა XX სუკუნის სხვადასხვა არარეალისტური მხატვრული მიმდინარეობა. პოსტმოდერნი უარყოფის უარყოფის შედეგია: მოდერნიზმმა უარყო აკადემიური და ტრადიციული ხელოვნება, თუმცა, საუკუნის ბოლოსათვის თვითონ მოდერნიზმიც ტრადიციული გახდა. მოდერნიზმის ტრადიციების უარყოფამ რიტორიკულ-მხატვრული მნიშვნელობა შეიძინა და კაცობრიობა მიიყვანა მხატვრული განვითარების ახალ მიჯნამდე - პოსტმოდერნის ეპოქამდე, რომელიც აერთიანებს ხელოვნების დარგების სხვადასხვა მიმართულებას: პოპ-არტს, ჰიპერრეალიზმს (ფოტორეალიზმს), სონორისტიკას, ალეატორიკას, ჰეპენინგს, სოცარტს, კონცეპტუალიზმს და სხვა. (ნ. გაფრინდაშვილი; მ. მირესაშვილი, „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, თბ., „მერიდიანი“, 2014)

ზურაბ ქარუმიძის აზრით „პოსტმოდერმიზმი მოდერნიზმის მიმართ პასუხი, მისი ანტითეზაა. რადგან მოდერნიზმმა რაღაც შემთხვევაში, ამოწურა თავისი თავი. განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 40-იანი წლების ბოლოდან. მოდერნიზმი მხატვრობაშიც მივიდა სრულ სიცარიელემდე, მინიმალისტულ და წერტილოვანი გამოხატვის ფორმებამდე. მუსიკაში ცოტა გვიან, ჯონ კეიჯმა თავისი კომპოზიცია „4 წუთი და 33 წამი“, სადაც არაფერი ჟღერს ამ ხნის განმავლობაში. ბუნებრივია, რაღაც ახალი უნდა გამოჩენილიყო, სიცარიელე უნდა შევსებულიყო. სწორედ ამის შევსება

დაიწყო პოსტმოდერნიზმმა. ამის წინათგრძნობა ადრეც არსებობდა. მაგალითად, გერმანელი ფილოსოფოსი ჰანს გეორგ ადამერი 40-იანი წლების ბოლოს წერდა, რომ მოვა დრო, როცა ევროპული ავანგარდი და კლასიკა შეერწყმება ერთმანეთს და გაჩნდება ახალი ტიპის ენა - სახელოვნებო ენა. მართლაც, პოსტმოდერნიზმი დაიწყო ახალი ტიპის მოვლენებით, კლასიკის და ავანგარდის შერწყმით. სახელოვნობო პოსტმოდერნიზმი 50-60-იანი წლებიდან იწყება. პოსტმოდერნისტი ავტორი ქმნის პერმეტულად ჩაკეტილ ტექსტს, რომლის გაგებასაც ძალიან სერიოზული ძალისხმევა სჭირდება. მოდერნისტ ავტორს მკითხველი არ აინტერესებს. ის ცდილობს ქაოსის დასაძლევად ახლის, რაღაც ტოტალურის შექმნას, სადაც ეს ქაოსი უნდა დაიძლიოს. ანუ ქმნის ტოტალიზაცის.“ (ლიტერატურული გაზეთი. 24/02-9/03 2017 წელი)

კონსტანტინე ბრეგაძე კი მოდერნზმსა და პოსტმოდერნიზმს შემდეგნაირად განმარტავს: „მოდერნისტული ტექსტი არის ელიტარული, ღრმად ინტელექტუალური და იმდენად ფართო მკითხველი არ ჰყავს, როგორც პოსტმოდერნისტულ ტექსტს. პოსტმოდერნისტული ტექსტი „მასობრივია“, მაინც ყველაზეა გათვლილი. აქ იერარქიული მომენტი მკითხველსა და ტექსტს შორის მოხსნილია. მეორე მომენტია რეფერენციულობა, მიმართება. მოდერნისტი ავტორი თავის ტექსტს გაიაზრებს როგორც მეტაფიზიკურ, საკრალურ ტექსტს. ის ცდილობს, საკუთარი ტექსტით გააკრიტიკოს მისი თანამედროვე მოდერნიზმის ეპოქის დესაკრალიზებული ვითარება და დაძლიოს იგი (გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“). პოსტმოდერნისტულ ტექსტს არ აქვს პრეტენზია, რომ გარესამყაროსადმი, საკუთარი თანამედროვეობისადმი ჰქონდეს უშუალო მიმართება. ის, უპირველესად, თავისთავზე, ან სხვა ტექსტზეა მიმართული. პოსტმოდერნისტული ტექსტი არის ერთგვარი ზარდახშა, რომელსაც აქვს მრავალი ძირი. გერმანელებს აქვთ გამოთქმა - „ფერშახტელუნგ“ – „ჩაკოლოფება“. პოსტმოდერნისტულ ტექსტში უამრავი შრე გამოიკვეთება. თუ რამეზე აქვს მიმართება პოსტმოდერნისტულ ტექსტს, ეს არის წარსული ტექსტუალური გამოცდილება. მაგალითად, გივი მარგველაშვილი პოსტმოდერნისტული რომანი „ნუცალი“. ხშირად სპობს მოდერნისტული ტექსტი „ჩაკეტილი“ ინტელექტუალური სამყარო, აქ ხშირად ორმაგი, სამმაგი, ათმაგი კოდირებაა. აქ მრავალი ჟანრი და ნარატიული სტილი იყრის თავს. თუნდაც იგივე ეკოს „ვარდის სახელი“: მასში მთელი ევროპული კულტურის ფილოსოფიური ნააზრევია პროეცირებული, პერსონაჟების კამათის დისკუსშია ჩართული.“ (ლიტერატურული გაზეთი. 24/02-9/03 2017 წელი)

პოსტმოდერნიზმის შემადგენელი ნაწილია დეკონსტრუქცია. ,,ტერმინი „დეკონსტრუქცია“ ნიშნავს მეტაფორების ამოცნობის პროცესს, მათი იმ ფარული ლოგიკის გამომზეურებას, რომელიც, ჩვეულებრივ, არსებობს“. (http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10563) „ნაყოფიერად მუშაობს დეკონსტრუქციის მეთოდით როსტომ ჩხეიძე. ამ არაჩვეულებრივად ერუდირებული, ფართო შემოქმედებითი ინტერესების მქონე მწერლის დეკონსტრუციული ანალიზები სიღრმით, მახვილგონიერებით, კარგად ცნობილი ტექსტების ახლებური, მოულოდნელი კუთხით წაკითხვა-ინტერპრეტაციით გამოირჩევა და ცხოველ ინეტერესს, აზრთა შეხლა-შემოხლას იწვევს, აცოცხლებს ჩვენს სამწერლო ცხოვრებას.“ (ლევან ბრეგაძე)

როსტომ ჩხეიძე თავის პოსდმოდერნისტული რომანის „ეკლიანი დ პატარა გზის“ შესავალში საუბრობს ნაწარმოების გარშემო და აღნიშნავს, რომ წიგნში არსებული მასალა მას არ ეკუთვნის და ის მხოლოდ რედაქციაში დაუტოვა უცნობმა ადამიანმა. მას კი მხოლოდ რედაქტირება ევალებოდა. ილიას მკვლელობის გარშემო ტრიალებს ეს ნაწარმოები, რომელიც ერთგვარ დეტექტიურ ცდას წარმოადგენს. „თხზულება ძალიან გაჭიანურებულის გახლდათ, უამრავი გულუბრყვილო, ზედმეტი ჩანართი სავსე და სტილურადაც საკმაოდ დასახვეწი. ჟანრის განსაზღვრაც კი ჭირდა ზუსტად. ვერც სახელწოდება შეერჩია. რამდენიმე სავარაუდო სათაური მიეწერა ფანქრით, ერთმანეთზე უფრო ბანალური.“ (როსტომ ჩხეიძე, „ეკლიანი და პატარა გზა“, თბ., 2007) ავტორი შენიშნავს, რომ სათაურზე ბევრი არ უფიქრია და კოლაუ ნადირაძის ლექსი მოუშველებია „წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა, წიწამურიდან სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა, წიწამურიდან საგურამომდე ლურჯი მთები და უძირო ცაა.“ ავტორმა შეძლო პოსტმოდერნისტულ ჭრილში მოქცევა ან ნაწარმოებისა. 28 ადამიანის ნააზრევი და ნაამბობი მოაქცია ერთ წიგნში, რომლებიც ილიას მკვლელობაზე საუბრობენ. მათ შორის არიან ნოე ჟორდანია (1868-1953) და ქაქუცა ჩოლოყაშვილიც (1888-1930). ორი პიროვნება, რომლებიც ერთ ეპოქას წარმოადგენდნენ. ერთი შეხედვით ისინი საქართველოსთვის ერთად იბრძოდნენ, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა და ეს განსხვავება როსტომ ჩხეიძემ ნათლად დაგვანახა იგი კარგად იცნობდა იმ გარემოებას, რომელიც ამ ორი პიროვნების გარშემო ტრიალებდა.

ნოე ჟორდანია თავადვე იხსენებს უცხოეთიდან ახლად ჩამოსული როგორ დაიბარა ილია ჭავჭავაძემ თავისთან და სთხოვა გაზეთ ივერიას გაძღოლოდა, რაზეც მან უარი განუცხადა: „ერთ დღეს მოვიდა ჩემთან ალ. ყიფშიძე და გადმომცა, ილია ჭავჭავაძეს სურს თქვენი ნახვა და ხვალ დილით გელის

თავის სახლშიო. ძალიან გამიკვირდა, არავისათვის არ გამიმხელია. მეორე დღეს წავედი. მიმიღო თავის სამუშაო კაბინეტში. გავეცანი, დაჯდომისთანავე დაიწყო: შეგაწუხეთ ერთი საქმისათვის. მე მსურს თქვენ გახდეთ „ივერიის“ ხელმძღვანელი, რედაქტორი სრული უფლებით, ხოლო როცა ჩვენს შორის იქნება აზრების დიდი განსხვავება - მე ჩემსას დავბეჭდავ თქვენ თქვენსასო. მე სხვები მთხოვენ გაზეთის გადაცემას, მათ არ გადავცემ, გამოცდილებით ვიცი მათი ამბავი, თქვენ თუ აიღებთ, მზათ ვარ გადმოქცეთო. ეს წინადადება იყო ჩემთვის სრულიად მოულოდნელი. მაშინვე გადავწყვიტე ჩემთვის წინადადებაზე უარი მეთქვა, მაგრამ უხეშათ არ გამოსულიყო, ვუპასუხე: დიდ მადლობას გწირავთ ასეთი ნდობისათვის. მე ეს არ დამიმსახურებია. წინადადება ისეთი მოულოდნელია, რომ საჭიროა მოფიქრება, მეგობრების ნახვა და ამ ორ დღეში პასუხს მოგახსენებთ - თქვა. ლაპარაკის დროს გამოირკვა, რომ მას სთხოვენ გაზეთის ხელმძღვანელობის გადაცემას გ. ლასხიშვილი, კ. აბაშიძე და ნაკაშიძე. გ. წერეთლისათვის არ მითქვამს. მეორე დღესვე დაპირებისამებრ წავედი ბანკში და გადავეცი უარი (საბუთებით). პასუხად მითხრა: თქვენი ნება, იმედი მაქვს ერთმანეთს ხელს არ შევუშლითო. მე ეს გავიგე ისე, რომ ერთი მეორეს თავს არ დავესხმებით. მეც პირობა მივეცი. პირობა შევასრულე. საკმარისია გადახედოთ „კვალის“ 1898 წლის ნომრებს, რომ დარწმუნდეთ, „კვალი“ თავს ესხმის „ივერიას“ მხოლოდ მას შემდეგ, რაც „ივერიამ“ აუტეხა კამათი.“წერილი „ივერიის“ რედაქციის მიმართ, „ივერია“, 1900, N 84.” (გურამ შარაძე „უცხოეთის ცის ქვეშ“ ტ.1, თბ., „მერანი“, 1991)

სოციალ-დემოკრატები ძირს უთხრიდნენ ილია ჭავჭავაძეს. ათას ცილს სწამებდა. მათ პირდაპირ წვლილი მიუძღვით მის სიკვდილში. დოკუმენტური გამოძიება ჩაატარა ნოდარ გრიგალაშვილმა და მიაკვლია ილიას მკვლელობაში ბრალდებულ „იმერელს“ იგივე ილია იმერლიშვილს, რომელსაც იმდროინდელი ხელისუფლება მფარველობდა. ილიას სიკვდილით ნოე ჟორდანია არ შეშფოთებულა. როცა საქართველო მას გლოვობდა, ის დუმდა, როგორც დამნაშავეთ სჩვევიათ. აი ეს პიროვნება ზედმიწევნით ამოიცნო როსტომ ჩხეიძემ და ნაწარმოებში მისი პირით გვიამბობს, თუ რას ფიქრობდა ილიას მკვლელობაზე ნოე ჟორდანია:

„ილია ჭავჭავაძე რომელი უდანაშაულო გახლდათ?!.

აუცილებლად უნდა მოეკლათ - მეთქი, იმას როდის ვამტკიცებ, მაგრამ ძალიან რომ უშლიდა ხელს საზოგადოებრივი განვითარების პროცესს, ამასაც ხომ ყველა ხედავდა და აღშფოთებულიც იყო, გარნა იმ ნაციონალისტებისა, რომელთაც ჩვარი რატომღაც ეროვნული დროშა ჰგონიათ, ეროვნული დამოუკიდებლობა კი უზენაესი მიზანი. ჩარჩნენ სამუდამოდ სიბნელეში და ეგაა!... პროლეტატიატის ისტორიული მისია მათი შეგნების მიღმა დარჩა და ილია ჭავჭავძეს რომ არ აერია საზოგადოების ცნობიერება, ასე კი არ გაგვიძნელდებოდა მარქსიზმის შემოტანა.

ბარიერად გადაგვექცა!...“ (როსტომ ჩხეიძე, „ეკლიანი და პატარა გზა“, თბ., 2007) ნოე ჟორდანიას თავად არ უსვრია ილიასთვის ტყვია, მაგრამ უშუალოდ მისი ხელშეწყობით გამოეთხოვა იგი სიცოცხლეს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი კი თავგანწირვით ცდილობს ილიას მკვლელების პიროვნების დადგენას. როსტომ ჩხეიძემ იცოდა, თუ როგორი პატრიოტი იყო ქაქუცა თავისი სამშობლოსი, როგორ დიდი პატივს სცემდა იგი ილია ჭავჭავაძეს. ამიტომ ნაწარმოებში ქაქუცა ჩოლოყაშვილი დაგვანახა ილიას მკვლელობით შეძრწუნებული, რომელიც ყველანაირი გზით ცდილობდა ილიას მკვლელების დასჯას.

ამრიგად როსტომ ჩხეიძის წიგნი „ეკლიანი და პატარა გზა“ წარმოადგენს პოსტმოდერნისტულ რომანს, რომელიც ქართულ მწერლობაში წარმოადგენს სიახლეს. იგი ხომ, როგორც თავად ავტორი უწოდებს, ერთგვარი დეტექტიური ცდაა.

ლიტერატურა:

1. როსტომ ჩხეიძე, „ეკლიანი და პატარა გზა“, თბ., 2007.
2. გურამ შარაძე, „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. 1, თბ., „მერანი“, 1991.
3. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10563
4. ნ. გაფრინდაშვილი; მ. მირესაშვილი, „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, თბ., „მერიდიანი“, 2014.
5. ლიტერატურული გაზეთი, 24/02-9/03 2017.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ მე-20 საუკუნის ქართველ მწერალთა მეცნიერულ-კრიტიკულ და პოლემიკურ წერილებში

ჟანა ქარელი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი ჭამპურიძე,** პროფესორი

საუკუნეები გვაშორებს „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქისაგან, მაგრამ იგი დღესაც ერთი ყველაზე ”ცოცხალი” პოეტური ქმნილებაა და ცხადად გვიდასტურებს ადამიანურ გრძნობათა უკვდავებას. „ვეფხისტყაოსანი“ სიბრძნისა და პოეზიის დიადი წიგნია. მასში, დღეს ეს აღიარებული ჭეშმარიტებაა, ყველაზე სრულყოფილად გამოვლინდა ქართველი კაცის მხატვრული გენია, დაუოკებელი სწრაფვა მშვენიერებისა და სიკეთისაკენ. ეროვნულთან ერთად სულიერი კულტურის უნივერსალური სიდიდეების დაუფლება რუსთაველს, როგორც პოეტსა და მოაზროვნეს, მსოფლიოში პირველწოდებულ გენიოსთა შორის აყენებს.

რუსთაველის სიბრძნეს გვერდი ვერ აუარა მე-20 საუკუნის ვერცერთმა დიდმა მწერალმა. მათი შემოქმედების შესწავლამ არაერთი მკვლევარი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ისინი ”უხვად სარგებლობდნენ ”ვეფხისტყაოსნით”. რუსთაველის პოეტური გამოთქმის ძალა და სურნელება მათ ხიბლავდა და აჯადოებდა.

ქართველი მწერალი და მოაზროვნე ნოდარ დუმბაძე დიდ შეფასებას აძლევდა რუსთაველის დიდებულ პოემას. ”ვეფხისტყაოსანი” იყო ნოდარ დუმბაძის მსოფლმხედველობის წყარო და შთაგონების და სულიერების “აუწონელის საუნჯე და სალარო”. ასე გადმოგვცემს მის დამოკიდებულებას უდიდესი პოემისადმი წერილში ”ჩემი რუსთაველი”.

“არაფერი ისე არ ამახსოვრდება ადამიანს, როგორც ბავშვობისას ძილისპირ დედის მიერ თქმული ზღაპარი, იავნანა, წაკითხული ლექსი, ან ამბავი რაიმე.

მე არ მახსოვს რამდენი წლისას მიკითხავდა დედა „ვეფხისტყაოსანს“, ან ოდესმე ეთქვას ჩემთვის, ეს ადგილი ზეპირად ისწავლეო. მე მახსოვს მხოლოდ ის, რომ მაშინ კითხვა არ ვიცოდი და ეს უზარმაზარი წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ რომ ერქვა, მხოლოდ ლამაზი, ფერად-ფერადი სურათებით გაწყობილი ყუთი იყო ჩემთვის, რომლიდანაც დედაჩემი ცისარტყელასავით ჭრელ, ლამაზ სიზმრებსა და ძილისმომგვრელ სიმღერებს ალაგებდა, მიწყობდა სასთუმალს და ალბათ ისევე დედის გამოა, რომ ეს ლამაზი უკვდავი წიგნი დღემდე მიდევს საათუმალს, როგორც:

ავადმყოფს - წამალი,

ხეიბარს - ყავარჯენი

მეომარს - იარაღი და მწერალს, ქართული სიტყვის თვალმარგალიტით სავსე, აუწონელი საუნჯე და სალარო.

ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელიც ამას წინათ მოსკოვში ჩატარდა, ასეთი შეკითხვა მომცეს:

- როგორია როლი “ვეფხისტყაოსნისა“ თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარებასა და საერთოდ საქართველოს სულიერ ცხოვრებაში?

ნაწარმოების შეფასებას რომელიც აგერ უკვე რვა საუკუნის განმავლობაში აწვდის სულიერ საზრდოს საქართველოს და ვინ იცის კიდევ რამდენი ხანი იქნება იგი, ჩემი ერის სულიერი საუნჯე ამის ახსნას არა მგონია ჩვენი, დღევანდელი შეხვედრის დრო ეყოს და მარტო ეს დრო კიარა, მთელი ჩემი სიცოცხლეც კი და თუ თქვენ მთვლით მწერლად, რომლის სიტყვასაც რაიმე ფასი აქვს თქვენთვის, თქვენ სიტყვაზე უნდა მენდოთ და დამიჯეროთ, რომ ასეთი რამ კაცობრიობას ჯერ არ შეუქმნია. ეს არის მზე, რომელიც ჯერჯერობით, საუბედუროდ, საქართველოს ცაზე ბრუნავს მხოლოდ და მე გულწრფელად მეცოდება ის კაცი, ვისაც ვეფხისტყაოსანი არ წაუკითხავს. - ასე ვუპასუხე და მომეჩვენა რომ დამიჯერეს.

…კაცობრიობის გაჩენის დღიდან არც ღმერთისთვის, არც სიყვარულისთვის, არც მეგობრობისთვის, არც ვაჟკაცობისთვის, არც ქალისთვის, არც კაცისთვის, არც მზისთვის, არც ცისთვის, არც დედამიწისთვის ასეთი დიდებული ჰიმნი ჯერ არავის არ უმღერია!

ქართველთა უდიდეს საუნჯე “ვეფხისტყაოსანი” რვა საუკუნის განმავლობაში ქართველ ხალხს ამაღლებდა სულიერად და ზნეობრივად, უნერგავდა ვაჟკაცობის, გმირობის, პატრიოტობის, სათნოების, სიკეთის, ”ჭირსა შიგან გამაგრების” მოთმინების, ქალისადმი პატივისცემის, ხალხთა მეგობრობის,

ტოლერანტობისა და სხვა კეთილ გრძნობებს, რომლებიც კი ადამიანს გააჩნია. ამიტომ არის "ვეფხისტყაოსანი ხელის-ხელ საგოგმანები". (1-68)

ქართველმა კაცმა ყოველთვის კარგად იცოდა და იცის „ვეფხისტყაოსნის" ფასი, მისი განსაკუთრებული ადგილი ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. "რვა საუკუნემ საშინელი სისასტიკით ჩაურბინა რუსთაველის ქმნილებასა თავს, მაგრამ ვერარამ შესძლო მისი დამარცხება. იგი ამაყად სალ კლდეთაა ამართული, რომელსაც ტყვილა ასკდება ქაფმორეული ტალღა ულმობელი. რვა საუკუნის განმავლობაში ქართველობა სწორედ ამ სასწაულმოქმედი ქმნილებით იდგამდა სულს. იგი ხომ უზენაესი გამოთქმა ქართველთა გენიისა და აი, ქართველობაც ნახულობდა მასში თავისი სულის ყოველნაირ გამოძახილს, ტანჯვას და შვებას, გმირობას და სიყვარულს, ტარიელობასა და ავთანდილობას... და მისგან ცხოველყოფილი, თვით ქართველობაც, ცოცხლად ინახავდა "ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტს", ცალ ხელში ხმალი ეჭირა მტერთან მოსაგერიებლად, მაგრამ მეორე ხელში კალამი ეჭირა, რომლითაც იგი თაობიდან თაობას გადასცემდა იმა ქმნილებას და მით იცავდა მას გაქრობისაგან... დიახ, რუსთაველით იქმნებოდა ისტორიული ტრადიცია საქართველოს სულიერი მთლიანობისა: საქართველოს სული რუსთაველის გენიით განაგრძობდა სიცოცხლეს... ამით თვითონ რუსთაველიც ცხოველი და უკვდავი რჩებოდა ქართველებში".

დიდი პოეტის სიბრძნე არათუ შეიყვარა ქართველმა ერმა, არამედ ის თავის ცხოვრების ერთგვარ სამოქმედო გეზად გახადა.

ქართველი ერის ისტორია, მისი ფიზიკური თუ სულიერი ყოფა წარმოუდგენელია რუსთაველის აფორისტული ნააზრევის გარეშე. იგი მთელი მაშინდელი კულტურის უბადლო სარკეა.

შოთა რუსთაველის მხატვრულმა გენიამ განუზომელი გავლენა მოახდინა ქართული პოეტური კულტურის განვითარების შემდგომ გზაზე და გამოაჩინა სრულიად ახალი სივრცეები.

რვა საუკუნის მანძილზე იდგა ბნელში ქართული პოეზიის იგავ მიუწვდომელი ორფეოსი, პოეტთა შორის ბრძენი უდიდესი, ბრძენთა შორის მოძღვართ-მოძღვარი.

არც ერთ სახლს ამშვენებს მისი სახელის მემორიალური დაფა, არც რომელიმე აკადემიის წევრად აურჩევიათ იგი ოდესმე, არც თუ დაფნითა და მუხის ფოთლებით შეუმკიათ მისთვის შუბლი თანამედროვეთ.

იგი ხელიდან გასხლტომია მემატიანეთა ყურადღებას და ვინ იცის, ბიოგრაფები შესძლებენ თუ არა თარიღების სალტეში მოაქციონ ოდესმე მისი აქ მოსვლის და იდუმალი გაუჩინარების ამბავი, ხოლო ქმნილება მისი დღესაც სძევს ჩვენს წინაშე, როგორც უპირატესი თავკიდური ქართული პოეტური კულტურისა, მომდევნო თაობათა პოეტებისთვის გარდაუვალი ბარიერი. ენათმეცნიერთათვის თავსამტვრევი საგანი, ისტორიკოსთათვის გამოუცნობელი მეტეორიტი.

ჟამთა სიავემ ვერ შემუსრა რუსთაველის სტროფების სილბო და სიმტკიცე. მისმა ჯადოსნურმა არფამ საწერად დასვა ქედმოდრეკილი გადამწერები, მიმბაძველთა მთელი თაობანი ფეხზე დააყენა, მანვე აამღერა რაინდი და პოეტი, მწყემსი და გლეხი, მეომარი და მიჯნური და ეს ხმა საუკუნეთა მანძილზე თანდათანობით შეერწყო ხალხისას და ამიტომაც იკარგება სამანი ხშირად მასსა და ხალხურ პოეზიას შორის.

ან ვინ შეედრება სიმაღლეს იმისას, ვინც უზესთაესის მწვერვალიდან უმდაბლესადმი ხმას აწვდის, ვინ შეედრება სინათლეს იმისას, ვინც ჩვენი ბუნების ღამითი მხარეების წაუსაფრებლად ნათელს ჰფენს უმრუმესს, ვინ შეედრება დიდოსტატობას იმისას, ვინც უდიდეს სიბრძნეს უმარტივესი სიტყვით გვასწავლის, კი არ გვასწავლის, არამედ გვანიშნებს და ყოველ კაცს, ვისაც მისი გენიის შუქი მისწვდება, ასე აფიქრებინებს, თითქოს ქმნილება მისი თამაშით და ლაღობით იყოს შენაქმნი. ან ვინ გაუტოლდება გენიას, იმისას, ვინც ყოველ კაცში შემოქმედს აღვიძებს და ყოველ შემოქმედში ნამწიფებს ოსტატს. ასეთია რუსთაველის გენია.

რუსთაველი იყო არა მარტო ფუძემდებელი ქართული პოეზიისა, არამედ ქართული პოეზიის უწარჩინებულესი მამფალი, არა მარტო უბადლო მეტრი დიდოსტატობისა, არამედ დიდი შემკრები ქართული მეტყველებისა, ქართული ენის მაღალი კანონმდებელი და შეუმუსვრელი დუღაბი ქართული ენის კულტურისა.

''ვეფხისტყაოსანი" - ეს ''უძველესი განძი'' ''უძველესი წიგნი'' და მისი ავტორი ყოფილა გალაკტიონის მძაფრი ინტერესების საგანი, პოეტური შთაგონების წყარო.

ძნელია მოიძებნოს ქართულ ლიტერატურაში ისეთი ასკეტი, რომელიც ისე ძლიერ განიცდიდეს უკვდავი ''ვეფხისტყაოსნის'' გავლენას, როგორც გალაკტიონი და ამავე დროს ოდნავადაც არ დაჰკრავს მიმბაძველობის აჩრდილი.

გალაკტიონის მთელი პოეტური მემკვიდრეობა, მისი ლექსების სხვადასხვა რედაქციები და მრავალრიცხოვანი ვარიანტები ადასტურებს, რომ რუსთაველი და მისი ''ვეფხისტყაოსანი'' ასაზრდოებდა

გალაქტიონის პოეტურ შთაგონებას. გალაქტიონისთვის შოთა არის უზეშთაესი ხელოვანი, რომელსაც ხელეწიფება უზენაესი სიყვარულის, უანგარო ძმობა-მეგობრობის უკვდავი იდეების პოეტურად განსხეულება.

''ვეფხისტყაოსანი'', პოეტის აზრით, ზოგადკაცობრიულ სიბრძნეს, გამოცდილებას და სილამაზეს იტევს და ''ვეფხისტყაოსნის" წიაღში ჭვრეტს იმ უკვდავ სულს, იმ უსასრულო ეროვნულ ძალას, რომლის წყალობითაც მრავალგზის სისხლდანთხეულმა ქართულმა პოეზიამ'' ამაყი ქედი არ მოიხარა''.

რუსთაველი იყო გრიგალი, იყო შერყევა, იყო მსოფლიო ძალა, ნუგეში. ამ ძალამ სამუდამოდ მოხიბლა გალაკტიონი - რუსთაველის სული მარად თან სდევდა გალაკტიონის გენიას.

"ვეფხისტყაოსანი" - უკვდავი ქებაა სიყვარულისა. ბალმონტი ამბობს, რომ სიყვარულის ყველა პოემას მას ურჩევნია "ტრისტან და იზოლდა", მაგრამ - იქვე უმატებს, - პოემა რუსთაველისა არ არის ნაკლებ მშვენიერი, მე არ შემიძლია ნაკლები აღტაცება განვიცადო იმითიო. ზეშთაგონებით ამბობდა პოეტი ბალმონტი რუსთაველის სიყვარულზე, თუ როგორი ცეცხლის ქარბუქით გაიარა სხვა ევროპელი გენიოსების გულში. ამბობდა, რომ სიყვარული გრძნობაა, რომლითაც იზომება სიდიადე ნაციისა, რაც უფრო დიდია ძალა სიყვარულისა, რომელიც ერმა ჩადო თავის მგოსნის სულში, მით უმეტეს კეთილშობილია, მით უფრო ამაღლებული ხალხი. რიცხვით ქართველები ცოტანი არიან, მაგრამ რუსთაველის მოცემით შეიქნენ დიდებულ ერად, მათი გულები არ არის ცარიელი და პატარები, რადგან მათ შეუძლიათ ავსება დიდებული სიყვარულის კივილით. (4-300)

შოთა რუსთაველის პოემის ღირსება იმაშიც მდგომარეობს, რომ მისი დიდებული პოემა დიდი შემოქმედის ძალით შექმნილი, მისი ბრძნული ნაზრევი საუკუნეების შემდეგ ხალხში მარგალიტებივითაა გაბნეული და ეს მარგალიტები ხიბლავს ყველა თაობის ადამიანს. ამიტომაც უფრთხილდებოდა დიდი ილია ამ საგანძურს და ყოველმხრივ ცდილობდა, გზა გაეკაფა მათთვის, საზოგადოებისთვის.

ლიტერატურა:

1. ნოდარ დუმბაძე, თხზულებანი ოთხ წიგნად, ტომი 4, გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1992. გვ. 68.
2. ტიციან ტაბიძე, რჩეული, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1960, გვ. 300.

ინტერნეტ რესურსები

3. https://burusi.wordpress.com/ (გრიგოლ რობაქიძე, წერილები: "შოთა რუსთაველი" ესკიზი, 1910 წელი)
4. https://burusi.wordpress.com (კონსტანტინე გამსახურდია, წერილები: „აპოლოგია რუსთაველისა", 1937 წელი)
5. .www.OPENEXT.ORG.GE. (რუსთაველი - გალაქტიონის შთაგონება, 2002 წელი.)

უცხო ენა და ლიტერატურა

სტილისტიკური ხერხების თავისებურებები ბეჭდურ მედიაში

ანა ალავერდაშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაია დარასელია**, პროფესორი

პუბლიცისტური სტილის სტილისტიკური თავისებურებები უშუალოდ დაკავშირებულია მის მთავარ ნიშან-თვისებასთან, მაგრამ ეს თავისებურებები შესაძლოა მოდიფიცირებულ იქნეს მასობრივი კომუნიკაციის სფეროს, ურთიერთობის პირობების, თემატური მიმართულების შესაბამისად ენობრივი საშუალებების შერჩევისას. საგაზეთო-საჟურნალო მასობრივი კომუნიკაციის საშუალებით ინფორმაციის

გადაცემისა და აღქმის სპეციფიკური პირობები მოითხოვენ მთელი რიგი ფაქტორის გათვალისწინებას: 1. აღქმის მაქსიმალური შემსუბუქება სწრაფი კითხვისას; 2. ენობრივ საშუალებათა ეკონომია; 3. ენის ექსპრესიული რესურსების გამოყენებით მაქსიმალური ეფექტის მიღწევა. ამიტომ საგაზეთო-საჟურნალო პუბლიცისტიკასათვის რელევანტური ხდება სტანდარტიზებული საშუალებების, შაბლონების გამოყენების საკითხები, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახალი ექსპრესიების კომენტირება და მუდმივი ძიება.

რაც შეეხება პუბლიცისტურ სტილს თანამედროვე ინგლისურ ენაში, უნდა ითქვას, რომ სხვა ფუნქციურ სტილთან შედარებით, სტანდარტების წონა მასში უფრო ნაკლებია, თუ არ ჩავთვლით მხატვრულ სტილს ამასთან დაკავშირებით მეცნიერები აღნიშნავენ, რომ მოცემული ფუნქციური სტილისთვის დამახასიათებელია "აქტუალიზაციის ავტომატიზაციის პრევალირება ენობრივი საშუალებების გამოყენებისას, რაც განისაზღვრება ფუნქციური მიმართულებით დამაჯერებლობისაკენ. არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს ის ზოგადი სტილისტიკური ტენდენციები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს სტილისტიკურ ნიშან-თვისებებზე. ჟურნალისტთა მუშაობის მაღალი ტემპები, ნაწილობრივ განმეორებადი თემატიკა საგაზეთო-საჟურნალო მასობრივ კომუნიკაციაში ქმნიან აუცილებელ პირობებს სტანდარტის გამოსაყენებლად. სტანდარტიზებულ კლიშეებთან ახლოს დგას შტამპები, თუმცა საჭიროა სტანდარტიზებული საშუალებების ამ ორი სახეობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. სტანდარტი, როგორც საგაზეთო ენის ლინგვისტური თავისებურება, შეიძლება იქცეს შტამპების წყაროდ, მაგრამ ის არ არის მათი ერთადერთი წყარო. ჩვენს ნაშრომში ტერმინი შტამპი გულისხმობს ხატოვან გამოთქმას, რომელსაც ხშირი განმეორებადობის გამო ნაწილობრივ ან სრულად დაკარგული აქვს გამომხატველობითი ძალა. ტრადიციული გამომხატველობითი საშუალებების და მათ შორის გამომხატველობითი შტამპების გამოყენების მიზანშეწონილობა იმით აიხსნება, რომ გამომხატველობითი საშუალებები პუბლიცისტიკაში ხელს უნდა უწყობდნენ დამაჯერებლობის ფუნქციის რეალიზაციას, არ უნდა ფანტავდნენ მკითხველის ყურადღებას და არ უნდა ანელებდნენ აღქმას. თვით ხატოვანი შტამპების არსებობა წარმოადგენს პუბლიცისტიკის ენის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ თვისებას. ფუნქციური ენობრივი საშუალებების არსებობა მასობრივ კომუნიკაციაში მაშინ, როცა ყველა გამომხატველობითი საშუალება სწრაფად პოულობს გავრცელებას და მრავალჯერ მეორდება, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აღქმის ავტომატიზებას. მეორე მხრივ, აქტუალიზაციის ტენდენცია, რომელიც ტიპიურია საგაზეთო პუბლიცისტიკისათვის, განაპირობებს შტამპების წარმოქმნას. სტანდარტიზებული ენობრივი საშუალებების საერთო ფონზე ხატოვანი შტამპების გამოყენება პუბლიცისტური სტილის საგაზეთო-საჟურნალო სახეობისათვის უშედეგო არაა, იგი მონათხრობს უფრო ნათელსა და ცხადს ხდის, ამასთანავე არ ართულებს აღქმას.

გაზეთის ენის სტანდარტიზაციას განაპირობებს ის ექსტრალინგვისტური ფაქტორები, რომლებიც საგაზეთო-საჟურნალო პუბლიცისტურ სტილს უდევს საფუძვლად. არის სტანდარტთა წარმოშობის სხვა მიზეზებიც: ცენტრალური პრესის ფურცლებიდან საგაზეთო მასალის ოპერატიული გადმოთარგმნა, რაც კალკირებულ სტანდარტებთან ერთად თარგმნის შტამპებსაც ამრავლებს; თემატიკის განმეორებადობა საგაზეთო შტამპების ერთ-ერთი პირობაა ექსპრესიულ საშუალებათა განუწყვეტლივი ძიება, თხრობის, რაც შეიძლება თვალში საცემი, ეფექტური, როგორც ამბობენ, მომგებიანი ფორმის მიგნება. ასეთი ექსპრესიული საშუალებანი საგაზეთო შემოქმედების განსაკუთრებულ პირობებში სწრაფად იქცევა სტანდარტად. საქმე იმაშია, რომ კორესპონდენტები უმალ აიტაცებენ მოხდენილსა და ხატოვან გამოთქმებს, რომელიც ძალიან ჩქარა, მკითხველთა თვალწინ, ცვდება, იფიტება და, ცხადია, შტამპად იქცევა. (დარასელია, 2009,44).

პრესისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი მეტაფორული პერიფრაზი, რომელიც ჩვეულებრივ, სტანდარტის მიხედვით ითხზვება. სტანდარტულია იგი არა მარტო სინტაქსური სქემით, არამედ სიტყვათა შერჩევის მიხედვითაც. მეტაფორული პერიფრაზის გავრცელება პრესაში მისი ფუნქციისა, მას აქვს სტილის საწარმოებელი, ნორმატიულ-სტილური და "ეკონომიის" ფუნქციები. პირველადი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ მეტაფორული პერიფრაზები ისეთი კონფლიქტის შემქმნელი მასალაა, როგორიცაა სტანდარტი _ ექსპრესია; ნომინაციურ აღნიშვნათა ჩანაცვლება მეტაფორული პერიფრაზით ზრდის ერთი და იმავე სიტყვების ხმარების სიხშირეს; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მესამე _ ეკონომიის _ ფუნქცია, რადგან ასეთი პერიფრაზები მრავალსიტყვიან აღწერათა გარეშე არსებულ საგანს ახასიათებენ და, ამავე დროს, ქმნიან იმგვარ ენობრივ საშუალებათა ფორმირების ბაზას, რომელთა მეშვეობით აიგება ტექსტები, სადაც ემოციური, ექსპრესიული და ხატოვანი სემანტიკურად ერწყმის ინტელექტუალურ ინფორმაციას (კვარაცხელია 2002, 138).

სტილისტიკური ხერხების გამოყენებისას უპირატესობა ენიჭება ისეთ ხერხებს, რომლებიც ყველაზე ოპტიმალურად პასუხობენ სტილის მიზნებს ინფორმაციულობის თვალსაზრისით. ამ როლს

თამაშობს უკვე ჩამოყალიბებული შიდასტილისტური ტრადიცია. ყველაზე გავრცელებული ხერხები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ფუნქციურ სტილში, ფუნქციურსა და თვისებრივ სპეციფიკას მათი გამოყენების ფარგლებში იღებენ. ერთ-ერთი მათგანია მეტაფორა, რაც აღნიშნული სფეროსათვის კანონზომიერია, ვინაიდან გარდა იმისა, რომ მეტაფორა მაღალი ინფორმაციულობით ხასიათდება, იგი ერთ-ერთი ყველაზე ეკონომიკური ენობრივი საშუალებაცაა. მეტაფორის ფართო გავრცელება საგაზეთო-საჟურნალო პუბლიცისტიკაში იმით აიხსნება, რომ მოცემული სტილისტური ხერხი წარმოადგენს შეფასებითი ორიენტაციის ეფექტურ საშუალებას. მეტაფორა იძლევა სრულიად განსხვავებული სფეროებიდან ანალოგიის უსაზღვრო შესაძლებლობებს, ე. ი. წარმოადგენს ექსპრესიის განახლების მუდმივ საშუალებას, რაც მოცემული სფეროს საკომუნიკაციო მოთხოვნილებებს პასუხობს. მეტაფორა, რომლის საშუალებითაც ხდება სპეციალური სფეროდან აღებული რაღაც მოვლენის მიახლოება საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი მოვლენასთან, გასაგები უნდა იყოს, თორემ იგი ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას ვერც პუბლიცისტიკაში და ვერც სხვაგან. (ბლექი, 2010, 56)

ლიტერატურა:
1. მ. დარასელია. პუბლიცისტური დისკურსი და ანგლო-ამერიკულ ჟურნალები. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი ინტელექტი, თბილისი, გამომცემლობა ,,ინტელექტი'', 2009;
2. გ. კვარაცხელია. ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2002;
3. Black M. More About Metaphor // Metaphor and Thought/ Ed-d by Ortony A. Cambridge University Press, 2010.

დღისა და ღამის სიმბოლურ-მეტაფორული მნიშვნელობა პოემა „ბეოვულფის“ მიხედვით

მარიამ ხადური, თამარ კუმლაძე
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნინო ბაქრაძე**, ასოცირებული პროფესორი

ანგლო-საქსური პოემა “ბეოვულფი“ ადრინდელი შუა საუკუნეების ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. პოემა შეიქმნა VIII საუკუნის დასაწყისში. ქრისტიანობის გავრცელების გამო კი, რამდენჯერმე ცვლილება განიცადა. ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ XI საუკუნის ხელნაწერი, რომელიც, საბედნიეროდ, განადგურებას გადაურჩა. იგი დაზიანდა რიჩარდ კოტონის ბიბლიოთეკაში მომხდარი ხანძრის გამო 1731 წელს. ამ დროისათვის „ბეოვულფი“ შემორჩენილია ერთადერთი, შუასაუკუნეობრივი ხელნაწერის სახით, რომელიც ინახება ლონდონში, ბრიტანულ ბიბლიოთეკაში. „ბეოვულფი“ პირველად 1825 წელს ლათინურ ენაზე დაიბეჭდა. მისი პირველი ინგლისური გამოცემა კი 1833 წლით თარიღდება. როგორც ცნობილია, პოემას არ ჰყავს ერთი ავტორი. ჩანს, რომ პოემა თაობიდან თაობას ზეპირსიტყვიერების გზით გადაეცემოდა, ყოველი მომდევნო თაობა მას თავისებურად ცვლიდა. სწორედ ასეთი სახით არსებობდა იგი დაახლოებით ორი საუკუნის მანძილზე, ვიდრე ტექსტი ჩაიწერებოდა.

ნაშრომის მიზანია, ანგლო-საქსურ პოემა „ბეოვულფში“ დღისა და ღამის სიმბოლურ-მეტაფორული მნიშვნელობის განსაზღვრა და მისი დაკავშირება სახარებისეულ ნათელისა და ბნელის სიმბოლიკასთან, რაც, თავის მხრივ, კეთილისა და ბოროტის ანტინომიასთან არის მიმართებაში.

წინამდებარე ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ამ კუთხით ქართულ ენაზე საერთოდ არ არის შესწავლილი პოემა „ბეოვულფი“ და არ არსებობს დამოუკიდებელი შრომა აღნიშნულ თემაზე.

ნაშრომის აქტუალობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ დღისა და ღამის სიმბოლო უკავშირდება სიკეთისა და ბოროტების თემას. ეს მარადიული ჭიდილი სიკეთესა და ბოროტებას შორის სამყაროს დასაბამიდან არსებობს და აქტუალურია ყველა დროსა და საზოგადოებაში.

რაც შეეხება ნაშრომის პრაქტიკულ დანიშნულებას, იგი დაინტერესებს სკოლის მოსწავლეებს, სტუდენტებს ან უბრალოდ, მხატვრული ლიტერატურის მოყვარულთ.

პოემა ორი ნაწილისაგან შედგება, პირველი ნაწილი მოგვითხრობს მთავარი გმირის -ბეოვულფის საგმირო საქმეების, ურჩხულ გრენდელთან და გრენდელის სიკვდილის გამო შურისძიების წყურვილით ანთებულ დედასთან ბრძოლის შესახებ. ნაწარმოების მეორე ნაწილი მთლიანად გითებს ეთმობა. გითლანდს ბეოვულფი 50 წელი მართავდა. ნაწარმოების მეორე ნაწილში ბეოვულფი უკვე მოხუცებული, მაგრამ კვლავ მამაცი მეფეა, რომელიც ებრძვის ქვეყანაში შემოჭრილ ურჩხულს და მასთან დაპირისპირებისას მიღებული ჭრილობების შედეგად იღუპება.

„ბეოვულფი“ ძველსაქსონური ეპიკური პოემაა, რომლის მოქმედებაც ვითარდება სკანდინავიაში, ანგლების ბრიტანეთში გადასახლებამდე. მთავარი პერსონაჟი, რასაც ნაწარმოების სათაურიც გვკარნახობს, ბეოვულფია - გითთა მეფის ჰიგლაქის დისწული, როგორც პოეტი ახასიათებს: „ყოველთა მჯობნი და აღმატებული“, „მძლავრი და ახოვანი“. ბეოვულფი მამაცი და ძლიერი პიროვნებაა, რომელიც დაუფიქრებლად მიემართება დანიელთა დასახმარებლად, რომელთა მეფემაც თავის დროზე მამამისი შეიფარა. მამაცი გმირი ურჩხულ გრენდელს ამარცხებს, შემდეგ შურის საძიებლად მოსულ მის დედას და ბოლოს კი ცეცხლისმფრქვეველ დრაკონს.

პოემა „ბეოვულფში“ სახარებისეული მნიშვნელობით გამოიყენება დღისა და ღამის წყვილი სიმბოლო. დღე ადამიანების სამოქმედო დროა, კეთილი საქმეების კეთების დრო, ხოლო ღამე ყოველგვარი ბოროტების მომასწავებელია, ის ბოროტი საწყისების, უკეთური არსებების მფარველია.

ერთი მხრივ, დღისა და ღამის და, მეორე მხრივ, ნათელისა და ბნელის მეტაფორული მნიშვნელობების ურთიერთმიმართებას თავად ბიბლია იძლევა. სახარების პირველივე თავში - „დაბადება“ - ვკითხულობთ:

„1 თავდაპირველად შექმნა ღმერთმა ცა და მიწა.

2 მიწა იყო უსახო და უდაბური, და ბნელი იწვა უფსკრულებზე, და სული ღვთისა მიმოქროდა წყლებზე.

3 და თქვა ღმერთმა: „იყოს ნათელი!“ და იქმნა ნათელი.

4 და დაინახა ღმერთმა, რომ კარგია ნათელი და გაჰყარა ღმერთმა ნათელი ბნელისაგან.

5 და უწოდა ღმერთმა ნათელს დღე და ბნელს – ღამე. და იყო საღამო, და იყო დილა – დღე პირველი“ (2; 7).

დღისა და ღამის, იგივე ნათელისა და ბნელის საპირისპირო აზრობრივ მნიშვნელობას ცხადყოფს არაერთი ადგილი ბიბლიიდან:

წმინდა წერილში წერია: „ღამემ გაიარა და დღე მოახლოვდა. ამიტომ მოვიშოროთ სიბნელის საქმეები და შევიმოსოთ ნათლის საჭურველი. მოვიქცეთ თავდაჭერილად, როგორც დღისით“ (2; 192, 193). ღამისაგან განსვავებით დღისით ადამიანთა საქმე სააშკარაოზე გამოდის, ამიტომ ისინი ცდილობენ მოიქცნენ თავდაჭერილად და აკეთონ ისეთი საქმეები, რომლებიც მათ უარყოფით თვისებებს არ გამოამჟღავნებს. დღის სინათლეზე ისინი ცდილობენ არ გამოააშკარაონ ის უარყოფითი თვისებები, რაც მათშია, მაგრამ ღამით კი თავისუფლებას აძლევენ ამ საქმეებს, მათში ქრება ის თავდაჭერილობა, რაც დილით გააჩნდათ. სიბნელის საქმეები ბოროტი, უკეთური საქმეებია, ამიტომ მათ ჩადენას ადამიანები ყოველთვის ღამით, სიბნელეში ცდილობენ, რადგან სიბნელე ბოროტი საქმეების მფარველია.

„19 ნათელი მოვიდა ქვეყანაზე და ადამიანებმა ნათელზე მეტად შეიყვარეს ბნელი, რადგან ბოროტი იყო მათი საქმეები.

20 რადგან ყველას, ვინც ბოროტებას სჩადის, სძულს ნათელი და არ მიდის ნათლისაკენ, რათა არ იქნას მხილებული მისი საქმეები“ (2; 100).

ბიბლიის ამ მუხლებიდან ნათლად ჩანს, თუ რატომ შეიყვარეს ადამიანებმა ნათელზე მეტად ბნელი, რა უპირატესობა აქვთ მათ ბნელში და რატომ უშლით მათ ხელს სინათლე? ადამიანებმა ნათელზე მეტად შეიყვარეს ბნელი, სწორედ იმიტომ, რომ მათი საქმეები იყო ბოროტი. ბოროტი საქმეების დამალვა კი მხოლოდ ბნელშია შესაძლებელი. ის იოლად იფარება ღამით და არ მჟღავნდება სიბნელეში. ბოროტების ჩამდენი ადამიანი არ მიისწრაფის სინათლისკენ, რადგან ნათელში მისი საქმეები გამოაშკარავდება.

თითოეული ეს მუხლი ცხადყოფს, რომ ნათელი ყოველივე კარგს უკავშირდება, მას უპირისპირდება ბნელი, რომელიც ცუდის მომასწავებელია ადამიანებისთვის. ამასთან ერთად, ნათელს არავითარი საერთო არ აქვს ბნელთან, ამის შესახებ კითხვა ბიბლიაშიც ისმის: „რა აქვს საზიარო ნათელს ბნელთან?“ (2; 216) ნათელს საზიარო ვერ ექნება ბნელთან, რადგან ბნელი იფანტება ნათელით. „და დავინახე, რომ უპირატესობა აქვს სიბრძნეს სიბრიყვესთან, ისევე როგორც სინათლეს – სიბნელესთან.“ (2; 674) სინათლე აღემატება ბნელს!

პოემა „ბეოვულფშიც“ - ბიბლიის კვალდაკვალ - დღისა და ღამის, იგივე ნათელისა და ბნელის სიმბოლურ-ალეგორიული ანტინომიები უკავშირდება კეთილისა და ბოროტის თემას. აშკარაა, რომ

ტექსტი მოხვდა ქრისტიანი გადამწერის ხელში. ამით აიხსნება ერთდროულად ქრისტიანული და წარმართული მსოფლმხედველობების არსებობა მასში და რიგი საკითხების ქრისტიანული ინტერპრეტაცია.

ნაწარმოებში დღე და ღამე ორ ბანაკად ყოფს სამყაროს. ერთ მხარეს არიან ადამიანები, მეორე მხარეს კი - ზღაპრული არსებები: ზღვის ურჩხულები, გრენდელი, მისი დედა და ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი. ადამიანები დღისით არიან აქტიურნი, სხვები კი - ღამით. მხოლოდ ღამით ეღვიძებათ ,,წყლის სიღრმეში მძინარ არსებათ". როდესაც ბნელდება, ისინი სწორედ მაშინ იწყებენ გამოღვიძებას, გამოცოცხლებას და პირიქით, ,,როცა მზე კვლავ აღმოხდება, ნათელ დღეებს ააელვარებს, ეს სატანა განიდევნება" (1; 40).

ბეოვულფი ზღვის ურჩხულებთან შებრძოლება ღამით უწევს. დღე უშიშრად მიცურავს ზღვაზე, მაგრამ შებინდებასთან ერთად თითქოს პეიზაჟიც იცვლება:

„მთლად ჩამობნელდა, ცივმა ქარმაც ამოიქროლა -
ჩრდილოეთიდან უბერავდა და ტალღების აატყლაშუნა,
გამოეღვიძათ წყლის სიღრმეში მძინარ ქმნილებათ,
გამოეღვიძათ, გამოცოცხლდნენ...“ (1; 31)

საშინლად ბნელი და ცივი ღამე იყო, ეს ეპითეტები კი კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს ღამის ბნელ და სასტიკ მხარეებს. დილით ურჩხულები ზღვის ნაპირზე გადაწყვეტენ გამოძინებას. მთელ ღამეს ბრძოლაში გაატარებს ბეოვულფი, დილით კი თავად დაეხსნებიან ურჩხულნი. გზის გაგრძელება მეზღვაურებს უკვე თამამად შეუძლიათ. ეს კი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ როდესაც თენდება, ყოველგვარი ბოროტება იძინებს და განსაცდელიც მიდის.

ბეოვულფი გრენდელის წინააღმდეგ მზადებას ღამით იწყებს, როდესაც მეფე ჰროთგარი და დანარჩენი დანიელები კარვიდან მიდიან. ის იხდის აბჯარს და მუზარადს, ხოლო იარაღს მსახურებს გადასცემს შესანახად. მას გადაწყვეტილი აქვს, რომ ურჩხულს შიშველი ხელებით შეებას, რადგან იარაღის მეშვეობით მისი მოკვლა ადვილი ეჩვენება. ბეოვულფი ღამით იწყებს სამზადისს არა იმიტომ, რომ თვითონ ასე სურს, არამედ იმიტომ, რომ მოეხსენება გრენდელის ღამეული თავდასხმების შესახებ. იცის, რომ სხვა დროს მას ვერ ნახავს: „ჭაობიდან, ნისლიანი მთების ძირიდან, გუბურებიდან გრენდელი დაძრულიყო, ჰეროთისკენ მოსრიალებდა, რათა მოეკლა, სადაც კი ვის მოახელთებდა, მსწრაფლ მოდიოდა ღამის წკვარამში“ (1; 40) - მოგვითხრობს პოემა. სიძულვილით სავსე გრენდელმა სამოქმედოდ და საკუთარი გეგმების განსახორციელებლად ღამე არჩია დღეს. ღამით მოქმედება მისთვის უფრო ხელსაყრელია, რადგან დღისაგან განსხვავებით ქალაქში ღამით სიწყნარე და სიმშვიდე ისადგურებს ხოლმე. როდესაც ყველა და ყველაფერი იძინებს, ღამით, იღვიძებს ბოროტება. ბოროტი ძალები თავიანთი შავბნელი გონებითა და სულით ცდილობენ, მიაღწიონ მზაკვრულ საწადელს. ღამით, ,,ნისლიანი მწვერვალებიდან და ჭაობებიდან კარავში გრენდელი დაეშვა" (1; 40). გრენდელს ხელის შემშლელი არავინ ჰყავს ღამით, რადგან ჩვეულებისამებრ ამ დროს ყველა ძილს მისცემია: „გითებს ეძინათ ტკბილი ძილით ჰეროთ-დარბაზში“ (1; 39), მაგრამ მის წინააღმდეგ საბრძოლველად უშიშარი ბეოვულფი უკვე მზად არის.

არანაკლებ საზარელი და სისხლისმსმელი არსებაა გრენდელის დედაც. როდესაც დარბაზში ხალხს ,,ძილი ეწვია", მან გმირი ეშერი მოკლა. ეს შურისძიება იყო გრენდელის დაკარგვის გამო. გრენდელის დედა თავისი მზაკვრული ბუნების შესაფერის ადგილზე ცხოვრობს. იქ, სადაც ,,წყვდიადშია სუყველაფერი, ჰაერიც, წვიმაც" (1; 72). ურჩხულთა ბუნაგი სისხლიანი, გველებით სავსე ტბის ფსკერზეა, რომელსაც ოხშივარი ასდის. ეს არის ადგილი, სადაც ბნელეთის პირმშო ბინადრობს და ბნელი ძალები ბობოქრობენ. საზარელ ურჩხულს შურისძიება სწყურია და საკუთარი მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდება. შესაფერის დროდ კი ისიც ღამეს ირჩევს. მიპარვით თავს ესხმის ჰეროთში მყოფთ. როდესაც ბეოვულფი დაამარცხებს გრენდელის დედას, ირგვლივ სიკეთე სიმშვიდე დაისადგურებს: ,,წყალი გახდა მშვიდი, კამკამა, ტბა დაწყნარდა უზარმაზარი, რადგან დემონებს ბოლო მოეღოთ" (1; 84). სიკეთემ სძლია ბოროტებას და დიდი ხნის ნანატრი სიმშვიდის მოპოვებას ზეიმობენ დანიელებიც.

რატომ მაინცადამაინც ღამით? რატომ აირჩიეს საზარელმა ურჩხულებმა ღამე ბოროტების ჩასადენად? კითხვებზე პასუხი საკმაოდ მარტივია, თითოეულმა ჩვენგანმა ვიცით, რომ ღამე არის ყოველგვარი ბოროტების მომასწავებელი, სწორედ ღამით იღვიძებენ შავბნელი ძალები და ემზადებიან ყოველგვარი სიკეთის გასანადგურებლად. ნაწარმოებიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ ღამე ყოველგვარი ბოროტების მომასწავებელია. საზარელი ურჩხულები ღამეს საკუთარი ზრახვების იოლად განხორციელებისთვის ირჩევენ.

ღამის საპირისპიროდ დღე ყოველგვარი სიკეთის მომასწავებელია. როდესაც თენდება, ბოროტება იძინებს და სიკეთე იმარჯვებს. ადამიანები ღამე არ მოქმედებენ. მნიშვნელოვანი საქმეების საკეთებლად დღეს არჩევენ. სინათლე სიკეთის სიმბოლოა, რომელიც ადამიანის გონებას იმედით ავსებს. ბეოვულფი

დღისით მიემართება გრენდელის დედასთან საბრძოლველად და შებინდებამდე გამარჯვებასაც იზეიმებს.

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე ვასკვნით, რომ პოემა „ბეოვულფში“ ერთმანეთს მკაფიოდ უპირისპირდება დღისა და ღამის სიმბოლოები, როგორც ერთმანეთის ანტითეზა. თანაც ამ ანტინომიას აქვს ბიბლიური ძირი, რადგან მისი ლიტერატურული ინტერპრეტაცია ზუსტად იმეორებს სახარებისეულ დღისა და ღამის, იგივე ნათელისა და ბნელის სიმბოლურ შინაარსს. ამასთანავე, ბიბლიიდან და პოემა „ბეოვულფიდან“ მოტანილი არგუმენტების საფუძველზე ვასკვნით, რომ დღისა და ღამის ეს წყვილი სიმბოლო არის კეთილისა და ბოროტის მეტაფორა. ქრისტიან გადამწერს, რომელსაც ხელში ჩავარდნია პოემა „ბეოვულფი, ცხადი ხდება, რომ წარმართულ ტექსტში შეუტანია მთელი რიგი ცვლილებებისა და გაუმდიდრებია იგი სახარებისეული მოტივებით.

ლიტერატურა:

1. *ბეოვულფი, ანლო-საქსური საგმირო ეპოსი*, თბ., 1989.
2. *ბიბლია,* სბს. თბ., 2013.
3. რაიტი დ., *„ბეოვულფის“ პროზაული გამოცემის წინასიტყვაობა,* წ-ში: *„ბეოვულფი“, ანლო-საქსური საგმირო ეპოსი*, თბ., 1989.
4. თხილავა ნ., *ევროპის ლიტერატურის ისტორია შუა საუკუნეებიდან თანამედროვეობამდე,* თბ., 2006.
5. ტოროტაძე ქ., *ინგლისური ლიტერატურის ისტორია,* 2013.
6. ხავთასი გ., რევიშვილი შ., ორლოვსკაია ნ., გაჩეჩილაძე გ. *საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია.* მეორე გამოცემა, ნაწ. I, თბ., 1977.
7. Алексеева М. П., Анисимова И. И., Дживелегова А. К., Елистратовой А. А., Жирмунский М., *История английской литературы.* Том I. Выпуск первый, М.-Л. 1943.

ისტორია

დავით ულუს და დავით ნარინის ორმეფობა და ურთიერთობა მონღოლებთან

მარიამ ბერუაშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ელდარ მამისთვალიშვილი**, პროფესორი

1247 წ. ორი დავითი – დავით ლაშას ძე (ულუ) და დავით რუსუდანის ძე (ნარინი), როდესაც მონღოლთა ყაენმა მეფეებად დაამტკიცა, ერთობლივად დაიწყეს ქვეყნის მართვა. ამას ამბობს ივანე ჯავახიშვილიც და მაგალითად მოჰყავს ქართველი ჟამთააღმწერელი, რომელიც მის მიერ დამოწმებული მეფეთა საერთო სიგელების გარდა, იხსენიებს აბელიის ეკლესიის 1250 წ. კედლის წარწერასაც, სადაც ამ ორივე დავითს თანამედროვე მანგლელი ეპისკოპოსი არსენ შვიდაის ძე მათ ერთად ასახელებს მეფეებად.[1]

დავით ნარინი ჯერ ისევ ურდოში იმყოფებოდა, როდესაც ქართველმა დიდებულებმა 1245 წელს მის სახელზე ფული მოჭრეს, რომელზეც მისი ყაენისადმი ყმობა იყო აღნიშნული. შემდეგ, როდესაც

[1] ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, III, თბ., 1982, გვ. 52.

საქართველოში შეიტყვეს, რომ ყაენმა ორივე მეფეს მისცა მეფობა, ფული მხოლოდ ერთხელღა მოჭრეს, რომელზეც მხოლოდ დავით ულუს სახელი იყო[1].

დავითებს ერთნაირი სახელები ჰქონდათ, თორემ ფიზიკურად და ხასიათებით ისინი ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებოდნენ.

საქართველო მონღოლების მიერ შუა აზიასა და ჩრდილო-დასავლეთში დაპყრობილი ქვეყნებისაგან განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამ საკითხზე ყურადღებას არ გავამახვილებ, რადგან მას საინტერესო სტატია მიუძღვნა ე. მამისთვალიშვილმა[2].

დავით ნარინისა და დავით ულუს საქართველოში დაბრუნების შემდეგ ქვეყნის დუმნებად დაყოფა დაახლოებით 1247-48 წლებში გაუქმდა.[3] რაც შეეხება შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, ირკვევა, რომ 1249 წელს ქართველებს უცდიათ აჯანყება, რომლის თავკაცნი ამჯერად თბილისს შეკრებილან მეფე დავით ულუსთან. მოლაპარაკება პურის ჭამის დროს გაუმართავთ. ეს ამბავი ახლო დაბანაკებულ მონღოლთა ჯარის უფროსის ყურამდე მისულა. მას სასწრაფოდ დაუპატიმრებია შეთქმულნი. დამნაშავეები თოკებით შეუკრავთ და ასე სამი დღე უმყოფებიათ, დაპატიმრებულთა შორის ყოფილა დავით ულუც, რომლის განთავისუფლებისათვის მონღოლებს უზომო გამოსასყიდი აუღიათ. ასევე განუხორციელებელი დარჩა კოხტასთავის მსგავსი თბილისის აჯანყებაც.[4]

ამის შემდეგ, როგორც ჩანს, მონღოლთა პირველ აღწერამდე ანუ 1254-56 წლებამდე საქართველოში ადგილი აღარ ჰქონია აჯანყება-შეთქმულების ცდებს. თუმცა ნიადაგი მზადდებოდა მომავალი ამბოხებისათვის. აქვე უნდა ითქვას, რომ მონღოლთა ბატონობის პირველი პერიოდი საქართველოსთვის არ ყოფილა ისეთი მძიმე, როგორც ეს იყო შემდგომში. ჩაშლილი აჯანყება-შეთქმულების ცდები, ბუნებრივია, განპირობებული იყო თავისუფლების მოპოვების სურვილით. როგორც ირკვევა, 1254-56 წლებში ჩატარებული აღწერა და ამის შედეგად დაპყრობილი ხალხის მძიმედ დაბეგვრა გახდა საქართველოშიც შემდგომში მომხდარი აჯანყების მიზეზი.

1254-56 წლებში მონღოლებმა დაპყრობილ ქვეყნებში ჩაატარეს საყოველთაო აღწერა, რომლის მიზანიც უპირველესად იყო გაერკვიათ თუ რა რაოდენობის მეომრის გამოყვანა შეეძლო თითოეულ ქვეყანას. მეორე მხრივ, ყაენ არღუნს აინტერესებდა გაეგო, თუ რა რაოდენობის შემოსავალი შეიძლებოდა ჰქონოდა დაპყრობილი ქვეყნებიდან.

მონღოლებს აღუწერიათ ყველაფერი, რასაც კი შემოსავლის მოცემა შეეძლო. გადასახადი დაადეს ყველას და ყველაფერს: სოფლის მეურნეებს, ვაჭრებს, ხელოსნებსა და ა.შ. გაათავისუფლეს მხოლოდ მოხუცები, ქალები, ყოველგვარი რელიგიური კულტის მსახურნი და მათი მიწა წყალი.[5]

ქართული, სომხური და სპარსული წყაროების მიხედვით საქართველოს ვილაიეთში ამ პერიოდისთვის მოქმედებდა თოთხმეტზე მეტი სახეობის სამონღოლო გადასახადი, რომელსაც ქართველები მათ ზოგადად ,,სათათროს'' უწოდებდნენ.[6] ქართველი და სომეხი ისტორიკოსები აღწერას აფასებენ, როგორც თავსდამტყდარ ,,დიდ ჭირს''.[7] ფაქტები მოწმობენ, რომ აღწერილი სამონღოლო ვალდებულება-გამოსაღეებელნი: მალი, ტამღა, საიამე, თაღარი, ნემარი, თარხი, ყალანი, თერნაგირი და სხვა. ხშირად სოფლებისა და ქალაქების მასობრივი დაცარიელების, მოსახლეობის შიმშილით ამოწყვეტის მიზეზი გამხდარა.[8]

ივ. ჯავახიშვილის ცნობით, 1256 წლიდან მოყოლებული საქართველო მონღოლთა მფლობელს ექვემდებარებოდა, რომლის მმართველიც იყო ჰულაგუ ყაენი, ანუ როგორც მას ქართველი ჟამთააღმწერელი უწოდებს ულუ. გაყაენების შემდეგ ორივე დავითი ესტუმრა მას დიდი ძღვნით და, როგორც ირკვევა, კარგადაც მიუღია ისინი. დავით ულუსთვის მიუცია ნება დარბაზობის დროს ნოინებთან ერთად დგომისა, ამასთანავე მოსამართლედაც დაუნიშნავს.

ქართველი ჟამთააღმწერლის სიტყვით, დავით ულუ ჩრდილეთის ულუსის ყაენმა ბათომ დაიბარა, წასვლის წინ მეფემ ქვეყანა ორ პირს ჩააბარა: დედოფალ ჯიგდა-ხათუნს და მესტუმრე ჯიქურს. ეს

---

[1] იქვე, გვ. 52-53.

[2] მამისთვალიშვილი ე., საქართველო და მონღოლები (1240-1260-იანი წლები) // გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, №9, თბ., 2016, გვ. 87-96.

[3] ლომინაძე ბ., მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40 - XIV ს. 10-იანი წწ.). საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 557.

[4] იქვე, გვ. 558

[5] იქვე, გვ. 559

[6] იქვე, გვ. 560

[7] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 234-238

[8] ლომინაძე ბ., მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ, გვ. 567

უკანასკნელი მანდატურტუხუცესის სავაზირო უწყების მეოთხე ხარისხოვანი მოხელე იყო, თუმცა ამას მეფისთვის ხელი არ შეუშლია, რადგან მისი მთავარი მიზანი იყო ქვეყანა ემართა მისთვის სანდო პირს. მესტუმრე ჯიქურის საქმიანობას რომ გადავავლოთ თვალი, დავინახავთ, რომ მისი ძალისხმევით ქვეყანაში მყუდროება დამყარდა, რომ მის დროს ,,სრულიად სამეფოსა შინამპარავი და ავაზაკი არ იპარებოდა". ასევე მან ცენტრალურ ხელისუფლებას დაუქვემდებარა გამდგარი მთის მკვიდრნი. თუმცა ჯიქურის ასეთი გაძლიერება არ მოსწონდათ დიდებულებს, მათ შორის იყო სუმბატ ორბელი, რომლის ძალისხმევით მალემრწმენმა მეფემ მოკლა მესტუმრე ჯიქური.[1]

როგორც ზემოთ ითქვა, მონღოლთა ბატონობის და მათ მიერ დაკისრებული გადასახადების გამო, რასაც თან ერთვოდა გამუდმებით ლაშქრობებში მონაწილეობა, ქვეყანაში მოამზადა ნიადაგი აჯანყებისთვის.

პირველ ამბოხებას საქართველოში სათავეში ედგა დავით VI ნარინი. ეს იყო 1259 წლის ზაფხულში. საყურადღებოა, რომ მონღოლთა წინააღმდეგ მსხვილი შეიარაღებული გამოსვლები ამ დროს აზერბაიჯანსა და ილხანთა სხვა ვილაიეთებშიც მომხდარა.[2] როგორც კი გაუგია ჰულაგუ ყაენს საქართველოში ამტყდარი ამბავი, იმავე წლის სექტემბერში მონღოლთა და მაჰმადიანთაგან შემდგარი დიდი ლაშქარი გამოუგზავნია არღუნ ნოინის, ანუ ამირას სარდლობით.

ნარინ დავითის მეთაურობით თავმოყრილ აღმოსავლეთ საქართველოს აჯანყებულთა ჯარსა და არღუნის მეთაურობით მოსულ მონღოლთა შეერთებულ ლაშქარს შორის ბრძოლა 1259 წ. მოხდა. ორივე მხარე გააფთრებით იბრძოდა და მას დიდი მსხვერპლიც შეეწირა, მაგრამ მაინც არღუნმა გამარჯვება ვერ შეძლო და აჯანყება ვერ ჩააქრო. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ აჯანყებაში ბევრი ადამიანი იღებდა მონაწილეობას. უნდა ითქვას ისიც, რომ ვერც დავით ნარინს მოუხერხებია მონღოლთა განადგურება.

ივ. ჯავახიშვილის ცნობით, არღუნი იძულებული გახდა ისევ ჰულაგუ ყაენთან გამგზავრებულიყო დამატებით ჯარის სათხოვნელად. ყაენმაც ბრძანება გასცა, რომ საქართველოში გადარჩენილ მონღოლთა შეერთებულ ძალას ერაყის დუმნის ლაშქარი მიეშველებოდა. ამის გაგების შემდეგ დავით ნარინმა ბრძოლის გაგრძელება უიმედო საქმედ მიიჩნია და წინააღმდეგობის შეწყვეტა ამჯობინა, თვითონ კი ლიხთიმერეთში გადავიდა და მონღოლთაგან მოსალოდნელი მრისხანე შურისძიებისგან დასაცავად შეაფარა თავი,[3] იქვე მოხდა მისი დასავლეთ საქართველოს მეფედ გამოცხადება.

ივ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ დავით ულუს მომხრე ქართველებსაც მოუხდებოდათ ბრძოლა უნებლიედ თანამოძმეების წინააღმდეგო. რა თქმა უნდა, ყურადღებას იპყრობს და საინტერესოა, თუ რატომ არ მოხდა ქართული ძალების გაერთიანება და ერთობლივად დაპირისპირება დამპყრობლისათვის, რატომ თქვა უარი დავით ულუმ აჯანყებაში მონაწილეობაზე. ისტორიკოსთა გარკვეული ნაწილი დავით ულუს მოიხსენიებს, როგორც მონღოლთა მორჩილს, რასაც, ჩემი აზრით, არ შეიძლება სრულებით დავეთანხმოთ, რადგან ჯერ კიდევ მან 1249 წ. სცადა აჯანყების მოწყობა მონღოლთა წინააღმდეგ, რომელიც თბილისის ამბოხების სახელითაა ცნობილი. შემდგომში დავინახავთ, რომ ამის მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო ის, რომ დავით ულუს განზრახვა ჰქონდა მომზადებულიყო აჯანყებისთვის, ის დრო კი, რომელიც დავით ნარინმა აირჩია აჯანყებისათვის, მისთვის არახელსაყრელი იყო. რა თქმა უნდა, მეფის ამგვარი ხედვა არასწორია. როგორც ზემოთ ითქვა, მონღოლთა წინააღმდეგ გამოსვლებმა მასობრივი სახე მიიღო, ეს კი ხელსაყრელი მომენტი იყო ამბოხების დასაწყებად. საქართველოს ძალების გაერთიანების შემთხვევაში ქვეყანას შესაძლებელი იყო დაემარცხებინა კიდეც მტერი. დამპყრობელს გაუჭირდებოდა ძალების მობილიზება ყველა აჯანყების კერის ჩასაქრობად და ეს იქნებოდა რეალური შანსი თავი დაეღწია საქართველოს მონღოლთა მძიმე ბატონობისგან. ასევე შეიძლება ვიფიქროთ, რომ დავითი არც გეგმავდა აჯანყებას და შემდგომში მომხდარი ამბოხება მომდევნო პერიოდში უკიდურესად გამწვავებულმა მდგომარეობამ განაპირობა, ყოველ შემთხვევაში მეფესთან მიმართებაში მაინც.

1260-61 წლებში ნარინის აჯანყებას მალე მოჰყვა მეორე აჯანყება, რომელსაც სათავეში დავით VII ულუ ედგა. ქართული წყარო აჯანყების მიზეზად პირდაპირ ასახელებს მონღოლთა აუტანელ მოხარკეობას, ბასკაკთა გაუმაძღრობას, რომლებიც მეფის სამზარეულოშიც კი დაძვრებოდნენ და საქონელს ბეგრავდნენ.[4]

აჯანყების საბაბი გამხდარა ეგვიპტეზე ლაშქრობა, სადაც ჰულაგუ ყაენის ბრძანებით საქართველოს ჯარით დავით VII-ც უნდა გამგზავრებულიყო. ჯავახეთში მისულ მეფეს თათბირი მოუწვევია და

---

[1] ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, III, გვ. 75-82

[2] ლომინაძე ბ., მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ. გვ. ???

[3] ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, III, გვ. 38.

[4] ლომინაძე ბ., მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ, გვ. 570. ქართლის ცხოვრება, II გვ. 239.

განუცხადებია, რომ აჯანყებას იწყებდა. დიდებულთა დიდი ნაწილი მეფეს არ დაეთანხმა და ამბოხებაში მონაწილეობაზე უარი თქვა. ფაქტობრივად ის ძალა, რომელიც დავით ულუს უჭერდა მხარს, იყო სარგის ჯაყელი, სამცხის მთავარი. ეს უკანასკნელი სამცხეში გადავიდა და ბრძოლის თადარიგს შეუდგა. არღუნი აღმ. საქართველოში 20.000 მოლაშქრით მოვიდა. ის შევიდა თბილისში, სადაც შეიერთა ის ქართველი მთავრები, რომლებიც დავით მეფეს არ გაჰყვნენ და გაემართა სამცხისკენ, დადგა სურამს. აჯანყებულებს 80000 მეომარი ჰყავდათ, სარგის ჯაყელის გეგმის თანახმად, რაც უეჭველია მცდარი იყო, ქართველთა ჯარი ტასისკარის ვიწრობებიდან გამოვიდა და მტერს გაშლილ ველზე გორის მიდამოებში (შინდარსა და ახალდაბასთან) შეებრძოლა. ეს იყო დეკემბერში. აჯანყებულები დამარცხდნენ. 1261 წელს კვლავ შემოვიდა მონღოლთა ჯარი და სამცხეს შეესია დასარბევად. აქ უკვე განხეთქილებამ იჩინა თავი, რის გამოც დავით ულუ დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ამით დასრულდა მეორე უშედეგო აჯანყება ქართველებისა.

მარცხის მიზეზი ნათელია: ადგილი ჰქონდა შეუთანხმებელ მოქმედებას, მცდარი იყო საომარი გეგმაც, სუსტი იყო ამ აჯანყების სოციალურ-კლასობრივი ბაზა. ყველაფერმა ამან განაპირობა გარდაუვალი მარცხი.[1]

დავით ულუს დასავლეთ საქართველოში გადასვლის შემდგომ დროთა განმავლობაში თავი იჩინა უთანხმოებამ ორ მხარეს შორის, მათი დაპირისპირების მიზეზი იყო ერთმეფობის აღდგენა საქართველო-ში. მოვლენები იმგვარად განვითარდა, რომ დავით ულუ დამარცხდა, ამას თან დაემატა ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლებს მმართველად დაესვათ შადინი, რომელიც თავის ძალაუფლებას უფრო და უფრო აძლიერებდა. ეს რომ დავით ულუს თავიდან აეცილებინა და საქართველოს ეს ნაწილი მონღოლთა სათარეშოდ არ გადაექცია, სცადა შერიგება ყაენთან. ის სარგის ჯაყელთან ერთად ჩავიდა ილხანთა ულუსში, სადაც გაიმართა სასამართლო. სასამართლოზე ჯაყელმა მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო და აუხსნა ყაენს ის გარემოებანი რის გამოც ისინი აჯანყდნენ. მეფეც და ჯაყელიც განწირულები იყვნენ, რომ არ მოსულიყო ცნობა კავკასიაში ოქროს ურდოს ჯარის შემოჭრის შესახებ. ამის შედეგად საქართველო ულუსისათვის მნიშვნელოვან დასაყრდენად გადაიქცა, რადგან ის აკონტროლებდა კავკასიაში გადმოსახლებებს.

პირველი ბრძოლა 1262 წ. მოხდა დარუბანდთან, ორივე მხარეს იყო დიდი ზარალი, ომი გახანგრძლივდა 1263 წლამდე და დამთავრდა ილხანთა ულუსის დამარცხებით. ამის შემდეგ მონღოლებმა საქართველოს მოსახლეობას ახალი მძიმე სამხედრო მოვალეობა – სიბაზე დგომა დააკისრეს, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის, როგორც განაპირა სახელმწიფოსათვის დიდი ზიანის მომტანი იყო. პირველი იმ მხრივ, რომ იღუპებოდა მრავალი, ამავდროულად დიდი ჯარის მუდმივი თავმოყრა გადამდებ სნეულებათა გავრცელების ხელშემწყობი იყო. აღსანიშნავია, რომ მეფე დავით ულუ და მისი შვილი სიბაზე ყოფნისას მუცლის ტიფით დაავადდნენ და გარდაიცვალნენ[2].

ზოგადად საქართველოს მძიმე შედეგი მოუტანა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ურდოებს შორის ურთიერთობის გამწვავებამ. მათ შორის გამართული ბრძოლების შედეგად დიდი ზიანი მიადგა როგორც ეკონომიკურ-სოციალური, ისე კულტურული თვალსაზრისით, რასაც თან ემატებოდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენები დაკავშირებული ზემოთ ხსენებულ ომებთან. დაიწყო დიდი ეკონომიკური კრიზისი. აღწერის შედეგად დაბეგრილი უძრავ-მოძრავი ქონება მეპატრონეებისათვის დიდ ტვირთად გადაიქცა. ბევრს ერჩივნა უძრავი ქონების გაყიდვა და ამგვარად გადასახადებისგან როგორმე თავის დაღწევა. თუმცა ზოგიერთი მათგანი მიწების დაგირავებას ამჯობინებდა, მაგრამ როცა გადახდის დრო მოდიოდა, მოსახლეობა ვერც ახლა ახერხებდა გადახდას. ამან ბევრი მიწის მესაკუთრე და დამმუშავებელი დატოვა უმიწაწყლოდ და საშინელ გაჭირვებაში ჩააგდო. ყოველივე ეს მძიმედ აისახებოდა ქვეყნის ხაზინაზეც, რომელიც ფაქტობრივად ცარიელდებოდა გადასახადების გადახდის შემდეგ. ფულის მარაგი მცირდებოდა, რაც ზრდიდა მის ღირებულებას და ამ გარემოებამ მიწას ფასი უფრო მეტად დაუკარგა. ხალხიც და მთავრობაც თავსდამტყდარი საშინელი გაჭირვების შესამსუბუქებლად ერთადერთ გზას ეკლესიის მიწების განაწილებაში ხედავდნენ. ბასილ უჯარმელ-ჭყონდიდელმა გაჭირვებულებს დაურიგა ის უძრავი ქონება, რომელიც ეკლესიას საუკუნეთა განმავლობაში მიეღო. ამან, რა თქმა უნდა, ეკლესიის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და საქმე იქამდე მივიდა, რომ მათ უარი თქვეს სხვადასხვა რელიგიური წესების აღვლინებაზე, თუმცა მათი მცდელობა, ამ გზით შეენარჩუნებინათ მიწები, უშედეგოდ დასრულდა.

ბასილ უჯარმელ-ჭყონდიდელი, რომელიც მოთავე იყო გაღატაკებული მოსახლეობისათვის ეკლესიის მიწების დარიგებისა, მიუღებელი იყო დიდებულებისათვის, განსაკუთრებით კი სასულიერო

[1] ლომინაძე ბ., მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ, გვ. 571-72

[2] იქვე, გვ. 576.

პირებისათვის. მათ ისარგებლეს მეფის მალემრწმენობით და უჯარმელ-ჭყონდიდელი სიკვდილით დასაჯეს.[1]

ასე მოხდა დავით ულუს უერთგულესი სარგის ჯაყელის შემთხვევაშიც. დიდებულები, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ჯაყელის მდგომარეობით, გადაწყვიტეს მეფისთვის შთაეგონებინათ, რომ თითქოს მას გამეფება ეწადა და ყაენთან ჰქონდა მიმოწერა. დავით ულუმ ახლაც გამოუძიებლად დაიჯერა ნათქვამი და ჯაყელი დაატყვევა. სარგისი გათავისუფლდა ყაენის ჩარევით. გარკვეული დროის შემდეგ სამცხის მმართველმა მოახერხა თავისი სამფლობელოს ხასინჯად გამოცხადება[2]. ეს, რა თქმა უნდა, საქართველოს სამ ნაწილად დაყოფას ნიშნავდა. მთელი ამ დროის განმავლობაში ანუ 1263-68 წლებში დავით ულუ სიბაზე იმყოფებოდა. იქ ყოფნის დროს მეფე დაავადდა მუცლის ტიფით და 1268 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა.[3]

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, საინტერესოა დასავლეთ საქართველოში განვითარებული მოვლენები დავით ნარინის გადასვლის შემდეგ. უპირველესად უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეს ნაწილი განთავისუფლდა მონღოლთა ბატონობისა და ხარკის გადახდისგან. დავით ნარინმა კარგად იცოდა, რომ ადრე თუ გვიან მოსალოდნელი იყო ილხანთა ყაენს გამოელაშქრა მეფის წინააღმდეგ. ამიტომ მან დიპლომატიური კავშირი დაამყარა ეგვიპტის სულთანთან[4] და რომის პაპთან[5], მაგრამ, ცხადია, რომ ეს კავშირები რეალურად საქართველოსათვის არაფრის მომცემი იყო.

დავით ნარინს ურთიერთობა ჰქონდა ტრაპიზონთანაც და ცდილობდა ის ბიზანტიელებს ხელში არ ჩაეგდოთ. ეს კი განპირობებული იყო იმით, რომ ტრაპიზონი თამარ მეფის დროს მისი ხელმძღვანელობით იქნა დაარსებული[6] და, შესაბამისად, მისი ინტერესების დაცვა საქართველოს ერთგვარ ვალდებულებას წარმოადგენდა, ამიტომ იყო, რომ დავით ნარინი ურთიერთობდა ბიზანტიასთან.[7]

ლიხთიმერეთი აქტიურად ერეოდა საყაენოებს შორის ამტყდარ ბრძოლებში და მათ შინაურ უთანხმოებებშიც. ილხანთა ულუსის დასუსტების მიზნით დავით ნარინმა თავშესაფრით უზრუნველყო ჩრდილოეთელი უფლისწული თეგუდარი.

მონღოლებს ნარინი საშიშ ძალად მიაჩნდათ. ამიტომ იყო, რომ ისინი თხოვნა-საჩუქრებით ცდილობდნენ მასთან მოკავშირეობას, სინამდვილეში კი მის ცოცხლად შეპყრობას გეგმავდნენ.

1268 წ. გარდაიცვალა დავით ულუ. ამით დასრულდა დავით ულუს და დავით ნარინის ორმეფობა საქართველოში, რომელმაც ქვეყანას დაშლის და დასუსტების მეტი არაფერი მოუტანა. საქართველოს დასუსტება, რა თქმა უნდა, მონღოლთა პოლიტიკის შედეგი იყო, მაგრამ მისი დაშლა სახელმწიფოს სათავეში მყოფი პოლიტიკური მესვეურების, უშუალოდ კი მეფეთა შეუთანხმებელი მოქმედებების შედეგია, რისი ნათელი დადასტურებაა იგივე 1259 წლის აჯანყება. თუკი მოხდებოდა მეფეთა ძალების გაერთიანება ქვეყანას ჰქონდა რეალური შანსი თავი დაეღწია მონღოლთა მძიმე უღლისგან. თუმცა ის შედეგი, რაც მივიღეთ, რა თქმა უნდა, იყო განპირობებული დავით ულუსა და დავით ნარინს შორის არსებული დიდი განსხვავებით. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატებოდა მათ პოლიტიკურ ხედვაში, რამაც გადაწყვიტა კიდეც ქვეყნის ბედი. ორივე მათგანის მეფობას რომ გადავხედოთ, ნათელი გახდება, რომ დავით ნარინი ფრთხილი, წინდახედული მმართველი იყო. მისგან განსხვავებით დავით ულუს მოქმედებები იყო ნაჩქარევი, რაც გამოვლინდა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. მის მიერ დაშვებული შეცდომების მიუხედავად, ეს უკანასკნელი არ შეიძლება შეფასდეს უარყოფითად, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს აღმოსავლეთ ამ ნაწილში ფეოდალთა და დიდებულთა შორის არ იყო ერთსულოვნება, მათ შორის მუდმივად მომდინარეობდა ბრძოლა ძალაუფლებისათვის, ამას თან ერთოდა მონღოლთა თარეში, რომლისგანაც თავისუფალი იყო დასავლეთ საქართველო. ამგვარი ვითარების ფონზე გასაგებია, თუ რატომ ჰქონდა დავით ულუს მმართველობას დადებითი შედეგი ლიხთიმერეთში.

---

[1] ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, III, გვ. 98-104.

[2] ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორია XIII-XIV სს. //საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1963, გვ. 59.

[3] იქვე. გვ. 105-108

[4] ვრცლად იხ. მამისთვალიშვილი ე., საქართველო და მონღოლები (1240-1260-იანი წლები) // გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, №9, თბ., 2016, გვ. 87-96.

[5] მამისთვალიშვილი ე., საქართველო-რომის ურთიერთობა XIII საუკუნის მეორე ნახევარში //ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, შრომები, სპეციალური გამოშვება, შოთა მესხია – 100, თბ., 2016, გვ. 303-315.

[6] მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV, თბ., 2016, გვ. 219-278.

[7] ლომინაძე ბ., მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ, III, გვ. 601-602

განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს. დავით ნარინის მიერ ილხანებისაგან დამოუკიდებელი, უფრო სწორად, ანტიილხანური საგარეო პოლიტიკის გატარების მაჩვენებელია დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა ბიზანტიასთან, რაც გამწვავებული საერთაშორისო ურთიერთობის ფონზე მიმდინარეობდა.

დავით ნარინმა, მაშინ როდესაც ილხანები ეგვიპტის წინააღმდეგ ომისათვის ემზადებოდნენ, ეგვიპტესთან დიპლომატიური კავშირი დაამყარა, რათა მონღოლების მოსალოდნელი თავდასხმის საპირისპირო მოკავშირე შეეძინა.

ყოველივე აქედან კეთდება დასკვნა, რომ ორმეფობა საქართველოს ისტორიაში ძალიან რთული და მძიმე პერიოდია, რომელმაც სახელმწიფო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური თვალსაზრისით ძლიერ დააზარალა. ასეთი იყო დიდი ყაენის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგი.

ლიტერატურა:

ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორია XIII-XIV სს. //საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1963.

ლომინაძე ბ., მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40 - XIV ს. 10-იანი წწ.), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979.

მამისთვალიშვილი ე., საქართველო და მონღოლები (1240-1260-იანი წლები) // გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, №9, თბ., 2016.

მამისთვალიშვილი ე., საქართველო-რომის ურთიერთობა XIII საუკუნის მეორე ნახევარში //ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. შრომები. სპეციალური გამოშვება. შოთა მესხია – 100, თბ., 2016.

მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV, თბ., 2016.

ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959.

ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, III, თბ., 1982.

1832 წლის შეთქმულების ისტორიის ასახვა ქართულ ემიგრაციაში

სოფიკო დოლიაშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
მაგისტრატურის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ოთარ ჯანელიძე**, პროფესორი

1832 წლის შეთქმულება საქართველოს ახალი ისტორიის ერთი გამორჩეული თარიღია. მის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალი ნაშრომი არსებობს, მათ შორის დოკუმენტებისა და მასალების სამტომეული პროფესორ გიორგი გოზალიშვილის ვრცელი გამოკვლევით,[1] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კოპესპოდენტის აკაკი სურგულაძის მონოგრაფია,[2] პროფესორების რევაზ გრძელიძის[3], მანანა ხომერიკის[4], მამუკა ჯოლბორდის[5], დიმიტრი შველიძისა[6] და სხვათა პუბლიკაციები. თუ ამ წიგნების გამოცემების თარიღებს დავხედავთ, ასეთ უცნაურობას აღმოვაჩენთ: ყველაზე ადრინდელი ნაშრომი მხოლოდ 1935 წლითაა დათარიღებული. საჟურნალო სტატიები კიდევ უფრო გვიანდელია -

[1] გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, თბ., ტ. 1, თბ., 1935; ტ. 2, თბ., 1970; ტ. 3, თბ., 1976.
[2] სურგულაძე ა., ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, ისტორიული ნარკვევი, თბ., 1968
[3] გრძელიძე რ., 1832 წლის შეთქმულება საქართველოში, თბ., 1998.
[4] ხომერიკი მ., 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ბერი ფილადელფოს კიკნაძე, თბ., 1999.
[5] ჯოლბორდი მ., 1832 წლის შეთქმულება, თბ., 2012.
[6] შველიძე დ., 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ისტორიიდან, თბ., 2014.

მათგან პირველი პროფესორ მიხეილ გოცაძეს ეკუთვნის და 1949 წელს არის გამოქვეყნებული.[1] რატომ მოხდა ასე? რატომ დაინტერესდნენ ჩვენი მეცნიერები ამ საკითხით გვიან? რა ვითარება იყო ამ მხრივ ქართულ ემიგრაციაში? რით განსხვავდება ქართული ემიგრანტული და ქართული საბჭოთა პერიოდის პუბლიკაციები ერთმანეთისაგან და რა საერთო მახასიათებლები შეიძლება მოეძებნოს ამ ნაშრომებს? აი, საკითხთა წრე, რომელთა გარკვევასაც ჩემს მოხსენებაში შევეცდები.

ცნობილია, რომ 1832 წლის შეთქმულებას დადებითად ახასიათებდა ილია ჭავჭავაძე. იგი შეთქმულების მონაწილეებს ,,გონებაგახსნილ ყმაწვილკაცობის ბრწყინვალე წრეს" უწოდებდა. მისივე სიტყვით, შეთქმულნი იყვნენ ,,უკეთესნი კაცნი, სამშობლოს სიყვარულით თვალახილებულნი."[2] თანამედროვე შეფასებით, 1832 წლის შეთქმულება ჩვენი წარსულის ერთ-ერთი გამოკვეთილი ნიშანსვეტია, მან ,,მკვიდრი ნიადაგი შეუმზადა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს, რომლის მედროშეობა დიდმა თერგდალეულებმა იტვირთეს."[3] ქართველი ერის ცხოვრებაში ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა რატომ უნდა დარჩენილიყო უყურადღებოდ მე-19 საუკუნის 70-80-იანი წლების შემდგომ თითქმის 50 წლის განმავლობაში? ამ შეთქმულებიდან საუკუნის გასვლის შემდეგ, თუნდაც 1932 წელს, რატომ არავინ გაიხსენა სახელოვანი წინაპრები, რატომ არავინ მიაგო პატივი მათ სახელებს?

ყველაფერს საბჭოური ცხოვრების წესი და მაშინ გაბატონებული ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგია განსაზღვრავდა. ამ იდეოლოგიის ერთ-ერთმა შემოქმედმა და პრაქტიკაში გამტარებელმა იოსებ სტალინმა, დღეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ ეტაპად გააზრებული მოვლენები: 1802 წლის კახეთის პოლიტიკური გამოსვლა, 1804 წლის მთიულეთის ამბოხება და მე-19 ასწლეულის პირველი მესამედის სხვა ანტიიმპერიული აჯანყებები, სტატიაში ,,როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი" ,,ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმად" მიიჩნია. იმ დროს ,,ფეოდალურის" და მით უფრო - ,,ნაციონალისტურის" იარლიყის მიკერება რეაქციონერად მონათვლის ტოლფასი იყო. ამგვარი შეფასება ცოცხალ ადამიანთა რეპრესირებას, ხოლო მოვლენის დასავიწყებლად გამეტებას ნიშნავდა. 1832 წლის შეთქმულებასაც ასე დაემართა, - იგი ისტორიიდან ამოვარდა და ტაბუდადებულ თემათა რიგში მოექცა. მთელ საბჭოთა იმპერიაში სტალინის სიტყვა დოგმა ხდებოდა და განუხრელად უნდა შესრულებულიყო, მის თვალსაზრისს ვერავინ შეცვლიდა და ვერც შეეწინააღმდეგებოდა. საბედნიეროდ, დასავლეთ ევროპას საბჭოთა ბელადის ხელი ვერ წვდებოდა, იქაური სამეცნიერო აზრი ანგარიშს არ უწევდა მის შეხედულებებს და თავისუფლად ვითარდებოდა.

სწორედ უცხოეთში, საბჭოეთიდან შორს, საფრანგეთში მყოფმა ქართულმა ემიგრაციამ, საქართველოსაგან განსხვავებით, შეძლო და აღნიშნა 1832 წლის შეთქმულების ასი წლისთავი.

1932 წელს ამ ისტორიულ მოვლენას მიეძღვნა პარიზში გამოცემული ხელოვნების და მეცნიერების ყოველთვიური ჟურნალ ,,კავკასიონის" საგანგებო, მერვე ნომერი[4], სადაც მხატვრულ-ლიტერატურულ მასალებთან ერთად, შესულია რამდენიმე საინტერესო ისტორიული გამოკვლევა, რომლებშიც განხილულია 1832 წლის შეთქმულების ესა თუ ის ასპექტი.

,,კავკასიონის" პირველივე ფურცლებზე დაბეჭდილია რაფიელ ივანიცკი-ინგილოს (1886-1966) სტატია - ,,საქართველოს სამეფოს ვითარება რუსეთის მოსვლის წინ". რაფიელ ინგილო შედიოდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში და აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა. მისთვის მიუღებელი იყო ათეისტურ და კოსმოპოლიტურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ბოლშევიკური რეჟიმი, რომელიც 1921 წლიდან დამყარდა საქართველოში.

1921 წლის ივლისში იგი გამოვიდა იმ ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომლის ძალითაც საინგილო აზერბაიჯანის სსრ-ს გადაეცა. სავარაუდოდ, სწორედ ამის გამო დააპატიმრეს, 1922 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას თხოვნით გაათავისუფლეს, რის შემდეგაც ემიგრაციაში გაემგზავრა და მოღვაწეობა იქ განაგრძო[5].

რ. ინგილო 1832 წლის შეთქმულებას ჟურნალ ,,კავკასიონში" ასე აფასებს: ,,ასი წლის წინათ მოწყობილი შეთქმულებით ქართველმა ერმა წატაცებული დამოუკიდებლობის დასაბრუნებელ ცდის პირველი ეტაპი დაამთავრა. ეს იყო ხანა დაუცხრომელ შეიარაღებულ ბრძოლებისა სახელმწიფოს სუვერენიტეტის აღსადგენად. ყოველმხრივ უსახსრობისა და სისუსტის მიუხედავად ხალხი მაინც

[1] გოცაძე მ., 1832 წლის შეთქმულების მოსკოვის უჯრედის აღმოცენების დათარიღებისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბ., 1949, ტ. 10, გვ. 189-194.

[2] ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 26-27.

[3] ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 29.

[4] შარძე გ., ქართული ემიგრანტული ჟირნალისტილის ისტორია, ტ. III, თბ., 2003, გვ. 403.

[5] https://ka.wikipedia.org/wiki/რაფიელ_ივანიცკი

უკიდურესი საშუალებებით ეწინააღმდეგებოდა უცხოთა მბრძანებლობას. ეს სტადიონი ისტორიაში უნდა შევიდეს ვითარცა გმირული და რომანტიული თავგანწირვა უფლებააყრილ აღშფოთებულ ერისა“[1]. აშკარად ჩანს, რომ რ. ინგილო ამაყობს ქართველთა თავგანწირვით. იმისათვის, რომ შეთქმულების მნიშვნელობა და საჭიროება გამოკვეთოს, პროფესიით იურისტი რაფიელ ინგილო, ამავე წერილში მოკლედ აღწერს საქართველოს ისტორიას მეთვრამეტე საუკუნიდან. როგორც ჩანს, ავტორს კარგად ესმის, რამ მიიყვანა ქვეყანა აღნიშნულ მოვლენებამდე, ამასთანავე, არ კარგავს ქვეყნის განთავისუფლების იმედს.

ჟურნალ ,,კავკასიონის“ ერთ-ერთმა რედაქტორმა ისიდორე გაბრიელის ძე მანწკავამ (1900-1944 წწ.) ამავე ნომერში გამოაქვეყნა წერილი ,,1801-1832 წლების მანძილზე“[2], სადაც მიმოიხილა რუსეთის აგრესიული ქმედებები საქართველოში და ქართველთა დაუმორჩილებლობის ცდები. მისი აზრით, რუსეთი ,,იმ ურჯულოებს ჰგავდა, გუშინ რომ სულს გვხდიდნენ, იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს ქრისტეს ჯვრით ჰქონდა გულმკერდი მოკაზმული“. ამ სიტყვებით იგი შეეხო ჩვენში გაზიარებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ საქართველოს რუსეთზე ორიენტაციის მთავარი მოტივი ერთმორწმუნეობა იყო. ისევე როგორც რუსუდან მეფეს ეგონა, რომ მონღოლთაგან საფრთხე არ ელოდათ, რადგან მათ ქრისტიანული ნიშნები ახასიათებდათ, სინამდვილეში კი ქვეყანამ საშიში მტერი ვერ იცნო იმ განსხვავებით, რომ მონღოლები ქრისტიანები სულაც არ ყოფილან, თუმცა არც ერთმორწმუნე რუსეთი ყოფილა მეგობარი.

ისიდორე მანწკავა კატეგორიულად უარყოფს მოსაზრებას, თითქოს რუსეთის საწინააღმდეგო მაშინდელი მოძრაობანი მოკლებულნი იყვნენ ეროვნულ შინაარსს და ყველა ამ მღელვარების მამოძრავებელ ელემენტებად ეროვნულობას და სოციალურ-პოლიტიკურ მიზეზებს ასახელებს. მისი ნააზრევიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის პიროვნებები, რომლებიც XIX საუკუნის დასაწყისში მოწყობილ აჯანყებებს ემიჯნებოდნენ და დამპყრობლის მხარეს დგებოდნენ, რუსეთთან საქართველოს სრული შეერთებისკენ ისწრაფვოდნენ, ასეთი პიროვნებები ალბათ აღიქმებოდნენ, როგორც მოღალატეები.

მრავალი აჯანყებით გამოფიტული ქვეყანა მაინც არ ნებდებოდა და ემზადებოდა 1832 წლის შეთქმულებისთვის. ,,შექმნილი ვითარების საშინელება ამღვრევდა მათ სისხლს და ამ ხალხს გულწრფელად უნდოდა ან გამარჯვება ან სახელოვანი სიკვდილი, ისე, როგორც ეს მისმა წინაპრებმა იცოდნენ“[3], - წერდა ი. მანწკავა.

სამშობლოს ბედს ეძღვნება ვიქტორ ნოზაძის (1893-1975 წწ.) ,,ქართული ეროვნული ,,მე”-ობის გაორება“ (ანუ ქართული ეროვნული ფიქრი და მისწრაფება ცხოვრების სინამდვილის წინაშე). ვ. ნოზაძე 1919 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ 70 ახალგაზრდასთან ერთად საზღვარგარეთ გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად, სადაც დაიწყო რუსთველოლოგიური ნაშრომების წერა და იყო ჟურნალ ,,კავკასიონის“ ერთ-ერთი რედაქტორი. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული 1832 წლის შეთქმულების მნიშვნელობა, რომლისთვისაც სამშობლოდან რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილები და ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლები 1826 წლიდან ემზადებოდნენ. მათ კავშირი დაამყარეს პოლონელებთან, უკრაინელებთან და ა.შ. ელოდნენ შესაფერის დროს და ეს დროც დადგა პოლონელების აჯანყების გამო. თბილისში აჯანყების ღამისათვის, ერეკლეს ასულ, ბატონიშვილ თეკლას ოჯახში დროშა მზადდებოდა, შეთქმულება გაცემულ იქნა, მაგრამ ამით ბრძოლა არ დასრულებულა. ავტორი აჯანყების მონაწილეთა მაგალითზე გვიჩვენებს ქართული პატრიოტიზმის გამოვლინებას და მის შემდგომ ბედს. კონკრეტულად კი განიხილავს 1804 წლის აჯანყების მონაწილე ალექსანდრე ჭავჭავაძის მოღვაწეობას[4]. ალექსანდრეს მამამ - გარსევან ჭავჭავაძე რუსეთის კარზე ნდობით სარგებლობდა, რის გამო (ალბათ, სიჭაბუკის გამოც), მის შვილს დაუმორჩილებლობა აპატიეს და რუსეთის სასწავლებელში მიიღეს. 1836-1837 წლებში იგი რუსეთის იმპერატორ, ნიკოლოზ მეორეს წარუდგენს მოხსენებას ამიერკავკასიის მდგომარეობაზე, სადაც აღნიშნავს, რომ აქ რუსეთის მპყრობელობა განმტკიცებულია და დროა მთავრობამ თავისი მოღვაწეობა მიმართოს სოფლის მეურნეობას და ვაჭრობის გასაუმჯობესებლად.

ალექსანდრე თანაუგრძნობდა 1832 წლის შეთქმულებას და მზად იყო კიდევ ერთხელ ებრძოლა, მაგრამ შეთქმულება ვერ შედგა და ქვეყანას კიდევ მოუწევდა რუსთა მპყრობელობის ატანა, ამიტომ ახლა მშვიდობიანი ხერხებით ცდილობს ქართველი ხალხის ხვედრის შემსუბუქებას, თუ ქვეყანა ეკონომიკურად გაძლიერდებოდა, უფრო ბრძოლისუნარიანი გახდებოდა. არ არის გამორიცხული, რომ

[1] ჟურნალი ,,კავკასიონი“, პარიზი, 1932 წ., გვ. 6.
[2] ჟურნალი ,,კავკასიონი“, პარიზი, 1932 წ., გვ. 21.
[3] ჟურნალი ,,კავკასიონი“, პარიზი, 1932 წ., გვ. 28.
[4] ჟურნალი ,,კავკასიონი“, პარიზი, 1932 წ., გვ. 188.

აჯანყების ჩავარდნისთანავე დაიწყეს ქართველებმა ფიქრი ახალ განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, მაგრამ ჯერ ძალებისა და ნდობის აღდგენა იყო საჭირო.

გრიგოლ ორბელიანი, როდესაც თავისი პატიმრობის შესახებ საუბრობს, ამბობს, რომ ყაზარმას მიუახლოვდნენ უცნობი ბიჭები, რომლებიც პატიმრებს სიმღერით ანუგეშებდნენ, ,,ნუ გეშინიათ ბიჭებო, მოთმინება იქონიეთო“[1]. ვ. ნოზაძე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ეს თავისუფლებისათვის მებრძოლი კაცი მალე გენერალი გახდა და რუსეთის სამსახურში ჩადგა. რუსის ხიშტით იბრძოდა დაღესტნის წინააღმდეგ, თუმცა ავტორმა იცის, რომ ეს ისტორიული შურისძიების გამოვლინებაა. გრიგოლ ორბელიანი იბრძოდა არა მარტო რუსეთის ხელისუფლების განმტკიცებისათვის, არამედ საქართველოსთვის მრავალი უბედურების მომტანი დაღესტნის წინააღმდეგ.

გრიგოლ ორბელიანის მსგავსად, ნიკოლოზ ბარათაშვილიც თავისუფლების მომხრე იყო, იგი აღტაცებით უძღვნის ლექსებს პატრიოტიზმს, მაგრამ შემდეგ ასევე აღტაცებულია დაღესტნის დამარცხებით:

,,ძმანო თქვენ ჰქმენით საქმენი, ღირსნი თქვენთა წინაპართა:

იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაი დაჰმართეთ წარმართთა!“[2]

როგორც ჩანს, ვ. ნოზაძე ემიჯნება შურისძიების იდეას: ,,რანაირად ხდება, რომ გუშინდელი კონსტიტუციონისტი და პოლიტიკური სარდალი, უსაშინლესი დესპოტის, იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ტახტისთვის ქართველების მხრივ მსხვერპლის გაღებას საქებურად და საამაყოდ სთვლის?“

ვ. ნოზაძის განსახილველ წერილში შეგვიძლია დავინახოთ მოწოდება კავკასიის გაერთიანებისათვის. მან იცის, რომ დაღესტანი საქართველოს დიდ ზიანს აყენებდა, მაგრამ შექმნილ ვითარებაში წარსული მტრობის დავიწყება და გაერთიანება ქვეყანას უფრო წაადგებოდა. საქართველოს შეეძლო შამილის სახით ძლიერი მოკავშირე შეეძინა, მაგრამ ქართველმა არისტოკრატიამ ვერ შეძლო წარსული ტკივილის დავიწყება და ამ ეტაპზე ახალ დამპყრობელს მიემხრო.

ქართველ ემიგრანტებს ყველაზე მეტად უმოქმედობა არ მოსწონდათ. ამის მაგალითია ვ. ნოზაძის დამოკიდებულება მაჩაბლისადმი, რომელიც იყო ქართლის ერთ-ერთი თავადი. იგი სიცოცხლის ბოლომდე ელოდა დღეს, როდესაც რუსები საქართველოს დატოვებდნენ. მართალია, ვ. ნოზაძე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ შეთქმულები მომავალში ერთგვარად ბედს შეურიგდნენ, მაგრამ მათში მაინც ხედავს მომავლის იმედს. რაც შეეხება დანარჩენ მონაწილეებს, იგი წერს: ,,მაჩაბელი და მისთანანი ჩვენმა ისტორიამ დაივიწყა, დაივიწყა იმიტომ, რომ ისინი არ სჩანან იქ, არ სჩანან იმიტომ, რომ ისინი არ მოქმედებენ და ვინც არ მოქმედებს ის ისტორიისთვის დამალულია, თვით ისტორიამ გაასამართლა ეს ხალხი, რომელიც თავისი განდგომილებით უნიადაგო და უკვალო აღმოჩნდა... მაჩაბელმა რუსეთს მხოლოდ ბოიკოტი გამოუცხადა, განზე გადგა და ქართული კულტურის განვითარებაში მონაწილეობა არ მიიღო, მაგრამ დარჩა შეთქმულთა თაობა, რომელიც კულტურის განვითარების გზით მაინც ამზადებდა ქართველ ერს დამოუკიდებლობისთვის, მანამ სანამ 1918 წელს ეროვნულმა ვინაობამ თავისი საკუთარი სახე არ მიიღო“[3].

ცნობილია, რომ 1832 წლის შეთქმულების მოწყობაში თავისი წვლილი შეიტანეს ქართველმა მანდილოსნებმა, ერთ-ერთი მათგანი იყო თეკლა ბატონიშვილი. თეკლას მთელი ოჯახი შეთქმულთა ბანაკად გადაიქცა, თეკლას რძლები ამზადებდნენ დროშას შეთქმულების ღამისათვის[4]. რუსეთის ხელისუფლებამ თეკლას შესაძლებლობები სწორად შეაფასა და მოხუცებულობის მიუხედავად ოჯახთან ერთად გადაასახლა კალუგაში (1837 წელს დაბრუნდა სამშობლოში)[5].

ამ შეთქმულებაში ქართველი მანდილოსნების მონაწილეობას ცალკე სტატია უძღვნა აკაკი პაპავამ, რომლის პუბლიკაცია გამოქვეყნებულია ფსევდონიმით ,,ისახარ.“ შეთქმულების საგამომძიებლო მასალებში ხშირად მოიხსენიება თამარ ბატონიშვილი, რომელიც ოჯახთან ერთად 1805 წელს გადაასახლეს რუსეთში, მაგრამ კვლავ დაბრუნდა საქართველოში. თამარი იყო ლევან ბატონიშვილის და, რომელიც ასევე დაუღალავად ებრძოდა რუსეთს და ამ ბრძოლას შეეწირა 1811 წელს. რადგან საქართველოში სამეფო გვარს კიდევ დიდი ტრადიცია ჰქონდა, შეთქმულებმა დაადგინეს, რომ გამარჯვების შემდეგ, სპარსეთიდან ალექსანდრე ბატონიშვილის დაბრუნებამდე დროებით მმართველად თამარ ბატონიშვილი გამოეცხადებინათ, მასვე უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკებები ალექსანდრესთან, მაგრამ შეთქმულების გაცემის შემდეგ თამარიც რუსეთში გადაასახლეს.

---

[1] ჟურნალი ,,კავკასიონი“, პარიზი, 1932 წ., გვ. 191.
[2] ჟურნალი ,,კავკასიონი“, პარიზი, 1932 წ. გვ. 196.
[3] ჟურნალი ,,კავკასიონი“, პარიზი, 1932 წ., გვ. 205.
[4] ჟურნალი ,,კავკასიონი“, პარიზი, 1932 წ., გვ. 98.
[5] მანცელიშვილი. ალ., რუსეთი და საქართველო, პარიზი, 1951 წ., გვ. 356.

გიორგი მეფის ასული რიფიმე ბატონიშვილიც თანაუგრძნობდა შეთქმულებას[1], მართალია, პირდაპირი ფაქტები ამის შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მის მომხრეებს სამხილების გაქრობის დრო ჰქონდათ. საერთოდ ქართველი ქალების შეთქმულებაში მონაწილეობის შესახებ ნაკლები ცნობები შემოგვრჩა, რადგან მამაკაცები განსაკუთრებით ერიდებოდნენ მათ დასახელებას. რუსეთის ინტერესებშიც შედიოდა, რომ შეთქმულებას მასშტაბური ხასიათის გამსვლის შთაბეჭდილება არ დაეტოვა. მონაწილეები იყვენენ ასევე მანანა ორბელიანი[2], 1804 წლის მთიულეთის ამბოხების გმირის, ფარნაოზ ბატონიშვილის ასული სალომე[3] და სხვა.

ამ წერილით ა. პაპავა ახსენებს ქართველ ემიგრანტებს თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალს პოლიტიკაშიც, ვინაიდან ისინი იყვნენ ყველაზე დიდი მხარდამჭერები სხვადასხვა ბრძოლაში მონაწილე მამულიშვილებისა. მათ ვიანობას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ამ შეთქმულებაში მეტწილად ის ქალები მონაწილეობდნენ, რომლებიც რაიმე კავშირში იყვნენ მონაწილე მამაკაცებთან, - ისინი მეუღლეებთან, შვილებთან და ძმებთან ერთად იბრძოდნენ საერთო ქართული ინტერესების განსახორციელებლად.

1832 წლის შეთქმულებაზე ვრცლად საუბრობს ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი ისტორიკოსი ალექსანდრე მანველიშვილი წიგნში ,,რუსეთი და საქართველო.“[4]

ემიგრაციაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ისინი დაწერილია უფრო მეტად პატრიოტული გრძნობით, ვიდრე მეცნიერული არგუმენტაციით. ამის ახსნა არ უნდა იყოს რთული: ქართული ემიგრაცია (განსაკუთრებით მისი პოლიტიკური ნაწილი) იბრძოდა დაკარგული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, ანუ იმავე მიზნისათვის, რაც 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს ამოძრავებდათ. ამიტომ, ემიგრანტი ქართველი ავტორები შეთქმულების მეთაურებსა და მონაწილეებში თავიანთ იდეურ წინაპრებს ხედავენ, ხოლო მათ ბრძოლას რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, სავსებით სწორად, გამართლებულად თვლიდნენ და ეროვნული მოძრაობის გამოვლინებად მიიჩნევდნენ.

1832 წლის შეთქმულებისადმი მიძღვნილ და, საერთოდაც, საქართველოს წარსულის პრობლემატიკაზე გამოქვეყნებულ ემიგრანტ ქართველ ავტორთა პუბლიკაციებს მეტ-ნაკლებად საერთო ნაკლი ახასიათებს: ესაა პირველწყაროების სიმცირე, რაზედაც სამშობლოს მოწყვეტილ პიროვნებებს ხელი ნაკლებად მიუწვდებოდათ. სხვა მხრივ, მათი მემკვიდრეობა თავისუფალია იდეური კლიშეებისაგან და წარმოადგენს თავისუფალი აზრის ნაყოფს.

საბჭოურ წნეხში მოქცეულ საქართველოში მკვლევრებს პირველწყაროების მოძიების საშუალება კი გააჩნდათ, მაგრამ მათ არ შეეძლოთ თავისუფლად გამოეხატათ ის, რასაც ეს წყაროები ღაღადებდნენ, მით უფრო, თუ ისინი რეჟიმის სულისკვეთებას ეწინააღმდეგებოდნენ. ამის მკაფიო მაგალითია ისტორიკოს აკაკი სურგულაძის შეხედულებათა ტრანსფორმაცია 1832 წლის შეთქმულების შესახებ. ა. სურგულაძემ მოახერხა და სტალინის ნააზრევში 1832 წლის შეთქმულების თაობაზე იპოვა ისეთი ნიუანსი, რომელიც ამ მოვლენაზე მსჯელობის საშუალებას იძლეოდა. მან პირველმა გამოთქვა აზრი, რომ ი. სტალინის შეფასება ეხებოდა მხოლოდ იმ აჯანყებებსა და გამოსვლებს, რომლებიც წინ უსწრებდნენ 1832 წლის შეთქმულებას. ამიტომ ეს შეთქმულება უნდა მივიჩნიოთ არა ,,ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმის“ გამოვლინებად, არამედ მისგან განცალკევებით მდგომ მოვლენად, რომელმაც სათავე დაუდო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და უწინამძღვრა სახელოვან თერგდალეულებს.[5] ამგვარი აზრი იმ დროსაც კი ერთგვარი გაბედულება იყო, მაგრამ სათქმელის ბოლომდე თქმა ავტორმა მაინც ვერ გაბედა და დაწერა, რომ: ,,ქართველი შეთქმულნი მიუხედევად იდეური სხვადასხვაობისა, ორიენტაციის საკითხში ერეკლეს პოლიტიკის ერთგულნი იყვენენ. მათ იდეალს წარმოადგენდა 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის მუხლების აღდგენა. შინაგან მმართველობაში დამოუკიდებელი, საგარეო საქმეებში რუსეთთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით მოქმედი საქართველო უპასუხებდა მათ პატრიოტულ ინტერესებს და ამისათვის იბრძოდნენ ისინი.“[6] რომ ,,კავკასიაში რუსული მმართველობს წინააღმდეგ შეთქმულება სრულებით არ გულისხმობდა ხელისაღებას ამ ორიენტაციაზე, რომელიც

[1] ჟურნალი ,,კავკასიონი“, პარიზი, 1932 წ. გვ. 99.
[2] ჟურნალი ,,კავკასიონი“, პარიზი, 1932 წ., გვ. 104.
[3] ჟურნალი ,,კავკასიონი“, პარიზი, 1932 წ., გვ. 100.
[4] მანველიშვილი ა., რუსეთი და საქართველო, პარიზი, 1951.
[5] სურგულაძე ა., 1832 წლის შეთქმულების შეფასების საკითხისათვის, ჟურნ. ,,მნათობი”, 1968, # 8, გვ. 106.
[6] სურგულაძე ა., 1832 წლის შეთქმულების შეფასების საკითხისათვის, ჟურნ. ,,მნათობი”, 1968, # 8, გვ. 108.

აღმოსავლურ-მუსლიმანურ გარემოცვაში გამოტანჯულმა ქართველმა ხალხმა ჯერ კიდევ სამი საუკუნის წინათ აირჩია საბოლოოდ და ამ ორიენტაციის სამსხვერპლოზე თაობათა მრავალი სისხლი დაღვარა."[1]

როდესაც საბჭოთა კავშირი იშლებოდა (ე.წ. პერესტროიკის წლები) და თავისუფალი აზრის გამოთქმა ისე საშიში აღარ იყო, ა. სურგულაძემ ადრე გამოთქმული შეხედულება ამგვარად გარდაქმნა: ,,1832 წლის შეთქმულება ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იგი წარმოადგენდა საქართველოს პროგრესული ძალების ორგანიზებულ ცდას ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.... და ითვალისწინებდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ევროპული განმანათლებლობის პრინციპების მიხედვით."[2]

ემიგრაციისაგან განსხვავებით, ასე ძნელად იკვალავდა გზას მართალი და მიუკერძოებელი მეცნიერული აზრი ქართულ სინამდვილეში და მათ შორის 1832 წლის შეთქმულების შეფასების საკითხშიც.

ლიტერატურა:

1. გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, თბ., ტ. 1, თბ., 1935.
2. გრძელიძე რ. ,,1832 წლის შეთქმულება საქართველოში" თბ., 1998.
3. მანველიშვილი ალექსანდრე, ,,რუსეთი და საქართველო", ტ. I, პარიზი, 1951.
4. საქართველოს ისტორია, ტ. IV. თბ., 2012.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
6. სურგულაძე ა., ,,ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა. ისტორიული ნარკვევი", თბ., 1968.
7. სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, საკითხავი წიგნი, 1783-1990, თბ., 1991.
8. შველიძე დიმიტრი, ,,1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ისტორიიდან", თბ., 2014.
9. ხომერიკი მ., 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ბერი ფილადელფოს კიკნაძე, თბ., 1999.
10. ჯოლბორდი მ., 1832 წლის შეთქმულება, თბ., 2012.
11. ჟურნალი ,,კავკასიონი" N8, პარიზი, 1932.
12. ჟურნალი ,,მნათობი", N8, 1968.
13. https://ka.wikipedia.org/wiki/რაფიელ_ივანიცკი

სოფელ ფხვენისის ისტორიიდან

ნინო ლალიშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოლბორდი**, ასოცირებული პროფესორი

სოფელი ფხვენისი მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდინარე დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე. ზ.დ. 780 მ, გორიდან 22 კმ.

გამოთქმულია ვარაუდი, რომ სოფლის სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს ფხუნლაისძეების გვარიდან, რომლებიც იყვნენ წარჩინებული აზნაურები ქართლში, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს გვარი დაფიქსირებულია მეჯუდის ხეობის სოფელ ჭალისუბნის ასომთავრულ წარწერაშიც (ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, ნ. შოშიაშვილის რედაქტორობით, 1980 წ).

სოფლის სახელწოდებასთან მსგავსებას ავლენს საგვარეულო **ფ ხ ვ ე ნ ე ლ ნ ი**, რომელნიც ქართლის აზნაურები იყვნენ. ეს პირველად იხსენიება X ს-ში. სახელწოდება წარმოდგა მათი სამამულო სოფ. ფხვენისიდან (ახლანდ. გორის რაიონი). „ქართლის ცხოვრების" ცნობით, X ს-ის 50-იან წლებში ამ საგვარეულოს წარმომადგენლები ძმები სარა და გრიგოლ ფ., ქართლისა და კახეთის აზნაურებთან

[1] სურგულაძე ა., 1832 წლის შეთქმულების შეფასების საკითხისათვის, ჟურნ. ,,მნათობი", 1968, # 8, გვ. 107.
[2] სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, საკითხავი წიგნი, 1783-1990, თბ., 1991, გვ. 42, 49.

ერთად იბრძოდნენ აფხაზთა მეფის გამაერთიანებელი პოლიტიკის წინააღმდეგ, ხელს უშლიდნენ მისი მფლობელობის დამყარებას ქართლსა და კახეთში. ამის შედეგად აფხაზთა მეფემ ვერ შეძლო კახეთის დაპყრობა და იქ კვლავ კახეთის ქორეპისკოპოსი კვირიკე დამკვიდრდა.

X ს-ის შემდგომ ფხვენელნი აღარ იხსენიებიან წყაროებში. როგორც ჩანს, საქართველოს მონარქიის წარმოქმნის შემდეგ მათ, ისევე როგორც ქართლის სეპარატისტულად განწყობილმა სხვა დიდაზნაურებმა დაკარგეს თავიანთი მამულები. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, X ტ, თბილისი 1986 წ, გვ. 438).

სოფელი ფხვენისის იმ მიწების სახელწოდებების შესახებ, რომელზეც იგი მდებარეობს:

მოსახლეობაში გამოკითხვის შედეგად ირკვევა, რომ სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა ფლობს ინფორმაციას იმ მიწების შესახებ, რომელთაც სოფელი ფხვენისი აერთიანებს. ეს ინფორმაცია მოსახლეობაში ზეპირი გზითაა გავრცელებული და გადადის თაობებიდან თაობებზე. ესენია: სამნი მიწა, სინას თელა, დიდი მუხა ბეგებზე, მასიანები, ჭალები, ოლი პანტა, ოლი რუ, სამი რუ.

ქვემო ნიქოზის მხარეს არის დიდი ვერხვის ნერგი, რომელიც დარგულია XX ს-ის დასაწყისში და ამ მიწას ქარივი ეწოდება, ალბათ ხშირი და ძლიერი ქარების გამო. ასევე, სოფელში არის ნაფუძრები, იგივე ნაფუზარი, ნავენახარი, მოხვეულა, ნავთობის ბაღები რკინიგზის გვერდით, სადაც საბჭოთა პერიოდში დაბურღეს ნავთობის აღმოსაჩენად. გაიგეს, რომ აქ ნავთობი იყო და დააკონსერვეს.

1960-1970 წწ-ში გაშენდა პალმეტის ბაღები, რომლებშიც დაირგო პალმეტური ჯიშის ვაშლი, რომლის გამოც დაერქვა პალმეტა.

არსებობს, აგრეთვე, ქვიანას ნაკვეთები, რომლებიც ამ სახელს ალბათ იმიტომ ატარებენ, რომ მეტად ქვაღორღიან ადგილზეა გაშენებული.

ნაზვრევის ყველა ნაკვეთი, ძირითადად, შედგება საძოვრებისა და საბალახოებისაგან, ამიტომ დაერქვა ნაზვრევი.

ნასისხლები იმიტომ ატარებს ამ სახელს, რომ ფხვენისელ მწყემსებს წაართვეს ნახირი ძლევიჯვრელებმა, ფხვენისელები სცემეს და დაასისხლიანეს. ამის შემდგომ ფხვენისიდან ნახირის დასაბრუნებლად ოთხი მხედარი გამოვიდა. მათ დაიბრუნეს ნახირი და მწყემსების ჩადენილი ქმედების გამო სამაგიერო გადაუხადეს ძლევიჯვრელებს. მათ საზღვარი დააწესეს, რათა ასეთი რამ მეორედ აღარ განმეორებულიყო. ცხენოსნები იყვნენ: ლუკა ომაძე, ლომა ეგაძე, ალექსი რაჟამაშვილი და ილიკო ბედიანაშვილი.

რაკი უკვე გავეცანით იმ მიწებსა და ნაკვეთებს, რომლებზეც ჩემი სოფელი, ფხვენისი, მდებარეობს დადგა დრო ვისაუბროთ იმ არქიტექტურულ-ისტორიულ ძეგლებსა და ეკლესიებზე, რომლებიც ფხვენისშია წარმოდგენილი.

ამილახვრის ციხე-კოშკი

არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლის სამხრეთ ნაწილში, მთავარი გზის პირას. თარიღდება გვიან. ფეოდ. ხანით. კოშკი ცილინდრულია (დიამ. – 10 მ, კედლის სისქე - 2 მ). ძირითადად ნაგებია რიყის ქვით, პირველი სართულის გუმბათოვანი კამარა, ნიშების წირთხლები და თაღოვანი გადახურვები აგურისაა. შენობა დაზიანებულია- თითქმის მთლიანად დანგრეულია მეორე სართულის კედლები. კოშკის პირველი სართული წრიულია, გადახურულია გუმბათოვანი კამარით. თაღოვანი შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთიდან აქვს. სართული ნათდება ორი ვიწრო, მაღალი, სწორკუთხა სარკმლით. სარკმელების გადახურვა საფეხურებიანია და შიგნიდან გარეთ მაღლდება. კედელში ორი ფართო, ღრმა, თაღოვანი, სათოფურიანი ნიშია. გარდა ამისა, ამ სართულზე კიდევ სამი პატარა ნიში, ერთი ბუხარი და ორი სათოფურია. პირველი სართული მეორეს უკავშირდება შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს კედელში დატანებული კიბით. კიბე ნათდება ერთი სწორკუთხა სარკმლით. მეორე სართული სწორკუთხაა. შემორჩენილია მხოლოდ ბუხრის, ფართო ნიშებისა და შესასვლელის წირთხლების კვალი.

დიდი რუ

სარწყავი არხი, არქეოლო, ისტ. ძ. მდებარეობს სოფ. ფხვენისსა (სათავე) და სოფ. ბებნისს შორის. თარიღდება ფეოდალური ხანით. არხი რწყავს სოფლების: საქაშეთის, შინდისის, ბებნისის მიწებს. გადმოცემით, იგი თამარ მეფის დროს აუგიათ. არხის გასწვრივ გამოვლენილია ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. არხის ნაწილი ამჟამადაც მოქმედებს.

კოშკი

არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიან ფეოდალური ხანით. კოშკი ცილინდრულია (დიამ. 6,8 მ), ორსართულიანია, ნაგებია რიყის ქვითა და კვადრატული აგურით. შიგნიდან შელესილია. შენობა დაზიანებულია: ჩამონგრეულია კედლების ზედა ნაწილი. ნაგებობას

შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთით, პირველ სართულზე აქვს. კარის ორივე მხარეს თითო ორმაგი სათოფურია. ჩრდილოეთის კედელში ჩაშენებულია ოთხკუთხა ბუხარი, რომლის გვერდებზე ორმაგი სათოფურებია. აღმოსავლეთ კედელში მეორე სართულზე ასასვლელი კიბეა. მეორე სართულს აღმოსავლეთით ერთი ერთმაგი, დანარჩენ სამ მხარეს კი თითო ორმაგი სათოფური აქვს. ყველა სათოფური თახჩიანია. ნაგებობას შემოვლებული აქვს რიყის ბრტყელი ქვის თევზფხურად ნაწყობი სარტყელები. შენობის გადახურვა გუმბათოვანია, ნაწყობია კვადრატული აგურით.

ნათლისმცემლის ეკლესია

არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (8,9 × 5,4) ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით, კუთხეები, კარი და სარკმელები ამოყვანილია შირიმისა და ტუფის ქვით. არქიტრავით გადახურული კარი სამხრეთითაა, თაღოვანი სარკმელები - აღმოსავლეთით, დასავლეთითა და სამხრეთით. ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია. დარბაზის გრძლივ კედლებზე თითო ორსაფეხურიანი პილასტრია, რომელსაც ეყრდნობა კამაროვანი გადახურვის საბჯენი თაღი. ჩრდილოეთ ფასადზე, სარკმლის ზემოთ, მაღალი ჯვარია გამოსახული, დასავლეთ ფასადის სამხრეთ კუთხეში - ფარდული. შენობას შემოვლებული აქვს ტუფის ქვის ლავგარდანი. გადახურულია ღარიანი კრამიტით.

ეკლესიის დასავლეთით, ქვიშაქვის ოთხ სვეტზე დგას კვადრატული აგურით ნაგები სამრეკლო. ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის მთელ სიგრძეზე მიშენებულია სწორკუთხა სათავსი, რომელსაც აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდი აქვს. ეკლესიის სათავსს ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთ ნაწილში გაჭრილია კარი. სათავსების სახურავი და კედლის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია.

ნასოფლარი ფხვენისი

არეოლოგ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრეთით. თარიღდება ფეოდალური ხანით. ნასოფლარზე გამოვლინდა ფეოდალური ხანის ეკლესიის საძირკველი, რომელშიც ჩატანებული იყო ამილახვრის საფლავის ქვა. ნაეკლესიარის გარშემო შეინიშნება ნასახლარები. იქვეა ამილახვრის ციხე-კოშკი.

ღვთისმშობლის ეკლესია

არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლის აღმოსავლეთით, 0,5კმ-ზე, სასაფლაოზე. თარიღდება განვითარებული ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (8,1 ×5,3მ), ნაგებია რიყის ქვით. კუთხეებში გამოყენებულია მოწითალო ფერის ნატეხი ქვა. შესასვლელი სამხრეთითაა. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია, სამხრეთ კედელში- ორი. გრძივ კედლებზე პილასტრებია, რომლებსაც ეყრდნობა ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი. სამხრეთ ფასადზე, კარის თავზე ჩასმულ მოწითალო ქვაზე ამოკვეთილია განედლებული ჯვარი. ასეთივე ჯვარია აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის თავზეც. აღმოსავლეთ სარკმელი ფასადის მხრიდან ორნამენტირებულია. დასავლეთ სარკმლის თავზე ჩასმულ მოწითალო ქვაზე X ს-ის ასომთავრული წარწერაა: „ ქრისტე, ადიდე ბეშქენ სტეფანოზის ძე.“ სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით. სახურავზე, დასავლეთით, დგას ეკლესიის ქვის მოდელი, ხოლო აღმოსავლეთით - ქვისაგან გამოკვეთილი ცხვრის თავი.

წმ. გიორგის ეკლესია

არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლის ცენტრში. სამხრეთ ფასადის მხედრული წარწერის თანახმად ეკლესიის მშენებლობა დასრულებულა 1835 წლის 15 მაისს. ეკლესია დარბაზულია (9×5 მ), ნაგებია რიყის ქვით, კუთხეებში გამოყენებულია ნატეხი ქვა. შესასვლელი სამხრეთითაა. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია. თითო სარკმელი სამხრეთ და დასავლეთ კედლებშია. ეკლესია გადახურულია ცილინდრული კამარით. სახურავს დასავლეთ ნაწილში ადგას აგურის ოთხსვეტიანი სამრეკლო.

რამდენიმე სიგელი სოფელ ფხვენისზე

1. 1799 წ არზა ბეჟან ამილახვრიშვილისა გიორგი XII- ისადმი: ჩემს ძმისწულს საუფროსოდ ფხვენისს ეგაძე მისცეს. ჯაალას საუმცროსოდ ბაღი, სასახლე (ქსძ VIII).
2. 1800 წ: არზა ბარძიმ ამილახვრიშვილისა გიორგი XII- ისადმი: ფხვენისს გახლავართ სულ ყველაფერი წაგვართვეს ან ბატონსა და ან ყმასა ამ ცივ ზამთარში (ქსძ VIII).
3. ფხვენისი 1797 წ. წყალობის წიგნი ბარძიმ ამილახვრიშვილისა... გიბოძეთ კუპატაძეს თქვენი მამა-პაპის მამული ფხვენისს, ამას გარდა გვიბოძებია ჩვენი ყმების საუფლისწულოების მოურავმა ფხვენისს, თამარაშენს (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის).

4. ფხვენისი არზა ზაალ დავითიშვილისა ვახტანგ ბატონიშვილისადმი: დემეტრე ამილახვრიშვილს ბიძაჩემმა სამების შეწირული კაცი მიყიდა, ის კაცი მისმა უმაღლესობამ გიორგის უბოძა... (ქსძ VIII).
5. ფხვენისი არზა გიორგი ამილახვრიშვილისა ვახტანგ ბატონიშვილისადმი: რაც მე ფხვენისს მამულის მოწყალება მიყავით, იმ მამულიდან ერთი მიწა ზედგენიძემ გამოართო ჩემის ნებაყოფლობითა და აქაურ კაცზე ჩემს შეუტყობად ოთხ თუმნად გაუყიდნია (ქსძ VIII).

განჩინება ამირინდო ამილახორისა და მისი ბიძაშვილების საქმეზე 1754 წ, 15 ივნისი.

„ფხვენის [ს] გალავანი ბატონისაგანაც ასე ბრძანება იყო, რომ ნახევარი დემეტრესი

და დათუასი არის და ნახევარი სულ ყველა ამილახორის შვილებისა არის, და რადგან ბატონის ბრძანებაც ასე იყო, ჩვენც ასე გავარიგეთ.

იალღუზიშვილებისა და ბედიანასშვილებისა ამილახორის ამირინდოსა და დემეტრეს ამათი წიგნები ჰქონდათ ძველათ ხელმწიფების წყალობისა, მაგრამ საერთოთ დაიდგა. ამათი თითო კაცი ერთი ამილახორს ამირინდოს უნდა ახლდეს და ერთი დემეტრეს; და რისაც ყმისა და მამულის პატრონი არიან, სულ საერთოთ დაიდვა.

ფხვენის (ს) კუპატაძე, ოდიკაძე, კოჩივარაშვილის მამულით დემეტრესი არის. თანდუასშვილის რომ იესეს უჭირავს მამული ნასყიდობით, ფასი ისევ თანდუასშვილმან უნდა მისცეს და ვენახი საერთო არის.“ (ქსძ IV).

განჩინება დემეტრე ამილახვრიშვილისა და მისი სახლიკაცების გაყრის საქმეზე 1766 წ, 10 თებერვალი.

ქ. ფხვენის [ს] პატარაშვილი ოტია თავისის მამულით (ქსძ IV).

ქ. ფხვენის [ს] ორის ნაზვრევისა და ორის ხოდაბუნის მერვედი ბატონის [აა]. (ქსძ IV).

ქ. ფხვენის [ს] გალავანი ნახევრის ნახევარი ბატონისა არის გოგიასთან; [და] ნახევრის გალავნის მერვედი ყველას ამილახვრისშვილებთან ბატონისაა. (ქსძ IV).

ქ. ფხვენის [ს] ესტატე ბედიანასშვილის მამული გაიცა, მახვილაძეს უბოძა. (ქსძ IV).

ფხვენისში გავრცელებული გვარები

ნადირაძე - ნადირი - მტაცებელი ცხოველი; ნადირ, ნადირა- საკუთარი სახელი კაცისა, გავრცელებული კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში.

ძველთაგან ლიხთიმერეთს ბუდობდა რიცხვმრავალი გვარი ნადირაძეთა. ქართულ საისტორიო წყაროებში ნადირაძეთა გვარი XVI საუკუნიდან ჩანს.

1568 წელს იმერთა მეფემ გიორგი II-მ თავად ბეჟან ნემსაძეს განდგომილებისათვის ყმა-მამული ჩამოართვა და გელათის ღვთისმშობელს შესწირა. შეწირულობის სიგელში იხსენიებიან ოკრიბას სოფელ ცხუკურში და ჩუნეშში მცხოვრები ნადირაძენი.

XVII ს-ის I მეოთხედის ნასყიდობის წიგნის მიხედვით, პაატა ნადირაძე შიდა ქართლში მამულს ყიდულობს.

1766 წლის განჩინებაში იხსენიება საამილახვროს სოფელ ფხვენისს მცხოვრები ნასყიდა ნადირაძე.

არსებობს მოსაზრება, რომ გვარი ნადირაძე წარმოშობილია ახ. წ. II-III სს-ში. ეს გვარი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მოდის ადამიანის სახელიდან ნადირა. ნადირაძის მონათესავე გვარია ასანიძე, იყო ერთი კაცი ასან ნადირაძე, აქედან წამოვიდა გვარი ასანიძე. ქართლში გვარი ნადირაძე ჩნდება XI ს-ში, როგორც ეკლესია-მონასტრების მფარველი.

ბიბილური (ბიბილაშვილი) - თბილისი; აგარა (ამბროლაურის რ-ნი), მთიულეთში არის სოფელი ბიბილიანი (დუშეთის რ-ნი). ბიბილეიშვილი, ბიბილაშვილი ამავე ძირისაა: ბიბილაური, ბიბილური, ბიბილურიძე, ბიბილაია, ბიბილა. ძველი დროიდან ცნობილი საკუთარი სახელია ბიბილა გურკელელი (ინგოროყვა).

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ბიბილა.

„ხოლო იალბუზის კალთით ქსნის ერისთავი და არა ქვეფენიფნევლისგან, არამედ, იტყვიან ბიბილურობას.“ ბიბილურთა შტო-გვარია ქვენიფნეველი. ქვენიფნეველები ფეოდალური საგვარეულოა. ისინი ცხრაზმისხევის ფეოდალები ყოფილან. „ძეგლ ერისთავთა“ ცნობით ქსნის ერისთავთა დამფუძნებელი იყო როსტომ ბიბილური. (ჟურნალი „თბილისელები,“ 2001 წ).

მინდა ყურადღება გავამახვილო ფხვენისში გავრცელებულ რამდენიმე წაჩინებულ გვარზე და მათ არსებობაზე ისტორიულ დოკუმენტებში.

„გარნა ამათ მთავართა შორის აწინდელთა ჟამთა უწარჩინებულესნი და შემძლებნი ესენი იყვნენ და გაუყრელნი სახლნი აქუნდათ: პირველნი მუხრანის ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი,

ამილახორი... გააზნაურებულნი: ვითარცა რატისშვილი, ქსნის ერისთავის განაყოფი, ვით იხილვების მამულთა, ხოლო აწ დამცირებულნი, ხოლო **ზედგინიძე** ამათგან განმრავლებულნი ესრეთ, რომელნიმე ამაღლებულან და რომელნიმე დამდაბლებულან ჟამთა ცვლილებითა ანუ გაყრითა ძმათა.“ (ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა,“ IV ტ).

„ხოლო შიდა ქართლს **ამილახორი**, არამედ არა არს გვარი, განა წესი მეჯინიბეთუხუცობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსნი, ხოლო გვარი **ზედგინიძე** არს და პატივცემული მეფეთაგან მთავრობით, ვითარცა აჩენს გუჯარნი მათნი.“

გორის, ისევე როგორც მთელი შიდა ქართლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, XV ს-ის პირველი მეოთხედიდან მოყოლებული 1921 წლამდე, განსაკუთრებული როლი ითამაშეს ზედგინიძე-ამილახვრებმა.

ამილახორი, ამილახვარი (არაბ. ამირ ახურ - საჯინიბოს ამირა) გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ცენტრალური სახელმწიფოს აპარატის სამხედრო უწყების მოხელე-ამირსპასალარის თანაშემწე. მისი ხელქვეითი მოხელენი იყვნენ მეაბჯრეთუხუცესნი. საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დაშლის (XVI) შემდეგ გორის მოურავიც იყო. (ხელმწიფის კარის გარიგება, წგნ: ქართული სამართლის ძეგლები, ივანე სურგულაძის გამოც. თბ., 1970, გვ. 26, 40, 44, 169; ჯავახიშვილი ივ, ქართული სამართლის ისტორია, წ. 2, ნაკვ. 1, ტფ. 1928, გვ. 151-157).

ამილახვრების სათავადოს საფუძველი ჩაეყარა XIV ს-ის დამდეგს. გვარის აღზევება XV ს-ის პირველი ნახევრიდან დაიწყო; XV-XVI სს-ში სათავადოს მფლობელნი ზედგინიძე- ამილახვრებად იწოდებოდნენ. XVII ს-დან კი ამილახვრებად. სათავადოს უფროსი, ჩვეულებრივად, ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავიც იყო.

XV საუკუნის პირველი მეოთხედიდან გორის მოურავი იყო ავთანდილ ზედგინიძე. მეფე ალექსანდრე დიდის მიერ 1425 წელს გაცემულ სიგელში ნათქვამია: „მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ერთგულნი და თავდადებით ნამსახურნი ზედგინისძენნი, გორის მოურავი და ეზოს ჩუხჩარეხი ავთანდილ, ზედგინ და თაყა, გუეაჯნეს, რათამცა სიგლითა ამით შეგუეწყალნეს.“ გორის მოურავად ჩანს იგივე თაყა ზედგინისძე იმავე მეფის 1429 წლის წყალობის სიგელში.

მართლაც, საუკუნეების მანძილზე, თითქმის ყოველთვის როგორც სადროშოს სარდლობა, ისე გორის მოურავობა ამილახვრების ხელში იყო. თუმცა მოურავი გორში არ ცხოვრობდა. მის რეზიდენციად ჭალა ითვლებოდა. (ე. მამისთვალიშვილი, „ამილახვრები,“ გამომც. „ქართლი,“ 1996 წ).

სოფელ ფხვენისში ცხოვრობენ, აგრეთვე, დავითიშვილები.

ბაგრატიონ-დავითიშვილების წარმოშობის ისტორია ასეთია: ალექსანდრე I კახთა მეფეს (1476-1511) ორი ძე ჰყავდა, გიორგი და დემეტრე. გიორგის მეფობა სურდა, ამიტომ მან მამა მოკლა, ძმას კი თვალები დათხარა. ამის გამო მას ავ-გიორგის უწოდებენ. რაც შეეხება დემეტრეს, იგი ქართლში გადავიდა და სათავე დაუდო ახალ სათავადო სახლს - დავითიშვილებისას.

XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში ფეოდალურ გვართა ერთმა ნაწილმა თავისი ძველი, ძირითადი გვარი დაიბრუნა. ასე მოხდა დავითიშვილების შემთხვევაში.

ბაგრატიონთა დინასტიის მეფობა საქართველოში შეწყდა XIX ს-ის დასაწყისში, როცა რუსეთმა საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება დაარღვია, საქართველოში მეფობა გააუქმა, ხოლო უკანასკნელი მეფე სახლეულითურთ რუსეთში გადაასახლა. (დავით ნინიძის საგაზეთო სტატიის მიხედვით. გაზეთი „ციცინათელა,“ N º 4, 5, 6, 7, 8. 1996 წ).

ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „დავითისშვილნი არიან ავგიორგის ძმის დიმიტრისაგან, რომელი არჩინა მეფემან, და არიან მიერითგან აქა. ხოლო იალბუზის კალთათა ქსნის ერისთავი და არა ქვენაფნაველისაგან, არამედ იტყვის ბიბილურობასა. ხოლო არაგვის ერისთავი - და აღგსწერეთცა, ვითარცა არიან, არამედ გვარს სიდამონობას იტყვის.“

თავის წიგნში იოანე ბაგრატიონი აღწერს საქართველოს თავადაზნაურთა გვარებს და წერს: „თავადი დავითისშვილნი არიან გვარით ბაგრატიონნი, რომელნიც აწ მოსახლეობენ ქცხინვალის, კერძოდ ნულის ხეობაში (შინდისში, კარბში, ფცაში, აბანოში) არიან ორ სახლად: ზაალისშვილებად და ელიზბარისშვილებად, ხოლო სხვანი, მდაბალნი ამათისა გვარისანივე, არიან ფცის მოსახლენი; შანშეშვილები და სხვანი კვლავ ლეონისშვილებად.“

მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ფხვენისელები

მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა არაერთი ფხვენისელი: რაჯაბაშვილი ზურა, ომაძე კუწულა, ეშმაკურაშვილი ივანე, ბიბილური ნიკოლოზი და ნადირაძე ნიკალა. მოვიყვან რამდენიმე ამონარიდს ნადირაძე ნიკალას მონათხრობიდან:

„1941 წლის 24 ივნისს წავედი ფრონტზე. ერთი კვირით გორში შეგვაჩერეს. ჩაგვწერეს მეოცე დივიზიის არტილერიაში, შემდეგ გავემართეთ კასპიის ზღვის მიმართულებით და შევედით ირანში. ავიღეთ ირანის გარეუბნები, მაგრამ ქალაქი ვერ ავიღეთ, რადგან დედაქალაქში შეგვასწრეს ინგლისელებმა, იქიდან წამოვედით გორში და გორიდან სოხუმში წაგვიყვანეს, აქ ვამაგრებდით შავი ზღვის სანაპიროებს, კავკასიის დაცვაში ვმონაწილეობდი. ომის პერიოდში მრავალი გაჭირვება შემემთხვა, არაერთელ დავიჭერი მძიმედ ფეხში, დაჭრილები გამოგვიყვანეს ზურგში ყაზანის მიმართულებით და ყაზანში გაგვაცილეს 200 კმ-ით ქ. ნურლატში, ომის დამთავრებამ მომისწრო საავადმყოფოში.

დაჯილდოვებული ვარ კავკასიის დაცვის მედლით, პირველი გამარჯვებისა და მეორე გამარჯვების მედლებით.“

სამხედრო-გადატრიალება (1991-1992)

სოფელ ფხვენიის მრავალი პატრიოტი და თავისულფლებისათვის მებრძოლი ადამიანი აღუზრდია, სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნება გოგია გაბროშვილი, რომელიც დაიღუპა 1991-1992 წწ-ში სამხედრო გადატრიალების დროს.

„1991 წლის დეკემბერს ოპოზიციამ რამდენიმე შენობაზე, მათ შორის საქართველოს პარლამენტზე, სადაც ზ. გამსახურდია იმყოფებოდა, იერიში მიიტანა. მოგვიანებით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის ყოფილი მოადგილე, გენერალი სუფიან ბეპაევი მიუთითებდა, რომ 1991 წლის 24 და 28 დეკემბერს, როდესაც შეიარაღებული ოპოზიცია კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, აღნიშნული სამხედრო ოლქი ცოცხალი ძალითა და ტექნიკით დაეხმარა სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორებს. მძიმე ბრძოლები თბილისში გრძელდებოდა 1992 წლის 6 იანვრამდე, რის გამოც სულ მცირე 113 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის გოგი გაბროშვილი, თავისუფლებისათვის მებრძოლი, ნამდვილი რაინდი და პატრიოტული სულისკვეთების ადამიანი,“ - იხსენებს მისი შვილი ნათია გაბროშვილი.

იურისტი ირაკლი შონია წერს:„ საწყალი გოგი გაბროშვილი. უვაჟკაცესი ადამიანი! მისი სიცოცხლე სეპარატისტებს რამდენიმე მილიონად ჰქონდათ შეფასებული. იგი კულუმბეკოვებს გადაუჩა, სამაგიეროდ მოღალატე ქართველებმა ჩაცხრილეს დაუნდობლად მეტეხის ხიდთან, 1992 წლის 6 იანვარს.“

აგვისტოს ნანგრევებში

სოფელი ფხვენისის დაბომბვა

ილია ბედიანაშვილის მკვლელობა

ყარამან ბედიანაშვილმა თავისი მამის, 78 წლის ილია ბედიანაშვილის სიკვდილს საკუთარ ეზოში, სოფელ ფხვენისში უყურა.

„მამა, ილია ბედიანაშვილი 2008 წლის აგვისტოში საომარი მოქმედებების შედეგად მიღებული სხვადასხვა სახის ტრავმებითა და ჭრილობებით გარდაიცვალა. საცხოვრებელი სახლი კი სულ მთლიანად განადგურდა რუსეთის საჰაერო გამანადგურებლების მიერ ჩამოგდებული ჭურვებით.“ (იხ. ინტერვიუ ყარამან ბედიანაშვილთან, ჩაწერილი „ კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ).

დაბომბვა 2008 წლის 8 აგვისტოს განხორციელდა და სწორედ ამ დროს დაიღუპა ილია ბედიანაშვილი. გარდაცვლილის დაკრძალვაში შვილს დაეხმარნენ მეზობლები: აზო ნადირაძე, ვახტანგ ნადირაძე და ნოშრე ნარიაშვილი, რომლებიც ჩუმად, ბაღების გავლით მოძრაობდნენ, რადგან სოფელში უკვე რუსეთის შეიარაღებული ძალების ტანკები და ჯარისკაცები იმყოფებოდნენ. თავად ყარამან ბედიანაშვილი კონფლიქტის მთელი დროის განმავლობაში სოფელში იმყოფებოდა, მუდმივად უწევდა დამალვა და თავადაც რამდენჯერმე გახდა არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი.

დაბომბვის შედეგად ილია ბედიანაშვილის დაღუპვის ამბავი შინდისელმა გიორგი აბრამიშვილმაც გაიხსენა. (იხ. ინტერვიუ გიორგი აბრამიშვილთან, ჩაწერილი „21-ე საუკუნის“ მიერ 2008 წლის 15 აგვისტოს, თბილისში, 115-ე საჯარო სკოლაში).

სოფლის დემოგრაფიული მონაცემები

2014 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობდა 967 ადამიანი.

აღწერის წელი	მოსახლეობა	კაცი	ქალი
2002 წ.	1259	613	640
2014 წ.	967	477	490

სოფელ ფხვენისში დამკვიდრებული მწერალი

საინტერესო მწერალია ზაურ წაქაძე, დაკვირვებული, ფხიზელი, ალალი, უშუალო. სიყრმიდანვე მარტვილის თავდადებით ემსახურება ქართულ სიტყვას. ის არის შემოქმედი თავისი ბედისაც და იმ სამყაროსიც, სადაც თვითონ ინება ცხოვრება. მიწასთან სიახლოვე მარტო არჩევანი კი არა, შინაგანი სწრაფვაც იყო, რადგან იგი აქა დგას, მშობელ მიწაზე, და სხვაგვარად არ ძალუძს.

სწორედ იქ, საღალატოდ განწირული ლიახვის პირას უნდა ეპოვა თავისი ადგილი, თავისი სამყოფი სივრცე და იპოვა კიდეც.

ფხვენისი არის მისი აღთქმული მიწა, ხოლო პროზა კი ის ენა, რითაც გარე სამყაროს ესაუბრება.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს ზაურ წაქაძეს ერთი წუთითაც არც დაუტოვებია თავისი ფრონტისპირა ეზო. საკუთარი თვალით იხილა ის კოშმარი, რაც მოვლენათა ეპიცენტრში ხდებოდა. მისი რომანი „ელეთმელეთი," ასახავს წიგნის ენაზე გადმოცემულ განცდას კაცისას, რომელსაც ესმის, თუ როგორ კვნესის მშობლიური მიწა, მაგრამ შველა არ შეუძლია...

ჯერჯერობით, მაინც ჯერჯერობით.

მას მრავალი ნაშრომი აქვს და დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, თუმცა ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ის ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ფხვენისს უკავშირდება.

მას აქვს გამოქვეყნებული სტატია გაზეთში „გორის მოამბე" - ფხვენისის კოლმეურნეობის კრება ადგენს: მოკვეთის და სიკვდილის ღირსნი არ არიან ბაგრატიონები!

მოვიყვან რამდენიმე ამონარიდს მისი სტატიიდან:

„იყო 1936 წელი. იყო ლიახვისპირა სოფელი ფხვენისი. იყო ამ სოფელში ბაგრატიონების სამყოფელი. იყო ვლადიმერ ბაგრატიონი- ბაგრატიონ-მუხრანსკების შთამომავალი. მისი მამა გიორგი ბაგრატიონი ფციდან ჩამოსახლდა ფხვენისის მამულებში და ააბოლა კერა... იმ მრისხანე 1924 წელს გადაურჩნენ ბაგრატიონები, დაინდეს პაპა გიორგი და ბებია სონა ამილახვარი. მაგრამ რა? გავიდა 12 წელიწადი და ისევ ერეკებიან... ვლადიმერ ამილახვარი შებინდებისას დაადგა ბილიკს, სოფლის ბოლოში მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას ესტუმრა. ღვთისმშობლიდან წმინდა გიორგის ეკლესიამდე გაიკვალა გზა. კარი ბოქლომით იყო დაკეტილი, კოლმეურნეობა საწყობად ხმარობდა ამ წმინდა ადგილს... უნდა მოესწრო, ფხვენისის მესამე ეკლესიაშიც უნდა აენთო სანთელი, ქრისტეს ნათლიის- იოანე ნათლისმცემლის სახელზე აშენებული ეკლესიაც უნდა მოენახულებინა. შეამჩნია, რომ კარგა ხანია ზარი აღარ დარეკილა, კარგა ხანია გამოკეტილია სალოცავის კარი, თუმცა მაინც იწერენ გლეხები პირჯვარს...

სოფლის კრებას ატარებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ილო პეტრიაშვილი, მაინც ეკითხებიან კოლმეურნეებს, რა მიუსაჯონ ფხვენელ ბაგრატიონებს: სიკვდილი თუ გასახლება? შორიდან გამოჩნდა მეზობელი, რომელიც უჩვეულო ხმით ჰყვიროდა: -დარჩით, არ წახვიდეთ! სოფელმა თავისი გაიტანა, არ დაანება სოფლის შვილი, ბაგრატიონი. ვასილ ბაგრატიონი დარწმუნდა, რომ ღმერთმა გადაარჩინა დაღუპვას მათი ოჯახი და გაგრძელდა ბაგრატიონების სუნთქვა ფხვენისში." (ზ. წაქაძე, გაზეთი „გორის მოამბე," 1-8 იანვარი, 2004 წ).

მაშასადამე, მინდა ორიოდე სიტყვით შემოვიფარგლო და პირადი დამოკიდებულება გამოვხატო არსებული თემის ირგვლივ. შევეცადე მაქსიმალურად მიმეწვდინა ხმა საზოგადოებისათვის და მიმეტანა ინფორმაცია ჩემი სოფლის, ფხვენისის შესახებ სხვადასხვა ასპექტით. მე ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ქმედება სასიკეთო შედეგს გამოიღებს და ადამიანთა გარკვეული ნაწილი მაინც მოუსმენს გულისყურით ჩემი სოფლის ისტორიიდან წარმოდგენილ ინფორმაციას.

ლიტერატურა:

1. „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა," ტომი V, 1990.
2. ჯ. გვასალია, ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები// საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ტ. VI, თბ., 1982.
3. ი. მეგრელიძე, ლიახვის ხეობის წარწერები და სხვა სიძველეები// მაცნე 1966. N3.
4. ვ. შუბითიძე, ქართული ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები. ფხვენისის ეკლესია, თბ., 2012.
5. ვახუშტი ბაგრატიონი, „ აღწერა სამეფოსა საქართველოსა," IV ტომი, 1973.
6. ქართული სამართლის ძეგლები, VIII, 1985.
7. ქართული სამართლის ძეგლები, IV, 1972.
8. საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედია, X ტომი, გამომც. თბილისი., 1986.
9. ნ. ბერძენიშვილი., ფეოდალური ურთიერთობებიდან XV ს-ში, წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 2, თბ., 1965.

10. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.
11. ქიქოძე მ., ქართლის სათავადოების ისტორიიდან XV–XVIII სს (საამილახვრო), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1963.
12. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 2 ნარკ. 1, ტფ. 1928.
13. ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც, თბ., 1970.
14. ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1990.
15. ე. მამისთვალიშვილი, „ამილახვრები," გამომც. „ქართლი,", 1996.
16. ჟურნალი „თბილისელები," 2001.
17. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 1955.
18. მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014 წელი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (ნოემბერი, 2014 წ).
19. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, ტომი II, 2003.

ზნაურის ისტორიიდან

ნანა სადღობელაშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოლბორდი**, ასოცირებული პროფესორი

ჩვენი ქვეყანა, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში შეუპოვრად უმკლავდებოდა არაერთი დამპყრობლის მახვილს, დღესდღეობით ახალი გამოწვევის წინაშე დგას – მტერმა მიიტაცა საქართველოსთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილები: სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, თუმცა, სამწუხაროდ, მხოლოდ ამით არ კმაყოფილდება, ის ცდილობს თანდათანობით გააფართოვოს ოკუპაციის საზღვრები და, რაც ყველაზე ცუდია, ჩვენ ისიც კი არ ვიცით, სადამდე გაგრძელდება ეს, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე მესაუბრა ამ საკითხზე, რათა იყოს ერთგვარი შეხსენება იმისა, თუ რას ვკარგავთ, რადგან საქართველოს ეს ძირძველი ტერიტორიები დღეს ოკუპირებულია, აქვე დავძენ, რომ წარმოშობით მეც ზნაურის რაიონიდან ვარ, ამიტომ ეს თემა ჩემთვის საკმაოდ ემოციური და სენსიტიურია.

საქართველოში, ალბათ, არ არსებობს სხვა უფრო ქართული ტერიტორია, ვიდრე შიდა ქართლია. ოსების მიერ ახლო წარსულში დაკავებული ეს მიწები ქართველთა უძველესი საცხოვრისი იყო. ქართული ეთნოსი აქ ჩამოყალიბდა და ვითარდებოდა ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვიდან, რა დროიდანაც შეიძლება საქართველოს ტერიტორიაზე ეთნო-კულტურული პროცესებისთვის თვალის მიდევნება. შემდეგში ოსების ჩამოსახლება ამ ისტორიულ ტერიტორიაზე რიგი პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორებით იყო განპირობებული.

ყორნისი (1933 წლამდე ოქონა, 1933-1991 წლებში ზნაური) დაბა ქარელის მუნიციპალიტეტში, ყოფილი ზნაურის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი, რომელიც შიდა ქართლის ვაკეზე მდ. შუა ფრონის ნაპირზე მდებარეობს (სახელი ფრონის ფრონე უნდა იყოს შედგენილი სიტყვა, რომლის არქეტიპი ჩანს "ფრ" ან მისი სტრუქტურული ვარიანტი, დაცული ქართულ ლექსიკონში "ფრეს" სახით. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში: "ფრეს წყაროს წყალსა" ნიშნავს, "ფრეს" წარმომავლობა საძიებელია, მაგრამ ფრონეთან კავშირი უდავოა. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ხეობის აღწერისას მას უწოდებს ფრონეს ხეობას და ამბობს: "ქვიშხეთ ზეით, ლიახვის მდინარეს იქით, ტაშისკარამდე, რომელნიცა მდინარე – ხევნი აღვწერეთ, უწოდებენ, თვინიერ ფრონეთა".

ყორნისი ასევე ყოფილა საკრებულოს ცენტრი (შედიოდა: ალიბარი, ახალსოფელი, ზემო ოქონა, თიღვა, ისაკყაუ, ნაბაკევი, ნედლათი, სუნისი, ქვემო ოქონა, შინდარა, ხუნდისუბანი). ყორნისი, ზღვის დონიდან 790 მეტრზე მდებარეობს, ცხინვალიდან 25 კმ. აგარიდან (უახლოეს რკინიგზის სადგური) 22 კმ. ზნაურის რაიონის რელიეფი უმთავრესად საშუალმთიანია: დასავლეთ და ნაწილობრივ ჩრდილოეთ

ნაწილი უჭირავს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთებს, ხოლო დასავლეთ და სამხრეთ მცირე ნაწილი – შიდა ქართლის ბორცვიან ვაკეს. უდაბლესი ადგილია ზ.დ.750 მ დმ.აღმ.ფრონის ხეობის ძირზე, უმაღლესი 1900 მ – ლიხონის მთის სამხრეთ კალთაზე.

ყორნისი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“, ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“, XVIII ს-ის ისტორიული საბუთები, იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“.

1688 წ. ქართლის მეფე გიორგი XI-მ (1676-1688) შეიტყო, რომ ირანელებმა მეფედ დანიშნეს ერეკლე I ნაზარალიხანი (1688-1703). გიორგი XI ზემო ქართლისკენ გაემართა და ყორნისს დადგა. 1758 წ. ლეკთა რვაათასიანი ჯარი ქართლს შემოესია. თეიმურაზისა და ერეკლეს დასახმარებლად მოვიდა იმერეთის მეფე სოლომონ I (1752-1784). ისინი ერთმანეთს ყორნისში შეხვდნენ და აქედან შეუტიეს ლეკებს. გვიან შუა საუკუნეებში ყორნისი მაჩაბელთა საკუთრება იყო.

1952 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ალ. კალანდაძე) სოფ. ყორნისის მიდამოებში მიაკვლია პალეოლითური და ენეოლითური ხანის ქვის იარაღებს. ყორნისის მიდამოებში გამოვლინდა ბრინჯაოს ხანის ძეგლებიც. 1986-1987 წწ. იმავე ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წორბისის ექსპედიცია (ხელმძღ. ო. ტყეშელაშვილი) დაზვერვებს აწარმოებდა ყორნისის მიდამოებში. სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ექსპედიციამ აღმოაჩინა მინის საწარმოს ნაშთები. ყორნის-წორბისის საზღვართან გამოვლინდა ქვევრსამარხის ნაშთები და ყორღანები. მდ. ფრონის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ყორნისის და ბეყმარის გამყოფ პატარა ქედის ჩრდილო-დასავლეთ ბოლოზე შეგროვებულ იქნა მუსტიეური ხანის რამდენიმე ათეული მსხვილი ანატკეცი და ანამტვრევი, რომელთაგან ზოგიერთი უშუალოდ კაჟის კაჭარიდანაა ახეთქილი, სხვები მეტ-ნაკლებად სწორად ჩამოყალიბებული ნუკლეუსებიდან. საყურადღებოა დისკოსებური ნუკლეუსები, რომელთაგან მიღებულია სასურველი ფორმისა და ზომის ანატკეცები თუ ლამელები. ანატკეცები უმრავლეს შემთხვევაში უახლოვდება სამკუთხედს ან ოვალს. ყორნისის კაჟის ინვენტარში შემავალი ფართო ორფერდა ლამელისებრი ანატკეცები წარმოადგენდნენ ნამზადებს წვეტანებისა და მსხვილი საფხეკი იარაღისათვის. მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). ყორნისიდან ცნობილია შემთხვევითი აღმოჩენებიც. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ყორნისიდან მომდინარე პალეოლითური ხანის ქვის იარაღები. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) ინახება ყორნისში შემთხვევით აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის ნივთები: მასრაგახსნილი შუბისპირები (3 ც), „კახური ტიპის“ სატევარი, შავპრიალა ჭურჭელი. ამავე კოლექციაში შედის მოგვიანო ხანის ე.წ. „სკვითური ტიპის“ 2 დეზიანი ისრისპირი, რომელთაგან ერთი სამფრთიანია, მეორე ორფრთიანი. ამავე მუზეუმშია დაცული ყორნისიდან მომდინარე ბრინჯაოს მასური საკიდი – ცხვრის ქანდაკება, რომელიც ხასიათდება სქემატური თავით, წინ გაშვერილი დაგრეხილი რქებითა და მოკლე ფეხებით. ზურგზე აქვს პატარა ყუნწი.

ზოგიერთი ოსი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ოსები უძველესი დროიდან ცხოვრობენ შიდა ქართლში, ანუ ე. წ. ყოფილ სამხრეთ ისეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე. თუ ეს ასეა, მაშინ მათ კულტურასუნდა დაეტოვებინა თუნდაც მცირე ნაკვალევი ამ მიწაზე. მაგრამ ის არსად არ არის: ყველაფერი, რაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად და ყველაფერი, რაც ხელოვნებათმცოდნეების მიერ შემჩნეული და შესწავლილი იქნა მიწის ქვეშ თუ მიწის ზევით, მხოლოდ ქართულია. ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე ადამიანის დასახლება პალეოლითის ხანიდან დაიწყო. ამ ეპოქის ადამიანთა სადგომები აღმოჩენილია სოფლებში: ლაშებალთაში, ნაგუთნში, ფიჩიჯინში, ძაღინაში, თიღვაში (ყოფილი ზნაურის რაიონი), დამპალეთში, კვერნეთში, თამარაშენში (ცხინვალის რაიონი), მორგოში, წრუში (ჯავის რაიონი) და სხვ. ამავე ეპოქას განეკუთვნება წონისა დაკუდარო I-ის პალეოლითური გამოქვაბულები. ნეოლითის ძეგლები აღმოჩენილია ჯურმუგის მთაზე, სოფელ ფიჩიჯინში, ნაგუთნში, წნელისში, რუსთავში და სხვ. ენეოლითის ხანის ძეგლები აღმოჩენილია ნაცარგორის ბორცვებზე (ცხინვალის მიდამოები) აქვე აღმოჩენილია თიხის ჭურჭელი, ნამგლის კაჟის ჩასართავები. ქვის მარცვლის სანაყები და სხვ. ძვ. წ. III ათასწლეულის ბრინჯაოს ეპოქის ძეგლები გამოვლინდა სოფელ ძაღინაში, ნულში, გუფთაში და ა.შ. ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში შიდა ქართლის, კერძოდ, ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე გაჩნდა.

ლითონის დასამუშავებელი კერები. შუა ბრინჯაოს ეპოქაში მეტალურგიასთან ერთად ვითარდებოდა მიწათმოქმედება ბარში და მეცხოველეობა (კერძოდ, მეცხვარეობა) მთაში. გვიანდელი ბრინჯაოს ხანის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე გამოიკვეთა რამდენიმე კულტურული კერა, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან, მაგრამ ამავე დროს გარკვეული თავისებურებებითაც ხასიათდებოდნენ. აღმოჩენილი არქეოლოგიური კომპლექსები ადასტურებენ შიდა

ქართლის ახლო ურთიერთობას დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიასთან. ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისში აქ აღსანიშნავია რკინის ათვისება. ძვ. წ. VII საუკუნიდან რკინის ნივთების წარმოებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ამ პერიოდს განეკუთვნება ოჟორის სამარხებში გამოვლენილი რკინის ინვენტარი (ძვ. წ. VII-VI სს.) კომპლექსები. ახალგორის განძი (საგურამოს სამარხი) და ყანჩაეთის სამარხები (ძვ. წ. VI-IV სს.) ასახავს სამხედრო დემოკრატიიდან უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლის ეტაპს. ანტიკური ხანის ძეგლები აღმოჩენილია სოფელ სოხთაში, ურსძუარში, როკში, დირგინაში, ჯრიაში, სტირფაზში, პატკნეთში, არკნეთში, ოჟორაში, მონასტერში და სხვ. აღნიშნული მიდამოების ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესწავლა, ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით, 1935 წელს დაიწყო, რასაც სათავე დაუდო გ. ჩუბინაშვილის მიერ ქსნის ხეობაში ჩატარებულმა ექსპედიციამ.

IV საუკუნიდან ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ აქ მრავალი ტაძარი აიგო, რომელთაგან აღსანიშნავია ვახტანგ გორგასლის მიერ V საუკუნეში აშენებული ნიქოზის ბაზილიკა. საკულტო მშენებლობა განსაკუთრებით ინტენსიური იყო VIII-IX საუკუნეებში. ამ პერიოდს მიეკუთვნება ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი ძეგლები, როგორიცაა არმაზი (ქსნისა (864 წ.), წირქოლი (IV ს.) კაბენი ყანჩაეთისა (X-XIII სს.), თიღვა (1152 წ.), იკორთა (1172 წ.), ხოფის ეკლესია და სატრაპეზო (XIII ს.), თირის მონასტერი (XIV ს.), ძაღინის სასახლის კომპლექსი (VII ს.) და სხვ. შემოინახა აგრეთვე ქართული რელიეფური ქანდაკებისა და მონუმენტური მხატვრობის არაერთი მნიშვნელოვანი ნიმუში. მკვლევართა ყურადღებას იპყრობს სოფელ კუსირეთის ტაძარი (ქ. ცხინვალის მახლობლად) და მეჯუდის ხეობაში სოფელ ბიეთის ზევით დაცული ნახევრად გამოქვაბული ეკლესია. არაგვისა და ქსნის ხეობების დასაცავად VIII-IX საუკუნეებში აგებული ციხეები წირქოლსა და გრუაში, როგორც ჩანს, ძლიერი იყო იმდენად, რომ მათი დაუფლება ყოველთვის დავის საგანს წარმოადგენდა დიდებულთა შორის. IX საუკუნის ბოლოდან ვიდრე XI საუკუნის დასაწყისის ხანამდე შიდა ქართლის ერთი კუთხის მთავრებად ტბელთა საგვარეულოს წარმომადგენლები ხდებიან. ტბელთა სამთავროს მნიშვნელობა გაზრდილი იყო იმით, რომ აქ გადიოდა გზა ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს გზა გამაგრებული იყო ციხეებით და კოშკებით – აჩაბეთის, კეხვის და სხვა ციხეებით. ციხეები აგებული იყო აგრეთვე ვანათში, აწრისხევში, ბიკარში და სხვაგანაც. ციხე-გალავნები ჰქონდა ეკლესიებსაც და მონასტრებსაც, რომლებიც საჭირო შემთხვევაში თავდასაცავ გამაგრებულ პუნქტებად იქცეოდნენ ხოლმე. ინტენსიურად გაშლილ მშენებლობას პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაძლიერებულ ამ ფეოდალთა პერიოდში მოწმობს რიგი ჩვენამდე მოღწეული ძეგლები: ერედვის წმინდა გიორგის ეკლესია, ე.წ. ბერის საყდარი, ხეითის საბაწმინდა, დოდოთის ცხრაკარა, ტბეთის ბორცვისჯვრის ეკლესია, ნიქოზის მცირე გუმბათიანი ეკლესია, ჭარები და სხვ. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ცხინვალის რეგიონში ე.წ. სამხრეთ ოსეთში დაიწყო და, სამწუხაროდ, საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელთა თანხმობით მიმდინარეობდა ქართული სახელების ოსურით შეცვლა. XX საუკუნის 30-იან წლებში ოსებმა მიზნად დაისახეს „ოლქის ტერიტორიაზე“ არსებული 986 ქართული ტოპონიმიდან 411 ოსურით შეეცვალათ. თურმე უნდა შეცვლილიყო გორგაშენი – დალდაგ-ყაუდ, ნაგომევი – ტიჯითად, ფიჭვნარი – კულდიმად, სარბიელი – ზანგად, ციხის-სოფელი – ხუბიათად, ვაშლოვანი – ფატკუჯინად, ჭორჭოხი – უალვაზად, წინაგარი – ამაძარინად, გდულეთი – ბიბილთად, ქედიგორა – უალბილად, მსხლები – უალაზად, ორჭოსანი – ზილახარად, ლომისი – ხუასარად, მეტეხი – ცაგათად, მონასტერი – დონგარონად, ქვითკირი – რაბინად, იკეთი – ჩერთკოთედ, ნადაბური – ნოგძიმრად, ივრეთი – თუათად, საბუე – რაბინად, ქემერტი – ჩემერთად, კვერნეთი – კუბფიედ, კეხვი – ჩეხად, ჩასავალი – ნიკკასანად, დიდმუხა – სტირტულზად და ა. შ. ამდენად, ერთი ხელის მოსმით სურდათ გაენადგურებინათ მთელი ისტორია და გამოგონილი სახელები ეწოდებინათ მათთვის.

ზნაურის რაიონი და მისი ცენტრი. ზნაური ადრე იწოდებოდა ოქონის რაიონად და ოქონად. 1931 წელს აღნიშნული რაიონის სოფელ ტყისუბანს ეწოდა ზნაურ კაუ, ხოლო საბოლოოდ მთელ რაიონსა და მის ცენტრს ზნაური. ჩვეულებრივ ზოგიერთ რაიონს კომუნისტები უწოდებდნენ ხოლმე პიროვნების გვარს (თუმცა არც ეს იყო გამართლებული), მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მთელ რაიონსა და მის ცენტრს ადამიანის სახელი მიაკუთვნეს, ხოლო მისი გვარით მონათლეს ზემო ქართლის ერთ-ერთი სოფელი (ბორჯომის რაიონში). ვინ იყო ზნაურ აიდაროვი? ის დაიბადა ჩრდილოეთ ოსეთში, განათლება – ორი კლასი. სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ ჩამოდის თბილისში, სადაც ერთ-ერთ სამჭედლოში უროს მცემლად დაუწყია მუშაობა. იგი იყო ინიციატორი თბილისელი ოსების რევოლუციური კომიტეტის შექმნისა, რამაც დააჩქარა საქართველოში ოსური ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნა. 1918 წლის იანვარში თბილისში აღმოცენდა ოსი ბოლშევიკების ორგანიზაცია „ჩერმენი“. 1919 წელს აიდაროვი გუჯარეთის ხეობის სოფლებში ატარებდა კრებებს. ხალხს მოუწოდებდა დაეწყოთ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლები, ამასთან, მას ქართლის მრავალი სოფლის

დარბევაში მიუღია მონაწილეობა. 1919 წლის 7 ნოემბერს ოსების შეიარაღებულმა რაზმმა აიდაროვის მეთაურობით იერიშით აიღო სოფელი ხცისი, ჩამოაგდო ადგილობრივი ხელისუფლება და გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება. მრავალი ფაქტობრივი მასალა არსებობს, რომ ზნაურ აიდაროვი იყო საქართველოს დემოკრატიული რუსპუბლიკის წინააღმდეგ მებრძოლთა ერთ-ერთი ლიდერი და ასეთი პიროვნების სახელი ეწოდა ძირძველ ქართულ მიწას.

თიღვის ტაძარი – შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსი აღმოსავლეთ საქართველოში, მონასტერი ადმინისტრაციულად მდებარეობდა ყოფილი ზნაურის რაიონის, შემდეგ ქარელის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალ სოფელ თიღვის ტერიტორიაზე. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ოკუპირებულია რუსეთის მიერ. თიღვის ტაძარი ძეგლთა იმ რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც შემორჩენილი აქვთ დათარიღებული ქტიტორული წარწერა, ქართული მატიანეები ძეგლის ქტიტორად დავით აღმაშენებლის ასულს, დემეტრე I-ის დას თამარს ასახელებენ. მათივე ცნობით, თამარს თიღვის ტაძარი 1152 წელს დაუმთავრებია და აქვე აღკვეცილა მონაზვნად. გადმოცემის მიხედვით თამარი თიღვის მონასტერში უნდა იყოს დასაფლავებული (თამარი შარვანშაჰ მანუჩაჰრ მესამის ცოლყოფილი იყო და დაქვრივების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში). ვახუშტი ბატონიშვილი მის შესახებ წერს: „...დასავლით მეტეხისა და ფცის წყლის არს თიღვას ჯვრის მონასტერი, რომელიც აღაშენა ასულმან აღმაშენებლისამან თამარ, გუმბათიანი, დიდშვენიერი, კეთილად ნაშენი. შენობანი გარემოს მრავალნი და აწ ხუცის ამარა...“ ნიკორწმინდის სულთა მატიანე წერს: „თამარ თომაი დასა დედოფლისა და მეფისა, მონაზონებისა ზეშთა განბრწყინვებულისა საუკუნოს იყავნ.“ დავით აღმაშენებლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „და მასვე წელსა ასული თჳსი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად. რამეთუ პირველ ამისსა პირმშო ასული თჳსი თამარი გაეგზავნა დედოფლად შარვანისა, რათა ვითარ-ცა ორნი მნათობნი – ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს – ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა, მამისაგანა მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი." ხოლო ქართლის ცხოვრება კი გვამცნობს: „ამასვე წელსა მეფე დემეტრე მოკუდა და დაი დემეტრესი თამარ, თიღვისა აღმშენებელი, იგიცა შემონაზონებული გარდაიცვალა და დაი მისი კატაი დედოფალი საბერძნეთს გათხოვილ იყო." ტაძრის ძალზე საინტერესო ქტიტორული წარწერა მოთავსებულია პატრონიკეს შესასვლელი კარის თავზე, საგანგებოდ გაფორმებულ ტიმპანზე. წარწერა შესრულებულია ლამაზი, კიდურმახვილიანი ასომთავრულით და კარგად არის შემონახული. თიღვის წარწერა პირველად 1851 წელს გამოსცა აკადემიკოსმა მარი ბროსემ. შემდეგ წარწერის გაშიფვრა ისტორიკოსმა თედო ჟორდანიამ სცადა. თიღვის წარწერა ახლებურად გააშუქა აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ, რომელმაც წარწერაში ლექსის წყობა აღმოაჩინა. წარწერა ასე იკითხება: „ქმნილებამან რაჲ აქჲსა სოფლისამან

"სხჳსაჲ მიიღოს დაწყება ყოფადისაჲ,

მოქმედებითა შენ ზედა ჯჳვარცმულისა

ქრისტ&ს ღმრთისაჲთა, რომელსა მიმართ ჟამსა

მას შემწე მექმენ მსახურსა შენსა თამარ.“

გადმოცემის თანახმად, ოქონა დასავლეთ საქართველოს პატრიარქ მალაქია გურიელის დროს აიგო. ის მოხსენიებული იყო მონასტრის კედლებზე. თუმცა არქეოლოგიური კვალი მონასტერში მე-9 საუკუნიდან ჩანს. კედლებზე აგრეთვე ნაპოვნია ჭანუყვაძეების, ბერიძეების და ორატაძეების (ურატაძე) საგვარეულო წარწერები. ცნობილია ისიც, რომ გურიელის შემდგომ მონასტრის მართვა კობალაძეებმა გააგრძელეს.

ოქონის მამათა მონასტერი მოიცავდა მაცხოვრის სახელზე აგებულ ეკლესიასა და გალავანს. გალავანში სათოფურები იყო დატანებული. ეკლესიამდე გალავნიდან გრძელი ქვის კიბე მიდიოდა. ძველი ეკლესიის სიგრძე 6,4, სიგანე კი 3,5 მეტრი იყო. აგებული იყო ნაცრისფერი თლილი კვადრებით. საკურთხევლის მარჯვენა ნიშში იყო წარწერა, რომელიც გვამცნობდა, რომ ტაძრის ძვირფასი ნივთები ქრისტეფორე კობალაძემ მოაჭედინა. ტაძარი შიგნით მოხატული იყო, ორი ფრესკიდან ერთი სწორედ ქრისტეფორე კობალაძისა. როგორც ჩანს, მონასტერი სწორედ სივიწროვის გამო მიუტოვებიათ. 1873 წელს ის უკვე მიტოვებული იყო. ეს იყო ბაზილიკა (სპეციალისტების ვარაუდით, მე-17 საუკუნისა), ხოლო 1897 წელს ადგილობრივი მღვდლის, სილიბისტრო ჩხაიძის თაოსნობით წირვა-ლოცვაც აღადგინეს და ძველი შენობა საფუძვლიანად გადააკეთეს, გააგუმბათიანეს, მაგრამ ზოგი ნახატი და წარწერა გაანადგურეს. მაშინ აცანის მამასახლისი იყო ხოსო ჩხაიძე. ამაზე დიდი საზოგადოებრივი უკმაყოფილება გამოიხატა მაშინდელ პრესაში (მაგ., გაზეთი „კვალი“, 30-ე ნომერი). ამავდროულად ხელახლა ააშენეს დასავლეთის მხარე და შეაკეთეს სხვა კედლები, ხოლო საკურთხევლის მხატვრობა ხელუხლებელი დატოვეს. მსგავსი „რემონტი“ იმავე ხანებში ჩაუტარეს აკეთის დიდ ტაძარს ისე, არანაირი კვალი ქართული კულტურისა შიგ არ დატოვეს. მაშინდელი მოძღვარი დიომიდე ჩხაიძე გაზეთ „კვალში“ გულმოკლული წერდა ამის შესახებ. სულ 35 წელი იარსება 1897 წელს გარემონტებულმა ოქონას ეკლესიამ და იგი 1932 წელს ააფეთქა

საბჭოთა ხელისუფლებამ. აფეთქების შემდეგ ძეგლი უკვე იმდენად იყო დაზიანებული, რომ მხოლოდ ფუნდამენტის დონეზე იკითხებოდა. 2005 წელს დაიწყო ადგილობრივი ძალებით მისი გაწმენდა-გათხრები, აღმოჩნდა ღვთისმშობლის ფრესკა (ახლა ტაძარშია), სახედრის თავის ქანდაკების ფრაგმენტი (ამჟამად ჭიშკრის ბოძზეა), მაგრამ მაშინ საქმე შეჩერდა. 2010 წელს დაიწყო ძველ ნაეკლესიარზე ახალი, ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის მშენებლობა. ძველი გალავნის მხოლოდ ერთი სვეტია შემორჩენილი. 2016 წლის ზაფხულში აცანელებმა ოფიშტიის ხიდიდან გამოასვენეს უნიკალური, ოთხკუთხედი, გათლილი ქვა, რომელზეც იშვიათი ოსტატობით ამოკვეთილია: ჯვარი, ორი კედარი - სიცოცხლის ხე, მზის სხივები და სავარაუდოდ მაშინდელი ქტიტორის (ალბათ გურიელ-ცაიშელის) გერბი.

სერგი მაკალათიას ცნობით, ყორნისში ქართული მოსახლეობა ლეკიანობისაგან ამოწყვეტილა. ამაზე ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: "ყორნისს არს ქვაბნი კლდისანი და კოშკნი, გარნა შემუსრნეს ლეკთა". ყორნისში საყურადღებოა ძველი კოშკები, რომლებიც ნაგებია კლდის ქვით. ფორმით სწორკუთხედია, მტკიცედ და ლამაზად ნაშენი. კოშკები 4-5 სართულიანია. სულ 8 კოშკია, დგანან ერთი მეორეს მოშორებით. კოშკს მაღლა აქვს გამოჭრილი ერთი შესასვლელი კარი, გარშემო გამართულია სათოფურებით და სარკმლებით. კოშკის ფართობი 9x9 კვ.მ-ია. ამ კოშკებში ყველაზე საყურადღებოა ერთი შვიდსართულიანი კოშკი, რომელიც მიუსაკუთრებია თეკაევს და ამიტომ თეკაევის კოშკს უწოდებენ. ეს კოშკი ჩამონგრეულია, როგორც ჩანს კოშკი ნაგებია კლდის ქვით, ზოგან რიყის ქვაც არის გამოყენებული. ზემო სართულის ჭერი თაღიანია და თაღის ნაგებობაში გამოყენებულია აგურიც. კოშკის სართულებში გამართულია ბუხრები, სარკმლები, კარები, თახჩები და სხვ. კოშკის სიგრძე 9,70 მეტრია, განი – 10,50 მეტრი, მისი სიმაღლე დაახლოებით 28 მეტრს აღწევს. კოშკის უკანა მხარეს, მეხუთე სართულის კედელზე, გარედან მიშენებულია საპირფარეშო. ეს კოშკები ერთსა და იმავე დროს გამოყენებული იყო თავდაცვისთვის და თავშესაფრადაც (საცხოვრებლად შიშიანობის დროს), როგორც თუშურხევსურული სახლ-კოშკები. ყორნისის ყველა კოშკი სწორკუთხაა, ნაგებობითაც ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებიან და მიეკუთნებიან მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულს. ყორნისშივე, სოფლის ბოლოს, მაღალ გორაკზე, არის კარასეთის წმ. გიორგის ეკლესია. ეკლესია ნაგებია კლდის დიდი ლოდებით, გეგმით ერთნავიანია, მისი სახურავი ჩაქცეულია. ეკლესია შემოსაზღვრულია ქვიტკირის გალავნით, შესასვლელ კარებში გალავანს დატანებული აქვს სათოფურებიც. კარასეთი ამ მხარეში ყველაზე ძლიერ ხატად ითვლებოდა და სალოცავად მოდიოდნენ შორეული სოფლებიდანაც. მლოცავი მას ღამეს უთევდა, მოჰქონდათ საწირ-სანთელი, მოჰყავდათ საკლავები და ა.შ. ხალხის რწმენით, კარასეთი არჩენდა, განსაკუთრებით, ბნედიანებს, სულით ავადმყოფებს. ეკლესიის გარშემო ავადმყოფს სამჯერ შემოატარებდნენ, ხელში ანთებული სანთლით და კარასეთის წმ. გიორგის შესთხოვდნენ მის განკურნებას. თუ ავადმყოფი ქალი იყო, იგი ნაწნავებს მოიჭრიდა და იქვე ხატის ნიშში შესდებდა. საბაჟო ყორნისიდან დაშორებულია სამი კილომეტრით, იგი მდებარეობს მაღლობზე და უკავია დაახლოებით ერთი ჰექტარი ფართობი. შემოზღუდული ყოფილა ქვიტკირის გალავნით, დარჩენილია მისი ნაწილი. დანარჩენი დაუშლიათ და აქედან გაუზიდავთ. საბაჟო ძველი ნასოფლარია. აქედან გზა გადადის რაჭა-ლეჩხუმისაკენ. როგორც მისი სახელწოდებიდან ჩანს, აქ უნდა ყოფილიყო საბაჟო, სადაც ქართლ-იმერეთიდან სავაჭრო საქონელი შემოჰქონდათ და გაჰქონდათ. ამას ვახუშტის ცნობაც ადასტურებს. რაჭის აღწერისას იგი ამბობს: "არს წონა, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი, და მოსახლენი ოსნი, გარდავალს იქიდამ და კუდარომდე გზა ქ.ცხინვალს ხეობასა ზედა, დვანის ხეობასა ზედა, ქართლში". ეს გზა, რომელიც მიდიოდა, რაჭა-ლეცხუმისაკენ საბაჟოში დვანის ფრონის ხეობით. გადადიოდა ყორნისში, აქედან – ცხინვალში, შემდეგ გორსა და თბილისში, რაჭიდან ახლაც ამ გზით გადმოდიან ფრონის ხეობაში. საბაჟოში დარჩენიალია ერთი ქვიტკირის კოშკი, ნაგები კლდის ქვით, ქვა მოვარდისფროა და კარგად ნათალი, კოშკი ოთხკუთხაა, თავმორღვეულია, სათოფურებიც აღარ აქვს. საბაჟოს კოშკი ნაგებობის მიხედვით უნდა მიეკუთნებოდეს მეთხუთმეტე ან მეთექვსმეტე საუკუნეს. კოშკის გვერდით დგას საბაჟოს ეკლესია, სამხრეთ-დასავლეთით მას მიშენებული აქვს დახურული დერეფანი, საიდანაც კარი შედის ეკლესიაში. კარისთავის დიდ ლოდზე გამოსახულია ჯვარი,კარებთან მიყუდებულია ქვაფიქალ-ასომთავრული წარწერა. ეკლესიის ჩრდილოეთ მხარეზე, მიწის ქვეშ, არის ქვით ნაგები აკლდამა, რომელშიც ადამიანის ჩონჩხია. აკლდამა საკმაოდ დიდია, მისი ფართობი 5x2,5 კვ.მ ია. საქართლის ციხე მდებარეობს დვანის ფრონის სათავეში, მას ჩამოუდის საქართლის წყალი, რომელიც შეერთვის ფრონეს. ციხისაკენ გზა მიდის ყორნისიდან, საიდანაც იგი დაშორებულია 10-12 კილომეტრით. გზაზე ნასოფლარია ე.წ. "არ მინდა", სადაც დარჩენილია ქვიტკირის ძველი ეკლესია. შემდეგ გზა მიემართება ნასოფლარ-ნახენახარზე. აქედან იწყება ტყიანი მთა, რომლის თავზე დგას საქართლის ციხე. ეს ციხე ქართლ-იმერეთის საზღვარზეა და ხალხის თქმით, ამ ციხის იქით ტყვეები არ მიჰყავდათ. საქართლის ციხე გამაგრებული ჰქონია გივი ამილახვარს, როდესაც მან მოუწყო აჯანყება ნადირშაჰს. ამ ციხეს უკანასკნელად ფლობდნენ ხერხეულიძენი. საქართლის ციხე დაფარულია ტყით, შორიდან იგი არ

ჩანს. ციხის ფართობი მოიცავს დაახლოებით ნახევარ ჰექტარს, ციხე ძნელი მისადგომია: ჩრდილო-დასავლეთით მას აკრავს ღრმა ხევი. მხოლოდ აღმოსავლეთ-სამხრეთის მხრიდან შეიძლება ციხის გალავანში შესვლა. ციხე ნაგებია კლდის ქვით, დუღაბით მისი ნაგებობის ტექნიკისა და გეგმის მიხედვით იგი ძველია (მეთერთმეტე/მეთორმეტე საუკუნეები), მხოლოდ შემდეგში მისი ზოგი ნაწილი გადაუკეთებიათ. ციხის ნაგებობა მტკიცეა, რასაც ვახუშტიც აღნიშნავს: "წორბნის ზეით, ამ წყალზედ, მთასა შინა, არს ციხე საქართლისა მდგარ". ციხეს აქვს ორი კოშკი: ერთი ჩრდილო-დასავლეთისა და მეორე სამხრეთ-დასავლეთისა. კოშკები ჩამოქცეულა, კოშკი ოთხსართულიანია. გალავანს აქვს ერთი შემოსასვლელი კარი აღმოსავლეთის მხრიდან. გალავნის ეს კარიც ძნელი მისადგომია, იგი მიწიდან ორი კილომეტრის სიმაღლეზეა და საკეტებით იკეტებოდა. ერთი სიტყვით საქართლის ციხე ფრონის ხეობის ერთ-ერთი გამორჩეული ღირსშესანიშნავი ძეგლია. ამ ხეობაზე გადიოდა ქართლ-იმერეთის გზა, რომელიც დღესაც მოქმედებაშია. ეს გზა ხელს უწყობდა იმერლების გადმოსახლებას ქართლში, ფრონის ხეობაში, სადაც მათ იზიდავდა აქაური ლამაზი ბუნება. საღი ჰავა და ნაყოფიერი მიწა. ამას ვახუშტი ბაგრატიონიც აღნიშნავს: "არამედხეობა არს ვენახოვანი, ხილიანი, მარცვლითა, ყოველთა ნაყოფიერიო".

სხვათა შორის ჩემი წინაპრებიც, სწორედ ზემოთ ხსენებული მოტივების გამო გადმოსახლდნენ იმერეთიდან ფრონის ხეობაში (უფრო კონკრეტულად იმერეთის სოფელი ჭალიდან ქართლის სოფელ ახალშენში, ზუსტად ამ პერიოდში განუცდია (როგორც ჩემთვის ცნობილია) ჩემს გვარს ტრანსფორმაცია და აბაშიძეების გარკვეული ნაწილი სადღობელაშვილები გავხდით, სამწუხაროდ, ამის რეალური მიზეზი ჩემთვის უცნობია). თავიდან ჩემი წინაპრები ფრონის მარჯვენა ნაპირზე დასახლებულან, სადაც არსებული ტოპონემები ჩემთვის ცნობილია: სერის მთა, ნამყნეთი, პეტრიაულები, დარამთა, კოტეს ველი (თურმე ამ ველს სახელი კოტე სადღობელაშვილის საპატივსაცემოდ დაერქვა), ზუნას ტყე, ფილიაანთ ხევი, აბგარას წყარო და სხვ. თურმე, ძველი ახალშენის ტერიტორიაზე არსებობდა სასაფლაოც და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაც, რომელიც, გადმოცემის თანახმად, დაანგრიეს, რადგან იმდენად ლამაზი იყო, თიღვის ეკლესიას სჯობდაო. მართლა ასე იყო თუ არა, დღეს ამის დამადასტურებელი ფაქტები ჩემთვის უცნობია, თუმცა ეკლესიის მშენებლობა დაუწყიათ ისევ, მაგრამ დღესდღეობითაც არაა სრულყოფილი სახით წარმოდგენილი. ძველი ახალშენის მცხოვრებნი მეცხრამეტე საუკუნეებში გადასულან ფრონის მარცხენა ნაპირზე, როგორც ძირძველი მოსახლეობა ამბობს, ამის მიზეზი ცენტრალურ გზასთან უკეთესი წვდომა ყოფილა. 2008 წლის ომის შემდეგ ზნაურის რაიონი სოფელი ახალშენი მტრის ხელშია – ეს ის მიწაა, სადაც მამაჩემმა პირველი ნაბიჯები გადადგა, სადაც პირველად ეზიარა "თერგდალეულების" პატრიოტიზმით გამსჭვალულ შემოქმედებას, ეს ის ტერიტორიაა, სადაც პაპაჩემი ალექსანდრე სადღობელაშვილი დაუღალავად იღწვოდა, როგორც ქართული სკოლის დირექტორი და მასწავლებელი, რომ ბავშვები ქართული სულისანი აღზრდილიყვნენ (ამ დამსახურების გამო გადასცეს მას ღირსების ორდენი), ხოლო, სამწუხაროდ, დღეს სოფელ ახალშენის შესასვლელთან უტიფრად დგას საგზაო ნიშანი, რომელზეც რუსული ასოებით აწერია ოსური სიტყვა "Horkay" (ნოგყაუ), რაც ქართულად ახალშენს ნიშნავს.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“, თბ., 1941.
2. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 5, 1980.
3. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, წიგნში „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ., 1959.
4. თეა ქართველიშვილი, “გურიის საეპისკოპოსოები“, “არტანუჯი“, თბ., 2006.
5. დიმიტრი ბაქრაძე, “არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, ბათუმი, 1987.
6. სერგი მაკალათია, „ფრონის ხეობა“, 1963.
7. პ. ზაქარაია, ქართული ციხე-ქალაქები, ციხესიმაგრეები, ციხე-დარბაზები, ციხე გალავნები, კოშკები. თბ., 2001.
8. ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, IV ტომი, 1973.
9. ავთანდილ სონღულაშვილი, „სამხრეთ ოსეთი“, თბილისი, 2009.

მასალები მაია წყნეთელის შესახებ

მარიამ ქებაძე
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოლბორდი**, ასოცირებული პროფესორი

საქართველო. ეს პატარა ქვეყანა ცნობილია თავისი საუკუნოვანი ისტორიული წარსულით. ამ ისტორიის დიდი ნაწილი შემონახული გვაქვს წიგნებში, რომლებიც თანდათან იწერებოდა და ივსებოდა მეფეთა ისტორიკოსების, მწიგნობრების, სწავლულების და სასულიერო პირთა მიერ. ჩვენი ქვეყნის ისტორიული მომენტების ნაწილს შეგვიძლია გავეცნოთ ძველად გაცემულ სახელმწიფო დოკუმენტებში. ბევრ ცნობას გვაწვდიან ასევე მეზობელი ქვეყნების ისტორიკოსები, მოგზაურები. დიდად საყურადღებოა ამ მხრივ ხალხური ზეპირსიტყვიერებაც, სადაც მოსახლეობას შემოუნახავს ბევრი თქმულება, ლეგენდა, ამბავი... რომელთაც, სავარაუდოდ, ხშირ შემთხვევაში სინამდვილე უდევს საფუძვლად.

ერთ-ერთი ასეთი ამბავთაგანია ქართველ ქალთა მამაცობისა და გმირობის შესახებაც. მათ მეფე ერეკლე II (1720-1798) დროს უცხოვრიათ და ერისაგან დიდი სიყვარულიც დაუმსახურებიათ თავისი ქმედებებით.

რაც შეეხება მეფე ერეკლეს, ვიცით, რომ მასთან დაკავშირებით მრავალი ლექსი , ლეგენდა და თქმულებაა შემორჩენილი ფოლკლორში. ასეთია ამბავი მაია წყნეთელის ,,ანუ მათე ბიჭის“ შესახებ.

ცნობილია, რომ მაია წყნეთელი იყო გლეხის ქალი, ის ძალიან ლამაზი ყოფილა და მეფე ერეკლეს დროს უცხოვრია. როგორც მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი აღნიშნავს, ის ჯერ კიდევ ასაკში არ ყოფილა შესული, როცა ბატონს თავისთან წაუყვანია, იქ მაიას თავის უნებლიედ დაუკარგავს ქალწულობა.(1, 76)

დავით ქორიძის ცნობით, მაია ყმა გლეხის, ოძელაშვილის ოჯახში XVIII საუკუნის ორმოციან წლებში დაბადებულა. (2, 167).

ერეკლე II ისტორიკოსის ცნობით, წყნეთი როგორც სჩანს ბებუთაშვილების საბატონოდ ითვლებოდა. 1735-1747 წლებში მელიქ-მამასახლისი აშხაბეგის ძე აღა ბებუთაშვილია. ,,შესწამეს ქალაქის მელიქს აღას ღალატი... დაიჭირა მეფე ერეკლემ პატიმარჰყო, წაართვა მელიქობა და 1000 თუმანი ჯარიმა....“ - წერს პაპუნა ორბელიანი. აღას მამასახლისობაც და ქალაქის ნაცვლის სახელოც XVIII საუკუნის 60-იან წლებში დაუბრუნებია. (3, 239) აქედან გამომდინარე ჩანს, რომ ბატონი, რომლის ყმებიც ოძელაშვილები იყვნენ, ბებუთაშვილი უნდა ყოფილიყო.

მშობლებს შვილის უბედურება ვერ აუტანიათ და თავი მოუკლავთ. ეს ამბავი ხალხურ ლექსშიც არის ასახული:

,,ადრე მოუკვდა მას დედა,
სოფელ მცხეთაში გაზრდილი
მამამაც თავი მოიკლა
ვერ აიტანა ქადილი.“ (4, 101)

მაიას ძალიან განუცდია მშობლების სიკვდილი და განუზრახავს ჩივილი მეფესთან. ის სახლიდან გამოპარულა, მამის ტანისამოსი ჩაუცვამს, იარაღი აუსხია და თბილისში ჩასულა მეფესთან. ქალს ერეკლე მეორისათვის თავი ობოლ და უსახლკარო ბიჭად გაუცვნია, რადგანაც მორიდებია თავისი ამბავის თქმა, შემდეგ კი მეფისათვის უთხოვია მიყმეო. მაიას, რომელმაც მათე დაირქვა, მართლაც დაუწყია მეფესთან მსახური. (1, 77).

ფოლკლორი მეფისა და მაიას შეხვედრას ასე გადმოგვცემს:

,,შავთვალა თანით ბრგე გოგომ
ჩაიცვა ვაჟკაცურადა,
თოფ-იარაღი აისხა,
იქცევა მამაცურადა,
პატარა კახსა ეახლა,
რა კარგი სანახავია!
ხირიმი შეიტრიალა
დაბლა დაუკრა თავია...“ (4, 101)

ცოტა ხანში კახეთს შემოსეულ ლეკებთან საბრძოლველად გაგზავნილი ჯარისათვის მეფეს თან მათეც გაუყოლებია, მათე-მაის დიდი ვაჟკაცობა და სიმამაცე გამოუჩენია მტერთან ბრძოლაში. ამ დროისათვის მაია ოცი წლის ყოფილა.(1, 77) თუ იმ ცნობას მივყვებით, რომ მაია XVIII საუკუნის 40-იან

წლებში დაიბადა, მაშინ ის ზემოთ ხსენებულ ბრძოლაში მართლაც 20 წლის უნდა ყოფილიყო. როგორც ცნობილია, 1756-1759 წლებში ლეკებს მართლაც ულაშქრიათ ქართლ-კახეთზე და სასტიკად დამარცხებულან კიდეც. ამ მხრივ მათე ბიჭის, ანუ როგორც მას ქართლში მოიხსენიებდნენ თბილელი მაიას არსებობა მართლაც ემთხვევა ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

ბრძოლიდან თბილისში დაბრუნებულ მეფეს ამბავი მოსვლია, რომ სომხეთს თათრის ჯარები შემოსევიანო. მაშინ მდევარისთვის დაუძახიათ. შემდგარა დარჩეული ბიჭების დასტა, რომელნიც პირველად უნდა შებმოდნენ მტერს. მათ შორის ყოფილა მაიაც. ომი სოღანლუხს ქვევით მომხდარა. აქაც დიდი ვაჟკაცობა გამოუჩენია მათეს. მისი ქმედებით აღტაცებულ მეფეს კი ,,ბიჭისთვის“ ნება მიუცია მამა დაეძახა... (1, 77) რეალურად კი ვიცით, რომ ომი სოღამლუღთან 1795 წლის 10 სექტემბერს მოხდა. პირველ დღეს ირანელები დამარცხდნენ, ხოლო მეორე დღეს 11 სექტემბერს კი გამარჯვება მოიპოვეს რიცხვობრივი უპირატესობის გამო. (ამ დროისათვის მეფე ერეკლე 75 წლის იყო. გამოდის, რომ მაია წყნეთელი დაახლოებით 55-დან 60 წლამდე უნდა ყოფილიყო.)

მაიას ასეთი ვაჟკაცობით შორს გაუთქვამს სახელი. ხალხს შეუყვარებია, ხოლო უსამართლო მებატონეების და ქვეყნის მოღალატეებისათვის ის თავ-ზარის-დამცემი ყოფილა. მეფის კარზე დაწინაურებულ ყმას, წარმოშობილს დაბალი ფენიდან, განსაკუთრებით მიჰქონდა გულთან მოღალატე თავადების უსამართლო საქციელი, დაჩაგრული გლეხობის მდგომარეობა და წუხილი...

ის ცდილობდა გამოეაშკარავებინა ,,წუწკი თავადები“ და აღეკვეთა მათი საქციელი...

ეს ამბავი ფოლკლორში ასეა ასახული:

,,შენი ჭირიმე მაია,
გლეხთა ნუგეშის მცემელო
მათე ყაჩაღად ცნობილი
უსამართლობის მგმობელო...“ (4, 103)

,,მათე-მაიას ჭირიმე,
იყავ ფალავან, გმირია,
უზნეო ბატონებისა
სიკვდიმდე დიდი ჭირია.“ (4, 104)

მათე მებატონეთათვის დიდი თავის ტკივილი გამხდარა, მათაც განუძრახავთ მისი თავიდან მოშორება და გზად მიმავლისთვის მკვლელები გაუყოლებიათ. მათე ბიჭს აქაც უმარჯვია და დაუხოცავს მიგზავნილი მკვლელები. თუმცა მანამდე კი მათგანვე შეუტყვია:,, ვითომც თავად მეფე ერეკლეს უნდოდა მისი სიკვდილი. ამ ამბით თავზარდაცემული ქალი გადასულა თრიალეთისაკენ და გავარდნილა ყაჩაღად ტყეში, რომელსაც ხალხი ,,მაიას საბუდარს“ ეძახდა (1, 79)

,,უზნეო პირთა ენამა
არ მოასვენა მაია
და მოაშორეს ნეფესა
გლახაკთ მოსარჩლე დაია
მათე-მაია დევნილმა
ტყისკენ გასწია მალულად,
და ყაჩაღობა დაიწყო,
ხან ცხადლივ, ხანაც ფარულად.“ (4, 102)

მაიასათვის მის მტრებს კიდევ მიუგნიათ, მაშინ ქალს დაუტოვებია თავისი სადგომი და ერევნისკენ გადახვეწილა. აქ მალულად ცხოვრობდა და განაგრძობდა ხალხის უსამართლობისგან დაცვას.

მაიას ერთხელ კიდევ უხსნია მეფე ერეკლე მტრის თავდასხმისაგან. მაშინ მეფეს გაუგია მათეს ნამდვილი ვინაობა, მისი გადაკარგვის მიზეზი და მისი თავგადასავალიც. მას შემდეგ მაია შემოსილა ქალურად და ასე ცხოვრობდა. თუმცა კი დიდხანს აღარ დასცლია სიცოცხლე. როცა სპარსელები კიდევ შემოსევიან საქართველოს, მაიაც გარეულა ქართველთა ჯარში. ის ამ დროს უკვე ხანში შესული ყოფილა. მტერს გაჰკვირვებია ასეთი მამაცობა ქალისა. ხანების ბრძანებით იგი ცოცხლად შეუპყრიათ და თან წაუყვანიათ ტყვედ. თუმცა მალევე გამოჰპარვია სპარსელებს უკან. სხვებს კი ერევნის ბოლოზე მოუკლავთ ის. (1,81)

,,...გზაში მოუსწრო სიკვდილმა
ტანჯული სული დალია
მოუკვდათ ბეჩავ გლეხებსა
მათი დამცველი მაია.
ტრიალ მინდორზე ობლადა
მაია ასაფლავია...“ (4, 103)

,,შარაზე იწვა უძრავად
ხანჯლით დაჭრილი ქალია,
მოძმეთა ნახვას ნატრობდა
თბილელი გმირი მაია...
ბედმა უმტყუნა საბრალოს,
არ აუსრულდა წადილი
ერევნის ბოლოს დიაცსა
მოხადეს ლეჩაქ-მანდილი.“ (4, 104)

როგორც ვხედავთ, იმის მიუხედავად მაია წყნეთელის პიროვნება იყო რეალური თუ არა, ის მაინც დიდი სიყვარულით სარგებლობდა ხალხში. მისი სახელისადმი პატივისცემა იმდენად დიდი იყო, რომ

მათე ბიჭზე არა მარტო ლექსებს თხზავდნენ და აქებდნენ, არამედ ის მისაბაძ მაგალითადაც გაიხადეს. მაია წყნეთელი-მათე ბიჭი ჩაგრულთა ქომაგთა, მამაცთა, ვაჟკაცთა და სამშობლოსთვის თავგანწირულთა სინონიმად არის ქცეული.

ლიტერატურა:
1. დიმიტრი ჯანაშვილი, ,,ისტორიული სურათები - ქართველი ქალი“, ,,ივერია“ NXII, დეკემბერი, ,,ექვთიმე ხელაძის სტამბა“, თბილისი 1882.
2. დავით ქორიძე, ,,სახელოვანი ქართველი ქალები“, ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1965.
3. ალექსანდრე ბოშიშვილი, ,,თბილისის გარეუბნების ისტორია“, თბილისი, 2010.
4. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტექსტი მოამზადა ქსენია სიხარულიძემ ,,მეცნიერება“, თბილისი, 1964.

1812 წლის კახეთის აჯანყება და ალექსანდრე ბატონიშვილი

თამარ ქოქაშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ანა ლომსაძე
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ოთარ ჯანელიძე,** პროფესორი

205 წელი გავიდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მორიგი სისხლიანი ფურცლებიდან, 1812 წლის მოვლენებიდან. ეს არ იყო აჯანყება, რადგან: 1. არ იყო კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული წინააღმდეგობა, რადგან რუსეთის იმპერიის მმართველობას საქართველოში არ გააჩნდა არავითარი სამართლებრივი საფუძველი, მათ შორის არც რუსეთის იმპერიის უმთავრესი არგუმენტი – საქართველოს სამეფო-სამთავროების მხრიდან გაფორმებული ქვეშევდრდომობაში მიღების ხელშეკრულებები; 2. არ იყო გლეხთა აჯანყება და დაპირისპირება სოციალურ ფენებს შორის, რადგან ამ მოვლენებში საქართველოს მოსახლეობის ყველა სოციალური ფენა იყო ჩაბმული, როგორც ყმა–გლეხობა ასევე თავადაზნაურობა და საეკლესიო პირები; 3. არ იყო აჯანყება ეკონომიკურად გაუსაძლისი პირობების გამო, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში შავი ჭირი მძვინვარებდა, რომელსაც ზედ დაერთო მოუსავლიანობა და რუსეთის საომარი კამპანია ირან-ოსმალეთთან, რომლისთვისაც საჭირო რესურსების ამოღება საქართველოს მოსახლეობიდან ხდებოდა. საერთაშორისო სამართლის მიხედვით: ,,ომი ეს არის შეიარაღებული დაპირისპირება, რომელიც გრძელდება ერთ წელიწადზე მეტ ხანს და იღუპება ათასზე მეტი ადამიანი.'' რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული დაპირისპირება 1812 წლის 31 იანვრიდან 1813 წლის ზაფხულამდე, 15 თვეზე მეტხანს გაგრძელდა, განადგურდა ათასობით დასახლება და დაიღუპა რამდენიმე ათასი ადამიანი! ხოლო მისი წარმოშობის უმთავრესი მიზეზი გახლდათ რუსეთის იმპერიის უსამართლობის, უზნეობისა და არაადამიანური დამოკიდებულების პოლიტიკა საქართველოსადმი – ,,ისე ეპყრობოდა საქართველოს, როგორც ველურ ტომს, როგორც უმნიშვნელოსა და გათახსირებულს.“ (ალ. ფრონელი).

ჩვენ შევეცდებით, ვაჩვენოთ ამ ბრძოლის ერთ-ერთი მეთაურის, ამბოხებულთა მიერ მეფედ შეგულვებული უფლისწულის, ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონის მონაწილეობა და როლი 1812 წლის კახეთის აჯანყებაში და გამოვკვეთოთ ზოგიერთი შტრიხი რუსეთის ბატონობასთან შეურიგებელი ბატონიშვილის პორტრეტისათვის.

1812 წლის კახეთის აჯანყებისადმი არაერთი ნაშრომია მიძღვნილი. მათ შორის: ალექსანდრე ფრონელის (ყიფშიძე) ,,ამბოხება კახეთისა (1812 წ.)“; აბელ კიკვიძის, ოლია მარკოვას, აკაკი გელაშვილის გამოკვლევები და სხვა. ხსენებულ აჯანყებას ძირითადად ისეთივე მიზეზები ჰქონდა, როგორც 1804 წლის

აჯანყებას. ხალხის უკმაყოფილების მიზეზები 1812 წელს უფრო მეტი იყო, ვიდრე XIX საუკუნის დამდეგს.

1812 წლის 31 იანვარს ახმეტელებმა, რომლებსაც მეზობელ სოფელთა გლეხებიც შეუერთდნენ, საეგზეკუციო რაზმი განდევნეს. აჯანყება ელვის სისწრაფით გავრცელდა და მთელ კახეთს მოედო. აჯანყების მოციქულები თემიდან თემში გადადიოდნენ და ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. აჯანყებულებმა ახმეტიდან მაშინვე თელავზე გაილაშქრეს და 2 თებერვალს აიღეს იგი. 6 თებერვალს სიღნაღსაც დაეუფლნენ და ბოდბისხევში განლაგებული რუსთა ჯარიც გაანადგურეს. ასეთივე ბედი ეწიათ საეგზეკუციო რაზმებს ანაგაში, კაკაბეთსა და მანავშიაც.

კახეთი რუსთაგან თითქმის გაიწმინდა. აჯანყებულებმა გრიგოლ იოანეს ძე ბატონიშვილი თავისთან იხმეს, მეფედ აირჩიეს და ეკლესიაში აკურთხეს კიდეც. ცნობილია, რომ სამეფო ოჯახის წევრთა რუსეთში გადასახლების შემდეგ, მეფობის კანდიდატად ალექსანდრე ერეკლეს ძე ბატონიშვილი განიხილებოდა. მას ამჯერადაც მოელოდნენ კახეთში, მაგრამ შექმნილ ვითარებაში, როგორც ქართველი ემიგრანტი ისტორიკოსი ალექსანდრე მანველიშვილი წერს, ,,ფორმალობის დრო აღარ იყო.“ ხალხმა გრიგოლის ერთგულებაზე დაიფიცა. მეფედ გამოცხადებულმა გრიგოლ იოანეს ძე შეეცადა აჯანყების ალი ქართლშიც გადაეტანა. მან რუსთა წინააღმდეგ რამდენიმე ბრძოლასაც ენერგიულად უხელმძღვანელა და წარმატებაც შეძლო, მაგრამ მალე აიძულეს დანებებულიყო. საქართველოს უკანასკნელი მეფე, როგორც მას ისტორიკოსი ნიკო ჯავახიშვილი მოიხსენიებს, რუსეთში გადაასახლეს და ციხეში გამოამწყვდიეს. აღსანიშნავია, რომ ერთი წლის შემდეგ, პატიმრობიდან გათავისუფლებული გრიგოლი, პოდპოლკოვნიკის ჩინით, მონაწილეობას იღებდა ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლასა და რუსეთის არმიის საზღვარგარეთულ ლაშქრობაში.

მეფე ერეკლეს მესამე მეუღლის, დარეჯანის მეთექვსმეტე შვილი ალექსანდრე, რომელსაც კანონიერი გზით მეფობა არასოდეს ერგებოდა, ძმებში ყველა ღირსებით გამოირჩეოდა და რჩეულთა იმ რიგს ეკუთვნოდა, დამოუკიდებლად რომ ისაკუთრებდნენ თავიანთ ადგილს. მან მთელი თავისი დაუშრეტელი ენერგია შეალია ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტიის აღდგენას.

ალექსანდრე ბატონიშვილის პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწედ ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ერეკლე მეორის სამეფო კარმა, ახალმა გეოპოლიტიკურმა რეალობამ, მნიშვნელოვანმა სამხედრო-სტრატეგიულმა და ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებმა, რომელიც ხშირ შემთხვევაში მინდობილი იყო ძლიერი და გამჭრიახი მოღვაწის, ალექსანდრე ბატონიშვილისადმი.

1790 წლიდან 20 წლის ალექსანდრე ერეკლეს ძე უკვე აქტიური პოლიტიკური მოღვაწე იყო და წარმატებით ასრულებდა ქართლ-კახეთის მეფის სამხედრო, პოლიტიკურ თუ სამეურნეო დავალებებს. იგი განსაკუთრებული ენერგიითა და მხნეობით იყო დაჯილდოებული. 1801 წლიდან, რუსული მთავრობის დამყარების შემდეგ, ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის ბრძოლის მეთაურად იქცა და სიკვდილამდე არ შეუწყვეტია ეს ბრძოლა.

ალექსანდრე რუსეთის, ანუ ,,ევროპის'' მოწინააღმდეგე არ ყოფილა. მას მუდამ სურდა რუსეთთან კავშირი და ,,სამსახური“ 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოს არსებობის პირობით. ,,1783 წლის ტრაქტატი ალექსანდრე ბატონიშვილის საბრძოლო პლატფორმა იყო. ალექსანდრე ბატონიშვილი იმ უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდა, რომელიც რუსეთის მთავრობამ საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის მოსპობით განახორციელა.“

მრავალწლოვანი ბრძოლისა და პოლიტიკური მოღვაწეობის შედეგად ალექსანდრემ ირანიდან ფართო კავშირების გაბმა ადრევე შეძლო, მაგრამ უდიდესი გეგმების ხორცშესასხმელად მხურვალე მისწრაფებანი და იმედები არც მას და არც თეიმურაზ ბატონიშვილს აქამდე არ გაუმართლდათ. 1812 წელი ამ მხრივ კიდევ ერთი ტესტი უნდა გამხდარიყო.

რუსეთ-საფრანგეთის ომი 1812 წლის აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში ყველაზე კრიტიკულ ფაზაში გადავიდა. რუსეთის დედაქალაქი მოსკოვი ცეცხლის ალში იყო გახვეული და კავკასია-საქართველოსათვის არავის ეცალა.

მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოთა ქიშპის დროს ალექსანდრე ბატონიშვილს კარგად მოეხსენებოდა საქართველოს განსაკუთრებული გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, ერთი მხრივ, ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისაკენ შეტევისათვის, ასევე სამხრეთიდან ასეთი შეტევის საწინააღმდეგო თავდაცვისათვის. ამის გამო საქართველოთი ადვილად ინტერესდებოდნენ როგორც სპარსეთის ხელისუფალნი, ისე საფრანგეთის, ინგლისისა და სხვა სახელმწიფოთა მთავრობები.

12 წლის განმავლობაში სამშობლოდან გადახვეწილმა ბატონიშვილმა ეს რეალობა სამშობლოში დასაბრუნებლად ხელსაყრელ დროდ მიიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ირანის ჯარის დამარცხებამ ახალქალაქთან 1810 წლის სექტემბერში, ოსმალეთთან ირანის შეკავშირებასა და რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას განაჩენი გამოუტანა.

პროფესორი ალექსანდრე ბენდიანიშვილი ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლებს კახეთში სამართლიანად აკავშირებს მაშინდელი საერთაშორისო მდგომარეობის, კერძოდ, რუსეთში ნაპოლეონის არმიის ძლევამოსილი სვლის შედეგთან: ,,ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელებმა, – წერს მკვლევარი, – მათმა აღიარებულმა ლიდერმა ალექსანდრე ბატონიშვილმა სწორად შეაფასეს შექმნილი სიტუაცია, სცადეს მისი გამოყენება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.“

საგარეო ფაქტორებთან ერთად ისტორიკოსები სამართლიანად უკავშირებენ ალექსანდრე ბატონიშვილის შემოსვლას საქართველოში ხალხის მღელვარების ახალ ტალღებად აზვირთებას.

1812 წლის შემოდგომის დასაწყისში, კახეთში კვლავ იფეთქა ახალმა აჯანყებამ, რომელსაც ამჯერად ალექსანდრე ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა.

რუსი მკვლევარი ო. მარკოვა, რა თქმა უნდა, არ იყო მართალი, როცა წერდა, რომ ალექსანდრე თითქოს ხანგრძლივი განშორების შემდეგ პირველად შემოვიდა საქართველოში. საქართველოს განთავისუფლებისათვის ეს შეუდრეკელი მებრძოლი უცხოეთშიც მუდამ საქართველოზე ფიქრობდა, მისი დახსნისათვის ფართო და მეტად სარისკო გეგმებს ადგენდა და ხმალამოწვდილი განუწყვეტლივ თითქმის ყოველ წელს სამშობლოს საზღვრებზე და ქვეყნის შიგნით ან უშუალოდ თვით შემოიჭრებოდა ან თავის უერთგულეს თანამებრძოლებს გზავნიდა.

,,1801 წლის შემდეგ, ვიდრე 1830 წლებამდე ამიერკავკასიაში იშვიათი იყო ცოტად თუ ბევრად ღირსშესანიშნავი პოლიტიკური მოვლენა, რომელთანაც ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი არ იყოს დაკავშირებული,'' - აღნიშნავდა აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი.

1812 წლის თებერვალში, ჯერ კიდევ კახეთის აჯანყების პირველ ეტაპზე, ერევანში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილს კახელი თავადების 40 კაციანი დელეგაცია მიუვიდა. ბატონიშვილი კახეთში მიიწვიეს და ,,აღუთქვეს პირი მტკიცე, რათა ჰყონ მეფედ თვისსა ზედან.“

ბატონიშვილის მოწოდებანი, რომლებშიც იგი კახელებს, თუშ-ფშავ-ხევსურებს, მოხევეებს ერთგულებას, მამულისათვის გარჯას და მხნეობას უქებდა და კიდევ უფრო მეტი თავგანწირვისა და შეურიგებელი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა, მთელ საქართველოს მოეფინა. დიდის მჭერმეტყველებით დაწერილ წერილებში ბატონიშვილი კახელებს ბაგრატიონთა სახლის აღმდგენელებს უწოდებდა და სწერდა, რომ თქვენი სახელი მთელ ქვეყნიერებაზე მზესავით მოჰფინეთ, ,,თქვენ მიერ საყვარელი მეფეც ადიდეთ და შვილებსაც თავისუფლებისა და გიხაროდენის ხმასა გვცემთ ... მეფის ირაკლის მადლითნო პირმშნო და შვილნო და ჩვენო უსაყვერლოსო ძმანო, თუმცა წერილით გეხმაურებით, მაგრამ ასე მგონია თქვენში ვზივარ, პირისპირ შემოგფრფენთ და გეხმაურებით ...“

1812 წლის ივნისში კახელი თავადაზნაურობისა და ხალხისადმი განმეორებით მიწერილ წერილებში ამბოხებულთაგან დელეგაციის მისვლით აღფრთოვანებული ბატონიშვილი აჯანყებულებს ჰპირდებოდა, რომ სულ მალე თვითონაც კახეთში გაჩნდებოდა და თავის სისხლს მათ სისხლში გარევდა. ,,ერთ კვირას თქვენთან სიცოცხლე, ათას წელიწადს სხვაგან ცხოვრებას მირჩევნია“, არწმუნებდა იგი კახელებს.

აღმოსავლეთ საქართველოში 1812 წლის მღელვარებისას სამშობლოში შემოჭრილი ალექსანდრე ბატონიშვილი ხალხს განმათავისუფლებლად მოევლინა. ამიტომ იყო, რომ მოსახლეობა მკერდით იფარავდა მას და ხშირად მოხერხებულად უბნევდა გზა-კვალს მეფის ადგილობრივ მოხელეებსა თუ რუსეთის დამქაშ ქართველ და სხვა სამხედრო მოღვაწეებს. როდესაც ამას ვამბობთ, ობიექტურობა მოითხოვს, ისიც დავძინოთ, რომ კახეთის აჯანყების დროს თუ თავადობის ერთი ნაწილი აქტიურად ებრძოდა მტერს, მეორე ნაწილი, განსაკუთრებით კი ქართლის თავადობა, რუსეთის მხარეზე აღმოჩნდა და ხელი თანამემამულეთა სისხლში გაისვარა.

1812 წლის აჯანყება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახალხო მოძრაობა იყო, რომელშიც ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისი მხედრული ნიჭით, ენერგიულობითა და სიმამაცით წარუშლელი კვალი აღბეჭდა. თავისი ხასიათითა და მასშტაბით ეს ბრძოლა ბევრად აღემატებოდა იმპერიის წინააღმდეგ მიმართულ ყველა მოძრაობას საქართველოში. კარგად ორგანიზებული და მრისხანე ხასიათის გამო თანამედროვენი მას ,,საფრანგეთის რევოლუციას“ ადარებდნენ და აღიარებდნენ: ,,აჯანყების ორგანიზაცია ეჭვგარეშე ხდის, რომ აქ იფარებოდა შეგნებული შეთქმულება, რომლის შემდეგაც კავკასია მთლიანად ეკარგებოდა რუსეთს.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე ერეკლეს ძის ძალისხმევით, ქართველთა მხარდასაჭერად საგანგებოდ ემზადებოდნენ ირანის შაჰი და ერევნის სახანოც.

ალავერდობა დღეს ალექსანდრე ბაგრატიონის მეფედ კურთხევას ერთ მუშტად უნდა შეეკრა თავისუფლებისათვის მებრძოლი ერი, მაგრამ რუსულმა ადმინისტრაციამ წინდაწინ თადარიგი დაიჭირა და არა თუ ეს განზრახვა დაუშვა, არამედ ტახტის მაძიებელი ბატონიშვილის შეპყრობაც მოინდომა, რისთვისაც მაღალი ჯილდო გამოჰყო. მხნედ იბრძოლა უგვირგვინოდ დარჩენილმა ბატონიშვილმა,

რამდენჯერმე კიდევაც შეავიწროვა მთავრობის ჯარები, მაგრამ მოწინააღმდეგეს რიცხობრივმა და შეიარაღებაში უპირატესობამ ბრძოლის ბედი რუსთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. 26 ნოემბერს აჯანყებულები მანავთან გამართულ შეტაკებაში დამარცხდნენ. მათი ლაშქარი დაიშალა. ალექსანდრე ბატონიშვილს იარაღი არ დაუყრია, მან ხევსურეთში გადაინაცვლა და ახლა იქიდან ცდილობდა, დაერაზმა მთიელები ცარიზმის ბატონობის წინააღმდეგ.

,,ჩემს ახლანდელ ცხოვრებას ცხოვრება არ ეთქმის, მაგრამ ამ ჩემ განუწყვეტელ ტანჯვას ჩემის სამშობლოსათვის არაფრად მივიჩნევ“, - წერდა ალექსანდრე ბატონიშვილი მთავარმართებელ რტიშჩევს.

1813 წლის მაისში რუსები 3 ათასკაციანი ჯარითა და არტილერიით ხევსურეთს შეესივნენ და ორ ათეულამდე სოფელი მიწასთან გაასწორეს.

მარცხის მიუხედავად, კახეთის აჯანყებამ 1812 წელს მკაფიოდ დაადასტურა, რომ ქართველი ხალხი ვერ მოითმენდა აღვირახსნილ უსამართლობასა და ეროვნულ ჩაგვრას, რომ მას კვლავაც დიდი ენერგია გააჩნდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ალექსანდრე ფრონელის სიტყვით: კახეთის ამბოხებამ ნათლად დაანახა რუსის მთავრობას, რომ მას საქართველოში მეგობრები არ ჰყავს. მღვდელი და ბერი, თავადი და აზნაური, გლეხი და მოხელე, თითქმის სრულიად საქართველო თითო-ოროლა მუხანათის გარდა, ფეხზე დადგა, იარაღს წაავლო ხელი და მთელი წელიწადი ებრძოდა დაწვრთნილ რუსის მხედრობას სამშობლოს თავისუფლებისათვის და უცხო ტომის ბატონობის თავიდან ასაცილებლად.

ხევსურეთიდან ალექსანდრე ერეკლეს ძე ჯერ ქისტეთში, შემდეგ კი დაღესტანში გადავიდა. მთავარმართებელმა რტიშჩევმა 20 000 მანეთი დააწესა მის შეპყრობისათვის, მაგრამ ლეკები ფულმა ვერ აცდუნა, პირიქით, მოკლე ხანში ბატონიშვილს გვერდით 6000 მებრძოლი ედგა. 1813 წელს იგი შილდის გზით კვლავ დაბრუნდა კახეთში, თუმცა საბუესთან რუსებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს და იძულებული გახადეს უკან გაბრუნებულიყო. 1818 წელს ალექსანდრე დაღესტნიდან ახალციხეში გადაიპარა, იქედან კი ირანში დაბრუნდა. ცნობილია, რომ მისი მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი ირაკლი რუსებმა ჩაიგდეს ხელში და რუსეთში გადაასახლეს.

ცხოვრების უკანასკნელი წლები ბატონიშვილმა სალმასტში გაატარა, შაჰის მიერ ნაბოძებ მამულში.

ალექსანდრე ბატონიშვილისათვის განსაკუთრებით მძიმე უნდა ყოფილიყო მისი ცხოვრების ბოლო წლები, როცა ირანის შაჰის გარდაცვალების შემდეგ, მას პენსიაც შეუწყვიტეს. ვალებში ჩავარდნილი ბატონიშვილი იძულებული იყო სალმასტის მამულების შემოსავალი კრედიტორებისათვის გადაეცა, თვითონ კი თეირანს გადასახლებულიყო, სადაც სული უკიდურეს სიღარიბეში დალია. ალექსანდრე ბატონიშვილი გარდაიცვალა 1844 წელს, 74 წლისა. აქედან 60 წელი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. მის მსახურს იადუბ-ბეგს, მისივე ანდერძის თანახმდ, იგი თეირანის შაჰ აბდულ-აზიმის უბანში – სომხური ეკლესიის გალავანში დაუკრძალავს. როგორც ისტორიკოს შოთა ხანთაძის მიერ მოტანილი ცნობიდან ჩანს, სომეხ მოგზაურსა და მეცნიერს შარაზან ვარდანიანს უნახავს მისი საფლავი და რადგანაც საფლავის ქვზე არავითარი წარწერა არ იყო, მოუნდომებია მასზე წარწერის ამოკვეთა, მაგრამ იმის გამო, რომ ქართული ან სომხური ანბანის მცოდნე ქვის მთლელი ვერ უპოვია, სპარსული წარწერა კი ბატონიშვილისათვის ვერ უკადრებია, ეს განზრახვა ვეღარ შეუსრულებია.

ქართული საზოგადოება მუდმივად ადევნებდა თვალ-ყურს გმირი ბატონიშვილის დაუცხრომელ მოღვაწეობას. 1832 წელს სამშობლოს თავისუფლებისათვის შეფიცულმა დასმა ღვაწლმოსილი ალექსანდრე ბატონიშვილი მომავალ დამოუკიდებელ საქართველოს სამეფო ტახტის დასაკავებლად მოიწვია.

ქართველ პატრიოტთა ეს წინადადება ნათლად გამოხატავდა ერეკლეს ძის დამსახურებას სამშობლოს წინაშე და მიუთითებდა იმ დიდ ავტორიტეტზე, რაც მან მოიპოვა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ახალ თაობებში.

საქართველოს ძნელბედობის ჟამს, ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის, ქართველი ერისთვის სულიერი და ეკონომიკური კრიზისის მომენტში ერთადერთ ნუგეშად და იმედად შერჩენილი ალექსანდრე ერეკლეს ძე სიცოცხლის ბოლომდე თავდაუზოგავად იბრძოდა ქვეყნის თავისუფლებისა და ბაგრატიონთა სამეფო სახლის რესტავრაციისათვის.

ინგლისელი ოფიცერი მანტეისი წერს: ,,მე ახლო მეგობრულ ურთიერთობაში ვიყავი ალექსანდრე ბატონიშვილთან, იგი იყო უშიშარი, უხორცო კაცი, რომელიც რასოდეს ამაყობდა თავისი წარმოშობით და არ ეძლეოდა სინანულს. მისი კავკასიური მოგონებები რამდენიმე ტომს გაავსებდა.“ სამწუხაროდ, ამ მოგონებების ბედი უცნობია. მაგრამ ცნობილია, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს კავკასიაში დარჩა მოწაფე და მიმდევარი იმამი შამილი - მისი ასლი და კვალი შესახედავად და იდეებით, - დაუძინებელი მტერი რუსეთისა.

ლიტერატურა:
1. გონიკაშვილი მ., ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 1986.
2. გელაშვილი ა., დამარცხებაში მოპოვებული სინდისი http://www.kvirispalitra.ge/history/16683-damarckhebashi-mopovebuli-sindisi.html
3. კალანდაძე ა., რომანი ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრებისა, თბ., 1991.
4. მანველიშვილი ა., რუსეთი და საქართველო (1801-1951), პირველი ტომი, პარიზი, 1951.
5. ორჯონიკიძე ე., ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები, თბ., 1999.
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
7. სუხიტაშვილი ვ., ალექსანდრე ბატონიშვილის მოღვაწეობიდან, თბ., 2006.
8. ფრონელი ა., ამბოხება კახეთისა, თბ., 1992.
9. ცინაძე გ., რუსეთ-საქართველოს ომი. http://saunje.ge/index.php?id=1260&lang=ru
10. ჯავახიშვილი ნ., გრიგოლ I, უკანასკნელი ქართველი მეფე, თბ., 2008.
11. ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.

მძოვრეთის ნაქალაქარზე არსებული ისტორიული ძეგლები

თეონა შავლოხაშვილი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ელდარ მამისთვალიშვილი**, პროფესორი

მძოვრეთის ნაქალაქარზე არსებული ისტორიული და არქიტექტორული ციხე-კოშკები უდიდეს ყურადღებას იწვევს მნახველში თავისი არქიტექტორული დახვეწილობითა და ისტორიული მნიშვნელობით. ჩემი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მძოვრეთის ნაქალაქარზე არსებული უძველესი კულტურული ღირებულების ისტორიული ძეგლების აღწერა, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ კულტურული ღირებულება ჩვენი ქვეყნისათვის.

ძველი მძოვრეთის ტერიტორიაზე დაცულია საყურადღებო ისტორიული ძეგლები: ციხე-კოშკები, აბანოები, ეკლესიები, ციციანთ სასახლე და სხვა, რომელნიც მოწმობენ, რომ მძოვრეთი ციხე-ქალაქი უნდა ყოფილიყო, ამის შესახებ პლატონ იოსელიანიც მოგვითხრობს, რომ ეს ქალაქი მდინარე ძამაზე 113 წელს ააშენა მეფე მირდატმა. ამ ქალაქში ბევრი მცხოვრები ყოფილა, მაგრამ მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში ეს ქალაქი მურმან აბდულ ყასიმის ძეს აუოხრებია. სამწუხაროდ, პლატონ იოსელიანი წყაროებს არ ასახელებს და ჩვენ საშუალება არ გვაქვს, ამ ცნობის სინამდვილე დავაზუსტოთ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ პერიოდის ისტორიულ მოვლენათა მსვლელობას, ძამის ხეობის ასეთი აოხრება შესაძლებელი იყო: მურმან ყრუმ, როგორც ისტორიოგრაფიაშია ცნობილი, მთელი საქართველო ააოხრა, სამცხეშიც გაილაშქრა და მას ცეცხლითა და მახვილით უნდა გაევლო მთელი ძამის ხეობა, საიდანაც გზა სამცხეში შედიოდა. მით უფრო, რომ ეს ხეობა დაცული იყო ისეთი ციხე-სიმაგრით, როგორიც იყო მძოვრეთის ციხე. რასაკვირველია, არაბთა ლაშქარს უბრძოლველად არ შეეძლო ხეობის გავლა და სწორედ ამ დროს აიკლეს არაბებმა ეს ხეობა. ამ აოხრების მომდევნო პერიოდშიც არ დაუკარგავს ძამის ხეობას თავისი პირვანდელი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა.[1]

ძამის ციხეს იხსენიებს "ქართლის ცხოვრების" ავტორიც და საინტერესო ისტორიულ ცნობებს გვაწვდის მის შესახებ. X საუკუნეში აქ ყოფილა რეზიდენცია ძამის მთავრის ადარნასესი, რომელსაც მონაწილეობა მიუღია საქართველოს სამთავროების გაერთიანებისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლაში ადარნასეს დახმარებას უწევდა აფხაზთა მეფის დემეტრეს (967-975) მეტოქე თეოდოსი, რომელიც გამოქცეულა ქართლში და ადარნასეს ხელის შეწყობით გამაგრებულა ძამის ციხეში, მაგრამ დემეტრეს თავისი ძმა თეოდოსი დაუმარცხებია და ეს ციხეც აუღია. "გამოვიდა თეოდოსი საბერძნეთით, მოვიდა სამცხეს, და დადგა მარგის მერე, უხმობდა მესხთა აზნაურთა, იკრებდა ლაშქართა და ლამობდა

[1] ს. მაკალათია, ძამის ხეობა, თბილისი, 1961, გვ. 10

მკლავითა თვისთა აღებასა მამულისა თვისისა. ხოლო დემეტრე მეფემან წარავლინა ლაშქარი თვისი, დაესხნეს უგრძნეულად და გააქციეს თეოდოსი. წარვიდა ქართლს და მიმართა ადარნარსეს, ძამელსა მთავარსა; შეიყვანეს იგი ძამის ციხესა და მუნით გამოღმართ ეძიებდა საქმესა თვისა."[1]

ფეოდალურ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ XI-XII საუკუნეებში ძამის ციხეს და მის მიმდებარე ტერიტორიას განაგებდა მეფის მოხელე ქართლის ერისმთავარი. XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ციხის გამგებელი გახდა საქართველოს დიდი ფეოდალი გამრეკელ-თორელი. მონღოლთა ბატონობის ხანაში, დავით VIII მეფობის დროს (1293-1311 წწ.), შინაფეოდალური ომების შედეგად, ძამის ციხეს მცირე ხნით ოსები დაეპატრონნენ. XIV საუკუნის დასაწყისშივე ციხე გამრეკელ-თორელებმა დაიბრუნეს. საუკუნის მანძილზე ციხეზე და ძამის ხეობის ზედა წელზე გამრეკელ-თორელები და მათი გვარის განაყარი შტო – ჯავახიშვილები ახორციელებდნენ კონტროლს. ამავე პერიოდში ციხეს ერთმანეთს ეცილებოდნენ ჯერ გამრეკელი და ორბოძლელები, ხოლო მოგვიანებით ორბოძლელები და ფანასკერტელ-ციციშვილები.

ძამის ციხის მიუსვლელ-მიუვალობა საგანგებოდ აქვთ ხაზგასმული თემურლენგის კარის ისტორიკოსებს. თემურლენგის შემოსევის დროს 1400 წლის ზაფხულში გიორგი VII-ემ (1395-1407 წწ) მძიმე ბრძოლებით უკან დაიხია და ბოლოს ძამის ციხეში გამაგრდა. ციხეს ალყა შემოარტყა თემურლენგმა. შვიდი დღე-ღამის განმავლობაში მეციხოვნეები მამაცურად იგერიებდნენ იერიშებს. თვით თემურლენგი ჩაუდგა სათავეში იერიშს და საალყო მანქანებით და დიდი ძალებით ციხე აიღო. გიორგი VII ლაშქრით ციხიდან გამოვიდა, გააპო ალყა და სავანეთის ციხეს მიაშურა.[2]

XV საუკუნის დამდეგს ჯავახიშვილებმა დაკარგეს გავლენა ძამის ხეობის ზედა წელზე და ძამის ციხეზეც. მთელ ძამის ხეობაზე საბოლოოდ განიმტკიცა უფლებები ციციშვილთა გვარეულობამ. ვახუშტის თქმით "ამ ციხის ქუეშ სასახლეა ციციანთა". XVIII საუკუნემდე ძამის ხეობა ციციშვილთა სათავადოში შედიოდა. ძამის ციხე ყოველთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო და მას ქვეყნის საერთო პოლიტიკური ინტერესებისათვის იყენებდნენ.

მძოვრეთის ნაქალაქარზე გამართულ ბრძოლების შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით სპარსულ წერილობით წყაროებში, რომლებიც ერთგვარად ავსებენ ქართულ წყაროთა მწირ ცნობებს. ისქანდერ მუნში მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს საციციანოს ბრძოლებზე და მის წინამძღოლ ფარსადან ციციშვილზე. ისქანდერ მუნშის ცნობების მიხედვით: "ყიზილბაშებმა პირველად მძოვრეთის ციხე გარემოიცვეს, ძლევამოსილი ღაზიები ყოველი მხრიდან უტევდნენ ციხეს და შიგ მყოფნი შეავიწროვეს. ცუდი სარწმუნოების მქონე ქართველებმა დაინახეს თავიანთი სისუსტე და უვნებლობა ითხოვეს. ციხის თავი და ფარსადან ბეგი ციხიდან გამოვიდა და სიმაგრე ყიზილბაშებს გადასცა. მძოვრეთის ციხის დაპყრობის შემდეგ კი ყიზილბაშები გაემართნენ ატენის ციხისაკენ." ლუარსაბ მეფე მტრის შემოსევების დროს თავს ხშირად აფარებდა მძოვრეთის ციხეს, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მტრის პირველი შემოტევები სწორედ ამ ციხეზე იწყებოდა.[3] ისქანდერ მუნშის ამ ცნობას უფრო ვრცელ და საინტერესო დეტალებით ამდიდრებს ჰასან რუმლუ: "ძლევის დროშებმა თავისი ჩრდილი მძოვრეთის ციხეს მოფინეს. ეს იყო ციხე, რომლის გალავნის სიმაღლე სატურნის აპოგეას სცილდებოდა... არასოდეს მუსლიმანური დროშების სხივებს იმ მთიანეთის ჰორიზონტზე არ გაუნათებიათ... და ჭეშმარიტი სარწმუნოების მნათობი ამ ციხის მიდამოებში არ გათენებულა თავისი ციხის სიმაგრით გაამაყებულმა ურჯულო ქართველებმა წინააღმდეგობის გაწევა იწყეს. ბედნიერმა ამირებმა და სახელოვანმა ღაზიებმა ყოველი მხრიდან იწყეს ბრძოლა..." ამის შემდეგ ფარსადანის მიერ ციხის ჩაბარებას მოსდევს ატენის ციხის აღების აღწერა.[4]

ვახუშტი ბატონიშვილი მძორეთის გეოგრაფიულ დახასიათებაში "აღწერა სამეფოსა საქართვეოლოსაში" ადასტურებს, რომ მძოვრეთი ციხე-ქალაქი ყოფილა: "იმერხევის დასავლეთით, ძამაზედ, არს მძორეთი, მცირე ქალაქი. მოსახლენი სომეხნი, ურიანი, ციხე არს მაღალს კლდესა ზედა ნაშენი. ესე არს ძამის ციხე. ამ ციხის ქვეშ სასახლე ციციანთა."[5]

ვახუშტი მას უწოდებს „ძამის ციხეს“, ხალხი კი „მზორეთის ციხეს“. ამ შემთხვევაში ვახუშტი ცდება. ამას ადასტურებს მის მიერ შედგენილი რუკა, რომელზეც ძამის ციხე ნაჩვენებია არა მძორეთთან, არამედ გვერძნეთის ზემოთ ძამის სათავეში, იქ, სადაც ეს ციხე სინამდვილეში დღესაც არსებობს. მძორეთის

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 270

[2] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V, თბილისი, 1990, გვ. 383

[3] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1969, გვ. 20

[4] მ. მიჩიტაშვილი, საციციანოს ისტორია, I, თბილისი, 2016, გვ. 50

[5] ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 344.

დიდი ციხე კი ვახუშტის რუკაზე სულაც არა აღნიშნული.

ნაქალაქარ მძოვრეთის ადგილას მდებარეობს მძორეთის ციხე, რომელსაც სტრატეგიულად მოხერხებული ადგილმდებარეობა უკავია. იგი იცავდა შიდა ქართლიდან სამხრეთ საქართველოსკენ მიმავალ მნიშვნელოვან გზას.

საყურადღებოა ნაქალაქარ მძოვრეთის სახელწოდების წარმომავლობა. ხალხური გადმოცემის მიხედვით, მძორეთი წარმოშობილია „მზვარეთიდან“ მზიანი ადგილიდან, სადაც ვენახი დღესაც ხარობს. ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით კი, "ზოვრეთი" (მძოვეთი) სიტყვა წარმოსდგება "საზურეთიდან", რაც საბაჟოს ნიშნავს.[1] ქალაქი მდებარეობდა შიდა, ზემო და ქვემო ქართლის შემაერთებელ გზაზე. ძველი მძორეთის ადგილას დღეს გაშენებულია სამი სოფელი: ორთუბანი, წითელი სოფელი და სუქანანთუბანი. ხალხის გადმოცემით, წინათ აქ მოსახლეობა არ ყოფილა, მთელი მიდამო ტყით ყოფილა დაფარული, აქაურ ადგილ-მამულებს ციციშვილები ფლობდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ძამის ხეობა შედიოდა საციცაინოში. მე-15 საუკუნიდან ძამის ხეობაში მიმდინარე პოლიტიკური ისტორიული ამბები უკავშირდება ციციანთა გვარის ისტორიას. ეს გვარი პირველად საქათველოს ისტორიაში ფანასკერტელად იხსენიება, შემდეგ კი ფანასკერტელ-ციციშვილად. ფანასკერტელი ეწოდებოდა ფანასკერტის ციხის მფლობელს. ეს ციხე კი მდებარეობდა ტაოში, ტაოს ბანას წყალი ყოფდა ორ ნაწილად - იმიერ და ამიერ ტაოდ. ამიერ ტაო ეკუთვნოდა საქართველოს იმიერი კი საბერძნეთს. ფანასკერტი კი იყო საზღვარზე. როგორც ირკვევა, ზაზა ფანასკერტელი შიდა ქართლში პირველად 1467 წელს გადმოსახლებულა და აქაური ფანასკეტელ-ციციშვილების მამამთავარი გამხდარა.

ზაზა ფანასკერტელის ქართლში გადმოსახლების შემდეგ ფანასკერტელობამ თავისი აზრი და მნიშვნელობა დაკარგა.

ზაზა ფანასკერტელი საქართველოს მეფის გიორგი მერვის დროს (1446-1476) ერთ-ერთ გუჯარში იხსენიება, საიდანაც ირკვევა, რომ ამ დროს ფანასკერტის ერისთავი ყოფილა ზაზა და მას ჰყოლია ძმა ციცი. ზაზა გუჯარში მოხსენიებულია მეჭურჭლეთუხუცესად.[2] ზაზას დროს დაიწყო ბრძოლა გიორგი მერვესა და სამცხის ათაბაგ ყვარყვარეს შორის. სამცხის ათაბაგი ყვარყვარე იბრძოდა მოეპოვებინა დამოუკიდებლობა გიორგი მერვისაგან. ამ ბრძოლაში გიორგი მერვე დამარცხდა 1465 წელს. მისი მომხრე ზაზაც ყვარყვარეს შიშით იძულებული გამხდარა 1467 წელს ქართლში გადმოსახლებულიყო. ქართლში გადმოსახლებული ზაზასთვის მეფეს უბოძებია ძამის ხეობა, სადაც ზაზას ჩაუტარებია დიდი მშენებლობა. ზაზა ფანასკერტელის ფრესკა დღემდე დაცულია ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის ტაძარში. იგი წარმოდგენილია მშენებლის პოზაში და ხელში უჭირავს ტაძრის გეგმა.

მე-15 საუკუნიდან იწყება ოსმალობის ბატონობის გაძლიერება. ოსმალეთი ესაზღვრებოდა სამცხეს, საიდანაც იგი აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებდა ქართლის დასაპყრობად. ამ მოსალოდნელი საფრთხისაგან თავდასაცავად საჭირო იყო შემოსასვლელი გზების გამაგრება. ეს გზა გუჯარეთ-ბორჯომიდან შემოდიოდა ძამის ხეობაში. ამის გამო ოსმალეთის თავდასხმის შიშით ამ ხეობას სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მისმა ახალმა მფლობელმა საფუძვლიანად გაამაგრა და განახლა ხეობა ახალი საფორტიპიკაციო ნაგებობებით. ზაზა ფანასკერტელმა რეზიდენციად აირჩია ამ ხეობის ცენტრალური ადგილი, ძველი ნაქალაქარი მძვორეთი, სადაც იყო ძველთაგანვე ნაგები მაგარი ციხე. მძორეთის ციხის ქვემო დავაკებაზე ზაზას აუგია ქვითკირის სასახლე კოშკითა და კარის ეკლესიით. სასახლისთვის გარშემო ქვითკირის მაღალი გალავანი შემოუვლია. ზაზამ აღადგინა და გაამაგრა მძორეთის ძველი ციხე. რომლის კედლებს დღესაც ეტყობა შეკეთება-რესტავრაციის კვალი.

მძოვრეთის ციხე-დარბაზის კომპლექსის განახლება-რესტავრაცია უკავშირდება XVII საუკუნის დასაწყისში ციციშვილთა საფეოდალოს ცენტრის გადმოტანას სამწევრისიდან მძოვრეთში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მძოვრეთი ძამის ხეობაში სტრატეგიული თვალსაზრისით მოხერხებულ ადგილას მდებარეობდა. მძოვრეთის ციხე-დარბაზის კომპლექსი მდებარეობს სოფლის დასაწყისში მდინარე ძამის მარჯვენა ნაპირზე, ნაქალაქარ მძოვრეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში. მძოვრეთის ციხე თითქმის მიუვალია: აღმოსავლეთით აკრავს ტყიანი მაღალი ქედი, სამხრეთით ღრმა ხევი, დასავლეთით კი ორთუბნის ვიწრო ხევი. ციხის კლდე თიხნარია და ადვილად იშლება. ასეთ კლდეზე აგებულია დიდი და რთული კონსტრუქციის ციხე, რომელიც ისეა შეკრული, რომ მნახველს ერთ მთლიან კლდისაგან გამოკვეთილი ეგონება. მძორეთის ციხე ძამის მთელს ხეობას გადასცქერის.

ციხის კედლებს აშკარად ეტყობა შეკეთება-განახლება. იგი თავისი ნაგებობითა და გეგმით უეჭველად ძველია. ეს ციხე მე-16-17 საუკუნეებში საფუძვლიანად განუახლებიათ ციციშვილებს. მძორეთის ციხე ამ ხეობაში ყველაზე უძველესი თავდაცვითი ნაგებობაა, რასაც მოწმობს ციხის ძველი

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1965, გვ. 332
[2] ს. მაკალათია, ძამის ხეობა, თბილისი, 1961, გვ. 5

ნაგებობის ნაწილი, რომელიც მუქი რუხი ფერისაა. იგი აგებული უნდა იყოს არაბთა შემოსევამდე. სავარაუდოა, რომ ეს ციხე არაბებმა ქალაქთან ერთად დაანგრიეს. სამწუხაროდ, ეს საინტერესო ციხე დღემდე არ არის შესწავლილი და გამოკვლეული, რომ შესაძლებელი იყოს მისი ნაგებობათა ზუსტი დათარიღება.

მძოვრეთი ციციანთ ციხე-ქალაქად გადაუქცევიათ და აქ დაუსახლებიათ ებრაელები და სომხები ვაჭრობის განვითარების მიზნით. ამ ცნობას ვახუშტიც ადასტურებს: "არს მძორეთი, მცირე ქალაქი, მოსახლენი სომეხნი, ურიანიო." საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნაქალაქარის ტერიტორიიდან ლეკიანობიის შიშით ურიები აქედან აიყარნენ და ქარელში გადასახლდნენ, სადაც მათ მძორელაშვილებს უწოდებდნენ. მძორეთის ნაქალაქარზე არსებული გეოგრაფიული გარემოდან გამომდინარე, მათ საქმიანობაში წამყვანი სოფლის მეურნეობა იყო. მძორეთში ციცი ციციშვილს ჰყავდა 12 კომლი ებრაელი. იმავე პერიოდში, როდესაც ედიშერ და პაპუნა ციციშვილები გაიყარნენ, ედიშერს ქართველ ყმებთან ერთად რამდენიმე კომლი ებრაელი ერგო თავიანთი მამულებითურთ.[1]

XVII საუკუნიდან ქალაქი დაქვეითებას განიცდის და იწოდება "მცირე ქალაქად". XIX საუკუნეში ციციშვილები ტოვებენ ამ ადგილს და ქალაქიც წყვეტს არსებობას. მის ნანგრევებზე კი ახალი სოფელი ორთუბანი შენდება. რაც შეხება ქალაქის საზღვრებს, ზუსტად არ არის დადგენილი. ქალაქის ჩრდილოეთის გალავანი მდინარეს მიჰყვებოდა. ქალაქში იყო ციციშვილების მიერ აშენებული აბანო, რომელთა ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი, ხოლო ქალაქის ცენტრში იყო საბაჟო.[2]

ძამის ხეობაში შემოჭრილ მტერს ამ ციხესთან უხდებოდა გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება. მე-17-18 საუკუნეებში მას განსაკუთრებით ოსმალთა და დაღესტნელთა ლაშქარი ესეოდა, მაგრამ მტერს ყოველთვის უჭირდა მძორეთის ციხის აღება.

შინაპოლიტიკურ ბრძოლებში მებატონე ციციშვილები მძორეთის ციხეს თავს აფარებდნენ. მაგალითად, როდესაც ნოდარ ციციშვილი აუჯანყდა როსტომ მეფეს, იგი გამაგრდა მძორეთის ციხეში. როსტომმა ამ ციხეს დაუშინა ზარბაზნები, მაგრამ ციხე ვერ დაანგრია. ამის შესახებ ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს: "მან როსტომმა გორის ციხიდან ზარბაზნები ჩამოიტანა და მძოვრეთის ციხეს შემოადგა. ზარბაზნები დაუშინა მაგრამ ქვითკირს ვერა ავნო რა-ო"[3]

XVIII საუკუნის დასაწყისში საციციანო, ისევე როგორც სხვა სათავადოები, თანდათან კარგავდა თავის შეუვალობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სწორედ ამ პერიოდში მძორეთის ციხე არაერთხელ გამხდარა თავადთა დაპირისპირების მიზეზი გვაქვს ერთი საინტერესო ცნობა მძოვრეთის ციხის ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით. ამ ცნობის მიხედვით. ციციშვილი ზაქარია ყალბი დოკუმენტებით შეეცადა ნოდარისშვილებისაგან სათავისთავო საკუთრებად გადაქცეული მძოვრეთის ციხის ხელში ჩაგდებას 1783 წელს: "მძოვრეთის ციხე რომ ქაიხოსროსშვილს ციციშვილს ზაქარიას დაეჭირა და შიგ თავისი კაცნი შეეყენებინა, ამაზედ ნოდარისშვილი სარდალ-ქალაქის მოურავი დავით ძალგამოღებით ლაპარაკობდა; მძოვრეთის ციხე ჩვენ-ნოდარისშვილების საკუთარია, რომ არც ქაიხოსროს შვილებს და არც პაპუნაშვილებს წილი არა აქვსო... ქალაქში მოურავს დავითს, მის სახლისკაცს პაატას და ნიკოლოზს პირობა შეეკრათ და შეთანხმებულიყვნენ, წავიდეთ ზაქარიას ციხე წავართოთო... მძოვრეთის ციხეზე ზაქარიამ დავთარი მოიტანა ბარძიმ მდივანბეგის ბეჭედით დაბეჭდილი; მძოვრეთის ციხე ზაქარიას წილობისათვის ეწერა. მერე წიგნი მოიტანა ბაგრატის მიწერილი, შენი ციხე ნათხოვრად მაქვსო; მერე ფარსადანისა შენს ციხეში თამასხანის შიშით შევალო...."[4]

სამწუხაროდ, მცირე ცნობები მოგვეპოვება მძოვრეთის ნაქალაქარზე არსებულ ფრესკების შესახებ. ჟამთა სიავემ აქ არსებული უძველესი ფრესკების შესახებ ცნობები მცირე რაოდენობით შემოგვინახა. ამ მხრივ საყურადღებოა დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ხიდისთავის უჩასტაკში დაცული ცნობა, რომლის მიხედვითაც: "მძოვრეთის ხეობაში, სადაცა შეკრებით მდგარან თავადნი ციციანი, მათ სასახლესთან არის მცირე ეკლესია კარიბჭეში, რომელზედაც სწერია შიგნით საკურთხევლის კედელზედ "ყოვლად წმინდაო ღვთის მშობელო ყოველთა შეწოხებულთა ქრისტიანეთა... შეიწყალე სოლი მონისა შენისა დიდებოლისა ნოდარ.... შეონდე ოკონისამდე ამინ". ამ წარწერას მარი ბროსეც დ. მეღვინეთხუცესიშვილის მსგავსად კითხულობს. მარჯვნივ აქავ მაღლა მთაზედ დგა ციხე მტერ შეუვალი, სადაც, თუმცა წარწერილობა არა იპოების გარნა შენობა მისი არის ღირს სახსოვარი. იტყვიან აქაურნი თანი ციციანი ვითამცა ოდეს უნახავს მათ მდგარან მუნ ოვსნი, მაშინდელნი იყო ერთი კოშკი რომელიც აქ საისრების სასროლი ალაგები და შემდგომად ციციანი ზედ მიედგათ ციხე."[5]

---

[1] ე. მამისთვალიშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია, თბილისი, 1995, გვ. 117

[2] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V, თბილისი, 1990, გვ. 381

[3] ს. მაკალათია, ძამის ხეობა, თბილისი, 1961, გვ. 34

[4] მ. მიჩიტაშვილი, საციციანოს ისტორია, I, თბილისი, 2016, გვ. 242

[5] ი. ალიმბარაშვილი, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი, 2016, გვ. 69

რაც შეეხება მძოვრეთის ციხე-დარბაზის კომპლექსის შესახებ არქიტექტორულ ცნობებს, იგი დაცულია "საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობაში," საიდანაც ვიგებთ, რომ კომპლექსის შემადგენლობაში შედის ციხესთან ერთად ეკლესია და სამრეკლო კოშკი. კომპლექსიის ძველი სახე დაზიანებულია, სასახლისაგან და რამდენიმე სამეურნეო ნაგებობისაგან მხოლოდ კვალია შემორჩენილი.

სერგი მაკალათიას "ძამის ხეობის" აღწერილობიდან, როგორც ჩანს, ეს ეკლესია კარის ეკლესია უნდა ყოფილიყო. შემორჩენილია ძველი მხატვრობა, რომელიც გაშავებულია, მაგრამ მაინც კარგად მოჩანს ღვთიშობლის სახე ხელში ყრმა იესოთი, მის გვერდით კი მხედარი თეთრ ცხენზე (წმინდა გიორგი). ეკლესია ერთნავიანია, ნაგებია კლდისა და რიყის ქვით.

ძამის ციხე რამდენიმე ქრონოლოგიურ ფენისაგან შედგება. მათი ერთმანეთისაგან ზუსტად გამიჯვნა შეუძლებელია. თავდაპირველად აქ უნდა მდგარიყო სამკუთხედად განლაგებული სამი კოშკი, რომელთაგან ორი გალავანში იყო ჩართული. სხვა კოშკები და საცხოვრებელი შენობები აგებულია მოგვიანებით. ციხე ნაგებია ნატეხი ქვით, ზოგიერთ ნაგებობაზე გამოყენებულია თლილი ქვაც. ჩრდილოეთით მდგარი კოშკის ზედა ნაწილი, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის კოშკის დასავლეთისა და სამხრეთის კედლები, ჩრდილო-დასავლეთის კოშკის ჩრდილოეთ ნაწილი, აღდგენილია სხვადასხვა დროს. ჩრდილოეთის სწორკუთხა დიდი კოშკისაგან მხოლოდ სამი სართულია შემორჩენილი. ციხე-დარბაზს შემოვლებული ჰქონია გალავანი. შემორჩენილია ძველი გალავნის ჩრდილოეთის ნაწილი მთელ სიგრძეზე და ნაწილობრივ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეები. გალავანს ჭიშკარი დასავლეთით ჰქონია, ხოლო მეორე კარი ჩრდილოეთით ეკლესიასთან. ეკლესია თარიღდება XVII საუკუნის დასაწყისით. იგი დარბაზული ნაგებობაა და გალავნის შიგნით აღმოსავლეთ მხარეზე დგას. ეკლესიას შესასვლელი დასავლეთის მხრიდან აქვს. ნახევარწრიულ აფსიდში, სამხრეთისა და დასავლეთის კედლებში თითო სარკმელია. დარბაზი გადახურულია შეისრული კამარით, რომელიც კედლის წვრილ პილასტრზე დამყარებულ თაღს ეყრდნობა. საკურთხეველი გამოყოფილია გვიანდელი მასიური კანკელით, აღმოსავლეთის კარის გვერდებზე კი თითო ნიშია. ტაძრის ინტერიერი შელესილი ყოფილა. შენობის ლავგარდანი და სახურავი მთლიანად ჩამონგრეულია. ეკლესიის დასავლეთის კედელზე მიშენებულია სამსართულიანი სამრეკლო, რომელიც თარიღდება XVIII საუკუნის II ნახევრით. სამრეკლო ნაგებია რიყის ქვით. ქვედა ნაწილში გამოყენებულია თლილი ქვაც, ხოლო ინტერიერში აგური. პირველი სართული კარიბჭე სამი მხრიდან ღია თაღებითაა გახსნილი და გადახურულია დამჯდარი კამარით. მეორე სართული მცველის საცხოვრებელი ყოფილა და აღჭურვილია სათავდაცვო ელემენტებით. ამ სართულზე ასვლა მისადგამი ხის კიბით იყო შესაძლებელი. აღმოსავლეთის კედელი კი ეკლესიას ესაზღვრება, დანარჩენ სამ კედელში კი სათოფურებია. მესამე სართულსაც კამაროვანი გადახურვა აქვს. იგი ოთხივე მხარეს გახსნილია განიერი ნახევარწრიული თაღებით. მესამე სართულის გარე მოხაზულობა ვიწროვდება და რვაგვერდა პირამიდით მთავრდება.[1]

ორთუბნის კოშკი მდებარეობს ციხე-დარბზის სამხრეთ დასავლეთ მონაკვეთში, რომელიც თარიღდება XVII საუკუნით. კოშკი შვიდსართულიანი პირამიდული ნაგებობა, ნაგებია რიყის ქვით, ინტერიერისათვის კი გამოყენებულია აგური. კოშკს შესასვლელი ორი მხრიდან აქვს. ჩდილოეთის მხრიდან შესაძლებელია შესვლა პირველ სართულზე, ხოლო მესამე სართულზე შესვლა შესაძლებელია სამხრეთის მხრიდან. საყურადღებოა, რომ მეორე სართულს აქვს ერთი სარკმელი და მის კედლებში იწყება კიბე, რომელიც ბოლო სართულამდე ადის. პირველი სართული ხით ყოფილა გადახურული, ხოლო დანარჩენები კი აგურის ოდნავ შეისრული კამარით. მესამე სართულს ერთი სათოფური აქვს. მეოთხე სართულის კედლებში კი ვხვდებით სათოფურებსა და ბუხარს. მეხუთე სართულზე კი ცალმაგი და ორმაგი სათოფურებია. მეექვსე სართულზე კვალავ ვხვდებით სათოფურებთან ერთად ბუხარს, ხოლო მეშვიდე სართული ოთხივე მხარეს თაღებით იყო გახსნილი. გასამაგრებლად კი კოშკის სამ კედელზე მიშენებული ყოფილა ნახევარწრიული კონტრფორსები. ჩრდილოეთის მხრიდან კი კოშკზე საცხოვრებელი სახლია მიდგმული. ამ კოშკიდან გზა გადადის მძოვრეთის ციხეში.

როგორც ჩანს, მძორეთის ნაქალაქარი კულტურული და ისტორიული ღირებულების ძეგლია, დღესაც მიმდინარეობს აქ არსებული რელიგიური და კულტურული ძეგლების განახლება. მეუფე იობის ხელმძღვანელობით სრულიად აღდგენილია და განახლებულია მძორეთის ციხე, ციხეში არსებული ეკლესია და ორთუბნის კოშკი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ციხეში არსებულ ტაძარში სრულდება წირვა-ლოცვა.

[1] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V, თბილისი, 1990, გვ. 381

ლიტერატურა:

1. ე. მამისთვალიშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია, თბილისი, 1995.
2. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმნითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბილისი, 1969.
3. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1965.
4. ი. ალიმბარაშვილი, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი, 2016.
5. მ. მიჩიტაშვილი, საციციანოს ისტორია, I, თბილისი, 2016.
6. ს. მაკალათია, ძამის ხეობა, თბილისი, 1961.
7. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V, თბილისი, 1990.
8. ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955.
9. ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959.
10. ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.